

თსუ პაატა ბუბუშვილის
ეკონომიკის ინსტიტუტის
სამეცნიერო
შრომების პრეპული

V

მთავარი რედაქტორი

რამაზ აბესაძე

სამეცნიერო-სარედაქციო კოლეგია

- ნ. არევაძე, გ. ბერულავა, ნ. ბიბილაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ვ. ბურდული, შ. გოგიაშვილი, ლ. დათუნაშვილი, გ. ერქომაიშვილი, ვ. კაპულია, მ. კვარაცხელია, ა. კურატაშვილი, თ. ლაზარაშვილი, ი. ნათელაური, ვლ. პაპავა, რ. სარჩიმელია, თ. ჩხეიძე, ნ. ხადური, მ. ხუსკივაძე, რ. ჯავახიშვილი

თსუ პაატა ბუბუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
გამომცემლობა

თბილისი 2012

**ეძღვნება აკადემიკოს
ავთანდილ გუნიას დაბადებიდან
მე-100 წლისთავს**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის
ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების
კრებულში ქვეყნდება ინსტიტუტის მეცნიერ თა-
ნამშრომელთა და საქართველოს მეცნიერ-ეკონო-
მისტთა ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება თანამე-
დროვე აქტუალურ ეკონომიკურ პრობლემებს.

კრებული განკუთვნილია მკითხველთა ფარ-
თო წრისათვის და დახმარებას გაუწევს არა
მხოლოდ სპეციალისტებს, არამედ ეკონომიკის
საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

რედაქციის შეხედულება შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორის აზრს
და იგი პასუხს არ აგებს ინფორმაციის სიზუსტეზე

© თსუ ააატა ბუბუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის
გამომცემლობა
2012

**PROCEEDINGS OF
SCIENTIFIC WORKS OF
PAATA GUGUSHVILI INSTITUTE OF
ECONOMICS OF TSU**

V

Editor-in-chief

Ramaz Abesadze

Scientific-Editorial Board

N. Arevadze, G. Berulava, N. Bibilashvili (executive secretary), V. Burduli, T. Chkheidze, L. Datunashvili, G. Erkomaishvili, Sh. Gogiashvili, R. Javakhishvili, E. Kakulia, N. Khaduri, M. Khuskivadze, A. Kuratashvili, M. Kvaratskhelia, T. Lazarashvili, I. Natelauri, V. Papava, R. Sarchimelia

**PUBLISHING HOUSE OF PAATA GUGUSHVILI INSTITUTE
OF ECONOMICS OF TSU**

TBILISI 2012

UDC (გვგ) 061.62: 33(479.22)(045)
3 – 121

Dedicated to 100th anniversary of Academician Avtandil Gunia

The proceedings of scientific works of Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane Javakhishvili Tbilisi State University publishes the works of Institute researchers and scientists-economists of Georgia dedicated to current actual economic problems.

The proceedings are intended for a wide range of readers and will assist not only professionals but those concerned with issues of economy.

The views of scientific-editorial board do not necessarily reflect author's option and it accepts no responsibility for the accuracy of information

**© Publishing House of Paata Gugushvili Institute of
Economics of TSU
2012**

**ISSN 1987 - 6904
9771987690003**



100

აკადემიკოს ავთანდილ გუნიას ცხოვრება და მოღვაწეობა

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, პედაგოგი, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ავთანდილ ლევანის ძე გუნია არცთუ დიდი ხნის წინ ისევ ჩვენს გვერდით იყო და გვავსებდა თავისი განუმეორებელი ადამიანური სითბოთი, დახვეწილი ინტელექტით, გამორჩეული ნიჭიერებითა და ერუდიციით, მდიდარი გამოცდილებით, განუმეორებელი ოპტიმიზმითა და სიცოცხლისადმი დაუოკებელი ლტოლვით. იგი 85 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან და დატოვა კვალი ნათელი, რომლითაც სამართლიანად იამაყებს არა მარტო ქართველ ეკონომისტთა მრავალათასიანი არმია, არამედ მთელი ქართველი ერი. ალბათ ძნელად თუ მოიძებნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ერთნაირი წარმატებით შეძლებენ მოღვაწეობას ქვეყნის სამეურნეო, სახელმწიფო, კულტურულ, მეცნიერულ თუ პედაგოგიურ ასპარეზზე. ბატონი ავთანდილი სწორედ ასეთ გამონაკლის ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა.

აკადემიკოსი ავთანდილ გუნია დაიბადა 1912 წლის 27 სექტემბერს ინტელიგენტის ოჯახში. მამა – ლევან ლევანის ძე გუნია – უაღრესად განათლებული პიროვნება და საუკეთესო მოქალაქე, სპეციალობით ეკონომისტი იყო. მის მაღალკვალიფიციურობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობას ეწეოდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამართველოში, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ სახელოვანი კოლექტივის ისტორიაში. დედა – ალექსანდრა გიორგის ასული ირგმაძე, რომელსაც ასევე შესანიშნავი განათლება ჰქონდა მიღებული, დიასახლისი იყო. მან მთელი თავისი ცხოვრება შვილებზე ზრუნვას დაუთმო. უპირველეს ყოვლისა, სწორედ მშობლებმა იქონიეს უდიდესი გავლენა ბატონი ავთანდილის განათლებულ, ინტელექტუალურ და ზნემაღალ ადამიანად ჩამოყალიბებაში, იმ დიდ ნათესაურ წრესთან ერთად, რომელთაგან მისი ბაბუის – თავისი დროის შესანიშნავი

მოღვაწის, ქ. ფოთის თავის – ლევან გუნიას, ბიძაშვილის – ცნობილი ქართველი მწერლისა და მთარგმნელის – ქეთევან ირემაძის, ბიძის – გამოჩენილი ქართველი მსახიობის, რეჟისორის, დრამატურგის, კრიტიკოსის, თეატრალური მოღვაწის, საქართველოს სახალხო არტისტის ვალერიან გუნიას დასახელებაც კი საკმარისია. ქვეყნის კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ასევე ბატონი ავთანდილის ძმას, ცნობილ კინორეჟისორს – გოგი გუნიას, ბიძაშვილს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს, უმშვენიერეს ქალბატონს – ნონა გუნიას, ბიძაშვილისშვილს, სახალხო მხატვარს და კულტურის ორგანიზატორს – გოგი გუნიას.

1925 წელს ბატონმა ავთანდილმა დაამთავრა საშუალო სკოლის 6 კლასი და სწავლა გააგრძელა სამხედრო სასწავლებელში ქ. ბაქოში, რომელიც 1928 წელს დაამთავრა. 1929 წელს სასწავლებლად შედის ქ. თბილისის ელიავას სახელობის რკინიგზის ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1932 წელს იგი პირველად იწყებს შრომით საქმიანობას თავისი სპეციალობით, კერძოდ, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საძიებო პარტიის ტექნიკოსად, სადაც 1934 წლამდე მუშაობს. ზემოთ აღნიშნულ სასწავლებლებში სწავლამ და პირველმა შრომითმა საქმიანობამ დიდი როლი ითამაშა ბატონი ავთანდილის, როგორც პიროვნების ფორმირებაში, მისი ნებისყოფიანი და მიზანსწრაფული ხასიათის ჩამოყალიბებაში. მნიშვნელოვანი ცოდნითა და ცხოვრებისეული გამოცდილებით აღჭურვილი, გადაწყვეტილებას იღებს, დაეუფლოს უმაღლეს განათლებას ეკონომისტის სპეციალობით და 1934 წელს სასწავლებლად მიდის ქ. მოსკოვში პლეხანოვის სახელობის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტში, რომელსაც წარმატებით ამთავრებს 1939 წელს. იმავე წელს ბატონ ავთანდილს საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობას ანდობენ. იგი ინიშნება ქ. თბილისის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმის დირექტორად. როგორც უნარიან ორგანიზატორს, ენერგიულ და ერუდიორებულ პიროვნებას, სულ ერთ წელიწადში აწინაურებენ საქართველოს

კომპარტიის თბილისის კომიტეტის ინსტრუქტორად. მალე მას აგზავნიან მოსკოვში უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომელსაც 1942 წელს ამთავრებს. უმაღლეს პარტიულ სკოლაში სწავლის დროს მან თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა, ერუდიორებულმა, ენერგიულმა და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებულმა პიროვნებამ, რის გამოც მას აღნიშნული სკოლის დამთავრებისთანავე სამუშაოდ სკპ ცპს აპარატში აგზავნიან, კერძოდ, იგი ინიშნება სკპ ცპს პროპაგანდისა და აგიტაციის სამმართველოს ინსტრუქტორად. მაშინ ბატონი ავთანდილი მხოლოდ 30 წლის იყო. 1945 წლიდან იგი ამავე სამმართველოს სექტორის გამგეა, ხოლო აღნიშნული სექტორის გამსხვილების შემდეგ – სექტორის გამგის მოადგილე. ამ თანამდებობაზე მან 1952 წლამდე დაჰყო.

მოსკოვში მოღვაწეობის პერიოდმა ბატონი ავთანდილის ცხოვრებაში უდიდესი კვალი დატოვა, შესძინა რა მას დიდი ცოდნა, გამოცდილება, პრინციპულობა, მოვლენებისადმი მასშტაბური, სახელმწიფოებრივი ხელვის უნარი, ასევე მეგობართა შესანიშნავი წრე. ამ დროისათვის იგი უკვე ჩამოყალიბებული სახელმწიფო მოღვაწე გახლდათ. მოსკოვში სწავლის დროს მას ურთიერთობა პქონდა იმ დროის გამოჩენილ ადამიანებთან. ბატონ ავთანდილს ლექციებს უკითხავდნენ აკადემიკოსები – ასტროავიტიანოვი, კოზლოვი, ალექსანდროვი, პროფესორი ლაპინი და სხვები. პარტიულ სკოლაში იგი სწავლობდა საქართველოში შემდგომში ცნობილ სახელმწიფო და სამეცნიერებო მოღვაწეებთან – როსტომ წულუკიძესთან, დავით რომელაშვილთან, დიმიტრი ქვლივიძესთან, პეტრე ჩხეიძესთან, მამია ზოდელავასთან და სხვებთან ერთად. მოსკოვში მუშაობის დროს მას ახლო ურთიერთობა პქონდა პრესის, კულტურისა და ხელოვნების ისეთ გამოჩენილ წარმომადგენლებთან, როგორებიც იყვნენ: რეჟისორი გიორგი ალექსანდროვი, მსახიობი ლიუბოვ არლოვა, პოეტი სერგეი ხარლამოვი, დრამატურგი გიორგი მდივანი და სხვები. მას ასევე, რასაკვირველია, ახლო ურთიერთობა პქონდა მრავალ მაღალი თანამდებობის პირთან.

1952 წელს ბატონი ავთანდილი სამუშაოდ თავის მშობლიურ ქალაქს – თბილისს უბრუნდება. იგი მუშაობას იწყებს თბილისის რესპუბლიკურ პარტიულ სკოლაში პოლიტიკური ეკონომიის დექტორად, იმავე წელს იგი პირველად იწყებს მუშაობას საქართველოს მცხიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში მრეწველობის ეკონომიკის განყოფილების გამგედ, თუმცა, იმავე წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა სამმართველოს უფროსად დანიშვნის გამო, იგი ეკონომიკის ინსტიტუტში მუშაობას თავს ანებებს. 1953 წელს ბატონ ავთანდილს ჯერ საქართველოს კპ ცპ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ საქართველოს კულტურის მინისტრად ნიშნავენ. 1954-1958 წწ. ბატონი ავთანდილი სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

საქართველოს კულტურის მინისტრად ბატონმა ავთანდილმა 1957 წლამდე იმუშავა. ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი გააკეთა საქართველოს კულტურის აღმავლობისათვის. ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს იგი ყოველთვის იჩენდა პრინციპულობას, მხარს უჭერდა ნიჭიერი კადრების მოზიდვას და ჭეშმარიტად შემოქმედებითი კოლექტივების წინსვლას. იგი იყო საქართველოს სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის ნამუშევრების პირველი გამოფენის ორგანიზატორი, მისი მტკიცე მხარდაჭერით გადაურჩა აკრძალვას ქართული თეატრის არაერთი სპექტაკლი, ბატონი ავთანდილი იყო ორგანიზატორი ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადისა, რომელიც 1958 წელს ქ. მოსკოვში გრანდიოზული წარმატებით ჩატარდა.

კულტურის მინისტრად მუშაობის წლებში ბატონ ავთანდილს ახლო, საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა პქონდა საქართველოს კულტურისა და ხელოვნების არა ერთ კორიფესთან: მიხეილ ჭიათურელთან, ლადო გუდიაშვილთან, ვერიკო ანჯაფარიძესთან, აკაკი ხორავასთან, სერგო ზაქარიაძესთან, ოთარ თაქთაქიშვილთან, უჩა ჯაფარიძესთან, ს. ქობულაძეს-

თან, მედეა ჯაფარიძესთან, რევაზ თაბუკაშვილთან, ლია ელიავასთან, ოთარ კობერიძესთან, მარინე თბილელთან და სხვებთან. მას ხშირად სტუმრობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია.

1957 წელს უკვე საბოლოოდ, ბატონი ავთანდილი ისევ იწყებს მუშაობას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში პოლიტეკონომიის განყოფილების გამგედ, 1960 წლიდან იგი ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო მუშაობის დარგში, ხოლო 1976 წლიდან კი დირექტორი. დირექტორად მუშაობის წლებში ბატონმა ავთანდილმა უკელაფერი გააკეთა იმისათვის, რათა ამაღლებულიყო ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალი და შენარჩუნებულიყო ის ტრადიციები, რასაც საფუძველი ინსტიტუტის დამაარსებელმა – აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა ჩაუყარა.

ბატონმა ავთანდილმა სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა ჯერ კიდევ მოსკოვში მოღვაწეობის წლებში დაიწყო. იგი 1944-1950 წწ. სკპ ცკ-თან არსებული უმაღლესი სკოლის პოლიტეკონომიის უფროსი მასწავლებელია შეთავსებით. 1950 კი იცავს საკანდიდატო დისერტაციას, ხოლო 1962 წელს სადოქტორო დისერტაციას ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში. 1966 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1967 წლიდან შეთავსებით მუშაობს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის კათედრის გამგედ, ხოლო შემდეგ პროფესორად. 1967 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1979 წელს ნამდვილ წევრად.

ბატონმა ავთანდილმა თავისი ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობის განმავლობაში შექმნა ეკონომიკური კვლევის ახალი მიმართულება ეკონომიკური განვითარების ტემპებისა და პროპორციების პრობლემის დამუშავების სახით. თუმცა აკადემიკოს ავთანდილ გუნიას კვლევის თვალსაწიერი უფრო ფართოა. იგი იკვლევს გონიეროვ და ფიზიკურ შრომას შორის განსხვავების, სამუშაო ძალის აღწარმოების, მეცნიერულ-

ტექნიკური პროგრესის ეკონომიკის, წარმოების კონცენტრაციისა და საწარმოს ოპტიმალური ზომის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტური ზომის ამაღლების, საქართველოს ინდუსტრიული განვითარების, ეკონომიკური რაიონების ეკონომიკური გამოთანაბრების, დაგეგმვისა და მართვის, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეცნიერული საფუძვლების, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, აგროსამრეწველო კომპლექსის, საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის, საბაზრო მექანიზმის ფორმირების პრობლემებს და სხვ.

არაერთი მეცნიერი გამოეხმაურა აკადემიკოს ა. გუნიას შრომებს. მათგან აღსანიშნავია აკად. ი. მიქელაძე, საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ლ. ჩიქავა, პროფესორები: ვ. დათუებიშვილი, არჩ. თეთრაული, გ. ხასია, ა. ბრეგვაძე, ა. ხარგარიანი (ბაქო), ს. კირკე (მოლდავეთი), მ. ტიხიმროვი (მოსკოვი) და სხვ.

აკადემიკოს ა. გუნიას შრომები ქვეყნდებოდა როგორც რესპუბლიკურ გამომცემლობებში, ასევე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, მოსკოვში, ბაქოში და სხვ.

აკადემიკოსი ა. გუნია თავის ძირითად სამუშაოს სხვა მნიშვნელოვან საქმიანობასაც უთავსებდა. იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში იყო საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს მდივნის მოადგილე, სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და სხვადასხვა სადისერტაციო საბჭოების წევრი, ჟურნალ საქართ. მეცნ. აკადემიის „მაცნეს“ ეკონომიკისა და სამართლის სერიის მთავარი რედაქტორი, ჟურნალ „ეკონომისტის“ კოლეგიის წევრი, საქ. მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ ეკონომიკურ პრობლემათა სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე. იგი მოხსენებებითა და სიტყვებით გამოდიოდა სხვადასხვა წარმომადგენლობითი აუდიტორიის წინაშე ყრილობებზე, პლენუმებზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებებსა და პრეზიდენტის სხდომებზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის 12

უმისა და ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გამსვლელ სხდომებზე, გამოდიოდა ტელევიზიით, რადიოთ. იგი ხელმძღვანელობდა და მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საერთაშორისო თუ საკავშირო სიმპოზიუმებში, თათბირებსა თუ სკოლა სემინარებში, რომლებიც იმართებოდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. არაერთხელ იყო მიწვეული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელმძღვანელ აქტივთან სხვადასხვა საკითხებზე ლექციების წასაკითხად. მისი რედაქტორობით დაიბეჭდა არაერთი სამეცნიერო წიგნი. ადსანიშნავია ბატონ ავთანდილ გუნიას პუბლიკაციები რესპუბლიკურ და საკავშირო პრესაში საერთოდ კულტურის, და ქრძოდ, საქართველოში კულტურის განვითარების საკანკორობლებზე.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს აკადემიკოს ა. გუნიას დვაწლი მეცნიერთა მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორად ყოფნის დროს იგი ყველა პირობას ქმნიდა როგორც ასპირანტების, ისე თანამშრომლებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად. ამ პერიოდში მრავალმა ახალგაზრდამ დაიცვა დისერტაცია.

აკადემიკოს ა. გუნიას საქმიანობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა ქართველი ხალხისა და მთავრობის მიერ. იგი დაჯილდოებული იქნა მედლებით: „მამაცური შრომისათვის 1941-1945წ“. დიდ სამატულო ომში“ (1945), „მოსკოვის დაცვისათვის“ (1946), მოსკოვის დაარსების 800 წლისთავთან დაკავშირებით (1947), „მამაცური შრომისათვის“ (1970). იგი დაჯილდოებული იყო აგრეთვე „ხალხთა მეგობრობის ორდენით“ (1982) და „საქართველოს დირექტორის ორდენით“ (1997), 1980 წელს მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1991 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე აკადემიკოსი ა. გუნია საქ. მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის მრჩეველია. ამ თანამდებობაზე მუშაობის დროს იგი უშურველად არიგებ-

და იმ ცოდნასა და გამოცდილებას, რომელიც მან თავისი დიდი მოღვაწეობის პერიოდში შეიძინა. ამასთან, იგი აგრძელებდა აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას. თავისი მეცნიერული გამოკვლევებით ბატონი ავთანდილი გამოეხმაურა იმ გარდაქმნებს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში 1992 წლიდან ხორციელდება.

ბატონი ავთანდილი მადლიერი და ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან და სამედიცინური სასუფეველში დაიდო ბინა, მაგრამ იგი იქ მარტო არ არის. მასთან ერთად განისვენებენ მისი თანამშრომლები, ქართული ეკონომიკური და იურიდიული მეცნიერების ბრწყინვალე წარმომადგენლები. მასთან ერთად განისვენებს მისი საყვარელო მეუღლე, შესანიშნავი ქალბატონი – ბელა გუნია, რომელთანაც თავისი ცხოვრების 50 ბედნიერი წელი გაატარა. ისინი ხომ მართლაც სამაგალითო მეუღლენი იყვნენ.

ბატონმა ავთანდილმა შესანიშნავი შთამომავლობა დატოვა: ვაჟი, ვალერიან გუნია – ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ქალიშვილი, ნათელა გუნია – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ასევე ორი შვილი შვილი და ერთი შვილთაშვილი, რომელიც ჯერ მხოლოდ ორი წლისაა.

ბატონი ავთანდილის დიდ დამსახურებასა და კაცურ კაცობაზე მეტყველებს ის, რომ დღეს მისი დაბადებიდან მე-100 წლისთავს ქართული საზოგადოება დირსეულად და მადლიერების გრძნობით აღნიშნავს.

აკადემიკოს ავთანდილ გუნიას ხსოვნა თაობიდან თაობას გადაეცემა.

რამაზ აბესაძე

თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**ეკონომიკური ბაციტარება და სოფლის პროგნოზი
თანამედროვე ეტაპე**

სასოფლო ადგილი (countryside, сельская местность), ანუ, მოკლედ, სოფელი წარმოადგენს დასახლებულ ტერიტორიას ქალაქების გარეშე. ეკონომიკის თვალსაზრისით იგი მოიცავს ბუნებრივ და ანთროპოგენურ ლანდშაფტებს და აქ, სასოფლო წარმოების გარდა, შეიძლება ფუნქციონირებდეს: სატყეო მეურნეობა; მონადირეობა; მეოცხეობა; სასოფლო პროდუქციის გადამამუშავებელი წარმოება; მომპოვებელი და გადამამუშავებელი (არასასოფლო-სამეურნეო პროდუქციის) მრეწველობა (როგორც წესი, შედარებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებით); სოფლის ინფრასტრუქტურა; კულტურული (კინოთეატრები, კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები), რეკრეაციული (ტურიზმი და ექსკურსია, დასასვენებელი სახლები, პლაჟები, პარკები და სხვ.), სავაჭრო, საგანმანათლებლო, სამედიცინო და მომსახურების სხვა დარგები. ასევე შეიძლება ხორციელდებოდეს ბუნებისდაცვითი და საკომუნიკაციო საქმიანობა და სხვ. მაშასადამე, როგორც ვხედავთ, საქმე გვაქვს სოფლის ეკონომიკასთან და არა მხოლოდ სოფლის მეურნეობასთან, რომელთანაც ძალიან ხშირად ასოცირდება იგი. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს თუ რაოდენ დიდ როლს თამაშობს სოფელი ქვეყნის სიძლიერის, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ამაღლების საქმეში. ამიტომაა, რომ ეკონომიკური განვითარება, ანუ ეკონომიკის გადასვლა თვისებრივად ახალ მდგომარეობაში, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სოფლის განვითარებაზე. ჩამორჩენილი სოფლის არსებობა ნიშნავს, რომ მთელი ეკონომიკა არ არის სათანადოდ განვითარებული, რომ დაბალია კაპიტალის ხარისხი (როგორც ფიზიკური, ისე ადამიანისეული), ტექნოლოგიებისა და ტექნოლოგიური ცოდნის დონე, არასრულყოფილია საკუთრების ფორმები და ინსტიტუციები, არარაციო-

ნალურად გამოიყენება რესურსები (ბუნებრივი, შრომითი, ინტელექტუალური და სხვ), არაპროგრესულია ეკონომიკის სტრუქტურა, არაეფექტურიანია ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება და ა.შ., მაშასადამე, დაბალია ეკონომიკური განვითარების დონე.

მაგრამ ისმის კითხვა, ეკონომიკის რომელი დარგი უნდა განვითარდეს წინმსწრები ტექნებით? აგრარული (სოფლის მეურნეობა, მეტყველეობა, მონადირეობა, მეთევზეობა) თუ მრეწველობა?

ისტორია გვიჩვენებს, რომ ათასწლეულების განმავლობაში სწორედ სოფელი წარმოადგენდა ადამიანთა დასახლებისა და ეკონომიკური საქმიანობის აღგილს. ამასთან, იმავე ათასწლეულების განმავლობაში მწარმოებლურობა, მანამ, სანამ მრეწველობის ჩასახვა და განვითარება არ მოხდა, სოფლად თითქმის მუდმივი და დაბალი იყო, გამოიყენებოდა შრომის უმარტივესი იარაღები (თოხი, ბარი, ნაჯახი, ცელი) და მეურნეობას ძირითადად ნატურალური ხასიათი ჰქონდა, ეკონომიკური ურთიერთობებიც არქაული ხასიათის რჩებოდა. სწორედ მრეწველობის განვითარებამ შეუწყო ხელი ეკონომიკის სხვა დარგების (მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მომსახურება და სხვ.), მათ შორის, აგრარული დარგების, კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებას. დღესაც სწორედ მრეწველობაა ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების ძირითადი საფუძველი, ხოლო ეკონომიკის ყველა დარგი ურთად აღებული, სოფლის განვითარების (იგულისხმება სოფლის ეკონომიკა და აქ მცხოვრებთა კეთილდღეობის ამაღლება) საფუძველი. ამდენად, თუ ქვეყანას მრეწველობა არ აქვს განვითარებული, იგი ეკონომიკის სხვა დარგებს, მათ შორის, სოფლის ეკონომიკასაც ვერ განვითარებს. მართლია, გლობალიზაციის პირობებში ეს მოთხოვნა იმდენად მკაცრად არ დგას, მაგრამ ქვეყნის უსაფრთხოებისათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მქონე დარგი რომ მთლიანად უცხოეთზე იყოს დამოკიდებული, მიუღებელია.

ასევე მნიშვნელოვანია საკითხის გარკვევა იმის შესახებ, საჭიროა თუ არა სახელმწიფოს მხრიდან სასოფლო დარგების განვითარებისა და სოფელ აღგილებში ცხოვრების დონის ამაღლებისადმი მხარდაჭერა თუ ეს, თავისთავად, თავისუფალი საბაზრო ძალების მოქმედებით მიიღწევა?

მსოფლიოში დღეისათვის არსებობს სოფლის მეურნეობის ორი ტიპი. პირველი, განვითარებული ქვეყნების აგრარული სექტორი, მაღალინტენსიური საქონლური სოფლის მეურნეობა, რომელიც იყენებს არა მხოლოდ მექანიზაციისა და ქიმიზაციის, არამედ ავტომატიზაციის მთელ არსენალს – სელექციის, გენეტიკის, ბიოტექნოლოგიის უახლეს მიღწევებს, რაც განაპირობებს შრომის მაღალმწარმოებლურობას, რომელიც უტოლდება მრეწველობაში არსებულ შრომის ნაყოფიერებას. აქ ფერმერთა მცირე რაოდენობა არჩენს მთელ ქვეყანას. ფერმათა ფუნქციონირების პრინციპები თითქმის შეესაბამება ფირმათა ფუნქციონირების პრინციპებს. მეორე, განვითარებადი ქვეყნების დაბალგანვითარებული აგრარული სექტორი, სადაც ჭარბობს ტრადიციული (ნატურალური) მომხმარებლური სოფლის მეურნეობა, დიდრიცხოვანი ფერმებით, სადაც ადგილი აქვს დაბალმექანიზებულ წარმოებას, რომელიც უმყარება ისევ პრიმიტიული იარაღების გამოყენებას, რომელიც განაპირობებს შრომის დაბალნაყოფიერებას. განვითარებულ ქვეყნებში სოფლად არსებობს მაღალხარისხს ხოვანი ინფრასტრუქტურა, რაც განაპირობებს ზღვრის წაშლას ქალაქება და სოფელს შორის. განვითარებად ქვეყნებში კი მდგომარეობა სრულიად პირიქითაა. მოსახლეობის დიდი რაოდენობა ცხოვრობს ანგისანიტარის, წყლის, ბუნებრივი აირის, გზის და ა.შ. უქონლობის პირობებში. ჯერჯერობით დაბალია სოფლის განვითარების დონე ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანაშიც, მათ შორის საქართველოშიც.

პოლიტიკოსთა და მეცნიერთა (მათ შორის, ქართველ მეცნიერთა)¹ უმრავლესობა მხარს უჭერს სახელმწიფოს მხრი-დან სოფლის განვითარებისადმი დახმარების აუცილებლობას.

აგრარული წარმოებისა და ცხოვრების დაბალი დონის მქონე პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის სოფლისადმი დახ-მარების აუცილებლობას განაპირობებს:

1. სოფლის მეურნეობის განვითარებას ხანგრძლივი წინა პერიოდის განმავლობაში სახელმწიფოს მხრიდან ნაკლები ყურადღება ექცეოდა (მრეწველობისა და სხვა დარგების საპირისპირო). კოლექტივიზაციამ ვერ შექმნა პირობები აგრარული სექტორის განვითარებისათვის. კოლექტივი, მიუხედავად იმისა, რომ აღიარებული იყო კოლექტიურ საკუთრებად, ფაქტობრივად მაინც სახელმწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და იმავე მეთოდებით იმართებოდა, როგორც ჩვეულებრივი საბჭოთა საწარმო. ამიტომ, შრომის ნაყოფიე-რება პირად საკუთრებაში მყოფ საკარმიდამო ნაკვეთებზე გაცილებით დიდი იყო, ვიდრე კოლმეურნეობებში, არა მექანიზაციისა და აგროტექნიკის უფრო მაღალი დონის გამო (პირიქით, მექანიზაციისა და აგროტექნიკის უფრო მაღალი

¹ მაგალითად: კოდუაშვილი პ., ბენია შ. აგრარული ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ასპექტები საქართველოში. „ეკონომიკა”, 2002, № 5; სასურსათო უსაფრთხოების პოტენციალის მართვა. „აგრა-რული ეკონომიკის მოამბე”, 2010, ტ.IV; რევიშვილი ვ. Вопросы определения модели аграрной политики и стратегии Грузии, Хадури Н. Роль сельского хозяйства Грузии в достижении макроэкономической стабильности, Когуашвили П. Еще раз о сельскохозяйственной политике Грузии (материалы семинара) Тб., 2011 (<http://georgiamonitor.org/upload/medialibrary/faf/faf06c586d675aac8e1bba05a70025dc.pdf>); ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმები და მეცხვარეობის განვითარების პერსპექტივები აღმოსავლეთ საქართველოს ალპურ მეცხოველეობაში. „ეკონომისტი”, 2011, №4; კოდუაშვილი პ., კუნძულია თ. გლეხს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია სჭირდება და არა პიარპოლიტიკა. „რეზონანსი”, 23. 05. 2012 და სხვ. (http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=11&id_artc=10587);

დონე იყო კოლმეურნეობებში), არამედ უფრო ძლიერი სტიმულების არსებობის გამო. რასაკვირველია, გლეხებს პირად საკარმიდამო ნაკვეთებზე მექანიზაციის დონის ამაღლება, დაბალი შემოსავლების გამო, არ შეეძლოთ (კოლმეურნეობაში კი მათი შემოსავალი უმნიშვნელო იყო).

ამდენად, მექანიზაციის დონე ძლიერ დაბალი რჩებოდა, ხოლო ეკონომიკური სტიმული კოლმეურნეობებში ნულის ტოლი იყო და აქ თითქმის იძულებითი შრომა გამოიყენებოდა. შედარებით კარგი მდგომარეობა იყო საბჭოთა მეორნეობებში (მექანიზაციისა და ანაზღაურების უფრო მაღალი დონე), თუმცა უახლესი ტექნოლოგიების გამოყენება, მაღალი სტიმულების ამოქმედება, საერთო საკუთრების არსებობის გამო, აქაც ვერ ხერხდებოდა. საბჭოთა წყობილების პირობებში ასევე ძლიერ განუვითარებელი იყო სოფლის ინფრასტრუქტურა (თუმცა სახელმწიფო ამ მიმართულებით არაერთ დონისძიებას ახორციელებდა). ქალაქება და სოფელს შორის უფსკრული თანდათან დრმავდებოდა და სოფლად მოსახლეობის შენარჩუნება მკაცრი საპასპორტო რეჟიმის არსებობით ხერხდებოდა. თუმცა, მოსახლეობის დენადობას ადგილი მაინც ჰქონდა. ამ მხრივ უფრო კარგი მდგომარეობა იყო პოლონეთსა და იუგოსლავიაში (მიწები აქ თითქმის კერძო საკუთრებაში იყო), მაგრამ სახელმწიფოს არაეკონომიკური წარევის გამო, სოფლის მეურნეობის განვითარების დონე აქაც დაბალი რჩებოდა. მაშასადამე, პოსტკომუნისტურ ქვეყნებს სოფლად მძიმე მექანიზაციება ერგოთ.

2. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ერთი ხელის მოსმით განადგურების შედეგად, მოისპო ის პოტენციალიც, რომელიც არსებობდა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში მათი თანდათან გარდაქმნა ფერმებად შესაძლებელი იყო.

3. მიწების პრივატიზაციამ, დადებით შედეგებთან ერთად, მათი დაქუცმაცება გამოიწვია. მცირე მიწაზე, უახლესი ტექნოლოგიების გამოყენების შემთხვევაშიც კი, სასაქონლო

სასოფლო პროდუქციის წარმოება შეუძლებელია და ოჯახის შემოსავალი ქალაქში ანალოგიური ოჯახის შემოსავლების ტოლი ვერ იქნება.

4. საბოლოოდ, დღეისათვის მივიღეთ ნახევრად ნატურალური (საქართველოში ფერმათა 90% ნატურალურია), დაბალმექანიზებული (ძირითადი იარაღი კვლავ თოხი, ბარი და ნაჯახია) და ამიტომ დაბალნაყოფიერებისა და განუვითარებელი ინფრასტრუქტურის მქონე სოფელი. ამდენად, მართალია, მიწების პრივატიზაციის შედეგად სტიმულები კი გაიზარდა, მაგრამ საწყისი უაღრესად მმიმე პირობების გამო სოფლად მცხოვრებს არ შეუძლია ყველა სიძნელის გადალახვა და განვითარებული სასოფლო წარმოების ჩამოყალიბება. ამიტომ, სასოფლო ოჯახის წევრთა ნაწილი იძულებულია, წავიდეს საზღვარგარეთ ან ქალაქში და ძირითადად არა მუდმივი სამუშაოთი არჩინოს ოჯახი.

5. საზღვარგარეთიდან შემოიტანება იაფი (ხშირ შემთხვევაში უხარისხო) სასოფლო პროდუქცია, რაც ანადგურებს აღგილობრივ ბაზრებს.

6. სოფლის მეურნეობის სფერო კაპიტალის მოზიდვისადმი, მისი გარემო პირობებზე ძლიერი დამოკიდებულების გამო (წყალდიდობა, სეტყვა, გვალვა და ა. შ.), სარისკო. ამიტომაა, რომ ბანკები ძირითადად მშენებლობასა და ვაჭრობის სფეროს აფინანსებენ. ასევე, სოფლად სადაზღვევო სისტემის განუვითარებლობის გამო, ნაკლებადად დაინტერესებული კერძო ბიზნესი.

7. დამატებით დანახარჯებს საჭიროებს ნიადაგის შენარჩუნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზნით გამოყენებისათვის, რაც კიდევ უფრო ართულებს ფერმერის (გლეხის) მდგომარეობას.

8. მსოფლიოში სავარგულების შემცირებისა და მარცვლეულის ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენება არა მარტო აძვირებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, არამედ გლობალური სასურსათო კრიზისის საფრთხის წინაშე აყენებს

კაცობრიობას. ასეთ პირობებში ეროვნული სასოფლო წარმოების განვითარება ქვეყნის უსაფრთხოებისათვის აუცილებელია.

ნათელია, რომ განვითარებად ქვეყნებში სოფლისადმი დახმარების გარეშე სასოფლო წარმოების არათუ განვითარებას, არამედ კიდევ უფრო დაჭვებულებას ექნება ადგილი, ვინაიდან გლობალიზაციის, მკაცრი კონკურენციის პირობებში (როდესაც ერთ მხარეზეა მაღალმექანიზებული და ავტომატიზებული ფერმები, ხოლო მეორეზე – წაქცეული სოფელი) სულ უფრო მეტი ფერმერი დატოვებს სოფელს და ეს, შესაძლებელია, სოფლის კატასტროფით დასრულდეს. ამდენად, სახელმწიფო მხარდაჭერა სოფლისადმი აუცილებელია. საკვების მოპოვება და ყველა სხვა სიკეთის მიღება, რომელიც სოფელს გააჩნია, მთელმა საზოგადოებამ ერთად უნდა უზრუნველყოს სახელმწიფოს მეშვეობით.

ასეთი პოლიტიკა ხორციელდება მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, არა მხოლოდ განვითარებად, არამედ განვითარებულ ქვეყნებშიაც – ევროკავშირში², იაპონიაში³, აშშ-ში⁴ და ა.შ. თვით პოლონეთში (რომლის წარმომადგენელი ცნობილი მეცნიერი და ამ ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწე ლეშეკ ბალცეროვიჩი თვლის, რომ სოფელი არ საჭიროებს სპეციფიკურ მიდგომას, რომ აქ არ იწარმოება განსაკუთრებული პროდუქცია და, რომ ამ სფეროშიც წარმატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალი საბაზრო, ლიბერალური მეთოდებით)⁵ წარმატებით

² გრიშიკაშვილი ა. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია. თბ., 2005, გვ. 323.

³ Алиев В. Сельское хозяйство в Японии.

http://btime.az/page.html?id_node=358&id_file=1333&lang=

⁴ Мальцева В.А. Государственная аграрная политика США на современном этапе. <http://gglobal.aef.kz/economy/public/detail.php?id=21395>

⁵ ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება. თბ., 2004, გვ. 330.

ხორციელდება სოფლისადმი მხარდაწჭერის პოლიტიკა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასოფლო პროდუქცია განსაკუთრებულია იმიტომ, რომ ქვეყანაში შეიძლება გაუძლოს ნებისმიერ სიძნელეს, მაგრამ არა შიმშილს და რომ დღევანდელ პირობებში სოფლი საჭიროებს სპეციფიკურ მიღომას, ვინაიდან იგი აღმოჩნდა კომპლექსური სიძნელეების წინაშე, რომელთა გადაწყვეტა თავად არ შეუძლია და საჭიროა მისი გამოყვანა ამ მდგომარეობიდან. გასაგებია, ლ. ბალცეროვიჩი ფრთხილობს, რომ სოფლის მეურნეობისადმი სახელმწიფოს დახმარება არ გადაიზარდოს ინტერვენციონალიზმში, რომელიც არის ბევრი უარყოფითი მოვლენის წყარო (როგორც მსოფლიოს ქვეყნების გამოცდილება გვარწმუნებს სინერგიული ეფექტი მიიღწევა მაშინ, როდესაც ეკონომიკაში დომინირებს კერძო საკუთრება, ადგილი აქვს სამეურნეო თავისუფლებას, კონკურენციას, ჯანსაღ ფინანსებს, ბიუჯეტის დაბალნახებულობას, გადასახადების ოპტიმალურ სიდიდეს და ა.შ. ამ პროცესების ნორმალიზაციაში უდიდესი როლი მკუთხნის სახელმწიფოს. სწორედ მისმა სწორმა პოლიტიკამ უნდა უზრუნველყოს ზემოთ ხსენებული პირობების დამყარება ეკონომიკაში, მოახდინოს პატერნალიზმის, ეტატიზმის, ნეპოტიზმის, კორუფციისა და ნებისმიერი სხვა უარყოფითი გამოვლინების აღმოფხვრა). მაგრამ, ჩვენ საუბარი გვაქვს იმაზე, რომ სახელმწიფომ უნდა შეასრულოს ის მოვალეობები, რომელიც მას საერთოდ აკისრია არა მხოლოდ სხვა დარგებისა და ქალაქისადმი, არამედ სოფლის ეკონომიკისა და სოფლისადმი, რასაც, მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში, დღემდე სრულყოფილად არ ასრულებდა და რამაც სოფელი თითქმის კატასტროფამდე მიიყვანა. დღეისათვის კი მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა ზოგიერთი დამატებითი ფუნქციის შესრულებაც. მართალია, კონკურენციის არსებობა საბაზრო მექანიზმის ერთ-ერთი უძირითადესი ელემენტია, მაგრამ, ხშირად დგება მოქენტი (საბაზრო ჩავარდნების გამო), როდესაც ურთიერთდახმარებას არანაკლები მნიშვნელობა

აქვს, განსაკუთრებით დახმარებას სახელმწიფოს მხრიდან. რასაკვირველია, აქ საუბარია არა იმის შესახებ, რომ სახელმწიფო ეხმარებოდეს ნებისმიერ საწარმოს ნებისმიერ შემთხვევაში, არამედ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელია მთელი ეკონომიკის განვითარებისა და ქვეყნის უსაფრთხოებისათვის, როდესაც ადგილი აქვს მთელი ეკონომიკისათვის ნებატიური მოვლენების წარმოშობის საფრთხეს. ამას მოწმობს სწორედ სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობა საქართველოში. ამიტომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც შესაძლებელს გახდის, ჩამოყალიბდეს სოფლის მეურნეობა მაღალეფებზე საქონლური ფერმებით, განვითარდეს სხვა სასოფლო დარგები და სოფლად ცხოვრების პირობები მაქსიმალურად დაუახლოვდეს ქალაქისას. ამისათვის სოფლისადმი მხარდაჭერი ღონისძიებების გატარებით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს: ისეთი ინსტიტუციური ცვლილებები, რომელიც წაახალისებს მიწის ნაკვეთების ზრდას (მიწების გაყიდვის ან იჯარის სტიმულირების გზით); სოფლად ინფრასტრუქტურის (სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები და სავარგულებთან მისასვლელი გზები, საირიგაციო-სადრენაჟო და მდინარეთა ნაპირ-სამაგრი სისტემა, წყლით, ბუნებრივი აირით, ელექტროენერგიით სტაბილური მომარაგება) გაუმჯობესება; მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონის თანდათან ამაღლება; სასუქებით, პესტიციდებითა და ქიმიკატებით მომარაგება; სათესლე და სანერგე მეურნეობების, ჯიშთა გამოცდისა და განახლების სისტემების აღდგენა და განახლება; ჯანდაცვის, განათლების, კულტურის დონის ამაღლება; ახალი ტექნოლოგიების (მექანიზაცია, ავტომატიზაცია და ბიოლოგია) დანერგვა იაფასიანი კრედიტების, საზღვარგარეთიდან დახმარებების მიღებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, უშუალო სუბსიდიორების გზით; პროდუქციის რეალიზაციის მხარდაჭერა ტექნიკური, ზომიერი პროტექციონისტული პოლიტიკისა და

ანტიდემპინგური ღონისძიებების გატარების მეშვეობით, ექსპორტის წახალისებით, სადაზღვევო სისტემის შექმნით; სოფელ ადგილებში, მათი სპეციფიკიდან გამომდინარე, ეკონომიკის სხვა დარგების საწარმოთა (სოფლის პროდუქტების გადამამუშავებელი, საკონსერვო და ტურისტული საწარმოები, სასაწყობო მეურნეობები, მეფრინგელეობის ფაბრიკები, ფერმები, ყველის მინიქარხნები, ღვინის ქარხნები, სახერხები, მაღაზიები, ავტოსერვისი, მშენებლობა, საშენ მასალათა, ფქვილისა და პურ-ფუნთუშეულის, ძეხვის წარმოება და ა.შ.) შექმნა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახელმწიფო რეზერვების შექმნა; ხარისხიანი სათესლე-სანერგე მასალების შეძენა; ექსტენციის სისტემების შექმნა; სოფლის მომსახურე ბაზის (ტრაქტორების და სხვა სასოფლო დანიშნულების მანქანების, მოწყობილობების, დანადგარებისა და ა. შ.) ფორმირება და განვითარება; ფასის მნიშვნელოვნად შემცირება შხამ-ქიმიკატებზე, პესტიციდებსა და საწვავზე; შედავათიანი სესხის პროგრამების შემუშავება და განხორციელება; ვეტერინარული და აგრონომიული სამსახურების შექმნა; სურსათის ხარისხის კონტროლის შემოღება; წარმოების კოოპერაციული ფორმების განვითარება, მეთევზეობის, მონადირეობისა და სატექნიკო მეურნეობის განვითარება სხვ.

სოფლის სტრუქტურაში ჩადებულ ყოველ ლარს აქვს გრძელვადიანი ეფექტი და იგი ათმაგად ანაზღაურდება აგროწარმოების განვითარების შედეგად.

ეს ღონისძიებები არათუ უნდა ასუსტებდეს ფერმერის სტიმულებს, არამედ უნდა აძლიერებდეს მას. ბუნებრივია, მთავარი აქცენტი გადატანილი უნდა იყოს იმაზე, რომ ფერმერი ზრდიდეს წარმოებას, ნერგავდეს ახალ ტექნოლოგიებს, რათა რაც შეიძლება სწრაფად გარდაიქმნა თანამედროვე სასაქონლო ფერმად. რასაკვირველია, საზღვარგარეთ ასეთი მდგომარეობის მიღწევას ათწლეულები დასჭირდა, მაგრამ ჩვენ გვაქვს უპირატესობა, რომ პირდაპირ, მზამზარეულად გამოვიყენოთ ის მიღწევები, რაც განვითა-

რებულ ქვეყნებში უკვე არსებობს. საქართველოსათვის ეს კიდრვ უფრო იოლია, ვინაიდან ის პატარა ქვეყანაა და დასავლეთი მას დიდ დახმარებებს უწევს. საჭიროა, აგრეთვე, ადგილობრივი ბიზნესის დაინტერესება. ეროვნულ კომპანიებს შეუძლიათ შეიძინონ ფერმები და დაბანდონ ინგესტიციები.

ზემოთ ჩამოთვლილი დონისძიებების განსახორციელებლად სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს ამის შესაძლებლობა. ამიტომაა, რომ სოფლის მეურნეობის წარმოების დონე იმ ქვეყნებშია მაღალი, სადაც საერთო ეკონომიკური განვითარების მაღალი დონეა. საქართველოში რეფორმების სწყის ეტაპზე ეკონომიკის სხვა დარგებში უფრო ჰქონდა ადგილი დაქვეითებას, ვიდრე სოფლის მეურნეობაში. დიდი ხნის განმავლობაში ჩვენთან რეფორმების განხორციელებაში დაშვებული უხეში შეცდომების გამო, ეკონომიკური განვითარების დონე ძალზე დაბალი რჩებოდა. სახელმწიფო ბიუჯეტი იმდენად მცირე იყო, რომ სოფლისადმი სერიოზული დახმარება შეუძლებელიც კი იყო. თუმცა, დღეისათვის შესაძლებელია, ეკონომიკის შემდგომ განვითარებასთან ერთად, გაძლიერდეს სოფლისადმი დახმარება (და არა კმაყოფაზე აყვანა) და თანდათან გამოსწორდეს მდგრმარეობა. ამის დამაიმედებელი პროგნოზის გაკეთების იმედს იძლევა ახალი პოლიტიკური სიტუაცია.

კიდევ ერთხელ უნდა ადვინიშნოთ, რომ სახელმწიფოს დახმარება სოფლისადმი შედეგს მოიტანს მაშინ, როდესაც გატარდება იქნება სწორი პოლიტიკა მთელ ეკონომიკაში. რომ სოფლის მეურნეობის განვითარება დიდადაა დამოკიდებული საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის (განსაკუთრებით მრეწველობის) განვითარებაზე. ის წარმატებები, რომლებიც არის განვითარებულ ქვეყნებში, სწორედ საერთო ეკონომიკურმა განვითარებამ განაპირობა. მაგალითად, თუ ეკონომიკა მზად არ იქნება მიიღოს სოფლიდან გამოთავისუფლებული მუშახელი (არადა ამის აუცილებლობა სწორი პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში აუცილებლად დადგება.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 1932 წლიდან 1992 წლამდე ფერმერთა რიცხოვნობა ამ ქვეყნის მოსახლეობის 25 პროცენტიდან 2 პროცენტამდე შემცირდა)⁶, მაშინ, როგორც მთელი ეკონომიკისათვის, ისე სოფლის მეურნეობისათვის პროცესები ცუდად წარიმართება.

მაშასადამე, სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები მთელი ეკონომიკის განვითარების პრობლემებთან მჭიდრო კავშირში უნდა იქნეს განხილული.

სოფლის პრობლემები მჭიდროდ უკავშირდება ურბანიზაციისა და სოფლიდან ქალაქად მოსახლეობის მიგრაციის პროცესსაც. უნდა ითქვას, რომ გარკვეულ ეტაპამდე ამ პროცესებმა დადებითი როლი ითამაშა როგორც საერთოდ ეკონომიკის (მასშტაბის ეფექტი, სამუშაო ადგილების მუშახლით უზრუნველყოფა და ა.შ.), ისე სასოფლო წარმოების განვითარების საქმეში. მაგრამ, საბოლოოდ, ქალაქის მოსახლეობის ბუნებრივ ზრდასთან ერთად სოფლიდან ქალაქში მოსახლეობის მიგრაციის გამო აქ წარმოიშობა ჭარბმოსახლეობა, რაც იწვევს უმუშევართა რაოდენობის ზრდას და რაც ამწვავებს სოციალურ, პოლიტიკურ და კრიმინოგენურ სიტუაციას, ვინაიდან ჭარბმოსახლეობის გამო უარესდება ქალაქის მოსახლეობის საბინაო პირობები და შესაბამისი ინფრასტრუქტურით (გზები, სანიტარული პირობები, წყალი და ა.შ.) უზრუნველყოფის სარისები. მოქალაქეთა დიდი ნაწილი ცხოვრობს ეგრეთ წოდებულ ჯურდმულებში (slums)⁷, ხოლო

⁶ ბალცეროვიჩი ლ. თავისუფლება და განვითარება. თბ., 2004, გვ. 339.

⁷ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმარტების თანახმად, ადამიანი ცხოვრობს ჯურდმულებში, თუ ის ვერ აკმაყოფილებს ქრონიკულ შემდეგი მოთხოვნებიდან: სუფთა, გამოყენებისათვის ვარგისი წყალი საჭირო რაოდენობა; გამართული კანალიზაცია; საკმარისი საცხოვრებელი ბინა (ერთ თოახზე არაუმჯეტეს სამი კაცისა); შენობა უნდა წარმოადგენდეს მუდმივ საცხოვრებელს; მობინადრეს უნდა ჰქონდეს თავისი ბინის მართვის უფლება.

ზოგი, საერთოდ, უსახლკაროა. სამრეწველო საწარმოთა მსხვილ ქალაქებში თავმოყრის გამო უარესდება ეკოლოგიური სიტუაცია და სხვ. 21-ე საუკუნის დასაწყისისათვის მსოფლიოში ჯურდმულებში ცხოვრობდა 924 მლნ მოქალაქე, ანუ ქალაქის მოსახლეობის 43%, ხოლო დაბალი განვითარების მქონე ქაფენებში 78%. 2005 წელს მსოფლიოში ითვლებოდა 100 მლნ უსახლკარო ადამიანი.

საბჭოთა კავშირის დროს საპასპორტო რეჟიმი უზრუნველყოფდა მიგრაციის ძლიერ დაბალ დონეს სოფლიდან ქალაქად. საპასპორტო რეჟიმის გაუქმების შემდეგ, ქალაქსა და სოფელს შორის ცხოვრების დონის განსხვავების კიდევ უფრო გაღრმავების შედეგად, მიგრაციის პროცესი გაძლიერდა, ამასთან, მიგრანტების ძირითადი მასა იმყოფება დედაქალაქში.

ეს ლოგიკურიცაა, ვინაიდან სოციალისტური წყობილების დროს განსაკუთრებით დედაქალაქი იზრდებოდა და ვითარდებოდა. ემიგრანტთა რაოდენობას ზრდიდა ისიც, რომ განათლების მიღება სოფლად შეუძლებელია და ასევე უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის სამუშაო აღგილები სოფლად არ მოიპოვებოდა. საქართველოში, რადგან სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა დღეისათვის დიდია, შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვის შემდეგ მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდება. რასაკვირველია, გამოთავისუფლებული ადამიანები უნდა დასაქმდნენ ეკონომიკის სხვა სფეროებში. მათი ნაწილი ალბათ წავა ქალაქად, უდიდესი ნაწილი კი ისევ სოფლად უნდა დარჩეს, რისთვისაც აუცილებელია აქ ეკონომიკის სხვა დარგების განვითარება (რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ). საქართველოში მხოლოდ თბილისი შეიძლება განვიხილოთ ისეთ ქალაქად, სადაც მოსახლეობის სიჭარბე იგრძნობა (იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქის მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილია ემიგრირებული საზღვარგარეთ, საქართველოს რეგიონებიდან, როგორც სოფლებიდან, ისე ქალაქებიდან ემიგრანტთა რაოდენობა ძირითადად მხოლოდ თბილისშია

თავმოყრილი. სხვა ქალაქებისათვის მოსახლეობის სიჭარბე არ იგრძნობა. ამდენად, რეგიონულ ქალაქებში მრეწველობისა და ეკონომიკის განვითარების შემთხვევაში საჭირო გახდება სოფლიდან მუშახელის მიგრაცია. რაც შეეხება თბილის, აქ საზღვარგარეთიდან მიგრანტების დაბრუნების შემდეგ ჭარბმოსახლეობა გაძლიერდება, ამიტომ რაიონებიდან მიგრირებული მოსახლეობა კვლავ რეგიონულ ქალაქებში ან სოფლებში უნდა დაბრუნდნენ.

სახელმწიფოს მხარდაჭერა უნდა გამოიხატოს არა უშუალოდ სუბსიდირებით, არამედ ისეთი პროექტების განხორციელებით, რომელიც გრძელვადიან შედეგებზე იქნება გათვლილი (როგორც გარე, ისე შიდა გზების გაყვანა, გაზიფიკაცია, მომსახურების სფეროს, განვითარება, ელექტროენერგიით მომარაგება, საერთოდ, სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს სოფელი გადააქციოს ქალაქის ტიპის დასახლებად. ხელი შეუწყოს მცირე ბიზნესის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს, ირიგაციის სისტემის განვითარებას, სოფლიდან ქალაქად მიგრაციას შეამცირებს ასევე სატყეო მეურნეობის, მეორეზეობის და მონადირეობის განვითარება. მიგვაჩნია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი უნდა იხარჯებოდეს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ სოფლის ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად.

აგროწარმოების ახალი მეთოდების ათვისება, პროდუქციის რეალიზაციაში დახმარება.

სოფლიდან ქალაქად მიგრაციას განაპირობებს განსხვავება შრომის ანაზღაურებას შორის სოფლად და ქალაქად. ეს პროცესი გაგრძელდება მანამ, სანამ შრომის ნაყოფიერება სასოფლო წარმოებაში და ეკონომიკის სხვა დარგებში ერთმანეთს არ გაუტოლდება და ცხოვრების კეთილდღეობის დონე ქალაქად ცხოვრების დონეს არ დაუახლოვდება. რასაკვირველია, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა გაცილებით ნაკლებია ვიდრე საერთოდ სოფელში მცხოვრებთა რაოდენობა (აშშ-ში დღეისათვის სოფლად ცხოვრობს მოსახ-

ლეობის 27%, ხოლო სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მხოლოდ 2-3%), ვინაიდან სოფელში ფუნქციონირებს ეკონომიკის სხვა დარგები და დაწესებულებები. ამოცანა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა რაოდენობა უნდა შემცირდეს, ხოლო სოფლის სხვა სფეროებში დასაქმებულთა რაოდენობა უნდა გაიზარდოს, რაც საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ სოფლის მოსახლეობა. ოუმცა მოსახლეობის ნაწილი მაინც წავა ქალაქად, რაც ქალაქების განვითარებისთვისაც აუცილებელია.

Abesadze Ramaz

**THE ECONOMIC DEVELOPMENT AND RURAL PROBLEMS
AT CURRENT STAGE
SUMMARY**

The development of economy, i.e. the transition of economy to qualitatively new state significantly depends on the development of agriculture. The existence of backward villages means that the whole economy is not adequately developed, that the quality of capital (physical as well as human), the level of technologies and technological knowledge are low, the forms of property and institutions are not satisfactory, resources (natural, labor, intellectual etc) are not used rationally, economic structure is nonprogressive, state regulation of economy is inefficient and so on. Thus the level of economic development is low.

The work has substantiated the specific character of production and the necessary aid to rural regions from government. Are proposed some state measures helping rural regions of a country with low developed economy.

კლასიმერ პაპავა

ეპონომიკური ზრდის მაჩვენებლების სიპრცობრივი
შედარება მპვეტრი ზრდის ეფექტის გათვალისწინებით

ეპონომიკური ზრდა ეპონომიკური მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს და მის შესწავლას არაერთი საყურადღებო ნაშრომი აქვს მიძღვნილი (მაგალითად, [1]). ეპონომიკური ზრდის შეფასებისათვის კი აუცილებელია მისი გაზომვა.

ეპონომიკური ზრდის გაზომვისათვის, როგორც ცნობილია, გამოიყენება ორი ტიპის მაჩვენებელი. ერთია მთლიანი შიგა პროდუქტის (ან მთლიანი ეროვნული პროდუქტის) ზრდის ტემპი (R), ხოლო მეორე – რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის ნაზრდის ტემპი (r). პირველი გაიანგარიშება რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის შესადარი მაჩვენებლის (Y^1) მის ბაზურ მაჩვენებელზე (Y^0) გაყოფით:

$$R = \frac{Y^1}{Y^0}. \quad (1)$$

მთლიანი შიგა პროდუქტის ნაზრდის ტემპის გასაანგარიშებლად რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის ნაზრდს ($\Delta Y = Y^1 - Y^0$) ყოფენ რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის ბაზურ მაჩვენებელზე (Y^0):

$$r = \frac{\Delta Y}{Y^0}. \quad (2)$$

(1)-დან და (2)-დან გამომდინარე ეპონომიკური ზრდის ამ ორ მაჩვენებელს შორის შემდეგი თანაფარდობა ყალიბდება:

$$R = 1 + r.$$

ეპონომიკური ზრდის გასაზომად ამ ორი მაჩვენებელიდან უფრო ხშირად მეორე – რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის ნაზრდის ტემპი გამოიყენება.

ცნობილია, რომ ეკონომიკური ზრდის გაზომვისას ერთ-ერთ პრობლემას ქვეყნებისა თუ რეგიონების მიხედვით ეკონო-მიკური ზრდის მაჩვენებლების შედარება წარმოადგენს. პრობ-ლების არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ იმის გამო, რომ კა-პიტალი კლებადი უკუგებით ხასიათდება, ამიტომ, სხვა თანა-ბარ პირობებში, ეკონომიკური განვითარების შედარებით და-ბალი დონის მქონე ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის უფრო მა-დალი ტემპების მიღწევაა შესაძლებელი, ვიდრე ეკონომიკური განვითარების შედარებით მაღალი დონის მქონე ქვეყნებში. ეს მოვლენა “მკვეთრი ზრდის ეფექტის” (ინგლისურად – “Catch-Up Effect” [2, pp. 546-547], ხოლო მისი რუსული თარგმანის მიხედ-ვით კი – “Эффект быстрого старта”-ს [3, cc. 523-524]) სახელითაა ცნობილი (მაგალითად, [4, გვ. 532-531]).

მკვეთრი ზრდის ეფექტის საილუსტრაციოდ ავილოთ, მა-გალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემები, რომლის თანახმადაც, საქართველოს რეალური მთლიანი შიგა პროდუქტი 2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, 6,3 პროცენტით გაიზარდა, მაშინ, როდესაც აშშ-ის რეალური მთლიანი შიგა პროდუქტი მხო-ლოდ – 3 პროცენტით [5]. აშშარაა, რომ საქართველოს ეკონო-მიკური ზრდის მაჩვენებლის უშუალო შედარება აშშ-ის ეკო-ნომიკური ზრდის მაჩვენებელთან მცდარი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა, ანუ იმის თქმა, რომ საქართველოს ეკო-ნომიკა 2010 წელს 2009 წელთან 2,1-ჯერ (6,4 : 3) უფრო სწრა-ფად გაიზარდა ვიდრე იმავე პერიოდში აშშ-ისა, მცდარია, რადგანაც აუცილებელია მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალის-წინება.

ბუნებრივია, რომ მხოლოდ მკვეთრი ზრდის ეფექტის გათვალისწინების შემდეგ იქნება შესაძლებელი ეკონომიკურად მაღალგანვითარებული და ეკონომიკურად შედარებით დაბალ-განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლე-ბის შედარება. მაშასადამე, აუცილებელია მკვეთრი ზრდის ეფექტის გაზოგისათვის შესაბამისი კოეფიციენტის დადგენა,

რომლის საშუალებითაც ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების კორექტირება უნდა მოხდეს.

სტატის მიზანია მკვეთრი ზრდის ეფექტის გაზომვა, რათა ამ ეფექტის გამორიცხვის შედეგად შესაძლებელი გახდეს ეკონომიკური ზრდის შესაბამისად კორექტირებული მაჩვენებლების შედარება ქვეყნებისა თუ რეგიონების მიხედვით.

ეკონომიკური განვითარების დონის შეფასების განმაზოგადებელი მაჩვენებელი არის მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე (y), რომელიც მთლიანი შიგა პროდუქტის (Y) მოსახლეობის რიცხოვნობაზე (N) გაყოფით მიიღება:

$$y = \frac{Y}{N}. \quad (3)$$

საყურადღებოა, რომ ამ მაჩვენებლით ქვეყნების თუ რეგიონების ერთმანეთთან შედარებისათვის მთლიანი შიგა პროდუქტი აშშ-ის დოლარებში იზომება.

თუკი დავუბრუნდებით საქართველოსა და აშშ-ის მაგალითს, ადვილად დავინახავთ, რომ იმავე მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2009 წელს საქართველოში მთლიანი შიგა პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე იყო 2 441 აშშ დოლარის ტოლი, ხოლო აშშ-ი კი – 45 192 აშშ დოლარის [6]. სხვა სიტყვებით, აშშ-ის ეკონომიკა 2009 წელს 18,5-ჯერ (45 192:2 441) უფრო დიდი იყო ვიდრე საქართველოსი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აშშ-ის ეკონომიკის ერთი პროცენტით ზრდა ბევრად უფრო რთულად მიღწევადია, ვიდრე საქართველოსი, რაც, რათქმა უნდა, მკვეთრი ზრდის ეფექტით აიხსნება.

ლოგიკურად დასაშვებად შეიძლება ჩაითვალოს, რომ რადგანაც 2009 წელს აშშ-ის ეკონომიკა 18,5-ჯერ უფრო დიდი იყო ვიდრე საქართველოსი, მაშინ, სხვა თანაბარ პირობებში, 2009 წელს აშშ-ში საქართველოსთან შედარებით 18,5-ჯერ უფრო რთული იყო ერთი და იმავე დონის ეკონომიკური ზრდის მიღწევა. ამგვარი მსჯელობით ჩვენ დაგუშვით შემდეგი პიპოთეზა:

თუ ერთი ქვეყნის გკონომიკური განვითარების დონე α -ჯერ უფრო დიდია ვიდრე მეორე ქვეყნის გკონომიკური განვითარების დონე, მაშინ პირველ ქვეყანაში გკონომიკური ზრდის იმავე დონის მიღწევა, რაც მეორე ქვეყანაში იქნა მიღწეული, ასევე α -ჯერ უფრო როგორია.

ამ დაშვებას მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზა ვუწოდოთ, ან მოკლედ პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზა.

პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზის მათემატიკურად აღწერისათვის α_{ij} -ით აღვნიშნოთ ის, თუ რამდენჯერ მეტია მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულ ზე i -ურ ქვეყანაში (y_i) j -ური ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელთან (y_j) შედარებით, ანუ

$$\alpha_{ij} = \frac{y_i}{y_j} > 1. \quad (4)$$

მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზის არსიდან გამომდინარე, α_{ij} -ის i -ური ქვეყნისათვის j -ური ქვეყნის მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტს, მოკლედ პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტი ვუწოდოთ.

თუ j -ურ ქვეყანაში ფაქტობრივმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა r_j , მაშინ j -ურ ქვეყანაში i -ური ქვეყნის ეკვივალენტური ზრდა, მკვეთრი ზრდის ეფექტის გადაფარვის ჰიპოთეზის გათვალისწინებით, იქნება

$$r_{ij}^* = \frac{r_j}{\alpha_{ij}}. \quad (5)$$

მაშასადამე, r_{ij}^* არის j -ური ქვეყნის პიპოთებური ეკონომიკური ზრდა, რომელიც i -ური ქვეყნის ეკონომიკური ზრდად უნდა ჩაითვალვალოს. მოკლედ r_{ij}^* -ის j -ური ქვეყნის პიპოთებური ქვეყნის ეკონომიკური ზრდა ვუწოდოთ.

თუ i -ური ქვეყნის ფაქტობრივ ეკონომიკურ ზრდას (r_i) j -ური ქვეყნის პიპოთებური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე (r_{ij}^*) გავყოფთ, მივიღებთ სიდიდეს, რომელიც გვიჩვენებს, თუ რეალურად რამდენჯერ აღემატება i -ური ქვეყნის ეკონომიკური ზრდა j -ური ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას. კერძოდ, (3)-ის გათვალისწინებით მივიღებთ

$$\beta_{ij} = \frac{r_i}{r_{ij}^*} = \frac{r_i}{r_j} \alpha_{ij} \quad (6)$$

საქართველოსა და აშშ-ის ზემოთ მოყვანილი მაგალითი დან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ეკონომიკურმა ზრდამ 2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, 6,3 პროცენტი შეადგინა, ხოლო აშშ-ის ეკონომიკა 2009 წელს 18,5-ჯერ უფრო დიდი იყო ვიდრე საქართველოსი, გამოდის რომ საქართველოს ეკონომიკის 6,3 პროცენტიანი ზრდა აშშ-ის ეკონომიკის 0,34 (6,3 : 18,5) პროცენტიანი ზრდის ეკონომიკური იყო. ხოლო ის, რომ აშშ-ის ეკონომიკა 2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, ფაქტობრივად 3 პროცენტით გაიზარდა, ეს ნიშნავს, რომ აშშ-ის ეკონომიკა საქართველოს ეკონომიკის მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის პიპოთების გათვალისწინებით 2010 წელს, 2009 წელთან შედარებით, 8,8-ჯერ (3 : 0,36) უფრო მეტად გაზრდილა, და არა 2,1-ჯერ უფრო ნაკლებად, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა, რაც ფაქტობრივი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების უშუალო შედარებით გამოდის.

(2)-(5)-ის გათვალისწინებით (6) შეიძლება ჩაიწეროს ასეც:

$$\beta_{ij} = \frac{\frac{\Delta Y_i}{N_i}}{\frac{\Delta Y_j}{N_j}} = \frac{\gamma_i}{\gamma_j},$$

სადაც γ_i და γ_j , შესაბამისად, i -ურ და j -ურ ქვეყანაში რეალური მთლიანი შიგა პროდუქტის ნაზრდია მოსახლეობის ერთ სულზე.

როდესაც ერთმანეთთან m რაოდენობის ქვეყანაა შესაღარებელი, მაშინ შესაძლოა ორი მიღვომა იქნეს გამოყენებული. პირველის თანახმად უნდა შეირჩეს ის ეწ. “ეტალონური” ქვეყანა, რომლის მთლიანი შიგა პროდუქტიც მოსახლეობის ერთ სულზე აღწევს მაქსიმალურ სიდიდეს და მისი ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის მიმართ უნდა მოხდეს დანარჩენი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების რანჟირება. ამ მიღვომას ერთი ტექნიკური ხარვეზი აქვს. კერძოდ, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის ძალზე მაღალი (თუმცა არა მაქსიმალური) სიდიდე 2009 წელს დაფიქსირდა ლუქსემბურგში და უდრიდა 104 354 აშშ დოლარს მოსახლეობის ერთ სულზე, ხოლო, მგალითად, ბურუნდიში იმავე წელს მოსახლეობის ერთ სულზე 222 აშშ დოლარი იყო (რაც არ არის მინიმალური სიდიდე მსოფლიოს ქვეყნებს შორის) [6]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლუქსემბურგისათვის ბურუნდის მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტი უდრის 470,1-ს (104 354 : 222), რაც იმდენად მაღალი მაჩვენებელია, რომ მისი გამოყენებისას ბურუნდის პიპოთეზური ეკონომიკური ზრდა 2010 წელს იქნება 0,008 (3,8 : 470,1) პროცენტი, რაც დამრგვალების შედეგად ნულდება. მსგავსი პრობლემა არაერთ სხვა ქვეყანასთან მიმართებაშიც იჩენს თავს.

ამიტომ, უმჯობესია, ავიღოთ მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის გასაშუალოებული მაჩვენებელი და

მისი მიხედვით მოვახდონოთ ყველა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლების რანჟირება.

m ($i = 1, 2, \dots, m$) რაოდენობის ქვეყნისათვის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიგა პროდუქტის გასაშუალოებული მაჩვენებელი \bar{y} (3)-ის გაიანგარიშება როგორც საშუალო შეწონილი სიდიდე:

$$\bar{y} = \frac{\sum_i^m y_i N_i}{\sum_i^m N_i} = \frac{\sum_i^m Y_i}{\sum_i^m N_i}, \quad (7)$$

სადაც, Y_i i -ური ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობაა, ხოლო N_i – i -ური ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა.

თუ m ქვეყანა ერთად მთელ მსოფლიოს მოიცავს, მაშინ (7) არის მსოფლიოში წარმოებული მთლიანი შიგა პროდუქტის მოცულობა მსოფლიოს მოსახლეობის ერთ სულზე. 2009 წელს ეს მაჩვენებელი უდრიდა 8 588,3 აშშ დოლარს მოსახლეობის ერთ სულზე [6].

(4)-ის გათვალისწინებით, m ქვეყნის საშუალო ეკონომიკური დონისათვის j -ური ქვეყნის მკვეთრი ზრდის ეფექტის პროპორციული გადაფარვის კოეფიციენტი ($\bar{\alpha}_j$) იქნება:

$$\alpha_j = \frac{\bar{y}}{y_j} \quad (8)$$

(5)-ის მსგავსად, j -ური ქვეყნის პიპოთეზური ეკონომიკური ზრდა (\bar{r}_j^*), ანუ i -ურ ქვეყანაში m ქვეყნის გასაშუალოებული ეკონომიკური ზრდის ეკვივალენტური ზრდა, მკვეთრი ზრდის ეფექტის გადაფარვის პიპოთეზის გათვალისწინებით, იქნება

$$\bar{r}_j^* = \frac{r_j}{\bar{\alpha}_j}. \quad (9)$$

თუ \bar{r} -ით m ქვეყნის გასაშუალოებულ ეკონომიკურ ზრდას აღვნიშნავთ, მაშინ (2)-ის გათვალისწინებით \bar{r} ასე გაიანგარიშება:

$$\bar{r} = \frac{\sum_i^m \Delta Y_i}{\sum_i^m Y_i^o}. \quad (10)$$

9. Глобализационные процессы (низкие торговые тарифы, доступность информации о предлагаемых технологиях и т. д.) облегчают закупку отечественными предпринимателями новых лицензированных технологий для производящих отраслей. Государства и деловые круги должны предпринимать необходимые усилия по подготовке специалистов и рабочей силы для освоения таких технологий и выпуска конкурентоспособной продукции;

10. Установки и предписания ВТО и глобальных кредитных организаций в какой-то мере ослабляют возможности национальных производителей в связи с давлением конкурирующего импорта и определенным затруднением экспорта, т. к. ограничивается применение механизмов его субсидирования. Однако возможность поддержки и защиты национального бизнеса все-таки допускается: субсидии и компенсационные пошлины можно применять в соответствии со статьей о субсидиях и компенсационных мерах ГATT (право приемником которого является ВТО), Соглашением о сельском хозяйстве, Соглашением о текстильной продукции. В виде временных мер применяют-

ся антидемпинговые меры и компенсационные пошлины (дискриминационные меры применительно к отдельным странам и отдельным торговым партнерам) и тарифы и квоты для компенсации справедливой конкуренции с импортом, наносящим ущерб местной отрасли (недискриминационные меры, применяемые по отношению ко всем партнерам). Используются и нетарифные методы регулирования, не предусмотренные в соглашениях ВТО и не противоречащие им. Практикуются также и постоянные меры (общее освобождение от обязательств), которые официально должны быть одобрены Советом ВТО [30, с.431] и предоставляются только в редких случаях.

11. Под влиянием глобализационных процессов, с целью адаптации к ним, меняются и функции государственного управления в отдельных странах. В успешно развивающихся странах модернируются и все более утонченными становятся национальные системы поддержки неоиндустриального развития и, соответственно, бизнеса.

Использование в практике регулирования экономических механизмов, основанных на принципах неолиберализма, не всегда и не сразу приносит очевидный устойчивый успех. Так, Вашингтонский консенсус, включавший по мнению главного его автора Дж. Уильямсона австрийскую школу, монетаризм, новую классическую экономику и теорию общественного выбора (критики называли этот консенсус неолиберальной доктриной) [15, с. 17, 19], после первых обнадеживающих результатов в латиноамериканских странах, привел к ряду кризисов (в 1994 г. в Мексике, а в 1997 – 2002 гг. – к ряду кризисов начавшихся в Азии и завершившихся в Аргентине) [15, с. 19,20]. Однако страны целосообразно («не слишком точно» - по терминологии Дж. Стиглица [28]) придерживавшиеся его установок достигали определенных, некоторые значительных, успехов в неоиндустриальном развитии. Одной из главных причин, обусловивших неустойчивость роста и развития, стала считаться слабость институциональной ставляющей координации и обеспечения экономического развития и обусловленная предписаниями консенсуса излишняя скованность государства в вопросах своевременной коррекции механизмов регули-

рования, в особенности, в аспектах, необходимых для **усиления его социальной ориентации и усиления ориентации бизнеса на размещение инвестиций в наиболее актуальные отрасли** (очевидно, что эти две проблемы носят взаимоувязанный и взаимозависимый характер). После этого в работах Дж. Уильямсона и его соавторов получают качественно новую интерпретацию вопросы институционального строительства, в частности, о роли государства в создании и поддержке **институтов рыночной экономики, обеспечении общественных благ, интернализации внешних эффектов и коррекции распределения доходов** [15, с. 23]. В разработках других ученых вопросы коррекции принципов координации современного экономического развития получили еще более совершенную форму (см., напр., [14, 28 и др.].

В 90-ые годы, как мы знаем, стала ограничиваться (установками глобальных экономических организаций) государственная поддержка отраслевой (промышленной) политики. Однако круг задач экономической политики в 2003 г. был дополнен созданием национальных инновационных систем, призванных выполнять часть функций, которые традиционно ассоциировались с промышленной политикой [15, с. 23]. Как мы знаем, государственная поддержка инновационного сектора поддерживается всемирными экономическими организациями и интенсивно применяется во многих странах [11].

Конечно же отраслевая (промышленная) политика [6; 25; 32] не потеряла своего значения и в настоящее время (*«промышленную» политику точнее называть «отраслевой», поскольку в спектр ее задач входит координация развития не только отраслей промышленности, но и отраслей сельского хозяйства, строительства и др.*; при этом в ней можно выделить отдельные направления, например: политика обеспечения продовольственной безопасности; политика сккоординированного развития сельскохозяйственных производств, обеспечивающих сырьем легкую промышленность, и соответствующих отраслей этой промышленности (текстильной, кожевенно-обувной); политика поддержки экспортноориентированных отраслей, импорт-

замещающих отраслей и т. д.). Однако изменилась роль и значение отдельных инструментов отраслевой (промышленной) политики. Например, стало ограничиваться прямое субсидирование экспорта продукции промышленности, субсидирование деятельности и экспорта сельскохозяйственных предприятий, связанного с непосредственным ростом объемов сельскохозяйственной продукции, а также – субсидирование продовольственного экспорта в целом (т. е. промышленно переработанной продукции сельского хозяйства и непереработанной). Поддержка, не связанная с инновационной деятельностью в большей мере сместилась в сторону косвенных методов регулирования (налоговых, финансово-кредитных), хотя в некоторых развитых и развивающихся странах практикуются различного характера фонды поддержки отраслевого развития. А в сельском хозяйстве поддержка регламентируется условиями так называемых «желтой», «голубой» и «зеленой» корзин ВТО [2].

В целом, в настоящее время установками глобальных экономических организаций в рамках отдельных стран в обозначенных пределах допускается свобода экспериментирования при выборе экономической политики, поскольку «не существует единственного набора политических установок, способных гарантированно запустить устойчивый рост... Страны должны иметь свободу экспериментирования при выборе политики отвечающей их специфическим условиям, а международные кредитные организации и агентства, оказывающие помощь, должны поддерживать такое экспериментирование... Главная задача состоит в выявлении наиболее узких мест, ограничивающих рост и их расшивке средствами микроэкономической и макроэкономической политики» [15, с. 26 из 14, с. 60]. **Такой подход лежит и в основе современных модернизированных вариантов неолиберальной экономической политики, которых в принципе придерживается большинство развитых и развивающихся стран.** В условиях действия обеспечивающих такую политику экономических механизмов регулирования большинство развивающихся стран имеет более высокие темпы роста ВВП по сравнению с развитыми странами,

осуществляется интенсивная диффузия технологий из развитых в развивающиеся страны на основе которой модернизируется технологический уклад в этих странах, становится разнообразной отраслевая структура и конкурентоспособность в мировом масштабе экономик этих стран. Однако очевидно, что и в этих механизмах имеются недостатки, связанные, например, со слабостью проактивного [25] реагирования (как в развитых, так и развивающихся странах) на наступление кризисных ситуаций с целью их смягчения, с излишним deregулированием рынка труда (что ослабляет социально-ориентированные возможности государственной и профсоюзной координации) и др. Во многих развивающихся и даже в некоторых развитых странах требуют серьезного совершенствования государственные и рыночные системы институциональных механизмов обеспечения устойчивого неоиндустриального развития.

Сформулированные в ряде научных разработок современные принципы неолиберальной политики (см., напр., [14; 28]), некоторые из которых уже нашли отражение в установках и предписаниях глобальных международных организаций, позволяют государствам в определенных рамках модернизировать экономическую политику, реагируя на сложившиеся краткосрочные и долгосрочные обстоятельства, и в частности, модернизировать меры, направленные на поддержку неоиндустриального отраслевого развития.

ЛИТЕРАТУРА

1. აბესაძე რ. მაღალი ტექნოლოგიები და ეკონომიკური განვითარება. – პრ.: ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში. თბილისი: 2011.
2. აბესაძე რ., ბურდული ვ., დათუნაშვილი ლ. ქვეყნის სახურსათო უსაფრთხოების რეგულირების პრობლემები. – თსუ პააგა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო ჟრომების კრებული. ტომი IV. თბილისი: 2011.
3. ბურდული ვ., ბურდული ქ. გლობალიზაციის პირობებში საქართველოსა და მის რეგიონებში ეკონომიკის რეალურ

- და საფინანსო სექტორების ინსტიტუციურ და ტექნოლოგიურ განვითარებას შორის ურთიერთკავშირის დამყარების აუცილებლობა. – პ. გუგუშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. თომი I. თბილისი. 2008.
4. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების რეგულირების მექანიზმი და მისი პრაქტიკული რეალიზაციის გზები (საქართველოს მაგალითზე). – თბილისი: “მეცნიერება”, 2004.
 5. ბურდული კ. კურატაშვილი ა. საფინანსო სექტორის ინსტიტუციური ორგანიზაციის განვითარება გლობალიზაციის პირობებში. – პ. გუგუშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. თომი I. თბილისი. 2008.
 6. ბურდული კ. სამრეწველო პოლიტიკა: ინსტიტუციური უზრუნველყოფა და რეალიზაციის გზები. – საქართველოს მამკანე. ეკონომიკური სერია. 1996, № 1-2.
 7. ბურდული კ. საქართველოში რეგიონული სოციალური და ეკონომიკური “მიზიდულობის ცენტრების” განვითარების გზები. – საქართველოს ეკონომიკა, 2006, №11.
 8. პაპავა კ. ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუტების როლი საქართველოს ეკონომიკის პოსტკომუნისტურ ტრასფორმაციაში. – თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული. ტომი IV. თბილისი: 2011.
 9. წერეთელი გ. საქართველოს მწარმოებლურ ძალთა განვითარების სტრატეგიული მიზნები და მათი რეალიზაციის მიმართულებები. – კრ.: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. თომი I. თბილისი: მეცნიერება, 2000.
 10. წერეთელი გ. პოსტკომუნისტური ქვეყნის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობის შეფასების საკითხისათვის. – კრ.: საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. თომი III. თბილისი: მეცნიერება, 2003.

11. Abesadze R., Burduli V. Innovative activities and their coordination under advancing globalization. – The Caucasus & Globalization. Volume 3. Issue 4. CA&CC Press. SWEDEN, 2011.
12. Nordhaus W. Productivity Growth and the new Economy. – National Bureau of Economic Research. Wash., 2001.
13. ru.wikipedia.org/wiki/Третья_волна_(Тоффлер)
14. The Barselona Development Agenda / The Washington Consensus reconsidered: Towards a New Global Governance. Ed. By N. Serra and J. E. Stiglitz. Oxford, 2008.
15. Ананыин О., Хайткулов Р., Шестаков Д. Вашингтонский консенсус: пейзаж после битв. – МЭиМО, 2010, №12, с. 17, 19.
16. Бландинье Жан-Поль. Изменение основополагающих производственных и общественных парадигм. Трансформация общественного сектора в Европе (опыт стран ЕС)./
http://www.recer.ru/files/documents/04_10_10/Blandinieres_Paradigms_Ru.pdf
17. Бурдули В. Взаимосвязь развития технологических укладов и трансформации экономических систем. – В сб.: Actual Economic Problems under Globalization. Tbilisi: 2011.
18. Бурдули В. Вопросы структурной перестройки экономики Грузии и роста уровня занятости. – Ekonomisti, 2009, №5.
19. Бурдули В. Ш. Проблемы территориального управления производственно-хозяйственными комплексами. – Тбилиси: «Мецнреба», 1989.
20. Бурдули В. О совершенствовании системы оценок эффективности развития отраслевой структуры производства. – В сб.: National Economies and Globalization. Volume I. Tbilisi: 2012.
21. Бурдули В. Церетели Г. Финансовая система Грузии и проблемы развития и структурной организации производства. – Известия АН Грузии. Серия экономическая, 1998, №4.
22. Глазьев С. Мировой экономический кризис как процесс смены технологических укладов. – Вопросы экономики, 2009, №3.

23. Глазьев С. Возможности и ограничения технико-экономического развития России в условиях структурных изменений в мировой экономике. / С. Ю. Глазьев. www. spkurduytmov.narod.ru/glaziev/htm.
24. Иванов Н. Глобализация и общество: проблемы управления. – МЭиМО, 2008, №4.
25. Кузин Д. Промышленная политика развитых стран: цели, инструменты, оценки. – Вопросы экономики, 1993, №9.
26. Любимцева С. Инновационная трансформация экономической системы. – Экономист, 2008, №9.
27. Семенова Е. Возможности инновационного типа развития. – Экономист, 2006, №6, с. 14.
28. Стиглиц Дж. Многообразнее инструменты, шире цели: движение к пост-Вашингтонскому консенсусу. – Вопросы экономики, 1998, № 8.
29. Стрелец И. Новая экономика: гипотеза или реальность. – МЭиМО, 2008, № 3.
30. Турбан Г. В. Развитие международной торговли и рост протекционизма. – Вісник Донецького національного університету, Сер. В: Економіка і право, Вип. 2, Т. 2, 2010.
31. Фролов Д. Теория кризисов после кризиса: технологии versus институты. – Вопросы экономики, 2011, №7.
32. Хруцкий В. Рыночные системы и варианты структурной перестройки промышленности . – Российский экономический журнал, 1992, №3, с. 97, 98.
33. Церетели Г., Бурдули В. Проблемы становления финансовой системы Грузии. – Известия АН Грузии. Серия экономическая, 1998, №4.

Burduli Vakhtang

**THE QUESTIONS OF IMPROVEMENT OF SECTORAL
STRUCTURE OF COUNTRY'S ECONOMY IN THE CONDITIONS
OF ACCELERATED DEVELOPMENT OF TECHNOLOGICAL
ORDER AND INFLUENCE OF GLOBALIZATION PROCESSES
SUMMARY**

In the article the contemporary interpretation of sectoral and technological structure of economy are considered. The neo-industrial type of development is described, which is concretized in the aspects of development of technological order. The processes of diffusion technologies in economic branch of industries (by standard nomenclature of national accounts) are investigated. The factor globalization influencing upon forming of sectoral and technological structure of economy of individual countries are systematized and defined. The development of economic mechanisms regulating of forming contemporary neo-industrial structure by branches of economy in individual countries are considered.

**გიორგი ბერულავა
პიზნესგარემოს სრულყოფაზე გლობალიზაციის ბაზლენის
თავისებურებები**

განვითარების დაბალი დონის და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის კონკურენტუნარიანობის სრულყოფა მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. გლობალიზაცია სწორედ ის პროცესია რომელიც უშუალოდ გავლენას ახდენს როგორც ქვეყნის ეკონომიკის, ასევე ინდივიდუალური ფირმების კონკურენტუნარიანობაზე. გლობალიზაცია, თავის მხრივ, ეკონომიკური ურთიერთობების ლიბერალიზაციის შედეგია [ეთერია, 2009]⁸. ამ კონტექსტში, ქვეყნის

⁸ ეთერია ემირ (2009) გლობალიზაცია და ეროვნული ეკონომიკა: თეორია და პოლიტიკა. გამომცემლობა “უნივერსალი”, თბილისი.

ბიზნესგარემოს სრულყოფა, და პირველ რიგში, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია (ბარიერების შემცირება, რეგულირების მინიმიზაცია) შეუძლია მნიშვნელოვნად გააძლიეროს გლობალიზაციის ეფექტს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტულ უპირატესობაზე. სხვა სიტყვებით, გლობალიზაცია და ბიზნესგარემოს სრულყოფა მჭიდროდ დაკავშირებული პროცესებია, რომელიც გავლენას ახდენს ცალკეული ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკის კონკურენტუნრიანობის ამაღლებაზე, ცალკეული კომპანიების და დარგების პროდუქტიულობასა და კონკურენტულ უპირატესობაზე.

ამ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ გლობალიზაციის შედეგად საქართველოში ბიზნესგარემოს სრულყოფის პროცესს და მის გავლენას ეროვნულ ეკონომიკაზე. გარდა ამისა, ჩვენ გავაანალიზებთ იმ ფაქტორებს რომლებიც აფერხებენ საქართველოში კონკურენტუნარიანი ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესს. პირველ რიგში განვიხილოთ საქართველოში ბოლო პერიოდის განმავლობაში ჩატარებული ბიზნესგარემოს რეფორმები.

2003 წლის ნოემბრის შემდგომ პერიოდში ქვეყანაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად. ამ რეფორმებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა საერთაშორისო ორგანიზაციებში. ბიზნეს რეფორმების განვითარებაში მიღწეულ პროგრესს გამოხატავს მსოფლიო ბანკის/საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის (IFC) მიერ გაკეთებული მაღალი შეფასება. მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ მოხსენების თანახმად, 2007 წელს საქართველომ 178 ქვეყანას შორის 112-ე ადგილიდან 37-ე ადგილზე გადმოინაცვლა და მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ქვეყნის სტატუსი მიიღო⁹. 2008 წლის მსოფლიო ბანკის „ბიზ-

⁹ Doing Business. Measuring Business Regulations.

<http://www.doingbusiness.org/ExploreEconomies/?economyid=74#StartingBusiness>

ნესის კეთების“ მოხსენების თანახმად, საქართველომ მე-18 ადგილი დაიკავა. 2011 წლის ამავე მოხსენების თანახმად, საქართველომ მე-12 ადგილზე გადაინაცვლა.

კერძოდ, საქართველოში ბოლო პერიოდის განმავლობაში ბიზნეს გარემოში საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა და ქვეყანამ გააუმჯობესა თავისი მდგომარეობა შემდეგ სფეროებში: კრედიტის მიღება, ინვესტორების დაცვა. საქართველოს რეიტინგი ისეთ სფეროებში, როგორიცაა ქონების რეგისტრაცია, გადასახადების გადახდა, კონტრაქტები, მშენებლობაზე ნებართვა და ლიცენზიები, უცვლელი დარჩა. საქართველოს რეიტინგი გაუარესდა შემდეგ სფეროებში: ბიზნესის დაწყება, საგარეო ვაჭრობა, ბიზნესის დახურვა. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის დახურვა და გადასახადების გადახდა არის საქართველოს ყველაზე სუსტი წერტილი.

რეფორმები, რომლებიც დაინერგა ბოლო პერიოდის განმავლობაში, იყო პროგრესული. მან შეცვალა ადრე არსებული ის პოლიტიკა, რომელიც ახორციელდა კერძო ინიციატივას. საქართველოს სტრატეგია ორიენტირებული გახდა მინიმალური სახელმწიფოს ფორმირებასა და იმ მარეგულირებელი პოლიტიკის გაუქმებაზე, რომელიც ზრდიდა კორუფციას და ბიუროკრატიას. ეს რეფორმები მიზნად ისახავდა ბიზნესის რეგისტრაციისათვის პროცედურების გაადვილებას და ეკონომიკურ და აღმინისტრაციულ რეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას. ეს ინსტიტუციონალური რეფორმები ვაჭრობისათვის ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ასტიმულირებდა სამეწარმეო აქტივობას, რომელიც „თავის მხრივ, ხელს უწყობდა მშპ -ს ზრდას¹⁰.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად მიღწევებისა ბიზნესის კეთებაში, ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა

¹⁰ თოქმაზიშვილი მ., ბერულავა გ. (2011) საქართველოში ვაჭრობის განვითარებისათვის საჭიროებების შეფასება: ვაჭრობა და ადამიანური განვითარება. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), თბილისი, აპრილი 2011.

კვლავ დაბალი იყო. მსოფლიო ეკონომიკის ფორუმის მიხედვით, საქართველო არის მხოლოდ 90-ე ადგილზე მსოფლიოს 133 ქვეყანას შორის. 2009-2010 წლებში საქართველოს მთავარი მიღწევები იყო შემდეგი: 72-ე ადგილი ინსტიტუტებისა და ინფრასტრუქტურის ეფექტური განვითარებისათვის; 117-ე ადგილი მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის; 78-ე ადგილი ჯანდაცვისა და დაწყებითი განათლების სექტორში; 84-ე ადგილი უმაღლესი განათლებისა და პროფესიული გადამზადებისათვის; 74-ე ადგილი სასაქონლო ბაზრის ეფექტურობისათვის; მე-17 ადგილი შრომის ბაზრის ეფექტურობისთვის; 95-ე ადგილი ფინანსურ ბაზარზე სიმელეებისათვის, მე-100 ადგილი ტექნოლოგიური მიღწევებისათვის; 101-ე ადგილი ბაზრის გაფართოებისათვის; 113-ე ადგილი ბიზნესის განვითარებისათვის; 119-ე ადგილი ინოვაციებისათვის¹¹. ეს ციფრები გვიჩვენებს არსებული რესურსების ოპტიმალური გამოყენების მდგომარეობას, მატერიალურ და განსაკუთრებით ინტელექტუალურ სფეროებში, მწარმოებლურობის გაზრდას და ქვეყნის სხვა უპირატესობებს. როგორც ჩანს, ინსტიტუციონალური რეფორმები არ იყო საქმარისი საქართველოში ბიზნესის კონკურენტუნარიანობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის მიღწევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მწარმოებლურობის ზრდა. მწარმოებლურობა ასახავს სამუშაო ძალის განათლების დონეს და წარმატებებს ტექნოლოგიის განვითარებაში და არის ეკონომიკური განვითარების მდგრადი კარგი საზომი. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში საქართველომ აჩვენა სამუშაო ძალის პროდუქტიულობის ზრდის დადებითი ტემპები, საქართველოს ეკონომიკის ეფექტურობა კვლავ დაბალია. საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP) ერთ სულ მოსახლეზე რჩება ერთ-ერთ ყველაზე დაბალ

¹¹ The Global Competitiveness Report 2009-2010. 2009 World Economic Forum.
<http://www.weforum.org/documents/GCR09/index.html>

დონეზე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს შორის¹². შრომის მწარმოებლურობის ამგვარი დაბალი სიდიდე განსაზღვრავს, თუ რატომ არ არის საქართველოს ეკონომიკა კონკურენტუნარიანი და ასევე, არ მეტყველებს ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობაზე.

ყოველივეს მიუხედავად, იბადება კითხვა, თუ რატომ ვერ განაპირობა ასეთი ამბიციური რეფორმისტული პროგრამის განხორციელებამ მაღალხარისხიანი ეკონომიკური ზრდა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოში მდგრადი ზრდის მიღწევას ხელი შეუშალა შემდეგმა ფაქტორებმა:

ეკონომიკური განვითარება და ზრდა ფირმების მიერ სათანადო ცოდნის უწყვეტად მიღებისა და ინოვაციების გენერირების უნარით განისაზღვრება. დასავლეთის ქვეყნების პე-თილდღეობას განაპირობებს სათანადო ინფრასტრუქტურული გარემოს უზრუნველყოფა, რაციონალური ბაზრების, სტაბილური პოლიტიკურ სტრუქტურების, მკაფიოდ განსაზღვრულ და ქმედითი ქონებრივი უფლებების და დაბალი ხარჯებით კონტრაქტების სამართლებლივი აღსრულების შესაძლებლობის (ჩვეულებრივ კანონის უზენაესობის გზით) ჩათვლით, რომელშიც ადგილი აქვს რესურსების რაციონალურად განაწილებას და ხდება ფირმების მხრიდან დაგროვებისა და ინოვაციური ქცევის ხელშეწყობა და წახალისება. თუმცა, არასრულყოფილი ან არასრული ბაზრების შემთხვევაში ან როდესაც ზოგიერთი ბაზარი საერთოდ გამოიჩინილია, ფირმების ცოდნასა და ზრდაში ინვესტირებისთვის საჭირო რესურსები და შედა-გათები შეიძლება რაციონალურად არ იყოს განაწილებული. ეკონომიკური განვითარების შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილია სხვადასხვა მექანიზმები, რომ-ლებიც ხსნიან, თუ როგორ შეუძლია ნაკლებად განვითარებუ-

¹² წყაროები: Pen World Table Version 6.2, პენსილვანიის უნივერსიტეტში წარმოების, შემოსავალის და ფასების საერთაშორისო შედარების ცენტრი, მისაწვდომია:

http://pwt.econ.upenn.edu/php_site/pwt62/pwt62_form.php.

ლი ეკონომიკური დამახასიათებელ საბაზრო ნაკლოვანებებს არატრადიციულ სექტორებში ინოვაციური ქცევისა და ინექსტიციური სტრუქტურის დაბრკოლების შექმნა.

საქართველოს რეალურ ეკონომიკურ სექტორში ბოლო დროს მიმდინარე მოვლენები ინოვაციების დაბალ დონეებსა და ეკონომიკის სტრუქტურის დინამიური ცვლილების წარუმატებლობაზე მეტყველებენ¹³. ვფიქრობთ, რომ დღემდე საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური განვითარების წარუმატებლობა ნაწილობრივ ბაზრის ნაკლოვანებებით შეიძლება აიხსნას. საბაზრო ხასიათის ხარვეზები, რომლებიც ცოდნის გარე ეფექტით ან მასშტაბის ეფექტებით შეიძლება იყოს განპირობებული, ხელს უშლიდნენ ინოვაციების განხორციელებასა და კაპიტალის აკუმულირებას და ტოვებდნენ საქართველოს დაბალი დონის წონასწორობის მდგომარეობაში, რომელიც მას სიღარიბესთან ასოცირებდა. “ჩაურევლობის” (Laissez-faire) პრინციპი, რომელსაც ეყრდნობა საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკა, ასეთ ვითარებაში არ უზრუნველყოფს ეკონომიკის ზრდის და განვითარების სტიმულირებას. უფრო ზუსტად რომ ითქვას, საქართველოში მოქმედი საბაზრო მექანიზმები უკრ განაპირობებენ კერძო სუბიექტების საკმარის სტიმულირებას ინოვაციურ საქმიანობებში ინვესტიციების მიმართულებით, რაც აუცილებელია ეკონომიკის საჭარბო სტრუქტურის დინამიური განვითარების გარანტირებისთვის. როდესაც ბაზარი ვერ ახერხებს ქვეყნის სიღარიბიდან ამოყვანისთვის საჭირო მექანიზმების ამოქმედებას, საჭიროა მოხდეს სახელმწიფოს გარკვეული ჩარევა, ინოვაციების სტიმულირებისთვის საჭირო პოზიტიური შედავათების, ისევე, როგორც საინვესტიციო პროგრამების განხორციელების სახით, რათა

¹³ ბერულავა გ. და ნ. მელიქაძე (2007) საქართველოს მთავრობის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკის უსაფრთხოების ასაკებელის გაძლიერება. მონოგრაფია, “გრიფონი”, თბილისი, 282 გვერდი.

უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს ეკონომიკის ინოვაციური და პროდუქტიული განვითარება.

ამიტომ, კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შექმნისათვის გლობალიზაციის პირობებში, ბიზნესგარემოს რეფორმირებისას, საქართველოს ხელისუფლებამ უარი უნდა თქვას “laissez-faire” პრინციპზე და განახორციელოს აქტიური სამეწარმეო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს საწარმოო სტრუქტურების დინამიურად გარდაქმნაზე. ამგვარი სტრატეგიის განხორციელება მოითხოვს:

- იმ სექტორების იდენტიფიკაციას, რომლებიც საფუძველს უქმნიან მრეწველობის განვითარებას. ესენი უნდა იყოს არატრადიციული, ექსპორტზე ორიენტირებული სექტორები, რომლებიც იყენებენ ახალ ტექნოლოგიებსა და მოწინავე ცოდნას.
- მრეწველობის შერჩეულ სექტორებში ინვესტიციების სტიმულირებასა და მოზიდვაზე ფოკუსირებული განვითარების სტრატეგიის შემუშავებას, ისეთი ღონისძიებების ჩათვლით, როგორგბიცაა საინვესტიციო და საექსპორტო სუბსიდიები, საგადასახადო შედაგათები, ვაჭრობის დაცვა, საინვესტიციო რისკების სოციალიზირება რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში არაპირდაპირი დახმარებების გაწევის გზით და ა.შ.
- სამრეწველო სტრატეგიის გამართულად განხორციელების უზრუნველყოფა, რაც მოიცავს შეღავათებით მოსარგებლე საწარმოების საქმიანობაზე მკაცრი მონიტორინგის წარმოებას და, შესაბამის შემთხვევებში, დისციპლინარული ღონისძიებების გატარებას. შეღავათებით მოსარგებლე კომპანიები, რომლებიც ვერ შეძლებენ მაღალი საექსპორტო მაჩვენებლების მიღწევას, უნდა დაექვემდებარონ საჯარიმო სანქციებს.

**THE SPECIFICITIES OF THE IMPACT OF GLOBALIZATION
ON BUSINESS ENVIRONMENT ENHANCEMENT IN GEORGIA
SUMMARY**

This paper studies the link between globalization and business environment reforms in Georgia. In particular, we analyze recent developments and enhancements in Georgian business environment and their effects the performance of Georgian economy. We find that despite some improvements the competitiveness and productivity of business in Georgia is still very low. The main reasons of this is that market mechanisms in Georgia, don't provide private agents with enough incentives to invest in innovative activities that will guarantee dynamic development of productive structure in the economy. As the market fails to provide mechanisms that will move our country out of poverty, some state intervention, including positive incentives for innovations as well as investment programs may be required to provide innovative and productive development of Georgian economy.

On the basis of the worldwide development experience we try to find the most relevant approaches for the reforms, in order to provide sustainable rates of growth and improvement of social indicators. These conditions are necessary for Georgia to become a developed country.

**რევაზ ჯავახიშვილი
ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი
ეკონომიკის გლობალიზაციაში**

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ძირითად ტენდენციას მისი გლობალიზაცია წარმოადგენს. ამჟამად სულ უფრო ძლიერდება ეროვნული ეკონომიკის ინტერესების აბსოლუტიზაციის პერიოდიდან მის ახალ ეტაპზე – გლობალურ ეკონომიკაზე გადასვლა, რაშიც გადამწყვეტილება ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტნკ) ასრულებენ.

ტნკ-ში იგულისხმება მსხვილი ფირმა ან სხვა ქვეყნის ფირმების გაერთიანება, რომელსაც აქვს საზღვარგარეთული აქტივები და მნიშვნელოვანი აღგილი უკავია მსოფლიო გაონომიკის განვითარებაში. წარმოების განლაგების, პროდუქციის რეალიზაციისა და საკუთრების უფლებათა თავისებურებების გათვალისწინებით, მათ გააჩნიათ შემდეგი ძირითადი მახასიათებლები: საზღვარგარეთის ქვეყნებში საწარმოებისა და მათი ფილიალების განლაგება; პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილის უცხოეთში რეალიზაცია; სხვადასხვა ქვეყნის რეზიდენტების (მოქალაქეების) ერთობლივი საკუთრების არსებობა.

თანამედროვე ეტაპზე, გლობალიზაციის პროცესის გაღრმავების კვალობაზე გასაღების ბაზრების, წარმოებისა და საკუთრების ინტერნაციონალიზაციის პირობებში, ტნკ-ებსა და წვეულებრივ კომპანიებს შორის ზღვარი რამდენადმე პირობითია. ამჟამად, გაეროს კლასიფიკაციით, ტნკ-ებს მიეკუთვნება ფირმები: რომელთაც საწარმოები აქვთ არანაკლებ ორ ქვეყანაში; მათ შორის ხორციელდება აქტიური ეკონომიკური თანამშრომლობა (რესურსებისა და პასუხისმგებლობის ურთიერთგაცვლა); ცენტრალიზებულად ხორციელდება შეთანხმებული ეკონომიკური პოლიტიკა.

გამოყოფენ ტნკ-ების სამ ძირითად ტიპს: 1. რომლებიც შექმნილია ერთი ქვეყნის აქციონერული კაპიტალითა და მმართველობითი კონტროლით, რომელთა სათავო კომპანია განთავსებულია ბაზირების ქვეყანაში, ფილიალები კი მთელ მსოფლიოში; 2. რომლებიც შექმნილია ინტერნაციონალური კაპიტალისა და მმართველობითი კონტროლის ბაზაზე და აერთიანებენ ორი ან მეტი ქვეყნის ეროვნულ კომპანიებს; 3. სამრეწველო და საბაზო სფეროში მსხვილმასშტაბიანი ამოცანების გადაწყვეტის მიზნით შექმნილი საერთაშორისო კორპორაციული კავშირები, რომლებიც ფუნქციონირებენ ელექტრონულ, ელექტრო-ტექნიკურ, ქიმიურ, სანავთობო, საგზომობილო, ავიამშენებელ და ინფორმატიკის სფეროებში.

ტნკ-ების საქმიანობის შესაფასებლად გამოიყენება ე.წ. ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სამი მაჩვენებლის საშუალო მნიშვნელობას: უცხოური აქტივების წილს აქტივების საერთო მოცულობაში; საზღვარგარეთული გაყიდვების წილს გაყიდვების მთლიან მოცულობაში; საზღვარგარეთულ ფილიალებში მომუშავეთა წილს და-საქმებულთა მთლიან რაოდენობაში. ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის ზრდასთან ერთად იზრდება საზღვარგარეთული ფილიალების როლი ტნკ-ების საქმიანობაში.

ტნკ-ების წარმოშობა-განვითარებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ისინი ჯერ კიდევ XVI-XVII-სს. მიჯნაზე ჩაისახა და XX საუკუნეებდე უმეტესწილად სავაჭრო საქმიანობას ახორციელებდნენ და გადამწყვეტ როლს ვერ ასრულებდნენ კაპიტალიზმის განვითარებაში. XIX საუკუნის ბოლოს ისინი გარდაიქმნა სრულიად ახალი ტიპის ტნკ-ებად, როცა თავისუფალი კონკურენცია იცვლებოდა ფირმა-მონოპოლიების კონკურენციით და ქვეყნებს შორის კაპიტალის მასობრივი მოძრაობა იწყებოდა. ამ დროიდან ტნკ-ების განვითარებაში გამოიყოფა სამი ეტაპი.

პირველ ეტაპზე (XX საუკუნის პირველი ნახევარი) ისინი კაპიტალს აბანდებდნენ სუსტად განვითარებული ქვეყნების სანედლეულო დარგებში, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობდა მაღალტექნოლოგიური წარმოება. **მეორე ეტაპზე** – XX საუკუნის მეორე ნახევრიდან – იწყება უცხოური საწარმოო ქვედანაყოფების როლის გაძლიერება, როცა ისინი უფრო მეტად ორიენტირებულნი არიან ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. ამ ეტაპზე მათი განვითარება ძირითადად ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე ხორციელდებოდა, რაც პირობებს ქმნიდა საწარმოო ოპერაციების გამარტივების, ცალკეული ტექნოლოგიური პროცესების განცალკევებისა და, შესაბამისად, მსოფლიო მასშტაბით წარმოების სივრცობრივი დეცენტრალიზაციისთვის.

ტნკ-ების განვითარების მესამე ეტაპი XX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება, რაც დაკავშირებულია წარმოებისა და რეალიზაციის გლობალური ქსელის შექმნასთან და ეფუძნება წარმოებისა და გასაღების ხარჯების სიღრმისეულ ანალიზს. წარმოება ხშირად ხორციელდება განვითარებად ქვეყნებში, სადაც წარმოების ხარჯები დაბალია, რეალიზაცია კი – უფრო მეტად განვითარებული ქვეყნების ბაზარზე, სადაც საქონელზე მოთხოვნა გაცილებით მაღალია. ამ ეტაპზე ხდება საერთაშორისო წარმოებისა და ვაჭრობის მჭიდროდ დაკავშირება, ტნკ-ების ერთიანი სამეცნიერო-საწარმოო და სავაჭრო-საფინანსო სტრატეგიის საფუძველზე განვითარება.

ამჟამად ტნკ-ები გლობალური მასშტაბით ფლობენ უზარმაზარ სამეცნიერო-საწარმოო და საბაზო პოტენციალს და წამყვან როლს ასრულებენ მსოფლიო ეკონომიკაში. 2007 წლისთვის მსოფლიოში მოქმედებდა 79 ათასი ტნკ 790 ათასი საზღვარგარეთული ფილიალით. მათმა პირდაპირმა ინვესტიციებმა 3.2 ტრლნ, ხოლო უცხოეთში გაყიდვების მოცულობამ 6.4 ტრლნ დოლარი შეადგინა. დღეს ისინი გლობალიზაციის პროცესის ლიდერები არიან. მარტო 500 უმსხვილეს კორპორაციაზე მოდის მსოფლიო გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტის 1/3, ნედლეულით ვაჭრობის 3/4 და ახალი ტექნოლოგიებით ვაჭრობის ბრუნვის 4/5. მათ წილად მოდის სამეცნიერო-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების 50%, ისინი აკონტროლებენ მსოფლიო ვაჭრობის 70%-ს, ხოლო მათგან 400 კი – ყველა უცხოური ინვესტიციების ნახევარს [6,93].

ეკონომიკის გლობალიზაციაში წამყვანი როლი ამერიკულ ტნკ-ებს ეკუთვნის, რომლებიც, პირდაპირი ინვესტიციებით, გადამწყვეტ გავლენას ახდენენ გლობალური წარმოების ფორმირებაზე. ამ გზით იქმნება აშშ-ს მთელი საწარმოო სიძლავრეების 20%-ზე მეტი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს ამერიკული კაპიტალის მიერ კონტროლირებად საზღვარგარეთულ საწარმოებში დასაქმებული იყო 8,9 მლნ მუშა-

მოსამსახურე, რაც შეადგენდა აშშ-ს ტნკ-ებში დასაქმებულთა 1/3-ს. მათი სახდვარგარეთული აქტივები უდრიდა 4,6 ტრლი, ხოლო წარმოებული პროდუქციის დირებულება აჭარბებდა 650 მლრდ დოლარს [3,122].

ამჟამად ტნკ-ები ქმნიან მსოფლიო მშპ-ს 1/4-ს. ამასთან, ეს არის მაღალ მეცნიერებატეგადი ინოვაციური პროდუქცია, რომელიც არსებითად განსაზღვრავს მსოფლიო მეურნეობის სახეს. კერძოდ, მობილური ტელეფონების რეალიზაციის 4/5 მოდის 6 ტნკ-ზე, მათ შორის ნოკიაზე – 40%, მოტოროლაზე – 15%, სამსუნგზე – 14% და ა.შ. ტნკ-ები მოქნილად იყენებენ მსოფლიოში თავიანთ გაბატონებულ მდგომარეობას, მათი კაპიტალი არაიშვიათად უხეშად არღვევს სუვერენულ სახელმწიფოთ საზღვრებს, ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციით ბატონდებიან მსოფლიო ეკონომიკაში და საკუთარ პირობებს კარნახობენ სუვერენულ სახელმწიფოებს, სახდვარგარეთული მოგების ნახევარზე მეტს ქაჩავენ ბაზირების ქვეყანაში [6,94].

გლობალიზაციის ეპოქაში ტნკ-ების ფაქტორი სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იქნის როგორც ეროვნულ, ისე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. პირდაპირი ინვესტიციები ხელს უწყობს ქვეყანაში დასაქმების ზრდასა და უმცურავობის შემცირებას, პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და საგარეო-სავაჭრო პოზიციების განმტკიცებას. ტრანსნაციონალიზაცია ზრდის საშუალო მოგებასა და მისი მდგრადი მიღების სამიეროობას. ტნკ-ები დიდ გავლენას ახდენენ შრომის მსოფლიო ბაზრის ფორმირებაზე, ხელს უწყობენ განვითარებულ ქვეყნებში უკვე აპრობირებული ინსტიტუტების – შრომითი და ანტიმონოპოლიური საკანონმდებლო ნორმების, დაბეგვრის პრინციპების, კონტრაქტების დადების პრაქტიკისა და სხვათა წარმატებულ გადატანასა და დანერგვას განვითარებად ქვეყნებში. ისინი წარმატებით ახორციელებენ აგრეთვე ისეთ საწარმოო, საინვესტიციო და სავაჭრო ფუნქციებს, როგორიცაა: ეკონომიკური ინტეგრაციის სტიმულირება, პროდუქციის საერთაშორისო წარმოება, განაწილება-რეგულირება,

ქვეყნებს შორის მდგრადი საგარეო ეკონომიკური კავშირების შექმნა, გლობალური ეკონომიკის ფორმირება-განმტკიცება და სხვ.

დადგებით მხარეებთან ერთად, ტნკ-ების საქმიანობას გააჩნია წევატიური ასპექტებიც, რომელთაგანაც აღსანიშნავია: შრომის საერთაშორისო დანაწილების სისტემაში კაპიტალის მიმღები ქვეყნებისთვის არაპერსპექტიული მიმართულების თავს მოხვევის შესაძლებლობა; მოძველებული და ეკოლოგიურად საშიში ტექნოლოგიების განვითარება; მათი დაბალი ხარისხისა და ფალიციურებული საქონლის გამსაღებლებად გადაქცევა; საინვესტიციო და საწარმოო პროცესების განვითარებაში რისკების ზრდა; შიდა ტრანსფერტული ფასების გამოყენებით მოგების დიდი ნაწილის ბაზირების ქვეყანაში გადაქარგვა და სხვ.

მიუხედავად წინააღმდეგობრივი ხასიათისა, ტნკ-ებს მაღომინირებელი ადგილი უკავიათ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის შეუქცევად პროცესში. სამომავლოდ, ტრანსნაციონალიზაციის გაღრმავებასთან ერთად, სულ უფრო გაიზრდება მათი ადგილი და როლი გლობალურ წარმოებასა და ბაზრის ფორმირებასა და ფუნქციონირებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბრალავა ა., ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია, თბ., 2005.
2. ასათიანი რ., გლობალიზაცია: ეკონომიკური თეორია და საქართველო, თბ., 2011.
3. მექვაბიშვილი ე., ეკონომიკის გლობალიზაცია: მიმართულებები, გამოწვევები, პერსპექტივები, თბ., 2009.
4. შენგელია თ., გლობალური ბიზნესი, თბ., 2010.
5. ჩიქავა ლ., ინვაციური ეკონომიკა, თბ., 2006.
6. ჭითანავა ნ., გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები, საქართვე-

ლოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტ. 8, ობ., 2010.

Javakhishvili Revaz

**THE ROLE OF TRANSNATIONAL CORPORATIONS
IN THE ECONOMIC GLOBALIZATION PROCESS
SUMMARY**

The key roles in the Economic Globalization process play Transnational Corporations (TNC). They have huge industrial, scientific and market potentials. They create 25% of the World's GDP. Five Hundred of them control 70% of world trade and more than a half of the Foreign Direct Investment.

At present TNCs produce new products, which essentially determine the shape of the modern world economy. They promote employment growth and unemployment reduction, improvement of foreign trade-economic relations, creation of sustainable economic development and formation of global economy. In the future the role of TNCs will be increased in the economic development and globalization process.

*თინათინ ჩხეიძე
გამუქა ხუხუკვაძე
მდგრადი ეკონომიკური განვითარების პრინციპები
გლობალიზაციის პირობები*

გლობალიზაცია – XXI საუკუნის კაცობრიობის პრობლემა გახდა. მსოფლიოში აშკარად გამოიკვეთა სვადასხვა სახელმწიფოებრივი წყობის ქაეყნების ინტეგრაციისაკენ სწრაფვა, რაც სავსებით კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს, რადგანაც სახოგადოების განვითარების ისტორიამ გვიჩვენა, რომ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ იზოლირებულად, გარესაყაროსაგან მოწყვეტით განვითარება. ეს ნათლად გამოჩნდა – XX

საუკუნის სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ფონზე ამის მაგალითია გლობალიზაციის გაღრმავება მსოფლიოში, მსოფლიო საფინანსო ბაზრის წარმოქმნა, ტრანსეროვნული კორპორაციების გაძლიერება, ზეეროვნული ორგანოების როლის გაზრდა მსოფლიო პოლიტიკაში და ევრო ეკონომიკაში, განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენა, მსოფლიო თანამშრომლობის გაფართოება გლობალური პრობლემების გადაჭრაში იქნება ეს გარემოს დაცვა თუ სეპარატიზმთან ბრძოლა, სიდარიბესთან, შიმშილთან თუ ავადმყოფობასთან ბრძოლა.

სულ უფრო მასობრივი ხასიათი მიიღო ეკონომიკურმა ინტეგრაციამ. ეკონომიკური გლობალიზაცია ობიექტურმა მთხელებმა განაპირობა. მაგ. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ვალუტის კურსის მერყეობით შექმნილი პრობლემებიდან თავის დაღწევის მიზნით, შემოღებული იქნა ერთიანი ვალუტა – ევრო. ევროპული ვალუტის – ევროს შემოღება ქვეყნებს შორის ეკონომიკური და ფინანსური ინტეგრაციის თვალსაჩინო მაგალითია.

გლობალიზაციის არსი სხვადასხვაგვარად განიხილება სხვადასხვა წყობის ქვეყნებსა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენის მიერ. ეს პროცესი სხვადასხვაგვარად აღიქმება, რამდენადაც, ზოგი დადებით, ზოგი კი უარყოფით მოვლენად მიიჩნევს მას. მაგრამ მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა მსოფლიო ინტეგრაციაში სულ უფრო მეტი და მეტი ქვეყნა ერთვება.

ჩვენთვის ძალზე საინტერესოა საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციის პირობებში, თუმცა ჯერ კიდევ გასარკვევია რა არის გლობალიზაცია და რას უნდა ველოდოთ მისგან? რა პერსპექტივები შეიძლება პქმნდეს საქართველოს მდგრად განვითარების ეკონომიკას გლობალიზაციის პირობებში?

ტერმინი „გლობალიზაცია“ – ინგლისური სიტყვა გლობე – დედამიწა-სგან არის მიღებული. გლობალ – მსოფლიოს,

ყოვლისმომცველს ნიშნავს, გლობალიზაცია კი –პროცესს. გლობალიზაციაში იგულისხმება მსოფლიო მასშტაბით წარმოქის განზოგადოება – ინტერნალიზაცია. კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა, საერთო ბაზრის ჩამოყალიბება, ინფორმაციის, იდეების, თანამედროვე მენეჯმენტის და მარკეტინგის გამოცდილების სწრაფი გაცვლა.

1966 წ. ურნალისტმა ვ. ეიმურმა ეს ტერმინი გამოიყენა სოციოლოგიის ამერიკულ ურნალში დაბეჭდილ სტატიაში “ეკონომიკური სოციოლოგია”.

პირველად ტერმინი გლობალიზაცია მოხვდა 1994 წელს გამოშვებულ ოქსფორდის სოციოლოგიის ლექსიკონში: გლობალიზაციაა თეორია, რომელიც ცდილობს შეისწავლოს გლობალურ კულტურათა სისტემების ჩამოყალიბება.

ეკონომიკურ ლექსიკონში „გლობალიზაცია“ განმარტებულია, როგორც „მსოფლიოს ყველა ქვეყნის ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულების ზრდა, რომლის საფუძველს წარმოადგენს წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზმის გაღრმავება. გლობალიზაციის შედეგად თანაბრდება მეურნეობრიობის პირობები. ერთმანეთს უახლოვდება ფასები, საქონლის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის, სხვადასხვა ქვეყნის ფინანსური და საფონდო ბაზრების საქმიანობაში იხსნება ბარიერები“.^[1]

გლობალიზაცია არის მსოფლიოს ტრანსფორმაციის უდიდესი ძალა, რომელიც პასუხს აგებს საზოგადოებისა და ეკონომიკის ეკოლუციაზე. ასევე მართვის ფორმებისა და მსოფლიო წესრიგის ცვლილებებზე, იგი თანდათან ანგრევს განსხვავებებს საშინაო და საგარეო პრობლემებს შორის.^[2]

გლობალიზაცია ეს არის დასავლური მოდერნიზაციის გლობალური დიფუზია, გაფართოება დასავლური კაპიტალისა და დასაგლური ინსტიტუტების. გლობალიზაცია ნიშნავს ცხოვრების პომოგენიზაციას: ფასები, პროდუქტები, ჯანდაცვის დონე და ხარისხი, შემოსავლების დონე თანდათან თანაბრდება. ძალას იკრებს კაცობრიობაზე არნახული გავლენის მქონე

პროცესი, რომელიც ტრანსკონტინენტალური და რეგიონთშორისი ნაკადების გენერირებას ახდენს, რომლის შედეგადაც იქმნება გლობალური მასშტაბის ურთიერთდამოკიდებულება. გლობალიზაცია არის ცოცხალი, დინამიური პროცესი, რომელმაც მსოფლიო ახალ წესრიგამდე უნდა მიიყვანოს.

მეცნიერო ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ გლობალიზაციის სათავეები XV-ს დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს უკავშირდება. მეორე ჯგუფის აზრით ეს არის XIX-XXს.ს მნიშვნელოვან საბუნებისმეტყველო აღმოჩენებთან დაკავშირდებული. ხოლო მესამე ჯგუფი თვლის, რომ იგი XXსს მეორე ნახევრის ინფორმაციულ ეპოქის დასაწყისს უკავშირდება.

ზოგი თვლის, რომ ეს პროცესი სულაც არ არის ახალი. ვაჭრობა ოდითგანვე არსებობდა, ახლა მხოლოდ დაიხვეწა ტექნოლოგიების გამო.

გლობალიზაციის განსაზღვრისას გამოიკვეთა ორი მიმართულება: ტექნიკური და პოლიტიკური. ტექნიკური განმარტების მიხედვით გლობალიზაცია არის ისეთი პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს გაადვილებული გზებით დაუკავშირდენენ ერთმანეთს, აწარმოონ ბიზნესი საერთაშორისო დონეზე, წამებში გაცვალონ და მოიპოვონ იფორმაცია. პოლიტიკური განმარტებით – გლობალიზაცია წარმოადგენს დიდი პოლიტიკური მუხრის მატარებელ პროცესს, რომელიც საერთაშორისო არენაზე მყოფ ქვეყნებს და მის მოქალაქეებს უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს სხვებთან შედარებით.

ექსპერტთა ნაწილის აზრით, გლობალიზაცია არის პროცესი, რომელიც განპირობებულია საბაზრო და არასახელმწიფო ებრივი ძალებით რათა მოიზიდონ კაპიტალი და იფიქრონ კეთილდღეობაზე, ასევე ისარგებლონ საკუთარ ეკონომიკაზე თანამედროვე ტექნოლოგიების გავლენის ნაყოფით.

ასევე, გამოიკვეთა გლობალიზაციის მხარდამჭერნი და მოწინააღმდეგნი.

გლობალიზაციის მომხრენი თვლიან, რომ: ეს პროცესი მთელი მსოფლიოსათვის სიკეთის მომტანი იქნება, რომ ეკონო-მიკური ინტეგრაცია ხელს შეუწყობს მსოფლიოში მშვიდობისა და დემოკრატიის შენარჩუნებას. ეს შეხედულება იმას ეფუძნება, რომ ვაჭრობის ორმხრივი სარგებლიანობა სტიმულს აძლევს ქვეყნებს შეინარჩუნონ სტაბილურობა და მშვიდობიანი ურთიერთობა, ვიდრე არასტაბილურობის შედეგად ნახონ წაგება ან ნაკლები სარგებელი.

ერთ-ერთ დადებით მხარედ მიიჩნევენ საერთაშორისო ვაჭრობის პროცესს, რაც ნებისმიერ ქვეყანას აძლევს საშუალებას ჩაერთოს ამ პროცეში და მიიღოს საჭირო სარგებელი. გლობალიზაცია ხელს უშლის ადგილობრივი მონოპოლიების წარმოქმნას, ზრდის კონკურენციას და აიძულებს ფირმებს დანერგონ ინვაციები, გამოიყენონ ახალი ტექნოლოგიები, რაც საბოლოო ჯამში სასარგებლოა მომხმარებლისათვის.

გლობალიზაციაში იგულისხმება მსოფლიო მასშტაბით განზოგადოება, ინტერნაციონალიზაცია, კაპიტალის თავისუფალი ბრუნვა საერთო ბაზრის ჩამოყალიბება, ინფორმაციის, იდეების, თანამედროვე მენეჯმენტის და მარკეტინგის გამოცდილების გაცვლა. დავოა, რომ ჩაკეტილ სისტემაში ეროვნული ეკონომიკის განვითარების შესაძლებლობა შეზღუდულია.

გლობალიზაციის მოწინააღმდეგენი კი თვლიან, რომ ეს ის არის, რასაც საუკუნეების მანძილზე მესამე სამყაროში ვუწოდებდით კოლონიზაციას. ეს არის ეკონომიკურად სუსტი ქვეყნების ექსპლოატირება მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური სისტემის მიერ და მათი იძულება დაემორჩილონ და დამოკიდებულებიც კი გახდნენ დასავლეთზე.

გლობალიზაცია აღრმავებს უთანასწორობას და სიღარიბეს მსოფლიოში მდიდარ და დარიბ ქვეყნებს შორის. XXს. მდიდარმა ქვეყნებმა 6-ჯერ გაზარდეს მთლიანი შიდა პროდუქტი, მაშინ როდესაც დარიბმა ქვეყნებმა იგივე 3-ჯერაც კი ვერ მოახერხეს.

ასევე უარყოფით მხარედ მიიჩნევენ უმუშევრობის ზრდას. გლობალიზაციის პირობებში ფირმებს საშუალება აქვთ თავიანთი წარმოება გაიტანონ ქვეყნის ფარგლებს გარეთ და უცხო მუშახელი დაიქირაონ. ამით ადგილობრივ მუშახელზე მოთხოვნილება მცირდება.

ზოგი გლობალიზაციას აღიქვამს, როგორც ტრაგიული პროცესს, რომელიც თავის გზაზე ყველა ერს ანადგურებს.

უცხოური კაპიტალი ხელს უწყობს სახელმწიფოს როლის ტრანფორმაციას. გარდამავალ და განვითარებად ქვეყნებში საგარეო ფაქტორის ზრდა ხელს უწყობს სახელმწიფოს მარეგულირებელ როლზე და ისტორიულ ფუნქციებზე უარის თქმას.

ტრანსეროვნული კომპანიები ზოგჯერ სიკეთის ნაცვლად უარყოფითად მოქმედებენ გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაზე, ისინი ხშირ შემთხვევაში იწვევენ ადგილობრივი წარმოების შეზღუდვას, დათრგუნვას და უცხოური პროდუქციის თავსმოხვევას, თავისი დიდი კაპიტალით ზემოქმედებენ ადგილობრივ ხელისუფლებაზე და რესურსებზე, რითაც ასე თუ ისე პოლიტიკურ სიტუაციასაც აკონტროლებენ.

ცნობილია, რომ ეს ორგანიზაციები უძლეურნი არიან დიდი ქვეყნების: აშშ-ს, კანადის, იაპონიის წინაშე და არ ძალუბთ სხვა ქვეყნებს მათ ბაზრებში შეღწევა, მათ კი უხსნიან კარს სხვა ქვეყნების ბაზრებში, როგორიც არიან გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების ბაზარი.

არის მესამე ჯგუფი ალტერ გლობალისტებისა – რომლებიც ამბობენ, რომ გლობალიზაცია ნორმალური მოვლენაა და რომ ის არის საზოგადოების ევოლუციის ბუნებრივი პროცესი ცივილიზაციის გზაზე. რომ შეუძლებელია გლობალიზაციის შეჩერება ან შეწყვეტა. შესაძლებელია მხოლოდ მისი შეცვლა, ისე რომ იგი სოციალურად ორიენტირებული და მაქსიმალურად ჰუმანური, ანუ ადამიანისათვის სარგებლის მომტანი იყოს.

საქართველოს სპეციალისტების მოსაზრება ემთხვევა აღტერ გლობალისტების მოსაზრებას [5,6], რომ ნებისმიერი ქვეყნის სოციალ ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარება სამყაროსაგან იზოლირებულად შეუძლებელია, მაგრამ ამავე დროს საჭიროა შენარჩუნებული იქნენ ეროვნული კულტურა და სხვა დირებულებები.

საქართველოსათვის აუცილებელია გარე სამყაროსთან კავშირი, რასაც გლობალიზაციაც მოითხოვს. მაგრამ ამისათვის აუცილებელია საერთაშორისო მაშტაბით კონკურენტუნარიანი პროდუქტების წარმოება და მისი გასაღების ახალი ბაზრების ძიება. მაღალტექნოლოგიური და მეცნიერტევადი წარმოების განვითარება. მდგრადი ეკონომიკური სისტემის შექმნა და სხვა.

თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკა ნათლად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია გლობალიზაციის ფუნდამენტურ პრინციპებთან შეუთავსებლად. იზოლაციაში ყოფნა სტაგნაციას ნიშნავს. აქედან გამომდინარე გლობალიზაციის პროცესში ჩართვა ჩვენი სტრატეგიული მიზანია, რაც ტრანსფორმაციის პროცესებთან ერთად ეკონომიკის პერსპექტივული განვითარების ლოგიკას განსაზღვრავს. ამასთანავე აღნიშნულ პროცესში ჩართვა და მონაწილეობა უნდა განხორციელდეს საკუთარი სახის და თვითმყოფადობის შენარჩუნებით. ქვეყნის წინაშე მდგარი სტრატეგიული მიზნიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ამოცანა: მთელი საზოგადოებისა და პირველ რიგში ეკონომიკის რეკონსტრუქცია იმ იმედით, რაც ძირძველ ტრადიციებს ინოვაციასთან გააერთიანებს [5].

მიუხედავათ აზრთა სხადასხვაობისა, აღნიშნული პროცესი არსებობს, ფართოვდება მისი მასშტაბები, ძლიერდება და თანდათან იპყრობს მსოფლიოს, რასაც მოწმობს ისეთი ინსტიტუტების არსებობა, როგორიცაა მსოფლიოს სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაციები და სხვა. დღეისათვის სახეზეა მსოფლიოში კულტურათა გლობა-

ლიზაციის პროცესი – დასავლურმა კულტურამ გამოდევნა ან ჩაანაცვლა ეროვნული კულტურები. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, იქნება ეს ინდოეთი თუ იაპონია მოსახლეობა იცვამს ევროპულ ტანსაცმელს და უსმენს როგორც მუსიკებს და სხა.

საქართველო ჩაბმულია ამ საყოველთაო პროცესით, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი სარგებლობს დონორი ქვეყნების დახმარებით, მსოფლიო ბანკის, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მომსახურებით. ამჟამად საქართველოს მსოფლიოს საფინანსო ორგანიზაციების 11,5 მილიარდამდე აშშ დოლარი გალი აქვს. ამ ურთიერთობების დადებითი თუ უარყოფითი შედეგი საქართველოსათვის ჯერჯერობით უცნობია.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გლობალიზაციის პროცესში ჩართვა სასიკეთოდ წაადგება საქართველოს მოსახლეობას, რასაც ეჭვს ქვეშ აყენებს ის გარემოება, რომ ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობები ვერ აკმაყოფილებს „მდგრადი განვითარების მოთხოვნებს“. კერძოდ, „მდგრადი განვითარების“ კონცეფცია, რომელმაც საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და რომელსაც საქართველოც შეუერთდა, მოითხოვს ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, როდესაც ახლანდელი თაობა არ შეუქმნის წინააღმდეგობებს მომავალ თაობებს, აგრეთვე თანამედროვე თაობამ უნადა გაითვალისწინოს მომავალი თაობების სასიცოცხლო ინტერესები, ისე რომ საფრთხის ქვეშ არ დააყენოს მათი მოთხოვნილებების დაქმაყოფილების შესაძლებლობა.

„მდგრადი განვითარების“ არსები იგულისხმება ისეთი მოდელი, რომლის მიხედვითაც უნდა დაკმაყოფილდეს, როგორც ახლანდელი ისე მოდენურ თაობების ძირითადი მოთხოვნილებები, და ეხლანდელმა თაობამ არ უნდა იცხოვოს მომავალი თაობების ხარჯზე.

საერთაშორისო სპეციალისტების აზრით, 35 წელიწადია საჭირო მხოლოდ იმისათვის, რომ არსებული ტექნოლოგიების ბაზაზე ნომინალური მშპ-ს მიხედვით მოსახლეობის ერთსულზე, საქართველო ეგროკავშირის დღევანდელ დონეს გაუ-

თანაბრდეს [5]. აქედან გამომდინარე საკითხავია: როდის ან როგორ გადაიხდის მომავალი თაობა იმ ვალს, რომელიც ამჟამად საქართველოს გააჩნია მსოფლიოს მიმართ.

გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ეკონომიკას დასჭირდება დიდი ძალის ხმელეთი აუწყოს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს, ისე რომ შეინარჩუნოს „მდგრადი განვითარება“, თვითმყოფადობა და ეროვნულობა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კეინს მეინარდ ჯონ – გლობალიზაციის არსის დანსაზღვრისათვის // ახალი აზრი - №2 (8) 2003
2. ლ. წულაია. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი. თბ. 2006
3. მარტინ ჯორ 1995
4. ბოლქვაძე ქ. გლობალიზაცია, ვესტერნიზაცია და მოდერნიზაცია, 2008
5. მექაბიშვილი ე. გლობალიზაციის გამოწვევები და საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივა, ბიზნესი და კანონდებლობა, №4, 2009
6. გოგოხია რ. გლობალიზაცია და საქართველოს მომავლი. Thursday April 7. 2011
7. ხუსკივაძე მ. გარემოს დაცვის პრობლემები გლობალიზაციის პირობებში და მისი გადაჭრის აუცილებლობა საქართველოში. პ. გუგუშვილის ეპ. ინსტ. 65 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, თბ. 2010
8. აბესაძე რ. გლობალიზაცია და მისი ეროვნულ ეკონომიკაზე გავლენის ზოგიერთი ასპექტი. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ტომი 1, 2012
9. არევაძე ნ. გლობალიზაციის გავლენა მაკროეკონომიკური მაჩვენებლებზე პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ტომი 1, 2012

ვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ტომი 1, 2012

Chkheidze Tinatin

Khuskivadze Mamuka

**PROSPECTS FOR SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT
UNDER GLOBALIZATION
SUMMARY**

Globalization has become a problem of the XXI century.

The essence of globalization is considered differently in the countries of a different social order and by the different stratum of population. Someone evaluates this process negatively, but other – positively. assessment of this process. Despite the difference of opinions in the integration of more and more countries are getting involved. Massively economic integration.

Georgia is participating in the general process, This means that it enjoys the support of donor countries, The World Trade Organization, World Bank, etc. Services. Sustainable development of these relations may lead to positive or negative result is still unknown.

**ნანული არევაძე
ქუთუვან ჯანაშია**

უმუშევართა დახმარების შესახებ

უმუშევართა დაცვა საბაზო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია, რამდენადაც დაკავშირებულია უმნიშვნელოვანების სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაჭრასთან, მათ შორის სოციალური დაბაბულობის შემცირებასთან და განპირობებულია საზოგადოებაში ისეთი ჯგუფის არსებობით, რომლებმაც დაკარგეს სამუშაო, შემოსავალი და სოციალური სტატუსი. ამ პოლიტიკამ უნდა მოიცვას დასაქმების ხელშეწყობა, მოსახლეობის შესაბამისი

ჯგუფების მატერიალური უზრუნველყოფა, ანუ მათთვის დაკარგული შემოსავლების გარკვეული ოდენობით კომპენსაცია, აგრეთვე შრომის ბაზარზე დამსაქმებელსა და უმუშევართა შორის კავშირის დამყარება.. აღნიშნული პრობლემის გადაჭრაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი, ფორმები და მათი გადაჭრის გზები სხვადასხვა ქვეყნაში განსხვავებულია. უმუშევართა დაცვის სისტემის საფუძვლები ასახულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დოკუმენტებში, სადაც განხოგადებულია ამ სფეროში მრავალი ქვეყნის პრაქტიკული გამოცდილება. ყველა ქვეყნისათვის ამოსავალ წერტილად მიჩნეულია უმუშევართა დახმარების სისტემის არსებობა. ძირითადი პარამეტრები, როთაც უმუშევართა დახმარების სისტემები სხვადასხვა ქვეყნაში ერთმანეთისაგან განსხვავდება, არის: უმუშევრობაზე კომპენსაციის უფლების მიღების პირობები, მისი მოცულობა და კომპენსაციის ხანგრძლივობა.

არსებობს ორი საბაზისო მოდელი: პირველი დამახასიათებელია ჩრდილო ამერიკის ქვეყნებისა და დიდი ბრიტანეთისათვის და ორიენტირებულია სახელმწიფოს, საწარმოსა და გადამხდელების მინიმალურ ეკონომიკურ და ფინანსურ დანაკარგებზე. უმუშევართა მატერიალური ხელშეწყობის სისტემა აგებულია მხოლოდ სადაზღვევო პრინციპებზე. მოდელს შეესაბამება შრომის დინამიური ბაზარი სამუშაო ადგილების შექმნისა და ლიკვიდაციის მაღალი ტემპებით, მოსახლეობის თავისუფალი პროფესიული და ტერიტორიული მობილურობით, საშუალო ხელფასის მაღალი დონითა და შედარებით სუსტი საკანონმდებლო ბაზით.

მეორე მოდელი დამახასიათებელია დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობისათვის, მასში აქცენტი გაკეთებულია უმუშევართა სოციალურ დახმარებაზე. სისტემა გამოირჩევა სახელმწიფოს მაღალი დანახარჯებით უმუშევართა ხელშეწყობაზე და მიმართულია მოსახლეობის თანდათანობით ადაპტაციაზე შრომის ბაზრის ცვლილებებთან. უმუშევართა მატერიალური ხელშეწყობა ხდება უმუშევართა დაზღვევისა და

სოციალური დახმარების სისტემის მეშვეობით. სადაზღვევო კომპენსაციაზე უფლების არარესებობის ან მისი ამოწურვის შემთხვევაში, უმუშევარი ხდება სოციალური დახმარების სისტემის ობიექტი (welfare system). ევროპის ქვეყნებში დასაქმებულთათვის სავალდებულო დაზღვევა აუცილებელია და მოიცავს დასაქმებულთა საერთო ოდენობის 60-80%-ს. პირველი მოდელის ქვეყნებში სავალდებულო დაზღვევა ორჯერ ნაკლებია და მოიცავს მხოლოდ დაბალი ანაზღაურების მქონე დასაქმებულებს. იგულისხმება, რომ მაღალანაზღაურებადი დასაქმებულები შესაძლო უმუშევრობისაგან ნებაყოფლობით ეზღვევიან.

უმუშევართა დახმარების სადაზღვევო სისტემა გამოდის იქიდან, რომ საკონპენსაციო ანაზღაურებათა ვადების შეზღუდვა ხელს უწყობს უმუშევართა მიერ სამუშაოს აქტიურ ძიებას. განვითარებულ ქვეყნებში საკომპენსაციო ანაზღაურებათა ოდენობა განისაზღვრება გამომუშავების ოდენობით და განსაზღვრული ვადის განმავლობაში აუნაზღაურდება პირებს, რომელთაც უმუშევართა სადაზღვევო ფონდში აქვთ გარკვეული შენატანები. დახმარების ოდენობა გამომუშავების საქმაო ნაწილს შეადგენს, ხოლო საკომპენსაციო ანაზღაურებათა ვადების შემცირებას. თუ უმუშევრობა ხანგრძლივი დროის მანძილზე გრძელდება, უმუშევრები, რომელთაც დაკარგეს უფლება სადაზღვევო დახმარებაზე, გადაჰყავთ სოციალური დახმარების სისტემაზე. ამ სისტემათაგან თითოეული დამოუკიდებელია როგორც დანიშნულების მიხედვით, ისე ფინანსური წყაროს თვალსაზრისით. თუ პირველის მიზანია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიერ უმუშევრებისადმი დახმარება შეზღდული ვადის განმავლობაში, მეორის მიზანია მოსახლეობის უდარიბესი ფენების (მათ შორის უმუშევართა) ხელშეწყობა შედარებით ხანგრძლივი დროით. თუ უმუშევართა მატერიალური დახმარება დაფუძნებულია სადაზღვევო პრინციპებზე და მისი დაფინანსების წყაროს წარმოადგენს სპეცია-

ლური სადაზღვევო ფონდი, სოციალური დახმარების ფონდი ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან. უმუშევართა დახმარების სისტემა შეიძლება უფლებულად ჩაითვალოს, თუ ის ოპტიმალურია შრომისუნარიანი მოსახლეობის ძირითადი სასიცოცხლო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სამუშაოს ძიების პერიოდში.

უმუშევართა დახმარების სადაზღვევო სისტემის ძირითადი პრინციპებია:

- დახმარების – სადაზღვევო ანაზღაურების – მოცულობის დამოკიდებულება გამომუშავების ოდენობასთან უკანასკნელ სამუშაო ადგილზე;

- მისი მიღების ხანგრძლივობის კანონმდებლობით შეზღუდვა და ის, რომ სადაზღვევო ანაზღაურებაზე უფლება ყველა უმუშევარს არ გააჩნია.

უმუშევართა სოციალური დახმარების სისტემის ძირითადი პრინციპებია:

- სოციალური დახმარების (შემწეობის) განსაზღვრის ერთიანაირი მეთოდის არსებობა;

- შემწეობის მოცულობის დაკავშირება სახელმწიფოს მინიჭებულ სოციალურ გარანტიებთან (მინიჭებულ ხელფასთან ან საარსებო მინიჭებთან);

- შემწეობაზე უფლება პოტენციურად ყველა უმუშევარს.

განსხვავებულია ანაზღაურებისა და შემწეობის ფუნქციებიც სადაზღვევო სისტემასა და სოციალური დახმარების სისტემაში. პირველ შემთხვევაში მას ძირითად გააჩნია კვლავ-წარმოებითი და მასტიმულირებელი ფუნქცია, მეორე შემთხვევაში პირველ პლანზეა სოციალური ფუნქცია.

მსოფლიო პრაქტიკაში არსებობს სადაზღვევო ანაზღაურების განსაზღვრის სხვადასხვა სქემა: ზოგიერთ ქვეყანაში საკომპენსაციო ანაზღაურების მოცულობა ერთ დონეზე რჩება უმუშევრობის მთელი პერიოდის განმავლობაში, ზოგიერთში გამოიყენება ანაზღაურებათა მოცულობის რეგრესიული სკალა.

თითოეულ სქემას გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მაგრამ ყოველი მათგანი განისაზღვრება დოკუმენტურად დადასტურებული უკანასკნელი ხელფასიდან და შეადგენს მის მნიშვნელოვან ნაწილს. საკომპენსაციო ანაზღაურების საერთო მოცულობაზე მოქმედებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა მუშაკის მიერ მუშაობის მთელი პერიოდის განმავლობაში მიღებული სახელმწიფოს მიერ დადგენილი ემოსავლების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა, რომელიც ექვემდებარება უმუშევრობაზე დაზღვევას, საოჯახო სტატუსი და ა.შ. ასე მაგალითად, გერმანიაში ანაზღაურება საშუალოდ შეადგენს გადასახადებით დაბეგრილი გამომუშავების 68%-ს, კანადაში, ჩეხეთში, ავსტრიასა და ბელგიაში – 60, უნგრეთსა და უკრაინაში – 70, ხორვატიაში – 80, ბელგიაში – 50, ჩინეთში – 75 პროცენტს.

როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სადაზღვევო ფონდი იქმნება თვით დასაქმებულთა მიერ მათი მუშაობის პერიოდში. უმუშევრობაზე სადაზღვევო შენატანებს უნდა იხდიდეს ყველა დამსაქმებელი და დასაქმებული საპენსიო ასაკამდე. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, უმუშევრობაზე დაზღვევა სავალდებულო უნდა იყოს ყველა დასაქმებულისა და დამსაქმებლისათვის.

ზოგიერთ ქვეყანაში უმუშევართა სახელმწიფო სადაზღვევო ფონდს ხელმძღვანელობს საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც წარმოდგენილია ორი წევრი მთავრობიდან, ორი პროფესიონალიდან და ორი დამსაქმებლების მხრიდან. კერძო სადაზღვევო კომპანიაში დაზღვევისას სადაზღვევო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ იმ პირთან, რომელიც უშუალოდ მიმართავს კომპანიას. სადაზღვევო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში სადაზღვევო პოლისი უზრუნველყოფს დაზღვევას პირის მიერ სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში ერთი წლის მანძილზე, რომლის განმავლობაშიც ის დაცული იქნება. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სადაზღვევო ანაზღაურების მიზანია, უზრუნველყოს დაზღვეული და სამუშაოდაკარგული პირისათვის არსებობისათვის აუცილე-

ბელი შემოსავალი ახალი სამუშაოს ძიების პერიოდში. სადაზღვევო სისტემაში არსებობს ანაზღაურების სამი სახე:

- სადაზღვევო ანაზღაურება უმუშევრობაზე;
- ანაზღაურება მომუშავეთა მასობრივ შემცირებასთან დაკავშირებით (საწარმოს ან ორგანიზაციის ლიკვიდაცია);
- ანაზღაურება დამსაქმებლის გადახდისუუნარობასთან (გაკოტრება) დაკავშირებით.

მასობრივი შემცირების შემთხვევაში დაზღვევის მიზანია დამსაქმებლის დახმარება კოლექტიურ შემცირებასთან დაკავშირებული ხარჯების ნაწილობრივ ანაზღაურებაში. დამსაქმებლის გადახდისუუნარობის შემთხვევაში დაზღვევის მიზანია იმ თანხის ანაზღაურება, რომელიც ვერ მიიღო დასაქმებულმა დამსაქმებლის გადახდისუუნარობის გამო.

სადაზღვევო შემთხვევად ითვლება გათავისუფლება ოფიციალურად დადასტურებული, არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი მუხლით. ალბათობა იმისა, რომ შემთხვევა სადაზღვევოდ არ ჩაითვალოს, დიდია, ამიტომ შრომით კანონმდებლობაში გაწერილი უნდა იყოს შესაბამისი მუხლი შემთხვევათა ზუსტი ჩამონათვალით.

უმუშევრობის პოლისში შემთხვევათა სტანდარტული ჩამონათვალი, თუ რა შემთხვევაში არ გაიცემა პოლისი, მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როგორიცაა:

- გათავისუფლება საკუთარი სურვილით ან მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
- დასაქმების ცენტრში რეგისტრაციის არარსებობა;
- საკუთარ თავზე ფიზიკური ზიანის მიუწება;
- დისციპლინის დარღვევა, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების ბოროტად გამოყენება;
- სამხედრო მოქმედებები, სახალხო მღელვარებები, გაფიცვები.

პუნქტში “დისციპლინის დარღვევა” შეიძლება გაერთიანდეს მრავალი კონკრეტული შემთხვევა (გაცდენები, დაგ-

ვიანება, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და ა.შ.). პირველ პუნქტს რაც შეეხება, კრიზისის პირობებში დამსაქმებლები ხშირად გაურბიან ფორმულირებას ”შემცირება,” რასაც მოჰყვება ფინანსური და დროითი დანაკარგები. ხშირ შემთხვევაში ფორმულირება ჟღერს, როგორც გათავისუფლება საკუთარი სურვილით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ან უვადო შვებულება, რაც რეალობას არ შეესაბამება და ასევე უნდა დაზუსტდეს.

უმუშევრობაზე დაზღვევის სისტემაში ანაზღაურების მიღების უფლება შესაძლებელია:

- თუ პირი იმყოფება უმუშევართა აღრიცხვაზე;
- მუშაობდა და იხდიდა სადაზღვევო შენატანებს არანაკლებ 12 თვის მანძილზე;
- თუ უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან არ გათავისუფლებილა საკუთარი სურვილით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დამსაქმებელმა დაარღვია ხელშეკრულების პირობები ან შეცვალა საწარმოო ან სამუშაო განრიგი;
- თუ არ გათავისუფლებულა მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- თუ არ გათავისუფლებულა შრომითი ან სამსახურებრივი უფლება-მოსილების დარღვევის, ნდობის დაკარგვის, შეუფერებელი ან კორუფციული საქციელის გამო;
- სადაზღვევო ანაზღაურების მიღება შესაძლებელია შემცირებისას, ორგანიზაციის ლიკვიდაციისას, შრომითი ან სამსახურებრივი ვადის დასრულებისა და ხანგრძლივი შრომისუუნარობისას.

პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება უმუშევრობაზე, განისაზღვრება სადაზღვევო სტაჟით უმუშევრობაზე. სადაზღვევო ანაზღაურების მოცულობა გამოითვლება საშუალო ხელფასის მიხედვით ერთ კალედონულ დღეზე. რეგრესიული სქალის მიხედვით, მაგ., ესტო-

ნეოში, პირველი ასი დღის მანძილზე ყოველ დღეზე გაიცემა საშუალო ხელფასის 50%, შემდეგ 40%.

- სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა 180 კალენდარულ დღეზე თუ სადაზღვევო სტაჟი 56 თვეზე ნაკლებია;
- სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა 270 კალენდარულ დღეზე თუ სადაზღვევო სტაჟი 56 - 110 თვემდეა;
- სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა 360 კალენდარულ დღეზე თუ სადაზღვევო სტაჟი 110 თვეზე მეტია

აშშ-ი, კანადასა და ევროპის ქვეყნებში პოპულარულია უმუშევართა ნებაყოფლობითი დაზღვევა. დაზღვევას ეწოდება “Job loss insurance” ანდა “Redundancy Insurance” და ხშირად შედის კრედიტის დაზღვევის პაკეტში დაზღვეულის სიცოცხლის დაზღვევასა და გირაოს დაზღვევასთან ერთად. უმუშევრობის პოლისის დირექტულება შეადგენს კრედიტის 3-5%-ს წელიწადში. კრიზისის დროს, როცა შემცირებების ალბათობა 30%-ით იზრდება, ის 3-4-ჯერ ძვირდება. პოლისის მიღება შეუძლიათ პირებს, რომელთაც პქონდათ მუდმივი სამუშაო უკანასკნელი 365 დღის მანძილზე, არ მიუდიათ გაფრთხილება შესაძლო შემცირებებასა ან დათხოვნაზე. დაზღვევას არ ექვემდებარებიან სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული ან თვითდასაქმებული პირები, სამხედროები, მომუშავე აქციონერები, რომლებიც ფლობენ კომპანიის აქციათა 10%- ზე მეტს. დასაზღვევი პირების ასაკი განსაზღვრულია 20-დან 65 წლამდე ან 18-დან 60 წლამდე. სადაზღვევო ანაზღაურების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს დოკუმენტურად დადასტურებული უკანასკნელი ხელფასის 65%-ს.

რაც შეეხება სოციალური დახმარების სისტემას, ამ შემთხვევაში შემწეობა გაიცემა მხოლოდ იმ პირებზე, რომლებიც დარეგისტრირდნენ დასაქმების სამსახურში და ითვლებიან უმუშევრებად. ზოგიერთ ქვეყანაში (უკრაინა, ისრაელი) შემწეობა გაიცემა 12 თვის განმავლობაში, თუ ამ

ხნის მანძილზე უმუშევარმა ვერ მონახა სამუშაო, მას უფლება აქვს შემწეობის მეორედ მიღებაზე კიდევ 12 თვის განმავლობაში (შემწეობის გაცემის მაქსიმალური ხანგრძლივობა). შემწეობა გაიცემა ყოველთვიურად იმ პირობით, რომ პირი თვეში ორჯერ გაივლის მორიგ რეგისტრაციას უმუშევრობაზე. შემწეობის გაცემის ხანგრძლივობა შეიძლება ნაკლები იყოს:

- თუ პირს მანამდე არ უმუშავია;
- თუ პირი იწყებს მუშაობას ხანგრძლივი (ერთ წელზე მეტი) უმუშევრობის შემდეგ;
- თუ პირი გათავისუფლებულ იქნა სამუშაო დიციპლინის ან სხვა სახის დარღვევების გამო;
- თუ პირი გათავისუფლებულ იქნა სხვა სახის დარღვევების საფუძველზე და ანაზღაურებადი სამუშაო გრძელდებოდა 26 კვირაზე ნაკლები ხნის განმავლობაში;
- თუ დასაქმების სამსახურმა პირი გააგზავნა გადასამზადებლად, საიდანაც ის გაირიცხა.

არსებობს შემწეობის მაქსიმალური და მინიმალური მოცულობა, რასაც ყოველწლიურად ადგენს სახელმწიფო და შემწეობის დანიშვნისას გათვალისწინებულია ინდივიდუალური ფაქტორები: მაგ., რის საფუძველზე დაირღვა შრომითი ხელშეკრულება, რა ხნის მანძილზე მუშაობდა პირი და ა.შ., შემწეობის მოცულობა განისაზღვრება კმაყოფაზე მყოფი პირების არსებობით ან არარსებობით, ოჯახის შემოსავლით და ა.შ. ასევე სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობებით.

ბევრ ქვეყანაში პირველ 12 თვიან პერიოდში, პირველი სამი თვის მანძილზე ინიშნება შემწეობა, უმუშევრის ბოლო სამუშაო აღგილზე (დოკუმენტურად დადასტურებული) საშუალო თვიური შემოსავლის 75%-ის ოდენობით, შემდეგი ოთხი თვის განმავლობაში 60%-ის ოდენობით, შემდეგ 45%-ის ოდენობით. ყველა შემოხვევაში შემწეობა არ უნდა იყოს შემწეობის მაქსიმალურ და მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები. მეორე 12 თვიან პერიოდში შემწეობა გაიცემა უმუშევართა

შემწეობის მინიმალური ოდენობით. მინიმალური მოცულობით შემწეობა გაიცემა აგრეთვე ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებშიც ორივე პერიოდის განმავლობაში.

სოციალური მიღებობა სახელმწიფოს მხრივ საქმაო ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული და მძიმე ტერიტორია თვით მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვისაც კი. როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, მაღალი და ხანგრძლივი სოციალური ანაზღაურებები ერთგვარ დესტიმულაციურ ეფექტს იწვევს. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ სადაზღვევო ანაზღაურებების მოცულობა საკმაოდ აღემატება სოციალური ანაზღაურებების მოცულობას, თუმცა ყველა შემთხვევაში უმუშევრობაზე დახმარების მოცულობა არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს ქვეყანაში უნდა ამოქმედდეს უმუშევართა სავალდებულო დაზღვევის სისტემა, რაც მრავალი ქვეყნის პრაქტიკიდან გამომდინარე, ოპტიმალურია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. თუმცა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, მაგალითად საქართველოსათვის, სადაც რეალური უმუშევრობა ძალიან მაღალია და სტაბილური სამუშაო აღილები მცირე, მისაღებად შეიძლება ჩაითვალოს უმუშევართა დახმარების შერეული მოდელი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება როგორც უმუშევრთა დაზღვევა, ისე უმუშევართა სოციალური დახმარება – შემწეობა. თუმცა, გამართული სადაზღვეო სისტემის შექმნასძეე საჭირო იქნება გარკვეული სხვა ღონისძიებების გატარება, რომელიც სახემწიფომ უნდა განახორციელოს დასაქმების სამსახურების მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დასაქმება და პოლიტიკა შრომის ბაზარზე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ზოგიერთ ქვეყანაში. პუბლიკაციების სერია სოციალურ-შრომით საკითხებზე

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. მეხუთე გამოცემა. მოსკოვი, I, 2000. გვ. 50 (რუსულად).

2. Standing G. Unemployment Benefits and Income Security. Discussion paper prepared for Geneva 2000: Follow-up to the world summit on social development. ILO, 2000. P. 33.

3. O' leary Ch. Nesporova A. Samorodov A. Manual of Evaluation of Labour Market Policies in Transition Economies. Geneva: ILO, 2001. P. 31.

4. www.tootukassa.ee
5. www.infobank.by
6. www.uveren.ru

თემა ლაზარაშვილი მსოფლიო ეკონომიკა და ბლოგალიზაცია

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პროცესს გლობალიზაცია წარმოადგენს, რომელიც სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის განვითარებაში სარისხობრივად ახალი ეტაპია.

გლობალიზაციისადმი მიღგომა, როგორც სპეციალისტების, ასევე არასპეციალისტებისთვის, სრულიად არაერთგვაროვანია და, შეიძლება ითქვას, რადიკალურიც. ასეთი შეხედულება, პირველ ყოვლისა, დაკავშირებულია გლობალიზაციის პროცესების შედეგებზე, რომლებშიც ერთნი ხედავენ მსოფლიო ეკონომიკური სისტემის სერიოზულ საფრთხეს, მეორენი კი – ეკონომიკის შემდგომი პროგრესის საშუალებას. უდავოა, გლობალიზაციის შედეგები შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი.

თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ურთიერთობების მთელ სისტემაში სიღრმისეული ცვლილებები ხდება, ხოლო მის ძირითად მახასიათებლად კი გლობალიზაცია გამოდის.

გლობალიზაციისადმი მიმავალი პროცესები შემდეგ ძირითად ეტაპებს მოიცავს:

- საწარმოო ძალების განვითარება;
- შრომის საერთაშორისო დანაწილება;
- საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობა (კაპიტალისა და წარმოების ინტერნაციონალიზაცია);
- საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია;
- მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია.

რეალურად ამ ეტაპების გამოყოფა ძალიან ძნელია, რადგანაც წმინდა სახით ძალიან იშვიათად შეიძლება არსებობდეს პრაქტიკაში, როგორც წესი, მხოლოდ მათი განსაზღვრული ტენდენციები ვლინდება. ამ ეტაპებს შორის არსებობს როგორც პირდაპირი, ისე ირიბი კავშირები.

როდესაც ვიწყებთ გლობალიზაციის ფენომენის გამოკვლევას, აუცილებლად საჭიროა, გავარკვიოთ რა მოაქვს გლობალიზაციას – ეკონომიკური პროგრესი და აყვავება თუ ახალი საშიშროებები და კონფლიქტები?

გლობალიზაცია ეკონომიკური ინტეგრაციის უმაღლესი ფორმაა. საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაცია არის საერთაშორისო სფეროში საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროს ურთიერთდამოკიდებულება. იგი ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროს. ჩვენ განვიხილავთ გლობალიზაციას უშუალოდ მსოფლიო ეკონომიკასთან მიმართებაში.

გლობალური განვითარების პროცესები, რომლის ჩარჩოებშიც ეროვნული წარმოებისა და ფინანსების სტრუქტურები ურთიერთდამოკიდებული ხდება, ჩქარდება დადებული და რეალიზებული საგარეო გარიგებების რიცხვის ზრდის შედეგად. მოიცავს რა მსოფლიო მეურნეობის ყველა რეგიონსა და სექტორს, გლობალიზაცია პრინციპულად ცვლის ეროვნული მეურნეობის განვითარების შიდა და გარე ფაქტორებს შორის თანაფარდობას უკანასკნელის სასარგებლოდ. არც ერთ სახელმწიფოს, სიდიდისა და განვითარების მიუხედავად, არ შეს-

წევს ძალა, რაციონალურად მოახდინოს განვითარების ეკონომიკური სტრატეგიის ფორმირება და რეალიზაცია ისე, რომ არ გაითვალისწინოს მსოფლიო მეურნეობის ძირითადი მონაწილეები, პრიორიტეტები და ქცევის ნორმები.

ჩვენი აზრით, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია შეიძლება დავახსასიათოთ, როგორც სხვადასხვა სფეროებისა და მსოფლიო ეკონომიკის პროცესების ურთულებელობა კიდევ ბულებისა და ურთიერთგავლენის გაძლიერება, რომელიც იწვევს მსოფლიო მეურნეობის საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ძალის და ცოდნის ერთიან ბაზრად გადაქცევას.

გლობალიზაციის პროცესი მოიცავს მსოფლიო ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებს, კერძოდ კი:

– საგარეო, საერთაშორისო და მსოფლიო ვაჭრობას საქონლით, მომსახურებით, ტექნოლოგიებით და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებით;

– წარმოების ფაქტორების საერთაშორისო მოძრაობას;

– საერთაშორისო საფინანსო-საკრედიტო და სავალუტო ოპერაციებს;

– საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკურ, ტექნოლოგიურ, ინჟინირინგულ და ინფორმაციულ თანამშრომლობას.

მსოფლიო ეკონომიკის თანამედროვე გლობალიზაცია გამოიხატება შემდეგ პროცესებში:

– წარმოების ინტერნაციონალიზაციის გადრმავება;

– სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის მასშტაბების ზრდა;

– კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება;

– საწარმოო ძალების გლობალიზაცია;

– გლობალური ინფრასტრუქტურის ფორმირება;

– გარემოზე წარმოებისა და მოხმარების ზემოქმედების ინტერნაციონალიზაციის ზრდა;

– გაცვლის ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება.

გლობალიზაცია და ინტეგრაცია, როგორც მრავალდონიანი მოვლენები, მოიცავს მიკრო (ცალკეული კომპანიები),

მაკრო (რეგიონული, ნაციონალური ეკონომიკა) და მეზო (სასაქონლო, ფინანსური და სავალუტო ბაზრები, შრომის ბაზრები) დონეებს.

მიკროდონებზე გლობალიზაცია ვლინდება კომპანიის საქმიანობის გაფართოებაში შიდა ბაზრის საზღვრებს გარეთ. მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების უმეტესობას გლობალურ მასშტაბებში უწევს მოქმედება: მათ ბაზრებად შეიძლება გადაიქცეს ნებისმიერი რაიონი მომხმარებლის მადალი დონით და მათ უნდა შეეძლოთ მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ყველგან, ეროვნული საკუთრებისა და საზღვრების მიუხედავად. კომპანიები აზროვნებენ მყიდველების, ტექნოლოგიების, დანახარჯების, მომწოდებლების, სტრატეგიული ალიანსებისა და კონკურენტების გლობალურ კატეგორიებში. უნიფიცირდებიან რა საერთაშორისო მასშტაბით, პროდუქციის წარმოებისა და გასაღების დაპროექტების სხვადასხვა რგოლებისა და სტადიების განლაგება სხვადასხვა ქვეყანაში ხდება. ტრანსნაციონალური ფირმების შექმნა და განვითარება უამრავი ბარიერის გვერდის ავლის საშუალებას იძლევა.

მაკროდონებზე გლობალიზაცია ვლინდება სახელმწიფოსა და ინტეგრაციული გაერთიანებების მისწრაფებაში ეკონომიკური აქტივობისაკენ საზღვრებს გარეთ ვაჭრობის ლიბერალიზაციის ხარჯზე, სავაჭრო და ინვესტიციური ბარიერების მოხსნაში, თავისუფალი ვაჭრობის ზონების შექმნაში და სხვა. ამის გარდა, გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესები მოიცავს სახელმწიფოთაშორის შეთანხმებულ ზომებს, მიმართულს მსოფლიო სამეცნიერო საბაზრო (ეკონომიკური, სამართლებრივი, ინფორმაციული, პოლიტიკური) სივრცის მიზანმიმართულ ფორმირებისკენ მსოფლიოს მსხვილ რეგიონებში.

ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობას უმეტეს შემთხვევაში უფრო დიდი მნიშვნელობა გააჩნია, ვიდრე შიდა ოპერაციებს, ისინი გლობალური პროცესების ძირითად სუბიექტებად გამოდიან.

ტრანსნაციონალური კორპორაციები გლობალიზაციის საფუძველი და ძირითადი მამოძრავებელი ძალაა.

შველა სამეცნიერო სუბიექტისათვის თავისუფალი და ეფექტიანი სამეწარმეო საქმიანობის ძირითად მოთხოვნილებად იქცევა ერთიანი გლობალური მსოფლიო ეკონომიკური, სამართლებრივი, ინფორმაციული, კულტურული სივრცის ფორმირება, საქონლისა და მომსახურების, კაპიტალის, სამუშაო ძალის ერთიანი მსოფლიო ბაზრის შექმნა, ეკონომიკური დაახლოება და ცალკეული ქვეყნების გაერთიანება ერთიან მსოფლიო სამეცნიერო კომპლექსში.

მსოფლიო ეკონომიკა პოლიცენტრულ სტრუქტურას წარმოადგენს, რომელიც უამრავ სახელმწიფოს მოიცავს, რომელთა განვითარებაც არათანაბარზომიერად მიმდინარეობს. განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ჩაკეტილ ეკონომიკაში ცხოვრობს, მათ არ შეხებიათ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ზრდა და ინტენსიფიკაცია. ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფები მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში არაერთნაირი ხარისხით და არათანაბარზომიერი პირობებით არიან ჩართულები.

მსოფლიო ეკონომიკური სივრცე არსებითად არაერთგვაროვანი რჩება ქვეყნებს შორის ტექნოლოგიური გარღვევის გამო. განვითარებული, განვითარებადი და მსოფლიო პერიოდურიების ქვეყნები ტექნოლოგიების სხვადასხვა დონეებს ფლობენ. განვითარებული ქვეყნები ამ მხრივ პრიორიტეტულ მდგრადარეობაში არიან, იყენებენ რა შედარებით მოწინავე ტექნოლოგიებს, ახდენენ მეცნიერებატევადი საქონლისა და მომსახურების ექსპორტებას განვითარების დაბალი და საშუალო დონის ქვეყნებში, ამასთან, იდებენ რა უდიდეს მოგებას.

გლობალიზაციის მახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ავტომატიზაციისა და ინტეგრაციის პროცესების შეხამება.

გლობალიზაციის პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ რაც უფრო მდიდარია და ძლიერი საზოგადოების შიდა კავშირები, მით უფრო მაღალია მისი ეკონომიკური და სოციალური

კონსოლიდაციის ხარისხი და რაც უფრო სრულად ხდება მისი შიდა რესურსების რეალიზაცია, მით უფრო წარმატებულად შეძლებს იგი გამოიყენოს ინტერნაციონალური კავშირების უპირატესობა და ადაპტირება გლობალური ბაზრის პირობებში.

გლობალური პროცესს ძირითადად განაპირობებს საწარმოო, მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ეკონომიკური, ინფორმაციული, პოლიტიკური და სოციალურ-კულტურული პირობები.

გლობალური პროცესების პოზიტიურ შედეგად შეიძლება დასახელდეს:

- გლობალიზაცია ხელს უწყობს სპეციალიზაციისა და შრომის საერთაშორისო დანაწილების გაღრმავებას;

- გლობალური პროცესების მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს წარმოების მასშტაბებზე ეკონომია, რაც იწვევს დანახარჯების შემცირებას და ფასების დაწევას, შესაბამისად კი – მდგრად ეკონომიკურ განვითარებას;

- გლობალიზაციის უპირატესობა დაკავშირებულია აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობისაგან სარგებლის მიღებასთან, რომელიც ყველა მხარისათვის მისაღებია;

- აძლიერებს რა კონკურენციას, გლობალიზაცია სტიმულირებს ახალი ტექნოლოგიების შემდგომ განვითარებას და მათ გავრცელებას ქვეყნებს შორის;

- გლობალიზაცია ხელს უწყობს საერთაშორისო კონკურენციის გამწვავებას;

- გლობალიზაცია იწვევს, აგრეთვე, შრომის მწარმოებლურობის ზრდას;

- გლობალიზაცია ქვეყნებს აძლევს შესაძლებლობას, მობილიზება გაუკეთოს ფინანსური რესურსების მნიშვნელოვან მოცულობას, რადგანაც ინვესტორები ბაზების გაზრდილი რაოდენობისას იყენებენ შედარებით ფართო ინსტრუმენტარიებს;

– გლობალიზაცია საშუალებას იძლევა, გადაიჭრას კაცობრიობის საერთო პრობლემები, განსაკუთრებით ეკოლოგიური, რაც განპირობებულია სხვადასხვა სფეროებში მსოფლიო თანასაზოგადოების ძალისხმევის გაერთიანებით, რესურსების კონსოლიდაციითა და მოქმედების კოორდინაციით.

გლობალიზაციის საბოლოო შედეგი, როგორც ამას სპეციალისტთა უმეტესობა მიიჩნევს, მსოფლიოში საყოველთაო კეთილდღეობის გაზრდა უნდა გახდეს.

როგორც აღნიშნეთ, გლობალური პროცესები მსოფლიო ეკონომიკაში სხვადასხვაგვარად აღიქმება და ფასდება. მას უკელაზე მეტად მიესალმებიან განვითარებულ ქვეყნებში, რასაც ვერ ვიტყვით განვითარებად ქვეყნებზე. ასეთი განსხვავება იმითაა გამოწვეული, რომ გლობალიზაციის უპირატესობა არათანაბარზომიერად ნაწილდება. ეს უპირატესობა კი აშკარად განვითარებული ქვეყნების მხარეზეა. ცალკეული ქვეყნების ეკონომიკაზე გლობალიზაციის პროცესების დადებითი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ადგილი უკავია მათ მსოფლიო ეკონომიკაში, ფაქტობრივად, უპირატესობათა ძირითად ნაწილს მდიდარი ქვეყნები იღებენ.

ვითვალისწინებთ რა გლობალიზაციიდან უპირატესობის არათანაბარ გადანაწილდებას, შესაბამისად გლობალური პროცესების ნებაზიური შედეგებიც კონკრეტული ქვეყნისათვის დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ადგილი უკავია ამ ქვეყანას მსოფლიო ეკონომიკაში. პრობლემებს შორის, რომლებსაც შესწევს ძალა, გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები გლობალური პროცესებიდან უკალა ქვეყანაში, შეიძლება დაგასახელოთ:

– გლობალიზაციიდან უპირატესობის არათანაბარზომიერი გადანაწილდება ნაციონალური ეკონომიკის ცალკეულ დარგებს შორის;

– ნაციონალური ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაციის შესაძლებლობა;

– ფინანსური სფეროს შესაძლო დესტაბილიზაცია;

- ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის გაზრდა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით;
 - სოციალურ-ეკონომიკურ ფენებად დაყოფის გაზრდა;
 - ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ სახელმწიფოების შეზღუდვა, გაატარონ ნაციონალურად ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა და სხვა.
- უპირველეს პრობლემას კი უმუშევრობის ზრდა წარმოადგენს, რომელიც მიიღება:
- ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად, რაც იწვევს სამუშაო ადგილების შემცირებას მრეწველობაში, აძლიერებს სოციალურ დაძაბულობას;
 - წარმოების სტრუქტურის ცვლილება და საქონლის შრომატევადი სახეების მასობრივი გამოშვების გადატანა განვითარებად ქვეყნებში, რაც პრობლემებს უქმნის ამ ქვეყნების ტრადიციულ დარგებს და იწვევს ბევრი საწარმოს დახურვას.

როგორც ვნახეთ, გლობალიზაციიდან მიღებული როგორც დადგითი, ისე უარყოფითი შედეგები საქმაოდ დიდია და ძალზე მნიშვნელოვანია თითოეული ქვეყნისათვის, სანამ ესათუ ის ქვეყანა გლობალურ პროცესებში ჩაერთვება სწორად და კარგად უნდა გათვალის ის უპირატესობა, რომელიც მან შეიძლება მიიღოს მისგან, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა მხოლოდ ნებატიურ შედეგებს მიიღებს და წაგებული დარჩება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Бауман З. Глобализация последствия для человека и общества. М., 2004.
2. Осьмов М. Н. Глобализация мирового хозяйства. М., 2006.
3. Бек У. Что такое глобализация? М., 2001.

WORLD ECONOMY AND GLOBALIZATION SUMMARY

In the article the main essence of globalization processes of world economy is considered.

The stages leading to globalization and the economic spheres embraced by globalization processes are noted.

The positive and negative results of globalization of world economy are characterized.

იზა ნათელაური თამარ თაფლაძე

საგარეო ვაჭრობის განვითარების მიმართულებებისა და ბზების ბანსაზღვრა გლობალიზაციის პირობებში

ცივილიზებული სამყაროს ყველა ქვეყანა ანგითარებს საგარეო ეკონომიკურ კომპლექსს. საგარეო ეკონომიკური კომპლექსების აუცილებლობა ნაკარნახევია რიგი გარემოებებით: პირველი, რესურსების არათანაბარი განვითარების ქვეყნებს შორის; მეორე, მსოფლიოს ქვეყნების განვითარების არსებითად განსხვავებული დონეებით; მესამე, შრომის საერთაშორისო დანაწილების თანამედროვე მასშტაბებით; მეოთხე, მსოფლიო ინტეგრაციის პროცესის მოთხოვნებით; მეხუთე, მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციის პროცესით და ა.შ. [2].

თანამედროვე საგარეო ეკონომიკური კომპლექსები გამოირჩევა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების ფორმათა მრავალფეროვნებით: საგარეო ეკონომიკური კავშირების ტრადიციული ფორმები, ახალი ფორმები, საერთაშორისო სავალუტო და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები. ტრადიციულ ფორმებს შორის გამორჩეული ადგილი განეკუთვნება

საგარეო ვაჭრობას; საგარეო ვაჭრობის განვითარების მიმართულებები განპირობებულია გლობალზაციის პროცესით (ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ინტეგრაციისა და უნიფიკაციის მსოფლიო პროცესით) და მსოფლიო ეკონომიკური განვითარების თავისებურებებით.

გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ეკონომიკური განვითარების თავისებურებები და ძირითადი მიმართულებები ასე გამოიყურება [5]: 1980-1990 წლების მსოფლიო ლიდერებს წარმოადგენდნენ აშშ და იაპონია; 1990-2000 წლებისას აშშ; 2000-2010 წლებში აშშ-ს მეტოქეობას უწევს ჩინეთი. 2007 წელს ჩინეთი ხდება ლიდერი.

2010 წელს მსოფლიოს უმსხვილეს ქვეყნებს, მშპ-ს მოცულობის მიხედვით, წარმოადგენენ: აშშ – 26% (მშპ-ში), ევროკავშირი – 28,2%, ჩინეთი – 8,6%, იაპონია – 8,5%, ინდოეთი – 2,2% და რუსეთი – 2,2%. მთლიანი მსოფლიო პროდუქტის (მშპ) მოცულობა ტოლია 78 ტრ. აშშ დოლარის (მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით) და 82 ტრ. აშშ დოლარის საბაზრო ფასებში (ინფორმაცია ეკუთვნის საერთაშორისო საგალუტო ფინანსები, 184 ქვეყნის მიხედვით). ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მშპ შეადგენს 10 647 აშშ დოლლარს. ცალკეული სექტორის ხვედრითი წილის მაჩვენებლები შემდეგია: სოფლის მეურნეობა – 4%, მრეწველობა – 32%, მომსახურების სფერო – 64%. ინფლაციის ტემპები განვითარებულ ქვეყნებში ტოლია 2-5%-ის, განვითარებად ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 5-დან 60 პროცენტს შორის მერყეობს. განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის დონე 2-12%-ია, განვითარებად ქვეყნებში 30%. რაც შეეხება საერთაშორისო ვაჭრობას, 2010 წლის მონაცემებით, ექსპორტის წლიური მოცულობა შეადგენს 12,4 ტრ. აშშ დოლარს. ძირითადი ექსპორტიორი ქვეყნებია: აშშ – 12,7%, გერმანია – 7,1%, ჩინეთი – 6,2%, საფრანგეთი – 4,4%, იაპონია – 4,2%, დიდი ბრიტანეთი – 4,1%; 2010 წლისთვის იმპორტის წლიურმა მოცულობამ შეადგინა 12,3 ტრ. აშშ დოლარი. ძირითად იმპორტიორ ქვეყნებს წარმოადგენენ ჩინეთი –

10,3%, გერმანია – 8,8%, აშშ – 8,1%, იაპონია – 5,0%. მსოფლიო ვაჭრობაში დიდი ხვედრითი წილის მაჩვენებლითაა წარმოდგენილი გადამამუშავებელი მერწველობის პროდუქცია (მანქანები, სატრანსპორტო საშუალებები, ქიმიური საქონელი და სხვ.), განსაკუთრებით მეცნიერებატევადი საქონელი.

მათზე მოღის მსოფლიო ვაჭრობის 3/4. დაბალია სურსათის, ნედლეულისა და სათბობის ხვედრითი წილის მაჩვენებელი, იგი 1/4-ის ტოლია. მსოფლიო ექსპორტთან მიმართებაში აუცილებელია ითქვას ისიც, რომ ბოლო პერიოდში ექსპორტის მზარდი მაჩვენებლით გამოირჩევიან ახალი ინდუსტრიული ქვეყნები (სამხრეთ კორეა, პონკონგი, ტაივანი და სინგაპური). ზოგად ტენდენციაზე თუ ვისაუბრებთ, ოცდამეტოდ საუკუნის პირველ ათწლეულში გამოიკვეთა თანამშომლობის გაღრმავება განვითარებულ ქვეყნებს შორის. საქონლის ძირითადი მასა მოძრაობს “აშშ – დასავლეთ ევროპის ქვეყნები – იაპონიას” შორის. ამასთან, მსოფლიო ვაჭრობაში, სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, სურსათითა და ნედლეულით ვაჭრობას ახასიათებს კლების ტენდენცია, სათბობითა და საფეიქრო ნაწარით ვაჭრობას – ზიგზაგური ტენდენცია. ზრდადია ვაჭრობის მოცულობა გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციით, მოწყობილობებით, სატრანსპორტო საშუალებებით და ქიმიური საქონლით. ფერადი და შავი ლითონებით ვაჭრობა კი კლებადია.

გლობალიზაციის პირობებში მსოფლიო ვაჭრობა აქტიურ გავლენას ახდენს როგორც გლობალურ ეკონომიკაზე, ისე ცალკეული ქვეყნების ეკონომიკებზე, აისახება მათი განვითარების მიმართულებებსა და ტენდენციებზე. მაგალითისთვის შევჩერდებით ჩვენი ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მიმართულებებსა და ტენდენციებზე.

2011 წლის მონაცემებით, საქართველო საგარეო სავაჭრო ოპერაციებს ახორციელებს მსოფლიოს 147 ქვეყანასთან [6].

პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 2003-2011 წლებში გაიზარდა 23 ქვეყნით, 1995-2011 წლებში კი 74 ქვეყნით.

2007-2011 წლებში საქართველოს საგარეო გაჭრობა (საგარეო გაჭრობის ბრუნვა, ექსპორტი და იმპორტი) იზრდება წლიდან წლამდე.

ცხრილი 1

საქართველოს საგარეო გაჭრობა (%) წინა წელთან შედარებით)

	2007	2008	2009	2010	2011
საგარეო გაჭრობის ბრუნვა	-	120,98	72,3	123,1	133,3
ექსპორტი	-	121,4	75,8	147,97	130,5
იმპორტი	-	120,9	71,4	116,8	134,3

წყარო: [6]

საგარეო საგაჭრო ოპერაციები ხორციელდება ევროპავმირის ქვეყნებთან, დსთ-ს ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, თურქეთი, რუსეთი, სომხეთი, უკრაინა, ყაზახეთი და ა.შ.), შავი ზღვის თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნებთან, ეკონომიკური თანამშრომლობის და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნებთან, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ქვეყნებთან და სუამის ქვეყნებთან. ყურადღებას იმსახურებს საქართველოს თანამშრომლობა მსოფლიოს ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა, აშშ, არაბთა გაერთიანებული სამეფო, ბრაზილია თურქეთი, ირანი და ჩინეთი.

საქართველოს პროდუქციის მომსმარებელი ქვეყნების პირველ ათეულში, 2010 და 2011 წლებში, შედიან: აზერბაიჯანი, თურქეთი, სომხეთი, ყაზახეთი, აშშ, უკრაინა, კანადა, ბულგარეთი, იტალია და კანადა. მათზე მოდის საქართველოს ექსპორტის 74% 2010 წელს და 75,4% – 2011 წელს. ძირითადად ექსპორტირდება მსუბუქი ავტომობილები, ფეროშენადნობები, აზოტოვანი სასუქები, თხილი, ოქრო და ჯართი.

ცხრილი 2

საქართველოს ექსპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

	2010, %-ში	2011, %-ში
მსუბუქი ავტომობილები	14,4	20,6
ფეროშენადნობები	16,8	11,6

აზოტოვანი სასუქები	4,6	6,6
თხილი	4,1	5,9
ოქრო	5,0	5,0

წყარო:[6].

რაც შეეხება იმპორტს, იმპორტიორი ქვეყნების პიველი ათეული ასე გამოიყერება: თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, ჩინეთი, გერმანია, რუსეთი, ბულგარეთი, აშშ, არაბთა გაერთიანებული სამეფო და რუსეთი. მათზე მოდის ჩვენ ქვეყნაში იმპორტირებული საქონლის 66,6% 2010 წელს და 69,4% 2011 წელს. ძირითადად იმპორტირდება ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მსუბუქი ავტომობილები, ბუნებრივი აირი, სამკურნალო საშუალებები და ხორბალი. მათზე მოდის იმპორტის საერთო მოცულობის 31,0% 2010 წელს და 29,0% 2011 წელს.

ცხრილი 3

საქართველოს იმპორტი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით

	2010, %-ში	2011, %-ში
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	13,2	12,9
მსუბუქი ავტომობილები	7,7	7,2
ბუნებრივი აირი	3,1	3,4
სამკურნალო საშუალებები	3,7	2,9
ხორბალი	3,3	2,6
დანარჩენი	69,0	71,0

წყარო: [6]

საქართველო აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორთა დივერსიფიცირებულ წრესთან. ჩვენი ქვეყნის პარტნიორებს შორის წამყვანი ადგილი უკავიათ მსოფლიო ვაჭრობის ლიდერებს, აშშ-ს, ჩინეთს, ევროკავშირის ქვეყნებს. თითქმის ყველა ქვეყანასთან ვაჭრობის ტენდენცია ზრდადია. გამონაკლისს წარმოადგენს რუსეთი [4,6]. პოლიტიკური მიზეზებით რუსეთთან ეკონომიკური კავშირები, განსაკუთრებით საქართველოს ექსპორტი, არსებითად შეკვეცილია. 2011 წელს რუსეთი საქართველოს იმპორტიორთა პირველ ათეულშია მხოლოდ და მეექვსე ადგილი უკავია. სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ტენდენცია ზიგზაგურია. ექსპორტში წამყვანი პოზიცია უკავია

მსუბუქ ავტომობილებს და ფეროშენადნობებს, იმპორტში კი ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს და მსუბუქ ავტომობილებს. პერსპექტივაში, საქართველოსთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომლობის, განსაკუთრებით ექსპორტის, გაფართოებას უკროპავშირის და მსოფლიოს სხვა წამყვან ქვეყნებთან, რათა ჩვენმა ქვეყანამ ყურადღება გაამახვილოს კონკურენტუნარიანობის საერთაშორისო სტანდარტებზე და წარმატებით ინტეგრირდეს გლობალიზაციის მსოფლიო პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები. შრომების კრებული. საქართველოს გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პლევის ცენტრი. თბილისი, გამომცემლობა “უნივერსალი”, 2008.
2. ნათელაური ი. საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება გარდამავალ ქვეყნებში მცირე დიდ ეკონომიკებით (საქართველოს მაგალითზე). თბილისი, “მეცნიერება”, 2004.
3. ნათელაური ი., თაფლაძე თ. საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის მაჩვენებლების ტესტირება განაწილების ნორმალურობაზე (2000-2010). საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები: ”ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში”. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2011.

4. პაპავა ვლ., თაფლაძე თ. საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ. ქ. “ეკონომისტი”, №1, 2012, გვ. 8-14.

5. <http://www.eiopo.it.ru> Мировая экономика. Основные принципы экономического развития.

6. <http://www.geostat.ge>

*Natelauri Iza
Taplade Tamar*

**DETERMINATION OF FOREIGN TRADE DEVELOPMENT
TRENDS AND WAYS IN GLOBALIZATION CONDITIONS
SUMMARY**

With respect to globalization factor there is analyzed the geography of foreign trade of Georgia, the export and import structure and the tendencies of change.

**იზა ნათელაური
საბარეო ვაჭრობის განვითარების მოდელირება
გლობალიზაციის ფაქტორის გათვალისწინებით**

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეროვნული სახელმწიფოების უმრავლესობა გადასულია დია ეკონომიკურ სისტემებზე. დია ეკონომიკები მაღალგანვითარებული ქვეყნებსშორისი ეკონომიკური კავშირების (საგარეო ეკონომიკური კავშირების) შედეგიცაა და ამ უკანასკნელზე აქტიური ზემოქმედების მქონე ფაქტორიც. საგარეო ეკონომიკური კავშირები ხასიათდება ფორმათა მრავალფეროვნებით (ტრადიციული ფორმები, ახალი ფორმები, საერთაშორისი სავალუტო და საფინანსო-საკრედიტო ურთიერთობები [2]); გამოირჩევა პარტნიორთა დივერსიფიცირებული წრით; ქმნის საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების (მსოფლიო ეკონომიკური კავშირების) ერთიან მოწესრიგებულ სისტემას და აქტიურ როლს ასრულებს მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაში; მსოფლიო ეკონომიკის ფუნქციონირების ტენდენციებიდან უმუალოდ მასთან არის დაკავშირებული – გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია.

გასული საუკუნის დასასრულს ეკონომისტებისა და პოლიტოსების აქტიური განსჯის საგანი გახდა გლობალიზა-

ცია. გლობალიზაციის მკვლევრებს შორის გამორჩეული ადგილი განეკუთვნებათ ე. აზროიანცს, ხ. ბარლიბაევს, უ. ბეკს, ო. ბოგომლოვს, პ. ბაკაგვატის, კ. გერმანს, ა. ვებერს, ხ. ივანოვს, გ. მარტინს, ჯ. სოროსს, ა. უტკინს, ტ. ფრიდმანს და სხვ. ქართველი ეკონომისტებიდან: რ. გოგოხიას, ე. ეთერიას, ე. მექაბიშვილს, ნ. ჭითანავას, თ. ჩიკვაიძეს და სხვ.

გლობალიზაცია, სპეციალისტების განმარტებით, ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ინტეგრაციისა და უნიფიკაციის მსოფლიო პროცესია [1; 5]. იგი დაკავშირებულია ტრანსნაციონალიზაციის ფენომენთან (ტრანსნაციონალური კომპანიებისა და ტრანსნაციონალური ბანკების მასშტაბების ზრდასთან) და რეგიონალიზაციასთან; ეფუძნება შრომის საერთაშორისო დანაწილების პროცესის გადრმავებას; სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში; კაპიტალისა და სამუშაო ძალის მსოფლიოს მასშტაბით მიგრაციას; ეკონომიკური კანონმდებლობის სტანდარტიზაციას; ეროვნული სახელმწიფოების კულტურათა დაბალოებასა და შერწყმას; მათ გადასვლას დია ეკონომიკურ სისტემებზე.

გლობალიზაცია, მიუხედავად მისი დადგებითი უფასებისა, ყოვლისმომცველი მაინც ვერ არის. მის საზღვრებს გარეთაა დარჩენილი ჩინეთი, ინდოეთი, რუსეთი და აფრიკის კონტინენტი მთლიანად. ქვეყნების საექსრის მიხედვით გლობალიზაცია ეკონო-ამერიკულ პროცესადაა მიჩნეული.

გლობალიზაციის ამოსავალი ეტაპია მაღალგანვითარებული ეკონომიკური კავშირები ქვეყნებს შორის, საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა, შრომისა და კაპიტალის ქვეყნებსშორისი მოძრაობა, საერთაშორისო საფინანსო და საგალუტო ურთიერთობები, განვითარების მაღალ საფეხურზე აყვანილი სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა, საერთაშორისო ტურიზმი და სხვ. ეკონომიკურ კავშირთა გლობალურ ქსელში შეიქმნა ერთობლივი საწარმოები, ტრანსნაციონალური და ტრანსეროვნული კომპანიები, ტრანსნაციო-

ნალური ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, გლობალური საინვესტიციო და საპენსიო ფონდები, სპეციალური (თავისუფალი) ეკონომიკური ზონები; გაჩნდა საბაზრო ურთიერთობათა ქსელი – გეოეკონომიკა და მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურა; გაიზარდა რეგიონული და საერთაშორისო ორგანიზაციების როლი.

გლობალიზაცია და საერთაშორისო ვაჭრობა

თანამედროვე საერთაშორისო ვაჭრობა, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობასთან ერთად, წარმოადგენს გლობალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებას.

საერთაშორისო ვაჭრობას მეტი მიმზიდველობა და მასშტაბურობა შესძინა მომსახურებით ვაჭრობაშ [2; გვ. 40-43].

გლობალიზაციის ფონზე, ეროვნული სახელმწიფოების ეკონომიკურ განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს საგარეო ვაჭრობა. ასე მაგალითად, ექსპორტის აბსოლიტური და შეფარდებითი ზრდა მიანიშნებს იმაზე, რომ საგარეო ვაჭრობის, როგორც ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი ფაქტორის როლი იზრდება. არსებობს გაანგარიშებები (აშშ-ში) იმის შესახებაც, თუ რამდენიმე იზრდება დასაქმება ექსპორტის (1 მლრდ დოლარით) გაზრდის პარალელურად. კონომიკურ ზრდაში და დასაქმებაში ექსპორტის როლი განუზომლად დიდია.

ექსპორტთან ერთად მნიშვნელოვნად იზრდება იმპორტის როლი. იმპორტი უკვე აღარ განიხილება, როგორც ადგილობრივი წარმოების კონკურენტი.

ექსპორტისა და იმპორტის ოპერაციები შერწყმულია გლობალიზაციის ისეთ ფაქტორთან, როგორიცაა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, რადგან ხელს უწყობს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგების გავრცელებას ქვეყნიდან ქვეყანაში.

საერთაშორისო ვაჭრობაში შედარებით ახალ სფეროდაა მიჩნეული ე.წ. “საპოლექტო დაფინანსება”. იგულისხმება ისეთი პროექტების შემუშავება და დაფინანსება, როგორიცაა პორტფელის, საკურორტო ზონების და ა.შ. აშენება. შეკვეთები მსგავს პროექტებზე უმეტესად ხორციელდება საერთაშორისო ვაჭრობებზე (ტენდერებზე).


გარდა ამისა, საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ნათლად გამოიკვეთა კავშირი საერთაშორისო ეკონომიკის ორ უმნიშვნელოვანებს პროცესს შორის, გლობალიზაციასა და რეგიონალიზაციას შორის. რაც შეეხება რეგიონებს, თანამედროვე მსოფლიოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამი მათგანი: დასავლეთ ევროპა ცენტრით ევროპავშირი, ჩრდილო ამერიკა ცენტრით აშშ და აზია წყნარი ოკეანის რეგიონი ცენტრით იაპონია. გადაუჭარბებლად დიდია შიდარეგიონული საერთაშორისო ვაჭრობის როლი. რეგიონებს შორის ყველაზე პერსპექტიულად მიჩნეულია ევროპავშირი.




დასასრულ, საერთაშორისო ვაჭრობის თავისებურებას წარმოადგენს მისი კავშირი ეროვნული სახელმწიფოების გლობალურ კონკურენტუნარიანობასთან. საქონელითა და მომსახურებით კონკურენციას დაემატა კონკურენცია საგადასახადო სისტემებით, სამეცნიერო პოტენციალით, განათლების სისტემებით, კულტურის დონით, “ადამიანური პოტენციალით” და სხვ. იმდენად დიდია გლობალური კონკურენციის მასშტაბები, რომ მასში პოლიტიკური ძალებიც კია ჩართული აქტიურად. მსხვილი საგაჭრო გარიგებები არაერთხელ გამდებარა პრეზიდენტებისა და პრემიერ-მინისტრების განსჯის საგანი; ძირითადად ეს ეხება სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობასა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტს.

საგარეო ვაჭრობის ტრენდული მოდელები


მაგალითისთვის განვიხილავთ საქართველოს ექსპორტისა და იმპორტის ტრენდულ მოდელებს 2000-2011 წწ. სტატისტიკაზე დაყრდნობით. ჩვენ მიერ გამოყენებული ინფორმაცია

ეკუთვნის საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს [3;9]. მონაცემები აღრიცხულია მლნ აშშ დოლარებში. გაანგარიშებები ჩატარებულია Microsoft Excel 2007-ში.







import




import



import





დროითი მწკრივების მოსწორების ანალიზურმა და გრაფიკულმა მეთოდებმა საშუალება მოგვცა, გაგვეანალიზებინა წრფივი, ექსპონენციალური, ლოგარითმული, პოლინომიალური და ხარისხოვანი მოდელები.

დავიწყოთ ექსპორტით,

წრფივი მოდელის მიხედვით,

$$Ex^* = 0,1349t + 0,0396, \quad R^2 = 0,9123;$$

ექსპონენციალური მოდელის მიხედვით,

$$Ex^* = 0,2462e^{0,1796t}, \quad R^2 = 0,9315;$$

ლოგარითმული მოდელის მიხედვით,

$$Ex^* = 0,5485\ln t - 0,0235, \quad R^2 = 0,7609;$$

პოლინომიალური მოდელის მიხედვით,

$$Ex^* = 0,0028t^2 + 0,1015t + 0,112, \quad R^2 = 0,9154;$$

ხარისხოვანი მოდელის მიხედვით,

$$Ex^* = 0,2138t^{0,7662}, \quad R^2 = 0,8554.$$

წარმოდგენილ მოდელებში, Ex^* იდენტიფიცირებული ექსპორტია; t ($t=1,2,\dots,11$) – დრო (წლები).

დეტერმინაციის კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა სამი მოდელი:

ექსპონენციალური ($0,9315$), პოლინომიალური ($0,9154$) და წრფივი ($0,9123$).

სხვა თანაბარ პირობებში ეს ფაქტი ადასტურებს განხილული მოდელების სტატისტიკურ მნიშვნელოვნებას.

კორელაციური ველის მიხედვით, საუკეთესოა ექსპონენციალური მოდელი.

რაც შეეხება იმპორტს,

წრფივი მოდელის მიხედვით,

$$Im^* = 0,6091t - 0,7094,$$

$$\text{დეტერმინაციის } \text{კოეფიციენტი} - R^2 = 0,9557;$$

ექსპონენციალური მოდელის მიხედვით,

$$Im^* = 0,4891e^{0,251t}, R^2 = 0,9577;$$

ლოგარითმული მოდელის მიხედვით,

$$Im^* = 2,413 \ln t - 0,9024, R^2 = 0,7602;$$

პოლინომიალური მოდელის მიხედვით,

$$Im^* = 0,0319t^2 + 0,2259t + 0,1208, R^2 = 0,9762;$$

ხარისხოვანი მოდელის მიხედვით,

$$Im^* = 0,4052t^{0,1,0647}, R^2 = 0,8697.$$

წარმოდგენილ მოდელებში, Im^* იდენტიფიცირებული იმპორტია; t ($t=1,2,\dots,11$) – დრო (წლები).

დეტერმინაციის კოეფიციენტის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩება სამი მოდელი: ექსპონენციალური (0,9577), პოლინომიალური (0,9762) და წრფივი (0,9557).

სხვა თანაბარ პირობებში ეს ფაქტი ადასტურებს განხილული მოდელების სტატისტიკურ მნიშვნელოვნებას.

კორელაციური ველის მიხედვით საუკეთესოა პოლინომიალური მოდელი.

დეტერმინაციის კოეფიციენტისა და კორელაციური ველის გარდა არსებობს განხილული მოდელების ფორმის შერჩევის სხვა კრიტერიუმებიც, მაგალითად, სხვაობების კვადრატების ჯამი. ამ კრიტერიუმის თანახმად, უკეთესია მოდელის ის ფორმა, რომელსაც ყველაზე ნაკლები სხვაობების კვადრატების ჯამი შეესაბამება. არსებითია ექსპორტის ექსპონენციალური მოდელის და იმპორტის პოლინომიალური მოდელის (მათვის დეტერმინაციის კოეფიციენტი ყველაზე მაღალია)

საწყის მონაცემებთან თავსებადობის საკითხიც. ამ მიზნით გამოვთვალეთ აპროქსიმაციის საშუალო შეცდომის მაჩვენებელები $A=1/n[\sum(Ex_i - Ex_i^*)/Ex_i]100$ და $A=1/n[\sum(Im_i - Im_i^*)/Im_i]100$ სპეციალისტების ნაწილი მიიჩნევს, რომ აპროქსიმაციის საშუალო შეცდომა თუ გადააჭარბებს 5-7%-ს, მაშინ მოდელით დათვლილი მაჩვენებლები საწყისთან არათავსებადია. მეორე ნაწილის აზრით, ეს ზღვარი 10-12%-იც შეიძლება იყოს. საქართველოს სინამდვილეში აპროქსიმაციის საშუალო შეცდომა რაოდენობრივად იმაზე მიგვითოთებს, რომ ზემოთ განხილული ტრენდული მოდელებით საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლის პროექცია რეალურ შედეგებს იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გლობალიზაცია და საქართველოს ეკონომიკური განვითარება: გამოწვევები და შესაძლებლობები. შრომების კრებული. საქართველოს გლობალიზაციისა და ინტეგრაციის კვლევის ცენტრი. თბილისი, გამომცემლობა “უნივერსალი”, 2008
2. ნათელაური ი. საგარეო ეკონომიკური კომპლექსის ფუნქციონირება და განვითარება გარდამავალ ქმედებში მცირე დია ეკონომიკით (საქართველოს მაგალითზე). თბილისი, “მეცნიერება”, 2004.
3. ნათელაური ი. საქართველოს საგარეო ვაჭრობის მაჩვენებლების ანალიზი და ტესტირება ერთგვაროვნებაზე (2000-2010). საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები: “ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები თანამედროვე ეტაპზე”, შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველოს ეკონომიკური განათლებისა და განვითარების ცენტრი, ბათუმი, 2011.
4. Ермолаев М.Б. Эконометрика. Иваново, 2001.
5. Международная торговля и глобализация столкновение интересов. <http://www.fin-monitoring.ru/2010>.

6. Методы и модели анализа временных рядов. Тамбов, Изд-во ТГТУ, 2008.

7. Садовникова Н.А., Шмойлова Р.А. Анализ временных рядов и прогнозирование. М., 2001.

8. Статистика. Под ред. И.И.Елиссеевой. Москва-Санкт-Петербург-Воронеж-... “ПИТЕР”, 2011.

9. <http://www.geostat.ge>.

Natelauri Iza

MODELING THE DEVELOPMENT OF FOREIGN TRADE CONSIDERING THE GLOBALIZATION FACTORS SUMMARY

Taking into account of factors of globalization analyzed the trend models of export and import: Linear, logarithmic and quality (polynomial, exponential).

*სლავა გეგელავა
შალვა გოგიაშვილი
შეთანხმება არაპონქურენტ მეზარმენებს შორის*

პრობლემებს, რომელთა თავიდან აცილებაც შეუძლიათ ვერტიკალურად ინტეგრირებულ (ურთიერთდაკავშირებული პროცესების ფლობა როგორც წარმოების, ისე საცალო ვაჭრობის დონეებზე) ეკონომიკურ აგენტებს, წარმოადგენს „სიტუაციონ სარგებლობაი და „ცუდი კოორდინაცია“. „სიტუაციონ სარგებლობა“ არის შემთხვევა, როდესაც ერთმა ეკონომიკურმა აგენტმა უნდა გააკეთოს სპეციალური, დაუბრუნებელი დაბანდებები, რათა გამოიყენოს მეორე მეწარმე სუბიექტის პროდუქცია, ადგვატური კონტრაქტის წინასწარ შედგენა კი შეუძლებელია. მაგალითად, ქვანახშირის მაღაროს შეუძლია ააგოს კონკრეტული სარგინიგზო

ხაზიდან გამომავალი, თავისი საწარმოებისაკენ მიმართული სარკინიგზო ლიანდაგი. ასეთი სარკინიგზო ლიანდაგის აგების შემდეგ, სხვა სარკინიგზო ხაზზე გადართვა ეკონომიკურ აგენტს გაუჭირდება. ამგვარად, მაღარო აღმოჩნდება მონოპოლისტის – რკინიგზის ხაზის მფლობელის პირისპირ, რომელიც მას თავის ფასებს კარნახობს. შედეგად, მაღარო იძულებული გახდება შეიძინოს სატრანსპორტო მომსახურების „ძალიან მცირე რაოდენობა“. და, პირიქით, თუ მაღარო და რკინიგზა ეკუთვნის ერთ მფლობელს და აქვთ ერთიანი მმართველობა ჯამური შემოსავლის ამაღლებისათვის, მაშინ რკინიგზა არ დაუწესებს მაღაროს ფასებს. სარკინიგზო ტრანსპორტის ფასი ტრანსპორტირების დირებულების ტოლი იქნება და მაღაროს შეეძლება მიიღოს სატრანსპორტო მომსახურების ოპტიმალური რაოდენობა. ამ შემთხვევაში ვერტიკალური ინტეგრაცია უფრო კარგი გამოსავალია, ვიდრე ცალ-ცალკე მოქმედი ეკონომიკური აგენტების შენარჩუნება.

ამასთან, იმ ქონების მართვა უფრო ადვილია, რომელიც ეკუთვნის ერთ მფლობელს და იმყოფება ერთი მმართველობის ქვეშ, ვიდრე ქონებისა, რომელიც რამდენიმე ეკონომიკური აგენტის ხელშია.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „ერთობლივი მფლობელობა და მართვა“ ზემოთ ჩამოთვლილ ბევრ პრობლემას წყვეტს, თუმცა, ამან შეიძლება შეამციროს კონკურენცია (ბაზრის ვერტიკალური დახურვა ან ბაზარზე შესვლის მაღალი ბარიერების დაწესება) განვიხილოთ მაგალითი საბადოებთან დაკავშირებით, რომლებშიც გარკვეული სახეობის მაღანი მოიპოვება, დასადნობი საწარმოები, რომლებიც ასეთ მაღანს იყენებენ. თუ ეკონომიკური აგენტი იმგვარადაა ორგანიზებული, რომ ყველა საწარმო, ერთის გარდა, საბადოს ეკუთვნის, მაშინ არაინტეგრირებული სადნობი საწარმო შეიძლება ინტეგრირებული მეწარმე სუბიექტების ანტიკონკურენციული ქცევის ობიექტი გახდეს; შეიძლება წარმოიშვას

სიტუაცია, როდესაც, მაღნის დეფიციტის პერიოდებში, არაინტეგრირებული საწარმო ვერ შეძლებს მაღნის ყიდვას. ამის გარდა, თუ საცალო ვაჭრობაში არაინტეგრირებული ეკონომიკური აგენტები გახდებიან ანტიკონკურენციული ქცევის ობიექტები, მაშინ ვერტიკალურმა ინტეგრაციამ შეიძლება ამაღლოს ბაზარზე შესვლის ბარიერები. შედეგად, ბაზარზე აღწევს მცირე რაოდენობის ეკონომიკური აგენტები და კონკურენციაც შემცირდება.

გარდა ამისა, ეკონომიკურ აგენტებს შეუძლიათ გამოიყენონ ვერტიკალური შეზღუდვები „სხვების ხარჯზე“ ყოფნის შესაზღუდად. ვთქვათ, საცალო ვაჭრობის ორი მაღაზიიდან ერთი უკეთებს რეკლამას ორივე მაღაზიაში გამოტანილ საქონელს, რითაც სარგებელს დებულობს ორივე მაღაზია. ამ შემთხვევაში, მეორე მაღაზია „მგზავრობს“ სხვის ხარჯზე, ანუ იმ მაღაზიის ხარჯზე, რომელიც თავის საქონელს უკეთებს რეკლამას. ასეთი მდგომარეობა არაა დამახასიათებელი მომსახურების უკელა სფეროსათვის. თუ მომსახურების საფასურის ამოღება შესაძლებელია ცალკალკე, როგორც მაგალითად მზა კაბის გადაკეთებისას, მაშინ სხვის ხარჯზე „მგზავრობასაც“ არ ექნება აღგილი. ეს პრობლემა, რომელიც საქმიანობის სხვადასხვა სფეროებში იჩენს თავს, იმაში გამოიხატება, რომ თუ სხვის ხარჯზე „მგზავრობის“ პრაქტიკა ხშირია, ეს გამოიწვევს მომსახურების არასრულად მიწოდებას (თუ საკუთარი საქონლის რეკლამის გამწევი მაღაზია იქნებოდა ასეთი საქონლის ერთადერთი მაღაზია მოცემულ რაოონში, მაშინ იგი მიიღებდა რეკლამით მიღებულ მოედნ შემოსავალს და რეკლამა შეიძლება მომგებიან საქმედ ჩაითვალოს, ხოლო, თუ ასეთი რეკლამით სხვა მაღაზია მიიღებდა მოგების „ზედმეტად მაღალ წილს“, ანუ გადაიბირებდა მყიდვლებს რეკლამის გამწევი მაღაზიიდან, მაშინ პირველი მაღაზია რეკლამას არ ჩათვლიდა მომგებიანი და შეწყვეტდა მას).

ახლა შევეხოთ ისეთ საკითხს, როდესაც არსებობს მონოპოლისტი მწარმოებელი და მონოპოლისტი საცალო მოვა-

ჭრე. მწარმოებელი საქონელს აწვდის საცალო მოვაჭრეს საბითუმო ფასით. საცალო მოვაჭრე პყიდის ამ საქონელს საცალო ფასით. რამდენადაც საცალო მოვაჭრე არის მონოპოლისტი, იგი საქონლის ღირებულებაზე უფრო მაღალ საცალო ფასს აწესებს. მწარმოებელი ასევე არის მონოპოლისტი და იგი აწესებს საწარმოო ხარჯებზე უფრო მაღალ საბითუმო ფასს. თითოეული ეკონომიკური აგენტი ესწრაფვის, რომ გაზარდოს თავისი შემოსავლები და არც ერთი მათგანი არ ითვალისწინებს თავისი ფასის ზემოქმედებას მეორის შემოსავალზე. კერძოდ, საცალო მოვაჭრე, აწესებს რა საცალო ფასს, არ ითვალისწინებს ერთეული საქონლის გაყიდვიდან მწარმოებლის მოგების სიდიდეს. მწარმოებლისა და საცალო მოვაჭრის მიერ ფასების ასეთი დადგენის შედეგად, საცალო ფასები „ძალიან მაღალი“ გამოდის საწარმოო ხარჯებთან შედარებით. ვერტიკალურად ინტეგრირებული მონოპოლისტი უფრო დაბალ ფასებს უკარნახებდა საცალო მოვაჭრეს. ეს ფასები კიდევ უფრო დაბალი იქნება თუ ორივე ბაზარი – როგორც მწარმოებლის, ისე საცალო მოვაჭრისა, კონკურენტები იქნებოდნენ.

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც გვყავს მონოპოლისტი მწარმოებელი და მონოპოლისტი საცალო მოვაჭრე, და საცალო მოვაჭრის მიერ მყიდველისათვის მიწოდებული მომსახურება ძალზე მნიშვნელოვანია. ეს მომსახურება შეიძლება მოიცავდეს უფასო გადაკეთებას (მაგალითად, ტანსაცმლის), საქონლის გაყიდვების წინა ინფორმაციის (მაგალითად, ფოტოაპარატების შესახებ) უფასოდ მიწოდებებს. ეს მომსახურება შეიძლება „მნიშვნელოვანი“ იყოს იმ თვალსაზრისით, რომ არსებითად ამაღლებს მომხმარებლის მოთხოვნას საქონელზე. მაგალითად, მყიდველს უფრო მეტად მოუნდება ფოტოაპარატის შეძენა, თუ გამყიდველი ასწავლის, მის გამოყენებას.

საცალო მოვაჭრეს შეიძლება არ სურდეს ერთი მომსახურების შექმნა, როგორსაც მწარმოებელი მოითხოვს მისგან, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საცალო მოვაჭრე არ ითვალისწი-

ნებს მწარმოებლის შემოსავალს ერთეული გაყიდვებიდან. ამის ნაცვლად, საცალო მოვაჭრე უზრუნველყოფს მხოლოდ იმ რაოდენობის მომსახურებას, რომელიც მაქსიმალურ შემოსავალს აძლევს თვითონ მას.

დავუშვათ, მწარმოებელს ძალზე ძვირი უჯდება, რომ მუდმივად ადევნოს თვალი, უზრუნველყოფს თუ არა საცალო მოვაჭრე მოთხოვნილ დამატებით მომსახურებას. ამ შემთხვევაში მწარმოებელს არ შეუძლია ხელი მოაწეროს კონტრაქტს საცალო მოვაჭრის მიერ გასაწევი მომსახურებების კონკრეტული მითითებით. ამის ნაცვლად, მწარმოებელმა უნდა შექმნას სისტემა, რომლიც სტიმულს მისცემდა საცალო მოვაჭრეს ასეთი მომსახურებების შესაქმნელად.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ მწარმოებელი არის მონოპოლისტი, საცალო მოვაჭრეები კი არიან კონკურენტები. ამასთან, განვიხილოთ ეკონომიკური აგენტის გარე ხარჯები (რასაც საცალო მოვაჭრეები უქმნიან ერთმანეთს), გადაყიდვის ფასების, ექსპლუზიური ტერიტორიებისა და შეთანხმებების შენარჩუნების ხელშემწყობი ზემოქმედებები.

თუ მყიდველები შეძლებენ მომახურების მისაღებად მიმართონ საცალო მოვაჭრეს, რომელიც მაღალ ფასს აწესებს, მაგრამ უზრუნველყოფს მომსახურების მაღალ დონეს, და შემდეგ იყიდონ საქონელი საცალო მოვაჭრისაგან, რომელიც დაბალ ფასს აწესებს, მაგრამ უზრუნველყოფს მომსახურების დაბალ დონეს, მაშინ, ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, „სხვის ხარჯზე მგზავრობს“. იმის გათვალისწინებით, რომ საცალო მოვაჭრეები კონკურენტები არიან, ისინი, რომლებიც მომსახურების მაღალ დონეს უზრუნველყოფენ და მაღალი ფასები აქვთ საქონელზე, ბაზარზე ვერ გაძლებენ და განიდევნებიან. შესაბამისად, მათი მომსახურება მიუწვდომელი აღმოჩნდება მყიდველებისათვის.

ცხადია, მწარმოებელს არ სურს ასეთი შედეგის მიღება, რადგან მისი გაყიდვების მოცულობა იზრდება აღნიშნული მომ-

სახურებების არსებობის შემთხვევაში. ამიტომ, მწარმოებელი დაინტერესებულია (ისე მოქმედებს), რომ შეამციროს „სხვის ხარჯზე მგზავრობა“ საცალო მოვაჭრებს შორის. კერძოდ, 1) მწარმოებელს შეუძლია დაადგინოს მინიმალური საცალო ფასი (გადაყიდვის ფასის მხარდაჭერის ფორმა) და 2) მწარმოებელს შეუძლია განსაზღვროს ექსკლუზიური ტერიტორიები, ანუ აირჩიოს საცალო მოვაჭრე თითოეულ რაიონში ან ბაზრის ნაწილში, რომელიც იქნება ერთადერთი საცალო მოვაჭრე, რომელსაც უფლება ექნება, გაყიდოს მწარმოებლის საქონელი.

თითოეულ მითითებულ ვერტიკალურ შეზღუდვას შეუძლია უარყოფითი გავლენა იქნიოს კონკურენციაზე. თუ მწარმოებელი აამოქმედებს „გაყიდვების ხელშემწყობ ფასს“, საცალო მოვაჭრებს ადარ შეეძლებათ კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს და უფრო დაბალი ფასები შესთავაზონ მყიდველებს. მათ შეეძლოთ კონკურენცია გაეწიათ ერთმანეთისათვის უკეთესი მომსახურებებით, მაგრამ, თუ მყიდველები არ აფასებენ დამატებით მომსახურებებს, მაშინ ასეთი კონკურენცია მათ არაფერს აძლევს.

იმ შემთხვევაში, თუ მწარმოებელი განსაზღვრავს ექსკლუზიურ ტერიტორიებს, მაშინ თითოეული საცალო მოვაჭრე გახდება მწარმოებლის საქონლის მონოპოლური გამყიდველი თავის ტერიტორიაზე. ამის გამო კონკურენციის შემცირებამ საცალო ვაჭრობაში, შეიძლება უფრო უარესი შედეგი მოიგანოს, ვიდრე საქონლისაგან განუყოფელი მომსახურების დაკარგვამ.

ვერტიკალური შეზღუდვების კონკურენციული ზემოქმედების შესაფასებლად მნიშვნელოვანია შევისწავლოთ, არსებობს თუ არასაცალო მოვაჭრის მიერ განხორციელებულ მომსახურებებს შორის ისეთები, რომლებზეც არ შეუძლიათ მიიღონ ცალკე საფასური. თუ ასეთი მომსახურებები არ არის, მაშინ ნაკლებად სავარაუდოა, რომ არსებობდეს მნიშვნელოვანი საფუძვლები ვერტიკალური შეზღუდვის დაწესებისათვის.

ამასთან, არაა გამორიცხული მწარმოებელმა უარი უთხრას საცალო მოვაჭრეს საქონლის მიწოდებაზე, თუკი მას აქვს შეთანხმება სხვა საცალო მოვაჭრეებთან ექსკლუზიური ტერიტორიების შესახებ. თუ „უახლოეს“ საცალო მოვაჭრეს სურს გაყიდოს მწარმოებლის პროდუქცია, მაშინ ამ უკანასკნელმა ან უარი უნდა უთხრას მას მიწოდებებზე, ან უნდა დაარღვიოს ადრინდელი შეთანხმება. ამასთან, რომელიმე მწარმოებელს შეუძლია უარი უთხრას მოვაჭრეს მიწოდებებზე იმის გამო, რომ მოქმედებს გადაყიდვის ფასების ხელშეწყობის პრინციპით, ხოლო მოვაჭრე ადრე არღვევდა ამ პრინციპის შესახებ შეთანხმებას. ამგვარად, მიწოდებებზე უარი შეიძლება გახდეს სხვა ვერტიკალური შეზღუდვის მექანიზმი (მწარმოებელს შეუძლია უარი თქვას მიწოდებებზე სხვა საფუძვლითაც კერძოდ: საცალო მოვაჭრე შეიძლება იყოს კრედიტულნარ ან შეიძლება ზიანს აუენებდეს მწარმოებლის რეპუტაციას).

თავის მხრივ, მიწოდებებზე უარს ანტიკონკურენციული ზემოქმედება აქვს, თუ იგი ნედლეულის მიღების საშუალებას უსაბობს ბაზარზე შემსვლელ ახალ ეკონომიკურ აგენტს. წარმოგიდგინოთ, რომ საბადო ფლობს სარკინიგზო ხაზს, ახალ საბადოს კი სურს მიუერთდეს მას. თუ პირველი საბადო უარს ეუბნება მეორე საბადოს ასეთი მომსახურების მიყიდვაზე – „სარკინიგზო ხაზის გამოყენებაზე“, ასეთმა უარმა შეიძლება დაბრკოლებები შეუქმნას მეორე საბადოს მუშაობას და შეამციროს კონკურენცია მაღნის ბაზარზე.

ახლა განვიხილოთ ისეთი მაგალითი, სადაც საქონლისაგან განუყოფელი მომსახურების მნიშვნელობის კონსტატაციის ნაცვლად არსებითია ისეთი შემთხვევა, როდესაც მონოპოლისტის მიერ გაყიდული საქონელი გამოიყენება კონკურენტ ბაზარზე გატანილ სხვა საქონელთან ერთად. დავუშვათ, მმრის ბაზარი მონოპოლიზებულია, ხოლო საკვები ზეთის კი – არა. მმრით დამზადებული სალათის შეგმაზვის ხარისხი დამოკიდებულია ზეთის ხარისხზე, ამასთან, მმრის ფასი მონოპოლიურია, ზეთის ფასი

კი – კონკურენციული. სალათის საკაზმის დამამზადებელს საცალო რეალიზაციის ნაწილში, შეუძლია შეცვალოს მაღალ-ხარისხოვანი ზეთი დაბალი ხარისხის ზეთით და დიდი რაო-დენობის ზეთი შეცვალოს ძმრით. სალათის საკაზმი არ იქნება ისეთივე კარგი გემოს მქონე, როგორიც იგი იქნებოდა, თუ დამზადებოდა მაღალი ხარისხის ზეთითა და ძმრისა და ზე-თის სწორი თანფარდობით. ამ შემთხვევამ შეიძლება დიდი ზიანი მიაყენოს ძმრის დამამზადებლის რეპუტაციას, რადგან მყიდველებმა შესაძლოა ჩათვალონ, რომ გემო გაუარესდა ძმრის გამო. აქედან გამომდინარე, ძმრის გამყიდველს შეუძლია ერთმანეთს დაუკავშიროს ძმარი და ზეთი ისე, რომ ძმრის ნე-ბისმიერმა მყიდველმა ზეთიც მისგან იყიდოს. ასეთ შემთხვევა-ში, ორი პროდუქტის ერთმანეთთან დაკავშირებას შეიძლება დადებითი კონკურენციული ზემოქმედება პქონდეს.

სხვა შემთხვევებში მონოპოლისტს შეეძლო გამოეყენებინა თავისი მონოპოლური მდგომარეობა მხოლოდ ერთ – ძმრის ბა-ზარზე, რათა აემაღლებინა თავისი კონტროლი მეორე – ზეთის ბაზარზე. ამ შემთხვევაში, ორი პროდუქტის ერთმანეთთან შეკავ-შირება ანტიკონკურენციული იქნება.

განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც კონკურენცია ზეგავლე-ნას ახდენს როგორც საცალო რეალიზაციის, ისე წარმოების პროცესზე. დავუშვათ, მწარმოებელი ქმნის „განუყოფელ მომსახ-ურებას“, კერძოდ, რეკლამას ან საცალო მოვაჭრეების სწავლებას. მაგალითად, „ფოლკსვაგენის“ მწარმოებელი კომპანია ასწავლის საცალო მოვაჭრეებს, თუ როგორ გაყიდონ მანქანები, ხოლო სა-ცალო ვაჭრობაში ჩართულ ტექნიკოსებს – როგორ შეაკეთონ ისი-ნი. „ფოლკსვაგენი“ დგება რისკის წინაშე რომ საცალო მოვაჭრე თავის ცოდნას გამოიყენებს ასევე „ფიატის“ ფირმის მანქანების გაყიდვებსა და შეკეთებაში. რისკი იმაში მდგომარეობს, რომ რო-დესაც მყიდველები მივლენ მაღაზიაში, საცალო მოვაჭრეები შეეცდებიან დაარწმუნონ ისინი, რომ იყიდონ კონკურენციი ფირმის

– „ფიატის“ მანქანები. შეიძლება ითქვას, რომ „ფიატის“ მწარმოებლები „სხვის ხარჯზე გაისეირნებენ“, ანუ გამოიყენებენ „ფოლქსვაგენის“ მწარმოებელი კომპანიის მიერ სწავლებაზე გადახდილ საფასურს.

აღნიშნულის საპასუხოდ, მწარმოებლებს შეუძლიათ დადონ შეთანხმება „ექსკლუზიური სავაჭრო ვალდებულებების“ შესახებ, ანუ, თითოეულ მწარმოებელს შეუძლია მოსთხოვოს საცალო მოვაჭრეს, რომელიც მის საქონელს ჰყიდის, რომ არ გაყიდოს კონკურენტი ეკონომიკური აგენტის საქონელი. ამ შემთხვევაში, შეთანხმება „ექსკლუზიური სავაჭრო ვალდებულებების“ შესახებ, აამაღლებს ეფექტიანობას, რადგან საცალო მოვაჭრეები შეწყვეტენ ერთი მწარმოებლის (რომელიც არ ქმნის მომსახურებას) მეორე მწარმოებლის ხარჯზე „მგზავრობას“, რომელიც ქმნის მომსახურებას. თუ ასეთი „მგზავრობა“ არ შეწყდება, მწარმოებელი შეამცირებს ან საერთოდ შეწყვეტს ამ მომსახურებას. შესაბამისად, „ექსკლუზიური სავაჭრო ვალდებულებების“ შესახებ შეთანხმება აამაღლებს ეფექტიანობას მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს მწარმოებლის მიერ შექმნილი განუყოფელი მომსახურება.

ზოგადად „ექსკლუზიური სავაჭრო ვალდებულებების“ შესახებ შეთანხმებები (გარდა ისეთი შეთანხმებებისა, რომლებიც ეხება საინფორმაციო რეკლამას, საცალო მოვაჭრეების სწავლებას, მათ უზრუნველყოფას ინფორმაციით, კვლევებით, დამუშავებებით და ა.შ.) ზიანს აექნებს კონკურენციას, რადგანაც ისინი ასუსტებენ კონკურენციას საქონლის სხვადასხვა სახეობებს შორის ერთი საცალო ვაჭრობის საწარმოს ფარგლებში.

ამასთან, არაა გამორიცხული საქონელზე მოთხოვნის გაზრდის მიზნით რომელიმე მწარმოებელს მოუნდეს ამ საქონლისაგან განუყოფელი მომსახურებების რაოდენობის გაზრდა საცალო მოვაჭრეების მიერ მათი გაყიდვისას. განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც არსებობს შეთანხმებები

ექსკლუზიური ტერიტორიებისა და ექსკლუზიური სავაჭრო ვალდებულებების შესახებ. დავუშვათ, „ფოლკსვაგენის“ მწარმოებელი ეკონომიკური აგენტი განსაზღვრავს ექსკლუზიურ ტერიტორიებს თავისი საცალო მოვაჭრებისათვის. ეს ნიშნავს, რომ მას შეუძლია გარანტია მისცეს თავის საცალო მოვაჭრებს, რომ არც ერთ უახლოეს საცალო მოვაჭრეს არ ექნება ამ მარკის ავტომანქანების გაყიდვის უფლება. როდესაც პოტენციური მყიდველი მიდის საცალო მოვაჭრესთან „ფოლკსვაგენის“ ავტომანქანების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, მოვაჭრემ დიდი დრო უნდა დახარჯოს მის შეკითხვებზე საპასუხოდ და საცდელი გარდენებისას, რადგან იცის, რომ მყიდველს შეუძლია იყიდოს ეს მანქანა მხოლოდ მასთან და არა რომელიმე სხვა გამყიდველთან. მყიდველს შეუძლია მიიღოს ანალოგიური ინფორმაცია „ფიატის“ შესახებ „ფიატის“ საცალო მოვაჭრესთან. ამრიგად, იგი მიიღებს ყველა საჭირო ინფორმაციას ამ მანქანების შესახებ და გააკეთებს კომპეტენტურ არჩევანს. მყიდველი ხედავს კონკურენციას „ფიატსა“ და „ფოლკსვაგენს“ შორის.

განვიხილოთ რა მოხდებოდა, თუ „ფიატი“ და „ფოლკსვაგენი“ არ დაადგენდნენ ექსკლუზიურ ტერიტორიებს თავიანთი საცალო მოვაჭრეებისათვის. ასეთ შემთხვევაში, მყიდველები წავიდოდნენ „ფოლკსვაგენის“ ერთ საცალო მოვაჭრესთან, წაართმევდნენ მას დიდ დროს შეკითხვებზე საპასუხოდ, შემდეგ კი წავიდოდნენ „ფოლკსვაგენის“ მეორე საცალო მოვაჭრესთან, რომელიც უფრო დაბალი ფასებით ვაჭრობს და დაბალი ხრისხის მომსახურებას სთავაზობს, და მასთან შეიძენდნენ მანქანას. ამ შემთხვევაში, მაღალი დონის მომსახურების მქონე და მაღალი ფასებით მოვაჭრე გამყიდველი მოკლებულია შესაძლებლობას, რათა უზრუნველყოს პოტენციური მყიდველები უფასო ინფორმაციით და იგი წყვეტს ასეთი მომსახურების გაწევას. შესაბამისად, „ფოლკსვაგენს“ მიადგება ზარალი, რადგან მისი, როგორც მაღალი ხარისხის მწარმოებლის რეპუტაცია ნაწილობრივ

ეფუძნება მყიდველების მომსახურების მაღალ დონეს, რასაც მისი საცალო მოვაჭრეები უზრუნველყოფენ. შემდგომში მყიდველებს ნაკლებად ექნებათ სტიმული, რომ შეიძინონ „ფოლკსვაგენის“ ავტომანქანები, რაღაც ისინი ნაკლებად იცნობენ ამ მანქანის მახასიათებლებს. შედეგად, „ფიატსა“ და „ფოლკსვაგენს“ შორის კონკურენცია შემცირდება. ამგარად, ექსკლუზიური ტერიტორიების შეთანხმებამ შეიძლება ამაღლოს კონკურენცია ერთი სახეობის საქონელს შორის.

შეთანხმებები ექსკლუზიური საგაჭრო ვალდებულებების შესახებ შეზღუდვებს უწევებს საცალო ვაჭრობის რგოლის ეკონომიკურ აგენტებს, რომლებსაც ეკისრებათ ვალდებულება, რომ არ მიიღონ მონაწილეობა არც ერთ ისეთ საგაჭრო საქმიანობაში, რომელიც კონკურენციული იქნება წარმოების რგოლის საწარმოსათვის.

ექსკლუზიური საგაჭრო ვალდებულებების შესახებ შეთანხმებებმა შეიძლება შეამცირონ „სხვის ხარჯზე მგზავრობა“ წარმოების ბაზარზე. თუ მწარმოებელი ქმნის განუყოფელ ნოუ-ჰის ან მომსახურებას საცალო მოვაჭრეებისათვის, საცალო მოვაჭრეები კი ყიდიან კონკურენციულ საქონელს, მაშინ მათ შეუძლიათ გამოიყენონ ეს ნოუ-ჰი ან მომსახურებები კონკურენტული საქონლის გასაყიდად. ექსკლუზიური საგაჭრო ვალდებულებების შესახებ შეთანხმებები ამცირებს ასეთი ქცევის შესაძლებლობებს, უქმნის რა სტიმულს მწარმოებელ საწარმოებს, რომ გააკეთონ ინვესტიციები და შექმნან ასეთი ნოუ-ჰი და მომსახურებები. მაგალითად, „ფოლკსვაგენს“ და „ფიატს“ შეუძლიათ მოითხოვონ, რომ საცალო მოვაჭრეებმა გაყიდონ მხოლოდ მათი ავტომანქანები. ამისათვის, აღნიშნულმა ეკონომიკურმა აგენტებმა ორგანიზება უნდა გაუკეთონ საცალო მოვაჭრეების სწავლებას, თუ როგორ შეაკეთონ მანქანები, როგორ მართონ მცირე საწარმოები და ა.შ. თუ „ფიატის“ საცალო მოვაჭრემ „ფოლკსვაგენის“ მანქანაც გაყიდა, მან შესაძლოა გამოიყენა

„ფიატი“-საგან მიღებული განათლება „ფოლკსვაგენი“-ს გასყიდად. ასეთ შემთხვევაში „ფიატი“-ს ინვესტიციები არა მარტო უსარგებლო, არამედ, აშკარად ზიანის მომტანია „ფიატი“-სათვის.

წარმოების სფეროში მოქმედი დიდი საბაზრო წილის მქონე საწარმოებს შორის გრძელვადიანმა კონტრაქტებმა „ექსკლუზიური საგაჭრო ვალდებულებების შესახებ“ შეიძლება გაზარდოს პოტენციური კონკურენტის ბაზარზე შესვლის ხარჯები. ვთქვათ, ქვანახშირის მაღაროს თავის რაიონში მოქმედ, ქვანახშირის საწვავზე მომუშავე ყველა ელექტროსადგურთან აქვს დადებული გრძელვადიანი შეთანხმება ექსკლუზიური საგაჭრო ვალდებულებების შესახებ. თუ სხვა კომპანია ისურვებს ქვანახშირის მაღაროს აშენება იმავე რაიონში და ქვანახშირის მიყიდვას ელექტროსადგურებისათვის, იგი მყიდველს ვერ იპოვის. მას მოუწევს ქვანახშირის გაყიდვა ამ რაიონის ფარგლებს გარეთ, თანაც დიდი სატრანსპორტო ხარჯების გაწევით ან – ქვანახშირის სხვა მომხმარებლების მოძიება. თუ ასეთი მომხმარებლები ძალიან ცოტანი არიან, მაშინ გრძელვადიანი შეთანხმება „ექსკლუზიური საგაჭრო ვალდებულებების შესახებ“ შეიძლება ბაზარზე შესვლის ბარიერად იქცეს მათვის.

მეორე მხრივ, „ექსკლუზიური საგაჭრო ვალდებულებების შესახებ“ შეთანხმებამ შეიძლება გაადგილოს ბაზარზე შესვლა საცალო ვაჭრობის ქსელში.

შეთანხმებები „ექსკლუზიური ტერიტორიების შესახებ“ ზღუდავს ტერიტორიებს ან მყიდველთა ჯგუფებს, რომლებსაც შეიძლება გაეწიოს მომსახურება საცალო ვაჭრობის ნაწილში. არაა სავალდებულო, რომ ეს ეხებოდეს გეოგრაფიულ ტერიტორიებს და შეიძლება ეხებოდეს ბაზრის დაყოფას რომელიმე სხვა პრინციპით, როგორიცაა მაგალითად, მყიდველების დაყოფა ბიზნესის მიმართ მათი დამოკიდებულების ნიშით.

„ექსკლუზიური ტერიტორიების შესახებ“ შეთანხმებამ შეიძლება შეამციროს ან საერთოდ გამორიცხოს კონკურენცია საცალო ვაჭრობის რგოლებში. თუ შეთანხმების მონაწილე მხარეები საცალო ვაჭრობის რგოლებში უზრუნველყოფენ ბაზარზე მიწოდებების დიდ წილს, მაშინ „ექსკლუზიური ტერიტორიების შესახებ“ შეთანხმებების პაკეტი მოქმედებს როგორც შეთანხმება ბაზრის დაყოფის შესახებ. მაგალითად, თუ წარმოების რგოლის დომინირებული ეკონომიკური აგენტი ხელს აწერს „ექსკლუზიური ტერიტორიების შესახებ“ შეთანხმებას საცალო ვაჭრობის რგოლის ყველა საწარმოსთან, მაშინ ბაზარი საცალო ვაჭრობის ნაწილში უფექტურად დაიყოფა მათ შორის. მეორე მხრივ, თუ ბაზარი წარმოების კონკურენციულია, მაშინ „ექსკლუზიური ტერიტორიების შესახებ“ შეთანხმებას არ ექნება არსებითი ნებატიური ზეგავლენა კონკურენციაზე.

რაც შეეხება დამაკავშირებელ შეთანხმებებს, ის საშუალებას აძლევს წარმოების რგოლის ეკონომიკურ აგენტებს, რომ მუდმივად ადევნონ თვალყური საცალო ვაჭრობის რგოლის საწარმოების გაყიდვებსა და მუშაობის „ხარისხს“. ამის მაგალითს წარმოადგენს კონტროლი, თუ როგორ იყენებენ საცალო ვაჭრობის საწარმოები შესაფუთ მასალას, რომლითაც მათ მწარმოებელი კომპანიები ამარაგებენ. ხარისხის კონტროლის მაგალითია პირობა, რომლის მიხედვითაც მწარმოებელი საწარმო რთულ მანქანებს ჰყიდის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად ფორმდება კონტრაქტი ამ მანქანების მომსახურებაზე. ამას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ მანქანები ნაკლებად დაზიანდება, თუ მათ ემსახურება კვალიფიციური ტექნიკოსები. ამგვარად, წარმოების რგოლების საწარმოს შეუძლია უკეთ გააკონტროლოს მათი ხარისხი, მყიდველები კი თანახმანი არიან მეტი გადაიხადონ უკეთესი ხარისხისათვის.

აქვე გვინდა შევეხოთ „გადაყიდვის ხელშემწყობ ფასებს“, რომელიც წარმოადგენს საცალო მოვაჭრეებისათვის

დადგენილ გასაყიდ ფასს. ამ ფასებს შეუძლია შეამციროს „სხვი სხარჯზე მგზავრობა“ საცალო ვაჭრობის ოგოლში და სტიმული მისცეს მაღალკვალიფიციურ საცალო მოვაჭრებს რომ იმუშაონ მოცემულ საქონელზე.

ამასთან, „გადაყიდვის ხელშემწყობ ფასებს“ შეუძლია შეამციროს ეფექტიანობა მყიდველებისთვის მოცემული სახეობის საქონელზე ფასის/მომსახურების არჩევანის შეზღუდვით. მას ასევე შეუძლია დააბრკოლოს ვაჭრობის უფრო ეფექტური ფორმების განვითარება, როგორიცაა, მაგალითად, მაღალაზიები, რომლებიც ფასდაკლებით ყიდიან საქონელს, და შეიძლება შეასრულოს „საფარის“ ფუნქცია კარტელისათვის, რომელშიც, საცალო რეალიზაციის რგოლის ეკონომიკური აგენტები წარმოების რგოლის საწარმოებს იყენებენ თაღლითობის გამოვლენისა და დასჯისათვის.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს მარტივი წესები, რომლის საფუძველზეც ანტიმონოპოლიური რეგულირების სპეციალისტებს ექნებათ შესაძლებლობა, განსაზღვრონ თუ რა შემთხვევაში უნდა აკრძალონ და რა შემთხვევაში დაუშვან ვერტიკალური შეზღუდვები. შესაბამისად, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაზე გადაწყვეტილების მიღება მოითხოვს შესაბამისი ბაზრის საფუძვლიან ანალიზს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გოგიაშვილი შ., კონკურენციის ეკონომიკური პოლიტიკა და საკანონმდებლო პრაქტიკა საქართველოში, „ინოვაცია“, თბ., 2009;

2. გოგიაშვილი შ., ფეტელავა ს., კონკურენცია და ანტიმონოპოლიური რეგულირება (ლექციების კურსი), „ლო“, თბ., 2007;

3. ფეტელავა ს., კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში, „ლო“, თბ., 2007;

4. ფეტელავა ს., გოგიაშვილი შ., ეკონომიკური კონკურენცია (ბაზრის კონკურენციულობის ანალიზის მეთოდური საკითხები), „ლოი“, თბ., 2012.

5. საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის საარქივო მასალა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აღმინისტრაციული შენობა, ქ. თბილისი, გ. ჭანტურიას ქ. 12.

*Fetelava Slava
Gogiashvili Shalva*

AGREEMENT BETWEEN NONCOMPETITOR ENTREPRENEURS SUMMARY

In this article there are discussed cases of economical agent's vertical integration. There are showed typical vertical limitations and is presented a short description of their competition supportive and anti competition impact.

There is concluded that there are no simple rules to give antimonopoly regulation specialists an opportunity to define when prohibit or access vertical limitations. That is why on each concrete case decision should be made after well-grounded analysis of corresponding market.

გულნაზ ერქომაიშვილი სოფლის მმურნეობის ეკონომიკური კოლიტიკის პრიორიტეტები საქართველოში

აგრარული სექტორი ეკონომიკის განსაკუთრებული დარგია. განვითარებადი ქვეყნებისათვის აგრარული სექტორის განვითარება სიდარიბის დაძლევის და ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი გზაა. 2011-2012 წწ. საქართველოს მთავრობამ პრიორიტეტულ დარგად სოფლის მეურნეობა დაასახელა მიუხედავად იმისა, რომ ამ დარგს უზარმაზარი პოტენციალი

გააჩნია, მას უამრავი პრობლემა აქვს, რისი ერთ-ერთი მიზეზი არასაკმარისი ხელშეწყობაა. აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან საკმარისი დაფინანსება, განვითარებული ინფრასტრუქტურა, მექანიზაციის მაღალი დონე და დაზღვევის სისტემა.

2010 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი 40 მლნ ლარს შეადგენდა, 2011 წელს კი 69 მლნ-მდე გაიზარდა, რაც მთლიანი ბიუჯეტის ხარჯების 0,9%-ს შეადგენს. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის 4 მლრდ ლარის გამოყოფა. აღსანიშნავია, რომ ევროპავშირის ქვეყნები თავიანთი ბიუჯეტის 40%-მდე სოფლის მეურნეობის სუბსიდირებაზე ხარჯავენ. თუმცა, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებულ “სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2012-2022 წწ.” მიხედვით, მთავრობა შეგნებულად ამბობს უარს სუბსიდიებზე და მიზნად ისახავს ინვესტიციების მოზიდვას. “ამგვარი პოლიტიკის მიზანი არის ის, რომ ბაზარმა თავად გამოკვეთოს ის სექტორები, რომლებიც არიან კონკურენტუნარიანები და გააჩნიათ განვითარების პოტენციალი” (გვ. 10). თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში აგრარული სექტორის განვითარებას ხელს უნდა უწყობდეს სოფლის მეურნეობის დაკრედიტება. კომერციული ბანკები, აღნიშნული სექტორის რისკებიდან გამომდინარე, თავს იყავებენ სოფლის მეურნეობის დაკრედიტებისაგან. ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანეს დარგზე საბანკო კრედიტების 2 პროცენტზე ნაკლები მოდის. თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში ფერმერებზე განსაკუთრებით ზრუნავენ. ეს უპროცენტო სესხის გამოყოფით გამოიხატება. ქართველ გლეხობასა და ფერმერებს ასეთი დახმარებები ჯერ არ ჰქონია.

სოფლის მეურნეობის წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში იყო: 1996 წელს – 33,15%; 2003 წელს – 19,30%; 2009 წელს – 8,29%; 2011 წელს – 7-8%, ანუ იმ მძიმე 1996

წელთან შედარებითაც კი ეს მაჩვენებელი 4-ჯერ არის შემცირებული. ამჟამად სოფლად ცხოვრობს ქვეყნის მოსახლეობის 53% და დასაქმებულთა 62%, შიდა ბაზრის მოთხოვნა მხოლოდ 12%-ით კმაყოფილდება. საქართველო კვლავ დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო საქონლის იმპორტზე. სამომხმარებლო ბაზარზე იმპორტული კვების პროდუქტი ორ მესამედზე მეტია. 2000 წელს – იმპორტით შემოვიდა 130 მლნ დოლარის, სასურსათო პროდუქცია, ხოლო 2011 წელს 986 მლნ დოლარის ანუ ეს მაჩვენებელი 7,5-ჯერ გაიზარდა. 2003-2011 წლებში მოსახლეობის ერთ სულზე ორჯერ შემცირდა ხორცეულის წარმოება, ასევე შემცირდა რძის პროდუქტების წარმოება. მკვეთრადაა შემცირებული ხორბლის წარმოების მაჩვენებელი. თუ წინა წლებში ხორბალი 150-200 ჰექტარზე ითესებოდა, იგი 50-55 ჰექტარამდეა შემცირებული. ხორბლით უზრუნველყოფის მაჩვენებელი მხოლოდ 8%-ია. საერთოდ აღარ იწარმოება აბრეშუმი და თამბაქო.

ამგვარად, ეკონომიკის ცალკეული დარგების უმნიშვნელო, მაგრამ მაინც ზრდის პარალელურად, სოფლის მეურნეობის სექტორი ვარდნას განაგრძობს.

ქვეყნის მთლიან ფართობში სახნაფ-სათესი ფართობების წილით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა 6,4%-ით. სომხეთში ეს მონაცემი 16%-ია, აზერბაიჯანში – 22,7%, თურქეთში – 27,7%, უკრაინაში კი 56,1%.

თუ 1990 წელს 700 ათასი ჰა მიწა მუშავდებოდა, 2006-2011 წლებში საშუალოდ 290-300 ჰა მიწა იქნა დამუშავებული. ძალზე მცირეა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი სოფლის მეურნეობაში. 2007 წელს ქვეყნის მთლიან პირდაპირ ინვესტიციებში მისი წილი შეადგენდა 0,8 პროცენტს, 2009 წელს – 1,2 პროცენტს, 2010 წელს – 1,1 პროცენტს, 2011 წელს – 1,2 პროცენტს. ეს გამოწვეულია იმით, რომ დარგი რისკიანი და დაბალმომგებიანია.

სოფლის მეურნეობის დარგის განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის მიერ დაწესებულმა ემბარგომ

სხვადასხვა ქართულ პროდუქციაზე. საქართველომ დაკარგა ღვინის, მინერალური წყლის, ხილისა და სხვა კულტურების დიდი ბაზარი და ვერ შეძლო ორიენტირება სხვა ბაზრებზე.

აგრარული პოლიტიკის უმთავრეს მიზანს მოსახლეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგება და ჯანსაღი კების უზრუნველყოფა წარმოადგენს. იგი გულისხმობს: საკვები პროდუქტების წარმოების უსაფრთხოების ხელშეწყობას; ფიტო და ზოოვეტერინარული დაავადგების წინააღმდეგ ბრძოლას; განსაკუთრებული შემთხვევებისთვის საკვები პროდუქტების მომარაგების დაგეგმვასა და სამთავრობო რეზერვების შექმნას; წყალდიდობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი სანაპირო ეროზის საწინააღმდეგო ქმედებათა ხელშეწყობას; სოფლისა და სასოფლო ადგილების გარემოს დაცვას; წყლისა და გარემოს დაბინძურების შემცირებას; ზღვის დაცვას, მისი ფლორისა და ფაუნის ჩათვლით. უმნიშვნელოვანები მიზანია სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობისა და მეთევზეობის ეკონომიკის განვითარება.

აგრარულმა პოლიტიკამ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, სიღარიბის დონის დაძლევასა და საყოველთაო კეთილდღეობის მიზნის განხორციელებას, კერძოდ, ჯანსაღ საკვებსა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილებას.

აგრარული პოლიტიკის ძირითად ობიექტად და საფუძვლად სასოფლო-სამეურნეო მიწები გვევლინება. მიწის რეფორმის განხორციელების მიზნით საქართველოში 2005 წელს მიღებულ იქნა კანონი “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზების შესახებ“. 2005 წლის პირველ ნახევარში საქართველოში მიწის რეფორმის განხორციელების შედეგად სახნავი მიწების დაახლოებით 25 პროცენტი პრივატიზებულ იქნა და დაახლოებით 30 პროცენტი იჯარით გაიცა. 2007 წელს კანონში შევიდა

მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლის თანახმადაც, მიწათმოსარგებლებს მიეცათ შესაძლებლობა, შეღავათიანი პირობებით მიეღოთ საკუთრებაში მიწა, გამოეყენებინათ ის კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებად. ამ პერიოდში ქვეყანაში 3 მილიონ ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწა იყო.

ბოლო ერთი წლის განმავლობაში უძრავი ქონების ბაზარზე ყველაზე დიდი მოთხოვნა მიწის ნაკვეთებზე. თბილისის მერიის ქონების სააგენტოს მონაცემებით, გაიყიდა 21 მლნ ლარის უძრავი ქონება, რაც უპრეცედენტო მაჩვენებელია. ეს მაჩვენებელი ნაწილობრივ აღნიშნული სააგენტოს მიერ გატარებული რეფორმების შედეგია. 2011 წლის დასაწყისში შეიცვალა მიწის ნორმატიული ფასები, ახალი ტენდენციები ასევე ნორმატიულ რუკაზეც აისახა. გაუქმდა კომისია, რომელიც მიწის ნაკვეთებზე სააუქციონო ფასის დადგენისას. აუცილებელი ბიუროკრატიული ელემენტი იყო. დღეს არსებობს ფორმულა, რომლის მიხედვითაც მიწის ნაკვეთი დაანგარიშებული ფასით გადის აუქციონზე. თუ მიწის ნაკვეთზე მოთხოვნა და კონკურენცია მატულობს, მაშინ მზარდი მოთხოვნის ფონზე ნორმატიული ფასებიც თავიდან განიხილება და შესაძლებელია დადგენილი ფასი გაიზარდოს. ნორმატიულ რუკაზე აუცილებლად აისახება ტენდენციები, რაც უძრავი ქონების ბაზარზე მიმდინარეობს. აღსანიშნავია ის, რომ, მას შემდეგ, რაც გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე მოთხოვნა გაიზარდა უცხოელების მხრიდან. მაგალითად, კახეთში მიწების მასიური შესყიდვა დაიწყეს ინდუსტრიული და ბულგარელმა ინვესტორებმა. დიდია დაინტერესება ჩინელი ინვესტორების მხრიდანაც. მათ აქტიურობას დაბალი ფასი, კლიმატი და ბიზნესგარემო განსაზღვრავს. უცხოელი ინვესტორებისათვის ჩვენი კანონმდებლობა გაცილებით ლიბერალურია, ვიდრე ადგილობრივი ფერმერებისათვის.

საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგია მიმართული უნდა იყოს შემდეგი მიზნების მიღწევისაკენ:

• საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პოტენციალის სრულად ათვისება და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

• ადგილობრივი პროდუქციით იმპორტის ჩანაცვლება;

• საექსპორტო პროდუქციის გაზრდა და ახალი ბაზრების ათვისება;

• სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება;

• აგრარული სექტორის ინფრასტრუქტურის განვითარება.

საქართველოს აგრარულ სექტორს სახელმწიფოს ხელშეწყობით შეუძლია წარმატებებს მიაღწიოს და კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით გავიდეს მსოფლიო ბაზარზე. ასეთი პროდუქციაა საქართველოში ბოსტნეული, ყურძენი, ხილი, ღვინი.

ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა მოთხოვნა მცენარეული წარმოშობის პრეპარატებისადმი, შესაბამისად, იმატა მოთხოვნაში სამკურნალო მცენარეებზე. სამკურნალო მცენარეები, რომლებიც ერთ-ერთ უმთავრეს როლს თამაშობენ ფარმაკოლოგიურ კვლევებსა და ახალი სამკურნალო პრეპარატების შექმნაში, დღესაც ფართოდ არის გავრცელებული. ნატურალური პრეპარატები სამკურნალო საშუალებებით ვაჭრობის საერთო მოცულობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. სამკურნალო მცენარეებით ოდიოგანვე მდიდარია საქართველოს ფლორა. საქართველოს შეუძლია ღირსეული ადგილი დაიკავოს სამკურნალო მცენარეების წარმოება-რეალიზაციის საერთაშორისო ბაზარზე. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატების წარმოებას და დაინტერესებული უცხოელი ინვესტორების მოზიდვას. სამკურნალო მცენარეების რესურსების რაციონალური გამოყენება ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას, საექსპორტო შემოსავლების ზრდას, სამუშაო

ადგილების შექმნას და სიღარიბის ზღვარზე მყოფი მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირებას.

სწორედ ამ დარგების განვითარებაზე უნდა იყოს მიმართული პოტენციალის გამოყენება, უნდა ჩაიდოს ინვესტიციები. თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ აგრარული წარმოების შედეგები ძეგლებურად განუჭრებელი რჩება. გვალვა, წყალდიდობა, მავნებლები, მცენარეთა და ცხოველთა დაავადებები აგრარულ სექტორს კაპიტალის ჩადებისათვის შედარებით მაღალრისკიან სფეროდ აქცევს. სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარებაა. ამ მხრივ სასიკეთო ძრები უკვე შეიმჩნევა. ეს სოფლის მეურნეობაში არსებულ რისკებს მნიშვნელოვნად შეამცირებს და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის დაკრედიტების მოცულობის ზრდას.

წარმოებასთან ერთად ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა პროდუქციის რეალიზაცია. როგორც საერთაშორისო პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ თვითონ ფერმერი დაიწყებს პროდუქციის რეალიზაციაზე ზრუნვას, იგი ვერც თავის მეურნეობას განვითარებს და ვერც რეალიზაცია გამოუვა კარგად.

ამ მხრივ საქართველოში სავალალო მდგომარეობაა. წვრილი გლეხები ან წვრილი გადამყიდველები ყოველგვარი აღრიცხვის, სურსათის უფრებლობის და სხვა ნორმების დარღვევით ახორციელებენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციას. ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს შუალედური კომპანიები მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შეგროვებას, მომხმარებლებისათვის სასურველი სასაქონლო სახის მიცემას, უვნებლობის კონტროლს და ნორმალურ დისტრიბუციას. ამის უმთავრესი მიზეზი იმპორტიორებთან შედარებით არაკონკურენტული მდგომარეობაა, რადგან შუალედური კომპანია იმავენაირად იხდის 18%-ს,

როგორც ნებისმიერი იმპორტი, ანუ სოფლის მეურნეობის პროდუქციას არანაირი საგადასახადო შეღავათი არ გააჩნია.

საგადასახადო კოდექსით “სასოფლო-სამეურნეო წარმოქბაში დასაქმებული პირის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდება მის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისაგან“. ე.ი. გლეხი, რომელიც აწარმოებს საქონლის რძეს, არ იხდის დღგს, მაგრამ თუ ამ რძისგან დამზადა მაწონი ან ყველი და გაყიდა, მაშინ დღგ უნდა გადაიხადოს. ასევე, თუ ყიდის უურძენს, გათავისუფლებულია გადასახადისგან, მაგრამ თუ დაწურა ყურძენი და გაყიდა დვინო, იხდის დღგ-ს.

სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებისათვის აუცილებელია:

- უნდა განხორციელდეს სოფლის მეურნეობაში დაკავებული მეწარმეების დაკრედიტების სისტემის მოწესრიგება და სრულყოფა;
- სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგების უზრუნველყოფა, მანქანა-ტრაქტორების ცენტრების შექმნა და ლიზინგის განხორციელება;

• ახალი ჯიშების გამოყვანის საცდელი სადგურების აღდგენა და ახალი სტანდარტებით ამოქმედება;

• სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით ერთიანი საინფორმაციო ქსელის შექმნა;

• დღგ-საგან გათავისუფლდეს არა მხოლოდ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქციის პირველადი მიწოდება, არამედ ზოგადად სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება, მიუხედავად იმისა, ვინ არის მიმწოდებელი – გლეხი თუ შუალედური კომპანია; სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი დაიბეგოოს

ჩვეულებრივ. სახელმწიფო ბიუჯეტი პროდუქციის იმპორტიდან მიიღებს იმავე თანხებს დღგ-ს სახით, ადგილობრივ ბაზარზე კი ხელს შეუწყობს შუალედური რგოლების განვითარებას. შესაბამისად, წვრილი და საშუალო ფერმერების განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი II. თბილისი, 2012.
2. ერქომაიშვილი გ., აგრარული სექტორი და მისი ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები. შრომების კრებული. თბილისი, 2012.
3. კოლუაშვილი პ., საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგიისათვის. სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები. შრომების კრებული. თბილისი, 2012.
4. ნაცვალაძე მ., სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების მექანიზმი. თბილისი, 2009.
5. სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2012-2022 წწ. თბილისი, 2011.
6. ხარაიშვილი ე. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ-ორგანიზაციული მექანიზმი და მისი სრულყოფის მიმართულებანი. თბილისი, თხუ, 2004.
7. www.moa.gov.ge
8. www.geostat.ge

Erkomaishvili Gulnaz

AGRICULTURE ECONOMIC POLICY PRIORITIES IN GEORGIA SUMMARY

The utmost aim of agrarian policy represents supply of agricultural products to population and provision of healthy nutrition. The ultimate

object and foundation of the agrarian policy appeared to be agricultural lands. The article presents experience of various states and existed conditions in Georgia.

Agrarian sector of Georgia may succeed with support of the state and enter the world market with competitive agricultural products. In Georgia such products are vegetables, fruits wine.

In 2011 the government of Georgia referred agriculture as a field of priority importance. Despite large potential of this branch it undergoes numerous problems, one of them may be considered not-sufficient support. It is necessary to provide the ample finances from the side of the state, developed infrastructure, high profile mechanization and insurance system.

ლინა დათუნაშვილი სიღარიბე და მისი გამომარტვები მიზანები საქართველოში

ეკონომიკურ თეორიაში სიღარიბის სხვადასხვაგვარი განმარტება არსებობს. ერთი განმარტებით სიღარიბე (poverty) ადამიანის, ოჯახის, ქვეყნის ხელო არსებული ქონებრივი ფასეულობების, ფულადი სახსრების უკმარისობაა ნორმალური ცხოვრებისათვის [1].

სხვა განმარტების მიხედვით სიღარიბე ადამიანის, ოჯახის, რეგიონის, სახელმწიფოს ხელში არსებული ქონებრივი ფასეულობების, საქონლის, ფულადი სახსრების უკიდურესი უკმარისობაა ნორმალური ცხოვრებისა და ცხოველქმედებისათვის [6].

სიღარიბის განსაზღვრისათვის საჭიროა საზოგადოების განვითარების მოცემულ საფეხურზე ადამიანების მატერიალური და სოციალური დოკუმენტის მოხმარების დონისა და ამ დოკუმენტზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხის დადგენა, რომელიც შეიძლება გავიანგარიშოთ მოსახლეობის ერთ სულზე რეალური შემოსავლის მოცულობით, მოხმარების საგნებზე ფასების დონითა და

დინამიკით, საბინაო პირობებით, სამედიცინო მომსახურების შესაძლებლობებით, განათლების დონით, მოქმედი საგადასახადო სისტემით და სხვა. ყოველივე აღნიშნული ის ცხოვრებისეული სიკეთეა, რითაც უნდა ისარგებლოს ადამიანმა თავისი კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

მოსახლეობის კეთილდღეობის დასახასიათებლად საქართველოში გამოიყენება ტერმინი “ცხოვრების დონე”, რომელშიც მოიაზრება მოსახლეობის მატერიალური, სულიერი და სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ხარისხი. ეს მაჩვენებელი დინამიურია და მრავალ ფაქტორთა გავლენას განიცდის. ცხოვრების დონე ერთი მხრივ სხვადასხვა სიკეთეზე მოთხოვნის სტრუქტურითა და რაოდენობით განისაზღვრება, მეორე მხრივ, ცხოვრების დონე მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობებით არის შეზღუდული, რასაც რიგი ფაქტორი განსაზღვრავს. მაგალითად, მოსახლეობის შემოსავლები, მ.შ. ხელფასი, საქონლისა და მომსახურების ბაზარზე არსებული მდგრმარეობა და სხვა. თავის მხრივ, ამ ფაქტორებზე ზეგავლენას ახდენს წარმოებისა და მომსახურების სფერის მასშტაბები და ეფექტიანობა, ეკონომიკის განვითარების, ახალი ტექნოლოგიებისა და ინფარმაციების არსებული დონე და გამოყენების შესაძლებლობა, მოსახლეობის განათლების დონე, სტრუქტურა და სხვ.

მსოფლიოს რიგ ქვეყნებში განსხვავებულია მოსახლეობის ცხოვრების დონე. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში მაღალია ეს მაჩვენებელი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ ქვეყნებში მოსახლეობის ცხოვრების დონე ერთნაირად მაღალია სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის და არ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ჯგუფების შემოსავლების დონეებს შორის.

ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს მოთხოვნილებებსა და ცხოვრების დონეზე, განსაზღვრულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო, ILO) კონვენციის თანახმად, ესაა: ადამიანის უფლება ცხოვრების ისეთ დონეზე (საკვების,

ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და სოციალური მომსახურების ჩათვლით), რომელიც აუცილებელია პიროვნების და მისი ოჯახის ჯანმრთელობის, სიცოცხლისუნარიანობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად. ამასთან, ადამიანს აქვს უფლება, უზრუნველყოფილ იქნეს უმუშევრობის, ინგალიფობის და სხვა შემთხვევაში.

გაეროს კონვენციის თანახმად (1961), ცხოვრების დონეს განსაზღვრავს ადამიანის ჯანმრთელობა, მის მიერ კვების პროცესების მოხმარება, განათლება, დასაქმება, შრომის და საცხოვრებელი პირობები, სოციალური უზრუნველყოფა, ტანსაცმელი, დასვენება, თავისუფალი დრო და ადამიანის უფლებები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხოვრების დონე შეზღუდულია მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობით. იმ ფაქტორთა შორის, რომელიც განსაზღვრავს ცხოვრების დონის შეზღუდულობას მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესაძლებლობით, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შემოსავლებს. შემოსავლები მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირდაპირი წყაროა.

შემოსავალი – ეს არის ფულადი სახსრები ან მატერიალური ფასეულობები, რომელთაც გააჩნია ფულადი დირექულება და რომელსაც იდებს მოქალაქე ხელფასის, პენსიების, სტიპენდიების, დივიდენდების, ოჯახური მეურნეობის პროცესების გაყიდვიდან და სხვა.

შემოსავლები ორგვარია: ფულადი და ნატურალური.

მოსახლეობის ფულადი შემოსავლებია მომუშავე პირთა შრომის ანაზღაურებით მიღებული ყველა სახის ფულადი სახსრები: ხელფასი, პენსიები, სტიპენდიები, შემწეობები, შემოსავლები საკუთრებიდან პროცენტების სახით, აქციების, ფასიანი ქაღალდების, უძრავი ქონების, სხვადასხვა სახის ნაკეთობებისა და საქონლის გაყიდვიდან მიღებული თანხები და სხვა.

მოსახლეობის ნატურალური შემოსავლები – ეს არის სოფლის მეურნეობაში მოწეული და მიღებული პროდუქცია: მიწათმოქმედების, მესაქონლეობის და მეფრინველეობის პროდუქტები და სხვა პროდუქცია ნატურალური გამოსახულებით (ცალი, კბ, მ..), რომლებიც მიღებულია პირადი საბაზე-საბოსტანე ნაკვეთებიდან, საოჯახო მეურნეობებიდან, თვით დამზადებული ტყის ნობათი, რომელიც განკუთვნილია პირადი ან საოჯახო მოხმარებისათვის და სხვა.

შემოსავლის ამ ორ ფორმას შორის შეფარდება პერიოდულად იცვლება. მოსახლეობის დარიბ ფენებში ყოველთვის ჭარბობს ნატურალური შემოსავლების წილი. ეკონომიკური მდგრმარეობის გაუარესების პერიოდში ნატურალური შემოსავლების ხვედრითი წილი იზრდება. შემოსავლების ხარჯებისას მათი ნაწილი ხმარდება მატერიალურ, ნაწილი მომსახურების მოხმარებას. სწორედ შემოსავლების სიდიდისა და დინამიკის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ საზოგადოების კეთილდღეობაში მიმდინარე ცვლილებებზე.

ფულადი შემოსავლების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ხელფასი.

ქვეყანაში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი ფრიად განსხვავებულია. მართალია ეს მაჩვენებელი 2006-2010 წლებში გაიზარდა საშუალოდ ქვეყანაში 277,9 ლარიდან 597,5 ლარამდე, მაგრამ სოფლის მეურნეობაში, ნადირობასა და სატყეო მეურნეობის მუშაკებისათვის 2010 წელს იგი 279,2 ლარს არ აღემატებოდა. ასევე დაბალი იყო განათლების მუშაკთა ხელფასი (305,1 ლარი), ხოლო ყველაზე მაღალი იყო საფინანსო საქმიანობით დაკავებულთა (1276,7 ლარი) და სახელმწიფო მმართველობაში დასაქმებულთა ხელფასი (973,0 ლარი). ხელფასების ასეთი მკვეთრი დიფერენციაცია მნიშვნელოვნად განაპირობებს სოციალური ფენების დიფერენციაციას.

აღნიშნულის გარდა, შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს სოციალური ტრანსფერები – ეს არის ნაკლებად უზრუნველყოფილი მოსახლეობის ფულდადი და მატერიალური დახმარების დონისძიებათა სისტემა, რომელიც არ უკავშირდება მათ მონაწილეობას სამეურნეო საქმიანობაში დროის ამა თუ იმ პერიოდში.

შემოსავლებს შორის დიფერენციაციას განსაზღვრავს რიგი ფაქტორები. მაგალითად, ფინანსური და მატერიალური რესურსების მფლობელები შემოსავალს მათი კუთვნილი წილის, ხოლო დაქირავებული მუშაკები თავიანთი სატარიფო განაკვეთის შესაბამისად იღებენ. იმის გამო, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ნიჭისა და ბიზნესის კეთების უნარით, ფლობენ განსხვავებულ კაპიტალსა და მატერიალურ რესურსებს, ცხოვრობენ სხვადასხვა სოციალურ გარემოში, განსხვავებულია ამ ადამიანების საქმიანობის მომავალი პირობები და შესაბამისად შემოსავლებიც.

შემოსავლების განაწილება ყველა ქვეყანაში უთანაბროა. იგი ყველა საზოგადოებრივი ფორმაციის თანმდევი პროცესია.

შემოსავლების განაწილების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ფაქტორების გათვალისწინებას, როგორიც არის "ჩრდილოვანი ეკონომიკა" და კორუფცია, რომლებიც მეტ-ნაკლები ზომით იყო და არის გავრცელებული როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. მათი გავრცელების ფართო მასშტაბები მნიშვნელოვნად ამასინჯებს მთლიანი შემოსავლების განაწილების რეალურ სურათს. მეცნიერული კვლევებით დასტურდება, რომ XX საუკუნის შეასნებიდან სხვადასხვა ქვეყანაში შეიმჩნევა შემოსავლების განაწილებაში უთანასწორობის შემცირების ტენდენცია, რაც გამოიხატება იმაში, რომ გაიზარდა მაღალ შემოსავლიანი მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში და შესაბამისად იკლო დარიბების, ანუ დაბალ შემოსავლიანთა წილმა. ამ ფაქტს ხელს უწყობდა სოციალურ სფეროში სახელმწიფო ხარჯების ზრდა. შემოსავლების განაწილებაში არსებული

უთანასწორობა უფრო მაღალია განვითარებად ქვეყნებში, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში შეიმჩნევა მოსახლეობის საარსებო მინიმუმის თანდათანობით ამაღლების ტენდენცია, რაც საკვების, განათლების, ბინით უზრუნველყოფაში, ჯანმრთელობის გახანგრძლივებასა და სხვ. გამოიხატება. მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად, განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის წილი, რომლებიც დღეში ხარჯავენ 1,25 ამერიკულ დოლარზე ნაკლებს, 1,9 მილიარდი ადამიანიდან (1981) 1,4 მილიარდ ადამიანამდე (2005) შემცირდა, რაც გაანგარიშებულია აღნიშნულ წელს ერთი ადამიანის მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტით. ეს პროცესი ძირითადად ეხება იმ ქვეყნებს და რეგიონებს, სადაც უკანასკნელი ორი ათეული წელია შეიმჩნევა ეკონომიკის მდგრადი ზრდა (ჩინეთი და ინდოეთი), სწორედ მათ შეძლეს მიეღწიათ სიღარიბის მასშტაბების შემცირებას ძირითადად ქალაქებსა და რაიონებში. ამასთან ერთად, დარიბების რაოდენობის აბსოლუტური მაჩვენებელი გაიზარდა აფრიკის რიგ ქვეყნებში, ლათინური ამერიკის, ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში.

მიუხედავად აბსოლუტური სიღარიბის მასშტაბების შემცირებაში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესისა, მსოფლიომ მაინც ვერ შეძლო ათასწლეულის დეკლარაციაში ჩამოყალიბებული მიზნის მიღწევა – 2015 წლისთვის ორჯერ შეემცირებინა უკიდურესი სიღარიბე, რაშიც დიდია იმ განვითარებადი ქვეყნების წვლილი, რომლებმაც ვერ შეძლეს სიღარიბის მასშტაბების შემცირება როგორც ქალაქად, ისე სოფლიად, სადაც სოფლის მეურნეობა ისევ დარჩა დაბალ-მწარმოებლური და ჩამორჩენილი [3].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემოსავლებში და მის განაწილებაში ყველაზე მეტად ცვლილებას იწვევს მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების სიღიდე, პიროვნების უნარი, გერგილიანობა, ნიჭიერება და განათლება, ეს

უკანასკნელი თანდათანობით თანასწორობის მიღწევის შედეგაზე გასათვალისწინებელი საშუალება ხდება.

დასაქმება, უმუშევრობა და სიღარიბე ერთმანეთთან დაკავშირებული კატეგორიებია, რომლებიც ერთმანეთთან პირდაპირ კავშირშია და ერთმანეთზე ზემოქმედებს. სიღარიბის გამომწვევა მიზეზებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია უმუშევრობა. უმუშევრობა არის მდგომარეობა, როდესაც შრომისუნარიან ადამიანებს არ შეუძლიათ დასაქმება სტრუქტურული, სოციალური ან პოლიტიკური მიზეზების გამო. უმუშევრობა, მისი წარმოშობის მიზეზებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს ფრიქციული, სტრუქტურული, ციკლური, ფარული, სეზონური, რეგიონული, ინსტიტუციური და სხვა. უმუშევრობის ფაქტობრივი დონე ოუ შესამჩნევად მაღალია მის ბუნებრივ ნორმაზე (შრომისუნარიანი მოსახლეობის 5-6%-ს), მაშინ ასეთი ვითარება როგორც პიროვნებისათვის, ისე ქვეყნისათვის მრავალ უარყოფით შედეგს იწვევს.

ბოლო წლებში სამუშაო ძალაზე მოთხოვნის მკვეთრი შემცირების ფონზე, მნიშვნელოვნად გაიზარდა უმუშევარი მოსახლეობის რაოდენობა, რამაც შემდგომ კიდევ უფრო ფართო მასშტაბები მიიღო. საქართველოში აღნიშნულ პროცესს რიგი მიზეზი განაპირობებდა. ქვეყანაში ბოლო წლების განმავლობაში გაუარესებულმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, 2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა და მსოფლიო გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა ხელი შეუწყო ქვეყანაში უმუშევრობის ზრდასა და ათეული ათასობით დევნილის გაჩენას, რომლებიც შეუერთდნენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ომის დროს წამოსულ დევნილთა მასას. საბოლოოდ კი მათი ძირითადი ნაწილი ქვეყანაში არსებულ უმუშევართა რიგებში აღმოჩნდნენ. აღნიშნულმა მიზეზებმა გამოხატულება პოვა ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილის ცხოვრების დონის დაქვეითებაში, მათ მიერ მოხმარების დონის შემცირებაში, მისი სტრუქტურის გაუარესებაში, შემოსავლების დიფერენ-

ციაციის გაღრმავებაში და სხვა. ამას ემატება წლების მანძილზე მოუმზადებლად და სტიქიურად მიმდინარე რეფორმები. ამიტომ საქართველოში საბაზო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდი ეკონომიკის სისტემური კრიზისით, მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების დონის დაცემით, მასობრივი უმუშევრობითა და სოციალურ-პოლიტიკური დაბაბულობით ხასიათდება [2].

უმუშევრობა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, სპეციფიკური ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ბუნების მატარებელია. მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები ხელს უწყობს მოსახლეობის ძირითადი ფენის ცხოვრების დონის დაქვეითებას, გაუარესებას და სიდარიბეს, სოციალურ დაბაბულობას, კრიმინოგენური და პოლიტიკური სიტუაციების გაუარესებას. წარმოების მასშტაბების და საგადასახადო შემოსავლების შემცირებას, მუშაკთა კვალიფიკაციის დაქვეითებას, რესურსების მნიშვნელოვან დანაკარგებას, მიგრაციის დონის ამაღლებას და სხვა.

უმუშევრობა საქართველოში დიფერენცირებულია როგორც ქალაქება და სოფელს შორის, ასევე ქვეყნის რეგიონების მიხედვით. ჩვენი აზრით, უმუშევრობის დაძლევისა და შესაბამისად სიდარიბის შერბილების მიმართულებით უმუშევრობის სოციალურ-პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა საქართველოში დიფერენცირებული უნდა იყოს რეგიონის სიდიდისა და სიმწვავის გათვალისწინებით. სოციალური პროცესების სახელმწიფო რეგულირება მაშინ აღწევს აფექტს, როცა იგი ხორციელდება სისტემატურად და მოიცავს ჯანდაცვის, განათლების, კულტურისა და მეცნიერების ნორმალურ საბიუჯეტო დაფინანსებას.

აქ ჩამოთვლილი ნაწილი სუბიექტური და რიგი ობიექტური მიზეზის გამო ქვეყანაში კიდევ უფრო გაძელებულია სამუშაო ადგილის მოძიება, ხოლო დასაქმებულს უმეტეს შემთხვევაში მწირი შემოსავალი აქვს,

რომელიც საქმარისი არ არის ოჯახის რჩენისათვის, ამიტომ ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონე და სამუშაო ძალის დაბალი ფასი, სხვა მიზეზებთან ერთად, აიძულებს საქართველოს მოსახლეობის ეკონომიკურად აქტიურ ნაწილს, სამუშაო და არსებობის საშუალებები სხვა ქვეყანაში ეძებოს.

საქართველოში უმუშევრობის მაღალი დონე (2010 წელს - 16,3%) უკანასკნელი წლების მანძილზე გადაუქრელ ამოცანად რჩება. საქართველოს მთავრობამ უმუშევრობის შესაბამილებლად დასაქმების სახელმწიფო პროგრამა აამუშავა და უმუშევრები (მირითადად ახალგაზრდები და სტუდენტები) მოკლე პერიოდით (სამ-სამი თვით) დაასაქმა. ამასთან, ბიზნესმენებსაც დაპირდა სამუშაო ადგილების შექმნისათვის წახალისებას, მაგრამ ეს იყო ერთჯერადი აქტი, რომლის რეალიზაციისათვის ათასობით ლარი დაიხარჯა. ჩვენი აზრით, უფრო ეფექტური იქნებოდა რამდენიმე საწარმოს, მაგალითად, ხილის, ბოსტნეულის გადამამუშავებელი საამქროების და სხვა წვრილი და საშუალო საწარმოს ამუშავებისათვის დახარჯულიყო ეს თანხები და შექმნილიყო რეალური სამუშაო ადგილები. პრობლემის გადასაჭრელად საჭიროა გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამების შემუშავება და მისი ეტაპობრივი განხორციელება. გასათვალისწინებელია, რომ უმუშევრობა ჩვენს ქვეყანაში კიდევ უფრო გამძაფრდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გლობალური კრიზისის, რეგიონული დიფერენციაციის გაღრმავების, უმუშევრობის ხანგრძლივობის, უმუშევართა სოციალური დაუცველობის და სხვა ფაქტორების გამო. შექმნილია ერთგვარი ჩაკეტილი წრე: წარმოების დაცემა – რეალური შემოსავლების შემცირება – უმუშევრობა და სიღარიბე.

საქართველოში მიმდინარე სოციალური და ეკონომიკური პროცესების ფონზე ქვეყანაში ადგილი აქვს მოსახლეობის ცხოვრების დონის დაქვეითებას, რის გამოც დაირდვა, გაუარესდა და შეიცვალა მოსახლეობის მოხმარების სტრუქტურა. თუ ადრე მოსახლეობის უდიდესი ნაწილის შემოსავლები

თითქმის თანაბრად ნაწილდებოდა სურსათით უზრუნველყოფაზე, გრძელვადიანი საქონლის შეძენასა და დაგროვებაზე (ამპროცესს ადგილი ჰქონდა როგორც ქალაქად, ისე სოფლად), დღეისათვის შემოსავლების უდიდესი ნაწილი ხმარდება სურსათის შეძენას. მიზერულად შემცირდა გრძელვადიანი საქონლის შეძენა და დაგროვება.

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის მთელი 20 წლის განმავლობაში ქვეყანაში მიმდინარეობდა მოსახლეობის დაყოფა შემოსავლების მოცულობის, შესაბამისად ცხოვრების ხარისხისა და პირობების მიხედვით. ეს პროცესი დღესაც სახეზეა და ღრმავდება მოსახლეობის მცირე ნაწილის მიერ მაღალი შემოსავლების მიღება სხვათა (მოსახლეობის დიდი ნაწილის შემოსავლების) ხარჯზე. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში და შემდგომშიც მოსახლეობის შემოსავლების და მოხმარების დიფერენციაციას ექნება ადგილი, მაგრამ სახელმწიფომ უნდა გამონახოს მართვის ისეთი ბერკეტები (ხელფასი, გადასახადები, სოციალური პროგრამები, სამუშაო ადგილების შექმნა და სხვა), რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის შემოსავლების ზრდას, მოხმარების დიფერენციაციის შერბილებას და შესაბამისად ცხოვრების დონის გაუმჯობესებას.

საქართველოში 2003 წლამდე სიღარიბის მაჩვენებლის ზრდის ტენდენციას ჰქონდა ადგილი, რომელიც 54,5%-ს შეადგენდა. 2004 წლიდან, როდესაც სტატისტიკის დეპარტამენტმა სიღარიბის მაჩვენებლის გაანგარიშება მედიანური მოხმარების 60%-ის მიხედვით დაიწყო, სიღარიბის დონე (დარიბთა წილი მოსახლეობაში) მკვეთრად შემცირდა და მან 2011 წელს 23%, სიღარიბის სიღრმემ 2009 წელს (სიღარიბის ზღვარზე დარიბთა დაშორების წილი, ე.ი. რამდენად არის დარიბთა შემოსავლები საარსებო მინიმუმს დაშორებული) 6,6%, ხოლო სიღარიბის სიმწვავემ (დარიბთა შორის სიღარიბის უთანაბრობა) 3,1% შეადგინა, რაც ჩვენში ეჭვს იწვევს. ამასთან, სიღარიბის ზღვარს

ქვევით მყოფი მოსახლეობის რაოდენობა 2007-2011 წლებში 6,4%-დან 9,2%-მდე გაიზარდა.

ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია სამომხმარებლო კალათა, რომელიც ადამიანის ჯანმრთელობის და სოციალურ-კულტურული მოთხოვნილებების დასაქმაყოფილებლად აუცილებელი სამომხმარებლო საქონლის და მომსახურების ჩამონათვალს წარმოადგენს. აქ შედის კვების პროდუქტების მინიმალური დასახელება, რომელიც ითვალისწინებს დიეტოლოგიურ შეზღუდვებს და კალორიების მინიმალურად საჭირო რაოდენობას. აგრეთვა აქ შედის არასასურსათო საქონელი და აუცილებელი გადასახადები. სამომხმარებლო კალათაში შესული საქონლისა და მომსახურების რაოდენობა და ასორტიმენტი ასახავს მოსახლეობის ცხოვრების დონეს განსაზღვრული პერიოდისათვის.

საარსებო მინიმუმი სამომხმარებლო კალათის დირებულებითი გამოხატულებაა, რაც აუცილებელია ადამიანის ნორმალური ქმედუნარიანობის შესანარჩუნებლად. მასში შედის აუცილებელი გადასახადები და მოსაკრებლები.

საქართველოში 1997 წლის 17 აპრილს მიღებულ იქნა კანონი "საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ" და მასში ცნება "სამომხმარებლო კალათა" შეცვლილია შრომისუნარიანი მამაკაცის "სასურსათო კალათით". ეს იყო მცდელობა, რომ სერიოზული ნაბიჯი გადადგმულიყო ეკრაპული სოციალური პოლიტიკისაკენ, მაგრამ მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების გეგმაზომიერი პოლიტიკის ნაცვლად, აღნიშნული პოლიტიკა სხვა მიმართულებით წავიდა და 2006 წლის 28 ივლისის ქვეყნის მთავრობის დადგენილებით (№145) "მიზნობრივი სოციალური დახმარების შესახებ" - განხორციელდა სამუშაოები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემებთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული დატაკი ოჯახებისთვის მიზნობრივი სოციალური დახმარების ოდენობის გაანგარიშებით და დაფინანსების შესახებ, რის საფუძველზეც გამოიკვეთა მონაცემებთა ბაზაში

რეგისტრირებული ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ამ ოჯახების სიღარიბის დონე. ამ დონისძიებებით უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა დატაკი ოჯახების ფულადი სახით (საარსებო შემწეობით) უზრუნველყოფა და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური დახმარება. ეს დადგენილება, თავისი არსით არ წარმოადგენს ერთიანი სახელმწიფო სოციალური პოლიტიკის მატარებელს, რამდენადც მასში ასახვა ვერ პოვა ვერც საარსებო მინიმუმმა, ვერც სასურსათო და ვერც სამომხმარებლო კალათამ.

საქართველოში შრომისუნარიანი მამაკაცისთვის საარსებო მინიმუმი 2007-2010 წლებში 118,6 ლარიდან 134,3 ლარამდე, ხოლო 2012 წლის მარტისათვის იგი 155,3 ლარამდე გადიდდა. ამ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყანაში არსებული ინფლაციური პროცესების გააქტიურებამ. იმის გამო, რომ ნება ვითარდება ეკონომიკა, და შესაბამისად წარმოებული პროდუქცია, ხოლო იზრდება მოსახლეობის (განსაკუთრებით პერძო ბიზნესში დასაქმებულების და საჯარო მოხელეების) მხრიდან მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე, ფასების ზრდას აქვს ადგილი.

საქართველოში მოსახლეობის დიდი რაოდენობისათვის (პენსიონერიები) შემოსავლის ძირითადი წყაროა პენსია, რომელიც 2011 წელს 110 ლარს შეადგენდა, მაღალი ინფლაციის, კომუნალური გადასახადისა და წამლების მაღალი ფასების ფონზე, მოხუცებულებს პენსიიდან საკვების შესაძენად ფული თითქმის არ რჩებათ. ამიტომ არის რომ ქვეყანაში სწორედ ეს სოციალური ფენა არის დღეს ყველაზე შეჭირვებული და დარიბი.

მოსახლეობის ცხოვრების დონეზე დიდ ზეგავლენას ახდენს განათლებისა და ჯანდაცვის მომსახურებაზე მაღალი ფასები, კომუნალური მომსახურების (გაზი, სინათლე, წყალი) და ტრანსპორტის ხარჯების მაღალი დონე და ზრდის ტენდენცია, რაც მთლიანობაში უარყოფითად აისახება მოსახლეობის ფართო ფენის სოციალურ მდგომარეობასა და საბოლოოდ სიდატაკის დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასათაიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 2009.
2. დათუნაშვილი ლ. უმუშევრობის პრობლემა და მისი გამომწვევი მიზეზები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში. პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. სამეცნიერო ჟრომების კრებული. ტ. II, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2002.
3. გაეროს გენერალური ასამბლეის 64-ე სესიის მასალები. 2007 წლის ივნისი.
4. სილაგაძე ა. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი, 2005.
5. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური კრებული. თბილისი, 2010-2011.
6. Большая Экономическая энциклопедия. Самое полное современное издание. Москва, ЭКСМО, 2008.

Datunashvili Lina

POVERTY AND ITS CAUSES IN GEORGIA SUMMARY

The article focuses on the essence of poverty, highlights the necessity of creating the appropriate conditions for a decent life of people in the country according to the conventions of the International Labour Organisation (ILO) and UN.

Is considered the incomes of Georgia's population according to their kinds (salaries, pensions, social transfers) and forms (cash and in-kind), and from this point of view is emphasized the depths of differentiation of social strata in the country.

The article analyzes the most important reason of poverty – unemployment, which embraces the broad strata of the population of Geor-

gia at present. It is the main problem of the country's population as an unemployed person is doomed to poverty.

In the article the certain measures of reducing poverty are noted.

**რამაზ აბესაძე
ნანა ბიბილაშვილი
გლობალიზაციის უმუშევრობაზე ბავლენის
ზოგიერთი ასახვი**

გლობალიზაცია გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის ყველა სფეროზე და, მაშასადამე, უმუშევრობაზეც. უმუშევრობაზე გლობალიზაციის გავლენის თავისებურებები დამოკიდებულია მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკებში არსებულ მდგომარეობაზე. თუ მსოფლიო ეკონომიკა გამართულად ფუნქციონირებს, მაშინ ეროვნული ეკონომიკებისათვისაც ხელსაყრელი გლობალური პირობები იქმნება და პირიქით. თუმცა, ცალკეულ ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა, შესაძლებელია, არ შეესაბამებოდეს მსოფლიო ეკონომიკაში არსებულ პირობებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნის ჩართულობის ხარისხზე გლობალიზაციის პროცესებში, ასევე მოცემული ქვეყნის რესურსებით უზრუნველყოფისა და ტექნოლოგიური განვითარების დონეზე, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანობაზე.

უმუშევრობაზე გლობალიზაციის გავლენა განვითარებულ, განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. განვითარებულ ქვეყნებს მიეკუთვნება სახელმწიფოები, რომელთაც აქვთ მაღალგანვითარებული საბაზრო ეკონომიკა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უდიდესი დონე. XX საუკუნის მიწურულს მათზე მოდიოდა მსოფლიო წარმოების 55%. ამ ჯგუფიდან გამოიყიფა ეგრეთ წოდებული “შვიდეული” (აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია,

კანადა), რომლებიც აწარმოებენ მსოფლიო შიგა პროდუქტის 44%-ზე მეტს. ამათგან: აშშ – 21, იაპონია – 7, გერმანია – 5%-ს.¹⁴ ამ ქვეყნებისათვის დამახასიათებელია უმუშევრობის დაბალი დონე, მაგრამ გლობალიზაცია მაინც დიდ გავლენას ახდენს მასზე.

შეიძლება გამოიყოს გლობალიზაციის ორი დიდი პროცესი, რომელიც გავლენას ახდენს უმუშევრობის ზრდაზე განვითარებულ ქვეყნებში:

პირველი, მაღალი ტექნოლოგიების (უპირველეს ყოვლისა, საინფორმაციო ტექნოლოგიების) ფართომასშტაბიანი დანერგვა, რომელიც სულ უფრო და უფრო ნაკლებ შრომას მოითხოვს ყოველ შექმნილ ახალ პროდუქციაზე, რაც თანდათან წარმოებიდან დენის დაბალკალიფიციურ მუშახელს და რაც მოქმედებს უმუშევრობის დონის ზრდის მიმართულებით.

მეორე, გლობალიზაციის პირობებში განვითარებული ქვეყნები მიისწრაფიან თავიანთი წარმოება გაიტანონ საზღვარგარეთ იქ არსებული იაფი სამუშაო ძალისა და ბუნებრივი რესურსების გამო. შედეგად, ბუნებრივია, ეს პროცესი იწვევს დასაქმების შემცირებას ქვეყნის შიგნით, განსაკუთრებით, გადამამუშავებელ მრეწველობაში. ამიტომ, სამუშაო ადგილები მცირდება იმ სფეროებში, რომელიც ორიენტირებულია გარე სამყაროზე და იზრდება იმ სფეროებში, რომელიც ორიენტირებულია შიგა მოხმარებაზე. შესაძლებელია ეკონონიკის ამ ორ სფეროს შორის დასაქმების მიმართულებით ბალანსი დაირღვეს და დიდი უმუშევრობა გამოიწვიოს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში საექსპორტო სექტორში ბოლო რამდენიმე ათწლეულის

¹⁴ აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბ., “მერიდიანი”, 2006.

განმავლობაში ბევრი სამუშაო ადგილი შემცირდა.¹⁵ ამაზევე მეტყველებს მონაცემები იმის შესახებ, რომ მსოფლიოში 2006-2007 წლებში შექმნილი 45 მლნ ახალი სამუშაო ადგილიდან მხოლოდ 4% მოდიოდა განვითარებულ ქვეყნებზე.¹⁶ ამ პროცესს, ამავე დროს, მოსდევეს სამუშაოს პოვნის გაძნელება დაბალი კვალიფიკაციის მქონე უშემცირებისათვის, ვინაიდან, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათი შესაბამისი სამუშაო ადგილების გატანა ხდება საზღვარგარეთ.

განვითარებულ ქვეყნებში უმუშევრობის დაბალი დონის შესანარჩუნებლად, ანუ უმუშევრობის ზრდის ზემოთ მოყვანილი ორი ფაქტორის კომპენსაციისათვის, უპირველეს ყოვლისა, ინოვაციების მეშვეობით უნდა მოხდეს ახალი ადგილების წარმოქმნა უმთავრესად მომსახურების სფეროში. მართალია, მომსახურებაშიც ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ზრდის უმუშევართა რაოდენობას, მაგრამ, ჩნდება მომსახურების ახალი სახეობები, რაც ასაქმებს გამოთავისუფლებულ მუშახელს. პერსპექტივაში, ახალი სფეროები წარმოიშობა ასევე ეკონომიკის რეალურ სფეროში.

განვითარებად ქვეყნებს მიეკუთვნება სახელმწიფოები საბაზრო ეკონომიკით და ეკონომიკური განვითარების დაბალი დონით. თუმცა, ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით ამ ჯგუფში შემავალ სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა და დღესაც გრძელდება მათი დიფერენციაციის პროცესი. ეს ჯგუფი არცოუ დიდი ხნის წინ დატოვა და განვითარებულ ქვეყნებს შეუერთდა სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური, ჰონკონგი. სულ ახლახან განვითარებული

¹⁵ Katz R. Manufacturing globalization. The real sources of U.S. inequality and unemployment //Foreign affairs. – N.Y., 2011. – Vol.90, N6. – nov./dec. //http://www.foreignaffairs.com/articles/136594/richard-katz-robert-z-lawrence-michael-spence/manufacturing-globalization

¹⁶ С. В. Рязанцев, М. Ф. Ткаченко. Мировой рынок труда и международная миграция. Москва, «Экономика», 2010.

ქვეყნების ჯგუფს შეუერთდა ასევე, ეპროკავშირის თერომეტი ახალი ქვეყანა: ბულგარეთი, კვიპროსი, ჩეხეთი, ესტონეთი, უნგრეთი, ლიტვა, ლატვია, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვენია, სლოვაკია. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლასიფიკაციით განვითარებადი ქვეყნები იყოფა ნაკლებად განვითარებულ, განვითარებად და ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებად. ეკონომიკური ოანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კლასიფიკაციით კი ქვეყნებად – შემოსავლების დაბალი დონით, შემოსავლების საშუალო დონით, ახალი ინდუსტრიულ ქვეყნებად და ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებად. დებულობენ რა უზარმაზარ შემოსავლებს ნაბოობის რეალიზაციის შედეგად, ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა შეძლეს ეკონომიკის მოდერნიზაცია, ცხოვრებისა და განათლების დონის ამაღლება.¹⁷

გლობალიზაციის მეშვეობით განვითარებადმა და ნავთობის ექსპორტიორმა ქვეყნებმა ეკონომიკური ზრდის საპრად მაღალ ტემპებს მიაღწიეს, ამიტომ ისინი სულ უფრო უახლოვდებიან მდიდარ ქვეყნებს¹⁸. დიდი რაოდენობის სამუშაო ადგილები იქმნება აქ ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) მიერ, ვინაიდან აქ იმყოფება იაფი მუშახელი და ბუნებრივი რესურსები. ამდენად, ამ ქვეყნებში უმუშევრობის დონე შედარებით დაბალია. მაგრამ, პერსპექტივაში თუ პროცესები ასე გაგრძელდა, სამუშაო ძალა აქაც გაძვირდება და კაპიტალის შემოდინება შემცირდება.

ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა შეძლეს განვითარებინათ მრეწველობა, განსაკუთრებით, მისი საექსპორტო დარგები. ისინი თანდათან ამაღლებენ თავიანთ კონკურენტუნარიანობას, ამიტომ ამ ქვეყნებში უმუშევრობის დონე

¹⁷ აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. თბ., “მერიდიანი”, 2006.

¹⁸ Spence M. Globalization and Unemployment // Foreign affairs. – N.Y., 2011. – Vol. 90, N 4. //http://www.foreignaffairs.com/articles/67874/michael-spence/globalization-and-unemployment

დაბალია.

ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მსოფლიოში ცხოვრების ყველაზე დაბალი დონე (შემოსავლების უკიდურესი სიმცირე, სიღარიბე, ძლიერ ცუდი საყოფაცხოვრებო პირობები, არადამაკმაყოფილებელი ჯანმრთელობა, არასაკმაო განათლება ან მთლიანად უქონლობა, დაბალ ასაკში სიკვდილიანობის მაღალი დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობის ცუდი მაჩვენებლები და ა.შ.). ეკონომიკაში წამყვანი მდგომარეობა უჭირავს მიწათმოქმედების ჩამორჩენილ მათ შორის, არქაულ ფორმებს. მრეწველობა ძალზე მცირედად განვითარებული ამ ქვეყნების ექსპორტში ძირითადად ფიგურირებს ტრადიციული პროდუქცია. ნაკლებად განვითარებული ქვეყნები სუსტად არიან ჩართული გლობალიზაციის პროცესებში და მათზე გლობალიზაცია მნიშვნელოვან გავლენას ვერ ახდენს. ამიტომაც უმუშევრობისა და შემოსავლების უთანაბრობის დონე მაღალია.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში (ჩამორჩენილი ქვეყნები) ჭარბობს ნედლეულის წარმოება, რომელიც ეფუძნება მინერალურ და სასოფლო-სამეურნეო რესურსებს, წამყვან განვითარებად ქვეყნებში კი – გადამამუშავებელი მრეწველობა და მომსახურება. სოფლის მეურნეობა ძირითად დარგად ითვლება ისეთ რეგიონებში როგორიცაა: სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ აზია, საპარის სამხრეთით მდებარე ქვეყნები. უმუშევრობის დიდი დონეა სწორედ ამ ქვეყნებში. თუმცა, ბევრ ჩამორჩენილ განვითარებად ქვეყანაში გლობალიზაციის გავლენით წარმოება ვითარდება ინდუსტრიალიზაციისაკენ, რაც ამცირებს უმუშევრობის დონეს. უმუშევრობის ყველაზე დიდი დონეა ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილო აფრიკაში, ყველაზე დაბალი კი – აზიის განვითარებულ ქვეყნებში¹⁹.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკური

¹⁹ აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება. ობ., “მერიდიანი”, 2006.

განვითარების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს მრეწველობის განვითარება, ინდუსტრიული საზოგადოების აშენება. ამისათვის აუცილებელია როგორც შიგა, ისე გარე რეზერვების ამოქმედება. ამასთან, სწორედ უცხოური ინკუსტიციები წარმოადგენს მათი განვითარების სტრატეგიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს.

პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მათი საბაზო ეკონომიკაზე გადასვლის პირველ ეტაპზე იძულებითი უმუშევრეობის დონე ძლიერ მაღალი იყო, რისი მიზეზებიც ეკონომიკურ ლიტერატურაში ფართოდაა ცნობილი²⁰. გლობალიზაციის

²⁰ მაგალითად: მესხია ი., მურჯინელი მ. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბ., “თსუ გამომცემლობა”, 1996; 2010; აგესაძე რ. ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი შედეგები და მომავლის ამოცანები საქართველოში. წიგნში: საბაზო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში. თბ., “მეცნიერება”, 2002; პაპავა ვ. პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, თბ., “პდპ”, 2002; ჩიქავა ლ. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები მიმართულებები. წიგნში: გარდამავალი ეკონომიკის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები. თბილისი, “თსუ გამომცემლობა”, 2002; ჭითანავა ნ. გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბ., 1997; წერეთელი გ., ბიბილაშვილი ნ. უმუშევრობა და მისი მიზეზით პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიღებული ნებატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრის საკითხები (საქართველოს მაგალითზე). თბ., “მეცნიერება”, 2004; სანთელაძე ნ. საქართველოში ადმინისტრაციული რეფორმის შექმნდილები და მსოფლიო გამოცდილება. წიგნში: “საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები”, ტ. 4. თბ., 2004; ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა არასაბაზრო ეკონომიკის ჩიხში. ქ.: “ეკონომისტი”, №1, 2009; აბესაძე რ. საქართველოს ეკონომიკა XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე. ქ.: “ეკონომისტი”, №1. 2009; აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. წიგნში: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსებიდან 65-ე და აკადემიკოს პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 105-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული. თბ., “პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა”, 2010 და სხვ.

გავლენა შრომის ბაზარზე როგორ უმუშევრობის დონის ზრდის, ისე შემცირების მიმართულებით ხორციელდებოდა. საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებამ და შემდგომში გაძლიერებამ შესაძლებელი გახდა მსოფლიოში არსებული უახლესი ტექნოლოგიების შემოტანა, რაც თავისთავად უმუშევართა რაოდენობის ზრდას იწვევს. მეორე მხრივ, წარმოების გაფართოება უმუშევართა რაოდენობას ამცირებს. უმუშევართა რაოდენობას ამცირებს ასევე საერთაშორისო მიგრაცია, რომელსაც ადგილი აქვს ამ ქვეყნებშიც.

იმ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (მათ შორის საქართველოში), სადაც უმუშევრობის დონე დიდია, შრომის ბაზარზე მოხდეს პირობების გასაუმჯობესებლად, აუცილებელია განხორციელდეს სახელმწიფოს მიზანმიმართული ჩარევა ანუ ამ სფეროების სახელმწიფო რეგულირება და, რომ რეგულირების სისტემები შეესაბამებოდეს საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალი ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს და საკმაოდ ეფექტურიანად ფუნქციონირებდეს ფედერალურ, დარგობრივ და რეგიონულ დონეებზე. ამ სისტემებმა უნდა უზრუნველყოს როგორც ხანმოკლე პერიოდის ამსახველი ამოცანების, ასევე საშუალო და გრძელვადიანი დროითი ფაქტორების ამსახვი პრობლემების გადაჭრა. საქართველოში შრომის ბაზრის რეგულირება ჯერ კიდევ არ არის მოქმედი სახელმწიფოს მნიშვნელოვანი უურადღების ქვეშ და მან, ბუნებრივია, ვერ მიიღო მთლიანი მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე დონის ადეკვატური ასახვა სამთავრობო დოკუმენტებში. გარდა ამისა, პრობლემების სირთულე კიდევ უფრო ძლიერდება იმით, რომ ამ ქვეყნების შრომის ბაზრები დაფინანსდების ფორმირების სტადიაზე იმყოფება: ამ ქვეყნებში ჯერ კიდევ სრულად არ ფუნქციონირებს მისი რეგულირების არც ორგანიზაციულ-სამართლებრივი და არც სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმები. განსაკუთრებულ უურადღებას იპყრობს დასაქმების ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების

შექმნის, მისი რეგულირებისათვის საჭირო მეთოდებისა და საშუალებების შერჩევის, სახელმწიფო და კერძო ინიციატივების თანაფარდობის, აგრეთვე ამ სფეროს ცენტრალურიაციისა და დეცენტრალიზაციის პრობლემები. შრომის ბაზრის რეგულირება (როგორც დასაქმებაზე მოქმედი ღონისძიებების ორგანიზებული სისტემა) უნდა წარმოადგენდეს პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური რეფორმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.²¹

გლობალიზაციის გავლენა უმუშევრობაზე განსაკუთრებით ნათლად ჩანს კრიზისების პერიოდში. თანამედროვე გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა უველაზე ნეგატიური გავლენა მოახდინა განვითარებულ ქვეყნებზე (ანუ იმ ქვეყნებზე, რომლებიც უველაზე მეტად არიან ჩართულნი ამ გლობალურ პროცესებში). ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა ევროზონა (აქედან საბერძნეთი, ესპანეთი, ირლანდია, ესტონეთი და პორტუგალია) გარდა გერმანიისა. უმუშევრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ევროკავშირის ისეთ ქვეყნებში როგორიცაა: ლიტვა, ლატვია და სლოვენია. განვითარებადი ქვეყნები შედარებით სტაბილურობას ინარჩუნებენ (გარდა ბულგარეთისა). ბევრგან უმუშევრობის ღონის შემცირებაც კი შეიმჩნევა, განსაკუთრებით კრიზისის შემდგომ პერიოდში (ბრაზილია, ჩინეთი, ჩილე, ინდოეთი, ყაზახეთი, მაკედონია, საუდის არაბეთი და სხვ).²²

დიდი გავლენა იქმნია საფინანსო კრიზისმა შრომის ბაზრებზე. უმუშევრობის ღონე მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა და დღესაც კრიზისამდელ ნიშნულზე მაღალი რჩება. მსოფლიო შრომის ორგანიზაციის მოხსენებაში – “World of Work Report 2011: Making markets work for jobs”, ნათქვამია, რომ

²¹ წერეთელი გ., ბიბილაშვილი ნ. პოსტკომუნისტურ ქვეყანაში უმუშევრობით გამოწვეული ნეგატიური ეკონომიკური შედეგების განსაზღვრისა და შემცირების გზები (საქართველოს მაგალითზე). თბ., “მეცნიერება”, 2004. გვ. 52.

²² <http://www.tradingeconomics.com/unemployment-rates-list-by-country>

დასაქმების კრიზისამდელი დონის მიღწევა შესაძლებელი გახდება მხოლოდ 5 წლის შემდეგ. ამჟამად მსოფლიოში აღინიშნება უმუშევართა ყველაზე დიდი რაოდენობა – 200 მილიონი კაცი²³.

გლობალიზაციასთან ერთად წარმოიშობა შრომის გლობალური ბაზარი, რომელზეც კონკურენტულ საფუძველზე ხდება უცხო სამუშაო ძალის დაქირავება. ბუნებრივია, შრომის გლობალური ბაზარი გავლენას ახდენს შრომის როგორც ეროვნულ, ისე რეგიონულ ბაზრებზე. შეიძლება გამოიყოს სამუშაო ძალის გარკვეული ნაწილი, რომელიც უშუალოდ ჩართული არ არის გლობალურ ბაზარში, თუმცა გლობალური პროცესები თანდათან ამცირებს მათ რაოდენობას ან საერთოდ უსარგებლოს ხდის მათ შრომას (მაგალითად, ხელის მანქანაზე მბეჭდავები). გლობალური ბაზრის უშუალო მონაწილეებად შეიძლება ჩაითვალონ ტრანსნაციონალური კომპანიების (ტრკ) ან სხვა სუბიექტების მუშაკები, რომლებიც გადიან საერთაშორისო ბაზარზე და მიგრანტები. ერთი ქვეყნიდან მეორეში სამუშაო ადგილების გატანა დიდ გავლენას ახდენს შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე. შრომის საერთაშორისო დანაწილების ახალი ოეორიის მიხედვით, შრომის დანაწილება ხდება “ცენტრსა” და “პერიფერიებს” შორის. მაღალტექნიკოლოგიური წარმოება რჩება ცენტრში, ხოლო დაბალკალიფიციური შრომა პერიფერიებში. ფაქტობრად ყალიბდება გლობალური სამუშაო ძალა, რომელიც მონაწილეობს როგორც ტრანსნაციონალური კორპორაციების (როგორც საზღვარგარეთ, ისე ქვეყნის შიგნით), ისე საზღვარგარეთ ეროვნული კომპანიების საქმიანობაში. ამასთან, ძირითადად ესენი არიან მაღალი კვალიფიკაციის მუშაკები,

²³ World of Work Report 2011: Making markets work for jobs. INTERNATIONAL LABOUR ORGANIZATION, INTERNATIONAL INSTITUTE FOR LABOUR STUDIES. 2012

http://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---dcomm/---publ/documents/publication/wcms_166021.pdf.

რომლებიც წარმოებიდან დენიან დაბალი კვალიფიკაციის მუშახელს.

მაგრამ, ალბათ, დაისმის კითხვა თუ რამდენად გლობალიზებულია მსოფლიო შრომის ბაზარი, როდესაც ადგილი აქვს მოსახლეობის დიფერენციაციას დასაქმების დონის მიხედვით. პასუხი ერთია, რომ ამჟამად მიმდინარეობს გლობალური შრომის ბაზრის ფორმირების პროცესი და საბოლოოდ მასში ჩართული აღმოჩნდება ყველა ქვეყანა.

ამდენად, აუცილებელია ამ პროცესის საერთაშორისო რეგულირება, პროცესები რომ სწორად წარიმართოს. ამჟამად მსოფლიოში ფუნქციონირებენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ შრომის პირობების უნიფიკაციასა და სტანდარტიზაციას, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებას.

კვალიფიციური შრომა იღებს გლობალურ ხასიათს. შრომა ხდება ინოვაციური, რაც გავლენას ახდენს ეროვნული შრომის ბაზარზე – სულ უფრო იზრდება მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე ფინანსების, მედიცინის, დაზღვევის, ტურიზმის, საინფორმაციო და სხვა პროგრესული ტექნოლოგიების სფეროებში.

გლობალური შრომის ბაზარი ასევე განიცდის წინააღმდეგობებს, უპირველეს ყოვლისა, გლობალურ და ეროვნულ ინტერესთა სხვადასხვაობის, ეროვნული ბაზრების განვითარების სხვადასხვა დონის არსებობის, ძველსა და ახალს შორის დაპირისპირების, მაღალ და დაბალკვალიფიციურ მუშაკთა შორის დაპირისპირებულობის, მისი სრულყოფილი რეგულირებისათვის საჭირო ორგანოების არარსებობის გამო და სხვ.

მუდმივ ცვლილებასა და სრულყოფაში მყოფი ეროვნული და გლობალური შრომის ბაზრების ნორმალური განვითარებისათვის აუცილებელია საერთაშორისო მარეგულირებელი ორგანოების გაძლიერება, რათა მოხდეს ეროვნულ და გლობალურ ინტერესთა სრული თანხვედრა არსებული წინააღმდეგობები ნებატიური მოვლენებით რომ არ დასრულდეს.

*Abesadze Ramaz
Bibilashvili Nana*

**SOME ASPECTS OF GLOBALIZATION
INFLUENCING UNEMPLOYMENT
SUMMARY**

Globalization influences all the sectors of national economy including unemployment. The peculiarities of influence of globalization on unemployment depends on the circumstance existing in world and national economies. The article analyzes the peculiarities of influence of globalization on unemployment in developed, developing and post-communist countries and that of international labor market at current stage.

**მურმან კვარაცხელია
მსოფლიო გლობალური პრიზისის თავისებურობები
თანამედროვე ეტაპზე**

2008 წლის მთავარი გზავნილი მსოფლიო ისტორიაში არის გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი. ცნობილია, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აღინიშნებოდა ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები, რომელსაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა, რაც გამოიხატებოდა ფასების ცვალებადობასა და, ასევე, საერთაშორისო საფინანსო ბაზარზე დაბალ საპროცენტო განაკვეთებში. ყოველივე ამის გამო 2008 წლის აგვისტო-სექტემბერში ნათელი გახდა, რომ ფინანსური კრიზისი გადაიზრდებოდა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების გლობალურ ეკონომიკურ კრიზისში. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ ქვეყნები, რომლებიც ეკონომიკაში თავისი მიღწევებით ამაყობდნენ, კრიზისის წინაშე არამდგრადი აღმოჩნდნენ.

ცნობილია, რომ კრიზისს უამრავი ფაქტორი განაპირობებს, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს შემდეგი:

ფართომასშტაბიანი რეცესიის დაწყება, ნავთობზე ფასების დაცემა, ბევრ ქვეყანაში ექსპორტზე ფასების დაწევა, საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის წარმოშობა, რეგიონული ეკონომიკების გაძლიერება უცხოურ ინვესტიციებზე, ბევრი კომპანიის შიდა დავალიანებების სწრაფი ზრდა და გალის გადახდის მცირე ალბათობა სახელმწიფოს დახმარებების გარეშე კრიტიკულ შემთხვევაში.

ასეთ მასშტაბურ გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს გააჩნია ასევე უამრავი მიზეზიც. ეს, პირველ რიგში, განვითარებულ ქვეყნებში დაიწყო, რასაც მოჰყვა ე.წ. „ფინანსური საპნის ბუშტის გაბერვა“ და შედეგად, საფინანსო დაწესებულებათა გაბანკროტება. ეს რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას. საეჭვო კრედიტების შეთავაზების გარდა, კრიზისის მიზეზები მოიცავს დერივატივების (წარმოებული ფასიანი ქაღალდების) ზღვარგადასულ გამოყენებას; იაფი ფულის მოდინებას იმ ქვეყნებიდან, სადაც საბაზო ურთიერთობები ჩამოყალიბების პროცესში იმულიერდა. ამასთან ერთად ადგილი ჰქონდა ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირების არაძლევა-ბურ ღონისძიებებს, მთავრობის არათანმიმდევრულ პოლიტიკას და საზედამხედველო ფუნქციების არასათანადოდ შესრულებას.

მრავალი ათწლეულის შემდეგ, როდესაც საფინანსო სფეროში სერიოზული ჩარევისგან თავს იგავებდნენ, განვითარებული ქვეყნების მთავრობები იმულებული გახდნენ განეხორციელებინათ სწრაფი და მასშტაბური ღონისძიებები საბანკო სისტემის გადასარჩენად. მათ საფინანსო სფეროს ნაწილობრივი ნაციონალიზაციაც კი მოახდინეს. მიუხედავად იმისა, რომ ფინანსური ბაზრები კრიზისამდე გარკვეულწილად რეგულირდებოდა, ეს უგანასკნელი სულ უფრო და უფრო განიცდიდა დერეგულაციას, რადგანაც ბოლო 30 წლის განმავლობაში საბაზო ურთიერთობების პრიორიტეტი ეჭვს არ იწვევდა. ბაზრის უფრო მომდევნო დარეგულირება

მიმართული იყო ფინანსური სისტემის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

აქ ნიშანდობლივია აშშ-ს მაგალითი. ცნობილია, რომ ჩიკაგო ისტორიულად თავისუფალი ვაჭრობის ცენტრად ითვლებოდა. ადგილობრივმა მეცნიერებმა მ. ფრიდმანის მეთაურობით, „გვირგვინი ახადეს“ სახელმწიფო რეგულირების ჯ. მ. კეინზისეულ თეორიას. მათი აზრით, ეს უკანასკნელი არაეფექტურიანი იყო ბაზრის თეორიასთან შედარებით. 1970-იანი წლების კრიზისული მოვლენების შემდგომ ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენელთა იდეები საფუძვლად დაედო რ. რეიგანისა და მ. ტეტჩერის ეკონომიკურ პოლიტიკას, შესაბამისად, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში. რეიგანისა და ტეტჩერის დიდ მოწონებას იმსახურებდა მესაკუთრეთა განვითარების იდეა, რომელიც წინ აღუდგებოდა ლიბერალიზაციაზე მემარცხენეთა მხრიდან შეტევას. ბაზრების ლიბერალიზაციაში მნიშვნელოვანანწილად შეცვალა ადრე არსებული სიტუაცია, რომლის შედეგადაც განსაკუთრებით ხელმისაწვდომი გახდა იპოთეკური კრედიტები.

ე.წ. „ცხელი“ ფულის მოდინების მადესტაბილიზებელი უფეტის შიშით კონტინენტური ევროპის მთავრობაში შექმნა ევროპული სავალუტო სისტემა. მაგრამ, აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა პრაქტიკულად უარი თქვეს რეგულირებაზე, რამაც გამოიწვია დოლარისა და ფუნტის გაძვირება და ამ ქვექნების ექსპორტის შემცირება. შედეგად, 1980-იანი წლების დასაწყისში ამ ქვექნებში რეცესია გაღრმავდა. ამავდროულად, სადაზღვევო ფირმებმა და საპენსიო ფონდებმა საზღვარგარეთ ფულის დაბანდების ფართო შესაძლებლობა მიიღეს. საზღვარგარეთ ფულის გატანას ხელს უწყობდა ინგლისის საფონდო ბაზარზე საბროკერო ოპერაციებზე მაღალი საკომისიოების არსებობა. ამ ბაზარზე საკუთარი ხარჯებით მომუშავე შუამავლებს მსხვილ ინვესტორებთან ოპერაციების განსახორციელებლად საჭირო აუცილებელი კაპიტალი არ გააჩნდათ.

1987 წელს საფონდო ბირჟაზე მომხდარმა „დიდმა აფეთქებამ“ მოსპო ბროკერებს შორის განსხვავება, რამაც ლონდონს კარი გაუდო მსხვილი კაპიტალისკენ. ნიუ-იორკში ანალოგიური რეფორმა გატარდა 1975 წელს. საკომისიოს სიდიდის შემცირებამ, თავის მხრივ, შეაძირა საბროკერო მომსახურების გრძელვადიანი მიმზიდველობა და გაზარდა საკუთარ ხარჯზე ოპერაციათა პოპულარობა.

დროთა განმავლობაში აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია ფინანსური სფეროს სტრუქტურული გარდაქმნა. ტრადიციულად, საინვესტიციო და სავაჭრო ბანკები არ მიეკუთვნებოდნენ მსხვილ ბიზნესს და ძირითადად ეწეოდნენ საკონსულტაციო მომსახურებას. მათ იძულებით უარი თქვეს საქმიანი პარტნიორობის ჩამოყალიბებულ სტრუქტურაზე, დაიწყეს საფონდო ბირჟაზე რესურსების მოზიდვა და შეერწყნენ კომერციულ ბანკებს.

საბანკო საქმიანობის გაფართოება და დივერსიფიკაცია მიმდინარეობდა სრულიად სასურველ საგარეო ფონზე. 1980-იანი წლების დასაწყისში აშშ-ს ფედერალური სარეზერვო სისტემის ანგიინფლაციური პოლიტიკა წარმატებული გამოდგა, ფასები აქციებზე, ობლიგაციებსა და უძრავ ქონებაზე მომდევნო ორი ათწლეულის განმავლობაში გაიზარდა. განვითარების კვალდაკვალ ფინანსური დარგის წილი ამჟრიკის საფონდო ბაზარზე 1980 წელს არსებული 5,2%-დან 23,5%-მდე გაიზარდა 2007 წლისათვის [1; გვ. 16].

წარმოებულმა ფინანსურმა ინსტრუმენტებმა პრობლემები შექმნა 1990-იან წლებში, როდესაც ხელისუფლების მიამიტობით რამდენიმე მსხვილმა კორპორაციამ დაკარგა მთელი ქონება იმ კონტრაქტების გამო, რომლებზედაც მათ წარმოდგენაც არ პქონდათ. შედეგად, დერივატივების ბაზრები აღიარა ხელისუფლებამ.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სწორედ წარმოებული ფასიანი ქაღალდების გამოყენების არასათანადოდ 176

რეგულირება და უკონტროლო სპეციულაციები იყო. ვფიქრობთ, მომავალში მსგავსი კრიზისების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენების გონივრული რეგულაცია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისი თავისი სისტემური ხასიათის გამო თანხათანობით გადაიზარდა ეკონომიკური და მიიღო საყოველოაო ხასიათი. მისი დაწყების პერიოდად მიჩნეულია 2007 წელი, ხოლო სამშობლოდ – აშშ. მის მიზეზებზე უამრავი მოსაზრება არსებობს, რომელთა შორის სახელდება ქვეყანაში მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. 2001 წლის შემდეგ, ბუშის ადმინისტრაციის პერიოდში, მიუხედავად ეკონომიკური აღმასვლისა, ქვეყანაში გრძელდებოდა საბიუჯეტო დეფიციტი ყველა მისოვის დამახასიათებელი უარყოფითი მომენტებით. კერძოდ, მოიმატა უმუშევრების რაოდენობამ, ხალხმა დაკარგა სამსახურები, ვერ შეძლეს საბანკო სესხების დაფარვა, რის შედეგადაც მათი ქონება გადავიდა ბანკის საკუთრებაში. რადგანაც მოსახლეობას შემოსავალი არ ჰქონდა ბანკები ვერ ყიდიდნენ მათ ქონებას და ამის შედეგად ფინანსური კომპანიები ზარალზე წავიდნენ.

როგორც ირკვევა, შექმნილმა საბანკო კრიზისმა მძიმე დარტყმა მიაყენა ევროპის სახელმწიფო ორგანიზაციებს. ამან კი მთავრობებს მათი უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გაზრდისკენ უბიძგა. პროცესები ისე განვითარდა, რომ სახელმწიფო ფინანსურ ბაზრებზე კვლავ მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდა და ევროპის რამდენიმე უმსხვილესი ფინანსური კომპანიის აქტივებიც შეიძინა. აშშ-ს შტატების 700 მილიარდიანი გეგმაც ამას ითვალისწინებდა.

ცხადი ხდება, რომ მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე თანამედროვე გლობალური ეკონომიკური კრიზისი აშკარად სცილდება ჩვეულებრივი ციკლური განვითარების კრიზისის ფარგლებს. აქედან გამომდინარე, იგი ხასიათდება რიგი თავისებურებებით.

პირველი მდგომარეობს იმაში, რომ გლობალიზაციის პირობებში დაწყებული კრიზისი ხასიათდება უპრეცედენტო მასშტაბებით, რამაც მოიცვა პრაქტიკულად ყველა დინამიკურად განვითარებადი რეგიონი და ქვეყანა. თანაც, ის ძლიერად აისახა იმ სუბიექტებზე, რომლებიც უფრო წარმატებული იყვნენ ბოლო ათწლეულის განმავლობაში, ჩამორჩენილი ქვეყნები და რეგიონები კი მისგან ნაკლებად დაზარალდნენ. ყველაზე სერიოზული პრობლემები შეიმჩნევა იქ, სადაც ადგილი ჰქონდა ეკონომიკურ ბუმს, მაშინ, როდესაც დეპრესიული რეგიონები თითქმის არ გრძნობენ ცვლილებებს. ყოველივე ეს მკვეთრად ართულებს კრიზისიდან გამოსვლის პროცესს: ბუნდოვანია, ვინ უნდა იტკირთოს „ლოკომოტივის“ ფუნქცია ეკონომიკური ზრდის აღდგენაში.

მეორე, თანამედროვე კრიზისი სტრუქტურული ხასიათის მატარებელია, ე.ო. ის მოითხოვს მსოფლიო ეკონომიკისა და მისი ტექნოლოგიური ბაზის სტრუქტურის სერიოზულ განახლებას. ჯერჯერობით რთულია იმის თქმა, თუ როგორი სტრუქტურული ძვრები განხორციელდება, თუმცა, მისი შედეგი იქნება მწარმოებლურ ძალთა გადანაწილება დარგობრივი და რეგიონული ჭრილით.

მესამე. კრიზისი თავისი არსით ინოვაციური ხასიათისაა. ბოლო წლებში ბევრი იყო მსჯელობა ინოვაციის მნიშვნელობაზე, ეკონომიკის გადაყვანაზე განვითარების ინოვაციურ გზაზე; სწორედ ამას ჰქონდა ადგილი საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში. აქ წარმოიშვა და სწრაფადვე გავრცელდა ფინანსური ინოვაციები – ფინანსური ბაზრის ახალი ინსტრუმენტები, რასაც, როგორც მაშინ მიაჩნდათ, შეეძლო შეექმნა უწყვეტი ზრდის პირობები, მაგრამ ამჟამად გამოაშკარავდა, რომ ფინანსური სამყაროს ლიდერებს მათზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, რამაც მიგვიყვანა ორგვარ შედეგამდე.

ერთი მხრივ, ფინანსურმა ინოვაციებმა გამოიწვია სასაქონლო ბაზრის უმრავლესობის, უპირველეს ყოვლისა,

უმნიშვნელოვანების სანედლეულო საქონლის ბაზრის ტრანსფორმირება. მაგალითად, ნავთობზე ფასები ერველოვის რთულად პროგნოზირებადი იყო, თუმცა ის, ასე თუ ისე, ექვემდებარებოდა მოთხოვნა-მიწოდების თანაფარდობას და, აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად კონტროლდებოდა ნავთობის მწარმოებელთა მიერ. დღეისთვის ნავთობზე ფასები ფორმირდება ფინანსურ ბაზებზე ფინანსური ბროკერების მიერ, რომლებიც ვაჭრობენ ნავთობის მოწოდებასთან დაკავშირებული მეორადი ფინანსური ინსტრუმენტებით და თანაც, ამ ფინანსურ ინსტრუმენტებს პრაქტიკულად არავითარი კავშირი არ აქვს აღნიშნული საქონლის რეალურ მოძრაობასთან.

მეორე მხრივ, ინოვაციური ფინანსური ბუმის პირობებში ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა ელიტამ დაკარგა ფინანსური ინსტრუმენტების მოძრაობაზე კონტროლი. აქედან გამომდინარე, არსებული კრიზისი შეიძლება შეფასდეს, როგორც „ფინანსური ინოვაციების ბუნტი“ – მანქანების ბუნტი თავიანთი გამომგონებლების წინააღმდეგ. რასაკვირველია, აღნიშნული მოვლენა ფრიად არასასურველია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

დიდი ეკონომიკური რყევებისა და კრიზისების ბუნება და მექანიზმი ყოველოვის გამოცანად რჩება – ბოლომდე შეუცნობელია. აღნიშნული მოვლენები ათწლეულების განმავლობაში ეკონომისტების, პოლიტიკოლოგებისა და ისტორიკოსების დისკუსიის საგანია, თუმცა ცალსახა პასუხი ჯერაც არ არსებობს. მაგალითად, XX საუკუნის 30-იანი წლების დიდი დეპრესიის ფენომენი საბოლოოდ ჯერაც ვერ შეფასებულა. დღემდე გრძელდება მისი წარმოშობის მიზეზებსა და პრეზიდენტ რუზველტის ანტიკრიზისული პოლიტიკის ადეკვატურობაზე დისკუსიები.

თანამედროვე ეკონომიკური კრიზისის მიზეზები შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: პირველი მიზეზი უკავშირდება აშშ-ის ეკონომიკის საეციფიკურ პრობლემებს; მეორე მიზეზია თანა-

მედროვე მსოფლიო ეკონომიკური განვითარების სისტემური, ფუნდამენტური პრობლემები.

კრიზისმა მსოფლიო ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტის შოკი გამოიწვია. არავინ ელოდა მის ასეთ სიღრმეება და გავრცელების სისწავეს [4:გ26]. თავდაპირველი რეაქცია კრიზისის მიმართ საკმაოდ ქაოსური იყო; განვითარებული ქვეყნების და მათ შორის, აშშ-ს მთავრობა შეეცადა დაემუსრუსებინა მისი გავრცელება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პრობლემათა ორ ბლოკს: პირველი, არ დაშვებულიყო საკრედიტო სისტემის კოლაფსი, ე.ი. გადარჩენილიყო ფინანსური ინსტიტუტები; მეორე, აღკვეთილიყო ან თუნდაც შესუხებულიყო რეცესია და თავი დაედწიათ წარმოების დრომა ვარდნისაგან.

როგორც ცნობილია, კრიზისი შექმნა საბაზრო ეკონო-
მიკის ყველა ასპექტს – წარმოებას, განაწილებას, ვაჭრობას,
იპოთეკას, საბანკო სექტორს, საფინანსო ბაზრებს. ამან გა-
მოიწვია მთლიანი მოთხოვნის შემცირება. შესაბამისად შემ-
ცირდა გლობალური დასაქმება, გაჩერდა მრავალი, მათ შორის
არაერთი მსოფლიო ბრენდის მატარებელი საწარმო. ეკონომი-
კური კრიზისის შედეგად მსოფლიო აქტივების კაპიტალიზა-
ციის მაჩვენებელი 2008 წელს რამდენიმე ტრილიონი დოლა-
რით შემცირდა. შემცირდა ასევე ეპონომიკური ზრდაც, 2008
წელს ეკონომიკური ზრდა წინა წელთან შედარებით შემცირდა
2-2,5-ჯერ. 2009 წლისათვის ეს რიცხვი უფრო გაიზარდა. ასევე
შემცირდა მსოფლიოში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულო-
ბა.

როგორც ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, 30-იანი წლების პერიოდში ეკონომიკურ კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი იყო ტექნიკური პროგრესი. საწარმოთა ტექნიკური გადაიარაღების პირობებში მკვეთრად იზრდებოდა პროდუქციის რაოდენობა. იმავდროულად, საწარმოთა ტექნიკური გადაიარაღება ზრდიდა დაუსაქმებელთა რიცხვს. ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში მცირდებოდა მოსახლეობის მსჯიდვე - 180.

ლობითი უნარი, რაც შემდგომში ეკონომიკური კრიზისის განვითარების ძირითადი მიზეზი გახდა. ამ პერიოდში ჯ. კეინზმა შეიმუშავა ეფექტიანი მოთხოვნის თეორია, რომლის თანახმად, ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი იყო არა მხოლოდ პროდუქციის მოცულობის ზრდა, არამედ მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის ამაღლება. აღნიშნული მოდელით შემუშავებულმა და გატარებულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ განვითარებულ ქვეყნებში უზრუნველყო კრიზისის დაძლევა და ეკონომიკის შემდგომი განვითარება. მაგრამ 60-იანი წლების ბოლოს განვითარებულ ქვეყნებში თავი იჩინა ეკონომიკური კრიზისის ახალმა თავისებურებებმა. კერძოდ, მოსახლეობის საკმაოდ მაღალი მსყიდველობითი უნარის პირობებში ეკონომიკური განვითარების ზრდის ტემპები ჯერ შენელდა, შემდგომ კი მნიშვნელოვნად დაეცა.

ამასთან ერთად, კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი იყო მოსახლეობის დანაზოგების მკვეთრი ზრდა და მისი წარმოების რეალურ სექტორში ინვესტირება, რის შედეგადაც მოხმარების უმნიშვნელო ზრდის ფონზე მკვეთრად იზრდებოდა წარმოებული პროდუქციის მოცულობა.

პროცესები, რომელიც ეკონომიკური კრიზისის დროს ვითარდება, სპირალურ ხასიათს ატარებს. ეკონომიკის რეალურ სექტორში შექმნილი პროდუქციის რეალიზაციის მნიშვნელოვანი შემცირება ამცირებს საწარმოთა შემოსავლებს, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს ოჯახური მეურნეობების, ანუ მოსახლეობის შემოსავლებზე და განაპირობებს ცხოვრების დონის გარდნას, რაც ამცირებს მოსახლეობის მსყიდველობით უნარს. ეს ამნელებს პროდუქციის რეალიზაციას, რაც, თავის მხრივ, ამცირებს შემოსავლებს.

კრიზისის საწყის ეტაპზე პროდუქციის ფასები მნიშვნელოვნად კლებულობს, რაც განპირობებულია პროდუქციისა და მოსახლეობის შემოსავლიანობის შემცირებით, რაც გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობის ძირითადი ფულადი რესურსი ჩადებულია ძირითად კაპიტალსა და ჭარბ პროდუქციაში.

კრიზისის განვითარების პროცესი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. საქმე ისაა, რომ ინვესტირებული თანხები ბევრად აღმატება საწარმოთა მიერ აქციების ხომინალური ჯამური ღირებულების დაფარვის შესაძლებლობებს. პროდუქციის შექმნაში ძირითადად მონაწილეობს მიმდინარე ინვესტირება, ანუ არსებული პროდუქცია მეტწილად შეიცავს მიმდინარე ინვესტირებულ თანხებს და შედარებით მცირე ოდენობით ძირითად ფონდებზე დარიცხული ცვეთის სახით მოიცავს გასული პერიოდის ინვესტიციებს. გამომდინარე აქვთ ან, საწარმოთა აქციების ჯამური ღირებულება მნიშვნელოვნად აღმატება მისი დაფარვის შესაძლებლობებს. შექმნილი „კოლაფსური“ მდგომარეობა ანადგურებს წარმოების პროცესს და მთელ წარმოებას. აქციონერთა ვალების გასტუმრებაზე მიდის შემოსავლების დიდი ნაწილი, რაც მინიმუმადე ამცირებს რეინვესტიციის პროცესს, რის შედეგადაც მკვეთრად ეცემა პრდუქციის წარმოება.

აღნიშნულ ეტაპზე ჭარბი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად იწყება საწინააღმდეგო პროცესები, კერძოდ, უკვე ბუნებაში არსებული ფულადი რესურსების მსყიდველობით უნარს ვეფარ აკმაყოფილებს რეალიზაციაში არსებული პროდუქციის მოცულობა, ხოლო კრიზისის შედეგად მოშლილი ეკონომიკის რეალური სექტორი ვერ უზრუნველყოფს ბაზარს საკმარისი ოდენობის პროდუქციით. შექმნილ ვითარებაში იზრდება ფასები, ქვეყანაში იწყება ინფლაცია და მასთან დაკავშირებული კრიზისული მოვლენები. ინფლაციის ზრდასთან ერთად იზრდება ფულის ბრუნვის სიჩქარე – „ფულის ინფლაციური ბრუნვა“, ანუ ფასების ზრდით გამოწვეული ფულის მასის ბრუნვის სიჩქარე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სახელმწიფოს აუცილებელი მოვალეობაა ინფლაციის საწინააღმდეგო ქმედება. მან ისე უნდა მართოს ფულადი მასა, რომ ინფლაციამ არ გადააჭარბოს ხორმას, დასაშვებ დონეს. როცა ინფლაცია უკვე მომხდარი ფაქტია დასავლეთის ქვეყნების

ბი მიმართავენ მის დათრგუნვას. ამას ახორციელებენ ფასებზე ზღვრების დაწესებით, მაგრამ ეს ღონისძიება ორგუნვას და დროებით აჩერებს არა მარტო ინფლაციას, არამედ საქონლის მწარმოებლებსაც – მათვის ესოდენ აუცილებელი მატერიალური სტიმული იკარგება. ეს ხელს უშლის ინგესტიციური პროცესების გაშლას და წარმოების გაფართოებას. ვინაიდან ფასების მოთხოვნაზე დამოკიდებულება შესამჩნევლად სუსტდება.

დღევანდელ ვითარებაში, როდესაც გლობალური ეკონომიკური კრიზისი უკვე მეორე ფაზაში შევიდა, ეკონომიკის რეალური სექტორის ასამუშავებლად საჭიროა არაორდინალური რადიკალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც მნიშვნელოვნად შეცვლის საგადასახადო და საბაჟო, ფისკალურ და ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რაც ხელს შეუწყობს ამ კრიზისის უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას.

დასასრულ, თანამედროვე კრიზისს გააჩნია კიდევ ერთი ფუნდამენტური წინაპირობა. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ბიზნესის მიზნობრივმა ფუნქციამ სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა. კორპორაციათა განვითარების საკვანძო ორიენტირად იქცა კაპიტალიზაციის ზრდა. სწორედ ეს მაჩვენებელი აინტერესებთ ყველაზე მეტად აქციონერებს და სწორედ ამის მიხედვით ფასდება ჩვენს დროში მენეჯმენტის ეფექტურობაც. ამასთან, მაქსიმალური კაპიტალიზაციისაკენ სწრაფვა წინააღმდეგობაში ვარდება სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის რეალურ საფუძველთან – შრომის მწარმოებლურობის ამაღლებასთან. კაპიტალიზაციის ზრდა, რასაკვირველია, შრომის მწარმოებლურობას უკავშირდება, მაგრამ მხოლოდ როგორც საბოლოო შედეგი. ფინანსური ანგარიში კი აქციონერებს უნდა წარედგინოთ ყოველწლიურად, ხოლო სასურველი წლიური ანგარიშგების მისაღებად, კერძოდ, კაპიტალიზაციის მიმდინარე ზრდის შესანარჩუნებლად საჭირო ხდება არა ის, რაც უზრუნველყოფს მწარმოებლურობის

ზრდას, არამედ – ფირმების შერწყმას და ერთის მიერ მეორის შთანთქმას, რადგანაც აქტივების მოცულობის ზრდა განაპირობებს კაპიტალიზაციის ზრდას. ამავე დროს, რა თქმა უნდა, არ უნდა დაიხუროს ჩამორჩენილი საწარმოებიც, რადგანაც მიმდინარე პერიოდში ეს გამოიწვევს კაპიტალიზაციის შემცირებას. ყოველივე ამის შედეგად, მრავალი მსხვილი სამრეწველო კორპორაციის შემადგენლობაში შენარჩუნდება ძველი, არაეფექტურიანი წარმოება, რაც, ჩვენი აზრით, ნეკროეგონომიკის ერთ-ერთი ფაქტორი ხდება.

დღევანდველ პირობებში უკვე შეინიშნება გლობალური კრიზისის თანდათანობით აღმოფხვრის მკეთრი პროცესები. იმდი უნდა ვიქონიოთ, რომ უახლოეს პერიოდში წარმატებით იქნება დაძლეული იგი, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიოს სხვა ქვეყნების და მათ შორის, საქართველოს სტაბილური და მდგრადი ეკონომიკური განვითარებისათვის.

ყოველივე ზემოთ განხილული გვაძლევს რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას.

1. თანამედროვე პირობებში მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი გამოვლინდა ძირითადად ფინანსურ სფეროში, რომელიც თანდათანობით გადაიზარდა გლობალურ ეკონომიკურ კრიზისში;
2. განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე მოთხოვნის გარდნის კვალდაკვალ კრიზისი გაიღრცელდა ”ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში”, სადაც მოსალოდნელი იყო წარმოების მნიშვნელოვანი დაქვეითება, რაც განხორციელდა კიდევაც;
3. კრიზისი შეეხო ყველა ქვეყანას, რომელიც ჩართული იყო მსოფლიო ეკონომიკაში. მათ შორის სერიოზული რეევები მოხდა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, სადაც დესტაბილიზაციის შედეგები მასშტაბური იყო;
4. ვარაუდი იმისა, რომ კრიზისი სწრაფად დასრულდებოდა, უსაფუძვლო აღმოჩნდა. თუ რეალური

სახე მიიღო კრიზისის მეორე ტალღამ, მოსალოდნელია პოლიტიკური და სოციალური კონფლიქტები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Stewart C, Vasilyeva N. What Crisis? Kremlin Downplays Financial Woes // The Associated Press, 2008.
2. RPT-European Outsourcing Overtakes American in '07-TPI // Reuters UK. 2008.
3. The Sixth Monthly Financial Stability Report / The Bank of England, 2008.
4. Giles Ch. The Vision Thing//Financial Times. 2008.
5. Giles Ch. The Vision Thing//Financial Times. 2008.

Kvaratskhelia Murman

PECULIARITIES OF WORLD GLOBAL CRISIS AT CURRENT STAGE SUMMARY

The article discusses the characteristic features of the global economic crisis in the developed and developing countries. This is due to the transition to a new economic system on the market. The author focuses on the current global economic crisis frequency, which leads to a Frequency of crises,, especially in terms of economic growth in the fall.

In addition, analyzes of the global economic crisis, their role in the genesis and development of the world economy.

თენგიზ ქავთარაძე

გლობალიზაცია და მეცხვარეობის განვითარების პროგლობისი საქართველოში

XX საუკუნის დასასრულს გაჩნდა ახალი ტიპის ეკონომიკა – გლობალური ეკონომიკა. მისი განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური საქმიანობის უკელა ძირითადი სახე – საქონლისა და მომსახურების წარმოება და მოხმარება, მართვა, ინფორმაციისა და ტექნოლოგიების გავრცელება, ბაზრების ფუნქციონირება ხორციელდება გლობალური მასშტაბით. ეკონომიკური გლობალიზაცია მრავალმხრივი პროცესია და აძლიერებს ქვეყნებს შორის ურთიერთკავშირსა და სამეურნეო ინტერნაციონალიზაციას.

გლობალიზაცია თავისი არსით უნივერსალურია და მისი ძლიერი გავლენა დღეს გარდაუვალია. ამ მოვლენებისათვის დამახასიათებელია ცალკეული ქვეყნის მეურნეობრივი კომპლექსის მსოფლიო მეურნეობის ერთიან სისტემაში ინტეგრაციის პროცესი, რითაც იგი ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული ეკონომიკის ცალკეული დარგების, მათ შორის მეცხვარეობის განვითარებაზეც.

საქართველოში მეცხვარეობა საკმაოდად განვითარებულია. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ამ დარგს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მისი განვითარების დონე განპირობებულია საქართველოში არსებული სპეციფიკური ბუნებრივი პირობებით – ცხვრის საზამთრო და საზაფხულო სამოვრებით. ჩვენს ქვეყანაში მეცხვარეობას ძველთაგანვე მისდევდნენ. ამ დარგს მოსახლეობა დიდი სიყვარულით უკიდება, რადგან უხვად ღებულობს მისგან მრავალფეროვან პროდუქციას. ჩვენი ცხვარი იძლევა განსაკუთრებული გემოს ხორცს, მაღალი ღირსების სანოხე მატებლს და უკელს, რომელიც ცნობილია თუშურის, ქართულის, თრუსოს სახელწოდებით და განთქმულია როგორც ჩვენში, ისე რესპუბლიკის გარეთაც.

მეცნიერება ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, პირველ რიგში დიდი კავკასიონის მთიანეთში, სადაც ის მოსახლეობის შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს.

საქართველოში განთქმულია თუშური ჯიშის ცხვარი. მართლაც, ამ ჯიშის ცხვარს, კარაჩაის ცხვართან ერთად, ხორცის გემოს მხრივ მთელ მსოფლიოში ბადალი არ მოეპოვება. ძველად ოსმალეთში, ერაყში, სირიასა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში თუშური ცხვრის ხორცი დიდად ფასობდა და, ამიტომ, აღნიშნული ქვეყნების ბაზრებზე დიდი რაოდენობით გაჰყავდათ მთაში გასუქებული თუშური ცხვრის ჭედილები. ასევე იყო მატყლის მხრივაც. თუშური ცხვრის მატყლს, როგორც ნოხების ნედლეულს, დიდი მოთხოვნილება ჰქონდა როგორც რევოლუციამდელი რუსეთის ფარგლებში, ისე ევროპისა და სხვა ქვეყნების ბაზრებზეც. მაგალითად, აზერბაიჯანის განთქმული მაღალდირსების ნოხები, რომელიც ცნობილია კუბის ნოხების სახელწოდებით, იქსოვებოდა თუშური ცხვრის მატყლისგან [1].

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თუშური ჯიშის სულადობა, რომელიც ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში (დასავლეთში გავრცელებულია ცხვარი იმერული ჯიშის სახელწოდებით), ერთგვარობით არ ხასიათდება. არსებობდა მისი მაღალდირსების პოპულაციები, რომელთა ხორცის და მატყლის თვისებები ნამდვილად მაღალი დირსებით გამოირჩეოდა. მაგრამ, ამასთან ერთად, იყო შედარებით დაბალი დირსების პოპულაციებით. ასე მაგალითად, თუშური ჯიშის ცხვრის საუკეთესო პოპულაციები გავრცელებული იყო ყოფილ დუშეთის მაზრაში, მათ შორის განთქმული იყო ახალგორის პოპულაცია; ყოფილ თელავის მაზრაში, მათ შორის ალვანის პოპულაცია; ამიტომ რესპუბლიკის მეცნიერების გაუმჯობესების გეგმებში დასახული იყო მაღალდირსების თუშური ცხვრის ჯგუფების შენარჩუნება, მათი ხალასად მოშენება და გაუმჯობესება სამატყლე პროდუქტიულობის გადი-

დებისა და მატყლის მეტი გამოთანასწორების მიმართულებით. დანარჩენი ცხვრის სულადობა ძირეულ გაუმჯობესებას მოითხოვდა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოთხოვნილებამ მატყლზე სრულიად ახალი მიმართულება მიიღო. მანამდე ჩვენი მატყლი ძირითადად გარევაჭრობის საგანს წარმოადგენდა. ის ჩვენი ქვეყნის გარეთ გაჟქონდათ და ადგილობრივად მხოლოდ შინამრეწველობისა და შინამოხმარებისათვის გამოიყენებოდა. საბჭოთა პერიოდში რესპუბლიკის შიგნით მატყლი დიდი სამრეწველო მნიშვნელობის ნედლეულად იქცა. საქართველოში მოეწყო თბილისის მაუდკამვოლოს კომბინატი, ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, ცხაკაიასა და დუშეთის სანოხე ფაბრიკები, რომელთა მოთხოვნილების ნახევარსაც ვეღარ აქმაყოფილებდა მატყლის საქუთარი წარმოება და რესპუბლიკა იძულებული იყო, გარედან შემოვტანა ძვირად ლირებული მატყლი, შემდეგ რესპუბლიკაში ძირიფესვიანად შეიცვალა მდგომარეობა. შეიქმნა მატყლის საკუთარი წარმოების ბაზის გაძლიერების აუცილებლობა; წამოიჭრა მოთხოვნილება მატყლის მრავალფეროვან ასორტიმენტზე. არსებული სახის თუშურ ცხვრის მატყლთან ერთად, საჭირო გახდა ეწარმოებინათ ერთგვაროვანი მატყლის სახეები, მათ შორის წმინდა მატყლი, რომლისგანაც თბილისის მაუდკამვოლის კომბინატი ამზადებდა ძვირფას წმინდა ქსოვილებს (კოლხიდას, რუსთავს და სხვ.).

საქართველოში მატყლის გადამუშავების საქუთარი მრეწველობის განვითარებამ გამოიწვია მეცხვარეობის ძირეული გარდაქმნის საჭიროება. წმინდა და ნახევარწმინდა მატყლის წარმოებისათვის 1931 წლიდან ფართოდ გაიშალა ადგილობრივი ცხვრის შეჯვარება მერინოსული ჯიშის ვერძებთან, რომლებიც მასიურად შემოგვყავდა საქართველოში ჩრდილო კავკასიოდან. ამასთან ერთად, წარმოებდა მუშაობა თუშური ცხვრის სამატყლე პროდუქტიულობის გადიდებისა და მატყლის უკეთ გამოთანასწორების მიზნით.

აღნიშნულ დონისძიებათა შედეგად საქართველოში შეიცვალა ცხვრის ჯიშობრივი შემადგენლობა. რესპუბლიკის ცხვრის საერთო სულადობიდან წმინდა და ნახევრადწმინდა მატყლიანმა ცხვარმა შეაღინა 20-22 პროცენტი, ხოლო ნახევრად უხეშმატყლიანმა ნაჯვარმა ცხვარმა 50 პროცენტი; ცხვრის საერთო სულადობაში უხეშმატყლიანი ცხვრის რაოდენობა დაახლოებით 20-25 პროცენტამდე შემცირდა. ასევე შეიცვალა დამზადებული მატყლის ხარისხის რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში დამზადებული წმინდა და ნახევრადწმინდა მატყლის რაოდენობა 10-15 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა, ნაჯვარი ცხვრის ნახევრადუხეში მატყლის რაოდენობა 60-70 პროცენტს უდრიდა, ხოლო უხეში მატყლის ხვედრითმა წონამ 10-20 პროცენტი შეადგინა.

მართალია, მცირე იყო ცხვრის სამატყლე პროდუქტიულობა (2,3-2,6 კილოგრამი სულზე, წელიწადში), მაგრამ იყო მეურნეობები (მლეთის, ჭართლის კოლმეურნეობები – დუშეთის რაიონში, ალვანის – ახმეტის რაიონში, მარნეულის რაიონში და სხვ.), სადაც ცხვრის სამატყლე პროდუქტიულობა წელიწადში საშუალოდ 3-4 კილოგრამს უდრიდა.

გამოყვანილი იქნა ცხვრის ორი ახალი ჯიში: ქართული წმინდა მატყლიანი ცხიმკუდიანი (ელდარის საბჭოთა მეურნეობაში), ქართული ნახევრადწმინდა მატყლიანი ცხიმკუდიანი (უდაბნოში). ნაწილობრივ გაუმჯობესდა ცხვრის გადასარეკიტაცები და საძოვრების წყლით მომარაგება, გატარდა ღონისძიებები ბინათმშენებლობის საქმეში, შემოღებულ იქნა საზამთრი საძოვრებზე სარეზერვო საკვები ფონდით (თივით) ცხვრის მომარაგება, დაიწყეს ცხვრის ტრანსპორტირება და გატარდა სხვა ღონისძიებები. მაგრამ მეცხვარეობის მდგომარეობა საქართველოში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩათვლილიყო.

საკითხის შესწავლით ირკვევა, რომ რესპუბლიკაში წარმოებული მატყლის ოდენობაში წმინდა და ნახევრადწმინდა მატყლის რაოდენობა მეტად მცირე ხვედრითი წონით იყო

წარმოდგენილი. ამავე დროს საჭიროა აღინიშნოს, რომ დამზადებული ნაჯვარი ცხვრის მატყლი არ შეიძლება ჩაითვალოს მაღალდირსების ნედლეულად, პირიქით, აღინიშნება დაბალი ხარისხითა და მანკიერებებითაც.

სინანულით უნდა აღინიშნოს თუშური ცხვრის მოშენების საქმეში დაშვებული შეცდომა. გეგმით გათვალისწინებული იყო თუშური ცხვრის საუკეთესო პოპულაციების დატოვება ხალასი მოშენებისა და შემდგომი გაუმჯობესების მიზნით. მაგრამ, სამწუხაროდ, ცხვრის უსისტემო მოშენების გამო, საქართველოში თუშური ცხვარი ხალასად ნაკლებად შეგვრჩა, და, რაც უფრო სამწუხაროა, ეს გადაშენება, პირველ რიგში, თუშური ცხვრის – ახალგორისა და ალვანის საუკეთესო პოპულაციებს შეეხო. ამ გარემოებას 1954 წლის საშინელმა ზამთარმაც შეუწყო ხელი, როცა დუშეთის, ახალგორისა და ყაზბეგის რაიონებში დიდი რაოდენობით დაიხოცა ცხვარი და დაზარალებულ რაიონებში ცხვრის სულადობის აღსადგენად რესპუბლიკის აღმოსავლეთი რაიონებიდან იქნა შემგანილი ჯიშნარევი ცხვარი. ამჟამად საქართველოში თუშური ცხვრის რაოდენობა ძალიან მცირება და ისიც ძირითადად წარმოდგენილია დაბალი ხარისხის უხეშმატყლიანი სულადობით, რომელსაც უმნიშვნელოდ აქვს თუშური ცხვრის სიწმინდე.

ასეთია ჩვენი მეცხვარეობის დღევანდელი მდგომარეობა და ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩინა, დაისახოს მეცხვარეობის ძორეული გაუმჯობესების დონისძიებანი. გათვალისწინებული უნდა იყოს წმინდამატყლიანი, ნახევრადწმინდამატყლიანი და თუშური ცხვრის მიმართულების განვითარება. დაისახოს სამოვრების გაუმჯობესებისა და მათი წყლით მომარაგების ფართო პროგრამა. უნდა განხორციელდეს მეცხვარეობის საკვები ბაზის გაძლიერება საკვებმოპოვების გაფართოების გზით, უნდა გაუმჯობესდეს სანაშენო საქმიანობა; მოეწყოს ცხვრის გადასარეგი ტრასები; ჩატარდეს მრავლი სხვა ზოოტექნიკური და გეტერინალური დონისძიებები.

უკელა ეს ღონისძიება მიმართულია იქითკენ, რომ სა-ქართველოში შეიქმნას მატყლის წარმოების მყარი საკუთარი ბაზა მატყლის სასურველი ასორტიმენტით მრეწველობის მო-მარაგების მიზნით, და, ერთდროულად, გაძლიერდეს ხორცის ბალანსში ცხვრის ხორცის ხელირითი წონა. ამ ღონისძიებათა წარმატებით გატარების შედეგად, საქართველოში შესაძლებე-ლია ვიყოლიოთ ორი და მეტი მილიონი სული ცხვარი და ვა-წარმოოთ მაღალი ღირსების წმინდა, ნახევრადწმინდა და ოუ-შური ცხვრის 7-8 ათასი ტონა მატყლი.

ამჟამად საქართველოში მილიონამდე სული ცხვარია და წელიწადში დაახლოებით 2000 ტონა მატყლი იწარმოება, მა-ტყლი მხოლოდ ადგილობრივად შინამრეწველობისათვის და შინამრხმარებისათვის გამოიყენება. იგი არაა დიდი სამრეწვე-ლო მნიშვნელლობის ნედლეულად გადაქცეული, რადგან სა-ქართველოში ადარ ფუნქციონირებს თბილისი მაღამვოლის კომბინატი, ქუთაისის მაუდის ფაბრიკა, ცხასკაიასა და დუშე-თის ხალიჩების საქსოვი ფაბრიკები და სხვა.

აღნიშნული მიზეზების გამო, რესპუბლიკაში წარმოე-ბული მატყლი არაა მოთხოვნადი და მისი საბაზრო ფასი ქვეყანაში ძალზე დაბალია. რესპუბლიკას არ გააჩნია მატყლის ლაბორატორია; არ წარმოებს მატყლის სტანდარტიზაცია რო-გორც არსებული, ისე საერთაშორისოდ მიღებული სტანდარ-ტების მიხედვით. მატყლის დამზადების ყოფილი საბჭოთა სტანდარტი არ მიესადაგება საერთაშორისო ევროპულ სტან-დარტებს, რის შედეგადაც საქართველოში წარმოებული მა-ტყლი ევროპის ქვეყნების საფეიქრო მრეწველობას სასურველი სტანდარტით არ მიეწოდება. ამიტომაც, უცხოელი მატყლის დამამზადებლები არ ინტერესდებიან საქართველოდან მატყლის გატანის ექსპორტზე. მეცხვარეები ეგონომიკურად დიდად ზა-რალდებიან.

ცნობილია, რომ მატყლის სტანდარტი არის მისი გაუმ-ჯობესებული კლასიფიკაცია, რომლის საშუალებითაც სისტე-მაში მოგვყავს მატყლის მრავალსახეობა ე.ი. მატყლი ჯგუფდე-

ბა სხვადასხა თვისებების მიხედვით. მატყლის ევროპული სტანდარტების მიხედვით, დამზადება უნდა დაიწყოს სამომხ-მარებლო კოპერაციის სარაიონო და სასოფლო აგენტების ქსელის ფუნქციონირების მეშვეობით. მატყლის ხარისხობრი-ვად უდანაკარგოდ დამზადებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. ამის გაკეთება კი შეიძლება დამზადების შველა რგოლში სწორი და დროულად შედგენილი სარეკომენ-დაციო გეგმის საფუძველზე და აგრეთვე სისტემატური ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევით. მატყლის მიღე-ბა-ჩაბარება უნდა განხორციელდეს წმინდა მატყლის, ნახე-ვრადწმინდა მატყლის, ნახევრადუხეში და უხეში მატყლის ახალი საერთაშორისო სახელმწიფო სტანდარტების შემუშავ-ების საფუძველზე. მატყლის ღირებულების აზაზდაურება უნ-და მოხდეს ფასების სპეციალურად შემუშავებული ახალი პრეისკურანტით.

ცხვრის პარსვის დაწყებამდე საჭიროა ჩატარდეს სემი-ნარები, როგორც დამამზადებელი სისტემის ქსელში, ისე ფერ-მერული მეურნეობების მუშაკთათვის ცხვრის პარსვის, მატყ-ლის კლასირების, სუფთა მატყლის გამოსავლიანობის დადგე-ნისა და დამზადების საკითხებზე. უნდა ჩატარდეს მეცადინეო-ბა და ინსტრუქტაჟი ცხვრის პარსვისა და მატყლის დამზადე-ბის, აღრიცხვის, ანგარიშსწორებისა და ჩაბარების დოკუმენ-ტაციის შესახებ.

მატყლის მისაღებ პუნქტებზე მატყლის კლასირება და სუფთა მატყლის გამოსავლიანობა უნდა დგინდებოდეს ჩამბა-რებლის თანდასწრებით, ხოლო ფაბრიკა-კომპინატებში და სა-მრეცხაოებში – სახელმწიფო ინსპექტორის თანდასწრებით. მატყლის დამზადების საკითხის სრულყოფისათვის ახლადაა შესამუშავებელი მატყლის საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული პრეისკურანტი და შესყიდულ მატყლზე ანგარიშსწორების ახალი წესი. პრეისკურანტით გათვალისწი-ნებული ფასები დადგინდება ხორმალური მდგომარეობის მა-ტყლზე. სხვა მდგომარეობის მატყლზე კი იწარმოებს ფასების

შესატყვისი დაკლება. მატყლის ჩამბარებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მატყლის სახის, კლასის, მდგომარეობის, სუფთა მატყლის გამოსაგლიანობის მიხედვით. შესაძლოა მატყლის დამზადება აწარმოოს რამდენიმე ორგანიზაციამ, მაგრამ მათ საქმიანობას არ უნდა აკლდეს შეთანხმებულობა, შემსყიდველი ორგანიზაციები ხელს უნდა უწყობდნენ მეცხვარეობის შემდგომ განვითარებას და გავლენას უნდა ახდენდნენ დასამზადებელი მატყლის ხარისხიანობაზე. მატყლის დამზადების საქმეში უნდა გაიზარდოს სახელმწიფოს კონცროლი და ხელმძღვანელობა, რადგან დამზადების პროცესში, ჩამბარებლის საზარალოდ, ზოგჯერ ადგილი აქვს მატყლის რაოდენობისა და ხარისხიანობის არასწორ განსაზღვრას. ხელშეკრულებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს გამყიდველსა და შემსყიდველს შორის საქმიანი დამოკიდებულება, მატყლის შესყიდვის ვადები, ხარისხი და რაოდენობა, ანაზღაურების წესი, დირებულების ავანსი, შესყიდვაში დახმარების გაწევის საჭიროება მოსამარაგებელი ტარით, მასალებით, ტრანსპორტით და სხვა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში მატყლზე მოთხოვნილებამ სრულიად ახალი მიმართულება უნდა მიიღოს. ჩვენი მატყლი არათუ გარე ვაჭრობის, არამედ რესპუბლიკის შიგნით დიდი სამრეწველო მნიშვნელობის ნედლეულად უნდა იქცეს. ამისათვის უნდა ადდგეს საფეიქრო მრეწველობა, სადაც ადგილი ექნება მატყლის დახარისხებას, გაფხვიერებას, გარეცხვას, ნარევის დამზადებას, დაზეთვას, დაჩქრებას, დართვას, მოქსოვისა და ქსოვილის საბოლოო დამუშავებას და სხვ.

მეცხვარეობაში მოუწესრიგებელია შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საკითხი. მომთაბარე მეცხვარე მწყემსი 10-11 თვის მანძილზე დაშორებულია საკუთარ ოჯახს და დასახლებულ ადგილებს. მისი შრომა არანორმალური და დაბულია. არსებული შრომის ანაზღაურება არცოუ სრულად შეესაბამება მის შრომას. ამიტომ არის რომ, რაც დრო გადის,

იმდენად სულ უფრო და უფრო იგრძნობა მომთაბარე მეცხვარებაში მუშახელის ნაკლებობა [2].

მეცხვარეობაში მომუშავეთა შრომის ანაზღაურება უნდა წარმოებდეს სანარდო-პრემიალური სისტემით, თვის შედეგებისა და პროდუქციის რაოდენობისა და ხარისხის გათვალისწინებით.

ვინაიდან მეცხვარეობაში პროდუქციის წარმოება და ძირითადი სამუშაოები გრძელდება წლის განმავლობაში, მწყემსებს ხელფასი ეძლევათ მხოლოდ ცხვრის მოვლის ანგარიშით, მომსახურების ნორმისა და შესაბამისი სატარიფო განაკვეთით. ხელფასის საბოლოო ანგარიში მწყემსს უსწორდება წლის დამთავრების შემდეგ წარმოებული პროდუქციის შეფასების მიხედვით. პროდუქციის შეფასებაში გათვალისწინებულია ძირითად ხელფასზე 25 პროცენტიანი დამატება.

მეცხვარეობის ბრიგადის გამომუშავების ნორმები, მომსახურების ნორმები, პროდუქციის წარმოების წლიური ნორმა და პროდუქციის შეფასება ადრე მტკიცდებოდა მეურნეობის დირექციის მიერ და უთანხმდებოდა აღგილობრივ პროფესიულ ორგანოს. დღეს ამ საქმეში დიდი გაუგებრობაა. მეცხვარეობის ბრიგადებში გაურკვეველია მეცხვარეობის ბრიგადის (ფარის) ოპტიმალური ზომა; ერთ მწყემსზე მოვლისათვის გაპიროვნებული ცხვრის სულადობის ოდენობა; ფარის ძირითადი მწყემსების შრომის ანაზღაურების ტიპობრივი დებულებების არარსებობა. ვითომდა კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით, მკვლევრისათვის ძნელი დასადგენია, მეცხვარეობის უმრავლეს ბრიგადებში მწყემსის შრომის ანაზღაურება ხდება თუ არა შრომის ანაზღაურების აკორდულ-პრემიალური, სანარდო-პრემიალური და დდიურ-პრემიალური სისტემით, სატარიფო განაკვეთებისა და პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულების მიხედვით.

ჩვენ ვერ მივაკვლიეთ თუ სადედე ბრიგადებსა და ყოჩი-მწარმოებლის ან მოზარდის, ჭედილების, გასუქებული ცხვრის სულადობის მომსახურე მწყემსები ხელფასს რომელი თანრი-
194

გით იღებენ, ვიცით, რომ მეცხვარე მწყემსების შრომის ანაზღაურება გაიოლებულია და დაიყვანება მხოლოდ ცხვრის ნატურით ანაზღაურებაზე.

მეცხვარე მწყემსებზე პროდუქციის წარმოებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის არ წარმოებს პრემიების გაცემა: – 1. პროდუქციის წარმოების გადამეტებისათვის ზეგავმური პროდუქციის ღირებულების 20 პროცენტამდე (სარეალიზაციო ფასებში). 2. პირდაპირი დანახარჯების დაზოგვისა და თვითღირებულების შემცირებისათვის დაზოგილი სახსრების 40 პროცენტამდე.

საინტერესოა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს, მეცხვარეობის ასოციაციისა და სხვათა აზრი იმის თაობაზე, რომ დღევანდელ მეცხვარეობაში, გლობალიზაციის პირობებში როგორც წვრილ ფერმერულ მეურნეობებში, ისე მსხვილ ფერმერულ კოოპერატივებში საჭიროა თუ არა შრომის ანაზღაურების ტიპობრივი დებულების ფუნქციონირება. ან იქნებ ძველი დებულების გაუქმება ან ახალი ტიპობრივი დებულების შექმნა საჭირო? სასოფლო-სამერნეო საწარმოებში საერთოდ პერსპექტივა თუ აქვს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და ნორმირების ფუნქციონირებას და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქუმსიშვილი ვ. მატყლმცოდნეობა, გამომცემლობა „ცოდნა” თბილისი, 1961.
2. ყამარაული ს. საქართველოს სსრ მეცხვარეობის ინტენსიფიკაციის საკითხები. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1979.
3. წიკლაური ქ. მეცხველეობა და ბიზნესი საქართველოს მაღალმთიანეთში. თბილისი, 2002.
4. ქუმსიშვილი ვ. მომთაბარე მეცხვარეობის ტექნოლოგია ინტენსიფიკაციის საფუძველზე. „განათლება”, თბილისი, 1983.
5. ქავთარაძე თ. აგრარული რეფორმა საბაზრო ეკონომიკის პირობებში და საქართველო „მეცნიერება”, თბილისი, 2003.

Kavtaraadze Tengiz

**GLOBALIZATION AND DEVELOPMENT PROBLEMS
IN GEORGIA
SUMMARY**

Currently in Georgia for about one million sheep and in one year are producing about 2000 ton wool. Produced wool are used for local inner consumption. It has not a great manufacturing sense into raw materials, Because in Georgia already have no functioning Combine of Maud-Camwool, Maud fabric of Kutaisi, fabrics of carpets kitting of Tskhakaia and Dusheti. The country have not got yet wool laboratory. Does not produced standardization of wool by internationally adopted standards. Post Soviet Standards of manufacturing wool does not compliance to International European Standards, by result European Textile manufacture does not get non standard Georgian wool.

**ზურაბ რევოშვილი
ევროპავმირის სასოფლო-სამეურნეო კოლიტიკა და
საქართველოში მისი გათვალისწინების
აქტუალური საკითხები**

საქართველოს მიერ აღებული ევროინტეგრაციის გურსი აუცილებელს ხდის, რომ საფუძვლიანად შევისწავლოთ ევროპავმირის ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების და განვითარების საკითხები, რომელთა შორის მზარდ აქტუალობას იძენს ევროპავმირის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის (Common Agricultural Policy of the European Union) შესწავლა. ევროპავმირის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა მრავალმხრივი და რთულია. მასში გასარკვევად საჭიროა ვიცოდეთ განვლილი გზა, განხორციელების ეტაპები, მიზნები და ამოცანები, ინსტრუმენტები, პრობლემები, მოქმედების არეალი და განვითარების ტენდენციები [1].

ევროკავშირის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის (ესსპ) განხორციელება XX საუკუნის 50-იანი წლების დასასრულსა და 60-იანი წლების დასაწყისში დაიწყო, როდესაც ევროპულმა ეკონომიკურმა გაერთიანებამ დაძლია მეორე მსოფლიო ომის შემდგომი, სურსათის უკმარისობის ათწლიანი პერიოდი. ამ დროისათვის მის უმთავრეს მიზანს საერთო ბაზრის მშენებლობა რომ შეადგენდა, აქცენტირებული იყო სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ტარიფების გაუქმებაზე. თუმცა, ფერმერთა პოლიტიკური გავლენისა თუ რიგი წევრი ქვეყნებისათვის საკითხის პრობლემატურობის გამო, მრავალმა წელმა განვლო ერთიანი ესსპ-ის სრულ განხორციელებამდე.

ესსპ-ის განხორციელება შემოთავაზებულ იქნა ევროკომისის მიერ, რომის ხელშეკრულების (1957) ხელმოწერის შემდგომ, რომელმაც დაუდო საფუძველი საერთო ბაზრის შექმნას. ამ დროისათვის, ექვსი წევრი ქვეყანა, ცალკ-ცალკე, მკაცრად იცავდა თავის სასოფლო-სამეურნეო სექტორებს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებსა და სფეროებს, რომლებშიც ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასების რეგულირება და მხარდაჭერა. ქვეყნები ითვალისწინებდნენ ფერმერული სექტორების ორგანიზების არსებულ მდგომარეობას, რის გამოც მათი შიდა აგრარული პოლიტიკები განსხვავებული იყო. ამ ქვეყნების აქტიური შიდა ინტერვენციები ქმნიდნენ წინააღმდეგობას თავისუფალი გაჭრობის განვითარების გზაზე.

ზოგიერთი წევრი ქვეყნის, მათ შორის განსაკუთრებით საფრანგეთის, პროფესიული ფერმერული ორგანიზაციები ცდილობდნენ, სოფლის მეურნეობაში შეენარჩუნებინათ ძლიერი სახელმწიფო ინტერვენციები. თუმცა სასოფლო-სამეურნეო საქონელთა საერთო ბაზრის შესაქმნელად საჭირო იყო ევროკავშირს გადასცემდა წევრი ქვეყნების აგრარული პოლიტიკების პარმონიზაციის უფლება და ესსპ-ის განხორციელების შესაძლებლობა.

1962 წელს დადგინდა ესსპ-ის გატარების სამი უმთავრესი პრინციპი: ა) ბაზრის ერთიანობა; ბ) ევროგაერთიანების პრო-

დუქტებისათვის უპირატესობის მინიჭება; და გ) ფინანსური სოლიდარობა. ამ დროიდან ესსპ წარმოადგენს ევროპული ინსტიტუციური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტეს.

1960 წელს სიკო მანსპოლტის – პოლანდიის სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრისა და უკროპის სოფლის მეურნეობის კომისრის მიერ წამოყენებულ იქნა ეწ. „მანსპოლტის გეგმა”, რომელიც გულისხმობდა მცირე ფერმერული მეურნეობების განადგურებას და მათ კონსლიდიაციას მსხვილ, უფრო ეფექტურ მეურნეობებად. ფერმერების განსაკუთრებულმა მდგრმარეობამ და ფერმერების ლობის მნიშვნელოვანმა გაფლენამ წევრ ქვეყნებში განაპირობა “მანსპოლტის გეგმის” უარყოფა. 1968 წელს მანსპოლტმა გააგზავნა მემორანდუმი ევროგაერთიანების მინისტრთა საბჭოში, რომელიც ეხებოდა სოფლის მეურნეობის რეფორმას. ეს გრძელვადიანი გეგმა ცნობილია, როგორც “1980 წლის სასოფლო-სამეურნეო პროგრამა” ან “ჰაიშელის ჯგუფის მოხსენება” (ლუქსენბურგის სოფ. ჰაიშელის სახელი, სადაც მომზადდა ეს დოკუმენტი), რომელმაც საფუძველი დაუდო გაერთიანებული ევროპის სოფლის მეურნეობის ახალ სოციალურ და სტრუქტურულ პოლიტიკას.

მანსპოლტის გეგმა განსაზღვრავდა ფასებისა და ბაზრის მხარდაჭერის პოლიტიკის ზღვრებს. იგი წინასწარმეტყველებდა არასტაბილურობას, რაც წარმოიქნებოდა გარკვეულ ბაზრებზე, თუ თანამეგობრობა არ შეამცირებდა დამუშავებული მიწების რაოდენობას სულ მცირე 5 მილიონი ჰექტარით; აღნიშნავდა, რომ ესსპ-ს შემოტანა ხელს არ შეუწყობდა ფერმერთა ცხოვრების დონის ამაღლებას წარმოების ზრდისა და დანახარჯების გადიდების მიუხედავად. ამასთან, იგი მხარს უჭერდა რეფორმას და საწარმოო პროცესების მოდერნიზაციას.

გეგმის თანახმად, მცირე ფერმები, რომლებიც გაქრობის ზღვარზე იყვნენ, ადრე თუ გვიან, უნდა გადიდებულიყვნენ.

გეგმის მიზანი იყო ხუთი მილიონი ფერმერის სტიმულირება, რათა მათ თავი დაენებებინათ ფერმერობისათვის. მას

უნდა შეექმნა შესაძლებლობა, რათა მათი მიწები გადანაწილებულიყო და გაზრდილიყო დარჩენილი ფერმების ზომები.

ფერმები ითვლებოდნენ სიცოცხლისუნარიანად თუ მათ გააჩნდათ უნარები, მიეცათ მათი მფლობელებისათვის ისეთი საშუალო წლიური შემოსავლები, რომლებიც არ იქნებოდა მნიშვნელოვნად დაბალი რეგიონის სხვა მუშების შემოსავლების დონესთან შედარებით.

კვალიფიკაციის შეცვლის პროგრამასთან ერთად, მანსპოლტი ასევე სთავაზობდა კვალიფიკაციის შეცვლის, პენსიაზე ადრე გასვლის ხარჯების დაფარვის პროგრამას. იგი წევრ ქვეყნებს ფერმერებისათვის პირდაპირი დახმარების შემცირებისკენ მოუწოდებდა. მანსპოლტის აღნიშნულმა პროგრამამ ფერმერებისა და მათი პროფესიული გაერთიანებების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და ის იძულებული იყო, შეცვალა პროგრამის რიგი დებულებები. საბოლოოდ მანსპოლტის გეგმა შეიკვეცა სამ დირექტივამდე (1971), რომელიც ეხებოდა სასოფლო-სამეურნეო პოლდინგების მოდერნიზაციას, ფერმების კონსერვირებას და ფერმერთა გადამზადებას.

მანსპოლტის გეგმის დამარცხების შემდგომ, 1970-იან წლებში ე.წ. “რეფორმატორები” ათი წლის განმავლობაში აღარ გამოჩენილან. სისტემა, სახელწოდებით “აგროფული”, შემოტანილ იქნა, როგორც ნაწილი ევროპის სავალუტო კავშირის პროექტის განვითარებისა, თუმცა ის რეალურად არ ასტიმულირებდა რეფორმას 1980-იან წლებში. 1990-იანი წლების დასაწყისში კვლავ გამოიკვეთა ესსპ-ის გატარების და რეალური რეფორმების განხორციელების აუცილებლობა. ამ დროისათვის გარკვეულად შემცირდა ფერმერული ბლოკის გავლენა, რამაც განაპირობა რეფორმატორების გააქტიურება. გარემოს დაცვის მომხრეებმა მხარი დაუჭირეს ესსპ-ის რეფორმირებას, რადგან ჭარბწარმოების პრობლემებმა შექმნა ახალი სიძნელეები. ამ ფაქტორებმა განაპირობა კვოტების შემოტანის აუცილებლობა რჩის პროდუქტებზე (1984), ხოლო

მოგვიანებით ფერმერთა მხარდასაჭერად შემოტანილ იქნა (1988) “დანახარჯების ჭერი”.

1992 წელს, მზარდი წარმოების შეზღუდვის მიზნით, გატარდა რაი მაკშერის (ეკონომის სოფლის მეურნეობის კომისარი) რეფორმები, ამავე დროს, გატარდა დონისძიებანი თავისუფალი სასოფლო-სამეურნეო ბაზრის განვითარების მიმართულებით. რეფორმებმა შეამცირა მხარდაჭერის დონე: მარცვლეულზე – 29%-მდე და საქონლის ხორცზე – 15%-მდე. შეიქმნა გაცემების სისტემა გამოუყენებელ მიწებზე სავარგულების წარმოებიდან ამოდების მიზნით, რომლებიც ზღუდავდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიწოდებას. გატარდა დონისძიებები, რომლებიც ასტიმულირებდა პენსიაზე გასვლას და გამოთავისუფლებულ სავარგულებზე ტყეების გაშენებას.

მაკშერის რეფორმების შემდგომ, ფასები მარცვლეულზე დაუახლოვდა ტოლწონად მაჩვენებლებს, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის დანახარჯებმა შეიძინა მეტი გამჭვირვალობა. რეფორმების წარმატებებთან ერთად, მათი განხორციელების აღმინისტრაციულმა სირთულემ წარმოშვა თაღლითობა და ესსპ-ის ახალი პრობლემები.

რეფორმირების თანამედროვე სფეროები მოიცავს: ფასების შემცირებას, სასურსათო უსაფრთხოებისა და ხარისხიანი სურსათით უზრუნველყოფას, ფერმერების შემოსავლების სტაბილურობის გარანტიების შექმნას. ასევე, ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა: გარემოს დაბინძურება, პირუტყვისათვის ნორმალური პირობების შექმნა და ფერმერების შემოსავლების ალტერნატიული წყაროების ძიება.

რიგი ამ საკითხებისა განიხილებოდა წევრი ქვეყნების მიერ მიღებული რეფორმის ფარგლებში, რომელსაც ეწოდა “დღის წესრიგი 2000”, რომელიც ესსპ-ს განიხილავდა წარმოების ხელშეწყობისა და სასოფლო-სამეურნეო განვითარების საფუძვლად. სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებად განისაზღვრა: მისი დივერსიფიკაცია, მწარმოებელთა ჯგუფების დადგენა, ახალგაზრდა ფერმერების მხარ-

დაჭერა. სოფლის გარემოს დაცვის პროგრამები ასევე აუცილებელი გახდა ყველა წევრი ქვეყნისათვის.

2003 წლის 26 ივნისს ევროგაერთიანების მინისტრებმა მიიღეს ესსპ-ის რეფორმის ფუნდამენტური გეგმა, რომელიც ეფუძნებოდა სუბსიდირების გაყოფას განსაზღვრულ კულტურებზე. “ერთიანი ფერმერული გაცემების” ახალი სისტემა ორიენტირებული იყო ურთიერთშესაბამისი პირობების გათვალისწინებაზე, რომელიც ეხმადა გარემოს დაცვას, სასურსათო უსაფრთხოებას და პირუტყვის კეთილსასურველი პირობების უზრუნველყოფას. რიგი სამართლებრივი ნორმებით და პრაქტიკული რეკომენდაციებით რეგულირდებოდა ფერმერთა სხვადასხვა საქმიანობები. რეფორმის ძირითად მიზანს შეადგენდა ფინანსების კონცენტრირება გარემოს დაცვისა და პირუტყვის კეთილსასურველი პირობების შექმნის პროგრამებზე.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ყოველ წევრ ქვეყნას აქვს არჩევანის გარკვეული თავისუფლება. ასე მაგალითად, ინგლისში ერთიანი გაცემების სისტემა უზრუნველყოფს დაახლოებით 230 ფუნტს ჰა-ზე, მიწა დამუშავებისათვის კარგ მდგომარეობაში რომ იყოს შენარჩუნებული; შოტლანდიაში გაცემების სისტემა ისტორიულად იყო ჩამოყალიბებული და მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდება. ახალი სისტემა იძლეოდა საშუალებას, მიწის არასაწარმოო გამოყენებისათვის მიეღოთ დახმარების ეკოლოგიური კომპონენტი. დამატებითი გაცემები ეძლევათ თუ მიწა მუშავდება ეკოლოგიური წესების შესაბამისად.

მთლიანად, ევროკავშირის ბიუჯეტსა და ეროვნულ ბიუჯეტში იზღუდებოდა სუბსიდირება, რაც ევროკავშირის ბიუჯეტში ესსპ-ზე დანახარჯების შეზღუდვის საშუალებას იძლეოდა. წევრ ქვეყნებს შეეძლოთ გამოეყენებინათ გარდამავალი პერიოდის რეჟიმი 2007 წლამდე, როდესაც მათ ქვეყნებში ხდებოდა რეფორმის გადავადება, ასევე, შეეძლოთ გაეჭიმათ გადასვლის პერიოდი 2012 წლამდე.

ევროკავშირის გაფართოებამ 2004 წელს მასში შემავალი ფერმერების რიცხვი 7 მლნ-დან 11 მლნ-მდე გაზარდა, სასოფ-ლო-სამეურნეო სავარგულები გაიზარდა 30%-ით და წარმოება – 10-20%-ით. 2004 წელს შესულმა წევრმა ქვეყნებმა მიიღეს მიზნობრივი მხარდაჭერის შესაძლებლობა (საექსპორტო დაფინანსება და ინტერვენციული შესყიდვები). პირდაპირი გაცემები გაიჭიმა 10 წლით (2004-2013), დაწყებული 30%-იანი გაცემებით, ძველი ქვეყნების თანხებიდან 2004-2005 წლებში. ახალ ქვეყნებს ასევე გაუწნდათ შესაძლებლობა სოფლის განვითარების ფონ-დით სარგებლობისა (პენსიაზე ადრე გამსვლელთავის, გარე-მოს საკითხების, უდარიბესი ტერიტორიების და ტექნიკური დახმარებისათვის) 5 მილიარდი ევროს ბიუჯეტით. 2002 წელს ევროკავშირის ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ სასოფლო-სამეურნეო ხარჯები 2013 წლამდე რეალურად არ გაზრდი-ლიყო. ამას უნდა გამოეწვია სუბსიდირების შემცირება: ძველი ქვეყნებისა 5%-მდე, რათა დაფინანსებულიყო ახალი ქვეყნების გაცემები; ბულგარეთის და რუმინეთის გაცემების გათვალის-წინებით შემცირება 8%-მდე განხორციელდა.

2006 წელს ევროკავშირმა გადაწყვიტა გაეტარებინა შა-ქრის სუბსიდირების რეფორმა. გარანტირებული ფასი შაქარზე შემცირდა 36%-ით, დაიგეგმა ევროკავშირის ფარგლებში შა-ქრის წარმოების მკვეთრი შემცირება. პოლიტიკის ასეთი ცვლილებები ევროკავშირის ბაზრებზე განვითარებადი ქვეყნების უფრო ადვილად შეღწევის შესაძლებლობას იძლეოდა. ევროკავშირის პოლიტიკის ამგვარი ცვლილებები განხორცილდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც მხარს უჭერდა ავსტრალიიდან, ტაი-ლანდიდან და ბრაზილიიდან ევროკავშირში დაბალფასიანი შაქრის შეტანას.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან ურთიერთქმედება ერთ-ერთი პრობლემატური საკითხი იყო ჯერ ევროგაერთიანებისთვის, ხოლო შემდგომ ევროკავშირისათვის, რადგან აქ მიღებული ფერმერთა სუბსიდირებისა და პრო-

დუქციის შესასყიდი ფასების ცენტრალიზებული რეგულირებების სისტემა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კრიტიკას იწვევდა, ამგვარი ქმედებანი მიიჩნეოდა თავისუბალი კონკურენციის პრინციპების დარღვევად.

2007 წელს ევროკამისიამ შეიმუშავა წინადადებები მიწების კერძო მფლობელების და ფერმა-ქარხნების სუბსიდირების შეზღუდვასთან დაკავშირებით. ამ ფერმერული მეურნებებიდან ბევრი, ფაქტობრივად, ოჯახურ მეურნეობას შეადგენდა, რის გამოც შეზღუდვების მცდელობები, როგორ ადრე, წარმატებით არ დამთავრდა ფერმერული კავშირებისა და ბიზნესასოციაციების ძლიერი ოპოზიციის გავლენით.

დღეისათვის, ფაქტობრივად, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა მიმართულია: ა) ყველა მწარმოებლისათვის მაქსიმალური შესაძლებლობების შექმნისაკენ, რათა მათ ევროპელი მომხმარებლისათვის აწარმოონ საკმარისი რაოდენობის უვნებელი, მაღალხარისხიანი კვების პროდუქტები; ბ) სასოფლო ადგილებში ეკონომიკური განვითარების დივერსიფიკაციის განხორციელებისაკენ; გ) გარემოსა და ცხოველების დაცვის მაღალი სტანდარტების შექმნისაკენ.

მომხმარებლები სულ უფრო შეგნებულნი ხდებიან საკვების ხარისხთან დაკავშირებით, ევროკავშირის ნებაყოფლობითი ხარისხის ნიშნები ეხმარება მათ, მიიღონ კომპეტენტური გადაწყვეტილებანი. ეს აღნიშვნები წარმომობის გეოგრაფიული აღნიშვნით, ტრადიციული ინგრიდიენტებისა და მეთოდების გამოყენება, მათ შორის ორგანული სასუქები წარმოება, ეხმარება, შექმნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რომელიც კონკურენტუნარიანია მსოფლიო ბაზრებზე.

ესსპ-ის რეფორმებმა ხელი შეუწყო ინოვაციების ფართოდ დანერგვას სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში. ევროკავშირის შუამდგომლობით, სამეცნიერო-კვლევითმა პროექტებმა და მიღწეული შედეგების დანერგვა-გავრცელებამ გაზარდა სექტორის ნაყოფიერება და შეამცირა ზემოქმედება

გარემოზე. ასე მაგალითად, კულტურების თანამდევი პროდუქტების და ნარჩენების გამოყენება ენერგიის წარმოებისთვის.

2009 წელს ევროკავშირის სოფლის მეურნეობისა და მე-თევზეობის საბჭომ განიხილა საკითხი ესსპ-ში შესატანი ცვლილებების შესახებ. განხილული იყო ესსპ-ის გაუმჯობესება სოფლის მეურნეობის კონკურენტუნარიანობის გაზრდის, გარემოს დაცვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მი-მართულებით. ექსპერტები (მათ შორის სოფლის მეურნეობის კომისარი) გამოთქვამდნენ მოსაზრებებს რომ, თუ ევროპის სოფლის მეურნეობა არ დაადგება განახლებისა და ინოვაციის გზას, იგი კონკურენციას ვერ გაუძლებს [2, გვ. 19]. ამგვარი პროგნოზი შეიძლება გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს, რადგან ევროკავშირის სოფლის მეურნეობა, მიუხედავად იმისა, რომ გაფართოების პროცესში შედარებით ნაკლებგანვითარებული ქვეყნების ჯგუფი შეუერთდა, მაინც მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება.

ევროკავშირის გაფართოების ამოცანა ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის წინაშე მდგრად მრავალრიცხოვან სა-კითხს. ამისათვის შემუშავდა სპეციალური პროგრამა SAPARD (Special Accession Programme for Agriculture and Rural Development), რომლითაც ევროკავშირი ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას უწევდა კანდიდატ ქვეყნებს ევროკავშირში შესასვლელად მომზადებაში. ახლადმიდებული ქვეყნები განსხვავდებოდნენ “ძველი” ქვეყნებისგან სურსათის ფასებით, პროდუქციის ხა-რისხით, შრომის ნაფოფიერებით, დასაქმების დონითა და სტრუქტურით, გეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის საკითხე-ბის მოგვარებით. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე ახალ ქვეყანა-ში იმდენივე ფერმერი იყო, რამდენიც ევროკავშირის 15 ქვეყა-ნაში მოლიანად.

ექსპერტების აზრით, ესსპ უნდა შეიცვალოს, მან უნდა მეტად გაამახვილოს კურადღება ინოვაციებსა და მდგრად განვითარებაზე, რადგანაც სულ უფრო რთულდება სუბსიდი-რებით ფერმერებისათვის შექმნილი ე.წ. “საობურის” პირობე-

ბის შენარჩუნება და სოფლის მეურნეობის წარმოქმნილი ახალი გამოწვევების გადაჭრა [7, გვ. 245-247].

დღეისათვის, საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძირითადი მწარმოებლები მცირე და საშუალო ოჯახური შინამეურნეობებია, რომლებიც აწარმოებენ პროდუქციის უმეტეს ნაწილს; მეტად დაბალია მათი ტექნიკური შეიარაღება, კატასტროფულად დაბალია მემცნეარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ასევე მეტად დაბალია სასაქონლო წარმოების დონე. ფერმერები (გლეხები) ვერ იღებენ კრედიტს, არა აქვთ ეფექტური ტექნოლოგიების, ინვაციების დანერგვის საშუალება. მეურნეობების უმეტეს ნაწილს მეტად დაბალი შემოსავლები აქვთ, განსაკუთრებით მცირეა მათი ფულადი შემოსავლები, რაც განაპირობებს სიღარიბის მაღალ დონეს სოფლად. ადგილობრივი პროდუქციის უმეტესი ნაწილი ხასიათდება დაბალი სასაქონლო მაჩვენებლებით, არასტანდარტულობით, დაბალკონტურენტუნარიანობით. დაბალია ფერმერების (გლეხების) პროფესიული და პოლიტიკური ცნობიერების დონე, მათ ჯერ კიდევ სათანადოდ არ ესმით პროფესიული გაერთიანებების საჭიროება, სექტორის ინტერესების დამცველი ლობის შექმნის მნიშვნელობა.

ჩვენი აზრით, აღნიშნული პრობლემების დაძლევაში აუცილებელია სახელმწიფოს აქტიური ჩარევა. ინტერვენციები უნდა განხორციელდეს: წარმოების სტიმულირების, იმპორტჩანაცვლებელი და ექსპორტგანმავითარებელი სასაქონლო წარმოების, სურსათისა და კვების პროდუქტების მწარმოებელი საწარმოების ხელშეწყობის, ხელმისაწვდომი კრედიტების სისტემების ჩამოყალიბების, სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების დანერგვისათვის სახელმწიფოებრივი ხელშეწყობის, ეკოლოგიური პროდუქტების წარმოების სტიმულირების, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და ხარისხის სურსათით უზრუნველყოფის მიმართულებით.

ასევე აუცილებელია, განისაზღვროს ოპტიმალური, საშუალო სასოფლო შინამეურნეობების ზომები, უნდა დადგინდეს

სასოფლო შინამეურნეობათა საკუთრებაში თუ სარგებლობაში მყოფი სასოფლო-სამეურნეო მიწების მინიმალური და მაქსიმალური ზღვრები როგორც მთლიანად ქვეშნის, ისე ცალკეული რეგიონების მიხედვით. უნდა შეიქმნას სათანადო საკანონმდებლო ბაზა და გატარდეს სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გადანაწილებას და ოპტიმალური მეურნეობების ზომების ჩამოყალიბებას, მცირე და საშუალო მეურნეობების ეფექტიანობის გადიდებას. ასევე, ხელი უნდა შეუწყოს მცირე და საშუალო შინამეურნეობების სხვადასხვაგვარი გაერთიანებების, გლეხური და ფერმერული კოოპერატივების, ასოციაციების შექმნას და ფუნქციონირებას. ამავე დროს, ხელი უნდა შეუწყოს მათი პროფესიული გაერთიანებების, ასოციაციების ფორმირებას და აგრარული სექტორის პოლიტიკური ლობის ჩამოყალიბებას.

სახელმწიფო პოლიტიკამ, ერთი მხრივ, ხელი უნდა შეუწყოს ეფექტური კულტურების და ჯიშების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და გავრცელებას, შინამეურნეობათა მოსავლიანობის და პროდუქტიულობის გადიდებას, მეორე მხრივ, მან უნდა ასტიმულიროს შინამეურნეობების გაერთიანება, სხვადასხვაგვარი მწარმოებელი, მომმარაგებელი თუ გამსაღებელი კოოპერატივების, გაერთიანებების წარმოქმნა და განვითარება, ხოლო მესამე მხრივ – სათანადო პროექტებითა და კრედიტებით, სოფლად უნდა განავითაროს სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით მომსახურეობის განმახორციელებელი ცენტრები, რომლებიც უზრუნველყოფენ შინამეურნეობების სათანადო მომსახურებას.

ჩვენი აზრით, სახელმწიფომ უნდა ასტიმულიროს, თვითუზრუნველყოფაზე ორიენტირებული, მარცვლეულის, განსაკუთრებით ხორბლის წარმოება, ასევე საექსპორტო დვინისათვის ვაზის ჯიშების გაშენების გაფართოება, ექსპორტზე ორიენტირებული მეხილეობის, მეციტრუსეობის, მებოსტნეობის და მეღვინეობის განვითარება. გაცემები უნდა

ხდებოდეს დათესილი მიწის ფართობების თუ ფაქტობრივად რეალიზებული პროდუქციის მიხედვით. გაცემებმა უნდა დაფაროს განსხვავება იმპორტირებული მარცვლეულის (ფქვილის) ფასსა და წარმოებული პროდუქციის ფაქტობრივ დანახარჯებს შორის. ამავე დროს, სახელმწიფომ უნდა განახორციელოს გარანტირებული შესყიდვები (ჯარისათვის, სახელმწიფო მარაგებისთვის). სუბსიდირებამ ხელი უნდა შეუწყოს მეურნეობათა მდგრად განვითარებას, კონკურენტუნარიანი სასაქონლო წარმოების ჩამოყალიბებას.

შინამეურნეობებისათვის შემოსავლების ალტერნატიული წყაროების მიღების და სიღარიბის დაძლევის გარკვეულ შესაძლებლობებს ქმნის სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციის ისეთი ფორმები, როგორიცაა შინამეურნეობების ფარგლებში მცირე ზომის სასტუმროების, საზოგების ობიექტების, სარეწაო ნაკეთობების დამზადების, ტურისტული მომსახურების და სხვა არასასოფლო-სამეურნეო საქმიანობების დამკვიდრებაც. მნიშვნელოვანია, სოფლად გადამამუშავებელი საწარმოების შექმისათვის ხელშეწობა. სოფლის მოსახლეობის დასაქმების სფეროთა გაფართოების, დამატებითი ფულადი შემოსავლების მიღების მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს “ქანქარული” მიგრაციაც.

თუ საქართველოს სოფლის მეურნეობა არ დაადგება სასაქონლო წარმოების, ახალი ტექნილოგიების თუ ინოვაციების მასშტაბურად დანერგვის გზას, ვერ განახორციელებს მნიშვნელოვანი მასშტაბით სურსათით უზრუნველყოფას და საქართველო ბაზრებზე ვერ მოიპოვებს სტაბილურ ადგილს, იგი კონკურენციას ვერ გაუძლებს და მკვიდრი სოფლის მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Zobbe H. The Economic and Historical foundation of the Common Agricultural Policy in Europe, Paper presented at Fourth

European Historical Economics Society Conference, September, Merton College, Oxford, UK, 2001.

2. The Common Agricultural Policy Explained, DG Agriculture and Rural Development, Publications Office, Brussels, 2008. (<http://ec.europa.eu/agriculture/>).

3. Lissitsa A., Luka O., Gagaljuk T., Kvaesa S. Common Agricultural Policy of the European Union –Development and Principles of Functioning, Discussion paper N92, 2006, IAMO, Halle (Sale), Germany(www.econstor.eu).

4. Cardwell M. The European Model of Agriculture, Oxford University, 2004.

5. The European Union's Comon Agricultural Policy: Presures for change, Economic Research Servise, USDA, 1999.

<http://usda.mannlib.cornell.edu/reports/erssor/international/wrt-bb/1999/europe/wrs99-2.pdf>.

6. The Comon Agricultural Policy: How the CAP operates, the key commodities, competotors and markets for European Enviromental Policy. <http://www.ukfg.org.uk/docs/CAPBB2.pdf>.

7. შატბერაშვილი ო. ევროპული საინვაციო პოლიტიკა სოფლის მეურენობის სფეროში, მრავალდონიანი საინვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, გზამკვლევი, თბ., 2010.

Revishvili Zurab

**THE ACTUAL ISSUES OF EUROPEAN UNION'S
AGRICULTURAL POLICY AND THEIR FORESIGHT
IN GEORGIA
SUMMARY**

In the article are considered Comon Agricultural Policy's formation stages, goals, instruments, problems and development tendencies in European Union.

The attention is focussed on the directions and ways of agricultural Policy in Georgia, which will promote the development of agriculture in Georgia and it's integration in European Union.

**თამარ ბერუხაშვილი
ემირ ეთერია
ოქსანა ხიაძო**

**საქართველო-ევროპავშირის საპაზრო-ეკონომიკური
ურთიერთობების ახალი ჰორიზონტები**

შესავალი

უკანასკნელ წლებში საქართველო-ევროკავშირის პოლი-
ტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები თვისობრივად ახალ ეტაპზე
გადავიდა. საქართველოს ამ ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო
პარტნიორთან ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი გადრმა-
ვების თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობის
მატარებელია საქართველოსა და ევროკავშირს შორის
ასოცირების ხელშეკრულებაზე (EU-Georgia Association Agreement)
მიმდინარე მოლაპარაკებების დროულად დასრულება, რომლის
ნაწილია შეთანხმება დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი
ვაჭრობის სივრცის შესახებ (Deep and Comprehensive Free Trade
Area – DC FTA). ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლა-
პარაკებები დაიწყო 2010 წლის ივნისში, DC FTA-ზე
მოლაპარაკებების პირველი რაუნდი 2012 წლის მარტში, ხოლო მე-
2 რაუნდი ამავე წლის ივნისში გაიმართა.

ნათელია, რომ DC FTA-ს გაფორმება მნიშვნელოვნად
შეუწყობს ხელს საქართველოს სავაჭრო შესაძლებლობებისა და
საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდის სტრატეგიული მიზნის
მიღწევას. შესაბამისად, დღის წესრიგში დგება საქართველოს
ეკონომიკაში ცალკეული მიმართულებებით მნიშვნელოვანი
რეფორმების თანმიმდევრული გატარების აუცილებლობის
საკითხი.

წინამდებარე სტატიის მიზანია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის კონცეფციის არსის განხილვა, მასთან დაკავშირებულ სფეროებში საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმების მიმოხილვა და ძირითადი გამოწვევების შეფასება.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის კონცეფციის არსი

ამ ეტაპზე, გლობალურ დონეზე ვაჭრობის განვითარების მხარდაჭერასთან ერთად, ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია რიგ რეგიონულ პარტნიორებთან მჯიდრო ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა. ამ თვალსაზრისით, რეგიონული ინტეგრაციული პროცესების გაღრმავებისკენ სწრაფვა წარმოადგენს პასუხს ვაჭრობის გლობალური სისტემის ფუნქციონირების პრობლემებზე, განსაკუთრებით კი ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) “დოპას განვითარების რაუნდის” ფარგლებში მიღწეული პროგრესის სიმწირეზე. თუმცა, როგორც ევროკომისიის შესაბამის დოკუმენტშია აღნიშნული, “დოპას რაუნდის დასრულება ევროკავშირის უმთავრეს პრიორიტეტად რჩება” [1].

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები ნაკლებეფექტიანად არის მიჩნეული, ვიდრე მრავალმხრივი ლიბერალიზაცია, ალტერნატივად განიხილება ლიბერალიზაცია ორმხრივ და რეგიონულ დონეზე თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებების გაფორმების მეშვეობით.

ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკის ახალი განზომილების – თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ახალი თაობის შეთანხმებებზე მოლაპარაკებების დაწყება კონკურენტუნარიანობის ზრდისა და “ლისაბონის სტრატეგიის” მიზნების ხელშეწყობის სტრატეგიის მიღებას უგავშირდება. აღნიშნული სტრატეგია განხილულია დოკუმენტში „გლობალური ევროპა: კონკურენცია მსოფლიოში” [2], რომლის მიზანია სავაჭრო

პოლიტიკის ევროკავშირის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტად გადაქცევა. ევროკავშირის სტრატეგიით, აღნიშნული მიზნის მიღწევა არა მარტივი თავისუფალი გაჭრობის, არამედ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის (DC FTA) შესახებ ორმხრივი შეთანხმებებითაა შესაძლებელი.

უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ახალ შეთანხმებებში ევროკავშირის მიღვომა ეფუძნება შეთანხმებით გათვალისწინებული სფეროების გაფართოებულ სპექტრს და ვაჭრობის ლიბერალიზაციის უფრო მაღალი სარისხის მიღწევას, ვიდრე ეს ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის შეთანხმებებითაა განსაზღვრული (ე.წ. ვმო+).

შესაბამისად, ევროკავშირი ფოკუსირებას ახდენს დაინტერესებულ ქვეყნებთან მხოლოდ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებაზე. ვაჭრობის ეს კონცეფცია, თავისი არსით, საკმაოდ ამბიციური და კომპლექსურია. იგი სცდება სავაჭრო განზომილებას და მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებული ეკონომიკის სხვა მნიშვნელოვან სფეროებსაც.

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის იდეა მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ე.წ. „ბარსელონას პროცესი“ – ევროკავშირსა და ხმელთაშუაზღვისპირეთის რიგ ქვეყნებს შორის სავაჭრო მოლაპარაკებების დაწყებიდან იდებს სათავეს. შემდგომში, აღნიშნული იდეა თანმიმდევრულად ტრანსფორმირდა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის მთავარ ეკონომიკურ ინსტრუმენტად, როგორც ევროკავშირის აღმოსავლეთ, ისე სამხრეთის მეზობელ ქვეყნებთან დაკავშირებით [3].

ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, მარტივი სავაჭრო შეთანხმებებისგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ სავაჭრო ბარიერების შემცირება/გაუქმებას ისახავენ მიზნად, არ იფარგლება წმინდა სავაჭრო ბარიერებით და ეკონომიკის ფუნქციონირების

მნიშვნელოვან ტრანსფორმაცია/მოდიფიკაციას გულისხმობს. მსგავსი სახის შეთანხმებების სახელწოდებაც და „ღრმა და ყოვლისხმომცველი“, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული შეთანხმებები უფრო შორს მიმავალ მიზნებს ემსახურება, ვიდრე უბრალოდ სავაჭრო ბარიერების შემცირება/გაუქმება.

ამ ტიპის შეთანხმება, საქონლით ვაჭრობის გარდა, მოიცავს მომსახურებით ვაჭრობას, კაპიტალის ბრუნვას, ასევე, საბაჟო პროცედურების და კომპანიების მარეგულირებელი კანონმდებლობის, სანიტარული და ფიტოსანიტარული სტანდარტების, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებისა და საინვესტიციო კანონმდებლობის დაახლოებას, მომხმარებელთა უფლებებისა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, კონკურენციის უზრუნველყოფას, საერთაშორისო გარემოს-დაცვითი და შრომის სტანდარტების დაცვას, ენერგეტიკაში ფასწარმოქმნის ლიბერალიზაციას და ა.შ.

ზემოაღნიშნულ სფეროებში ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების დანერგვამ უნდა უზრუნველყოს პარტნიორი ქვეყნებისა და ევროკავშირის ეკონომიკების თავსებადობის ხარისხის თანმიმდევრული ამაღლება, სავაჭრო პარტნიორების საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა (სხვა რეფორმების გატარების პარალელურად) და, საბოლოო ჯამში, მათი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

ნათელია, რომ ევროკავშირის მხრიდან ცალკეულ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებას საფუძვლად უდევს გარკვეული ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნები, რომლებიც განსხვავდება პარტნიორი ქვეყნების განვითარების დონისა და ევროკავშირის ეკონომიკის ზრდის ხელშეწყობის თვალსაზრისით, ამ ქვეყნების მნიშვნელობის გათვალისწინებით. განვითარებადი თუ გარდამავალი ეკონომიკების ქვეყნებთან მოლაპარაკებების ძირითადი მოტივია ამ ქვეყნების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, რაც, თავის მხრივ, ნაკარნახევია ევროკავშირის

გრძელვადიანი ეკონომიკური მიზნებით, უზრუნველყოს ევროკავშირის ქვეყნების ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და საქონლისა და მომსახურების ექსპორტის გაფართოება. შესაბამისად, ვაჭრობასთან დაკავშირებული ინვესტიციების წახალისების უფასები არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წმინდა საგაჭრო უფასები, გამოხატული ფასების შემცირებით, არჩევანის გაფართოებით და ა.შ.

ამდენად, ევროკავშირი, ცალკეული ქვეყნების მიმართ ინდივიდუალური მიღების საფუძველზე, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმებისას ცდილობს, სავაჭრო პარტნიორებს შესთავაზოს ვაჭრობის საკუთარი წესები და უზრუნველყოს ხელშემკვრელი მხარის ეკონომიკის მაქსიმალური დაახლოება ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებთან. ამავდროულად, ევროკავშირი ასევე ცდილობს მიაღწიოს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ზოგადად, ინტეგრაციის ევროკავშირისეული მოდელის, კერძოდ კი, ევროკავშირის ეკონომიკური კანონმდებლობის ექსპორტირებას და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში ჯერ კიდევ მიუღწეველი მიზნების ორმხრივ დონეზე განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე, ევროკავშირის მიერ სამხრეთ კორეასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ გაფორმებული შეთანხმება პირველი შეთანხმებაა აზიის ქვეყნებთან და ამავე დროს ყოვლისმომცველი, რომელშიც ასახულია როგორც ტარიფების შემცირების, ასევე არასატარიფო ბარიერების, სანიტარული და ფიტოსანიტარული ნორმების, საბაზო და ვაჭრობის ხელშეწყობის სხვა საკითხები. ამ შეთანხმებაში გათვალისწინებულ საკითხთა ფართო სპექტრიდან გამომდინარე, ევროკავშირის მხრიდან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ახალი შეთანხმებების საფუძვლად აღებულია ევროკავშირ-სამხრეთ კორეას შეთანხმება, როგორც ეს აღნიშნულია ევროკავშირის შესაბამის დოკუმენტში [4].

ევროკავშირის სურვილია მსგავსი შეთანხმებების გაფორმება ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან, განსაკუთრებით აღმოსავლეთ სამეზობლოს იმ ქვეყნებთან, რომლებსაც გააჩნიათ ამის სურვილი და შესაძლებლობები. აღნიშნული პროცესი მეზობელი ქვეყნებისთვის ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, რომელიც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სავაჭრო ურთიერთობებისა და საინვესტიციო ნაკადების ინტენსიფიკაციას. ამავდროულად, როგორც ევროკავშირის საბჭოს შესაბამის დოკუმენტშია აღნიშნული, ევროკავშირი DC FTA-ს განიხილავს როგორც „მეზობელი ქვეყნების მოდერნიზაციისა და ამ ქვეყნებში ეკონომიკური და ინსტიტუციური რეფორმების ხელშეწყობის ინსტრუმენტს“ [5].

ამდენად, ევროკავშირის მიზანია აღნიშნული შეთანხმებების გაფორმების შედეგად ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წესებსა და ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებთან თავსებადი თავისუფალი სავაჭრო სიგრცის ჩამოყალიბება აღმოსავლეთ სამეზობლოს იმ ქვეყნების მონაწილეობით, რომლებიც აჩვენებენ მზაობას და საკმარის პროგრესს როგორც ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში შესაბამისი რეფორმების გატარებისა და მოლაპარაკებების წარმოების, ისე შეთანხმებით გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულებების განხორციელების თვალსაზრისით.

საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმები

საქართველოსა და ევროკავშირს შორის თავისუფალი ვაჭრობის საკითხი ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENP AP) მე-3 პრიორიტეტულ სფეროშია განხილული, სადაც აღნიშნულია, რომ „ევროკავშირი და საქართველო ერთობლივად შეისწავლიან ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების შემდგომი გადრმავების შესაძლებლობებს, მხარეებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების

შესაძლო გაფორმების ჩათვლით“ [6]. ამ მიზნით ჩატარებული კვლევების²⁴ ფარგლებში საქართველოსა და ევროკავშირს შორის მარტივი თავისუფალი გაჭრობისა (FTA) და ღრმა და უვალისმომცველი ვაჭრობის (DC FTA) სცენარების გამოყენების საფუძველზე განხორციელდა საქართველოს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობების ანალიზი.

ზემოაღნიშნული ორივე კვლევის შედეგების თანახმად, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ეკონომიკის გახსნილობის ხარისხი ისედაც მაღალია და ამავდროულად, ევროკავშირთან ვაჭრობაში საქართველო სარგებლობს პრეფერენციების გენერალიზებული სისტემით გ.წ. GSP+, ვაჭრობისგან მაქსიმალური სარგებლის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ღრმა და უვალისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის პირობებში.

DC FTA-ზე მოლაპარაკებების დაწყების წინაპირობას წარმოადგენდა 4 ძირითად სფეროში - სანიტარია და ფიტოსანიტარია, ინტელექტუალური საკუთრება, კონკურენცია და ვაჭრობასთან დაკავშირებული ბარიერები, ევროკომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესრულება.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავდა სტრატეგია “კონკურენციის პოლიტიკის შესახებ”, „სურსათის უკნებლობის სტრატეგია”, „სტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგულირების და მეტროლოგიის სტრატეგია”, გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური თანადგომით განხორციელდა კვლევა საქართველოში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული სტრატეგიები ითვალისწინებდა ევროკომისიის მიერ რეკომენდირებულ ყველა მოთხოვნას. საქართველოს მთავრობამ დროის მოკლე შეალევდში შეძლო სტრატეგიით გათვალისწინებული შესაბამისი საკანონმდებლო

²⁴ კვლევები განხორციელდა გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში 2007 წელს და სოციალური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის მიერ (CASE/GLOBAL INSIGHT) 2008 წელს.

და ინსტიტუციური ცვლილებების გატარება, რამაც უნდა უზრუნველყოს ვაჭრობასთან დაკავშირებულ ცალკეულ სფეროებში მარეგულირებელი კანონმდებლობის თავსებადობა ევროკავშირის ნორმებსა და სტანდარტებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ევროკომისიამ დადებითად შეაფასა საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული რეფორმები ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმებისათვის მნიშვნელოვან სფეროებში და 2011 წლის 5 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ძირითადი ეკონომიკური შედეგები

ევროკავშირი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია. 2012 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის ქვეყნების წილმა 28 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 17 პროცენტი და იმპორტში 31 პროცენტი²⁵.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეკონომისტთა შეფასებით, მოკლევადიან პერიოდში, საქართველოს მიერ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობისათვის აუცილებელი პირობების დაკმაყოფილება და ”ევროკავშირის წესებსა და სტანდარტებთან სრული შესაბამისობის მიღწევა მოითხოვს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის მნიშვნელოვან დანახარჯებს“ [7]. მოკლევადიანი პერიოდისგან განსხვავებით, გრძელვადიან პერიოდში, ზემოაღნიშნული ორივე კვლევის შედეგების თანახმად, DC FTA-ს გაფორმებით საქართველო მნიშვნელოვან სარგებელს მიიღებს.

ნათელია, რომ გრძელვადიან პერიოდში, საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი

²⁵ წყარო: საქართველოს საგარეო ვაჭრობა: 2012 წლის იანვარი-ივნისი, სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) www.geostat.ge

ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს ევროკავშირის ეკონომიკასთან თავსებადი ეკონომიკური სისტემის ფორმირებას, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს კერძო სექტორის განვითარების მიზნით გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას და საქართველოს საინვესტიციო მიზნიდების მნიშვნელოვან ზრდას. ექსპერტთა შეფასებით, ”პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა 2020 წლისათვის 2005 წელთან შედარებით შესაძლოა 4-5-ჯერ გაიზარდოს” [7]. საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ზრდა მოსალოდნელია ”როგორც არავაჭრობად, ისე ვაჭრობად სექტორებში. საინვესტიციო ნაკადები ორიენტირებული იქნება რესურსების (შედარებით იაფი მუშახელი, ხარისხიანი აგრარული ნედლეული და სხვა) და ბაზრის წვდომის ოპტიმალურ შეთანაწყობაზე” [8].

სწორედ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლის სტიმულირება წარმოადგენს აღნიშნული შეთანხმების გაფორმებით მიღებულ ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკურ შედეგს, რომელიც ეკონომიკური ზრდის ტემპების შემდგომი ამაღლების აუცილებელი წინაპირობაა. როგორც CASE/GLOBAL INSIGHT-ის კვლევაშია აღნიშნული, ”DC FTA-ს ამოქმედების შემდეგ საქართველოს მშპ მომდევნო 5 წელიწადში შეიძლება დამატებით 6.5%-ით გაიზარდოს” [7].

ასევე, გრძელვადიან პერიოდში ევროკავშირთან დრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობას, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელი კაპიტალის შემოღინების სტიმულირების საფუძველზე, ძალუბს მნიშვნელოვანი როლის შესრულება ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურის პროგრესული მიმართულებით ცვლილების პროცესში.

ლრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები

როგორც უკვე ადგინაშენეთ, ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება, რომელიც ფარავს მხარეებს შორის ვაჭრობის თითქმის მთელ სპექტრს, თავისი არსით საკმაოდ ამბიციურ, როგორც შეთანხმებას წარმოადგენს და პროცესში ჩართული ყველა მხარის ინტერესების სათანადო გათვალისწინებას მოითხოვს.

DC FTA-სთან დაკავშირებული უმთავრესი პოლიტიკურ-ეკონომიკური გამოწვევაა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღნიშნული შეთანხმების გავრცელების საკითხი. საქართველო დაინტერესებულია, რომ ევროკავშირთან ურთიერთობების გაღმავებით მიღებული ნებისმიერი სარგებელი, მათ შორის სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და ლრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობები, ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობაზეც გავრცელდეს, საერთაშორისოდ ადიარებულ საზღვრებში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის პრინციპის საფუძველზე. შესაბამისად, უაღრესად მნიშვნელოვანია ამ საკითხთან დაკავშირებით შეთანხმებაში პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალ-საზრისით სწორი ფორმულირების ასახვა.

ასევე, ევროკავშირსა და საქართველოს შორის დრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის პერსპექტივებთან დაკავშირებით არსებული მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოს სოფლის მეუნეობის პროდუქციისათვის ევროკავშირის ბაზრის გახსნის საკითხი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე „მგრძნობიარე“ მიმართულებაა ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკაში.

ამავდროულად, როგორც ევროკავშირის ახლად გაწევ-რიანებული ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, ევროკავშირის წესებსა და სტანდარტებთან სრული თავსებადობის მიღწევა მოითხოვს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის მხრიდან მნიშვნელოვანი დანახარჯების გაწევას. ამ ქვეყნების შემთხვევაში, აღნიშნული შესაბამისობა მიღწეულ იქნა ევროკავშირის

მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარებისა და ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების მკაფიო პერსპექტივების ფონზე.

ნათელია, რომ განსხვავებული მდგომარეობაა საქართველოს შემთხვევაში, რომელსაც უწევს ევროკავშირის წესებსა და სტანდარტებთან დაახლოების უზრუნველყოფა, ამ ეტაპზე ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის გარეშე. აღნიშნული გარემოება ზოგიერთ ექსპერტს აძლევს იმის თქმის შესაძლებლობას, რომ ”საქართველოზე დაკისრებული რეგულირების სფეროს დამამდიმებელი ცვლილებები ქართული პროდუქციის დაბეგვრის ექვივალენტურია, რომელიც საფრთხეს უქმნის ზრდას, რეფორმების მდგრადობასა და კორუფციის წინააღმდეგ ეფექტიან ბოლას, რომელიც ასე მნიშვნელოვანია ქვეყნის გრძელვადიანი განვითარებისთვის” [9]. შესაბამისად, მნიშვნელოვანია DC FTA-სთან დაკავშირებულ პროცესებს არ ჰქონდეთ ეკონომიკური ზრდის ტემპების შემაფერხებელი ხასიათი, რაც, თავის მხრივ, საფრთხეს შეუქმნის რეფორმების შემდგომ გაგრძელებას. პირიქით, ამ პროცესებმა ხელი უნდა შეუწყოს ეკონომიკური ზრდის უფრო მაღალი ტემპების მიღწევისათვის აუცილებელი წინაპირობების ფორმირებას (სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა და ა.შ).

DC FTA-სთან დაკავშირებული პროცესების ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ გარემოებად გადაქცევა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია რეგულირების სფეროს კონკერგენციის მასშტაბებისა და ამ მიზნით გასატარებელი რეფორმების თანმიმდევრულობის მკაფიოდ განსაზღვრასთან. აღნიშნული შეამცირებს მოკლევადიან პერიოდში საქართველოს ეკონომიკური განვითარების საჭიროებებსა და ცალკეულ სფეროში კონკერგენციის აუცილებლობას შორის არსებულ წინააღმდეგობრივ დამოკიდებულებას.

მასშტაბებისა და თანმიმდევრულობის განსაზღვრა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სურსათის უსაფრთხოების სფეროში,

ასევე, მათ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან, კონკურენციის პოლიტიკასა და ვაჭრობასთან დაკავშირებულ ტექნიკურ ბარიერებთან მიმართებაში. ამ მიღების გამოყენებით შესაძლებელია აღნიშნულ სფეროებში სახელმწიფო და კერძო სექტორის მიერ გასაწევი მნიშვნელოვანი დანახარჯების დროში გადანაწილება და შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის ტემპების შემცირების თავიდან აცილება, რაც, თავის მხრივ, ყველა ზემოაღნიშნულ სფეროში გასატარებელი რეფორმების წარმატებულობის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ნათელია, რომ ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში გასატარებელი რეფორმების მიმართ თანმიმდევრულობის პრინციპის გამოყენების შეთანაწყობა ევროკავშირის დროულ და სრულფასოვან დახმარებასთან დრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის მიმართულებით წარმატების მიღწევის საუკეთესო სტრატეგიას წარმოადგენს.

დასკვნა

საქართველოსა და ევროკავშირს შორის დრმა და ყოვლის-მომცველი თავისუფალი ვაჭრობის პერსპექტივებმა საქართველოს მთავრობა ვაჭრობასთან დაკავშირებულ სფეროებში (სანიტარია და ფიტოსანიტარია, ვაჭრობასთან დაკავშირებული ტექნიკური ბარიერები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებები და კონკურენციის პოლიტიკა) მნიშვნელოვანი რეფორმების გატარების აუცილებლობის წინაშე დააყენა.

მოკლევადიან პერიოდში ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობა დაკავშირებულია, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორის მნიშვნელოვან დანახარჯებთან, მაშინ, როცა გრძელვადიან პერიოდში მისი სარგებელი საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის უდავოა.

DC FTA-სთან დაკავშირებული უმთავრესი პოლიტიკურ-ეკონომიკური გამოწვევაა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღნიშნული შეთანხმების გავრცელების საკითხი.

ასევე, მნიშვნელოვანი გამოწვევად საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციისათვის ევროკავშირის ბაზრის გახსნის საკითხი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე „მგრძნობიარე“ მიმართულებაა ევროკავშირის სავაჭრო პოლიტიკაში.

ამავდროულად, DC FTA-სთან დაკავშირებული რეფორმების ეპონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორად გადაქცევა დამოკიდებულია კონვერგენციის მასშტაბებისა და გასატარებელი რეფორმების თანმიმდევრულობის მკაფიოდ განსაზღვრასთან.

რეფორმების მასშტაბები, თანმიმდევრულობა და მათი განხორციელების მიზნით ევროკავშირის დროული და სრულფასოვანი დახმარება აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებულ ყველა სფეროში რეფორმების წარმატებით გაგრძელებისა და მოლაპარაკებებში სწრაფი პროგრესის მიღწევის უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Trade, Growth and World Affairs: Trade Policy as a core component of the EU's 2020 Strategy, EC, 2010.
2. Global Europe: Competing in the World, EC, 2006.
3. Dabrowski M., Taran S. The Free Trade Agreement between the EU and Ukraine: Conceptual Background, Economic Context and Potential Impact", CASE – Center for Social and Economic Research, Warsaw, 2012.
4. Report on progress achieved on the Global Europe Strategy, 2006-2010, European Commission, Brussels, 2010.
5. Strengthening the European Neighborhood Policy, Council of the European Union, Presidency Progress Report, General Affairs and External Relations Council (GAERC), 2007.
6. ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საქართველო-ევროკავშირის სამოქმედო გეგმა, 2006.

7. General Economic Impact and Implications of a Free Trade Agreement between the European Union and Georgia, CASE/Global Insight, 8 May 2008.

8. კაპულია ბ. საქართველო-ევროკავშირის ღრმა და უოვლისმომცველი თავისუფალი გაჭრობის ხელშეკრულების მაკროეკონომიკური კონტექსტი, შრომების კრებულში ევროკავშირი და საქართველო: მიმდინარე საკითხები და მომავლის პერსპექტივები, რედ: კ. გოგოლაშვილი, ს. კაპანაძე, ობ., 2009.

9. Maniokas K. Concept of the DCFTA and its implication for Georgia, GEPLAC papers, Tbilisi, 2009.

Beruchashvili Tamar

Eteria Emir

Syabro Oksana

NEW HORIZONS OF TRADE-ECONOMIC RELATIONS BETWEEN GEORGIA AND THE EUROPEAN UNION SUMMARY

Currently Georgia is in the process of negotiations of the EU-Georgia Association Agreement including the Free Trade Area with the European Union. In order to obtain the tangible impact on economic growth, Georgia needs the free trade agreement of a new generation - a Deep and Comprehensive Free Trade Agreement. To achieve this objective, the Georgian economy has to undergo far reaching regulatory reforms in line with European norms and standards, especially in the technical barriers to trade (TBT), sanitary and phytosanitary issues (SPS), intellectual property rights (IPR) and Competition.

There is general agreement among experts that the deep and comprehensive approach to trade is a very ambitious, sensitive and complex issue. Economists estimate that Georgian preparations for a DCFTA would imply “heavy costs in the short run, for both public and administrations and the private sector, of achieving full compliance with EU economic rules and standards”. Even so, a feasibility study on the possible impact of a DCFTA

in Georgia concludes that the country would considerably benefit from this agreement in the long-term. Furthermore, the comprehensive set of reforms resulting from the DCFTA along with more wide-ranging measures could lead to a rebranding of Georgia as a favorable investment location.

The Georgian government attaches particular importance to legal approximation, regulatory convergence, institutional strengthening, capacity-building and implementation. To this end, the joint efforts and good coordination of the Government with all other stakeholders with timely and comprehensive EU assistance it crucial to continue implementation of necessary reforms in DCFTA related areas in order to timely finalize the EU-Georgia Association Agreement including the DCFTA.

**როლიანდ სარჩიმელია
საბარეო ვალიან დაკავშირებული რისკების
ოპტიმიზაციის ამოცანა**

საგარეო ვალზე გადაწყვეტილების მიღება შესაბამისი რისკით განუსაზღვრელია და რთული. მასში თავს იყრის ვალის ამღებისა და ვალის მიმცემის სუბიექტების საერთო ინტერესები. გლობალიზაციის პირობებში პასუხისმგებლური დამოკიდებულება ვალისადმი იზრდება ისე, რომ განვითარებული სახელმწიფოები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოყენებით გავლენის სფეროს აფართოებენ უმაღლესი ტექნოლოგიებისა და საგარეო მშვიდობიანი ერთპოლუსიანი პოლიტიკის დამკვიდრებით განვითარებად ქვეყნებში, აღნიშნავს რამაზ აბესაძე [1, ტომი 1, გვ. 4-6].

წინამდებარე სტატიაში დახასიათებულია საგარეო ვალის ეკონომიკური რისკი და მისი (ოპტიმისტური) პერსპექტივა გლობალიზაციით გაძლიერებული მსოფლიოს სავაჭრო ურთიერთობების ფარგლებში; დასმულია ვალის აღების რისკის (მინიმიზაციის) ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანა, წარმოდგენილია შესაბამისი მოდელი და ჩატარებულია ანალიზი.

1. პოსტსაბჭოთა საქართველოს საგარეო ვალი გლობალიზაციის პირობებში. ვალი ნიშნავს სესხად აღებულ ფულს, რომელსაც მოვალე გადაიხდის ვალის მიმცემთან შეთანხმების საფუძველზე. საგარეო ვალი სახელმწიფოს მთლიანი დავალიანებაა (საერთაშორისო ბანკების და სხვა ქვეყნების მთავრობების, უცხოეთის კერძო ბანკების მიმართ). ვალი გრძელვადიანია, რომელიც ჩვეულებრივ ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში კრედიტით უნდა დაიფაროს [2, გვ. 243].

ვალის ფორმა გარიგების პირობებზეც არის დამოკიდებული. დადგენილი დროის პერიოდების მიხედვით ვალის უმეტესობა პროცენტობით გამოისახება [3, გვ. 116].

მოსალოდნებლი კრიზისების თავიდან აცილების მიზნით გლობალიზაცია ქვეყნებისათვის კრედიტების მიღების შესაძლებლობებს ქმნის. ამ მხრივ გლობალიზაციით დაკვალიანებული პოსტსაბჭოთა საქართველოსთვის საგარეო ვალის აღებაზე ზრუნვა მიმდინარეობს ვირტუალური ეკონომიკისათვის დამასასიათებელი ფინანსური სექტორების ზრდით, უნადდო ელექტრონული ფულის ერთეულის წილის ამაღლებით ფულის მასაში და ა.შ. ამასთან დაკავშირებით მსოფლიო ექსპორტსა და მშპ-ის საშუალო წლიური ტემპების 1996-2011 წლების დამაიმედებელი დინამიკა მოცემულია სოლომონ პავლიაშვილის სტატიაში [1, ტომი 1, გვ. 106].

ვალების მასშტაბების ზრდით პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ერთ-ერთი წარმატებულია მსოფლიოში, თუმცა არ არის იგი ვაჭრობის შესაბამისი მარკეტინგული სამსახურის გაძლიერებისაკენ მიზანმიმართული, როდესაც ექსპორტი ბევრად აღემატება იმპორტს და ა.შ. საჭიროა სწორად განისაზღვროს მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სტრატეგიის ფაქტორები და გლობალიზაციის მიმდინარე პარმონიული განვითარებისაკენ წარიმართოს ჩვენი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა [1, ტომი 1, გვ. 108].

საგარეო ვალთან დაკავშირებით თავს იჩენს საფრთხეები, რომლებიც დაზღვევის ეფექტიანობის ასამაღლებლად რისკების

გამოვლენასა და მათ გაანალიზებას მოითხოვს პოსტსაბჭოთა საქართველოში.

ვეთანხმები ნანული არევაძის წინადაღებას [1, გვ. 1, გვ. 105] იმასთან დაკავშირებით, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოსთვის დამახასიათებელი გლობალიზაციის პირობებში შეიქმნას ისეთი საერთო წესები, რომლებიც ვალში კრედიტორების პრეტენზიების მიხედვით გაითვალისწინებენ გადასახადების გადავადების კონკრეტულ შემთხვევებსაც.

საგარეო ვალის აღება სახიფათოა და მისი რისკების ამოცანის სრულყოფილად დასმა და გადაწყვეტა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პირობებში პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკის მომავლისათვის.

2. საგარეო ვალის აღებაზე გადაწყვეტილების მიღების რისკის ოპტიმიზაციის ამოცანა. ვალი შეთანხმებულ ვადებში უნდა იქნეს გადახდილი, მაგრამ ვალის შესაბამისად გადასახადების გადავადება აუცილებელია. ამას შეიძლება ისიც დაემატოს, რომ გლობალიზაციამ ვალის აღებაზე შეთანხმებები გაამარტივოს, თუკი სესხის მიმცემსა და ვალის ამღებს შორის მაღალი დონის ურთიერთნდობას ექნება ადგილი. ამ შემთხვევაში რისკის მინიმიზაცია მიმართულია იმისკენ, რომ განუსაზღვრელობიდან გამოიყოს განსაზღვრული შემთხვევები და მათ მოწესრიგებული სახე მიეცეს. ასეთი გზით სუბიექტი ცდილობს გაუთვითცნობიერებელი უნდობლობით არ დაკარგოს რისკის მიმზიდველობა, რომელიც ზარალთან დაკავშირებულია და დამოკიდებულია შემთხვევითობაზე [4, გვ. 60].

ნაშრომებში [1, გვ. 1, გვ. 31-32] და [5, გვ. 189-192] დახასიათებულია რისკის მიმზიდველობის წინა პლანზე წამოწევის მიზეზები საგარეო ვალის აღების შემთხვევაში.

საგარეო ვალი ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საშუალებაა და ინოვაციებით წარიმართება. მაგრამ ვალის აღებისა და მისი გადახდის პირობებთან დაკავშირებული მსესხებლისა და ვალის აღების პირობების დეტალური

დახასიათება თუ ვერ ხერხდება, მაშინ რისკზე წასვლის პროცესის პროგრამა შეიძლება მრავალმხრივად შეიცვალოს.

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები შეიძლება ვალის რაციონალური გამოყენებისაკენ წარიმართოს, მაგალითად, იმპორტის უშუალო ჩამანაცვლებელ საწარმოთა გაძლიერებისაკენ. ამასთან დაკავშირებით [5, გვ. 189-192]-ის მიხედვით, რისკის გათვალისწინებით ვალის აღება-განაწილების მოდელს შემდეგნაირად წარმოვადგენთ:

$$ay, -a\delta,$$

$$p, 1-p,$$

$$Ex = ayp - a\delta(1-p) = a[(\gamma + \delta)p - \delta],$$

$$\sigma^2 = (ay - Ex)^2 p + (-a\delta - Ex)^2 (1-p)$$

ამ მოდელში შემოყვანილია რამდენიმე პარამეტრი: a – სესხის მოცულობა (შესაბამის თანხებში). მასთან დაკავშირებული γ – მოსალოდნელი მოგებისა და δ – წაგების წილი, ხოლო p ალბათობაა იმისა, რომ (1) რისკის განაწილების ჯანმის მიხედვით მოგება x არის ay -ის ტოლი, ხოლო $1-p$ ალბათობით – $a\delta$ -ს ტოლია. Ex არის (1)-ით მიღებული რისკის მათემატიკური ლოდინი, σ^2 – დისპერსია. (1)-(3) მოდელში რისკის გაძნევის ზომა შეფასებულია $\sigma/(Ex)$ ვარიაციის კოეფიციენტით, რომელიც მეტწილად პროცენტით გამოისახება.

მოვიყვანოთ (1)-(3)-ის საორიენტაციო მაგალითი: ვთქვათ, აღებულია $a = 10$ მილიონი დოლარის ვალი, რომლისაგან მოსალოდნელი მოგებაა: ალბათობით $p = 0,8$ -ს, ხოლო წაგება ალბათობით $1-p = 0,2$. იგულისხმება, რომ ცნობილია $\gamma = 0,5$ მოგების წილი, ხოლო წაგების წილი $\delta = 0,8$. მაშინ რისკით გამოწვეული მოგებისა (და წაგების) მათემატიკური ლოდინი

$$Ex = 10 \cdot 0,5 \cdot 0,8 - 10 \cdot 0,8 \cdot 0,2 \quad (4)$$

დისპერსია $\sigma^2 = 27,140$; რისკის შეფასება ვარიაციის კოეფიციენტი უდრის 2%-ს. ამ შემთხვევაში მოგება $Ex = 2,4$ მლნ დოლარს და რისკი გამართლებულია.

შენიშვნა: როცა $Ex < 0$, მაშინ რისკი ზარალიანია, ხოლო უზარალობის შემთხვევაში (როცა არც მოგებასა და არც წაგებას არ აქვს ადგილი) $Ex = 0$.

იგულისხმება, რომ $0 < \gamma < 1$, რაც რისკის შემთხვევას ნიშნავს. (1)-(3) მოდელი რისკისადმი ზოგადი მიდგომის საშუალებას იძლევა. [5, გვ. 191]-ში a, γ, p, δ პარამეტრთა ცვლილებით განხილულია რისკის ანალიზისათვის რაოდენობრივი შეფასების შემთხვევები:

1. როდესაც p ერთან ახლოსაა, ხოლო δ მცირე, მაშინ მოსალოდნელია, დიდი ალბათობით სესხის აღება მომგებიანი აღმოჩნდეს.

2. თუ p ძალა მცირე სიღიდეებია, ხოლო δ – დიდი, ეს ნიშნავს, რისკზე წასვლა წამგებიანია.

3. სხვა შემთხვევებშიც რისკზე წასვლის მიზანშეწონილობის დაღენა დამოკიდებულია Ex და σ -ს კონკრეტულ ცვლილებებზე, მაშინ რისკის მართვის შესაძლებლობა იქმნება Ex -ის ზრდითა და σ -ს შემცირებით, რაც, უკეთეს შემთხვევაში, რისკის ოპტიმიზაციის გზაზე გვაყენებს.

4. შეიძლება ცალკე იქნეს გამოყოფილი შემთხვევაც $Ex \leq 0$, მაშინ რისკი მომგებიანი არ არის, მაგრამ რისკზე წასვლას შეიძლება აზრი მაინც ჰქონდეს მომგებიანობის პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვით და წამგებიანობის შემცირებით. მოსალოდნელია რისკის ოპტიმიზაციამ იმულებითი რისკის გამოყენების გზაზე დაგვაყენოს.

საგარეო ვალის აღების შემთხვევაში რისკზე წასვლის რაოდენობრივი შეფასება რთულდება. მაგრამ რისკის კვლევა მისი ოპტიმიზაციის პირობებში დაზუსტებით შეიძლება წარმატებული აღმოჩნდეს, რასაც რისკით დაკავებული სუბიექტი ახორციელებს პასუხისმგებლური გამოცდილებით, რისკიანობით, γ, p, δ -ს შესაძლო მნიშვნელობების ვარირებით დაშვება-შემოწმებით, თანაც იმ რეალობის გათვალისწინებით, რაც კონკრეტულ

შემთხვევაში სესხის აღებას ახლავს. მაშინ *Ex*-სა და *σ*-ს გარირება (მათ შორის ფუნქციონალური დამოკიდებულების დადგენა, ორიენტაციის აღებით მოგების მაქსიმუმისა და იმავდროულად წაგების მინიმიზაციისაკენ) რისკზე წასვლით დადებითი შედეგების მიღების გზაზე გვაყენებს.

შევნიშნავთ, რომ (1)-(3)-ში ჯერ (1)-ის მიხედვით შეიძლება ცალ-ცალკე იქნეს წარმოდგენილი რისკის მიხედვით მოსალოდნელი მოგება და ხიფათი (წაგება), მაშინ ერთდროულად დაისმის მოგების მაქსიმიზაციისა და ხიფათის მინიმიზაციის ამოცანა. თუმცა (2)-ის საშუალებით ისინი გაერთიანებული არიან *Ex*-ის მიხედვით ერთი მიზნის ფუნქციაში. *Ex*-ის ნიშნის მიხედვით გამოიყოფა მოგების მაქსიმიზაციისა და წაგების, როგორც რისკის მინიმიზაციის ამოცანები.

ინტერესს არ არის მოკლებული, რომ მთლიან საგარეო ვალზე მიმწოდებლებიდან მომხმარებლებში რისკის გათვალისწინებით ოპტიმალური განაწილების ამოცანა დავსვათ. ამ შემთხვევაში საჭიროა მონაცემები ცალკეული მიმწოდებლებისა და ცალკეული მომხმარებლების მიხედვით საგარეო ვალის ფულად მასაზე; შესაბამისი მოგებისა და ზარალის ალბათობები; მაშინ წრფივი დაპროგრამების სატრანსპორტო ამოცანასთან ანალოგით შესაძლებლობა გვეძლევა, წარმოვადგინოთ ორმიზნიანი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, რომლის ანალიზი რისკის ოპტიმიზაციაზე გადასვლის პირობებს შეგვიქმნის და საგარეო ვალის რაციონალური განაწილებისათვის გადაწყვეტილება მიიღება.

საქართველოში საგარეო ვალის რისკზე სარწმუნო მონაცემთა დადგენა რთულია. ამიტომ დაკონკრეტების გარეშე საგარეო ვალის აღებაზე გადაწყვეტილების მიღება და მისი ბოლომდე გარკვევა ვერ ხერხდება. მაგრამ მისი ოპტიმიზაციის პრობლემის არსის გასარკვევად ანალიზის ჩატარება მაინც სასარგებლოა, თუნდაც ისე, როგორც ეს [5, გვ. 190-191]-ში არის წარმოდგენილი და (1)-(4) მოდელით შეიძლება მისი ჩატარება.

მეწარმეობის განვითარების დაბალი დონის მიუხედავად, თავისუფალ ეკონომიკაზე გადასვლის სურვილები და მოსახლეობის მაღალი დონის ინტელექტით გამოწვეული პრეტენზიები კარგ ცხოვრებაზე, ქვეყნის რისკის შედეგების ბოლომდე გაუთვალისწინებლად ვალის აღების სიკეთის წინა პლანზე წამოწევას გვაიძულებს, რაც იმის მიზეზია, რომ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში დამკვიდრებულმა პარადიგმებმა, მათ შორის პოსტსაბჭოთა საქართველოში ჩატარებულმა აგრესიულმა პრივატიზაციამ, ქვეყნას (რისკის გათვალისწინების გარეშე) საგარეო ვალის აღების მასშტაბების ზრდის გარდა სხვა გამოსავალი არ დაუტოვა, რომელზედაც უარი არ უნდა ითქვას, მაგრამ საჭიროა, იგი ეკონომიკური რისკით იქნეს დაზუსტებული, რაც გლობალიზაციის სიკეთებზე დაყრდნობით მოითხოვს საგარეო ვალის აღების კონკრეტულ ნიუანსებში გარკვევას. ასეთ შემთხვევაში (მიზანმიმართულად) საგარეო ვალის აღება ქვეყნის კრიზისის დაძლევის ერთ-ერთ ძირითად შესაძლებლობად შეიძლება ჩაითვალოს და საჭიროებისამებრ, მიზანდასახულად იქნეს გამოყენებულ მეწარმეობის გასაძლიერებლად, ინოვაციებისათვის და საგარეო ვაჭრობაში. მაგრამ ქვეყნაში იქმნება განსაკუთრებული შემთხვევები, მაგალითად, როდესაც ვალის ამდებს არა აქვს საშუალება, დროულად და სრულად დაფაროს ვალი, ხოლო საგარეო ვალდებულებათა აღებაც არაა უსაფრთხო, რადგან ვალი და მასზე დარიცხული პროცენტი განსაზღვრული დროის განმავლობაში უნდა იქნეს გადახდილი. ამასთან დაკავშირებით იაკობ მესხიამ [6, გვ. 59-82] ჩატარა საფუძვლიანი ანალიზი ფინანსური დაგალიანების ზრდაზე, როგორც ეროვნული უსაფრთხოების მუქარაზე მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში.

სტატიაში [6, გვ. 67] მოცემულია შენიშვნები საგარეო ვალის მონაცემების შესახებ, რაც მათ მიმართ ზედაპირული მიღებობით არის გამოწვეული, რომლის მიზეზია ის, რომ გლობალიზაციის პირობებში საგარეო ვალს პოსტსაბჭოთა ქვეყნები თავის

სასარგებლოდ აღიქვამენ (რაც საგარეო ვალში რისკის მიმზიდველობას ზრდის).

2005-2011 წლების საქართველოს საგარეო ვალზე მონაცემების მიხედვით იქმნება აზრი, რომ ყოველწლიურად ეს მონაცემები იზრდება (თითქმის ზუსტდება) და ხშირად სხვადასხვა წყაროების მონაცემები ერთი და იმავე მაჩვენებლებზე ერთმანეთს არ ემთხვევა [1, გვ. 314].

ყურადსაღებია რიგი წინადაღებები, რომელიც ეხება საქართველოში საგარეო ვალის უკონტროლო ზრდას და რომ საჭიროა ახალი საგარეო ვალდებულებებისაგან თავის შეკავება [6, გვ. 80].

ქვემოთ მოგვავს მონაცემები საქართველოს საგარეო ვალზე მლრდ აშშ დოლარებში და მისი სექტორების მიხედვით საორიენტაციო სტრუქტურის დინამიკა (%-ში); იგი წარმოდგენილია ეროვნული ბანკის 2006-2011 წლების 31 დეკემბრის მონაცემების საფუძველზე 1 ცხრილში.

ცხრილი 1

	წლები		2006	2007	2008	2009	2010	2011
	მთლიანი საგარეო ვალი	მლრდ დოლარი	3,801	5,784	7,624	8,660	9,839	11,168
		%	99	99	94	89	98	103
1	სამთავრობო სექტორი	მლრდ დოლარი	1,440	1,585	2,088	2,744	3,343	3,674
		%	38	26	30	30	33	33
2	ეროვნული ბანკი	მლრდ დოლარი	0,295	0,254	0,461	0,914	0,877	0,815
		%	8	4	5	10	9	7
3	ბანკები	მლრდ დოლარი	0,549	1,295	1,875	1,499	1,597	2,122
		%	14	21	24	18	16	19
4	სხვა სექტორები	მლრდ დოლარი	0,690	0,851	1,099	1,365	1,689	1,987
		%	18	14	14	15	17	12
5	პირდაპირი ინვესტიციები	მლრდ დოლარი	0,827	1,799	2,102	2,139	2,333	2,569

		%	21	30	27	26	23	23
--	--	---	----	----	----	----	----	----

* წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი. www.nbg.gov.ge/index.php
m=306

1 ცხრილს მონაცემები მიახლოებითია და საგარაუდო, თუმცა ის მაინც იძლევა წარმოდგენას საგარეო ვალის ცვლილებებზე. წლების განმავლობაში ეს მონაცემები, იმედია, საბოლოოდ გაუგებრობას არ გამოიწვევს, რადგან აღრიცხვის ძირითადი ორიენტირი წლის ბოლო თვის მონაცემებია.

მოგვყავს ინფორმაცია ჟურნალიდან [8], ”აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები”, 2007, ზ9(93), გვ. 32, რომელიც ეხება 2007 წლის 30 ივნისის მდგომარეობით საქართველოს მთლიან საგარეო ვალსა და მის სტრუქტურას (ცხრილი 2).

საქართველოს საგარეო ვალი 2007 წ.

ცხრილი 2

	ვალები	მდრდ აშშ დოლარი	სტრუქტურა %
	მთლიანი საგარეო ვალი	4,0588	100
1	სახელმწიფო სექტორი	1,5021	37
2	ეროვნული ბანკი	0,240	6
3	საბანკო სექტორი	0,879	20
4	კომპანიათა შორის სესხები	0,954	24
5	სხვა სექტორები	0,482	13

ცხრილ 1-სა და ცხრილ 2-ს ზოგიერთ მონაცემებს შორის განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ საგარეო ვალზე ინფორმაციები იცვლება და ამ ცვლილებებით ზუსტდება. მაგალითად, მთლიანი საგარეო ვალი 2007 წლის 30 ივნისის მონაცემებით თუ იყო 4,0588 მდრდ დოლარი, იმავე წლის 31 დეკემბერს ის 5,784 მდრდ დოლარი გახდა.

ცხრილი 1-ის თანახმად, საქართველოს 2006-2011 წლების საგარეო ვალის ზრდის ტემპის ტენდენცია დროში კლებადია,

ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მაჩვენებელი იზრდება [1, ტომი 1, გვ. 207]. ამ მონაცემების დახმარებით, გრაფიკების აგების საფუძველზე, საორიენტაციო წრფივი დამოკიდებულებები შემდეგნაირად გამოისახება:

$$\text{გ} = \text{ფ} + 3,8; \quad \text{ყ} = 0,1\text{გ} + 1,22 = 0,1\text{ფ} + 1,6,$$

სადაც, ვ აღნიშნავს საგარეო ვალს მლრდ დოლარებში; ფ - წელიწადის ნომერია 2006-2011 წლების ყოველწლიური ცვლილებების მიხედვით; ყ - ათას დოლარებში მშპ-ია მოსახლეობის ერთ სულზე.

1995-2011 წლების საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის 31 დეკემბრის ეროვნული ბანკის (2004 წლამდე) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების თანახმად, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის მონაცემები მეტწილად ზრდადია: მაქსიმუმია 2011 წელს – 4176 მილიონი ლარი და მთლიანად საგარეო ვალის 37%-ს შეადგენს. იმავე წელის და [7, გვ. 32]-ის მიხედვით, 2007 წლის 30 ივნისის მონაცემებთან შედარებით, საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალმა დაზუსტების შედეგად იმავე წელს 288 მილიონი დოლარით მოიმარა.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოში ექსპორტი, როგორც რაოდენობრივად, ისე სტრუქტურულად წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების შედეგსაც და სტაბილური დამოუკიდებლობის ფაქტორსაც [8, გვ. 82].

საქართველოს სავაჭრო თანამშრომლობის ევროპული ორიენტაცია გამაძლიერებლად ზემოქმედებს ქვეყნის საგარეო ვალის ეფექტურობაზე გლობალიზაციის პირობებში, რომლის მასშტაბების ზრდამ დამაკვალიანებლად უნდა იმოქმედოს ექსპორტისა და იმპორტის სტრუქტურულ ოპტიმიზაციაზე, რომელიც ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება [8, გვ. 84]. თუმცა საიმედოა, რადგან საქართველოს გეოპოლიტიკური უპირატესობები და გეოეკონომიკური თავისებურებები, მისთვის სატრანსპორტო დერეფანი და მომსახურება ვაჭრობის გაფართოების პერსპექტივით რეალობაა [8, გვ. 86].

3. საგარეო ვალის ეკონომიკური რისკის პერსპექტივა.
დეტერმინირებული (კლასიკური) მსჯელობები საშუალებას იძლევა, რომ ეკონომიკის კონკრეტული ამოცანები ნათლად (გამჭვირვალედ) იქნეს წარმოდგენილი. მაგალითად, ეს შესაძლებელია ბიზნესგეგმაში.

წარსულიდან გამოცდილების ექსტრაპოლაციით აწმყოდან მომავალზე გადატანისას დაისმის საკითხი, თუ რამდენად საიმედოა ასეთი პროგნოზირების შედეგი. რადგან მომავალი განუსაზღვრელია და ალბათური შინაარსისაა, ამას ამწვავებს მათზე ერთდროული აზროვნება [1, ტომი 2, გვ. 138]: **პირველი -** წარსულიდან მომავლისაკენ მიზანმიმართული დეტერმინირებული აზროვნება, რომელიც, როგორც პარადიგმა, დამკვიდრებულია ქვეყანაში და გავლენას ახდენს ეკონომიკის მომავალზე; **მეორე -** მეტწილად წინააღმდეგობრივი აზროვნებაა და თავს იჩენს მომავლის განუსაზღვრელობით გამოწვეული შემთხვევითი ფაქტორების გავლენით გადაწყვეტილების მიღებისას. აქედან გამოსავალია დაშვება-შემოწმებით რისკზე წასკლა.

ეკონომიკური რისკი ალბათური ბუნების სამუშაოს შესრულებას ეხება, თუმცა მისი დაკონკრეტებულად წარმოდგენის პირობებში შესაძლებელი ხდება დეტერმინირებული აზროვნებით, მაშინ ეკონომიკურ რისკს დასახული სამუშაოს შესრულებიდან მოსალოდნელი გადახრით აფასებენ, როდესაც ზარალის სიდიდის პრაქტიკაში დასაშვები საორიენტაციო ნორმა შესასრულებლად მინიშნებულ სამუშაოს 5%-ს არ აღემატება [1, ტომი 2, გვ. 140].

იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ ალბათური ბუნების მიუხედავად, სამუშაოს შესრულების გეგმაორიენტირი დეტერმინირებული მსჯელობით წარიმართოს. თუმცა, იმავდროულად, გვაფრთხილებს მოსალოდნელი ზარალის საწინააღმდეგო დონისძიების მომზადებაზე, შესაბამისი ფინანსური საშუალებების მობილიზებაზე, სესხის გაზრდაზე და ა.შ. ამ შემთხვევაში სამუშაოს შემსრულებელი მზად უნდა იყოს, რათა მოსალოდნელ ზარალში შეძლებისდაგვარად გაერკვეს.

კონკრეტულ შემთხვევაშიც რისკის ოპტიმიზაცია მიმართულია იმისკენ, რომ განუსაზღვრელობიდან განსაზღვრული შემთხვევები გამოიყოს, მიუცეს მას მოწესრიგებული სახე და შეფასება, რათა არ დაიკარგოს განუსაზღვრელობაში მოხვედრილი მიმზიდველობით მოგების მიღების შანსი.

აღვნიშნავთ, რომ საგარეო ვალის აღებაზე გადაწყვეტილების მიღებამდე მისი მიზანშეწონილობაშიც გარკვევა ”ზოგადი მიდგომით” შეუძლებელია, როცა მოსალოდნელია, რომ მისი დეტალიზება შეიძლება ვერც მოხერხდეს. მაშინ, როგორც წინაპირობა, უნდა გაირკვეს ვალის ამდების გადახდის-უნარიანობა, რათა შეფასდეს მომგებიანობისა და ზარალის სავარაუდო ვარიანტები, მომზადდეს პირობები რისკის დასაკონკრეტებლად და ა.შ. [1, ტომი 1, გვ. 312].

საგარეო ვალის აღებასთან დაკავშირებით მრავალმხრივი უურადსაღები გაფრთხილებებია. ცნობილია ის, რომ ეკონომიკური რისკი მოსალოდნელი კრიზისის გამკლავების საშუალებას იძლევა, რაც ფისკალური პოლიტიკის მოწესრიგებით იწყება. ამის გარეშე საქართველო ისევ დახმარებებისა და ინვესტირების ამარა დარჩება. იგი კიდევ უფრო მიგვაახლოებს ახალ არაპროგნოზირებად რისკებთან, აღნიშნულია როზეტა ასათიანის სტატიაში [1, ტომი 1, გვ. 23]. ყურადღების გამახვილება სხვა მხრივაც გვჭირდება, რომელიც ესება ქვეყნის მართვაში დაშვებულ შეცდომებს (საერთაშორისო სტრუქტურების ავტორიტეტულ, მაგრამ გამოუცდელობით გამოწვეულ რჩევებს); მათში გათვალისწინებული არ არის ადგილობრივ პირობებში მოსალოდნელი ზარალი. მაშინ პრობლემატური შეიძლება გახდეს ქვეყნის საერთო დავალიანების, განსაკუთრებით საგარეო ვალის ზრდა, ნანული არევაძე [1, ტომი 1, გვ. 208]. ასევე ყურადსაღებია ელგუჯა მექანიზმის სტატია [1, გვ. 94-99], სადაც დახასიათებულია ვირტუალიზაციით გამოწვეული საშიშროება, სახიფათო რისკები ეკონომიკის ფინანსირებაში, ბანკების მიერ

არაფრისაგან ახალი სამომხმარებლო უნარის გამოვლენა და სხვა
”საკრედიტო ბუშტის გაბერვის” შემთხვევები.

საქართველოს ეკონომიკის 1995-2011 წლების საგარეო
ვალის კონკრეტული მონაცემები დროში ისე ზუსტდება, რომ ის
ერთსა და იმავე მაჩვენებლებზე განსხვავებული მონაცემებით
გაუგებრობას იწვევს; მაგრამ მაინც აშკარაა, რომ საგარეო ვალი
მთლიანობაში წლების მიხედვით იზრდება, მაგრამ მათი
დამოკიდებულება ქვეყნის მშპ-თან უკუპროპორციულია. ამ
მონაცემებით არ ჩანს საგარეო ვალების უშუალო ზემოქმედება
საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე, რაც ქვეყნის შინაგანი
შესაძლებლობების პოტენციალის ინერტულობის შედეგია. ამის
ამოქმედებას კი გლობალიზაციის გათვალისწინებით და რისკის
მინიმიზაციით მეტი ძალისხმევა სჭირდება. ეკონომიკის
თანამედროვე თეორიები დამაჯერებლად ვერ პასუხობს საგარეო
ვალზე მრავალმხრივი განუსაზღვრელობით შექმნილ წინააღ-
მდეგობებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. იმისათვის, რომ
სიღრმისეულად იქნეს გამოკვლეული ცვლილებები, რაც
მომავალში მოხდება (როგორც თვისებრივად, ასევე რაოდე-
ნობრივი თვალსაზრისით), ისინი შესაბამისი მაჩვენებლებით
პროგნოზირებასთან არიან დაკავშირებული, სადაც რისკი
გადაწყვეტილებების მიღებასთან ერთად არის ჩართული [1, ტომი
1, გვ. 314]. აქედან გამოსავალი განვითარებული სახელმწიფოების
მხრიდან განვითარებადი ქვეყნების მიმართ კეთილსინდისიერი
პრინციპებით ჩატარებული დახმარებებია, მათ შორის ვალის
სიკეთე. იგი ვალის ამღები ქვეყნის განვითარების ოპტიმიზაციის
იმედს წინა პლანზე წამოსწევს. ასეთ პირობებში ისიც არ უნდა
იქნეს დავიწყებული, რომ სარისკო სიტუაციების გარკვევაც
აუცილებელია; ასე მაგალითად, საგარეო ვალის აღების
დასაბუთებას თან უნდა ახლდეს სესხის ხარჯების მკაცრად
ჩამოყალიბებული გეგმა-პროექტი ან ბიზნესგეგმა, შესაბამისი
დონისძიებებიც საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების
გასარკვევად და ინვესტიციების მოსაზიდად, რაც, თავის მხრივ,

ვალის გადახდის მოდელების ეფექტიან გამოყენებასაც აკვალიანებს.

ლამარა ქოქიაურისა და ნატო ბებიაშვილის ნაშრომში [9, გვ. 181-191] ჩატარებულია მსჯელობები იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანაში ინვესტიციები მხოლოდ საქმეში ჩადებული ფული არ არის, ინვესტიციები დიდი მასშტაბებით ქმნის სამუშაო ადგილებს, პროდუქციას და ა.შ. ხოლო თუ ყველაფერი უშუალოდ ბიუჯეტს დაეჭვემდებარა, მაშინ მოსალოდნელია უცხოეთიდან ვალის სახით შემოსული თანხა აცდეს თავიდანვე არჩეულ დანიშნულებას. ჩვენც ანალოგიური აზრი გვაქვს იმასთან დაკავშირებითაც, რომ პერსპექტიულია მდიდარი მოსახლეობის შესაძლებლობებზე ორიენტირებული დაკრედიტების ამერიკული მოდელი, რომლის მასშტაბები ფართოა. გარდა ამისა, პოსტსაბჭოთა საქართველოსათვის აუცილებელია იპოთეკური დაკრედიტების გერმანული მოდელის გამოყენება, რადგან მისი სქემა ძირითადად საშუალო და დაბალი შემოსავლების მოქალაქეების პოზიციის გაძლიერებას ემსახურება [9, გვ. 179-181].

ევროპის ცალკეული ქვეყნების მიზანსწრაფულმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ უფექტიანად გამოეყენებინა ყველაფერი თავიანთი ეროვნული პრობლემების გადასაწყვეტად, გაამართლა [10, გვ. 28, გვ. 42]. მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის ეკონომიკური თავისუფლების პირობების შექმნა უფრო რთული აღმოჩნდა, თანაც ისე, რომ მისთვის მიზანმიმართული რისკი არ ამოქმედებულა, რაც გლობალიზაციის პირობებში ახლებური ხედვით შეიძლებოდა გააქტიურებულიყო იმ რეზერვებით კავკასიის ხალხებთან და ქვეყნებთან ჩვენს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობათა განვითარებაში, რომელსაც ხედავდა ილია ჭავჭავაძე [10, გვ. 156] და რასაც დიდი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს.

ეკონომიკური რისკის პერსპექტივას ერთიანი მსოფლიო ბაზარი, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და პოლიტიკური სივრცე განაპირობებს, რაც განვითარების ტენდენციით მსოფლიოს სუპერსახელმწიფოების აქტიურობით არის დამუხ-

ტული. ამაში ძლიერი შესაძლებლობებით აშშ-ის მიერ ერთპოლუსიანი მსოფლიოს გასაძლიერებლად მიზანმიმართული დამაკვალიანებელი ზრუნვა ცენტრალური კავკასიის ქვეყნებმა გონივრულად, გლობალზაციის შესაბამისად, თავიანთი ეროვნული ინტერესების სასიკეთოდ უნდა გამოიყენონ, რომლის ერთ-ერთი ძლიერი საშუალებაა დახმარებები და დიდი მასშტაბების საგარეო ვალები. ამ მხრივ ჩვენთვის არსებითია საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიკის გაძლიერება დიდმნიშვნელოვანი საერთო დადგებითი მიღწევებით, პირველ რიგში საგარეო ვალების ერთიანი მიზანდასახული გამოყენებით საერთაშორისო ვაჭრობაში [11, გვ. 58-60]. უურადსალებია მალხაზ მაცაბერიძის სტატია [8, გვ. 21-24] საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის განსხვავებული შესაძლებლობების მიუხედავად საერთო მიზანდასახულობის ეკონომიკური პოლიტიკის დასამკვიდრებლად. ამაში განსაკუთრებული დეტალიზება იმპერიული დაპყრობითი პოლიტიკის შესუსტებაზე ზრუნვას უნდა დაეთმოს და შესაბამისი გლობალიზაციის გონივრულ გააქტიურებას სამხრეთ კავკასიაში. ამას მრავალმხრივი სირთულეები ახლავს, ამიტომ საჭიროა რისკის სხვადასხვა ვარიანტების მომზადება განხილვისათვის, სადაც მირითადი ეკონომიკური რისკია.

ზემოთ აღნიშნული საყურადღებოა საქართველოსა და რუსეთს შორის საგჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებაზე იმედის მომცვემი მსჯელობებით [12, გვ. 11-12]. იგი ეხება რუსეთის მსოფლიო საგაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან და ქართულ მხარესთან შეთანხმებით დასრულებულ მოლაპარაკებას, რომ არსებობს რეალური შესაძლებლობები და რისკიც საიმუდოა ქართულ-რუსული ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, თანაც იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო არ დათმობს ტერიტორიულ მთლიანობასა და სახელმწიფო სუვერენიტეტს [12, გვ. 12].

დღეს განვითარებული სახელმწიფოები პოსტსაბჭოთა ქვეყნებს მრავალმხრივ სიკეთეს პპირდება, თუმცა შეიცავს რისკის ელემენტებს და ეკრდნობა საგარეო ვალების გააქტიურებას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. პროფესორი გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამცცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული. ეროვნული ეკონომიკები და გლობალიზაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი, 2012, ტომი 1, ტომი 2.

2. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი ავთანდილ სილაგაძის რედაქციით. ინოვაცია. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2005.

3. ასათიანი რ. თანამედროვე ეკონომიკის განმარტებითი ლექსიკონი. საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემია. ფირმა "სიახლე", თბილისი, 2009.

4. სარჩიმელია რ. რისკის ელემენტები. თბილისი, "მარჯი", 2003.

5. აბესაძე რ., სარჩიმელია რ., არევაძე ნ., მელაშვილი მ. ეკონომიკური განვითარებისა და პროგნოზირების პრობლემები. თბილისი, "უნივერსალი", 2004.

6. მესხია ი. ფინანსური დავალიანებების ზრდა – ეროვნული უსაფრთხოების მუქარა. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, ტომი 8. გამომცემლობა "სიახლე". თბილისი, 2010, გვ. 59-82.

7. აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები; ყოველთვიური ჟურნალი მეწარმეობისა და ფინანსისტებისათვის. №9(93), 2007.

8. ნათელაური ი., თაფლაძე თ. საქართველოს ექსპორტი პოსტკომუნისტურ პერიოდში და მისი გავლენა ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე. პაატა გუგუშვილის ეკონომიკის

ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული II. ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2009, გვ. 81-87.

9. ქორიავრი ლ., ბებიაშვილი ნ. საინვესტიციო პროექტები. თეორია, ანალიზი, მართვა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2009.

10. კვარაცხელია გ. ილია ჭავჭავაძე და კაპიტალიზმის პრობლემები საქართველოში. გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2012.

11. ყუფუნია გ. ეკონომიკური ინტეგრაციის პრობლემები ცენტრალურ კავკასიაში. ქ. "ეკონომისტი", ზ3, 2009, გვ. 57-69.

12. პაპავა ვ., თაფლაძე თ. საქართველოსა და რუსეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ. ქ. "ეკონომისტი", ზ1, 2012, გვ. 8-14.

Sarchimelia Roland

THE TASK OF OPTIMIZATION OF RISKS CONNECTED WITH EXTERNAL DEBT SUMMARY

The complication of a decision-making and the problem of the optimization of an external debt risk are considered under globalization of Post-Soviet Georgia.

Economic-mathematical task of the minimization of a risk concerning debt is formulated; the corresponding model is presented and analysis is carried out.

Economic risk of external debt and its perspective are characterized within world trade interrelations.

რამაზ აბესაძე
გახტანგ ბურდული
გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესები
მდგრადი განვითარების კონტექსტში

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში მიმდინარეობს ტექნოლოგიური წყობებისა და ინსტიტუციური და ორგანიზაციული სტრუქტურების ერთობლივი, თანხვდენილი განვითარების პროცესი, რომელიც დაკავშირებულია ახალი და ტრადიციული ტექნოლოგიების გავრცელებისა და განაწილების თავისებურებებთან, ქვეყნებს შორის ინოვაციური პროცესების დიფუზიასთან, რეგულირების გლობალური, სახელმწიფოთაშორისი და რეგიონული ინსტიტუტების გაჩენასთან, კაპიტალისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის გადაღინების თავისებურებებთან, საერთაშორისო სავაჭრო და კოოპერაციული კავშირებისა და საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერაციის მკვეთრ ზრდასთან, ცალკეული ქვეყნების შიგნით და მსოფლიო მასშტაბით მართვის ურთიერთკავშირების გადრმავებასთან, ტრანსეროვნული კორპორაციების როლისა და საქმიანობის გაძლიერებასთან, მცირე და საშუალო საწარმოების, ასევე ინდივიდუალური მეწარმეობის როლის განვითარებასა და ახლებურ გააზრებასთან, წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ქსელური მეთოდების მნიშვნელობის ზრდასთან, ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად (რეგიონების მიერვით) ორგანიზებული კლასტერების განვითარებასთან და ა.შ.

ამასთან, თანამედროვე პირობებში ერთდროულად ვითარდება გლობალიზაციისა და რეგიონალიზაციის პროცესი (როგორც ქვეყნებს შორისი, ასევე ცალკეული ქვეყნებისა და ქვეყნების რეგიონების ჭრილში). რეგიონალიზაციის პროცესი განპირობებულია გლობალიზაციის შედეგად თანამედროვე ტექნოლოგიური წყობების განვითარების ობიექტური პირობებით, რისი გამოვლინებაც დაიწყო საქმაოდ ადრე, ჯერ კიდევ XX

საუკუნის 70-იან წლებში²⁶. როდესაც ადგილი აქვს საზოგადოების ორგანიზაციის ცვლილებების ობიექტური ტენდენციების ერთობას როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე სახელმწიფოთაშორის დონეებზე, რაც ვლინდება დიხოგომიაში – “გლობალიზაცია-ლოკალიზაცია”²⁷. უფრო მეტიც, დიხოგომია “გლობალიზაცია-ლოკალიზაცია” ვლინდება ცალკეული ქვეყნების, ამასთან, შედარებით მცირე ქვეყნებისა და რეგიონების დონეზეც.

გლობალიზაციის განვითარების რეგულირების გლობალური, სახელმწიფოთაშორისი და რეგიონული ორგანოების ფუნქციების ზრდისა და თანდათანობითი ევოლუციის პროცესთან ერთად სახელმწიფო, შიდასახელმწიფო და რეგიონული კოორდინაციის ორგანოების ფუნქციებიც იცვლება, ხდება მათი ადაპტაცია ახალი პირობების მიმართ. ტექნოლოგიური წყობების ცვლილებითა და გლობალიზაციით განპირობებულ ობიექტურ პროცესებზე სოციუმების სპონტანური რეაქცია ვლინდება ინსტიტუციური და ორგანიზაციული სტრუქტურების გარდაქმნის ტენდენციაში, რომელსაც ადგილი აქვს საზოგადოების ორგანიზაციის უკელა დონეზე – “ფირმებიდან და თემებიდან დაწყებული სახელმწიფოების ინტეგრაციულ ბლოკებამდე დამთავრებული”. გლობალიზაციის ერთ-ერთი პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ ის მიმდინარეობს ლოკალიზაციის პროცესებთან ერთად: ხდება იმ ლოკალური ერთობების

²⁶ Абесадзе Р., Бурдули В. Региональные аспекты ускорения темпов экономического развития Грузии. – Общество и экономика, 2011, №7; Лопатников Д. Л. Экономическая география и регионалистика. – М.: Гардарики, 2006; Региональная политика стран ЕС. М.: ИМЭМО РАН, 2009; Didier P. Le Nord – Pas-de-Calais face aux nouvelles dynamiques économiques: pratiques et enjeux de l'aménagement régional. – Hommes et terres Nord, 1989, №4.; Martin P. Nonn H. Stratégies des acteurs publics en Alsace en matière de développement économique et d'aménagement:1982-1989. – Hommes et terres nord, 1989, №4.

²⁷ Иванов Н. Глобализация и общество: проблемы управления. – МЭиМО, 2008, №4, с. 3.

ეკონომიკური და პოლიტიკური როლის ზრდა, რომლებიც გლობალური კავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებების რთულ სისტემაში ჩაბმული აღმოჩნდნენ. ეს ხსნის მათ წინაშე ახალ შესაძლებლობებს და ერთდროულად ქმნის ახალ საშიშროებებს, რაც აიძულებს მათ დამოუკიდებლად მოიძიონ ახალი პირობების მიმართ ადაპტაციის ხერხები²⁸. გლობალიზაციის პირობებში წარმატებული განვითარებისათვის ლოკალურმა საზოგადოებებმა უნდა მოძებნონ ამ პირობების მიმართ ადეკვატური განვითარების კოორდინაციის ხერხები, მოახერხონ ჩაბმა კოოპერაციის სისტემებში ქვეყნაში და მის ფარგლებს გარეთ, რაც უზრუნველყოფს მათი ფირმების კონკურენტუნარიანობას როგორც შიგა (რომელიც გლობალიზაციის პირობებში გახსნილია კონკურირებადი საქონლისათვის), ისე მსოფლიო ბაზარზე. ამავე დროს თვითიზოლაცია თანამედროვე პირობებში უპირობოდ გამოიწვევს დეგრადაციას. თუმცა თვითიზოლაცია იწვევდა დეგრადაციას საზოგადოების ისტორიული განვითარების ნებისმიერ პერიოდში.

გლობალური ეკონომიკური პროცესებისადმი რეგიონული (ლოკალური) საზოგადოებების შეგუების და მათში ჩაბმის უზრუნველყოფის თანამედროვე ხერხები და მექანიზმები სისტემატიზებული და დახასიათებულია ჩვენს ბოლო ნაშრომებში შესაბამის საკითხებზე²⁹. შეგუების ხერხებს შორის შეიძლება დავასახელოთ: ქვეყნებს შორის ინოვაციების დიფუზიის ამთვისებლობის უნარის უზრუნველყოფა, წარმოების რეგიონული დივერსიფიკაცია, რეგიონული მიზიდულობის ცენტრების განვითარების უზრუნველყოფა და სხვ. გლობალიზაციის პირობებისადმი შეგუების მიზნით რეგიონული კოორდინაციისა და სტიმულირების თანამედროვე მექანიზმებში გათვალისწინებულ

²⁸ იქვე, გვ. 4.

²⁹ Абесадзе Р., Бурдули В. Региональные аспекты ускорения темпов экономического развития Грузии. – Общество и экономика, 2011, №7; ბურდული ვ. საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო რეგულირების სრულყოფის გზები. – ეკონომისტი, 2011, №4.

უნდა იქნეს: ეკონომიკური განვითარების რეგიონული პოლიტიკის შემუშავების მექანიზმის სრულყოფა; ცენტრალურ, რეგიონულ და ოდგილობრივ ხელისუფლებებს შორის ინტერესების კომპრომისის მიღწევის მექანიზმის სრულყოფა; რეგიონული საფინანსო და ფისკალური პოლიტიკის სრულყოფა და სხვა.

უნდა ითქვას, რომ ლოკალურ დონეზე გლობალიზაციის გამოწვევებზე რეაგირება და ადაპტაცია ხანდახან იგვიანებს. კერძოდ, ეს დამახასიათებელია ყველა პოსტსაბჭოური ქვეყნისათვის, სადაც ეკონომიკის ამჟამინდელი ტექნოლოგიური და, მაშასადამე, დარგობრივი სტრუქტურა ძალიან ჩამორჩენილია. კერძოდ: მცირეა იმ საწარმოების წილი, რომლებიც გამოირჩევიან დამატებული ღირებულების შექმნის მაღალი სტადიოთ; იგვიანებს საწარმოო, მათ შორის ინოვაციურ სფეროში, კოოპერაციის თანამედროვე ფორმების გავრცელება, ექსპორტზე ორიენტირებული და იმპორტჩანაცვლებადი საწარმოების ჩამოყალიბება და სხვა. ამიტომ საჭიროა გლობალიზაციის ეკონომიკური გამოწვევების თეორიული გააზრება და ქვეყნისა და მისი რეგიონების დონეზე თანამედროვე ეკონომიკის ფორმირებისა და მისი მდგრადი განვითარების პროცესის რეგულირების მექანიზმის სრულყოფის წანამდლვრების შემუშავება. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების შეფასებებით, მარეგულირებელი ინსტიტუციურ-პრუდენციალური მექანიზმი საქართველოში გაცილებით უფრო ხელსაყრელია ბიზნესის განვითარებისათვის, ვიდრე მრავალ სხვა ქვეყანაში, საჭიროა მისი შემდგომი განვითარება-სრულყოფა, რათა მიღწეულ იქნეს მდგრადი ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალი ტემპები, ვიდრე დამახასიათებელია ამჟამინდელი პერიოდისათვის, განსაკუთრებით, დამატებული ღირებულების შექმნის მაღალი სტადიის მქონე საწარმოების ჩამოყალიბებისა და განვითარების სფეროში.

განსაკუთრებული უურადღება უნდა მიექცეს მაღალი ტექნოლოგიების, ორგანიზაციის ქსელური მეთოდებისა და შესაბამისი საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობების

ბის დანერგვას. მაღალი ტექნოლოგიები ეკონომიკური განვითარების მთავარი ფაქტორია, ვინაიდან იგი იწვევს ეკონომიკური სისტემის ყველა ელემენტის განვითარებასა და სრულყოფას. მათ საფუძველზე, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფის, საქონლისა და მომსახურების ახალ სახეობათა შექმნის შედეგად, მცირდება ტრანსაქციური და ტრანსფორმაციული დანახარჯები, იზრდება რესურსების რაციონალური გამოყენების შესაძლებლობები. იცვლება წარმოების ორგანიზაციის ფორმები და მეთოდები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადამიანის ადგილი და როლი როგორც წარმოებაში, ისე ყოფაცხოვრებაში. იცვლება თვით საზოგადოობის ორგანიზაციის არსი, ფორმები და მეთოდები.³⁰

ორგანიზაციის ქსელური მეთოდები შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. დღეისათვის სიახლეს წარმოადგენს არა თვით ქსელური მეთოდი, არამედ მისი გამოყენების შესაძლებლობათა ზრდა თანამედროვე ინფორმაციული და ტელესაკომუნიკაციო (მაღალი) ტექნოლოგიათა გამოყენებით. საქართველოში ინფორმაციული და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიათა გამოყენების მიმართულებით გარკვეული ძვრები შეინიშნება: მიმდინარეობს ტელესაკომუნიკაციო და კორპორაციული ინფორმაციული სისტემების განვითარება, იზრდება მსოფლიო დია ქსელების აღმნენტო რაოდენობა, ძლიერდება ქვეყნის ტელეფონიზაცია, სწრაფად იზრდება მობილური ტელეფონების მოხმარება და სხვ. ინფორმატიზაციის დონე გან-

³⁰ აბესაძე რ. მაღალი ტექნოლოგიები და ეკონომიკური განვითარება. წიგნში: თსუ პაარა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული “ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში”. თბილისი, თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.

საკუთრებით დიდია სახელმწიფო და საბანკო სექტორში. ვითარდება ქსელური მარკეტინგი და ა. შ. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ საქართველოში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების დონე დაბალია და ამ მხრივ მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი. ჩვენ, ბუნებრივია, არ დაგჭირდება ის დრო, რაც განვითარებულ ქვეყნებს დასჭირდა ინფორმაციზაციის მაღალი დონის მისაღწევად, ვინაიდან შეგვიძლია პირდაპირ გადმოვიდოთ მსოფლიო გამოცდილება. მაგრამ, ამავე დროს, ახალი ტექნოლოგიების გადმოღება ადექვატური ბაზისის არსებობის გარეშე შეუძლებელია. აუცილებელია შეიქმნას შესაბამისი სამართლებრივი ბაზა, მოზიდული იქნეს ინვესტიციები, ჩამოყალიბდეს შესაბამისი ბიზნეს-კულტურა (ცოდნა, აზროვნების ხასიათი, გამოცდილება, მენტალიტიკი, გამოცდილება) და ა.შ. ყველაზე უმთავრესი კი ისაა, რომ ქსელური ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების შესაბამისი დონე, ამიტომ გეზი აღებული უნდა იქნეს ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვასა და გამოყენებაზე.³¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს კვლევის მიზანი, რომელიც მდგომარეობს გლობალიზაციის პირობებში ჩამოყალიბებული ძირითადი ეკონომიკური გამოწვევების სისტემატიზაციასა და მდგრადი განვითარების უსრუნველსაყოფად ქვეყნის რეგიონების დონეზე ამ გამოწვევათა აღქმისა და გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრაში, გლობალურ და რეგიონულ პროცესებს შორის ურთიერთდამოკიდებულებების, ურთიერთკავშირებისა და ურთიერთშეპირისპირებების დადგენის მეშვეობით (ე. ი. დიხოტომიის “გლობალიზაცია-ლოკალიზაცია” არსებობის გათვალისწინებით).

³¹ Сетевая экономика и основные направления ее формирования в Грузии. წიგნში: “SPOŁECZEŃSTWO SECI”, საერთაშორისო კონფერენციის მასალები (პოლონეთი, ქ. ლუბბელსკი), 2011.

თანამედროვე გლობალიზაციის ეკონომიკური ფესვები აღმოცენდნენ გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე 70-იანი წლების შემდეგ გაჩნდა ტერმინი “გლობალიზაცია”. გლობალიზაციის პროცესში ეკონომიკაში, ტექნოლოგიური წყობების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა კაპიტალის შიდასახელმწიფოებრივი და სახალმწიფოთაშორისი გადაინების ფორმები; მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდებოდა საქონელგაცვლის სისტემაში (კერძოდ, ექსპორტის-იმპორტის მოცულობა მსოფლიო მშპ-ში განუწყვეტლივ იზრდებოდა და ამჟამად მათი წილი მსოფლიოს მშპ-ში 60% შეადგენს)³²; მიმდინარეობდა საკუთრებისა და მისი მართვის ინსტიტუციური ფორმების განვითარება, წარმოებისა და ბაზრის ორგანიზაციის სისტემების ტრანსფორმაცია; იზარდებოდა ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკების დივერსიფიკაციის დონე, რესურსდამზოგი და ინტელექტუალური ტექნოლოგიების როლი.

ტექნოლოგიური წყობების სამეცნიერო-ინოვაციური კომპონენტი დიდი ხანია გამოვიდა ცალკეული ქვეყნების ჩარჩოებიდან, პლანეტის მოსახლეობის მატება მოითხოვს მატერიალური წარმოების ტრადიციული დარგების სიმძლავრეების ზრდას მათი მოდერნიზაციული განახლების პირობებში. ტექნოლოგიური განვითარების დაწესარება იწვევს, ერთის მხრივ, ტრადიციულ დარგებში მომუშავეების ნაწილის გათავისუფლებას, მეორეს მხრივ – საქმიანობის ახალი სახეების გაჩენას, რაც სულ უფრო და უფრო ძლიერ გავლენას ახდენს დასაქმებულთა სტრუქტურის ფორმირებასა და ცვლილებაზე, განაპირობებს სულ უფრო მეტი ძალის სტანდარტის მიმართვას (განსაკუთრებით, განვითარებულ ქვეყნებში) ეკონომიკის დარგობრივ და რეგიონულ რესტრუქტურიზაციასა და უმუშევრობის შემცირებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაზე.

³² Шишков Ю. Государство в условиях глобализации. – МЭиМО, 2010, №1, с.8.

გლობალიზაციის პირობებში კონკურენციის გამწვავების, გასაღების ბაზრების გაფართოების აუცილებლობის, იაფი სა-მუშაო ძალის გამოყენების ხარჯზე წარმოების დანახარჯების შემცირების აუცილებლობისა და სხვა ფაქტორების გამო სულ უფრო დიდ როლს თამაშობს კაპიტალის ნაკადების ქვეყნებს-შორისი გადაადგილება (უპირატესად ტექნოლოგიების სახით), ამასთან ხდება განვითარებად ქვეყნებში არა მარტო ტრადი-ციული ტექნოლოგიების, არამედ ინფორმაციულ-ტელეკომუნიკაციური და სხვა მეცნიერებატექნიკური ტექნოლო-გიების გადატანის პროცესის გააქტიურება (განსაკუთრებით დიდი მოცულობის მქონე სამომხმარებლო ბაზრის მქონე ქვეყ-ნებში). ის განვითარებული ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ თანამედროვე ტექნოლოგიების მოზიდვისათვის ხელსაყრელი რეგულირების სისტემა, თანამედროვე დონეზე განვითარების ყველაზე მეტ შესაძლებლობას დებულობენ.

გადანაწილების (კაპიტალის, ტექნოლოგიების, შრომის მწარმოებლურობის ზრდის, ინოვაციების დიფუზიის, ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების) სისტემების ტრანსფორმაცია, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება ქვეყნებისა და ქვეყნებს-შორისი განვითარებადი ბაზრების პირობებით, რომლებიც იც-ვლებიან ტექნოლოგიების, მოთხოვნისა და საბაზრო კოორდი-ნაციის პირობების განვითარების შედეგად. ასევე თანდათანო-ბით განიცდიან ტრანსფორმაციას გლობალური, სახელმწიფო და რეგიონული კოორდინაციისა და რეგულირების სისტემები გარე რეალიების მოქმედების შედეგად, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორის ზეწოლის გამო (სპეციალური ინტერესების ჯგუფე-ბი, ქვეყნებს შორის და ქვეყნებს შიგნით მოსახლეობის სხვა-დასხვა ჯგუფს შორის ინტერესების კომპრომისის მიღწევის აუცილებლობა და ა. შ.) ადგენატურ გადაწყვეტილებებს ხში-რად დებულობენ დაგვიანებით.

წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ქსელური ფორ-მების განვითარების საფუძველზე გლობალიზაციის პირობებში

მოხდა “წარმოების წესის ღრმა რეორგანიზაცია”³³, რომელმაც განსახიერება პოვა: ტრანსეროვნულ კორპორაციებში წარმოების სტრუქტურისა და საქმიანობის მასშტაბების ცვლილებაში; მსხვილ კორპორაციებს, საშუალო და მცირე ფირმებს შორის ურთიერთობების ცვლილებებში; ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო დონეზე საქმიანობის განსაზღვრული სახეების ჩარჩოებში (განსაკუთრებით, ახალი ტექნოლოგიების სფეროში) საშუალო და მცირე ფირმების ურთიერთდაკავშირებული ქსელების გაჩენაში. ქსელური მეთოდები უზრუნველყოფენ სამეურნეო სუბიექტების მჭიდრო კოოპერაციას საინფორმაციო, მეცნიერულ-ტექნიკური, საფინანსო და მარკეტინგული საერთო ქსელის ჩარჩოებში, რითაც ამცირებენ საწარმოო დანახარჯებს. ასეთი კოოპერაცია არ გამორიცხავს შიდა ქსელურ კონკურენციას და აძლიერებს ქსელებს შორის კონკურენციას მსოფლიო ბაზარზე³⁴.

განვითარებადი და ტრანსფორმირებადი ეკონომიკის ქვეყნებისათვის (ასევე, თანამედროვე პირობებში, განვითარებული ქვეყნების რეგიონებისათვის), მთლიანად ქვეყნის და მისი რეგიონების დონეზე, სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ამჟამად სწრაფად განვითარებადი წარმოების დივერსიფიკაციის ის პრინციპი, რომელიც დაკავშირებულია დიხოტომიასთან – “გლობალიზაცია-ლოკალიზაცია”. გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო დონეზე ამჟამად სწრაფად ვრცელდება ახალი და მოდერნიზებული ტრადიციული ტექნოლოგიები (განსაკუთრებით, მოქნილი ტექნოლოგიები, აუტსორტინგის და ფრენჩაიზინგის პროცესები), რომლებიც, ქსელური სტრუქტურებისა

³³ Бландинье Жан-Поль. Изменение основополагающих производственных и общественных парадигм. Трансформация общественного сектора в Европе (опыт стран ЕС)./

http://www.recer.ru/files/documents/04_10_10/Blandinieres_Paradigms_Ru.pdf, с. 3.

³⁴ Иванов Н. Глобализация и общество: проблемы управления. – МЭиМО, 2008, №4, с. 5.

და საწარმოო კოოპერაციის შესაბამისი ფორმების განვითარების პირობებში, ლოკალურ დონეებზე მცირე და საშუალო საწარმოების, ასევე ტრანსეროვნული კორპორაციების ქვეგანაყოფების როლის ამაღლების შესაძლებლობას იძლევიან. ასევე ვითარდება ლოკალური წარმონაქმნების კოოპერაცია როგორც ტრანსეროვნულ, ასევე ადგილობრივ კორპორაციებთან და მცირე და საშუალო საწარმოების (უფრო ხშირად დაფუძნებული ახალ ტექნოლოგიებზე) საერთაშორისო ქსელებთან. საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაცია ხელს უწყობს მათი პროდუქციის გასაღებას. ამიტომ, გლობალიზაციის პირობებში წარმოების ამ ტიპის დივერსიფიკაცია ლოკალურ წარმონაქმნებში (მათ შორის მცირე ქვეყნებსა და ამ ქვეყნების რეგიონებში) წარმოადგენს მათი ეფექტიანი განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების უპირატესობების ათვისებისა და გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. ამისათვის ლოკალურმა საზოგადოებებმა უნდა შექმნან საკუთარ ტერიტორიებზე ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატი, კერძოდ: ჩამოაყალიბონ ინვესტიციებისა და წარმოებისათვის ხელსაყრელი საგადასახადო სისტემები, მოამზადონ სპეციალისტები და მუშა ძალა სწავლების ადეკვატური სისტემების შექმნის საფუძველზე, შექმნან საჭირო სატრანსპორტო კომუნიკაციები და საქონელწაწევის თანამედროვე სისტემები, ასევე საწარმოო ინფრასტრუქტურის სხვა ელემენტები, მათ შორის, კომუნალური ხასიათის. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები წარმოადგენს უკიდურეს ფორმას, რომელიც ლოკალური საზოგადოებების (რეგიონებისა და ადგილობრივი წარმონაქმნების) დონეზე წარმოების დივერსიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.

იმ ამოცანების გადასაწყვეტად, რომელთა დასმა გამომდინარეობს გლობალიზაციის გამოწვევებიდან და დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკის მდგრად და დაჩქარებულ განვითარებასთან (ისეთების, როგორიცაა ექსპორტ-იმპორტის სალდოს გაუმჯობესება, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის გან-

ვითარების დაჩქარება, სამრეწველო კვანძებისა და ინოვაციური ცენტრების განვითარება, მეურნეობებისა და წარმოებების ინსტიტუციური და ტექნოლოგიური სტრუქტურის სრულყოფა, რეგიონული წარმოების დივერსიფიკაცია, წარმოების მომსახურების რეგიონული სისტემების განვითარება და სხვა), საჭიროა ქვეყნის აღმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა რეგიონულ (სამხარეო) დონეზე, ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეგულირების როლის გაძლიერება. ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას, რომელშიც განსაზღვრული უნდა იყოს:

– გლობალზაციის პირობებში ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის ინტერესთა კომპრომისის მიღწევის გზები (კომპეტენციის რაციონალური გამიჯვნა მართვის დონეებს შორის დღეისათვის წარმოადგენს ქვეყნის სწრაფი და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან წანამდღვარს);

– კველა ტერიტორიულ დონეზე ინსტიტუციური წყობის სრულყოფის გზები;

– თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის დამყარების ხელშეწყობის ამოცანები (რეგიონულ დონეზე ეს ნიშნავს რეგიონის პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინებით განვითარებისათვის პრიორიტეტული დარგების არჩევას (ქალაქებში და სოფლად), რეგიონული მიზიდულობის ცენტრებისა და ინოვაციური ცენტრების განვითარების ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, ექსპორტზე ორიენტირებული, იმპორტჩანაცვლებადი და სხვა თანამედროვე საწარმოების განვითარების, მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო დამხმარეობის მიღების შემთხვევაში);

– რეგიონული წარმოების (სოფლად და ქალაქებში) დივერსიფიკაციის გზები;

– მცირე და საშუალო ზომის მიზიდულების ცენტრების განვითარების გზები;

– რეგიონებში საბაზრო ეკონომიკისათვის თვისებრივი რეალური სექტორის ძირითადი წარმოებისათვის დამხმარე სამსახურებისა და ფირმების (სოფლად ფერმების) შექმნისა და ფუნქციონირების წახალისების გზები;

– მსხვილ, საშუალო და მცირე საწარმოებს შორის თანა- მედროვე პირობებისადმი შესატყვისი გთავაზიანი თანაფარდო- ბის დაღგენის გზები.

რეგიონული განვითარების სტრატეგიის სათანადო გან- ხორციელების მიზნით საჭიროა ისეთი განვითარების კოორდი- ნაციის და რეგულირების მექანიზმის სრულყოფა, რაც გუ- ლისხმობს რეგიონულ (სამხარეო) და ადგილობრივ დონეებზე შესაბამისი ინსტიტუტების-ორგანიზაციების (მმართველობითი, საფინანსო, საწარმო) და რეგულირების (კოორდინაციის) ინ- სტრუმენტების სისტემის განვითარებას.

ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლე- ბებს შორის ინტერესთა კომპრომისის მოგვარების მექანიზმის სრულყოფის მიზნით ამჟამად განვითარებულ ქვეყნებში მიმდი- ნარეობს ეკონომიკური მართვის ზოგიერთი ფუნქციის დეცენ- ტრალიზაციის პროცესი, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებში იზრდება ბიუჯეტების საინვესტიციო ნაწილის ხვედრი წილი, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში (განსაკუთრებით, მძლავრი საექსპორტო პოტენციალის მქონე ქვეყნებში), ბიუჯეტში გა- მოყოფილია სპეციალური მუხლები კერძო სექტორის პრიორი- ტებული დარგების მხარდასაჭერად, რომელთა სახსრების გა- მოყენება ხდება ან უშუალოდ, ან ამისათვის შექმნილი სპე- ციალიზებული ორგანიზაციების მეშვეობით. სასურსათო ექს- პორტის მხარდასაჭერად კი ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანა- ში არსებობს სპეციალური ორგანიზაციები.

რეგიონული ფისკალური მექანიზმის სრულყოფა მოით- ხოვს თანამედროვე პირობებისადმი შესატყვისი საგადასახადო და საბიუჯეტო მექანიზმების ჩამოყალიბებას. ჩვენი აზრით, ამ კუთხით საქართველოს საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა მოითხოვს სრულყოფას. მაგალითად, არ არსებობს სამხარეო

(რეგიონულ) დონეზე საბიუჯეტო-საგადასახადო სისტემა, ეს მაშინ, როდესაც გლობალიზაციის პირობებში რეგიონული მმართველობის ფუნქციები განვითარებულ ქვეყნებში იზრდება, განსაკუთრებით, ბიზნესის მხარდაჭერისა და რეგიონული მასშტაბის საწარმოო ინფრასტრუქტურის შექმნის სფეროებში.

რეგიონული საფინანსო პოლიტიკა მიმართული უნდა იქნეს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საწარმოების ჩამოყალიბებისა და არსებულების ეფექტიანი ფუნქციონირების სტიმულერებაზე. ამასთან, საწარმოს ჩამოყალიბების ან ეფექტიანი ფუნქციონირების პრიორიტეტულობის კრიტერიუმებად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოდიოდეს მათი საექსპორტო და იმპორტჩანაცვლებადი, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის ეფექტიანი (სათანადო ხელფასებით და გრძელვადიანი და-საქმების გარანტით) დასაქმების შესაძლებლობები. რეგიონების საფინანსო პოლიტიკაში გათვალისწინებულ უნდა იყოს საინვესტიციო და სხვა სახის ფონდების შექმნა და გამოყენება.

რეგიონებსა და ადგილობრივ წარმონაქმნებში საჭიროა მეურნეობის (სახელმწიფო და კერძო საწარმოების და მათ შორის ურთიერთობების) ინსტიტუციური წყობის განვითარება. განვითარებული ქვეყნების შესაბამისად უნდა გაიზარდოს სახელმწიფო საწარმოების ეკონომიკური მართვის მექანიზმებისა და კონტრაქტების ნაირსახეობები სახელმწიფო და კერძო საწარმოებს შორის. სახელმწიფო, რეგიონული ან მუნიციპალური ორგანოების მიერ შეკვეთილი სამუშაოების შესასრულებლად. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ინსტიტუციურ ურთიერთობებს, რომლებიც ხორციელდება რეგიონულ ორგანოებსა და მეწარმეებს შორის დიალოგისა და ხელშეკრულების დადების საფუძველზე. კერძოდ, სოფლებში საჭიროა მცირე მეურნეობების განვითარების სტიმულირება (სპეციალიზებული დამხმარეორგანიზაციების, საწარმოების, ფირმების დაარსება და მცირე მეწარმეებისათვის სუბსიდიების გამოყოფა).

მიზიდულების ცენტრების განვითარების სტიმულირება უნდა ხდებოდეს: კომუნალური ინფრასტრუქტურის იმ ობიექტების მშენებლობის დაფინანსება, რასაც კერძო მეწარმეები არ იღებენ თავის თავზე ან რომლებსაც გააჩნიათ განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა (ძირითადად ტერიტორიული ბიუჯეტების ხარჯზე); მიზიდულობის ცენტრებში საწარმოო ობიექტების (განსაკუთრებით, რეალური სექტორის, მათ შორის, სოფლად) ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების ხელშემწყობი სახელმწიფო ორგანიზაციების, ფონდების (შერეული და სახელმწიფო), კერძო და შერეული ფირმებისა და ფერმების შექმნის და ფუნქციონირების ფისკალური, საფინანსო-საკრედიტო და სხვა სახის სტიმულირება.

რეგიონული განვითარების სტიმულირების მექანიზმი უნდა ჩაიდოს თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის ელემენტების გამყარების სტიმულირება. ჩვენი აზრით, შესაძლებელია თანამედროვე ტექნოლოგიური წყობისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ახალი დარგის საწარმოთა შექმნა რეგიონის მიზიდულობის ცენტრებში. უფრო მიზანშეწონილია განვითარებულ ქაუნიებში უკვე ჩამოყალიბებული ახალი დარგების ტექნოლოგიების მოზიდვა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ტექნოლოგიების საფუძველზე გამოშვებული პროდუქციის გასაღებაში პრობლემები არ შეიქმნება, განსაკუთრებით, საგარეო ბაზრებზე. ასეთი ტექნოლოგიების რეგიონულ მიზიდულობის ცენტრებში დანერგვისათვის რამდენიმე გზა არსებობს, მაგალითად, ადგილობრივი მეწარმეების მიერ ლიცენზირებული ტექნოლოგიების შესყიდვა, ტრანსეროვნული კორპორაციის საწარმოთა მოზიდვის წახალისება, ფრანჩაიზინგის მექანიზმების გამოყენება და სხვა.

წარმოების დივერსიფიკაციის წახალისება რეგიონულ ქალაქებში მიზანშეწონილია იმ საქონელზე, რომელზეც მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნა იზრდება. ამასთან, არ უნდა იქნეს დავიწყებული ტრადიციული დარგები, მათ შორის, შიდა მოხმარების უზრუნველსაყოფად (რომლებშიც წარმოება ეკო-

ნომიკის პოსტსაბჭოური ჩავარდნის შედეგად თითქმის ნულამდე დაეცა: ავეჯის, ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და ა. შ.). სოფლად წარმოების დივერსიფიკაციისას ყურადღება უნდა მიენიჭოს იმ დარგებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების ზრდას და, ასევე, რომელთაც აქვთ მნიშვნელოვანი საექსორტო პოტენციალი.

მეურნეობის რეგულირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ზოგიერთი ტიპის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების შექმნის და ფუნქციონირების კოორდინაცია და სტიმულირება, კერძოდ, პერსაპექტიულია საინოვაციო (ან სამრეწველო-საინოვაციო) ზონების შექმნა, რომლებშიც ხდება სამეცნიერო ცოდნის (მილწევების) დანერგვა ბიზნესში.

Abesadze Ramaz

Burduli Vakhtang

**THE PROCESSES OF GLOBALIZATION AND
REGIONALIZATION IN THE CONTEXT OF
STEADY ECONOMIC DEVELOPMENT
SUMMARY**

In the work the certain community of processes of globalization and regionalization is shown. The basis challenges of globalization showing in transformation of organization and regulation of economy are systematized and the ways of their perception and use on regional intra-State level in the condition of steady economic development are shown. In particular the following processes of globalization are considered: the transformation of intracountry and intergovernmental systems of redistribution of capital and technologies; the development of network methods of organization and management of production; the development of regional diversification of production; etc. The following ways of adaptation and guaranteeing of receptivity of regional association to challenges of globalization are shown: the improvement of systems of institutional organization of regional administration and production; the stimulation of modernization of

technological structure; the stimulation of creation and development of regional centres of gravity; the stimulation of diversification of production on regional level; the improvement regional fiscal and financial systems; etc.

რეგაზ ლორთქიფანიძე
სამართლოს კონაურნების
პოლიტიკონომიკური ფაქტორები

მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით, უნდა დავაწყინაროთ გლობალიზების მოშიშრები, რომ გლობალიზების პროცესი უსასრულო არ იყო და მისი კონტურები უკვე შემოიხაზა ინტერნეტის შექმნასთან ერთად. მისი სივრცობრივი გავრცელების მასშტაბები ფაქტობრივად დასრულდა. მსოფლიო ერთი დიდი ოჯახია და ის ფართობით ხომ მეტად ვეღარ გაიზრდება. აქ უპრიანი იქნებოდა საქართველოს პატრიარქის ქადაგების მოყვანა, სადაც ეს უშიშარი და უნიჭირები მოძღვარი ბრძანებს, რომ გლობალიზაციას არ უნდა შევუშინდეთ და პირიქით, უნდა გამოვიყენოთ მისი სიკეთებები.

აქ ერთ გარემოებაზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ზოგი თვლის, რომ სხვადასხვა კავშირებისა და ქვეყნების რღვევაც უსასრულო პროცესია. არამც და არამც. როგორც ბუნებაში თანაარსებობენ დიდი და მცირე არსებები, ასევეა სახელმწიფოებრივ მოწყობაში. უბრალოდ, შესაძლებელია, რომ ქვეყანა, რომელიც რეაქციული ბუნებითა და ეკონომიკური დაკაბალებით თავს აპეზრებს დანარჩენ მსოფლიოს, ის აუცილებლად გაქრება უფლის მფარველობის არეალიდან. აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ გაქრობის საფრთხე იმ მცირე ქვეყნებსაც ემუქრება, რომლებიც ვერ გამოიჩენს შეკავშირების უნარებს.

კონკურენცია - ობიექტური ინსტიქტი

კონკურენცია შეჯიბრია, რომელიც ინსტიქტურად იწყებს მოქმედებას ნებისმიერი ორი სუბიექტის ურთიერთობისას. ეს ინსტიქტი აიძულებს ორივე სუბიექტს იყოს მეტად მოწერილი, რათა გაიმარჯვოს ხელი შეჯიბრში. ეს ინსტიქტი მოქმედებს ოჯახის წევრებს შორისაც კი და რა თქმა უნდა საერთაშორისო დონეზეც – ნებისმიერ სხვადასხვა ქვეყანას შორის.

ცდება ის, ვინც ცდილობს დათრგუნოს კონკურენცია ან ვერ ხედავს მის არსებობას. უფრო მართებულია ის, ვინც შეიცნობს ადამიანების ნებისაგან დამოუკიდებლად მოქმედ ამ ობიექტურ რეალობას და ცდილობს სასარგებლოდ გამოყენოს მისი უპირატესობები და უმკურნალოს შესაძლო გართულებებს.

კონკურენციის ურთიერთობები პოლიტიკასთან

ობიექტური კონკურენცია დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკაზე და, პირიქითაც, პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კონკურენციის თავისუფლების ხარისხს. საერთაშორისო კონკურენცია, ბუნებრივია, გამწავების პერიოდებში ომებსა და კატასტროფებსაც იწვევს და სწორედ ამიტომაა აუცილებელი ამ პროცესების დრმად გააზრება და შესაძლოდ მკურნალობა.

ობიექტური კონკურენტული გარემო პოლიტიკაში ანუ ჭეშმარიტი დემოკრატია უზრუნველყოფს ისეთი პოლიტიკური სისტემის არსებობას, რომელიც ხალხის ნებასურვილს გამოხატავს, შეესაბამება ხალხის ხასიათსა და განწყობილებებს და ამ ხალხის შესაძლოდ საუკეთესო განვითარების პირობებსაც ქმნის.

საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში კონკურენციის თავისუფლების ხარისხის გააზრებისას, ბუნებრივია, იბადება მეტად მნიშვნელოვანი კითხვა, თუ

რამდენად უსასრულო და მიზანშეწონილია სახელმწიფოებისა და მათში ფუნქციონირებადი პარტიების რაოდენობის ზრდა.

კონკურენციის კანონის მათემატიკური ალგორითმის მიხედვით, რომლის პოლიტეკონომიკურ ინტერპრეტაციასაც წიგნის შემდეგ თავებში განვავრცობ, კონკურენციის მოქმედების უფექტი მინიმალურია, როცა ერთპარტიულ სისტემასთან გაგაქს საქმე (მაშინ კონკურენციის დიდ წინაღობასთან - პოლიტიკურ მონოპოლიასთან გაგაქს საქმე). თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკურ პარტიათა (ან საერთოდ სახელმწიფოთა) რიცხვის გადაჭარბებული რაოდენობა არანაკლებად ცუდ (ქაოსურ) შედეგს იძლევა და მრავალრიცხოვანი (ზედმიწევნით დაქსაქსული) და, ამდენად, მცირე წინაღობებით გამოწვეული კონკურენციის ძალის ძალზე მაღალმა მუხტმა, შესაძლოა, „მოკლე ჩართვის“ უფექტის მსგავსად დამანგრევლად იმოქმედოს პოლიტიკურ სისტემაზე. გამომდინარე ხესნებულიდან, პოლიტიკური პარტიების (ან საერთოდ სახელმწიფოთა) რაოდენობა ოპტიმალური უნდა იყოს და მათი თავისუფლება არ უნდა გულისხმობდეს ეროვნული თვითმყოფადობისა და გლობალური განვითარებისათვის ზეობრივად შეუთავსებელი პარტიების დაწესების შესაძებლობასა თუ სხვა მსგავსი სიტუაციების დაშვებას, რაც აუცილებლად უნდა იზღუდებოდეს კანონმდებლობით. მონოპოლიის წარმოქნის პროცესებს უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ არც ქაოსის დაშვება შეიძლება.

კონკურენცია და თანამედროვე ეკონომიკური პროცესები

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობს წარმოების საშუალებების განსაზოგადოების პროცესი და იქმნება სულ უფრო მსხვილი სამრეწველო და სხვა ეკონომიკური ობიექტები, რომლებიც მრავალი სახელმწიფოს საზღვარს სცილდება და ისინი სულ

უფრო მეტი სახელმწიფოს პოლიტიკაზე ახდენენ მზარდ გავლენას. ამ პირობებში, ბუნებრივია, საწარმოს და საერთოდ ეკონომიკური ობიექტის ზომის გაგება შეიცვალა. გასულ საუკუნეში და უფრო ადრე, თუ საწარმო მსხვილ ობიექტად შეიძლება ჩათვლილიყო, ახლა მისი მასშტაბები შეიძლება საშუალო საწარმოს კრიტერიუმსაც გერ აკმაყოფილებდეს. ასევეა მონოპოლიურობის თვალსაზრისითაც. ადრინდელი მონოპოლისტების მასშტაბები დღესდღეობით ნამდვილად არ წარმოადგენს მონოპოლიურს თითქმის არცერთ ერთგვაროვანი პროდუქციისა და მომსახურების ბაზარზე. თუმცა, როგორც გამონაკლისი, უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ჯერ-ჯერობით მიმდინარეობს განსაზოგადოების საპირისპირო პროცესი – მსხვილი ობიექტების დანაწევრება-პრივატიზება არ დასრულებულა და მონოპოლიები აქ არცთუისე დიდი მახასიათებლებით გამოირჩევიან საერთაშორისო კრიტიკიუმებთან მიმართებაში.

კონკურენციის კანონი და პოლიტიკის ეფექტიანობა

საკმაო ხანია, რაც პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესების მხარდასაჭერად, ჩემი დიდი ინტერესისა და დაკვირვების საგანს წარმოადგენს კონკურენციისა და ეფექტიანობის საკითხების შესწავლა და ამ მხრივ კონკურენციის ჩემი კანონიც გამოვაქვეყნე და ევროკავშირის ფორმულირებაც განვავითარე, რომელიც, ჩემდა საბედნიეროდ, საერთაშორისო ექსპერტთა უმნიშვნელოვანებს წრებში იქნა აპრობირებული.

პოლიტიკის ეფექტიანობა, მოგეხსენებათ, ხალხის საწყის ემოციურ აღიარებაში გამოიხატება, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტიანობით უნდა დადასტურდეს. ზოგს ჰგონია, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებში, ეკონომიკა აბსოლუტურად თავისუფალია, რაც არ და არც უნდა წარმოადგენდეს სინამდვილეს. უფრო მეტიც, წარმოების საშუალებების განსაზოგადოებასთან ერთად,

სახელმწიფო რეგულირება აქ სულ უფრო მატულობას და ანტიმონოპოლიური რეგულირებაც სულ უფრო მკაცრი და აქტუალური ხდება. ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის თანამედროვე რეფორმები კი წამყვანი ეკონომიკური ლიდერების ეკონომიკურ სისტემებს სულ უფრო სოცილარი ბაზრის ელფერს აძლევს.

როცა კონკურენტულობის ხარისხის შეფასების სხვადასხვა მაჩვენებელი არასასურველ დონეებზე ფიქსირდება, აშშ-ში და ზოგიერთ სხვა განვითარებულ ქვეყანაში ანტიმონოპოლიური განგაშიც ტყვება. ერთდერთი ასეთი მაჩვენებელი (ჰერფინდალდანგირშმანის ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი HHI) შემოთავაზებულია განისაზღვროს, როგორც ბაზარზე ყველა მოქმედი მიმწოდებლის წილთა კვადრატების ჯამი, რამაც, საუკეთესო შემთხვევაში, 1000-ს არ უნდა გადააჭარბოს. ელექტრიკული გაანგარიშებით, ასეთი სიტუაცია შეიძლება შეიქმნას, როცა ერთგვაროვანი პროდუქციის ბაზარზე ერთდერთი ფირმის წილი 31 პროცენტს გადაამეტებს.

საერთაშორისო და ადგილობრივი კონკურენციის (შესაბამისად, მონოპოლიების) შეფასების მრავალი საინტერესო მეთოდი არსებობს მსოფლიოში, თუმცა ეს მეთოდები, ბუნებრივია, სრულად ვერ ითვალისწინებს ვერც საკუთარ და ვერც ჩვენს სპეციფიკას. დამეთანხმებით, საჭიროა სხვადასხვა გონივრული ხერხისა და მექანიზმის კომპლექსური გამოყენება.

ზემოაღნიშნულისათვის, წარმოგიდგენთ ეკონომიკური კონკურენციის ძალის განსაზღვრის კანონს, რომელიც შემუშავებულია ფიზიკაში დენის ძალის განსაზღვრის ცნობილი ომის კანონის გარემოებით ფორმალური მსგავსებით. ლორთქიფანიძის კონკურენციის კანონი ობიექტური რეალობის გარკვეულ განზოგადებას წარმოადგენს და გულისხმობს, რომ, რაც უფრო მეტია ერთგვაროვანი პროდუქციის (ან მომსახურების) ბაზარზე საერთო მიწოდება და მიმწოდებელთა რაოდენობა და ნაკლებია უმსხვილესი მიმწოდებლის (შესაძლოა, მონოპოლისტის) მიწოდება და არარეალიზებული პროდუქციის

საერთო ოდენობა, მით მეტია ეკონომიკური კონკურენციის ძალის მნიშვნელობა და, შესაბამისად, უფრო თავისუფალია ხსენებული ბაზარი. შემოთავაზებული ეკონომიკური კონკურენციის კანონით შესაძლებელია ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ბაზრების თავისუფლების ხარისხიც შევაფასოთ.

როგორც ცნობილია, ფიზიკის ცნობილ ომის კანონში დენის ძალა განისაზღვრება ფორმულით $I = U/R$, სადაც U ძაბვას წარმოადგენს, R კი წინაღობას. ეკონომიკური კონკურენციის კანონში აღნიშნული საერთო მიწოდება (მთლიანი პროდუქცია) და ომის კანონის ძაბვის მაჩვენებელთან, ხოლო უმსხვილესი მიმწოდებლის მიწოდება და საერთო პროდუქტის არარეალიზებული ნაწილი და ომის კანონის წინაღობის მაჩვენებელთან ერთგვარი ფორმალური მსგავსების მატარებლებია.

კონკურენციის ძალის ინტეგრალური მოქმედების შეფასებისათვის, თავდაპირველად ვსაზღვრავ კონკურენციის ძალის ორ ინდექსს: პირველი ინდექსი $I_1 = U/R_1$, სადაც U – ერთგვაროვანი პროდუქციის მთლიანი გამოშვებაა, R_1 კი – ერთგვაროვანი პროდუქციის ყველაზე მსხვილი მწარმოებლის გამოშვება; ხოლო მეორე ინდექსი $I_2 = U/R_0$, სადაც R_0 – არარეალიზებული პროდუქციაა, რომელიც, ძირითადად, მოთხოვნილებებთან და მოთხოვნასთან შეუსაბამო დაბალხარისხიანი ან, პირიქით, ზედმეტად ძვირადდირებული (სუპერფეშენებელური) ან მონოპოლიურად გაძვირებული პროდუქციის ოდენობაა, რაც ძირითადად გამოწევლია შედარებით დაბალი ფინანსური ტევადობის ბაზარზე იმ მონოპოლიების არსებობით, ვინც არაკეთილსინდისიერად მოიპოვა მონოპოლია ან მონოპოლიური მდგომარეობის ნიჭიერად მიღწევის შემდეგ, როგორც მონოპოლისტი, ზედმეტად ზრდის ფასებს მონოპოლიური ზემოგების მიღების მიზნით.

გასათვალისწინებელია გარემოებაც, როცა არარეალიზებული პროდუქცია შესაძლებელია ჭარბწარმოების

კრიზისების დროსაც აღმოცენდეს და ამ შემთხვევაში მონოპოლიების ბრალეულობა შეიძლება ნაკლები ან საერთოდ არ იყოს. ასეთი ჭარბწარმოების დროს წარმოების ოდენობა სტიქიურად ზედმიწევნით გაზრდილია, მაშასადამე, წარმოების მატების დონეც დაკვირვებას და ოპტიმიზებას საჭიროებს და კონკურენციის ძალაც, შესაბამისად, გადაჭარბებით არ უნდა გაიზარდოს.

კონკურენციის ძალის კრებსითი შეფასებისათვის შემოგვაჭვს ე.წ. ინტეგრალური კოეფიციენტი $\mathbf{K} = \mathbf{N} \times \mathbf{I1} \times \mathbf{I2}$, სადაც \mathbf{N} – ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელ ფირმათა რიცხვია ბაზარზე.

ზოგადად, $\mathbf{I1}$, მიზანშეწონილია, რომ 3დზე ნაკლები არ იყოს, $\mathbf{I2}$ – შესაბამისად, 5დზე მეტი უნდა იყოს, ხოლო \mathbf{N} – 10დზე მეტი. მაშასადამე, \mathbf{K} და 150დზე ნაკლები არ უნდა იყოს, თუმცა, ზედა ზღვარსაც დაკვირვება უნდა და ქვეყნის მასშტაბებიდან და სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე, რაც მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის პერიოდულად დამატებით კომპლექსურ შესწავლას საჭიროებს, \mathbf{K} -ს მნიშვნელობა მეტნაკლებად 1000დს არ უნდა აღემატებოდეს. ბუნებრივია, დამატებითი სპეციფიკური გარემოებების გამოვლენისას, საჭიროა, გავითვალისწინოთ ბუნებრივი მონოპოლიების შესაძლო არსებობა ეკონომიკის ზოგიერთ სუპერმეცნიერებატევად დარგსა და ქვედარგში, მ.შ. მსხვილ ენერგეტიკაში, კოსმოსურ პროცესებზე დაკვირვების რადიოლოკაციური სისტემებში, მსხვილ მეტალურგიულ, მანქანათმშენებელ და ქიმიურ ინდუსტრიაში, რომლებიც მცირე ქვეყნებსა და რეგიონებში, ბუნებრივია, მრავლად ვერ იქნება და სახელმწიფო მეთვალყურეობასა და რეგულირებას მეტად საჭიროებს.

ხატოვნად რომ ვთქვათ, რაც უფრო ძლიერი (თავისუფალი) იქნება კონკურენცია, მით უფრო არსებითი იქნება ბაზრის საერთო კეთილდღეობის საჭირო ნათებაც. კონკურენციის

შემოთავაზებული კანონი ავლენს მსოფლიოში მრავლად არსებულ ფარულ ქ.წ. “პოლიტიკური რენტის (მაფიის)” მონოპოლიებს (ასე იმ გარკვეულ არაბუნებრივად გაზრდილ ფირმებს ვუწოდებ, რომელთა კონკურენციის ძალის ინდექსი 3დაზე ნაკლებია, ხოლო, სასურველია, 5დაზე მეტი იყოს), ასევე, მტაცებლური დემპინგისა (მოჩვენებითი დაბალფასიანი იმპორტის) და მყიდველის მცირე ხელფასის (დაბალი მსყიდველობითუნარიანობის) გამო არარეალიზებული ნამატის არსებობაზე მიგვანიშნებს. პოლიტიკის ეკონომიკაში უხეში ჩარევისა და კონკურენციის არასასურველად შეზღუდვის პრობლემა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს ყოფილ ათეისტურ და სუპერდიორექტიულ პოსტსაბჭოთა სიგრცეში ავლენს. რევოლუციური რეფორმირების პოლიტიკა სწორედ “პოლიტიკური მონოპოლიების” გავლენის საწინააღმდეგოდაა მიმართული, რომლებიც, თავის მხრივ, მათთან დაწყებული ბრძოლის ადგევატურად, მაფიურ კლანებთან შეზრდის მიდრეეკილებებს ავლენენ.

ბუნებრივია, რაც უფრო მეტია კონკურენტთა (მეწარმეთა) რაოდენობა ეკონომიკურ გარემოში და მეტია მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, მით უფრო დაბაბულია (პროდუქციის მრავალფეროვანი არჩევანის და არა თავისუფლების შეზღუდვის თვალსაზრისით) კონკურენცია და თავისუფალია კონკრეტული პროდუქციის (მომსახურების) წარმოების მიკრობაზარი. შესაბამისად, გარკვეული მიკროსეგმენტის მომძლავრების კვალიობაზე, მით უფრო ეფექტიანი ხდება (მ.შ. ხარისხობრივი თვალსაზრისითაც) სულ უფრო კონკურენტული მაკროგარემოც. კველაფერს ზომიერება უნდა და რა თქმა უნდა არც სახელმწიფო და კერძო სექტორების მთავარ თანაფარდობაში უნდა დაირღვეს კონკურენციისათვის სასურველი წონასწორობა.

ოპტიმალური (მისაღები) ზომიერების სამეწარმეო სუბიექტების სიმრავლე (საჭირო წარმოებისა და მომსახურების

სახეობით, არამოჩვენებითი ტექნოლოგიური დონითა და სხვა პროდუქტიული სიმძლავრეებით) მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის პირობებში შეიძლება ჩამოყალიბდეს. დათის ნების პირობებში, ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელს სწორედ სიკეთის ქმნაში თავისუფალი შეჯიბრი (კონკურენცია) წარმოადგენდეს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მეწარმეთა პაექტობა შესაძლებელია განსაკუთრებით სახიფათოც გახდეს, თუ საზოგადოების სულიერება (ადამიანის ჭეშმარიტი ხედვა) სუსტდება. ამდენად, პაექტობა მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის (კეთილდღეობის) ქმნაში შეჯიბრად უნდა მოვიაზროთ უკეთესი საკუთარი პროდუქტის შესაქმნელად, რაც საერთო ჯამში საერთო კეთილდღეობასაც ამაღლებს.

სამწუხაოდ, ზოგი საკმაოდ ნიჭიერი ოპონენტი თვლის, რომ ანტიმონოპოლიური რეგულირება საერთოდ არ არის საჭირო, ვინაიდან, მისი ორგანო ხშირ შემთხვევაში კორფუციის ბუდე ხდება და ხელს შეუშლის წარმატებულ მეწარმეებს. ყოველთვის საინტერესოა დირსეულ ოპონენტებთან კამათი და შესაბამისად საჭირო კომპრომისების მიღწევა, მაგრამ, ამ შემთხვევებში, ჩვენს ოპონენტებს ვერასგზით დავეთანხმები. მათებურად რომ ვიფიქროთ, გასაუქმებელი იქნებოდა გარკვეულ პერიოდებში ისტორიულად კორუმპირებულობით ცნობილი საბაჭო და საგადასახადო სამსახურებიც (რომლებსაც, გარკვეულ შემთხვევებში, ანტიმონოპოლიურის პორალურად განსხვავებული ინტერესებიც შეიძლება პქონდეს მსხვილი გადამხდელების მატების სახით), მაგრამ ეს შეუძლებელი და დაუშვებელია.

თუ კეთილსინდისიერი მეწარმე თავისი ნიჭიერებით (უნარით) ხდება მონოპოლისტი ბაზარზე, ანტიმონოპოლიური ორგანო, მართალია, არ უნდა უშლიდეს მეწარმეს შემდგომშიც გამოავლინოს თავისი წარმატებული უპირატესობა, მაგრამ ის ამ შემთხვევაში სიფრთხილით უნდა აკვირდებოდეს მონოპოლისტს, რომ მონოპოლიურმა უპირატესობამ არ დააზიანოს ბაზარი და არ გამოიწვიოს შესაბამისი პროდუქციისა და მომსახურების

ზედმიწევნით გაძვირება ან ხელოვნური დეფიციტი და ბაზარზე დიქტატორული პირობების კარნახი.

სპორტული შეჯიბრისაგან განსხვავებით, როცა ერთი იგებს, ხოლო მეორე მარცხდება, სრულყოფილ ეკონომიკურ კონკურენციაში ორივე მხარე მოგებულია და ბაზარს იმდენი მიეწოდება, რამდენიც მთხოვნელს რეალურად უნდა და მიმწოდებელიც მაქსიმალურად შესაძლო შემოსავალს იღებს და მყიდველი საბოლოოდ ნაკლებს იხდის იმასთან შედარებით, რაც მას მოთხოვნილების დასაჭმაყოფილებლად სხვა გზით მოუწევდა.

ტექნიკურად რაც არ უნდა განვითარებული იყოს ბაზარი, თუ კონკურენცია არ არის სრულყოფილებასთან მიახლოებული, ეკონომიკური ეფექტიანობის ნაცვლად, შესაძლოა, დიდ დანაკარგებთან გვქონდეს საქმე. განსაკუთრებით სავალალოა შედეგი, როცა ბაზარს თავის სასარგებლოდ “ერთმმართველი” აკონტროლებს (მონოპოლია, როცა გამყოდველია ერთი და მონოფსონია, როცა მყიდველია ერთი) ან ეკონომიკური სუბიექტების რიცხვი შეზღუდულია (ოლიგოპოლია, ანუ ჯგუფური მონოპოლია, მათ შორის დუოპოლია, როცა მხოლოდ ორი მიმწოდებელია ბაზარზე) და ხსენებულ სუბიექტებს შესაძლებლობა ეძლევათ ფარულ შეთანხმებაში შეგიდნენ.

რაც უფრო მეტი იქნება მცდელობა განვავითაროთ კონკურენტული გარემო, მით მეტი იქნება ბაზრის ხარისხობრივი მაჩვენებლები. შესაბამისად, მეტად სრულყოფილ დარგთაშორის კონკურენციაში მონაწილეობა აიძულებს ფირმებს უფრო რაციონალურად გადაანაწილონ რესურსები, ხოლო საერთაშორისო კონკურენციაში მონაწილეობა ქვეყნის მთავრობებს სტიმულს აძლევს სრულყონ საკანონმდებლო ბაზა (ამ საკითხებზე უფრო კრიტიკული იხილეთ ქვაშვეთის ტაძარში კურთხევით გამოცემული ჩემი მონოგრაფია „ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ“).

ევროკავშირის კომისიის ექსპერტთა მიღებომის განვითარებით, ჩემს მიერ შემოთავაზებულ იქნა ე.წ. ეკონომიკური სტრუქტურის ეფექტიანობის შეფასება, რომელიც მიზან-შეწონილია გამოყენებულ იქნეს როგორც რენტაბელური დარგების წასახალისებლად ბაზრის ფინანსური ტევადობის გაზრდისათვის, კონომიკური სტრუქტურის (მ.შ. ტერიტორიული, დარგობრივი, ასაკობრივი, სახეობრივდტექნოლოგიური, აღწარმოებითი და სხვ), ასევე ეკონომიკური ეფექტიანობის დადგებითი გავლენის ამაღლებისა და ხარჯების შესაძლო ხელოვნური გაბერვის მაკროეკონომიკური ტენდენციების აცილების მიზნით, განსაკუთრებით, კრიზისული მოვლენების გამწვავების დროს:

$$E = \sum_{i=1;2;\dots;n} [(E_{io}+E_{it})/2]\Delta ai;$$

სადაც, **E** – სტრუქტურის ეფექტიანობად დროის **t** მონაკვეთში;
E_{io} – სტრუქტურის შემადგენელი **i**-ური ელემენტის საწყისი ეფექტიანობაა;
E_{it} – სტრუქტურის შემადგენელი **i**-ური ელემენტის ეფექტიანობაა **t** მონაკვეთის დასასრულისათვის;
Δai – გამოყენებული რესურსის სტრუქტურის შემადგენელი **i**-ური ელემენტის ხვედრიწონის ცვლილებაა დროის **t** მონაკვეთში;
i=1;2;\dots;n – სტრუქტურის შემადგენელი ელემენტი (დარგი, რეგიონი, ასაკობრივი, სახეობრივი ჯგუფი ან სხვ.).

ხარჯების მატების გამო ეკონომიკის განსაკუთრებით სწრაფი განვითარების აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა ვეცადოთ, დამატებითი სტიმულები მივცეთ სტრუქტურის ეფექტიან შემადგენლებს (და არა გამოუყენებელ წამგებიანებს, რაც ხარჯების დამატებით გადიდებას გამოიწვევს ისედაც შეზღუდულ პირობებში), რათა მათი შემოსავლების ხარჯზე დავაწინაუროთ ჩამორჩენილი ელემენტებიც. ასეთ დროს, ზემოაღნიშნული სტრუქტურის ეფექტიანობა აუცილებლად

დადებით ნიშნულზე უნდა დაფიქსირდეს, ამასთანავე, არსებითი მატების ტენდენციით.

პოლიტიკაშიც, ბუნებრივია, მსარი უნდა დავუჭიროთ იმ პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც უანგაროდ ზრუნავს ხალხის ცხოვრების დონის არსებითი ამაღლებისათვის და აღიარებულ გულწრფელობასა და სამართლიანობასთან ერთად არგუმენტირებული და სანდო გრძელვადიანი ეკონომიკური პროგრამებით გამოირჩევა.

კონკურენცია თუ ტექნიკური პროგრესი?

სამყაროს მართებულად შეცნობისათვის, ძალზე მნიშვნელოვანია კითხვის მართებულად დასმა, რითაც სკოლამდელი ბავშვებიც გვაკვირვებენ ხოლმე. პასუხისათვის აზრის მართებულად განვითარება კი მანამდე ამოუცნობ სამყაროში სწრაფად გარკვევის საშუალებას გვაძლევს. ჩვენს შემთხვევაში, ვცდილობთ გავერკვიოთ საკითხში - რომელია უფრო მნიშვნელოვანი, მაღალკონკურენტული ბაზარი გვქონდეს თუ ტექნიკური პროგრესით დაწინაურებული წარმოებისათვის ვიზრულო. ბუნებრივია, ორივე მნიშვნელოვანია ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, მაგრამ მაინც, რომელია უფრო მნიშვნელოვანი?

წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როცა ქვეყანაში დიდი მეცნიერული აღმოჩენის წყალობით ტექნიკურ პროგრესში ნახტომისებური (რევოლუციური) წინსვლის საშუალება გვეძლევა, მაგრამ ეს აღმოჩენა ბოროტ მონოპოლისტს ჩაუვარდა ხელში, რომელიც მხოლოდ მონოპოლიური მოგების მიღებაზე ფიქრობს. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესება უმნიშვნელო იქნება აღმოჩენის მასშტაბებთან შედარებით, ხოლო უარეს შემთხვევაში, შესაძლოა, რეაქციული გამოვლინებების ეპოქაც დადგეს.

ახლაკი, მეორე სიტუაცია განვიხილოთ. თუ ქვეყანაში მაღალკონკურენტული ბაზარია, ბუნებრივია, აქ ტექნიკური პროგრესის განმავითარებელ დარგებსაც ეძლევათ სტიმულები

და ნიჭიერებაზეც განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნაა. აქ ტექნიკური ინფორმაციის მოპოვების გარემო მაქსიმალურად გამჭვირვალეა და მისი განვითარება-გავრცელებაც შესაძლოდ სწრაფად ხორციელდება.

მაშასადამე, სახეზეა დასკვნა: უპირველესად ბაზრის მაღალკონკურენტულობაზე უნდა ვიზრუნოთ, რისთვისაც შესაბამისი კომპეტენტური და მობილური (ნაკლებხარჯტევადი) ინსტიტუტები უნდა ფუნქციონირებდნენ.

ჭეშმარიტი კონკურენცია ინფლაციის, უმუშევრობისა და სიღარიბის წინააღმდეგ

როგორც ცნობილია, ზოგ დიდ ეკონომისტთან, ინფლაციის გარკვეული ზრდა უმუშევრობის შემცირებას იწვევს. საკვალიფიკაციო კვლევაში, აღნიშნულთან დაკავშირებით, ფილიფსის მიმდევართა ეკონომიკური მექანიდრეობის განზოგადებისა და თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით დამატებითი არგუმენტაციის საფუძველზე, შესაბამისი გრაფიკული ინტერპრეტაციაც წარმოვადგინე. ჩვენი ღრმა რწმენითა, ჭეშმარიტი კონკურენციის შემთხვევაში, უმუშევრობის შემცირება ინფლაციის შემცირების პარალელურადაც შეიძლება მიმდინარეობდეს.

მართალია, ფასების მატება მეტი ხელფასების გაცემის საშუალებას იძლევა, რაც მოჩვენებით ზრდის დასაქმებას, მაგრამ ასეთი მატება ჩვენი მიზანი არ შეიძლება იყოს. ფასი უკეთესი ხარისხის პროდუქციაზე მეტია, მაგრამ მისი გადაჭარბებული ზრდა მხოლოდ და მხოლოდ მონოპოლიებისა და ფარული ბიუროკრატიული შეზღუდვების არსებობაზე მიგვანიშნებს. საბაზრო ნაკადებისა და ადამიანების მოძრაობაზე ასეთი შეზღუდვების შესაძლო მინიმიზება და კონკურენტული გარემოს არსებობა ეკონომიკაში ფასების გამოთანაბრებასა და წონასწორობას უზრუნველყოფს, რაც

სიმდიდრის ხელოვნური ზეპოლარიზებისა და სიღარიბის შემაკავებელია.

კონკურენცია და კორუფცია

კონკურენციის არარსებობა სწორედ ყველაზე მეტად არაკომპეტენტურ და, შესაბამისად, კორუფციისაკენ მიდრეკილებად კადრებს აწყობთ. კონკურენცია არ იგბინება, ის ეხმარება ადამიანებს მასობრივ დასაქმებაში, მაგრამ სწორედ კორუმპირებული ადამიანების მცდელობებით, ისეთი "კონკურენტული" პირობებიც ვრცელდება, რომ ადამიანები კომპლექსდებიან და ფრთხილობენ ასეთ არარეალურ კონკურსებში მიიღონ მონაწილეობა.

კონკურენცია, მარკეტინგული კალევები და მენეჯმენტი

მარკეტინგი, როგორც ბაზარზე ადამიანთა საზოგადოებისა და კონკრეტულად ყოველი ადამიანის მოთხოვნილებების უკეთ უზრუნველყოფის შემსწავლელი ხელოვნება, რაც არ უნდა მაღალპროფესიული იყოს, ვერაფერს მოახერხებს, თუ ბაზარი მონოპოლიზებულია და მონოპოლისტი დიდ გავლენას ახდენს ფასების დონეზე. კონკურენტულ ბაზარზე კი ფასები ვერც მონოპოლიურ კარნასს ექვემდებარება ზრდის მიმართულებით და ვერც შენიდბულად მცირდება, რის შედეგადაც, გონივრული მარკეტინგული არგუმენტები და ზომიერი რეკლამა მაქსიმალურად უზრუნველყოფს ბაზის პოტენციალის ამოქმედებასა და მატერიალური მარაგებისა და საქონლისა და მომსახურების შესაძლო ეფექტიან მოძრაობას. ასევეა მენეჯმენტის შემთხვევაშიც. ეკონომიკური სუბიექტის მმართველი რაც არ უნდა გამჭრიასი და შორსმხედველი სტრატეგი იყოს, თუ ბაზარი მონოპოლიზებულია, მისი ქმედებები სტაბილური შემოსავლებისა და ადგვატური მოგების მომცემი ვერაფრით ვერ იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლორთქიფანიძე რ. ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ. – თბილისი, ქვაშვეთის ტაძარში კურთხევით, 2005.
2. ლორთქიფანიძე რ. განმარტებები კონკურენციის ქანონის, ეფუძნებოდების ფორმულის განვითარებისა და მაკროსტაბილურობის სტრატეგიულ საკითხებზე. ელექტრონული ურნალი, საზოგადოებრივი მეცნიერებები, ეკონომიკა, 2012, 16 თებერვალი (www.education.ge).
3. ფეხულავა ს. კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. თბილისი, 2007.
4. სასაქანლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მეთოდური რეკომენდაციები. თბილისი, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, 1998.
5. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. თბილისი, 2000.

ეთერ კაჯულია

**მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე
ბლოგალიზაციის გავლენის კანონზომიერებები**

მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში აღიარებულია, რომ მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია წარმოადგენს ობიექტურ პროცესს, რაც რეალურად, განპირობებულია მთელი რიგი ქვეყნების განვითარების არსებული (თანამედროვე) ეტაპით და ტრანსნაციონალური წარმოების გაფართოებით. ძირითად მამოძრავებელ ძალას, რაც გლობალიზაციის პროცესს შეუქცევადს და დინამიურს ხდის, წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების დაჩქარება; ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და საერთაშორისო წარმოების საქმიანობათა გაფართოება; მაღალი ტექნოლოგიების და მეცნიერებაზევადი პროდუქციის გაცვლის ინტენსიფიკაცია; ფინანსებით, კომპიუტერებით, ინფორმაციული და საქმიანი მომსახ-

ურეობის სხვადასხვა სახეობებით ვაჭრობის გააქტიურება. გლობალიზაციის პროცესი ერთდროულად ქმნის შესაძლებლობებს მსოფლიო მეურნეობრივ კავშირთა სისტემის სტაბილური და ეფექტური განვითარებისა და აწინაურებს მასში მონაწილე ქვეყნებსა და ცალკეულ წარმოებებს – ახალი და კომერციული საქმიანობის უფრო მკაცრი სტანდარტებით, მოწოდებული საქონლისა და მომსახურების ტექნიკური დონისა და მაღალი ხარისხის მოთხოვნით. მათ ვინც ამ მოთხოვნებს ვერ პასუხობს ემუქრებათ გარდაუვალი წაგება კონკურენტულ ბრძოლაში და მსოფლიო ეკონომიკის მიღმა დარჩენა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), რომლის წევრია საქართველო, უცილობლად მიიყვანს ქვეყანას შიგა ბაზრის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასთან.

მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში მცირე და საშუალო საწარმოები უმეტეს შემთხვევაში მუშაობდნენ შიდა ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე, ხოლო მსხვილი საწარმოები კი – საგარეო ბაზრებზე. გლობალიზაციის მიჯნაზე, ბოლო წლებში განვითარებული ქვეყნების მცირე და საშუალო საწარმოები რომლებმაც აითვისეს საერთაშორისო თანამშრომლობის უახლესი ფორმები და მეთოდები და დანერგეს მართვასა და წარმოებაში ინოვაციური მიღგომები, ამით დაიწყეს თავიანთი უფლებებისა და საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება.

დღეს ვერ ვიტყვით ქართულ ეკონომიკაში ამ მიმართულებით რაიმე არსებითი ნაბიჯი იყოს გადადგმული, არადა აღნიშნული კუთხით, საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობაში მცირე და საშუალო ბიზნესის ჩართვა (ექსპორტი) იმთავითვე წარმოადგენს ქვეყნის ბიზნესის განვითარების სტრატეგიულ ალტერნატივას, ვინაიდან მცირე და საშუალო ბიზნესი დაეხმარება მსხვილ ბიზნესს გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი (მათ შორის ქვეყნის შიგნით). ამასათან, ეს პროცესი ხელს შეუწყობს ქვეყანაში საშუალო ფორმირებას.

დღეს, ფირმები რომლებშიც დასაქმებულია 500 ადამიანზე ცოტათი ნაკლები, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ შეერთებული შტატების ეკონომიკაში. ესენი წარმოადგენენ მცირე და საშუალო საწარმოებს (მცირე ბიზნესს). ამერიკის ეკონომიკაში დასაქმებულთა ახალი ქსელის შექმნის საერთო რაოდენობიდან მათზე მოდის 60-80% [1]. აქ მცირე და საშუალო ბიზნესზე გლობალიზაციის გავლენის განსაზღვრისათვის იყენებენ ექსპორტს, (მსს-ის მიერ განხორციელებულ ექსპორტს) მულტინაციონალური კორპორაციის ქონების ექსპორტს, როგორც გლობალიზაციის საზომს. მსს ექსპორტი ასახავს გლობალიზაციით გამოწვეული კონკურენციის მასშტაბებს მცირე ფირმებისათვის და აგრეთვე ასეთი მსს წარმოადგენს სანდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის რეგიონში. უფრო მეტიც ეს საზომი მიუთითებს გლობალიზაციის ორ მნიშვნელოვან ასპექტზე: საერთაშორისო ვაჭრობაზე და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე.

ამდენად დღეისათვის განვითარებად და კერძოდ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის ერთ-ერთ გადამწყვეტ საპაკანდო ამაცანას წარმოადგენს, მსს-ის სტიმულირება, ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში მათი მონაწილეობის მიზნით. სახელმწიფოს ხელშეწყობის გარეშე საერთაშორისო ვაჭრობაში მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტიანი ფუნქციონირება არც ისე ითლი საჭმეა და არც ისე დიდი პერსპექტივებით. დღეს ქართულ სტატისტიკურ მონაცემებში ჩვენ ვერ მოვიძიეთ მცირე და საშუალო ბიზნესის ექსპორტის და ვერც მათზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემები.

თანამედროვე მკვლევარ-ეკონომისტები ერთხმად აღიარებენ იმ ფაქტს, რომ სწორედ თავისუფალი ვაჭრობა წარმოადგენს დღეს გლობალიზაციის იმ მამოძრავებელ ძალას, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას. დღეისათვის ექსპორტზე მოდის მშპ-ის 20%-ზე მეტი. ბოლო

წლებში მსოფლიო ვაჭრობა წინაშე განვითარდა ტექნიკური ხასიათ-დება მსოფლიო წარმოებასთან შედარებით.

სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის მოცულობის ზრდა განაპირობებს დასაქმებულთა და ეროვნული წარმოების მოცულობის ზრდას, ასტიმულირებს ეკონომიკის ტემპებს, ხოლო საწარმოების მხრიდან ექსპორტი დაეხმარება მათ გააფართოვოს მომარაგების მოცულობა, ოპტიმალურად გამოიყენოს საწარმოო სიმძლავრეები, შემცირდეს შიგა ბაზარზე ცვლილებების რისკი და გაიუმჯობესოს ფინანსური სტაბილურობა.

ოპტიმალური “ექსპორტის კომპლექსის” შერჩევა და ფუნქციონირება შეადგენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების, ერთ-ერთ აქტუალურ ამოცანას. 2011 წელს საქართველოს მთელი საგარეო ვაჭრობის 75%-ს იმპორტი შეადგენდა, რისი შედეგიც უარყოფითი სავაჭრო ბალანსია, რომელმაც 4.865 მილიონ აშშ დოლარ მიაღწია [4]. საექსპორტო საქონელს შორის უმსხვილესი სასაქონლო კატეგორია ავტომობილებია (რეექსპორტი) (20,6%), მას მოსდევს ფეროშენადნობი (11,6%), მინერალური და ქიმიური სასუქები (6,6%).

როგორც სტატისტიკური მასალები გვიჩვენებს ბოლო წლებში იმპორტშიც და ექსპორტში ზრდის ტენდენცია შეიძლება, თუმცა იმპორტის ზრდის ტემპი ექსპორტის ზრდის ტემპს ადემატება. განსაკუთრებით ბოლო წლებში იმპორტის ზრდის ტემპი განპირობებული იყო იმპორტულ საქონელზე ფასების ზრდით და არა მოხმარებული საქონლის მოცულობის ზრდით. მზარდი სავაჭრო დეფიციტი ასახავს ეროვნული ეკონომიკის არაკონკურენტუნარიანობას და ადგილობრივი წარმოების შეზღუდულობას, რაც თავის მხრივ განპირობებულია იმით, რომ ინოვაციური და ექსპორტზე ორიენტირებული ადგილობრივი წარმოება სახელმწიფოს მხრიდან საკმარისად არაა მხარდაჭერილი და წახალისებული. როგორც ანალიზი გვიჩვენებს არც ქართული საბანკო სექტორი არაა მზად იმისათვის, რომ ქვეყანაში ხელი შეუწყოს ბიზნესის (წარმოების) განვითარებას, მათი ძირითადი მიზანია მოკლევადიანი ეფექტები.

მსოფლიოში, ნებისმიერი სახელმწიფოსათვის ეკონომიკის დონის შეფასების მაჩვენებლებს შორის, ერთ-ერთ ძირითადს წარმოადგენს მისი კონკურენტუნარიანობის დონე სხვა ქვეყნის ეკონომიკასთან. ყოველწლიურად სპეციალისტები ანგარიშობენ თითოეული ქვეყნისათვის კონკურენტუნარიანობის რეიტინგს.

მოცემული ინდექსის გაანგარიშებისას ერთ-ერთ კრიტურიუმად გაითვალისწინება, მცირე და საშუალო ბიზნესის (მე-წარმეობის) განვითარების კრიტერიუმი.

ლიტერატურის გაცნობა ცხადყოფს, რომ მსოფლიო ეკონომიკიაში მცირე და საშუალო ბიზნესის როლი მეტად დიდია, ჯერ ერთი, მთლიან შიდა პროდუქციაში მათი ხვედრითი წილის და მეორე ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პროცესში მათი მონაწილეობის მაჩვენებლის მონაცემებით ასევე ეროვნული ეკონომიკების კონკურენტუნარიანობის ამაღლების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შესაძლებლობებით. მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი ვლინდება იმაში, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის ადგილი ჩვეულებრივ იქაა სადაც ბაზრის სეგმენტი და ნიშა საქმაოდ პატარაა იმისათვის, რომ შევიდეს მსხვილი ბიზნესი. მსს (მცირე და საშუალო საწარმოები) ავსებენ ბაზრებს ისეთი საქონლითა და მომსახურებით, რომლებიც რიგი ეკონომიკური მიზეზების გამო არ იწარმოება მსხვილ კორპორაციებში. მსს მომსახურების გარეშე დღეს რიგი მსხვილი კომპანიებისა ვერ შეძლებენ განეხორციელებინათ წარმოება ხარისხიად და თანამედროვე დონეზე.

საქართველოს ეროვნული საინოვაციო სისტემის კონცეფცია მომზადდა და ჩამოყლიბდა, სოციალური კვლევისა და პოლიტიკური ანალიზის საერთაშორისო ცენტრის (ICSRPA) მიერ [3], სადაც ერთ-ერთი მთავარი აქცენტი ქვეყანაში მცირე და სასუალო ბიზნესის განვითარებაზეა გაპეტებული. გლობალიზაციის მთავარ დასაყრდენს და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციებზე ორიენტირებული ეროვნული ბიზნესი. ეროვნული ეკონომიკის

კონკურენტუნარიანობის სტრატეგია დამოკიდებულია თანამე-დროვე ტექნოლოგიებზე, ინოვაციებზე, ექსპორტის მოცულობის გაფართოებაზე, მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდაზე.

საქართველოში ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული მცირე და საშუალო ბიზნესის როლი, ეროვნული ეკონომიკის განვითარებისათვის, საერთაშორისო ეკონომიკურ ლიტერატურაში. სწორედ აღნიშნულია ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მას მთავრობის მხრიდან ვერ ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

მთელს მსოფლიოში (განსაკუთხებით განვითარებულ ქვეყნებში) მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერა ათასობით სამუშაო ადგილის შექმნას, პროდუქციისა და მომსახურების დივერსიფიცირებულ მიწოდებას, უახლესი მაღალტექნიკულოგიური პროდუქციის წარმოებაში დანერგვას და ტრადიციული, ეროვნული წარმოების შენარჩუნებას ნიშნავს.

მსოფლიოში დანერგილია ISO-ს (სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია) სერტიფიკატის გაცემა. ISO 9001 სტანდარტის შესაბამისი “ხარისხის მენეჯმენტის სისტემის” სერტიფიკატს ფლობს 161 ქვეყნის 780 ათასი ფირმა და მათ შორის 25%, ამ ქვეყნების შესაბამისი კლასიფიკაციის მიხედვით, მცირე მეწარმეობის სუბიექტია. ასეთ ქვეყნებს შორის დღეისათვის ჩინეთი იყავებს პირველ ადგილს.

საქართველოში (უახლოესი მონაცემებით) ISO 9001-ით სერტიფიცირებულია 58 კომპანია, თუმაცა მათ შორის ჩვენთან არსებული კრიტერიუმით, არცერთი მცირე საწარმო არ არის. ჯერ კიდევ 10 წლის წინათ ISO 9001 სერტიფიკატის არსებობა, ნებისმიერი ზორის საწარმოში მის ელიტარულობაზე მიუთითებდა. დღეს კი ასეთი სერტიფიკატი მსოფლიო ბაზარზე ადგილის დამკვიდრების ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია. ISO 9001 სერტიფიკატი მცირე საწარმოს აძლევს პრიორიტეტს ტენდერში მონაწილეობისას და შედავათიანი კრედიტების აღებისას. იზრდება პარტნიორთა, განსაკუთრებით უცხოელთა ნდობა.

სერტიფიკატი მეტყველებს ბიზნესის სტაბილურობაზე, ამდენად საიმედოცაა ინვესტორისათვის.

გლობალზაციის პირობებში ბიზნეს პროცესების ლოგიკა მცირე მეწარმისაგან მოითხოვს ინვაციურობას, პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის პრინციპულად ახალ დონეზე აწევას, მათ შესაბამისობას მსოფლიო სტანდარტებისადმი. ISO-ს მიერ ხარისხის სტანდარტების დანერგვა ბევრად გაადვილებს ამ მოთხოვნის შესრულებას და საქმიანი კავშირების დამყარებას. ამასთან ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ WTO-ში შესვლით ქართულ ბიზნესს საკუთარ ტერიტორიაზე უხდება კონკურენცია უცხოელ კოლეგებთან.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (WTO), საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და ა.შ. ეს ინსტიტუტები თავიანთი მისით გლობალური ეკონომიკური პროცესების დახვეწასა და ხელშეწყობას ემსახურებიან რათა შემცირდეს ეკონომიკური კრიზისების ალბათობა და ხელი შეეწყოს საერთაშორისო თანამშრომლობას. თუმცა ანტიგლობალისტები ეკონომიკურ კრიზისებს, თუ მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე სხვა უარყოფითი ეკონომიკური მოვლენების მიზეზად აღნიშნულ ორგანიზაციებს და გლობალიზაციას ადანაშაულებენ.

ცხადია შიშის ფაქტორს წარმოადგენს ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტნკ), რომლებიც არ არიან შეზღუდულნი არც თავიანთი მოქმედების არეალში და არც რესურსების მოზიდვის თვალსაზრისით. მათ შორის იმ ქვეყნებიდან რომელიც მხოლოდ ახლა დაადგნენ განვითარების გზას. ხშირ შემთხვევაში ასეთი კორპორაციების შემოსავალი აღემატება მცირე ქვეყნის არამარტო ბიუჯეტს, არამედ მთლიანად შემოსავალს. მათ ადგილად შეუძლიათ მოიპოვონ კონტროლი პოლიტიკურ ხელისუფლებასა და რესურსებზე. მათ ადანაშაულებენ ადგილობრივი წარმოების დათრგუნვაში და უცხოური პროდუქციის თავზე მოხვევაში. კოკა-კოლას საქართველოში შემოსვლას მოჰყვა ადგილობრივი ლადიძის წყლების

წარმოების დათრგუნვა. მაგრამ “მაკდონალდის” მიერ შემოტანილმა მომსახურებისა და ხარისხის სტანდარტმა ზოგადად საქმარო დადებითი გავლენა მოახდინა ქართული რესტორნების ბიზნესზე, განსაკუთრებით კი “სწრაფი კვების” სფეროში.

მსოფლიოში განსაკუთრებით უსვამენ ხაზს ინდუსტრიულ წნევეს გარემოზე, გარემოს დაბინძურება. გარემოს დაბინძურება უფრო მეტადაა მოსალოდნელი დარიბ, ვიდრე მდიდარ ქვეყნებში. მაგრამ რადგანაც ჰაერის და წყლის ოუნდაც ნიადაგის დაბინძურებამ ეროვნული და სახელმწიფოებრივი სახლვრები არ იცის ამდენად ეს პრობლემა ზოგადად საკაცობრიო გლობალურ ხასიათს იძენს. და მის დაძლევაზე მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ, სწორედ აქ უნდა თქვას თავისი დადებითი სიტყვა გლობალიზაციამ.

საქართველოს მთავრობების მიერ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულმა რეფორმებმა დადებითი შედეგი გამოიდო. წლითი-წლობით იზრდებოდა ქვეყანაში პირდაპირი ინვესტიციები, რუსეთ-საქართველოს ერთკორიანი ომის გამო, თუ პირდაპირი ინვესტიციების მოცულობა 2009 წელს თითქმის განახევრდა 2007 წელთან შედარებით, მიუხედავად ამისა 2009 წლის მიმართ დღემდე ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში მაღალი წილით ხასიათდება ევროკავშირი, თუ მისი წილი 2009 წელს შეადგენდა 29,5%-ს, 2011 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 55,4%.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები კარგია მაგრამ, ისინი ვერ შექმნიან ეკონომიკის ეროვნულ სახეს, გლობალიზაციის პირობებში ითხოვს ინოვაციებს. ინოვაციური საქმიანობები საქართველოში შეიძლება ითქვას გართულებულია რიგი მიზეზების გამო. მსოფლიოში აღიარებულია რომ მცირე და საშუალო ბიზნესი მაღალ ინოვაციურია. მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფოს მხრიდან დიდი ხელშეწყობა აქვს. 2003 წელს კანადის ეკონომიკამ, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის გამოყო:

სახელმწიფო კრედიტების საერთო მოცულობა 23 მილიარდი კანადური დოლარის; საგარანტიო ფონდით – 3,5 მილიარდი დოლარი, ხოლო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოყო 450 მილიონი დოლარი; საფრანგეთმა – სახელმწიფო კრედიტების 7,3 მილიარდი ევრო და სახელმწიფო გრანტის პროგრამით – თითქმის 4 მილიარდი ევრო; გერმანიამ – 1,42 მილიარდი ევრო; იტალიამ – 4 მილიარდი ევრო; იაპონიამ – დაახლოებით 21,64 მილიარდი აშშ დოლარი გამოყო. სახელმწიფოს მხრიდან ამ მიმართულებით თითქმის არაფერი კეთდება საქართველოში.

საქართველოში უნდა შეიქმნას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ორგანიზაცია (ინსტიტუტი); მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ერთიანი ეროვნული ფონდი. შედგეს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მარეგულირებელი ერთიანი სამართლერივი (საკანონმდებლო) პაკეტი. სახელმწიფომ უნდა მოახდინოს: 1. სტატუსული მცირე და საშუალო საწარმოების ექსპორტის წარმოების; 2. პირდაპირი მხარდაჭერა ექსპორტის (ვაჭრობა და ინვესტიციებში მოსალოდნებლი ეკონომიკური და პოლიტიკური რისკების დაზღვევა. მონაწილეობის მიღება საზღვარგარეთ შექმნილი ფირმის საწედებო კაპიტალში; თანამონაწილეობა საზღვარგარეთ ეროვნული ფირმის (მსს) საგამოფენო-საბაზო საქმიანობაში); 3. გაატაროს საფაჭრო-პოლიტიკური ხასიათის დონისძიებანი საზღვარგარეთ ბაზრებზე, ეროვნული მეწარმეობის ინტერესთა ლობირების მიზნით.

სახელმწიფოს მხრიდან მსგავსი და სხვა ხასიათის დონისძიებების გატარება აძლევს უცხოურ მცირე და საშუალო საწარმოებს სერიოზულ კონკურენტულ უპირატესობებს საერთაშორისო ბაზრებზე. მაგალითად მსს პროდუქციის 25% კონკურენტუნარიანი გახდა[2]. საერთაშორისო ბაზრაზე ეს მაჩვენებელი ზრდადი ტენდენციით ხასიათდება. დღეისათვის მსოფლიო ექსპორტის ერთმესამედს შეადგენს მსს პროდუქცია და

იზიდავს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვან ნაწილს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად უნდა იქნას აღიარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სუბიექტების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა. მსოფლიო გამოცდილება დამაჯერებლად გვიჩვენებს რომ სახელმწიფო პოლიტიკა ორიენტირებულია კონკურენტუნარიანი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად. მცირე და საშუალო ბიზნესი ქვეყნის მსოფლიო ბაზარზე გასასვლელად თვალსაჩინო შედეგს იძლევა, რაც ქვეყნის ეკონომიკის დაბალისებული ზრდის მიღწევის ერთ-ერთი ფაქტორია. სწორედ ესაა გლობალიზაციის მოთხოვნაც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. By Elizabeth Asiedu and James A. Eree maw. The Effect of Globalization on the Performance of Small- and Medium – Sized Enterprises in the United States: Docs Owners' Race/Ethnicity matter.
2. Ермолин А.М. – по материалам проекта ТАСИС «Поддержка экспортно-ориентированных инновационных МСП».
3. სტატია ქ. “ნაციონალური ბიზნესი” 23-30 ივნისი, 2008წ. ინტერვიუ სოციალური კვლევებულებისა და თილიტიკური ანალიზის საერთაშორისო ცენტრის (ICSRPA) დირექტორთან.
4. www.icsrpa.org.ge
5. [www. geostat.ge](http://www.geostat.ge) (ISO 9000-ის სტანდარტების სერია და მცირე მეწარმეობა)

**PRINCIPLES OF GLOBALIZATION INFLUENCE
ON THE DEVELOPMENT OF SMALL AND MIDDLE BUSINESS
SUMMARY**

In the wand in this work is carried out about the necessity of innovations and competing ability of export of small and middle business in the process of globalization and in this direction about the works carried out in the developed countries.

The opinion is said about the involving small and middle business in the process of globalization in Georgia and carrying out the works by the government in this direction.

**ქოუგან ქველაძე
საქართველოს ტურიზმი გლობალიზაციის პირობებში**

ნებისმიერი ქვეყანა, და მათ შორის საქართველოც, მისი პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოება მიისწრაფის აღმასვლით განვითარებისაკენ, ახლის ძიებისაკენ. დასავლეთის დემოკრატიული სივრცისაკენ ჩვენი ქვეყნის მისწრაფება ნებით თუ უნებლივდ აქტიურად გვიბიძებს მსოფლიო გლობალიზაციის პროცესში ჩართვისაკენ. ამ პროცესის მიმართ მსოფლიოს მეცნიერთა წრეში არსებული არაერთგვაროვანი დამოკიდებულების მიუხედავად, გლობალიზაციის პროცესისათვის უდავოდ დამახასიათებელია მსოფლიოს მასშტაბით წარმოების განსაზოგადოება-ინტერნაციონალიზაცია, კაპიტალის საერთო ბაზის ჩამოყალიბება. სხვადასხვა ქვეყნის საქონლის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის საქმიანობაში იხსნება ბარიერები, ხდება თანამედროვე მეცნიერების და მარკეტინგის გამოცდილების და ინფორმაციის სწრაფი გაცვლა. ერთი სიტყვით, გლობალიზაციის პროცესის გაღრმავებას თან

სდევს პოლიტიკურად, ეკონომიკურად, იდეოლოგიურად მოწე-
სრიგებული სამყაროს ჩამოყალიბება.

ადრე გლობალიზაცია ზოგადი შინაარსის ტერმინი იყო,
დღეს კი გლობალური მნიშვნელობა შეიძინა და გლობალური
ეკონომიკის (მ. პ. სტელსის განმარტებით, გლობალური ეკონო-
მიკა არის „ეკონომიკა, რომელსაც შესწევს უნარი, იმუშაოს
როგორც ერთიანმა სისტემამ რეალური დროის რეჟიმში მოე-
ლი პლანეტის მასშტაბით“) გარდა მოიცვა საზოგადოებრივი
ცხოვრების ყველა სფერო (პოლიტიკა, სოციალური მხარე,
კულტურა და მენტალიტეტი). ამდენად, თანამედროვე გლობა-
ლიზაციის გავლენით, მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებმა
უფრო სიღრმისეული ხასიათი მიიღო. გლობალიზაციის პრო-
ცესმა საქართველოს ათწლეულების მანძილზე ჩაქეტილი
სივრციდან თავის დაღწევის საშუალება მისცა და ხელს
უწყობს ქვეყანაში თავისუფალი, დემოკრატიული საზოგადოე-
ბის ჩამოყალიბებას და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფას,
გლობალური ეკონომიკის ფორმირებას, ქვეყნებს შორის საგა-
რეო-ეკონომიკური ურთიერთობების მთელი სპექტრის (კაპი-
ტალის და სამუშაო ძალის საერთაშორისო მოძრაობას, საგა-
რეო ვაჭრობას, სავაჭრო პოლიტიკას, სამეცნიერო-ტექნიკურ
თანამშრომლობას და ა.შ.) განვითარებას. ეს პროცესი ქმნის
ახალ პერსპექტივებს სხვადასხვა ქვეყნების, ერების ცივილი-
ზაციათა და კულტურათა ურთიერთობისათვის და ის შეუქ-
ცევადი ხდება.

გლობალიზაციის პროცესს როგორც განვითარებული,
ისე განვითარებადი ქვეყნებისთვის თან ახლავს როგორც და-
დებითი, ისე უარყოფითი შედეგები. ერთი კი ნამდვილად უდა-
ვოა, რამდენადაც ამ პროცესის შედეგად დრმავდება განსხვა-
ვება ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების დონეების
მიხედვით და იზრდება სოციალური უთანასწორობა, ასევე
ხდება ერთ ქვეყანაში დაწყებული ნებისმიერი საზოგადოებრი-
ვი პროცესის მთელ მსოფლიოზე გავრცელება. ჩნდება ქვეყნებს
შორის საზღვრების მოშლის საშიშროება და საფრთხის ქვეშ

დგება მცირე ქვეყნების ეროვნული თვითმყოფადობა, საკუთარი კულტურა, რელიგია, ეროვნული ტრადიციები და ფასეულობები. ამ თვისებების უნიფიკაცია და განსხვავებულობის გაქრობა კი მრავალფეროვნების ერთფეროვნებით შეცვლას მოასწავებს.

თვითმყოფადობის და საკუთარი ეკონომიკის დაკარგვის მომასწავებელია, ეროვნული ტრადიციების გაუთვალისწინებლად და ფასეულობათა სისტემის შეუფასებლად დასავლური გამოცდილებების მექანიკურად გადმოღება. ამის გაუთვალისწინებლობა კი საკუთარი თავის უარყოფას ნიშნავს.

გამომდინარე იქიდან, რომ გლობალიზაციის პროცესი სულ უფრო და უფრო ღრმავდება და ვითარდება, მას ვერც საქართველო აუგლის გვერდს, ამიტომ გვმართებს ღრმად დაფიქრება და დიდი სიფრთხილის გამოჩენა, რათა სწორად გავიაზროთ გლობალიზაციის ფენომენი და ყველაფერი ის, რაც ჩვენს გარშემო ხდება, რათა არ მოხდეს ჩვენი ეროვნული თვისებების თანდათანობით ნიველირება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური საზღვრები ადრინდელ მნიშვნელობას კარგავს.

გლობალიზაციის პროცესში საქართველომ ეკონომიკის რეკონსტრუქცია უნდა მოახდინოს ისეთი მოდელით, რომელშიც ეროვნული ტრადიციები ახალ ტექნოლოგიებსა და ინოვაციებთან გაერთიანდება, რაც ხელს შეუწყობს მადალი ტექნოლოგიებით ტურიზმის შემდგომ განვითარებას.

მსოფლიოში ბევრი ქვეყანა ცდილობს განავითაროს ტურიზმი და ამით დამატებითი თანხები მოიზიდოს ქვეყნის ბიუჯეტში (საერთაშორისო ტურიზმიდან შემოსავალმა 2010 წელს 852 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა UNWTO). ეკონომიკურ დარგებს შორის მსოფლიოში ტურიზმის დარგი თავისი მნიშვნელობით და სიდიდით (შემოსავლებით) მე-3-ე ადგილზეა. საქურადღებოა, რომ ბოლო წლებში გლობალურ ინდუსტრიაში ტურიზმის წილი ყოველ 15 წელიწადში ორმაგდება.

ტურიზმის განვითარება გლობალიზაციის პროცესში ხელს უწყობს მსოფლიოს ხალხთა თანამეგობრობას, ტრადიციათა ურთიერთგაცნობას, ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებას, მათი კეთილდღეობის ამაღლებას, ეკონომიკური სიძნეების დაძლევას. მაგრამ, ამასთან ერთად, გლობალიზაციის პერიოდში ტურისტულ ბაზარზე აუცილებელი ხდება ტექნოლოგიების ცვლა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, საქმიანი აქტიურობის ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო ტურიზმის რეგულირების მექანიზმის შექმნა, რამდენადაც ტურიზმს შეუძლია გავლენა იქონიოს სხვადასხვა ქვეყნაში თვითმყოფად კულტურაზე და დანერგოს მასობრივი ტურისტული ბაზრის უსახო კულტურა (ამიტომ საქართველოს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ არ დაკარგოს თავისი უნიკალურობა). დღეს მსოფლიო პრაქტიკაში ნათლად ჩანს, რომ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური განვითარება შეუძლებელია გლობალიზაციის პროცესის ფუნდამენტურ პროცესებთან შეუთავსებლად, ამიტომ აღნიშნულ პროცესში მონაწილეობა უნდა განხორციელდეს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებით. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ პროცესში ჩაბმისას ჩვენს ქვეყანას მოუწევს გარკვეული ეროვნული ფასეულობების დათმობა და ამას დიდი სიფრთხილე ესაჭიროება, თანაც ისე, რომ ქვეყანამ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მოახერხოს სისტემური რეფორმების გატარებაც და მთელი თავისი ღირსებით ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნებაც. ამისთვის აუცილებელია გლობალიზაციის პროცესის სახელმწიფოთა მიერ წინასწარ შეთანხმებულ ჩარჩოებში მოქცევა.

გლობალიზაციის პროცესში მასობრივი ტურიზმის გააჭირების მიუხედავად, ტურიზმს შესწევს იმისი ბერკეტებიც (სწორი პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამების პირობებში), რომ მასში ჩართულ ქვეყნებს მისცეს საშუალება, დაიცვან საქართვის ეროვნულობა, თვითმყოფადობა, თუნდაც იმით, რომ ტურისტულ ბაზარზე წარმოაჩინონ ყველასაგან განსხვავებულ

ლი, გამორჩეული ტურისტული პროდუქტი და შეძლონ ტურისტების დიდი ნაკადის მოზიდვა.

ბოლო 60 წლის მანძილზე ტურისტული ინდუსტრიის ინტენსიურმა განვითარებამ ხელი შეუწყო ტურისტული ადგილების დივერსიფიკაციას სხვადასხვა გემოვნების ტურისტების დასაკმაყოფილებლად. ტურისტებისათვის მრავალი ახალი ადგილი გახდა ხელმისაწვდომი ტრადიციული ევროპის კურორტების კვალდაკვალ. თუმცა, სხვადასხვა დონის ქვეყნების დამოკიდებულება ტურიზმისადმი ერთმანეთისგან საგრძნობლად განხსნება. ერთი რამ უდავოა, ბოლო წლებში გლობალიზაციის პროცესში ჩართული ტურისტული განვითარებული ქვეყნები სულ უფრო და უფრო ემსგავსება ერთმანეთს კვების ჯაჭვით, მაღაზიების ინფრასტრუქტურით, დასვენების ფორმით და სხვა, ყოველივე ეს ასევე მომაბეზრებელ ხასიათს იძენს და ახლის ძიებაში სულ უფრო აქტიურადური ხდება დასვენება ველური ბუნების წიაღში, დედაბუნების რეალურ გარემოში და, დროებით მაინც, მსოფლიოში მიმდინარე აქტიური, დამდლელი ყოფისაგან მოშორება. დღეს, დედამიწაზე სულ უფრო და უფრო მცირდება უნიკალური და პირველყოფილი ბუნებრივი ადგილები. აქედან გამომდინარე, გაიზარდა ინტერესი იმ ქვეყნების მიმართ, მათ შორის საქართველოს მიმართაც, რამდენადაც აქ მეტ-ნაკლებად შემორჩენილია უნიკალური ბუნება და ადგილობრივი მეურნეობა. ბოლო წლებში იზრდება ინტერესი განვითარებადი ქვეყნების კურორტების მიმართ. თუკი 1990 წელს მთლიანად ტურიზმში დახარჯული თანხის 32% განვითარებად ქვეყნებზე მოდიოდა, 2010 წლისათვის ეს ციფრი 47%-მდე გაიზარდა. მაგრამ მისი შემდგომი ზრდისათვის მარტო სურვილი საკმარისი არ არის. ტურისტის დასაინტერესებლად საჭიროა ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალი, ეროვნული კულტურა, ისტორიულ-კულტურული ფასეულობები, მანძილი, ინფრასტრუქტურა, მისაწვდომობა, პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობანი ქვეყნებს შორის, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, ტერიტორიის ეკოლოგიური მახასიათებ-

ლები, მომსახურების სფეროს განვითარების ხარისხი, უსაფრთხოება, დრო და ფული და ა.შ. ასევე აუცილებელია საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, ან არსებულის გონივრული მოხმარება და მისი გასაღების ახალი ბაზრების მოძიება. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ტურისტების რაოდენობრივ ზრდას და ინტერესის გაძლიერებას შეიძლება დროებითი ხასიათი ჰქონდეს, თუ ქვეყანა დაკარგავს თავის უნიკალურობას, ინდივიდუალობას, თვითმყოფადობას, ბიომრავალფეროვნებას, ეკონომიკური და პოლიტიკური მართვის ბერკეტებს.

მსოფლიოში ნაკლებად მოიძებნება საქართველოს მსგავსი ქვეყანა, სადაც, უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ვევდებით ერთდღოულად მთასაც, ბარსაც და ზღვასაც და ეს ყოველივე განაპირობებს იმას, რომ ამ პატარა ქვეყანაში ერთდღოულად წარმოდგენილია დედამიწის ზედაპირზე არსებული ჰავის თითქმის ყველა ზონა (დაწყებული ნოტიო სუბტროპიკულიდან, დამთავრებული მარადიული თოვლითა და მყინვარებით), იშვიათი ველური ბუნება, მრავალფეროვანი ლანდშაფტები, უნიკალური ტყეები, ველური მდინარეები, მდიდარი ფლორა და ფაუნა, არსებობს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების მრავალგვარი სახე (ბუნებრივი სიმდიდრე, ბუნებრივ-სამკურნალო, ბუნებრივ-კლიმატური, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი, რეკრეაციული, არქიტექტურული, არქეოლოგიური, საკურორტო, სანახაობითი, და ა.შ.) და რესურსების დიდი ბიომრავალფეროვნება. ბიომრავალფეროვნების სიმრავლე ქვეყნას ანიჭებს ტურიზმის განვითარების უსაზღვრო შესაძლებლობებს როგორც რეგიონებში, ისე მის პერიფერიებში, რომელიც საერთაშორისო ეკოლოგიური ურთიერთობების განუყოფელი ნაწილია. მისი შენარჩუნება არაერთი ქვეყნის ეკონომიკური და ეკოლოგიური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა. აქტუალური ბიომრავალფეროვნების საშუალო ინდექსის (ABI) მიხედვით საქართველო მსოფლიოში 36-ე, ხოლო ევროპაში 1 ადგილზეა. ჩვენი ქვეყანა ასევე პირ-

ველ ადგილზეა იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ჩვენს განედზე ან უფრო ჩრდილოეთით მდებარეობენ, რაც განაპირობა ქვეყნის გეოგრაფიულმა მდებარეობამ. ასეთ ბუნებრივ კაპიტალს ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური და ეკოლოგიური განვითარებისთვის სჭირდება სათანადო ყურადღების მიქვევა მათი სწორი გამოყენების მიმართულებით. სახელმწიფო ვალდებულია, მოახდინოს არსებული ტურისტული რესურსების სწორი, მაქსიმალური აღრიცხვა და შეიმუშაოს მათი ეფექტიანად გამოყენების სტრატეგიული გრძელვადიანი გეგმა, ე.ი. უნდა მოხდეს სწორად წარმოებული ტურისტული პოლიტიკის შემუშავება და ამასთანავე ტურიზმის ეკოლოგიზაცია, ანუ მომსახურების პროცესში ეკოლოგიური ტექნოლოგიების გამოყენება, რითაც ტურიზმი გახდება ადგილობრივი ეკონომიკური, და სოციალ-კულტურული გარემოს განვითარების საშუალება. ბევრ ქვეყანაში საკმაოდ დიდი ინვესტიციები იდება გარემოს დასაცავად, თუნდაც დარიბ მოშორებულ არეალში, რათა მან არ დაკარგოს მიმზიდველობა. ადგილობრივი მოსახლეობა დაინტერესებულია ადგილობრივი კულტურის ელემენტების (ფოლკლორი, ადგილობრივი სამოსი, რეწვა) შენარჩუნებით, რადგან იციან, რომ მათი მოხმარებით მათ უჩნდებათ დამატებითი შემოსავლების წყარო. სწორი სახელმწიფო რეგულირების შემთხვევაში ზოგადად მსოფლიოში ხელმისაწვდომი სამუშაო ადგილებიდან 6-7% დასაქმებულია ტურიზმის სფეროში. ასევე, სამუშაო ადგილები ჩნდება მომსახურების სფეროშიც როგორც საკურორტო არეალში, ისე მის გარეთ.

პროფ. ნ. ჭითანავას აზრით, საქართველოში ტურიზმის განვითარების ტემპებს აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს სურსათის წარმოების ტემპები. თუ არა და ქვეყანაში შემოვასუბისირებული, ევროკავშირის ქვეყნებში წარმოებული პროდუქცია, რომელსაც 30%-ით სახელმწიფო აფინანსებს, ამიტომ ის იაფია საქართველოში წარმოებულთან შედარებით, შედეგად, ჩვენი სოფლის მეურნეობა, სურსათის წარმოება მთლიანად ჩაკვდება [2] რასაც სრულად ვეთანხმებით. ასევე აღსა-

ნიშნავია, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში მოხმარებული სასურსათო პროდუქციის მხოლოდ 20% იწარმოება ადგილზე და 80% იმპორტირებულია. იმპორტი კი ძვირდება ინფლაციის გამო, რაც სამომხმარებლო საქონელს კიდევ უფრო აძვირებს. ამასთან ერთად, შემოტანილი პროდუქციის დიდი ნაწილი გენერალური დიფიცირებულია (ნებისმიერი ტურისტი ირჩევს ნატურალურ პროდუქტს), რაც ასევე ცუდად აისახება ტურისტთა რაოდენობაზე.

საქართველოში ტურიზმი განვითარების საწყის ეტაპზე იმყოფება და მას ჯერ კიდევ ვერ ექცევა საჭირო, სათანადო უურადღება. თუმცა გლობალიზაციის პირობებში, სხვა ეკონომიკური დარგების ზრდის ტემპებს (2000 წლიდან დაწყებული) 2-3-ჯერ აღემატება ტურიზმისა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარების ტემპები (ეკონომიკის სამინისტროსა და სტატისტიკის უწყების ოფიციალური მონაცემები).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს რეგიონებისათვის, სადაც დიდი ტურისტული რესურსები პოტენციალია თავმოყრილი და აქვთ მცირე ნაწილია ათვისებული, დიდი ნაწილი კი აუთვისებელი, ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის ძირითადი პრიორიტეტის გამოვლენას, მოსახლეობისათვის შემოსავლების გაზრდას, არაერთი მომიჯნავე სფეროს განვითარებისათვის სერიოზული ბიძგის მიცემას, ასევე ხელს შეუწყობს სისტემის დივერსიფიკაციას და სხვადასხვა ტიპის დამსვენებლებზე ორიენტირებული დასასვენებელი თუ გამაჯანსაღებელი კომპლექსების დაგეგმარებასა და მშენებლობას.

საბოლოოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ გლობალიზაციის პროცესმა ტურიზმის განვითარებისათვის საუკეთესო პირობები შექმნა. საქართველოც, რა თქმა უნდა, ცდილობს ამ პროცესში ჩართვას, რისთვისაც ტურიზმის დარგი ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად არის აღიარებული. ტურიზმის განვითარების სწორი პოლიტიკის შენარჩუნება ცალკე აღებულ სეგმენტად ან დარგად ვერ მოხერხდება, მას გარანტირებული წარმატება მა-

შინ ექნება, თუ მის განვითარებას განვიხილავთ ეკონომიკის სხვა დარგებთან უშუალო კავშირში. გლობალიზაციის პროცესში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კონცეფციის საფუძველზე სწორად უნდა იქნეს შემუშავებული ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გრძელვადიანი გეგმა თავისი საკანონმდებლო ბაზით. აუცილებელია მოხდეს არსებული ბუნებადაცვითი საკანონმდებლო აქტების სასწრაფოდ ამოქმედება. საჭიროა მოსახლეობის ინფორმირება გლობალიზაციის პირობებში ტურიზმის განვითარების როგორც უარყოფითი, ისე დადგებითი შედეგების შესახებ, რათა მოსახლეობამ თავად გადაწყვიტოს მისი შემდგომი განვითარების სტრატეგია. სახელმწიფომ, ასევე, მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით, უნდა შეიმუშაოს ქვეყნის ტურიზმის განვითარების პროგრამა, სადაც გათვალისწინებული იქნება ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური ინტერესები, მოქმედი ტრადიციები, კულტურა, მიზნები, ამოცანების ეტაპები, ფინანსური წყაროები და მათი მიღწევის საშუალებები და მექანიზმები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მეტრეველი მ. ტურიზმი და საქართველო, ბიზნესი და კანონმდებლობა №13-14, 2008: გლობალიზაცია და ეროვნული პრობლემები... www.nplg.gov.ge/.../library.exe?...
2. ჭითანავა ნ. ტურიზმი და საქართველო, ბიზნესი და კანონმდებლობა №13-14, 2008: გლობალიზაცია და ეროვნული პრობლემები... www.nplg.gov.ge/.../library.exe?...
3. გოგონია რ. გლობალიზაცია და საქართველოს მომავალი tamuna123.blogspot.com/2011/04/blog-post_07.html - Thursday, April 7, 2011.
4. რატიანი მ. რა უნდა ვიცოდეთ ტურიზმზე, განვითარების სტრატეგია, სიახლეების არქივი 21, აგვისტო 2012.
5. ეთერია ე. ეკონომიკური გლობალიზაციის წინააღმდეგობრივი ხასიათი, ახალი აზრი №8 (14), 2003: ეკონომიკური გლობალიზაციის ... [www.nplg.gov.ge/.../library.exe?....](http://www.nplg.gov.ge/.../library.exe?...)

6. ბედოშვილი თ., ფაცინაშვილი ქ. გლობალიზაციის პრობლემები მსოფლიო ტურიზმში, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ტომი 2, 2012.

7. სირბილაძე რ. ეკონომიკის გლობალიზაცია და ტურიზმის განვითარება, პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალები, ტომი 2, 2012.

Kveladze Ketevan

**GEORGIAN TOURISM UNDER GLOBALIZATION
SUMMARY**

In the process of globalization is involved most countries of the word Including Georgia, The article discusses the general principles of the process of globalization. The negative and positive consequences during the globalization of the tourism development, Concerning the identity of social life. The paper discusses the role and importance of the tourism, Economic prosperity of the Georgia and improving the welfare of the population.

**თამილა არნანია-კეტევაძე
კიდევ ერთხელ ინსტიტუტებისა და ინსტიტუციონალიზმის
შესახებ**

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა სივრცეში ინსტიტუციური ეკონომიკური თეორია იმდენად გავრცელებულ მიმართულებად გადაიქცა, რომ ეკონომიკური მოვლენების ინსტიტუციური ანალიზის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა დღეს ეჭვს აღარ იწვევს. ეს დაკავშირებულია ტრადიციულ ორთოდოქსულ სკოლასთან შედარებით ამ მიმართულების გარკვეულ უპირატესობებთან და,

პირველ რიგში, ეკონომიკური მოვლენების კვლევისა და ანალიზისადმი უფრო რეალისტური მიღებით.

დღეს ინსტიტუტები და ინსტიტუციური ეფოლუცია განიხილება ბაზრების კოორდინაციისა და სოციალური ურთიერთქმედების მნიშვნელოვან ფაქტორად [2; 5; 6; 7; 11], რომლებიც ეკონომიკური სისტემების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას განაპირობებენ. ამავე დროს, ჯერჯერობით ბოლომდე არ არის განსაზღვრული ინსტიტუციური თეორიის საზღვრები [18] და ბოლომდე არ არის გარკვეული, თუ რა წარმოადგენს ინსტიტუციური თეორიის კვლევის საგანს, ანუ ჯერჯერობით არ არის ჩამოყალიბებული ინსტიტუციური თეორიის ერთიანი „დისციპლინარული მატრიცა“ [13]. ყოველივე ეს გამომდინარეობს იმ გაურკვევლობიდან, რომელიც დაკავშირებულია ამ თეორიული მიღვომის მთავარი ცნების – „ინსტიტუტისა“ და „ინსტიტუციური ანალიზის“ არსის არაერთგვაროვანი გაგებიდან: მოცემული ტერმინები გამოიყენება ძალზე ფართოდ და მათ თაობაზე კონცეფტუალური წარმოდგენა ძალიან განსხვავებულია, მეცნიერები კი ამ ტერმინებს წინააღმდეგობრივი შინაარსით გამოიყენებენ. როგორც **ჰოლინგს როჯერსმა** (Hollingsworth J. Rogers) აღნიშნა, ინსტიტუციური სკოლის ფარგლებში „არ არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ რა იგულისხმება ინსტიტუტებსა და ინსტიტუციურ ანალიზში“ [4, გვ. 598].

ინსტიტუციური სკოლის წარმომადგენლები სამართლიანად აღიარებენ, რომ მანამ, სანამ არ იქნება მიღწეული ერთიანი წარმოდგენა იმ საკვანძო ტერმინების არსის შესახებ, რომელთაც ისინი ეფუძნებიან, მათი პოტენციალი ცოდნის ეფექტური განვითარების შესაძლებლობაში არის შეზღუდული [4, გვ. 598] და მეცნიერული მიღვომის არც ერთი მიმართულება არ შეიძლება იქნას განვითარებული [9, გვ. 4].

2007 წლის 5 მაისს ურნალ „ვესტნიკის“ ეკონომიკის სერიისთვის მიცემულ ინტერვიუში ახალი ინსტიტუციური

ეკონომიკური სკოლის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა და სახელ-განთქმულმა წარმომადგენელმა დუგლას ნორტმა (Douglass Cecil North) 1997 წელს სენტ-ლუისში ახალი ინსტიტუციური ეკონომიკური თეორიის კვლევის საერთაშორისო საზოგადოების (ISNIE – International Society for New Institutional Economics) ჩამოყალიბების შემდგომ პერიოდში ნეოინსტიტუციური სკოლის მიღწევებსა და ჩავარდნებზე საუბრისას აღნიშნა, რომ მოხდა ინსტიტუციური პრობლემატიკის „ნომინალური აღიარება“ და ამით ახალი ინსტიტუციური თეორიის წარმომადგენლებმა შეძლეს ინსტიტუტებისადმი მსოფლიოს ეკონომისტების ურადღების მიპყრობა. მაგრამ, გულახლილად აღიარებდა იგი, ახალი ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ისეთი „ელეგანტური უნივერსალური თეორიის შექმნა“, რომელსაც მეინისტრიმ ეკონომიკა ფლობს [14, გვ. 7].

ინსტიტუციონალური ანალიზის აქტუალობისა და პრაქტიკული მნიშვნელობის აღიარების მიუხედავად, მისი დისციპლინალური ფარგლებისა და წამყვანი კატეგორიების განურკვევლობა შეიძლება განხილული იქნას მის „ელეგანტურ უნივერსალურ თეორიად“ ჩამოყალიბების მთავარ ხელის-შემშლელ ფაქტორად.

წარმოდგენა ინსტიტუტებზე, როგორც სოციალურ-ეკონომიკურ კატეგორიაზე, იცვლებოდა ინსტიტუციონალიზმის განვითარების კვალობაზე.

ე.წ. ძევლი ინსტიტუციონალიზმის წარმომადგენლები გამოდიოდნენ ჩვეულებზე, ადათ-წესებზე, ინსტინქტებსა და ტრადიციებზე დაფუძნებული ინსტიტუტების სოციალ-ფიქოლოგიური განსაზღვრებიდან. ამ პერიოდისთვის „ადათ-წესის“ კატეგორია წარმოადგენდა ინსტიტუციური მიდგომის ცენტრალურ მოქმებს და მასში იგულისხმებოდა განმეორებად სიტუაციაში მიღებული ქცევისადმი მიღრეკილება. მაშინ, როცა „ადათ-წესები“ მისაღები იქნება გარკვეული ჯგუფისთვის, ანდა დამახასიათებელი ხდებოდა სოციალური კულტურისთვის, იგი

ტრადიციად გარდაიქმნებოდა. ძველი ინსტიტუციონალიზმისთვის ადათ-წესები, ისევე, როგორც ინსტიტუტები, თავისი ბუნებით ინერტული და უცვლელნი არიან, ინარჩუნებენ თავიანთ თვისებებს და გადაქვთ თავიანთი მახასიათებლები წარსულიდან აწმეოში და შემდეგ – მომავალში.

ინსტიტუტების შესახებ არაერთგვაროვანი წარმოდგენა მოცემულია ჯერ კიდევ **ტორსტენ ვებლენის** (Thorstein Veblen) შრომებში.

ტ-ვებლენი, რომელმაც პირველმა გამოიყენა ტერმინი „ინსტიტუტი”, ამ უკანასკნელში ხედავდა „აზროვნების ჩვეულებრივ წესს, რომელთა ხელმძღვანელობით ადამიანები ცხოვრობენ”. მისთვის ინსტიტუტები არის, აგრეთვე, გავრცელებული წარმოდგენა საზოგადოებასა და პირვენებას შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობებისა და მათი ფუნქციების თაობაზე. გარდა ამისა, ინსტიტუტების ქვეშ ტ. ვებლენი განიხილავდა სტიმულებზე რეაგირების ჩვეულებრივ გზებსა (ანუ იგივე, რაც ჩვევა, წესი ანდა ტრადიცია) და ხერხებს, ეკონომიკური მექანიზმის სტრუქტურასა და მოცემულ მომენტში საზოგადოებრივი ცხოვრების მიღებულ წესს [12].

უილომო ჰამილტონი (William Hamilton), რომელმაც 1916 წელს ეკონომიკურ ლექსიკონში შემოიტანა ტერმინი „ინსტიტუციონალიზმი”, ცნება „ინსტიტუტი” განსაზღვრა, როგორც სოციალური ადათ-წესების ერთობლიობა. უკამილტონის აზრით, ინსტიტუტი ეს არის „სიტყვიერი სიმბოლო საზოგადოებრივ წესთა ერთობლიობის უკეთ აღწერისათვის”, ეს არის „აზროვნების წესი”, რომელიც ჩვევად არის გადაქვეული ადამიანთა ჯგუფისათვის, ხოლო ხალხისთვის და წესად. უკამილტონის მტკიცებით, ინსტიტუტები ადგენენ ადამიანთა საქმიანობის საზღვრებსა და ფორმებს და სწორედ ინსტიტუტების ერთობლიობა აყალიბებს ადამიანთა არსებობის ჩვევებისა და ტრადიციების სამყაროს.

იმ პერიოდის ინსტიტუციონალიზმის სხვა წარმომადგენელი – **უელსი მიტჩელი** (Wesley Clair Mitchell) - განიხილავდა ინსტიტუტებს, როგორც გაბატონებულ და უმაღლეს დონეზე სტანდარტიზირებულ ჩვევებს.

ინსტიტუტების არსის გაგების არაერთგვაროვნებას უკავშირებს ინსტიტუციური ეკონომიკის პალეგის სფეროს განსაზღვრის სირთულეს ინსტიტუციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი **ჯონ კომონსი** (John R. Commons) [3, გვ. 648]. იგი განსაზღვრავდა ინსტიტუტებს, როგორც კოლექტიურ ქმედებას, რომელიც მიმართულია ინდივიდუალური ქვევის კონტროლზე, გათავისუფლებასა და გაფართოებაზე [3, გვ. 649].

ძველ ინსტიტუციონალიზმს ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ მან „ვერ შეძლო ერთიანი მეთოდოლოგიისა და ცნებათა მკაფიო სისტემის ჩამოყალიბება“ [16, გვ. 22] და უგულებელყოფენ იმ ფაქტს, რომ მათ მიერ შემომუშავებული იყო ინსტიტუციური მიდგომის ისეთი საკვანძო დებულებები, რომელთაც ეყრდნობა თანამედროვე ინსტიტუციური ოქორია, კერძოდ: ადამიანთა ქვევის განაპირობებულობა ინსტიტუტებითა და, აგრეთვე, ინსტიტუტების განხილვა ეკონომიკური ანალიზის საფუძვლად.

ახალი ინსტიტუციური სკოლის წარმომადგენლები მიჯნავდნენ ერთმანეთისაგან ინსტიტუტებსა და ადათ-წესებს და განიხილავდნენ მათ ურთიერთკავშირს. **ენდრიუ შოტერის** (Andrew Schotter) შეხედულებით, „სოციალური ინსტიტუტი - ეს არის საზოგადოებრივი ქვევის კანონზომიერება, რომელიც მთელი საზოგადოების მიერ არის აღიარებული, განაპირობებს ინდივიდთა ქვევას გარევაულ განმეორებად სიტუაციებში და რომელიც კონტროლდება ან თვით ინდივიდის ან გარე ძალაუფლების მიერ“ [10]. ამ ეტაპზე ინსტიტუტის ცნება განისაზღვრება, როგორც ქვევის წესები და ნორმები, როგორც ინდივიდთა ურთიერთქმედების შედეგი. ამასთან, ინდივიდი განიხილება როგორც ონტოლოგიურად პრიორიტეტული მოცემულობა. ამ

პერიოდში, რაციონალური ეკონომიკური ქცევის მეშვეობით, ახალი ინსტიტუციული სკოლა ცდილობს ახსნას ისეთი ინსტიტუტების არსებობას, როგორიცაა სახელმწიფო და ფირმა, და განსაზღვრავს ეკონომიკური სუბიექტების ქცევის შედეგების განუსაზღვრელობას ადამიანთა შორის ურთიერთქმედების ტერმინებში [20].

უკანასკნელ პერიოდში უახლესი ინსტიტუციური ეკონომიკის ფარგლებში ინსტიტუტების ეკონომიკურ ბუნებაზე ჩამოყალიბდა ადრინდელისაგან განსხვავებული შეხედულება. თანამედროვე ინსტიტუციური ეკონომიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი **ოლივერ უილიამსონი** (Oliver E. Williamson) განსაზღვრავს ინსტიტუტებს, როგორ კონტრაქტული ურთიერთობების მართვის მექანიზმს და განიხილავს ფირმებს, ბაზრებსა და ურთიერთობრივ კონტრაქტაციებს, როგორც უმთავრეს ეკონომიკურ ინსტიტუტებს [19, გვ. 48]. ასეთი მიდგომა ამახვილებს ყურადღებას ინსტიტუტების მიერ გაშუალედებურ ტრანსაქციებსა და ამ ტრანსაქციების მინიმიზაციის პროცედურაზე.

თანამედროვე ინსტიტუციონალიზმის ფარგლებში ყველაზე უფრო გავრცელებულია ინსტიტუტების **დუგლას ნორტის** მიერ გაყდერებული განსაზღვრებები. სწორედ ინსტიტუტები და მათი არსის კვლევა-განსაზღვრა წარმოადგენს დუგლას ნორტის ინსტიტუციური კონცეფციის საფუძველს. იგი ხედავდა უშუალო კავშირს ინსტიტუტებსა და ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას შორის. დუგლას ნორტი უდაოდ თვლის იმ ფაქტს, რომ ინსტიტუტები უშუალო გავლენას ახდენენ ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირებაზე და, მისი შეხედულებით, სწორედ ინსტიტუციური ცვლილებები განაპირობენ საზოგადოების განვითარებას დროში და, მაშასადამე, წარმოადგენენ ისტორიული ცვლილებების საფუძველს [6, გვ. 4]. მისთვის მნიშვნელოვანი იყო გაეცა პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არის ზოგი ქვეყანა მდიდარი, ზოგი კი - დარიბი, და ასკვნიდა, რომ სწორედ ინსტიტუტები ქმნიან საბაზისო სტრუქტურებს, რომელთა მეშვეობით ადამიანები ისტორიული განვითარების პროცესში

აღწევენ წესრიგს და ამგვარად ამცირებენ გაურკვევლობის ღონებს: რაც უფრო მაღალია ინსტიტუციური გაურკვევლობა, მით მეტია ხარჯები, ხოლო სავალდებულო ინსტიტუციური ურთიერთობების სიმცირე იწვევს ეკონომიკურ სტაგნაციას, რის მაგალითს, 6.დუგლასის აზრით, განვითარებადი და პოსტსოციალისტური ქაექნები წარმოადგენ [6, გვ. 9].

6.დუგლასის წარმოდგენაში ინსტიტუტები არის „თამაშის წესები“ და ის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ „წესების“ შესრულებას; ეს არის ქცევის ნორმები, რომლებიც აყალიბებენ და ორგანიზაციას უწევენ ადამიანთა შორის განმეორებად ურთიერქმედებებს და „განსაზღვრავენ და ზღუდავენ ადამიანთა არჩევანის რაოდენობას“ [6, გვ. 4]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დნორტის შეხედულებით, ინსტიტუტები დ ეს არის ადამიანთა მიერ შექმნილი ჩარჩოები, რომლებიც არეგულირებენ ადამიანთა შორის ურთიერთობებს და სოციალურ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სფეროებში აყალიბებენ ადამიანთა ურთიერთქმედების მექანიზმს [8].

სხვა ნაშრომში [15] დუგლას ნორტი იძლევა ინსტიტუტების უფრო შეზღუდულ განსაზღვრას და ამბობს, რომ ინსტიტუტები დ ეს არის სტიმულების სისტემა და, მისი მოსაზრებით, ამგვარი მიღ-გომა შესაძლებელს ხდის ადამიანის ქცევის გაგებას. ასეთ კონტექსტში ინსტიტუტები ახდენენ ამა თუ იმ ქმედების წახალისებას ან დასჯას და ამით ხელს უწყობენ დასახული მიზნის მიღწევას. ადამიანები ცხოვრობენ და ეწევიან საქმიანობას არა იზოლირებულ სივრცეში, არამედ გარკვეულ სოციუმში. ამიტომ მნიშვნელოვანია, თუ როგორ რეაქციას იწვევს საზოგადოებაში ადამიანის გარკვეული ქცევა. ის, რაც დასაშვებად და მისაღებად ითვლება ერთ საზოგადოებაში, სხვა საზოგადოებისათვის შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს და მკაცრად ნებატიური რეაქცია გამოიწვიოს; ის, რაც გარკვეულ პირობებში წარმატებული და ეკონომიკური თვალსაზრისით მომგებიანია ერთ საზოგადოებაში, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ მსგავსი

პირობების მქონე სხვა საზოგადოებაშიც ანალოგიურ შედეგს მოიტანს. ამგვარ ვითარებაში, დუგლას ნორტის შეხედულებით, ინსტიტუტების მიზანია ადამიანთა ურთიერთქმედების განსაზღვრულობის უზრუნველყოფა, რაც მიიღწევა წესებისა და ნორმების ჩამოყალიბების მეშვეობით [8].

ნორტისთვის ინსტიტუტები და ეს არის საუკეთესო რამ, რაც ეკონომისტებს დღეს გააჩნიათ, თუმცა, მისივე აღიარებით, არც ისინია უნაკლო დასახული მიზნების მიღწევის თვალსაზრისით. გარდა ამისა, დუგლას ნორტი აღიარებს იმ ფაქტსაც, რომ ინსტიტუტები იქმნებიან არა იმდენად მათი სოციალური ეფექტურობის გამო, არამედ ისინი (ყოველ შემთხვევაში ფორმალური ნორმები) ყალიბდებიან იმ წრეების ინტერესების დასაკმაყოფილებლად, ვისაც შეუძლია ამ ახალი წესების ფორმირებაზე ზეგავლენის მოხდენა [8, გვ. 33].

უახლესი ინსტიტუციური დოქტრინისთვის წარმოუდგენელია ეკონომიკური კვლევა ისტორიული წარსულის გათვალისწინების გარეშე და განიხილავენ ისტორიულ პროგრესს, როგორც თანმიმდევრულ ინსტიტუციურ ცვლილებებას, ანუ ეკოლუციური თვალსაზრისით [6, გვ. 167].

ასეთი შეხედულება არ შეიძლება ჩავთვალოთ უდაოდ ნოვატორულად, ვინაიდან ისტორიულ მიდგომას ეფუძნებოდნენ როგორც ძველი, ასევე ახალი ინსტიტუციონალური სკოლის წარმომადგენლები, ხოლო მე-20 საუკუნის 60-იან წლებში **პეტერ ბერგერი** და **თომას ლუკმანი** (Berger, P.L., Luckmann, T.) წერდნენ, რომ „ინსტიტუტებს ყოველთვის აქვთ ისტორია, ისინი ისტორიის პროდუქტი არიან... შეუძლებელია ინსტიტუტების ადექვატური გაგება მათი წარმოშობის ისტორიული პროცესის გაგების გარეშე“ [1, გვ. 51-55, 59-61].

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ინსტიტუციური მიდგომის არაერთგვაროვნებისა, ინსტიტუციონალიზმს ახასიათებს ადამიანთა ქცევის მიკროეკონომიკური ანალიზისა და ისტორიული ეკოლუციის

შედეგად ინსტიტუციური გარემოს მიერ ჩამოყალიბებული მაკროეკონომიკური სტიმულების მნიშვნელობის აღიარება და ამის საფუძველზე ახალი ეკონომიკური კონცეფციების შემუშავებისკენ სწრაფვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Berger, P.L., Luckmann, T., (1966), The Social Construction of Reality: A Treatise its the Sociology of Knowledge. Garden City, New York: Anchor Books.
2. Coase, R. H., (1984), iiThe New Institutional Economics.kk Journal of Institutional and Theoretical Economics 140: 229d31.
3. Commons R. John, (1931), Institutional Economics, American Economic Review, vol. 21, pp.648-657.
4. Hollingsworth J. Rogers, (2000), Theme Section Doing Institutional Analysis: implications for the study of innovations. Review of International Political Economy, No. 7:4, pp. 595-644.
5. Langlois, R. N., (1986), iiThe New Institutional Economics.kk In: Langlois, R. N. (ed.) Economics as a Process, pp. 1d25. Cambridge: Cambridge University Press.
6. North, D. C., (1990), Institutions, Institutional Change and Economic Performance. Cambridge: Cambridge University Press.
7. North, D. C., (1994), Economic Performance Through Time. American Economic Review 84: 359d68.
8. North, D. C., (1998), Institutions and Economic Growth: An Historical Introduction//World Development, 1998, vol.17, no.9, p.1319-1332, Pergamon Press.
9. Ostrom E., (1986), An Agenda of the Study of Institutions. Public Choice. No.48, pp.3-25.
10. Schotter Andrew, (2008), The Economic Theory of Social Institutions, John Wiley and Sons, Ltd, ISBN 0521067138
11. Vanberg, V. J., (1994), Rules and Choice in Economics. London: Routledge.

12. Веблен Т., (1984), Теория праздного класса: Пер. с англ. М.: Прогресс.,
13. Дементьев В.В. Что мы исследуем, когда исследуем институты?, TERRA ECONOMICUS - Экономический вестник РГУ. С.13-30.
14. Институциональная теория: Дуглас Норт, (2007), Вестник Санкт-Петербургского университета, Сер. 5. Вып.4, с.7.
15. Норт Дуглас, Фундамент новой институциональной экономики.
16. Радаев, В. В., (1997), Экономическая социология: курс лекций. М.: Аспект Пресс.
17. Фролов Д. П., (2008), Эволюционная перспектива институциональной экономики России, Волгоград: Изд-во ВолГУ, ISBN:978-5-9669-0534-7, Волгоград.
18. Фурубот Э.Г., Рихтер Р., (2005), Институты и экономическая теория: Достижения новой институциональной экономической теории.-СПб.: Издат. Дом С-П ГУ.
19. Уильямсон О., (1996), Экономические институты капитализма. Спб.
20. Ходжсон, Дж. М., (1997), Жизнеспособность институциональной экономики / Дж. М. Ходжсон // Эволюционная экономика на пороге XXI века. М.: Япония сегодня.

Arnania-Kepuladze Tamila

**ONCE MORE ABOUT INSTITUTIONS AND
INSTITUTIONALISM
SUMMARY**

As far as there is not agreement of opinions about the essence of institutions and domain of institutional analyses, this article provides an

overview of different viewpoints regarding concepts such as institution and institutional approach. Specifically, the author considers the definition of institutions and institutional attitude, given to by Thorstein Veblen, William Hamilton, Wesley Clair Mitchell, John R. Commons, Andrew Schotter, Oliver E. Williamson, Douglass Cecil North etc. and tries to identify the common points.

დაგით ასლანიშვილი **ევროპის ძველებაში მიმღინარე** **ეკონომიკური პრიზისის მიზანები**

2007 წელს დაწყებული მორიგი მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი სხვადასხვა რეგიონსა თუ ქვეყანაში განსხვავებულად მიმღინარეობს. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ამ კრიზისის მიზეზებისა და სიმწვავის შესწავლა მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ რეგიონში - ევროზონის ქვეყნებში, ვინაიდან თუ ვერ მოხერხდა იქ არსებული სიტუაციის დარეგულირება და გამოსწორება, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი კიდევ უფრო სიღრმისეული და მწვავე გახდება.

კრიზისის მიზეზები ვერ აიხსნება მხოლოდ საბერძნეთის მაგალითის განხილვით, ვინაიდან, ჩემი აზრით, მხოლოდ ცალკეული ქვეყანა არ არის ამ კრიზისის წყარო. კრიზისის საწყისები უნდა ვეძიოთ ევროპის მონეტარული კავშირის ფუძემდებლური პრინციპების უგულებელყოფაში, რომელიც ე.წ მაასტრიხტის შეთანხმებაში იქნა გაცხადებული.

სანამ უშუალოდ მაასტრიხტის შეთანხმებას შევეხები, მსურს ყურადღება გავამახვილო ევოროპის ქვეყნების ბოლოდროინდელ ინიციატივებზე. აქედან აღსანიშნავია ევროპის 25 ქვეყნის მიერ ხელმოწერილი ფისკალური შეთანხმება. ამ შეთანხმების არსი მდგომარეობდა ფისკალური დისციპლინის გამკაცრებაში ევრო ზონის ქვეყნებში (ეს გერმანიის მოთხოვნა იყო). ევროზონის ქვეყნების მთავრობებს ამით შეეზღუდათ

უფლება ახალი სესხის ადების კუთხით. ვალის გაზრდა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 0,5% დით ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მიხედვით კონკრეტულ წელიწადში (აქ არ შედის ექსტრა საჭიროების ვალები ევროპის ცენტრალური ბანკიდან მიმდინარე რეცესიის გამო). ამასთანავე, ეს 0,5%-იანი ზრდა არ უნდა აქარბებდეს ჯამური მიმდინარე დეფიციტის 3 %დს. ნავარაუდევია, რომ ამ გზით აღარ მოხდებოდა დიდი ოდენობით ვალის დაგროვება და აცილებულ იქნებოდა შემდგომში რაიმე სახის ახალი ფინანსური კრიზისი.

თუმცა აქ ერთი კითხვა იბადება - ეს შეთანხმება ხომ უკვე იყო ხელმოწერილი გასული საუკუნის 90 იან წლებში და შეთანხმებული?

მართლაც, 1997 წელს ევროს „დაბადება“ ამ პრინციპს ეფუძნებოდა - ეს იყო მაასტრიხტის ცნობილი შეთანხმება და მისი სახელწოდება იყო „სტაბილურობისა და ზრდის პაქტი“. ეს პაქტი მაშინდელი გერმანიის ფინანსთა მინისტრის თეო ვაგელის მიერ იქნა შემოდებული. მაშ რა ხდება? რატომ გახდა საჭირო ამ წესის გამეორება? ვინ იყო ამ წესის დამრღვევი?

ისტორიულ ჭრილში სიტუაცია შემდეგში მდგომარეობს: წესი პირველად დაარღვია იტალიამ. იგი არასოდეს ასრულებდა დადებულ შეთანხმებას. დამრღვევთა შორის აღმოჩნდნენ აგრეთვე გერმანია და საფრანგეთი მათ ასევე არაერთხელ სხვადასხვა მიზეზით დაარღვიეს ეს შეთანხმება; ყველაზე გამაოგნებელი აღმოჩნდა ის, რომ ესპანეთმაც, რომელიც ყოველთვის და ბოლომდე იცავდა ამ შეთანხმებას, 2008 წელს დაარღვია იგი. საბერძნეთი არასოდეს იცავდა 3% ზღვარს და არც კი ჰქონდა ეს მაკროეკონომიკურ მიზნებს შორის, მაგრამ მოხერხებულად მანიპულირებდა სტატისტიკური მონაცემებით და აყალბებდა რა ციფრებს კარგად გამოიყერებოდა. ამის ხარჯზე ევროზონაშიც შევიდა და სამაგალითო ქვეყანა იყო, სანამ ციფრებით მანიპულირება არ გამჟღავნდა. სიყალბე მხოლოდ 2008 წელს გამოაშპარავდა. (წყარო: შპს „საქართველოს საინვესტიციო

ჯგუფი პლიუსი“ დავით ასლანიშვილი „ევროზონის კრიზისი“
www.investgroup.ge)

ერველივე ამის მიუხედავად, საერთაშორისო საფინანსო
ბაზრის მონაწილეებსა და ინვესტორებს განსხვავებული აზრი და
მიღებობით ახასიათებთ. თუ ამ ციფრებს გავვგებით - გერმანია,
საფრანგეთი და იტალია უნდა იყოს მიმდინარე კრიზისის დროს
უკეთაზე მძიმე მდგომარეობაში, ხოლო ესპანეთი უნდა ჰქონდეს
(საპროცენტო განაკვეთის დაბალი განაკვეთის გამო), მაგრამ
რეალობა სხვაგარია.

მაშრაშია საქმე? ნუთუ ცდებიან ინვესტორები?

არსებული ვითარება წამყავნი ოთხეულის ქვეყნებში
სუვერენული (სახელწიფო) ფასიანი ქაღალდების საპროცენტო
განაკვეთის დინამიკა 2008-2009 წლებში იანგრის თვის
მიხედვით შემდეგია: იტალია: 2008 - 4,5%, 2009 - 4,7%, 2010 წლის დ
4.1% , 2011 - 7.2%, 2012 დ 7- 8%; ესპანეთი: 2008 დ 4.3%, 2009 დ 4.1% ,
2010 დ 4.1%, 2011 დ 6.0%, 2012 დ 7- 8%; საფრანგეთი: 2008 დ 4.1%,
2009 დ 3.8%, 2010 დ 3.0%, 2011 წლის იანვარი დ 3.3%, 2012 - 3%;
გერმანია: 2008 დ 4.0%, 2009 დ 3.0%, 2010 დ 2.8%, 2011 დ 1.9%, 2012 დ
1,5 - 2%. (წყარო: Source: 10 year benchmark Government Bond yield,
Bloomberg)

თუ ამ სურათს გადავავლებთ თვალს აშკარაა, რომ
მასტრიხტის პრინციპის „დამცველი“ ესპანეთი აშკარად
დაჩაგრულია, თუმცა ინვესტორები არ ცდებიან. ისინი უფრო
სიღრმისეულად სწავლობენ სიტუაციას და აფასებენ მთლიანად
ქვეყნის კეონონიკური სუბიექტების მდგომარეობას. ამ მხრივ კი
ვითარება კარდინალურად განსხვავებულია (ცხრილი 1).

როგორც ჩანს ესპანეთის პრობლემაა მისი კერძო სექტორი
დ ბანკები, სამშნებლო ინდუსტრია და ეკონომიკის სხვა დარგები.
ესპანეთის კერძო სექტორმა, ისრაგბელა რა ევროს შემოღებით და
უკონტროლო ლიბერალიზაციით, საერთაშორისო ბაზარზე
ისესხეს მიღლიარდობით ევრო და დოლარი და დაბანდეს ამა თუ
იმ დარგში. ესპანეთსა და იტალიაში 2008 წლამდე ადგილი ჰქონდა

გასაოცარ დიდ საგარეო დავალიანების ზრდას, რაშიც ლომის წილი ამ ქვეყნების კერძო სექტორს ეკუთვნის. ამ სესხებთან ქვეყნების მთავრობას საერთო არაფერი აქვს. ეს საგარეო სესხი აღებულ იქნა ძირითადად კერძო სექტორის მიერ ევროზონაში შესვლისას, რადგან ევროს შემოდებით კერძო ბიზნესს მიეცა გასაქანი და შესაძლებლობა რესურსი იაფად და დიდ ოდენობით მოეზიდა საერთაშორისო ბაზრებიდან. ამ შესაძლებლობით პირველ რიგში ისარგებლებს კომერციულმა ბანკებმა – ისესხეს მილიარდობით რესურსი და ამ ნაბიჯით გასაოცარ სიდიდეზე აიყვანეს ამა თუ იმ ქვეყნის ჯამური საგარეო ვალი საერთაშორისო ბაზრის მიმართ.

ცხრილი 1

ევროზონის ქვეყნების არასაფინანსო სექტორის სახელმწიფო და კერძო სექტორის ვალის თანაფარდობა მშპ-სთან (ევროში)
2000 წლის მდგომარეობით

ქვეყანა	სახელმწიფო ვალი	კერძო სექტორის დავალიანება	სულ ჯამში
გერმანია	61%	165%	226%
საფრანგეთი	73%	170%	243%
იტალია	126%	126%	252%
ესპანეთი	71%	187%	258%

2000 წლიდან 2010 წლამდე ეს მაჩვენებელი შემდეგი გახდა:

ქვეყანა	სახელმწიფო ვალი	კერძო სექტორის დავალიანება	სულ ჯამში
გერმანია	77%	164%	241%
საფრანგეთი	77%	224%	321%
იტალია	129%	181%	310%
ესპანეთი	72%	283%	355%

წყარო: Bank for International Settlements.

საბოლოო ჯამში, კრიზისის პირობებში, ეს ქვეყნები დრმა ფინანსურ კრიზისში აღმოჩნდნენ და გაუჭირდათ ადრე აღებული სესხების დაფარვა.

ამ ფაქტს გაგრძელება პქონდა. ისესხეს რა მილიარდობოთ რესურსი, ესპანეთმა, იტალიამ და ნაწილობრივ საფრანგეთმა საოცრად გაზარდეს იმპორტი და ამით გაღრმავდა საგაჭრო დეფიციტი. ეს სხვაობა იფარებოდა საგარეო ვალებით, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიების მიერ. ამ სიტუაციით კი ყველაზე მეტად მომგებიან ვითარებაში გერმანია აღმოჩნდა, როგორც ექსპორტზე ორიენტირებული ქვეყანა. 1999 წლიდან მოყოლებული გერმანიამ დიდი ოდენობით გაზარდა თავისი ექსპორტი ყველა მიმართულებით, მათ შორის სამხრეთ ევროპის ქვეყნებში. გერმანულ ექსპორტს, რომლის არეალი ევროპით არ შემოიფარგლებოდა ყიდულობდა ესპანეთი, იტალია, საბერძნეთი და ნაწილობრივ საფრანგეთი სესხით ანუ საერთაშორისო ბაზარზე ნახესხები რესურსით. ამის ფონზე გერმანიას შეექმნა დიდი ოდენობით ფულის სიჭარბე, რომლის გასესხებას ის წარმატებით ახორციელებდა ამ და სხვა ქვეყნებში.

თუმცა პრობლემა მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. სიტუაცია ამ მიზეზთა გამო ამჟამად კიდევ უფრო მძიმე და ჩახდართულია.

ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში (1999 დ 2007 წწ) საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში არა მარტი ჯამური საგარეო ვალი გაიზარდა, არამედ გაზრდილ იქნა ხელფასებიც. ყურადსალია, რომ გერმანელების საშუალო სახელფასო მაჩვენებელი ამ პერიოდში არ შეცვლილა. შედეგად, კრიზისამდელმა ეიფორიამ, იაფმა ფულამა, შეექმნა კეთილდღეობის ილუზია ევროპის მთელ რიგ ეკონომიკურად შედარებით სუსტ ქვეყნებში და ესპანეთის, საბერძნეთის, იტალიისა და საფრანგეთის საშუალო სახელფასო მაჩვენებელი მიუახლოვდა და რიგ შემთხვევაში გაუტოლდა გერმანიისას. 90 იან წლებში გერმანულმა პროფკავშირებმა მიაღწიეს შთანხმებას ხელფასების უცვლელობის თაობაზე 1999 დ 2007 წწ. (წყარო: შპს

„საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი პლიუსი“ დავით ასლანიშვილი „ეკონომიკის კრიზისი“www.investgroup.ge)

კრიზისის პირობებში იტალიისა და ესპანეთის მუშახელი კი განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მკეთრად იმატა უმუშევრობამ და სოციალურმა უთანასწორებამ. ეს გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ კრიზისმა ნათლად აჩვენა ამ ქვეყნების ეკონომიკების კონკურენტუნარობა, რაც მძიმედ აისახა მათ მოსახლეობის ანაზღაურებასა და სოციალური დაცვის მექანიზმებზე. ფაქტიურად კრიზისის პირობებში იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი და რიგი სხვა ქვეყანა ვერ სესხულობდა იაფ რესურს, რომელიც საკმაოდ გაძვირდა. მეორეს მხრივ კი მათი წარმოება კონკურენტუნაროა გერმანულთან შედარებით.

სახელმწიფო ანუ სამთავრობო ვალს, რომელიც 2008 წლამდე შეიქმნა, საქმაოდ მცირე ადგილი უჭირავს იმ პრობლემაში, რაც ეკონომიკურ დღეს ახასიათებს. ანუ, თუ ყველა ქვეყანა დაიცავს 3%-იანი დეფიციტის მოთხოვნას ეს ნამდვილად ვერ გამოასწორებს არსებულ მდგომარეობას და მომავალი კრიზისები პერმანენტულ ხასიატს მიიღებს. ესპანეთი და იტალია ამჟამად ყველაზე სახიფათო რეცესიაში იმყოფებიან, რადგან არც ერთს არ სურს (და არც შეუძლიათ) ხარჯვითი ნაწილის გაზრდა. ელემნტარულად ამის რესურსიც არ გააჩნიათ. კომპანიები და მსესხებლები (ბანკები პირველ რიგში) დაკავებული არიან დაგროვილი ვალების მომსახურებითა და გადახდით. მათ არ ჩებათ არსებითი თავისუფალი რესურსი რაიმე სახის ახალი ხარჯის გაწევის მიზნით. ექსპორტი კონკურენტუნაროა და ამას ემატება ის ფაქტი, რომ მთავრობები შეთანხმედნენ და ატარებენ ხარჯების შემცირების პოლიტიკას, რადგან ვერ ხერხდება საკმარისი სასესხო რესურსი მოზიდვა საერთაშორისო ბაზრიდან (ადრე ნასესხები რესურსის გასტუმრებას ძლიერ აუდიან).

ამ მხრივ ეკონომიკის მთელი რიგი ქვეყანა შემდეგი დილემის წინაშე დგას:

ხარჯების შემცირების შემთხვევაში კრიზისში მყოფი ევროზონის ქვეყანა შეამცირებს რა ხარჯებს უქმდება, რომ ამით რეცესიას უფრო გააღრმავებს. ეს კი გაზრდის უმუშევრობას. ასევე შეიკვეცება ხელფასები კონკურენტულ დონემდე (ანუ ისეთ სახელფასო მაჩვენებელზე დავა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის წარმოებული საქონელი კონკურენტულიარიანი გახდეს).

თუმცა ისტორია ცხადყოფს, რომ ეს ურთულესი ნაბიჯი იქნება. ერთის მხრივ ხელფასის შემცირება ნიშნავს, რომ მოსახლეობა, რომელიც წლების განმავლობაში მიაჩვის ვალში ცხოვრებას, ამ ვალს ვერ გადაიხდის. რეფლექსურად მოსახლეობა შეკვეცავს თავის ხარჯებს (ეს ისედაც ხდება) ან საერთოდ შეწყვიტავს ვალის დაფარვას. ამასთანავე, დაბალი ხელფასი არ ნიშნავს ექსპორტის იმავდროულ ზრდას, რადგან ევროპის კველა საექსპორტო ბაზარი ასევე რეცესიაში იმყოფება. რა თქმა უნდა, მოსახლეობა ამ ნაბიჯს უარყოფითად მიიღებს და საგარაუდოა, რომ გახშირდება პროტესტი, გამოსვლები და ამით ფინანსური ბაზარი კიდევ უფრო „ნერვიული“ და მგრძნობიარე გახდება. ეს კი ეჭვის ქვეშ აყენებს ასეთი ქვეყნების ევროზონაში დარჩენის შესაძლებლობას. (წყარო: შპს „საქართველოს საინვესტიციო ჯგუფი პლიუსი“ დავით ასლანიშვილი „ევროზონის კრიზისი“ www.investgroup.ge)

ხარჯების არ შემცირება შემთხვევაში ფინანსური კოლაფსი და კრახი გარდაუვალი იქნება. 2008 წლამდე დაგროვილი ვალები ამჟამად გადაიზარდა ეკონომიკურ დაცემასა და დიდ უმუშევრობაში, რაც მძიმე ტიკირთია კრიზისში მყოფი ამა თუ იმ ქვეყნებს ეკონომიკისთვის. ამას ემატება ის ფაქტი, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკა იქნება ძალიან არაეფექტური და კონკურენტულნარო, თუ ეს ქვეყნები ევროზონასა და ევროს სავალუტო კავშირში დარჩებიან. ეს კი მიიყვანს ამ ქვეყნებს ნდობის დაკარგვის ფაქტამდე (ამის ნიშნები სახეზეა - სარეიტინგო ქულების დაწევა, სესხის პროცენტის ზრდა, კაპიტალის გადინება). საბოლოო ჯამში საფინანსო ბაზარმა

შეიძლება ჩათვალოს, რომ ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა უბრალოდ ძალიან სუსტია, რომ არსებული ვალებიც კი აიტანოს (საბერძნების დე ფაქტო გ.წ. მართვადი დეფოლტი ამის მაგალითია).

დასკვნა

მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი და განსაკუთრებით მისი ფინანსური ნაწილი არის ნათელი გაკვეთილი, რომ შეძლებელია საგარეო ვალებით ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის აყვავება.

საქართველოს ეკონომიკა, მისი სახელმწიფო ვალი და ქვეყნის საგარეო დავალიანება ამ ეტაპზე უკვე მიუხსლოვდა იმ ზღვარს, რომლის იქეთ ჩვენს ეკონომიკაში შესაძლებელია ევროპის ოიგი ქვეყნის მსგავსი მოვლენის მომსწრე გავხდეთ. ამის თავიდან აცილების ერთადერთი გზაა საგარეო დავალიანების შემცირება და ქვეყნის საექსპორტო (კონკურენტუნარიანი) დარგების გაძლიერება.

Aslanishvili David

CAUSES OF CURRENT ECONOMIC CRISIS OF EUROPEAN UNION COUNTRIES SUMMARY

This article is dedicated to the ongoing economic crisis with the main attention and analyses of European Union countries and EURO policy. I have described the main peculiarities of the European sovereign debt crisis, its reasons and future forecasts.

The mission of this article is to be an example and lesson for Georgia how and why to avoid the sharp increase in State and Foreign debts in the future.

თამარ ბაჩიაშვილი

ორგანიზაციათა ქცევის ანალიზი მათი საჭმიანობის ხასიათის მიხედვით

ორგანიზაციის თეორიების ისტორიაში ძირითადად გამოყოფენ სამ პერიოდს:

პირველი ეტაპი დაიწყო XX საუკუნის დასაწყისში და გაგრძელდა 80-იან წლებამდე. ამ ეტაპზე ანალიზის ფოკუსს წარმოადგენდა ორგანიზაციის ფორმალური სტრუქტურა.

მეორე ეტაპი დაიწყო ცნობილი ჰაუტორნის ექსპერიმენტებით და გაგრძელდა 60-იან წლებამდე. ანალიზის ფოკუსმა ამ ეტაპზე გადაინაცვლა არაფორმალურ ორგანიზაციაზე.

60-იანი წლებიდან ორგანიზაციის თეორიაში განხორციელდა სოციოლოგიური თეორიების (სტრუქტურული ფუნქციონალიზმი, სიმბოლური ინტერაქციონიზმი, ფენომენოლოგია და ა.შ.) გამოყენება ორგანიზაციული რეალობის მიმართ. დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ორგანიზაციაში ძალაუფლების ცვლადებისა და ორგანიზაციისა და მისი გარემომცველი მაკროსტრუქტურული რეალობის ურთიერთობის ანალიზს.

მიზანშეწყილდა მიგვაჩნია განვიხილოთ ის ძირითადი პარადიგმები, რომლებსაც ორგანიზაციის პრობლემების ანალიზისას ეყრდნობიან.

1. ორგანიზაციის კლასიკური თეორია.

ორგანიზაციის კლასიკური თეორია დომინირებდა XX საუკუნის 30-იან წლებში და მას გავლენა დღესაც არ დაუკარგავს.

ორგანიზაციის კლასიკური თეორია ეფუძნება ადამიანის, როგორც *Homo Economicus*-ის და ორგანიზაციის, როგორც რაციონალური ეკონომიკური მიზნების მისაღწევად შექმნილი ობიექტის მოდელს.

ორგანიზაციის კლასიკური თეორია 30-იან წლებში გაბატონებულ თეორიად რჩებოდა, მაგრამ 40-იანი წლებიდან მას

აკრიტიკებდნენ ზედმეტად გამარტივებული, მექანიცისტური მოდელის წარმოდგენისათვის.

ორგანიზაციის კლასიკურ თეორიას აკრიტიკებუნ იმის გამოც, რომ ამ თეორიის ფარგლებში ორგანიზაცია წარმოდგენილია, როგორც დახურული სისტემა და გაურკვევებია, რა ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ორგანიზაციის გარეთ არსებულმა მიკრო და მაკროსტრუქტურულმა რეალობამ მის სტრუქტურაზე.

2. ადამიანური რესურსების თეორია.

ადამიანური რესურსების თეორიის ბაზისურ დაშვებებს შემდეგნაირად აყალიბებენ:

- ორგანიზაციები არსებობს იმისთვის, რომ დააკმაყოფილოს ადამიანური მოთხოვნილებები (და არა პირიქით);
- ორგანიზაციებს და ადამიანებს სჭირდებათ ერთმანეთი.

მოცემული მიღგომის ფარგლებში ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რომ სამუშაოთი კმაყოფილება დამოკიდებულია ჯგუფის შიგნით არსებულ ურთიერთობებზე. თავის მხრივ, შრომის ეფექტურობა, პროდუქტიულობა დამოკიდებულია სამუშაოთი კმაყოფილების მაჩვენებლებზე.

ამ ახალი პარადიგმის ფარგლებში განსაკუთრებით პოპულარული გახდა ისეთი საკითხების კვლევა, როგორებიცაა: ჯგუფი და ჯგუფთაშორისი ურთიერთობები, მოტივაცია, ძალუფლება და ა.შ.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მართალია, ადამიანური რესურსების თეორიის ფარგლებში ნათელი გახდა ორგანიზაციის არაფორმალური ასპექტების მნიშვნელობა ორგანიზაციის ფუნქციონირების პროცესში, მაგრამ ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი ფორმალური, სტრუქტურული ასპექტების მოქმედებას არაფორმალურ ურთიერთობებზე.

3. ორგანიზაციის სისტემური თეორია

80-იანი წლებისთვის ინტელექტუალურმა მოდამ გადაინაცვლა კიბერნეტიკაზე, ინფორმაციულ სისტემებზე და გაზომვაზე ორიენტირებული თეორიებისკენ.

ასეთი მიღების ურადღების ცენტრშია ორგანიზაციის მიერ ინფორმაციის გადამუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების მოდელები.

ორგანიზაციის, როგორც დია სისტემის თეორეტიკოსები თვლიან, რომ მრავალცვლადიანი მოდელები გაცილებით უფრო ადეკვატურად ასახავს ორგანიზაციის ქვესისტემების ფუნქციონირებასა და უფრო ადეკვატურია მენეჯერებისა და ორგანიზაციული სტრატეგიის განსაზღვრისათვის.

ასეთი მიღების სირთულე, ჩვენი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ კონტექსტუალური ანალიზის პროცესში ცვლადების რაოდენობა თეორიულად შესაძლებელია უსასრულოდ გაიზარდოს, რაც გაზრდის ცვლადების შესაძლებელი კომბინაციების რაოდენობას.

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ჩვენ მხოლოდ რამოდენიმე პარადიგმა განვიხილეთ, რომლებსაც ორგანიზაციის პრობლემების ანალიზისას ეყრდნობიან და გვერდი ავუარეთ იმ თეორიების დაწვრილებით განხილვას, რომლებიც ძირითადი პარადიგმის ფარგლებში თავსდება.

როგორც ცნობილია, ორგანიზაციები ერთმანეთისაგან საქმიანობის მასშტაბით და სიდიდით განსხვავდებიან. საქმიანობის მასშტაბი, როგორც წესი, განისაზღვრება გაყიდვების მოცულობით.

ორგანიზაციის სიდიდის განსაზღვრა მიღებულია მასში დასაქმებული ადამიანების რაოდენობით. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში მოქმედებს შემდეგი გრადაცია:

- მცირე ზომის ორგანიზაცია: 1-დან 99 ადამიანამდე;
- საშუალო ზომის ორგანიზაცია: 100-დან 499 ადამიანამდე;
- მსხვილი ორგანიზაცია: 500-ზე მეტი ადამიანი.

ორგანიზაციების საქმიანობის ხასიათის მიხედვით კლასიფიკაციასა და ორგანიზაციის სიდიდეს შორის საკმაოდ ძვირდობული კავშირი არსებობს. კერძოდ, მსხვილი ორგანიზაციების უმრავლესობა შესაბამისი დარგის ლიდერთა შორისაა და მასობრივი წარმოებით არის დაკავებული (ე.წ. ფირმა-კოლეგიტები).

საშუალო ზომის ფირმების უმრავლესობა სპეციალიზებულ წარმოებას ეწევა (ე.წ. ფირმა-პატიენტები).

ინოვაციური ორგანიზაციები (ე.წ. ფირმა-ექსპლურენტები), რომლებიც ან პირველი ქმნიან ახალ პროდუქტებს და მათ წარმოებას ითვისებენ, ან პირველი ავითარებენ თავის საქმიანობას ახალ და უცნობ გარემოში, ყველა სიდიდის ფირმებში გვხვდებიან.

რაც შეეხება საქმიანობის ხასიათის მიხედვით კლასიფიკაციის მეოთხე კლასის ორგანიზაციებს (ე.წ. ფირმა-კომუტატები, ისინი როგორც წესი, მცირე ზომის ფირმებს წარმოადგენენ, რომლებიც არ არიან დაკავებულნი არც მასობრივი, არც სპეციალიზებული და არც ინოვატორული წარმოებით.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მასობრივ წარმოებაზე ორიენტირებულ მსხვილ კორპორაციებს შეუძლიათ თავიანთ დარგში გაატარონ მონოპოლიური პოლიტიკა, განდევნონ სხვა ფირმები. სწორედ ამიტომ უწოდებენ მათ ვიოლენტულს (ინგლისური სიტყვიდან Violent - ძლიერი, მოძალადე).

„მენეჯმენტის შვეიცარიელი სპეციალისტი ხ. ფრიზენვინ-კელი გამოყოფს ვიოლენტების სამ ტიპს (რომლებიც მსხვილი ფირმის განვითარების თანმიმდევრულ ეტაპებს ასახავენ): „ამაყი ლომები”, „მძლავრი სპილოები” და „მოუქნელი ბეჭემო-თები”.

წარმატებითი მასშტაბური ინვესტიციების შედეგად კომპანია შედის ვიოლენტების კლასში. ამას, ჩვეულებრივ, სწრაფი ზრდის ფაზა მოჰყვება. სწორედ ამ დროს კომპანია იძენს „ამაყი ლომისთვის” დამახასიათებელ ნიშნებს.

დოროთა განმავლობაში „ამაყი ლომები”, ჩვეულებრივ, დონამიზმსა და აგრესიულობას კარგავენ და იძენენ „მძლავრი სპილოებისთვის” დამახასიათებელ სტაბილურობას. ამ მდგომარეობაში ფირმა შეიძლება იმყოფებოდეს ათწლეულების მანძილზე. „მძლავრი სპილოების” მდგრადობა უზრუნველყოფილია წარმოების დიდი მოცულობით, მისი დივერსიფიკაციით და ფილიალების ფართო საერთაშორისო ქსელის არსებობით. თუმცა „სპილოებიც” ბერდებიან და „მოუქნელი ბეპეროვები” ხდებიან. ინარჩუნებს რა გიგანტურ საქონელბრუნვას, კორპორაცია შეუმნიერებლად გადადის იმ უხილავ ზღვარს, რომლის შემდეგაც დივერსიფიკაცია აქტივების გაფანტვა-გაფლანგვაში გადაიზრდება” [1, გვ.71-72].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ხ. ფრიზენვინკელის მიერ გამოყოფილი ვიოლენტების სამი ტიპი, რომლებიც ასახავენ მსხვილი ფირმების განვითარების თანმიმდევრულ ეტაპებს, მთელი სისრულით წარმოაჩენს იმ შეტევით სტრატეგიებს, რასაც ვიოლენტები იყენებენ ბაზარზე თავიანთი კუთვნილი ადგილის გამყარებასა და შენარჩუნებაში.

უფრადებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ თანამედროვე ეტაპზე საშუალო ფირმების წილის შემცირება შეინიშნება. ამის მნიშვნელოვან მიზეზს წარმოადგენს ის, რომ მათ უხდებათ ბრძოლა, როგორც მსხვილი კორპორაციების, ასევე მრავალრიცხოვანი წვრილი ფირმების წინააღმდეგ.

აუცილებელია აღინიშნოს ის გარემოება, რომ მოცემული მიმართულებით გამოყოფა წარმატებული ორგანიზაციების – „პატიენტების” კლასი, რომლის ძირითადი სტრატეგია მდგომარეობს შემდეგში:

- აქცენტი პროდუქტის დიფერენციაზე;
- ვიწრო სპეციალიზაცია

ჩვენი აზრით, ძალიან დიდ სიძნელეს წარმოადგენს კონკურენტების შემოსვლისაგან დაცული საკუთარი ნიშის შექმნა, საწარმოო პროცესის შეცვლა კი თითქმის შეუძლებელია.

როგორც აღნიშნავენ ჩან კიმი და რენე მობორნი: „ფასეულობის ინოვაცია – ეს აზროვნების ახალი მეთოდია. შედეგად ვდებულობთ კონკურენციისაგან თავის დაღწევის და ლურჯი ოკეანის შექმნის სტრატეგიებს. რაც მნიშვნელოვანია, ფასეულობის ინოვაცია კონკურენციაზე დაფუძნებული სტრატეგიის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დოგმის იგნორირებას ახდენს: კომპრომისი ფასეულობა – დანახარჯებს შორის. ტრადიციულად ითვლება, რომ კომპანიას შეუძლია შექმნას უფრო დიდი ფასეულობა უფრო მაღალი დანახარჯების წყალობით (დიფერენციაცია, ან დატოვოს ფასეულობის იგივე დონე უფრო დაბალი დანახარჯებით. სტრატეგია, ამ შემთხვევაში, განიხილება, როგორც არჩევანი დიფერენციაციას და დაბალ დანახარჯებს შორის. ამის საწინააღმდეგოდ, ისინი, ვინც ლურჯ ოკეანეს ქმნიან, მიზნად ისახავენ, ერთდროულად მიაღწიონ როგორც დიფერენციაციას, ასევე დაბალ დანახარჯებს” [1, გვ. 76].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ყოველივე ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ კონკურენციისაგან თავისუფალ გარემოში, რაც თანამედროვე ეტაპზე არ არსებობს, ვინაიდან, როგორც უმავი ვთქვით კონკურენტების შემოსვლისაგან დაცული საკუთარი ნიშის შექმნა გარკვეული სახის სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ფასეულობის ზრდა ინოვაციის გარეშე კომპანიას მთელ რიგ პრობლემებს შეუქმნის და საშუალებას არ მისცემს დაწინაურდეს კონკურენტების გარემოცვაში, ასევე ფასეულობის ზრდის გარეშე ტექნოლოგიური ინოვაციის შედეგად მიღებული ნებისმიერი სახის კონკურენტული უპირატესობა მხოლოდ დროებით ხასიათს ატარებს.

ორგანიზაციათა ქცევის ანალიზი მათი საქმიანობის ხასიათის მიხედვით სულ უფრო მეტად წარმოაჩენს პრობლემათა მთელ სპექტრს, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზაციის

გარემოზე კონტროლის განხორციელებასა და მის ეფექტიანობასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მარკოზაშვილი ნ. „ლურჯი ოქეანის ფირმა – გაზელები”. ჟურნალი „ბიზნესი” 2008, №11. ობილისი, 2008.

Bachiashvili Tamar

ANALYSIS OF THE BEHAVIOR OF ORGANIZATIONS ACCORDING TO THEIR ACTIVITY TYPE SUMMARY

The scientific article analyses the behavior of organizations according to their activity type.

The article examines several paradigms, which are depended on while analyzing the problems of organization.

Existence of connectivity between the size of organization and the classification of organizations according to the type of their activity and the problems, which are in connection with having control over the environment of organization are analyzed in the scientific article.

**ნანა ბენიძე
ჯაბა ბიწაძე**

სადაზღვევო პაზარი და მისი ფორმირება საქართველოში

თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების სახელმწიფოები დაზღვევისა და გადაზღვევის თანამედროვე სისტემებზეა დაფუძნებული. ჯანმრთელობის, სოციალური, ეკონომიკური, პროფესიული საქმიანობის, სავალდებულო და ნებაყოფლობით დაზღვევის პროდუქტები, ისეთივე მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, როგორც საშუალო ფენის არსებობა. ნებისმიერი მოქალაქის საქმიანობა და მდგომარეობა, რომელიც

დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან, აუცილებელია მოქმედეს სადაზღვევო სისტემაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილური განვითარება შეუძლებელია. ჯანსაღი კონკურენტუნარიანი სადაზღვევო თავისუფალი ბაზარი არ გამორიცხავს სახელმწიფო რეგულირების იმ დონეს, რომელიც აუცილებელია დაუცველი მოსახლეობისათვის. სახელმწიფო დაზღვევის მინიმალური პაკეტის არსებობაც კი საქართველოს მოსახლეობისათვის ძალზე მნიშვნელოვანი საკითხია.

საქართველოში ჯანმრთელობის დაზღვევა, სამწუხაროდ, არის სათანადოდ განვითარებული. თანამედროვე დაზღვევის სისტემა სერიოზული საზოგადოებრივი ინსტიტუტი და ადამიანის კულტურის შემადგენელი ნაწილია, რომლის გარეშეც შეუძლებელია საზოგადოებაში სრულფასოვანი ფუნქციონირება.

საქართველოს კონტროლის პალატის დასკვნები, ისედაც დააბულ სოციალურდეპონომიკურ ფონზე, ძალზე შემაშფოთებელია. დაუცველი ადამიანების უდიდესი ნაწილი ჯანმრთელობის დაზღვევის უურადღების მიღმა დარჩა. საყურადღებოა, რომ სადაზღვევო კომპანიების გარკვეულმა ნაწილმა 60-70%-დიან მოგებას მიაღწია. ყოვლად დაუშვებელია ისეთი მიდგომა, რომელიც მოსახლეობაში გამოიწვევს სადაზღვევო კომპანიებისა და საერთოდ, დაზღვევის მიმართ უნდობლობას. საქართველოში არსებული სადაზღვევო კომპანიები გვაიმედებენ, რომ საქართველოში იქნება საზოგადოების ნდობით აღჭურვილი სადაზღვევო სისტემა.

ყოვლად დაუშვებელია თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში მონოპოლიზმი, იგი ძირს უთხრის საზოგადოების სტაბილურობას. სადაზღვევო კომპანიების გარკვეული ნაწილი, რბილად რომ ვთქვათ, იყენებს მოსახლეობისა და სახელმწიფოს პრობლემებს საკუთარი ზემაღალი მოგების მისაღებად, რაც დამატებით შესაბამის შესწავლას მოითხოვს, თუ რა სამართლებრივი საფუძვლები (შეთანხმებები, ხელშეკრულებები, მომსახურეობის ხარისხი და

სპეციფიკა) არსებობს სახელმწიფო სადაზღვევო კომპანიას, სამკურნალო დაწესებულებასა და დაზღვეულს შორის. ასევე გასათვალისწინებელია ფორსმაჟორული სიტუაციები. ამას ემატება დაზღვეულთა უსახსრობა, არასათანადო ინფორმირება (ტრანსპორტის, წამლებისა და დამატებითი სამედიცინო მომსახურეობის გაუთვალისწინებელი ხარჯები). საბოლოოდ, ყველაფერი ეს აისახება სადაზღვევო პოლისის არ გამოყენებაში.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ჩამოყალიბების პროცესშია და მიმდინარეობს ურთულესი რეფორმები. სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს სამართლებრივად გამართული და ჩამოყალიბებული პროგრამა-ხედვა.

საქართველოს მდგრადი საბანკო ინსტიტუტების, კონკურენტუნარიანი სადაზღვევო სისტემების, საშუალო ფენის აქტიური ფუნქციონირების გარეშე მომავალი არ ექნება.

სადაზღვევო კომპანიები საქართველოში. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დაზღვევის ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2010 წლისათვის, საქართველოში სულ 17 სადაზღვევო კომპანია მოქმედებდა, რომელთა მიერ მოზიდულმა სადაზღვევო პრემიებმა 361,5 მლნ ლარი, ხოლო ანაზღაურებულმა ზარალმა – 180 მლნ ლარი (49.8 პროცენტი) შეადგინა. სადაზღვევო ბაზრის ანალიზიდან ირკვევა, რომ ქვეყნის სადაზღვევო სისტემაში მოზიდული ჯამური პრემიის მიხედვით ლიდერობდნენ კომპანიები: „ალდაგი BCI“, „GPI პოლინგი“, „IC ჯგუფი“.

„ალდაგი ბისიასა“ და „იმედი ელის“ გაერთიანების შედეგად კომპანიის კაპიტალის ოდენობამ 77 მლნ ლარს გადააჭარბა და სადაზღვევო ბაზარზე ყველაზე დიდი კაპიტალის მქონე კომპანია გახდა.

კომპანიის პორტფელის დიდი წილი ჯანმრთელობის დაზღვევაზე მოდის. ამ მიმართულებით მოზიდული პრემია 24 მლნ ლარს შეადგენს, ხოლო ანაზღაურებული ზარალი – 6.5 მლნ ლარს. კომპანიის პორტფელში მეორე ადგილზეა ავტომანქანის

დაზღვევა დ მოზიდული პრემია შეადგენს 3 მილიონ ლარს და ანაზღაურებული ზარალი – 2 მლნ ლარს. ქონების დაზღვევაში მოზიდული პრემია 2.5 მლნ ლარია, ხოლო ანაზღაურებული ზარალი – 28 ათასი ლარი.

2011 წელს „ალდაგი ბისიამ“ მნიშვნელოვანი ფინანსური გარიგებები განახორციელა – სადაზღვევო კომპანია „პარტნიორის“ სადაზღვევო პორტფელი შეიძინა, ალდაგი ბისიას შვილობილი კომპანია „ჩემი ოჯახის კლინიკა“ კი ბლოკ ჯორჯიას აქტივების 100%-ის მფლობელი გახდა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, „ალდაგი ბისია“ სადაზღვევო ბაზრის 26% -ს ფლობს. 2012 წლის პირველ კვარტალში „ალდაგი ბისიამ“ 34.1 მლნ ლარის სადაზღვევო პრემია მოიზიდა.

სადაზღვევო კომპანიების მიერ შემოთავაზებული 17 დაზღვევის სახეობიდან, ყველაზე დიდი წილი – 68 პროცენტი ჯანმრთელობის დაზღვევაზე მოდის.

საქართველოში სადაზღვევო საქმე თანდათანობით იკრებს ძალას და მოსალოდნელია, რომ სწორად ორგანიზებული და მიზნობრივი პოლიტიკის შედეგად, იგი უახლოეს პერიოდში დაიკავებს თავის კუთვნილ ადგილს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ფორმირებასა და განვითარებაში.

საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაიწყო ქვეყნის სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი. გარდამავალი ეკონომიკის საწყის ეტაპზე, როდესაც ქვეყანაში მძვინვარებდა ღრმა ეკონომიკური კრიზისი და ადგილი ჰქონდა ინფლაციურ და პიპერინფლაციურ პროცესებს, შეუძლებელი იყო სადაზღვევო საქმიანობის ნორმალურად წარმართვა. აღსანიშნავია, რომ ასეთ ფონზე რეგიონული სადაზღვევო სისტემის ფორმირებისთვის საერთოდ არ იყო შექმნილი ხელსაყრელი სოციალურ - ეკონომიკური და პოლიტიკური გარემო. საუბარია იმაზე, რომ სადაზღვევო სისტემის ფორმირება მიმდინარეობდა ღრმა

ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ადგილი ჰქონდა გადაუხდელობის პრობლემის გამწვავებას, კრიზისულ ფინანსურ მდგრმარეობაში იყო თითქმის ყველა სამუშაო სუბიექტი, რასაც ემატებოდა რეგიონის მოსახლეობის გაღატაკება და, შესაბამისად, მსყიდველობითურიანობის დაბალი დონე, არაჯანსაღი კონკურენცია ბაზარზე (განსაკუთრებით საფინანსო სფეროში), მოსახლეობის ნდობის დაკარგვა საფინანსო-საბანკო სისტემისადმი და ა.შ.

დღეისათვის ქვეყანაში აქტიურად მიმდინარეობს სადაზღვევო სისტემის რეფორმა და შეიძლება ითქვას, ამ სფეროში მიღწეულია გარკვეული წარმატებები, რადგან დაზღვევა დაკავშირებულია სარისკო შემთხვევების ფინანსურ შედეგთა დაძლევასთან და მისი მიზანია დაუბრუნოს დამზღვევებს ისეთი მატერიალური მდგომარეობა, რომელშიც ის იმყოფებოდა რისკის რეალიზებამდე. დაზღვევა ზარალის ფინანსურ კომპენსაციასთან ერთად საქმიანი აქტივობის დიდი სტიმულია, რაც ხორციელდება სადაზღვევო კომპანიების განკარგულებაში არსებული დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების ინვესტირებით. სადაზღვევო ბაზარზე იყიდება სპეციფიკური საქონელი - სადაზღვევო დაცვა და ამ საქმიანობაში ჩართულია თითქმის ყველა სადაზღვევო კომპანია. ისინი სულ უფრო და უფრო ღრმად შედიან ერთმანეთთან იურიდიულ და ეკონომიკურ ურთიერთობაში. სწრაფად იზრდება საბაზრო ურთიერთობების მონაწილე სადაზღვევო სახეობათა ჩამონათვალი.

სადაზღვევო სისტემაში არსებული პრობლემების დაუძლევლობის მიზეზებიდან უნდა გამოიყოს: ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები; საზოგადოების მხრიდან ნდობის დაბალი ხარისხი სახელმწიფოსა და საბაზრო სტრუქტურებისადმი; მოსახლეობის დანაზოგთა უკმარისობა და საზოგადოების სადაზღვევო კულტურის დაბალი დონე; გარკვეულ ნეგატიურ როლს თამაშობს

საფინანსო-საბაზრო სისტემაში ადრე არსებული ქაოსი და არასტაბილურობა; ამასთან, დაბალია ჯერ კიდევ სადაზღვევო სისტემაში მომუშავეთა კვალიფიკაციის დონე, სახელმწიფო და კერძო სასწავლებლები კვლავ ვერ უზრუნველყოფენ სადაზღვევო სისტემისთვის მაღალკალიფიციური კადრების მომზადებას; შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჯერ კიდევ არა აქვს რეალური მხარდაჭერა სადაზღვევო კომპანიებს და სხვა.

საბაზრო ურთიერთობებში დაზღვევა გამოდის, ერთის მხრივ, როგორც ბიზნესისა და მოსახლეობის კეთილდღეობისათვის მიმართული საქმიანობა და, მეორეს მხრივ, როგორც კომერციული საქმიანობა, რომლის ძირითადი მიზანია მოგების მიღება. ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კომპანიების თავისუფალი ფულადი სახსრების (რეზერვების) ინვესტირებას. პრობლემა იმაშია, რომ სწორად განისაზღვროს სახელმწიფოს მხრიდან ინვესტირების წესები და ფულადი სახსრების განთავსების დივერსიფიკაციის პრინციპები, ანუ რეგიონთა საფინანსო დამოუკიდებლობაში მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს რეგიონულმა სადაზღვევო ბაზარმა, რამდენადაც რეგიონულ ჭრილში დაზღვევის ეფექტურ ფუნქციონირებაზეა დამოკიდებული ფულადი სახსრების გადადინება აკუმულირების წაროდან ინვესტიციური საქმიანობის სფეროში, რეგიონების სოციალურ - ეკონომიკური მდგრმარეობის გასაუმჯობესებლად პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს სადაზღვევო ბიზნესის რეგიონულ განვითარებას, საინვაციო პოლიტიკას, კერძო სექტორის ხვედრითი წილის ცვლილებას ინვესტიციებში, რეგიონებში ინვესტიციურ - სადაზღვევო აქტივების ამაღლებას, რაც გულისხმობს პოლიტიკური, სოციალურ - ეკონომიკური და სხვა პროცესების დარეგულირებისთვის გარემოს შექმნასა და, თავის მხრივ, განსაზღვრავს დარგში ინვესტიციების მიზანშემონიდვილობას მოცემულ ტერიტორიებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. 1911 National Insurance Act. (n.d.). Retrieved 2011 წლის 05 05 from National Insurance Act:

<http://www.spartacus.schoolnet.co.uk/Linsurance1911.htm>

2. ALDAGI BCI. (n.d.). Retrieved 2011 წლის 05 05 from ჩვენს შესახებ: <http://www.aldagibci.ge/index.php?m=60>

3. LLOYD'S HISTORY. (n.d.). Retrieved 2011 წლის 05 05 from LLOYD'S:

<http://www.lloyds.com/Lloyds/About-Lloyds/Explore-Lloyds/History>

4. THE NATIONAL INSURANCE ACT. (n.d.). Retrieved 2011 წლის 05 05 from Ministry of Justice:

<http://www.moj.gov.jm/laws/statutes/National%20Insurance%20Act.pdf>

*Benidze Nana
Bitsadze Jaba*

HEALTH INSURANCE MARKET AND ITS FORMATION IN GEORGIA SUMMARY

In modern Georgian society, the vast majority of people remain vulnerable to health insurance.

It is unacceptable such approach, which will result distrust in the insurance companies and in the insurance in common. But in Georgia there are insurance companies which give people hope, that in future we will have not only competent, qualified health insurance companies, but also by the public trusted health insurance system. It is not permitted monopolization in modern market economy countries. It undermines the stability of society. Some health insurance companies, to say the least, use problems of the population for their own super high profit. Requires additional studies of what legal basis (Agreements, contracts, service quality and specificity) are needed between state health insurance companies, medical institutions, and the insured population. It must be considered force majeure situations,

lack of material resources and not properly informed people. Eventually all of this will be reflected in the insurance policy.

In Georgia is a very complex process of the formation of health insurance market. Georgia will not have future without of banking institutions and sustainable, competitive health insurance systems.

გიორგი ბრეგვაძე
**სამშენებლო სისტორის სტრუქტურული განვითარების
პროგნოზები ბლობალიზაციის პირობებში**

სამშენებლო სექტორი მთელ მსოფლიოში, და მათ შორის საქართველოში, აქტუალური და სწრაფად განვითარებადი სფეროა. გლობალიზაციის პირობებში ამ სფეროს სტრუქტურულ განვითარებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სამშენებლო სექტორს თავისი სკეციფიკა გააჩნია, რაც შემდგომში მდგომარეობს: ყველა შენობასა და ნაგებობას ხუთ ჯგუფად ყოფენ.

პირველ ჯგუფში სამოქალაქო შენობებია. ამ ჯგუფში შედის საცხოვრებელი სახლები, საბავშვო ბაღები და სკოლები, მაღაზიები და საავადმყოფოები, კინოთეატრები და სხვა. ამ ჯგუფის შენობები, როგორც წესი, მრავალსართულიანია. აქვს ბევრი კედელი, ტიხარი, ფანჯარა, კარი და კიბე, მათ ასაშენებლად ბევრი გასაწყობი სამუშაოა შესასრულებელი. საჭიროა კედლების შელესვა, იატაკის დაგება და სხვა, რასაც ამ ჯგუფის შენობებში მაღალ მოთხოვნებს უქენებენ.

სამოქალაქო მშენებლობა მოითხოვს გზების, გასასვლელების, ტროტუარების, წყალსადენი მილების, კანალიზაციის, გაზის გაყვანას, აგრეთვე გამწვანებას.

ამ ჯგუფის შენობებისათვის დამახასიათებელია მასობრივი გაშენიანება. ეს იმას ნიშნავს რომ აქ მარტო ერთ სახლს კი არ აშენებენ, არამედ მთელ კვარტალს, საცხოვრებელ ბინებსაც და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობებსაც.

მეორე ჯგუფი – მოცულობით ყველაზე დიდი სამრეწველო შენობები და ნაგებობებია. ამ ჯგუფში გაერთიანებულია მრეწველობის ყველ დარგის შენობები – მანქანათმშენებელი, ნავთობგადამმუშავებელი, საავტომობილო, საავიაციო, ცემენტისა და სხვა ქარხნები, ქსოვილების, ფეხსაცმლის, საკვების, ქაღალდის დამამზადებელი ფაბრიკები და ქარხნები, თბოელექტროსადგურები და ბევრი სხვა საწარმო. სამრეწველო ნაგებობანი ისევე მრავალფეროვანია, როგორც მრეწველობის დარგები. ამ მრავალფეროვნების მიუხედავად, სამრეწველო შენობებს საერთოც ბევრი აქვს. შენობები დიდია, კედლები და ტიხერები ცოტა. მშენებლობამ უნდა გაუძლოს განუწყვეტლად მოძრავი მანქანებისა და დაზგების წონას, ამიტომ ამ შენობათა კონსტრუქცია განსაკუთრებით მძლავრი და მკვიდრი უნდა იყოს.

მესამე ჯგუფი პიდროტექნიკური ნაგებობანია: პიდრავლიკური ელექტროსადგურები, კაშხლები, არხები, ნავსადგურები, სანაპიროები. წყალს დინება რომ შეუცვალონ, მშენებლებს ხშირად ახალი კალაპოტი გაჰყავთ. პიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის დროს საჭიროა მილიონობით კუბომეტრი მიწის მოთხრა და გატანა, გარდა ამისა, ათეულობით ათასობით კუბომეტრი ბეტონისა და რკინაბეტონის ჩასხმა. ამიტომ პიდროტექნიკურ მშენებლობაზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მიწისა და ბეტონის სამუშაოთა სწორ ორგანიზაციას.

შემდგომი, მეოთხე ჯგუფია სატრანსპორტო ნაგებობანი. ამ ჯგუფში შედის რკინიგზები და გზატკეცილები, ხიდები, აგრეთვე, დამხმარე ნაგებობანი – ვაგზლები, აეროპორტები და სხვა.

და, ბოლოს, მეხუთე ჯგუფია სასოფლო-სამეურნეო ნაგებობანი. ამ ჯგუფში შედის მარცვლეულის სხვადასხვანაირი საწყობები, შენობები საქონლისა და ფრინველებისათვის (ბოსლები, საღორეები, საქათმეები და სხვა), სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გადამმუშავებელი და შემნახველი საწარ-320

მოები, შენობები, სადაც სასოფლო-სამეურნეო მანქანებს აყენებენ და სადაც მათი შეკეთება წარმოებს და სხვა.

ყველა შენობისა და ნაგებობის ჯგუფებად დაყოფა, რა თქმა უნდა, პირობითია. ნაგებობებს ჯგუფებად იმიტომ ყოვენ რომ თითოეულ ჯგუფს ესაჭიროება თავისი კონსტრუქცია, თავისი მექანიზმები, თავისი მუშაობის მეთოდი. სწორედ ამ თავისებურებებს ითვალისწინებენ შენობის აგებისას.

აქედან გამომდინარე, დღეს მშენებლობას ახორციელებს უამრავი სამშენებლო კომპანია. მაგრამ, რაც საქართველოსათვის განსაკუთრებით სპეციფიკურია, სახელმწიფო ბიუჯეტიდან რეგიონული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაზე ძალზე დიდი თანხები გამოიყოფა, მილიარდ ლარზე მეტი, რაც ბიუჯეტის 15%-ია.

მთავრობის კურსი მიმართულია ახლის მშენებლობისა და ძველის რესტავრაციისაკენ. რესტავრაცია ჩაუტარდა და აშენდა ბევრი ახალი ნაგებობა სახელმწიფო დაწესებულებებისათვის. მაგალითად, პოლიციის შენობები, სამხედრო კაზარმები, ასევე გზები, ხიდები, სტადიონები და სპორტული დარბაზები, შადრევნები, რკინიგზის სადგურები, სავაჭრო ცენტრები, სკოლები, სასტუმროები, საავადმყოფოები, საწარმოები და სხვა.

აშენდა და გალამაზდა, რესტავრაცია ჩაუტარდა მრავალი ქალაქის შენობა-ნაგებობებს. მათ შორის: სილნადი, თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, მცხეთა. მიმდინარეობს ახალციხის, თელავის და, რაც მთავარია, ახალი ქალაქის – ლაზიკის მშენებლობა, რისთვისაც ძალზე დიდი თანხებია საჭირო.

საქართველოში მშენებლობას ძირითადად კერძო კომპანიები ახორციელებენ მშენებლობა, ძირითადად, სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე მიმდინარეობს. თითქმის ყველა სამინისტრო აშენებს და არემონტებს შენობებს ტენდერებში გამარჯვებული კომპანიების მეშვეობით.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში არის ურბანიზაციისა და მშენებლობის დეპარტამენტი, რომლის ძირითად ამოცანებში შედის სამშენებლო საქმიანობის

სახელმწიფო და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების მეთოდური ხელმძღვანელობა;

ურბანული განვითარების, სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და არქიტექტურულ-ქალაქთმშენებლობითი, სამშენებლო საქმიანობის, საბინაო-კომუნალური, საცხოვრისისა და საქალაქო მეურნეობის პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება თავისი კომპეტენციის ფარგლებში;

დასახლებული პუნქტების (ქალაქების, კურორტების, დაბების, სოფლებისა და სხვა ურბანული ტერიტორიების) მდგრადი და უსაფრთხო განვითარების ხელშეწყობა, ქვეყნის ტერიტორიის ქალაქებებმარებითი და საინჟინრო საქმიანობის ორგანიზება;

ქვეყნის სივრცით-ტერიტორიული მოწყობის გენერალური სქემის, კერძოდ, ქვეყნის განსახლების სისტემის გენსქემის, მუნიციპალური დაგეგმარების სქემებისა და პროექტების, აგრეთვე ქალაქებისა და სხვა დასახლებათა განვითარების ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობის საფუძველზე, მათი დამუშავების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა და რეალიზების კოორდინაცია;

ქვეყნის ქალაქებისა და სხვა დასახლებათა ტერიტორიების განვითარების, მიწათსარგებლობის დაგეგმვისა და უფლებრივი ზონირების რუკების შემუშავების ორგანიზება და ამ სამუშაოთა მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა;

ქვეყანაში საინჟინრო კომუნიკაციების, მათ შორის, წყალმომარაგებისა და წყალსარინების სისტემების, სპეციალური დანიშნულების შენობა-ნაგებობების, სატრანსპორტო მაგისტრალების, ენერგეტიკული და სამელიორაციო სისტემების განვითარების მიმართულებათა განსაზღვრაში მონაწილეობა და მათი საინჟინრო უზრუნველყოფის კოორდინაცია შესაბამის დაწესებულებებთან ერთად;

სამშენებლო დარგის, საბინაო სექტორის სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შემუშავება;

გლობალური, სახელმწიფო და რეგიონული პროგრამებისა და პროექტების განხორციელებაში მონაწილეობა;

ურბანული განვითარების, სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, სამშენებლო საქმიანობისა და საბინაო-კომუნალური სფეროების მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი, წინადადებებისა და პროექტების, მეთოდოლოგიისა და ინსტრუქციების მომზადებაში მონაწილეობა;

სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ოკითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა თავის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მომზადებისას;

მშენებლობის თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით საშენი მასალების წარმოების ორგანიზების კოორდინაცია და ხელშეწყობა;

საქალაქო მეურნეობის დარგების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა, პროგნოზირება და რეალიზების ხელშეწყობა; საბინაო-კომუნალური მეურნეობის სექტორში ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ბაზის შექმნის ხელშეწყობა;

საცხოვრებლის ინდიკატორების შემუშავება საერთაშორისო ინდიკატორების სტრუქტურის გათვალისწინებით;

სამშენებლო დარგის სპეციალისტთა საკვალიფიკაციო სერტიფიკაციის საკანონმდებლო ბაზის შექმნაში, სამუშაოთა ორგანიზებისა და განხორციელების უზრუნველყოფაში მონაწილეობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

თავისი კომპეტენციის ფარგლებში ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და შეთანხმებისა და ვიზირებისათვის იურიდიულ დეპარტამენტში წარდგენა;

კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების საფუძვ-

ლებისა და საჭირო დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფა;

ძირითადად სამშენებლო სამუშაოების შესრულებით დაკავებულია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო. ამ სამინისტროს ეკისრება გზების, ხიდების, მილების, გვირაბების, წყალმომარაგებისა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისათვის განსახორციელებელი პროექტების შესრულების პასუხისმგებლობა. მუშაობა სრულდება გამარჯვებული კომპანიების საშუალებით.

დღემდე აშენდა და ოეაბილიტაცია ჩატარდა 3000 კილომეტრზე მეტ საავტომობილო გზას, 400 ხიდს და 10 გვირაბს. იგეგმება სტეფანწმინდისა და მესტიის მიმართულებით გვირაბის მშენებლობა. საქართველოში აშენდება 150-მდე სამედიცინო ობიექტი. 2004 წლიდან დღემდე სულ 1628 სტადიონი და სპორტული ობიექტი გარემონტდა და აშენდა. ამავე პერიოდში 600-მდე სამონასტრო კომპლექსის, ეკლესიისა და სამლოცველოს რესტავრაცია განხორციელდა. 2004 წლიდან დღემდე მშენებლობის სექტორის განვითარების შესახებ მონაცემები ასე გამოიყერება:

ცხრილი ۳۵

	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011*	I 2012
გრუნვა, მლნ. ლარი	387.4	778.8	1125.3	1604.6	1412.0	1736.3	1694.5	1703.4	546.7
გამოშევ- ბული პროდუქ- ტია, მლნ. ლარი	383.7	768.9	1186.0	1718.2	1434.7	1752.6	1728.5	1722.3	548.3
დამატ- ბული გირებუ- ლება, მლნ.	127.1	246.0	401.4	630.6	482.3	605.2	618.1

³⁵ ცხრილი შედგენილია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე.

დარი									
შეუძლებული მოხმარება, მდნ. დარი	256.5	523.0	784.5	1087.6	952.4	1147.5	1110.4
ფიქსირებული აქტივები, მდნ. დარი	127.2	258.7	474.9	635.1	652.2	723.8	799.1
დასაქმებულთა რაოდენობა, გაცი	21344	38560	46681	52572	38109	43452	40303	31517	46982
დასაქმებულთა საშუალო მდგრადი შრომის ანაზღაურება, დარი	237.9	292.3	391.0	495.1	600.9	629.0	674.6	899.8	826.1

საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ შეიმუშავა წყალტუბოს, ვანის, ცაგერის, მარტვილის, წალენჯიხის, ლენტეხის, სურამის, ოზურგეთის, ზესტაფონის, ტყიბულის და ბალდათის წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სისტემები. აღნიშნულ ქალაქებში ლოკალური პრობლემების აღმოფხვრა მუდმივად ხდებოდა, თუმცა ამ პროექტების საშუალებით მოხდება სისტემების მასშტაბური რეაბილიტაცია, რაც მკვეთრად გააუმჯობესებს წყალმომარაგების პირობებს. აღნიშნული ქალაქების პროექტებიდან უმრავლესობაზე მუნიციპალურმა განვითარების ფონდმა ტენდერი უკვე გამოაცხადა. ტენდერის პირობები მოიცავს: ცენტრალური გამწმენდი ნაგებობების რეაბილიტაციას, სატუმბი სადგურების სარემონტო სამუშაოებს, საქლორატორების კაპიტალურ შეკეთებას, წყალსადენების ქსელების რეაბილიტაციას, მიღდსადენისა და სარეგულაციო რეზერვუარების მშენებლობას.

გარდა ამ სამინისტროსი, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით მშენებლობას ახორციელებს

ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. მაგალითად, ფოთსა და წყალტუბოში მთელი კვარტლები აშენდა ლტოლვილებისათვის. მშენებლობას აწარმოებენ ასევე სხვადასხვა უცხოური კომპანიები, ინვესტორები. მაგალითად, “კემპინსკის” სასტუმრო თბილისში, ბათუმში “ტრამპთაუერი” და მრავალი სხვა ცნობილი ფირმები. ასევე მიმდინარეობს ინდივიდუალური ბინათმშენებლობები. მათზე ნებართვებს მერია და ადგილობრივი გამგეობები გასცემენ.

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის ლიკვიდაციის შედეგ ჩამოყალიბდა ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – თბილისის არქიტექტურის სამსახური. სამსახურის ჩამოყალიბების მიზანია მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მშენებლობის ნებართვების გაცემის გამარტივება.

ბინათმშენებლობაში არსებობს გარკვეული პრობლემები. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს საქართველოში შეჩერდა დეველოპერული კომპანიების მუშაობა, ბანკები სესხს აღარ გასცემდნენ და აღარც დამკვეთები იხდიდნენ თანხას. ამ სამ სეგმენტს შორის ნდობა დაიკარგა და ქვეყანაში გაჩნდა გადაუჭრელი პრობლემა: დაუმოთავრებელი მშენებლობები, დაუსახლებელი ოჯახები და უმუშევართა სიმრავლე-ვითარებამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ნდობა სრულიად დაიკარგა. ამ ვთარებაში თბილისის მერიამ პასუხისმგებლობა აიღო და დაინტერესებულ სუბიექტებს შორის ნდობა აღადგინა. შეიძუშავა პროექტი “ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე”. ეს პროექტი უკვე მესამე ეტაპზეა. მერია სამშენებლო ობიექტების ექსპლუატაციაში მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში ერთ კვადრატულ მეტრს 400 აშშ დოლარის ეკვივალენტით შეისყიდის ლარში. უკვე გაფორმებული ხელშეკრულების საერთო ლირებულება 62 მილიონ ლოლარს და თითქმის 155 ათას კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართს აღწევს. შედეგად მივიღეთ ახალი და დასრულებული საცხოვრებელი სახლები, გადახდილი ვალები,

დაბინავებული ოჯახი და ძველი თბილისის აღდგენის ეფექტური პროექტი.

უახლოეს მომავალში დაგეგმილია, უცხოური ინვესტორების დახმარებით აშენდეს 15 ჰესი, სადაც 30000 ადამიანი იქნება დასაქმებული. შენდება მრავალი საავადმყოფო. როგორც გაკვავთ ახალი გვირაბი, რომელიც ბათუმთან უფრო მაღლე დააკავშირდებს თბილისს. ასევე ყარსი – ახალქალაქის მაგისტრალი, რითაც საქართველო სტამბულის გავლით ევროპას დაუკავშირდება, ასევე შუა აზიასაც.

ასე რომ, საქართველოში მშენებლობის და აღმშენებლობის ბუმია, თუმცა უოველივე ეს ხორციელდება სახელმწიფოს და შესაბამისად ბიუჯეტის ხარჯზე. ეს, ერთი მხრივ, სამშენებლო კომპანიებს სტიმულს აძლევს და ავითარებს სამშენებლო სექტორს და ასევე სამშენებლო მასალების მრეწველობასაც. მაგრამ ბიუჯეტი შეზღუდულია. არაა მიზანშეწონილი სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები ძირითადად მშენებლობაზე იხარჯებოდეს და მრეწველობის სხვა დარგები დაუფინანსებელი დარჩეს. ამიტომ, ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა, თუ მშენებლობას სახელმწიფო ნაკლებად დააფინანსებდა და იგი კერძო სექტორის ხარჯზე განვითარდებოდა. მაგალითად, სააქციო საზოგადოებების ხარჯზე. მუდმივად სახელმწიფო დაფინანსებით შეუძლებელია მშენებლობის სექტორის განვითარება. ამით ბიუჯეტიდან დაფინანსება სხვა დარგებს აკლდება და თანაც მოსახლეობას აწვება მძიმე ტვირთად. პირდაპირ თუ ირიბად, იზრდება გადასახადები ბიუჯეტის შესავსებად. ასე კი დიდხანს არ შეიძლება გაგრძელდეს. უმჯობესი იქნება, და ალბათ მომავალში ასეც მოხდება და ასეთი გრანდიოზული მშენებლობები ფასიანი ქაღალდების, აქციების ხარჯზე განხორციელდება. ეს ფორმა დიდი ხანია მთელ მსოფლიოში წარმატებითაა აპრობირებული. გლობალიზაციის პირობებში კი მსოფლიო გამოცდილების გაზიარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემები – 2011 წ.
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები – 2012 წ.
3. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემები – 2011 წ.
4. გ. ბრეგვაძე – თსუ პ. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული IV.
5. ჯდამაძე ო. სოციალური ეკონომიკა, №1. 1999.

Bregvadze George

THE PROBLEMS OF STRUCTURAL DEVELOPMENT OF THE CONSTRUCTIONAL SECTOR UNDER GLOBALIZATION SUMMARY

This work analyzes the problems of structural development of the constructional sector in the condition of globalization and are planned those ways and tasks which will help in the improvement of the sector of the constructional structure.

Ната Давлашериძე

ЛАУРЕАТ НОБЕЛЕВСКОЙ ПРЕМИИ ПОЛ КРУГМАН О ВЛИЯНИИ ГЛОБАЛИЗАЦИИ НА НАЦИОНАЛЬНЫЕ ЭКОНОМИКИ

Процесс глобализации является одной из центральной проблем современной экономической науки. Процесс глобализации – это прежде всего растущая мировая взаимозависимость стран вследствие роста объемов и расширения номенклатуры трансграничной торговли товарами и услугами, международных капиталопотоков, а также быстрого и широкомасштабного распространения всех видов технологий.

гий, это качественно новый уровень взаимосвязи политической, хозяйственной, культурной и других сфер жизни, в которых на смену национальным приходит доминирование глобальных отношений. Происходит интенсификация, ускорение всех видов деятельности за пределы национальных границ, усиление их взаимосвязей и влияния друг на друга. На фоне расширяющейся глобализации особую актуальность приобретают вопросы развития национальных экономик. С одной стороны, в условиях глобализации происходит взаимопереплетение национальных экономик: развивается экономическое сотрудничество, стираются национальные границы, потоки движения товаров, капиталов и услуг встречают все меньше барьеров на своем пути. Но, с другой стороны, встает вопрос о необходимости отдельным странам отстаивать национальные экономические интересы, обеспечивать собственную экономическую безопасность. Возникает необходимость исследования факторов, обуславливающих возможности отдельных стран более или менее успешно развиваться в глобализирующемся мире. Проблема влияния глобальных факторов на развитие национальных экономик еще более обостряется в условиях мирового экономического кризиса. В этой связи, огромный интерес представляют взгляды и теоретические разработки лауреата Нобелевской премии по экономики за 2008 год **Пола Робина Кругмана (Paul Robin Krugman)** — американского экономиста и публициста. П. Кругман является известным специалистом по вопросам мировой экономической политики. Его научные исследования освещают разные аспекты международной финансово-хозяйственной деятельности. Кругман изучает особенности современного этапа в развитии мирового хозяйства. Им проведен исторический анализ процессов глобализации, в том числе, в аспекте экономического неравенства между странами мира. Хотя теория, за которую ему была вручена Нобелевская премия, была разработана им еще в конце 70-х годов прошлого века, она объясняет влияние глобализации и свободной торговли на мировую экономику и основывается на предпосылке, что затраты на производство многих товаров могут быть снижены при больших объемах производ-

ства. Это так называемая экономия за счет роста масштабов производства. С учетом потребительского спроса на различные виды товаров небольшое производство для местного рынка постепенно вытесняется масштабным для мирового. В условиях крупномасштабного производства расширяется торговля не только между странами, специализирующимися на различных видах товаров, как следует из традиционной экономической теории: согласно теории Кругмана, доминирующими на рынке постепенно становятся государства, не только находящиеся на одной ступени развития экономики, но и специализирующиеся на экспорте и импорте какого-либо определенного товара. В силу конкуренции экономик различных государств на мировом рынке это приводит к снижению цен на продукцию.

При формировании адекватной международной торгово-экономической политики необходимо учитывать и использовать объективные закономерности изменений (в том числе институциональных, связанных с глобализацией). Кругман, основываясь на четких научных позициях, дает анализ этих закономерностей и выясняет глубинные причины парадоксов глобализации. По мнению П. Кругмана «...глобализация, движимая не благостью человеческой природы, а мотивом получения прибыли, принесла людям гораздо больше, чем вся помощь другим государствам и все предоставленные на мягких условиях кредиты, которые когда-либо были сделаны правительствами и международными организациями, действующими из самых лучших побуждений». Такова природа глобализации. По его мнению, сам термин глобализация означает рост международного потока товаров и услуг, а мир в экономическом смысле становится все более взаимозависимым. Кругман считает, что: "Если вы покупаете товар, произведенный в какой-то из стран "третьего" мира, то помните: этот товар произведен рабочими, которым платят невероятно мало по западным меркам и которые, вероятно, работают в ужасных условиях. Любой человек, которого эти обстоятельства не волнуют (хотя бы изредка), бессердечен. Но из этого не вытекает, что демонстранты правы. Наоборот, любой человек, который думает, что ответом на гло-

бальную нищету является простая злоба против мировой торговли, не имеет головы или желает не пользоваться ею. Движение противников глобализации уже имеет примечательную историю нанесения убытков тем же людям и идеям, на защиту которых оно претендует". П. Кругман подчеркивает, что объемы торговли с государствами с низким уровнем доходов на душу населения уже не настолько незначительны, чтобы не влиять на неравенство. Современный мировой рынок вполне допускает возникновение обстоятельств, при которых крупные государства с низким доходом имеют более широкие возможности получить выгоды от торговли, чем малые страны с низким доходом. Если, например, расширяется торговля товарами, производство которых привлекает обратные потоки, возрастающие от масштаба, то крупные страны должны иметь преимущество, поскольку их емкие внутренние рынки облегчают реализацию экономии от масштаба производства. Следует отметить, что на увеличение возвратов на основе эффекта масштаба как источника сравнительного преимущества Кругман обратил внимание еще в 1980 г. в своих ранних работах и это получило дальнейшее развитие в последующих его трудах.

Что же касается вопроса о судьбах бедных стран, Кругман, в отличие от большинства ученых, не видит примеров дурного влияния глобализации на третий мир, в подтверждение этому они приводят коэффициент Джини, измеряющий неравенство в распределении доходов, который за последние сколько-то там лет в Китае вырос с 31 до 45%. Кругман и сам верил не далее как в 1990-м году, что освобождение торговли от бремени тарифов и квот приведет к снижению неравенства в развивающихся странах. Реальность же утвердительного свидетельства этому предоставить не может.

По Кругману, нет никаких предпосылок для полномасштабного возврата к протекционизму, при этом он подчеркивает, что систему свободной торговли следует ценить, поскольку она положительно влияет на благосостояние самых бедных масс. Помимо этого, считает экономист, "... в таких условиях у нас есть шанс увидеть новые Южные Кореи". Именно эта страна, пожалуй, продемонстрировала миру

второй половины двадцатого века самую выдающуюся динамику роста и превращения из бедной и несчастной страны в страну богатую и счастливую. Чтобы стать необратимой, глобализация должна приобрести нравственные основания. С этой целью необходимо, по Кругману, придерживаться следующих правил:

Не преувеличивать добродетели либерализации торговли, иными словами не обещать слишком много, чтобы потом не было мутильно больно.

Не отмахиваться от критики и проблем в силу их кажущейся незначительности.

Предлагать страдающим от глобализации своего рода компенсацию. Можно, в частности, попробовать прибегнуть к услугам прогрессивного налогообложения, в результате чего плоды глобализации хоть немного, но перетекли бы из богатых в бедные руки. Еще один вариант – предоставление бедным семьям более льготной схемы уплаты налогов. Подобная система существует в США (Earned Income Tax Credit).

Теория Кругмана также объясняет причины урбанизации мировой экономики. Масштабное производство, с одной стороны, и борьба за снижение транспортных расходов – с другой приводят к тому, что все большая часть населения тяготеет к мегаполисам. Растущее население городов, в свою очередь, стимулирует развитие экономики и рост производства, которые, замыкая круг, приводят к дальнейшему увеличению числа жителей. В результате регионы постепенно делятся на высокотехнологичные «основные зоны» и менее развитую «периферию».

В заключение можно сказать, что Пола Кругмана можно отнести к группе ученых с умеренно критическими взглядами на глобализацию, которые считают, что увеличение международного обмена в большей степени выгодно для развивающихся стран, поскольку это способствует более быстрому догоняющему развитию. В процессе глобализации развивающиеся страны получают доступ к капиталу и технологиям развитых стран. В результате экономическое неравенство

между странами мира сокращается, развитие мировой экономики приобретает более сбалансированный характер. Хотя, следует отметить, в последние годы П. Кругман, как и другой нобелевский лауреат Дж. Стиглиц, предупреждали, что мировое господство или глобальное лидерство мирового капитализма зашла слишком далеко и, если не принять каких-либо решительных мер по контролю и управлению мировой экономикой и ее финансовой сферой в особенности, в мире разразится гигантский экономический кризис (что, в принципе и произошло), способный уничтожить капиталистическую систему. Напомним, что именно П.Кругман ввел понятие "заразные кризисы": "Валютные кризисы происходят, когда инвесторы теряют доверие к валюте определенной страны и пытаются избавиться как от активов, номинированных в этой валюте, так и от активов, доход по которым может не благоприятно измениться из-за валютного контроля... однако процесс распространения национального шока на глобальные рынки требует названия; я назову его заразные кризисы. По определению, заразные кризисы не поражают только одну или несколько стран". Кругман различает валютные и заразные кризисы: "Макроэкономика валютных и заразных кризисов довольно различна – хотя оба они ведут к рецессии, валютные кризисы связаны с инфляцией в странах-жертвах, а заразные кризисы связаны с всемирной дефляцией".

Кругман отмечал, что "народы мира терпят глобализацию, пока она доставляет им кое-какие товары и услуги, но не любят ее", а это значит, что и "эта вторая волна глобализации может быть остановлена. И надолго, на целую эпоху региональных блоков многополюсного мира". Проблема прежняя — глобализация остается "убеждением космополитической элиты, идеологией для космополитической элиты, которая не имеет корней", но и левые и правые "считают глобализацию чем-то вроде заговора безродных космополитов против всех нас".

ИСПОЛЬЗОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. <http://krugman.blogs.nytimes.com/>
2. http://en.wikipedia.org/wiki/Paul_Krugman

3. <http://www.pkarchive.org/>
4. Кругман Пол. Великая ложь. М. «ACT». 2004.

Davlasheridze Nata

**NOBEL PRIZE WINNER PAUL KRUGMAN
ABOUT THE INFLUENCE OF GLOBALIZATIONS
ON NATIONAL ECONOMIES
SUMMARY**

In the article are discussed the issues of influence of globalization processes on the national economy, both with positive and negative sides, reflected in the works of the Nobel winner Paul Krugman.

**ლია დვალიშვილი
გლობალური ეკონომიკური პროცესები და
მდგრადი განვითარების ეფექტი**

მდგრადი განვითარება საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემაა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას, ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი.

ძალაუფლებისაკენ სწრაფვის დროს ადამიანები ხშირად ბუნებასთან წინააღმდეგობაში მოდიან, ფიტავენ რა ბუნებრივ რესურსებს და ეკოსისტემებს განვითარების სახიფათო რეჟიმებში აყენებენ. კაცობრიობის ტექნოლოგიური სიმძლავრის თანამედროვე დონეზე ამგვარი კონფლიქტები ხშირად ზოგად-საკაცობრიო გლობალურ ხასიათს იძენს და მათი გადაწყვეტა

მთელი კაცობრიობის ძალისხმევას საჭიროებს. ასე წამოი-
ჭრება ხოლმე გლობალური ეკოლოგიური პრობლემები.

საერთაშორისო გლობალური პრობლემა არის საზოგა-
დოების განვითარების ისეთი პრობლემა, რომელიც ეხება
თითოეულ ჩვენთაგანს, მთელ მსოფლიო საზოგადოებრიობას,
ატარებს საყოველთაო ხასიათს და რომლის დაძლევაც ცალ-
კეულ ქვეყნებს ან ქვეყნების ჯგუფს დამოუკიდებლად არ ძა-
ლუს საკუთარი რესურსებით, თუ არ იქნა ამ მიმართულებით
განხორციელებული მსოფლიო მასშტაბით ყველა სახელმწი-
ფოს თანამშრომლობა.

გარემოს დაცვის პრობლემა, მსოფლიოს ყველა ქვეყნი-
სათვის, როგორც განვითარებულის, ისე განვითარებადისთვის,
უპირველესია. ეს პრობლემა ქვეყნებს არ აძლევს საშუალე-
ბას, ინტეგრაციის დროს აირჩიონ მათვის ხელსაყრელი პი-
რობები ან შეარჩიონ შესაფერისი პარტნიორები. გარემოს
დაცვა ყველა ქვეყნისათვის აუცილებლობას წარმოადგენს,
ამიტომ გარემოს დაცვის საკითხში სახელმწიფოთა გლობა-
ლიზაცია ობიექტურობას წარმოადგენს.

დღესდღეობით გლობალიზაციისაგან გვერდზე გადგომა
შეუძლებელია და იგი ქვეყნის იზოლაციაში ყოფნას ნიშნავს,
ვინაიდან ამ ეპოქალურ პროცესს, ნეგატიურთან ერთად, აქვს
უაღრესად პოზიტიური ეფექტები. იგი არა მხოლოდ აახლო-
ვებს ქვეყნებს ერთმანეთთან, არამედ ანგრევს ჩაკეტილ, ტო-
ტალიტარულ რეჟიმებსა და ეკონომიკებს, აფართოებს ქვეყნე-
ბის პარტნიორულ ურთიერთობებს, სწრაფი ტექნიკით ახდენს
ბიზნეს-საქმიანობის ინტერნაციონალიზაციას, აყალიბებს ისეთ
ბიზნეს-გარემოს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს კომპა-
ნიებს სწრაფად დანერგონ სიახლეები და ა.შ.

მსოფლიო საზოგადოების ერთ-ერთ უპირველეს გლობა-
ლურ პრობლემად ეკონომისტები მსოფლიო ეკოლოგიურ
პრობლემას მიიჩნევენ.

მსოფლიო მოსახლეობის ზრდამ, ბუნებრივი რესურსების
ინტენსიურმა გამოყენებამ, გარემო პირობების დაბინძურებამ

და გადარიბებამ არსებითი ცვლილებები გამოიწვია კაცობრი-ობის ცხოვრებაში. ბუნებრივი წიაღისეულის არასწორმა ექსპლოატაციამ, ატმოსფეროში მავნე აირებისა და ნივთიერე-ბების გამოფრქვევამ, ატომური და სხვა მავნე ნარჩენების ზრდამ მთელი მსოფლიო მოიცვა, რამაც გააუარესა მსოფ-ლიო მასშტაბით ეკოლოგიური მდგომარეობა. აღნიშნულმა და სხვა მსგავსმა მოვლენებმა მეოცე საუკუნეში გაანადგურა 1/4 მსოფლიო მიწის სავარგული, 2/3 – ტყის მასივი. არასასურ-ველი სამრეწველო ნარჩენების მოცულობამ ბოლო ოცდაათი წლის მანძილზე მოიმატა 2,5 –ჯერ, წყლის დაბინძურება ამავე პერიოდში გაიზარდა 10-ჯერ.

განსაკუთრებით მძაფრ გლობალურ ეკოლოგიურ პრობ-ლემებს წარმოადგენს კლიმატის დათბობა, ოზონის ფენის ნგრევა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შემცირება და გარემოს დაბინძურება.

ნებისმიერი მსხვილი ეკონომიკური გადაწყვეტილება თა- ვისთავად უცილობლად იწვევს ეკოლოგიურ შედეგებს, რომ- ლებიც გულდასმით უნდა იქნეს გაანალიზებული მისი მიღების წინ.

ეკოლოგთა ცნობილი ფრაზა: “არც ერთ ცოცხალ სახეო- ბას არ შეუძლია არსებობა საკუთარი ნარჩენებისაგან შექმნილ გარემოში”, რეალურ და სახიფათო შინაარს იძენს. სხვადასხვა წარმოშობის ნარჩენების რაოდენობა ელვის სისწრაფით იზრ- დება, განსაკუთრებით ქალაქებში. ნაგვისდამწველი ქარხნები არ ჭრის პრობლემას, ვინაიდან დედამიწის ზედაპირიდან და- ბინძურება გადადის ატმოსფეროში. მდინარეები ჩასადენ ხრილებად იქცევა ხოლმე, სასმელი წყალი პლანეტის მრავ- ალ რეგიონში არ კმარა და სხვა. როგორც ჩანს, ამ პრობლე- მებს კარდინალური ტექნიკური გადაწყვეტა არ გააჩნია: ახალი ტექნოლოგიები, რამდენადაც აუცილებელი არ უნდა იყოს, მხოლოდ ამსუბუქებს ავადმყოფობას, გადასწევს რა ლეტალურ დასასრულს.

დღესდღეობით დედამიწის ეკოლოგიურად ხელსაყრელი რაიონები იძენს განსაკუთრებულ ფასეულობას და მნიშვნელოვანი რესურსი ხდება იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც მათ ფლობენ.

განვითარებული ქვეყნები ისტრაფიან გათავისუფლდნენ დამაბინძურებელი ნივთიერებებისაგან, ამიტომ ნარჩენებს დარიბ ქვეყნებში მარხავენ, რითაც მათ თავისებურ სანაგვეებად აქცევენ. პლანეტის გადაქცევა ერთიან ეკონომიკურ სისტემად, რომელიც მხოლოდ საერთო საბაზრო პრინციპებით, ანუ მყისიერი მოგებებით იმართება, მსგავს პროცედურას იოლად განსახორციელებელსა და ხელსაყრელს (განვითარებული ქვეყნებისათვის) ხდის.

განვითარებული ქვეყნები ისტრაფიან გადავიდნენ ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებზე, მაგრამ შავი მეტალურგიის, ქიმიური წარმოებების, სასარგებლო წიაღისეულის და სხვა ეკოლოგიურად სახიფათო წარმოებებისაგან თავის დაღწევას არც ახლა, არც უახლოეს მომავალში კაცობრიობა ვერ შეძლებს – მათ გარეშე განვითარებული ქვეყნები და ყველა სხვა დანარჩენი, უბრალოდ ვერ იარსებებს! მაშასადამე, მდიდარი ქვეყნები შეეცდებიან (და უამა ისტრაფიან კიდევ), გადაიტანონ ეს წარმოებები სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. დარიბი ქვეყნები სამუშაო ადგილებსა და ფულს საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლის შემოქლების ხარჯზე მიიღებენ.

ადამიანი თავისი სამეურნეო საქმიანობის შედეგად აჭუჭყიანებს ატმოსფერულ ჰაერს, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად უბრუნდება თვით ადამიანს. გარემოს დაბინძურების წყაროებს შორის პირველ ადგილზეა ნახშირბადის წიაღისეული. მათ მიეკუთვნება ნახშირი, ნავთობი და გაზი. მათი წვის შედეგად გამოყოფილი ნარჩენები აჭუჭყიანებენ ატმოსფეროს და უარყოფით გავლენას ახდენენ ადამიანის ორგანიზმზე. ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებული ნივთიერებები ადამიანის ორგანიზმზე მოქმედების თვალსაზრისით ახდენენ ფიზიკურ და ქიმიურ ზემოქმედებას. ფიზიკურ ზემოქმედებას

ახდენს რადიაქტიული ნივთიერებები, სითბური გაჭუჭყიანება, ხმაური და დაბალსიხშირიანი ვიბრაციები, ქიმიურ ზემოქმედებას ახდენს თხევადი ნახშირწყლები, სარცხის საშუალებები, პლასტმასები, პეტიციდები და სხვა სინოეტიკური ნივთიერებები, აზოტის და გოგირდის ნარჩენები, მძიმე მეტალები, ფტორის შენაერთები, მყარი მინარევები, ორგანული ნივთიერებები.

წარმოშობის მიხედვით ატმოსფერული ჰაერის გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები იყოფა ბუნებრივი და ხელოვნური (ანტროპოგენური) წარმოშობის მინარევებად. ბუნებრივი წარმოშობის მინარევები ატმოსფეროში ხვდება ვულკანური მოქმედების, ნიადაგისა და მთის ქანების გამოფიტვის, ტყეების ხანძრის, მეტეორიტების წვის შედეგად. ანტროპოგენური წარმოშობის მინარევები წარმოიქმნება უპირველეს ყოვლისა საწვავის წვის პროცესში – შიდა წვის ძრავებში, თბოელექტროსადგურებში, გამათბობელ სისტემებში და აგრეთვე სამრეწველო და ყოფითი ნარჩენების წვის, ბირთვული აფეთქებების და სხვ. შედეგად.

დადგენილია საკმაოდ კარგი სტატისტიკური კავშირი ჰაერის დაჭუჭყიანების დონესა და ისეთ დაავადებათა შორის, როგორებიც არის: ზედა სასუნთქი თრგანოების დაავადება, გულის უკმარისობა, ბრონქიტი, ასთმა, პნევმონია, ფილტვების ემფიზემა და სხვ.

ატმოსფეროს გლობალურ გაჭუჭყიანებაში განსაკუთრებული ადგილი მიეკუთვნება რადიაქტიულ მინარევებს, რამდენადაც სწორედ ისინი წარმოადგენენ უდიდეს საშიშროებას.

გარემოს დაბიმბურების პრობლემა სამრეწველო წარმოების შემდგომ განვითარებასა და მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების აუცილებლობასთან ერთად ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც ახალი პლანეტარული წესრიგის ჩამოყალიბების სტიმულირებას ახდენს.

ბუნების დაცვის გლობალური ტენდენციები მხოლოდ რვაქვეყანაში (ოთხ განვითარებულსა და ოთხ განვითარებადში)

ღომინირებს, რომლებიც აერთიანებენ დედამიწის მთელი მოსახლეობის 56% - სა და მსოფლიო სატყეო მეურნეობის 53% -ს. რვა ეკოლოგიური სახელმწიფო მოიცავს ქვეყანას ყველაზე დიდი მოსახლეობით – ჩინეთს, ქვეყანას ყველაზე მძლავრი ეკონომიკითა და ნახშირბადის ყველაზე დიდი გამონაბოლქვით აშშ-ს, აგრეთვე ბიოლოგიურ სახეობათა ყველაზე დიდი მრავალფეროვნებით გამორჩეულ ქვეყანას – ბრაზილიას. ეს ქვეყნები გეორმანიასთან, იაპონიასთან, ინდოეთთან, ინდონეზიასა და რუსეთთან ერთად შედიან თანამეგობრობაში, რომელსაც ეწოდება „E-8”, რვა ქვეყანა, რომელიც, ძირითადად, ეკოლოგიურ ტენდენციებს ასახავს.

გლობალური ეკოლოგიური პრობლემების დარეგულირების საქმეში ერთ-ერთი მძლავრი ბერკეტია სხვადასხვა სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობა. ამასთან ერთად, ნებისმიერმა ეკონომიკურმა აგენტმა უნდა გაითავისოს, რომ დედამიწა ყველა ადამიანის საერთო საცხოვრებელი ოჯახია და მისი ნებისმიერი დაუშვებელი დაბინძურება ყველასათვის საზიანო იქნება.

მდგრადი ეკოლოგიური განვითარება გულისხმობს ისეთი ეკონომიკური მექანიზმის შექმნას, რომელიც განაპირობებს მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სრულყოფას, ინოვაციური საქმიანობის ეკოლოგიურ-ეკონომიკური მექანიზმების შექმნას და ეკონომიკური ზემოქმედების სისტემის ფორმირებას წარმოების ეკოლოგიზაციაზე.

ყოველი ეკონომიკური პროექტი წინასწარ უნდა იქნეს შეფასებული, მისი ეკონომიკური სარგებლობისა და ბუნებაზე მიუქნებული ზიანის გათვალისწინებით, მხოლოდ და მხოლოდ მდგრადი განვითარების არსის და პრინციპების დაცვის ფარგლებში.

ეკონომიკის მდგრადი განვითარების სტრატეგიული გეგმა უნდა ითვალისწინებდეს მთავარი პრიორიტეტების გამოყოფას, მის ეკონომიკურ და ეკოლოგიურ დასაბუთებას და საბოლოო

შედეგებზე ორიენტირებული განხორციელების ოპტიმალური გზების ძიებას.

როგორც გამოჩენილი ეკონომისტი გრეგორი მენქიუ აღნიშნავს, ეკონომიკის ერთ-ერთი პრინციპია ის, რომ “ვაჭრობას შეუძლია ყველას მდგომარეობა გააუმჯობესოს”. ამისათვის საჭიროა ქვეყანაში არსებულ ბუნებრივ უპირატესობათა დანახვა, დაფასება და გამოყენება. ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია შემუშავებულ იქნეს მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია, რომელიც მიზნად უნდა ისახავდეს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების ფუნქციონირების და ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის პარმონიზებას, რათა მოხდეს სოციალურად პასუხისმგებელი ეკონომიკის განვითარება, მომავალი თაობებისათვის რესურსების ბაზის შენარჩუნების პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. დვალიშვილი ლ. მდგრადი განვითარების გლობალური რეგულირება და კონცეფცია. ეკონომიკის აქტუალური პრობლემები გლობალიზაციის პირობებში. ა. გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილი საერთ-შორისი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის კრებული. თბილისი, 2011.

2. დვალიშვილი ლ. მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეფციალური საფუძვლები. სამეცნიერო შრომების კრებული ტ.IV. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა. თბილისი, 2011.

3. ვეშაპიძე შ., გრიშიგაშვილი ა., დეკაშვილი ე., ასლაძაზიშვილი ნ., მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი, 2008.

4. ჭინჭარაული გ. ეკონომიკური თეორია (ეკონომიკის ას-პექტი). თბილისი, 2006.

5. Булатов А. С. Мировая экономика Москва, Экономост, 2007.

6. www.wikipedia.org.ge.

THE EFFECT OF SUSTAINABLE DEVELOPMENT AND GLOBAL ENVIRONMENTAL PROBLEMS SUMMARY

Any large-scale economic decision causes the ecological consequences, Which must be carefully analyzed before making.

გახილ ხიზანიშვილი ახალი ეკონომიკა, ანუ ნეოეკონომიკა

ტერმინი „ახალი ეკონომიკის“ დადგენა არ არის ადვილი. ისევე, როგორც მსგავსი განმარტების ნეოლიტიზმი, ისიც ექსპლუატაციაში იმყოფებოდა გაცილებით ადრე, ვიდრე ეს მიღებულია და ითვლება³⁶. „ახალი ეკონომიკის“ გამოჩენის ფაქტი ასახვას პოულობს მრავალ ოფიციალურ დოკუმენტში. კერძოდ, აშშ-ის პრეზიდენტის 2001 წლის ეკონომიკურ მოხსენებაში, სადაც ნათქვამია, რომ: „ამერიკული ეკონომიკის რადიკალურმა ტრანსფორმაციამ უკანასკნელ რვა წელიწადში ბევრ დამკვირვებელს საფუძველი მისცა ჩაეთვალა, რომ ჩვენ მოწმენი გავხდით „ახალი ეკონომიკის“ შექმნის³⁷.

„ახალი ეკონომიკა“ აღმოცენდა აშშ-ში და სწრაფად გავრცელდა ევროპაში, განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთში. თუმცა მისი გეოგრაფიული არეალი არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით და ის ასევე მოიცავს „აზიის ვეფხვებად“ წოდებული ქვეყნების გეოგრაფიულ სივრცესაც.

³⁶ Geographies of the New Economy (Critical reflections); Edited BY Peter Daniels, Andrew Leyshon, Mike Brandshaw, Jonathan Beaverstock, New York, 2007, P.3.

³⁷ <http://ru.wikipedia.org/wiki>

არსებული რეალობის მოცემულობაში „ახალ ეკონომიკასთან“ მიმართებაში ისმის შემდეგი კითხვები: რა არის „ახალი ეკონომიკა“?, „რით განსხვავდება ის „ძველი ეკონომიკისაგან?“³⁸, სჭირდება თუ არა მას სახელმწიფო რეგულირება?

ეკონომისტების უმეტესობა „ახალს“ მიაკუთვნებენ იმგვარ ეკონომიკას (პირველ რიგში ამერიკულს), რომელსაც, ინფლაციისა და უმუშევრობის დაბალი დონის პირობებში, შეუძლია ხანგრძლივი განვითარება საქმაოდ მაღალი ტემპებით. რიგ ტექნიკურ და პუბლიცისტურ გამოცემებში „ახალი ეკონომიკის“ ქვეშ მოიაზრებენ ეკონომიკის ყველა დარგს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული წარმოებისა და ინფორმაციის გავრცელებასთან. როგორც წესი, მასვე განეკუთვნება კომპიუტერული და საკომუნიკაციო მოწყობილობების წარმოების დარგები. ეკონომისტებისა და ფინანსისტების ნაწილი „ახალ ეკონომიკას“ გაიაზრებს, როგორც გლობალიზაციისა და მსოფლიო ინტეგრაციის მიმღინარე პროცესებს, რომლებიც, ერთი მხრივ ცვლიან თითოეული ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირების პირობებს, ხოლო მეორეს მხრივ – მოითხოვენ ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკისა და ქვეყნებს შორის კოორდინაციის პოლიტიკის არჩევანთან მიმართებაში ახალ მიღგომებს³⁹.

„ახალი ეკონომიკა“, ანუ სხვაგვარად „ნეო ეკონომიკა“ არის კაპიტალისტური საზოგადოების ფუნქციონირების ეკონომიკური მოდელი პოსტინდუსტრიულ ეპოქაში. იგი ხასიათდება ფინანსური სექტორის სწრაფი განვითარებით, რეალური, წარმოების სექტორის საზიანოდ. „ახალი ეკონომიკა“ ეფუძნება წარმოების სფეროს ვირტუალიზაციასა და ფინანსების ავტონომიზაციას⁴⁰. „ახალი ეკონომიკა“ არის უახლესი მეცნიერულ-

³⁸ www.amazon.co.uk/...New Economy-Critical.../dp/BOO1RO05HFA.

³⁹ www.ecsocman.edu.ru

⁴⁰ terme.ru/.../Неоэкономика.

ტექნიკური მიღწევების სოციალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში. ეს არის საქონლისა და მომსახურების წარმოება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით. მისი დამახასიათებელი თვისებაა ეკონომიკაზე ზემოქმედება არა პირდაპირ მოთხოვნა-მიწოდების მექანიზმების საშუალებით, არამედ ირიბად, ფინანსური ბაზრებით⁴¹. „ახალი ეკონომიკა“ ეს არის ცოდნასა და იდეებზე დაფუძნებული ეკონომიკა, რომელშიც ინოვაციური იდეები და ტექნოლოგიები წარმოებისა და მომსახურების სფეროს პროცესებში არიან ინტეგრირებულნი. ეს არის ეკონომიკა, სადაც რისკი, გაურკვევლობა და მუდმივი ცვლილებები წარმოადგენს უფრო წესს, ვიდრე გამონაკლისს, სადაც იერარქიულ ორგანიზაციებს ანაცვლებს ქსელური ორგანიზაციები. მაგრამ, ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი არის ის, რომ „ახალი ეკონომიკა“ წარმოადგენს ნაყოფიერებისა და მაღალი შემოსავლების პროგრესულ ძალას⁴². მას მოაქვს ახალი პროდუქტები და შრომის ახალი ფორმები, რომლის ინოვაციორებად, როგორც წესი, ტრანსნაციონალური კორპორაციები გვევლინება და სადაც გლობალური ეკონომიკური კავშირების გავლენა საგრძნობია ეკონომიკის ყველა სფეროში⁴³. „ახალი ეკონომიკას“ მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ კომპიუტერულმა და ინტერნეტექნოლოგიებმა ძირეულად შეცვალეს ბიზნესის წარმართვისათვის დამახასიათებელი ფორმები. ტერმინი „ახალი ეკონომიკა“ აღწერს მძიმე ინდუსტრიიდან ახალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე გადასვლას⁴⁴, თუმცა ის არის გაცილებით დრმა ტექნოლოგიური და მაკროეკონომიკური მოვლენა, ვიდრე მხოლოდ კაპიტალიზმის ახალ ფაზაზე გადასვლა, და რომელიც იყო

⁴¹ <http://abc.informbureau.com/html>

⁴² www.dcl.org

⁴³ <http://www.tatort-weltmarkt.de>

⁴⁴ www.answers.com/topic/new-economy

არა მხოლოდ ეკონომიკური პროცესი, არამედ, ასევე, ძლიერი პოლიტიკური და კულტურული მოძრაობაც.

„ახალი ეკონომიკა“ ეფუძნება სამ მამოძრავებელ ძალას:

1. ცოდნა – ეს არის ინტელექტუალური კაპიტალი, რომელიც გახდა სტრატეგიული ფაქტორი. „ახალი ეკონომიკის“ პირობებში ცოდნის მნიშვნელობა ახალი პროდუქტების და მომსახურების წარმოებაში მკვეთრად გაიზარდა. ის გახდა დომინირებული კომპონენტი სამომხმარებლო ფასეულობათა შექმნაში, რამაც გამოიწვია ის, რომ „ახალი ეკონომიკის“ ლიდერები გახდნენ კომპანიები, რომლებმაც ისწავლეს ცოდნის ეფექტური მართვა, ანუ ცოდნის შექმნა, მოპოვება და ინტეგრირება ახალ პროდუქტებსა და მომსახურებაში უფრო სწრაფად, ვიდრე მათმა კონკურენტებმა.

2. ცვლილებები – უკელაზე დიდი ცვლილებები მოხდა და ხდება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გავლენით. უწყვეტი, სწრაფი და რთული ცვლილებები ქმნის გაურკვევლობას და, ამასთან, ამცირებს წინასწარმეტყველურობას. რადიკალური ცვლილებები კონკურენციაში, ტექნოლოგიებსა და მუშაკთა მსოფლებელგაში კომპანიებს აიძულებენ, ემიონ ახალი, ადამიანზე ორიენტირებული პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდის საშუალებები.

3. გლობალიზაცია – ეს არის ახალი მოვლენა, თუმცა დღეს ის გაცილებით სწრაფი და უკელგან შედწევადი გახდა. ბარიერები, რომლებსაც გეოგრაფიული დაშორებები ქმნიდნენ, სულ უფრო მცირდება. ბაზრები სწრაფად გლობალიზდება, ისევე, როგორც ფირმები, რომლებიც ბაზრებზე ეწევიან კონკურენციას. კომპანიების მნიშვნელოვანი გაყიდვები ხორციელდება მათი სათავო ოფისიდან საკმაოდ დაშორებით. გეოგრაფიული სიახლოეს კიდევ უფრო ნაკლებად ხდება წინაპირობა თანამშრომლობისათვის. საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა

მსოფლიოში 5-ჯერ აღემატება ერთობლივი ეროვნული პროდუქტის ზრდის ჯამურ მაჩვენებელს⁴⁵.

ე.წ. „ძველი ეკონომიკისაგან“ განსხვავებით, „ახალ ეკონომიკაში“ არამატერიალური ფასეულობები მნიშვნელოვან და მზარდ როლს თამაშობს⁴⁶. ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში 1950 წელს ნივთობრივი კაპიტალის ხვედრითი წილი ერთობლივ კაპიტალში 52-53%, ხოლო 1958 წელს კი მხოლოდ 31-32% იყო. არამატერიალური (არანივთობრივი) კაპიტალის ხვედრითი წილი იმავე პერიოდში 47-48%-დან 67-69%-მდე, აშშ-ში კი 74-76%-მდე გაიზარდა⁴⁷. ახალი და ძველი ეკონომიკების შეპირისპირებაში ნათლად იკვეთება პირველის წარმოების დემატერიალზაცია, სადაც, მიუხედავად ფიზიკური ასპექტების ეკონომიკის ახალ ფორმებში არგამორიცხვისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა მაინც მენტალურ მხარეს ენიჭება.

მეცნიერთა ნაწილი ეთანხმება, ხოლო ნაწილი არ ეთანხმება სახელმწიფოს ჩარევას „ახალი ეკონომიკის“ ფუნქციონირებაში. ჩნდება ოეორემები და კვაზიონორემები, რომლებიც ურთიერთსაპირისპირო და ურთიერთგამომრიცხავ კონცეფციებს გვთავაზობენ. ერთ მხარესაა მყარი მოსაზრება ბაზრების ფუნქციონირებათა და უნარიანობის უზრუნველყოფის სახელმწიფო ვალდებულებების თაობაზე, ხოლო მეორე მხარეს – შეხედულება, რომელსაც მიაჩნია, რომ სახელმწიფო რეგულირება არათუ საჭირო, არამედ საზიანოცაა, რადგან ის ახალი ეკონომიკური აქტიურობის გაშლას მხოლოდ ხელს უშლის⁴⁸.

„ახალი ეკონომიკის“ სახელმძღვანელო პრინციპები „ახალი ეკონომიკის“ პოლიტიკურ ჩარჩოებში შეთანხმებული უნდა იქნეს მისსავე განსაკუთრებულ თავისებურებებსა და

⁴⁵ <http://us.mc1202mail.yahoo.com>

⁴⁶ <http://www.jahrbuch2000.studien-von-zeitfragen.net>

⁴⁷ Социально-экономическая эффективность опыта США: ориентиры на глобализацию. М., 2002, С. 13.

⁴⁸ <http://wirtschaftslexikon.gabler.de/Definition/neue-oekonomie.html>

ლოგიკასთან. სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იყოს ინოვაციების მხარეს და დებდეს ინვესტიციებს „ახალი ეკონომიკის“ ზრდის ქაკუთხედში: მეცნიერულ კვლევა-ძიებაში, განათლებასა და მართებული უნარ-ჩვევების ფორმირებაში. ხელისუფლება მოვალეა, შექმნას პროგრესული ეკონომიკური პოლიტიკა, რამაც სტიმული უნდა მისცეს მაღალი შემოსავლების ზრდის ახალ ერას და ხელი შეუწყოს კეთილდღეობის ამაღლებას. „ახალი ეკონომიკა“ ასევე საჭიროებს მართველობის ახალ წესს, რაც ეფუძნება ეკონომიკის რაციონალურ და სტრატეგიულ მართვას. საჭიროა, შემუშავდეს სახელმძღვანელო პრინციპთა კრებული სახელმწიფოს როლის ახლებურად გააზრებისათვის ინფორმაციულ ეპოქაში და დამუშავდეს „ახალი ეკონომიკის“ პოლიტიკის დღის წესრიგი.

გამოკვლევები ცხადყოფს, რომ „ახალი ეკონომიკის“ უპირატესობა და წარმატება პირველ რიგში დამოკიდებულია ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების გატარებასა და ამ რეფორმების მართვის პროცესზე, რომელსაც დიდი სირთულეები ახლავს თან⁴⁹. მაგრამ, მიუხედავად სირთულეებისა, ის საჭიროებს დია და გამჭვირვალე პოლიტიკის გატარებას, რომლის გარეშეც გლობალური ახალი ეკონომიკა მიუღწეველია, რადგან ის დამოკიდებულია ტრანსპარენტულობის, ტრანსფორმაციისა და ინფორმაციის დიდ დისკერსიაზე. სამართლებრივ რეჟიმებს და კონკურენტულ პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს კორუმპირებული, არასამართლიანი და/ან ანტიკონკურენტული პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად.

ამგვარად, ახალი ეკონომიკის ძირითადი მაჩვენებლები მაკროეკონომიკურ დონეზე უნდა იყოს შემდეგი: ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები უმუშევრობის დონის შემცირებისა თუ დაბალი უმუშევრობის პირობებში, რაც იწვევს ხელფასის ზრდას,

⁴⁹ The New Economy and APEC(APEC Economic Committe), Catherine L. Mann and Daniel H. Rosen, 2001, Washington, P. 6, 22.

რასაც თან ახლავს შრომის ნაყოფიერების ამაღლება და ხასიათ-დება ინფლაციის დონის დაბალი მაჩვენებლებით. ამ ინდიკატორების საფუძველზე შესაძლებელია გამოვიკვლიოთ, არსებობს კი ნამდვილად „ახალი ეკონომიკა“, თუ ის მხოლოდ მოდური ცნებაა რაიმე რეალური საფუძვლის გარეშე⁵⁰.

Khizanishvili Vasil
NEW ECONOMICS OR “NEO ECONOMICS”
SUMMARY

“New Economics” emerged in The USA and spread quickly in Euro. What is the “New Economics” from the “Old Economics”? “New Economics” is such economics, which can long-term development with very high rate in the conditions of inflation and low level unemployment. It characterized by the rapid developments of the financial sector, detriment of the real production sector. In contrast to so called “Old Economics” in “New Economics” intangible values are personate significant and growing role. The success of “New Economics” depends on the reforms of liberal economics.

***ნუნუ ქისტაური
მედეა მელაშვილი***
საბადამხდელო პალაცი და გლობალიზაცია

ლია ეკონომიკაში საერთოდ, და კერძოდ, გლობალიზაციის ეპოქაში წნდება ახალი ეკონომიკური სუბიექტი – უცხოეთი. ეროვნული ეკონომიკა იძულებულია ეკონომიკური კონტაქტები დაამყაროს გარე სამყაროსთან. ეს კონტაქტები ცვლის ქვეყნის ეკონომიკის მაკროეკონომიკურ წონასწორობას. ამ დროს ეროვნული ეკონომიკა მჭიდროდ უკავშირდება

⁵⁰ Neu ökonomie: Charakteristika, Existenz und Herausforderungen für die Wirtschaftspolitik. <http://www.bpb.de>

მსოფლიო მეურნეობას. მიმდინარეობს გარიგებების წარმოება საქონლისა და მომსახურების მსოფლიო ბაზარზე, ქვეყანა ორიენტირებულია საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის მსოფლიო ტენდენციებზე და ა.შ.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი ეროვნული ეკონომიკა არაა აბსოლუტურად დია. ყველა ქვეყანას გააჩნია საკუთარი ეკონომიკური და სოციალური ინტერესები. გლობალიზაციის ამ პროცესს, გარდა დადებითი მომენტებისა (ექსპორტის გადიდება, ეროვნული პროდუქტის გაზრდა და სხვ.), გააჩნია განსაზღვრული ნეგატივები: იზრდება ქვეყნის ფინანსური, ტექნიკურ-ტექნოლოგიური დამოკიდებულება, დეფორმაციას განიცდის ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურა, შესაძლოა წარმოების დაცემაც, იზრდება იმპორტზე დამოკიდებულება, საგარეო ვალი, რესურსების გატანის საფრთხე, კაპიტალის გაუონვა, ინფორმაციული ექსპანსია.

საგადამხდელო ბალანსი – ესაა ოფიციალური ჯამური ანგარიშგება მოცემული ქვეყნის რეზიდენტებისა ყველა საერთაშორისო ოპერაციაზე მსოფლიოს დანარჩენ ნაწილთან დროის განსაზღვრულ პერიოდში (ჩვეულებრივ, წელიწადში). საერთაშორისო ოპერაციები მოიცავს საქონლის, მომსახურების, აქტივების გაცვლას და ჩუქებას.

საგადამხდელო ბალანსის დანიშნულებაა:

- მიაწოდოს მთავრობას ინფორმაცია ქვეყნის ა) საერთაშორისო მდგომარეობაზე, რათა დაეხმაროს მას ფულად-საკრედიტო, საბიუჯეტო-საფინანსო და სავაჭრო პოლიტიკის ამოცანების სათანადოდ განსაზღვრაში; ბ) საქონლის, მომსახურების და კაპიტალის საერთაშორისო ბრუნვაში მონაწილეობის თავისებურებებზე; გ) მსოფლიო სამეურნეო კავშირებში მონაწილეობის მოცულობისა და ხარისხის შესახებ;

- უზრუნველყოს ინფორმაციით ბანკები, ფირმები და საერთაშორისო გაცვლასა და საფინანსო პოლიტიკაში მონაწილე სხვა სუბიექტები.

უნდა აღინიშნოს, რომ საგადამხდელო ბალანსი ყოველთვის სახელმწიფო რეგულირების ობიექტია, რაც გამოწვეველია იმით, რომ

1) მას ახასიათებს დაუბალანსებლობა, რაც აიხსნება ერთი ქვეყნის ხანგრძლივი და დიდი დეფიციტური მდგომარეობით და სხვების აქტიური სალდოს არსებობით. ამასთან, საერთაშორისო ანგარიშების ბალანსის არასტაბილურობა გავლენას ახდენს სავალუტო კურსის, კაპიტალის მიგრაციის, ეკონომიკის მდგომარეობის დინამიკაზე;

2) საგადამხდელო ბალანსის გაწონასწორების სტიქიური მექანიზმი ავტომატური ფასობრივი რეგულირების გზით მოქმედებს ძალიან სუსტად, ამიტომ საგადამხდელო ბალანსის დაბალანსებულობის უზრუნველყოფა მოითხოვს მიზანმიმართულ სახელმწიფო ღონისძიებებს.

გლობალიზაციის პროცესმა უმნიშვნელოვანები ცვლილებები გამოიწვია ჩვენი ქვეყნის (და არა მარტო) საგარეო ეკონომიკურ სექტორში, რაც აისახა საგადასახადო ბალანსის დინამიკაში. ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული მაკროეკონომიკური პოლიტიკა ძირითადად ანგიინფლაციურ პროცესებზეა აქცენტირებული და მკაცრად არეგულირებს ერთობლივ მოთხოვნასა და ფულის მასას. აუცილებელია მისი (ამ პოლიტიკის) ყველა შემადგენელი ელემენტის დაბალანსების უზრუნველყოფა.

საგაჭრო ბალანსის (რომელიც გაიგივებული იყო საგადამხდელო ბალანსთან) კონცეფციის ჩამოყალიბების მცდელობა თავდაპირველად გამოჩნდა მერკანტილისტების შრომებში (თ. მენი, 1630). მან შემდგომი განვითარება პრვა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიკის წარმომადგენელთა ნაშრომებში. მარკინალიზმა (ლ. ვალრასი) და მარშალიანიზმა აქცენტი ეკონომიკურ წონასწორობაზე გააკეთა. ამ უკანასკნელმა საფუძველი ჩაუყარა ნეოკლასიკურ მიმდინარეობას, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებამდე იყო გავრცელებული.

1870 წელს ლ. ვალრასმა ჩამოაქალიბა საგადამხდელო ბალანსის წონასწორობის პირობა (საქონლისა და მომსახურების ვაჭრობის ბალანსის ტოლობა კაპიტალის მოძრაობის ბალანსთან საწინააღმდეგო ნიშნით), რაც საგადამხდელო ბალანსის ოქორის განვითარების უმნიშვნელოვანეს საფეხურად შეიძლება ჩაითვალოს. ამ პერიოდამდე საერთაშორისო ვაჭრობისას იმპორტის დაფინანსების ერთადერთ წყაროდ ექსპორტი ითვლებოდა. ოუმცა რეალურად არსებობდა კაპიტალის შემოსვლა უცხოეთიდან (საერთაშორისო სესხებისა და ინვესტიციების სახით).

კეინზიანიზმა უარყო ეკონომიკური წონასწორობის იდეა, რომელიც, ნეოკლასიკოსთა აზრით, კაპიტალიზმისათვის იყო დამახასიათებელი. მან დაასაბუთა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა (საფინანსო-საგადასახადო პოლიტიკით, ერთობლივი მოთხოვნისა და ინვესტიციების უზრუნველყოფის მიზნით). ეს მიმდინარეობა გაბატონებული იყო გასული საუგუნის 70-იანი წლების დასასრულადამდე. ამ პერიოდში არსებული სტაგფლაციის პროცესის აუხსელობის გამო კეინზიანიზმა დაკარგა თავისი გაბატონებული მდგომარეობა. კეინზური მოდელები უარყოფდნენ წარმოების ფაქტორების ურთიერთჩანაცვლებას, უგულებელყოფდა ფულად სექტორში მიმდინარე პროცესების ზეგავლენას, მეცნიერულ-ტექნოლოგიურ გარდაქმნებს, რაც რეალობას აშკარად ეწინააღმდეგებოდა.

აღნიშნული მიმდინარეობები გავლენას ახდენდა საგადამხდელო ბალანსი თეორიის ჩამოალიბებაზე. საგადამხდელო ბალანსი I პირველად ოფიციალურად გამოაქვეყნა აშშ-ს ვაჭრობის სამინისტრომ 1923 წელს. 1924 წელს ერთა ლიგამ გამოაქვეყნა სხვადასხვა ქვეყნის საგადამხდელო ბალანსი, მისი გაანგარიშების რეკომენდაციებით, საერთაშორისო შესაძრისობის დაცვის მიზნით. 1948 წელს საერთაშორისო საგადამხდელო ბალანსის დაცვის მიზნით. 1993 წელს კი – მისი მესამე გარიანტი, რაც ყველა გარიანტი, 1993 წელს კი – მისი მესამე გარიანტი, რაც ყველა

ქვეყანაში საგადამხდელო ბალანსის გამოანგარიშების საფუძველს წარმოადგენს.

საგადამხდელო ბალანსის ძირითადი პრობლემა მისი წონასწორობის მიღწევა. იგი ყოველთვის ბუდალტრულ წონას-წორობაში იმყოფება: ბალანსის აქტივი მისი პასივის ტოლია. თუმცა რეალურად იგი დაუბალანსებელია. რეალურად საგადამხდელო ბალანსის დაბალანსების ორი მექანიზმი არსებობს: ფასების მეშვეობით და ეროვნული შემოსავლების მეშვეობით. საგადამხდელო ბალანსის თეორიების კლასიფიკაცია ხდება იმის მიხედვით, თუ დაბალანსების რომელ მექანიზმს იყენებენ. კლასიფური და ნეოკლასიკური მიმართულებები უპირატესობას ანიჭებენ საგადამხდელო ბალანსის გაწონასწორების ავტომატურ საბაზო ხასიათს ფასების ცვლილების მექანიზმის მეშვეობით (რისი არარეალობაც დაადასტურა I მსოფლიო ომისა და დიდი დეპრესიის შემდგომმა პერიოდმა). ამიტომ ნეოკლასიკური მიმდინარეობა ხაზს უსვამს სავალუტო კურსის ცვლილებას და მის მსყიდველობითუნარიანობას.

კეინზიანური მიმართულებები საგადამხდელო ბალანსის გაწონასწორების ერთობლივი შემოსავლის ცვლილების მექანიზმს აყენებენ წინა პლანზე. მათ საგადამხდელო ბალანსის დინამიკა ეროვნული შემოსავლის დინამიკას დაუკავშირებს. თუმცა ურადღების მიღმა დატოვეს ფასებისა და სავალუტო კურსების ცვლილების გავლენა. ამის გამო 50-იანი წლებიდან გავრცელებული კონცეფციები აღიარებდა ორივე მექანიზმის ერთდროულ გათვალისწინებას.

გლობალიზაციის ეპოქაში მიმდინარე ცვლილებები ახლებურად აყენებს საგადამხდელო ბალანსის პრობლემას, ვინაიდან მიმდინარეობს საგადამხდელო ბალანსის შინაარსისა და დაბალანსებულობის მიღწევის გზების ცვლილება. საგადამხდელო ბალანსის წონასწორობა შეუძლებელი ხდება ტრადიციული ინსტრუმენტებით. ამასთან, მეცნიერულ-ტექნოლოგიური, ინსტიტუციური და სოციალური ფაქტორების ცვლილების შესაბამისად იცვლებოდა საგადამხდელო ბალან-

სის წონასწორობის მექანიზმები და შესაბამისად ოეორიებიც. გასული საუკუნის 70-იან წლებამდე დომინირებული მდგომარეობა ეკავა სავაჭრო და კაპიტალის გატანის პოლიტიკას, 80-იან წლებში წინა პლანზე გადადის სავალუტო პოლიტიკა, ხოლო 90-იან წლებში, მართალია, კაპიტალის მოძრაობის რეგულირება დიდ მნიშვნელობას იძენს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ძალიან დიდია სავალუტო პოლიტიკის როლი და მნიშვნელობა.

გლობალიზაციის თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოების განვითარების დონე (მათი კეთილდღეობა) უშუალო კავშირშია მსოფლიო ეკონომიკაში მათი მონაწილეობის ხარისხთან, ე.ი. ამ ქვეყნების მომავალი განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ ისინი როგორ (აქტიურად თუ პასიურად) იღებენ მონაწილეობას საერთაშორისო შემოსავლების განაწილებაში. ამაშია საგადამხდელო ბალანსის რაოდენობრივი მხარე, რაც განისაზღვრება მიმდინარე და კაპიტალის ბალანსის ურთიერთქმედებით, ანუ მათი დაბალანსებულობით ქვეყნის სტრატეგიული მიზნების განხორციელების დროს. ხოლო საგადამხდელო ბალანსის თვისებრივი მხარე გამოიხატება იმაში, თუ როგორია ქვეყნის პოზიცია და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა მსოფლიო მეურნეობაში.

მოცემული ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის შეფასებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მისი რაოდენობრივი მხარეების დაფიქსირება. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი თვისებრივი მხარეც. ანუ ის, თუ როგორია მისი მდგრადობის ხარისხი, რაც სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული ქვეყნის მონაწილეობაზე ეკოლოგიური, ინტელექტუალური და ტექნოლოგიური ბაზების საერთაშორისო ბრუნვაში.

თანამედროვე პირობებში საგადამხდელო ბალანსის დინამიკაში, რა თქმა უნდა, სავაჭრო ბალანსი მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ კაპიტალის მოძრაობის დინამიკა,

პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების სახით, უფრო გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს.

აღსანიშნავია ინსტიტუციური პოლიტიკის როლი საგადამხდელო ბალანსის რეგულირებაში. გლობალურ ეკონომიკაში ეს პროცესიც ინტერნაციონალიზებულია. საქონლის, მომსახურების და კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობას დღვენდელ პერიოდში თან ერთვის ინსტიტუტების საერთაშორისო მოძრაობაც (ცოდნის, გამოცდილების მართვის მეთოდების და სხვ. ინტენსიური ექსპორტ-იმპორტის სახით).

ყურადღება უნდა გამახვილდეს აგრეთვე საგადამხდელო ბალანსის დინამიკაზე ქვეყნის მეცნიერულ-ტექნოლოგიური განვითარების მნიშვნელოვან ზემოქმედებაზე. ასევე ეკოლოგიური განვითარების მნიშვნელოვან გავლენაზე (განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფო მეცნიერულ-ტექნოლოგიური და ეკოლოგიური განვითარების ეკონომიკური სტიმულირებისათვის ეფექტიან პოლიტიკას ახორციელებს ინსტიტუციური გარემოს შექმნით, პირდაპირი ინვესტიციების, დაფინანსების სხვადასხვა ფორმების მეშვეობით).

ამრიგად, აუცილებელ მომენტად მიგვაჩნია, საგადამხდელო ბალანსის შეფასებისას გარდა მაკროეკონომიკური პოლიტიკის ტრადიციული მიმართულებებისა – საგარეო სავაჭრო, საფინანსო-საგადასახადო, ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა – გათვალისწინებულ იქნეს სოციალური, ინსტიტუციური და მეცნიერულ-ტექნოლოგიური პოლიტიკაც.

საერთაშორისო ეკონომიკაში საქართველოს მონაწილეობის ხარისხი დღეისათვის არასახარბიელო ტენდენციით ხასიათდება. სათანადოდ არ ვთითარდება საგარეო-ეკონომიკური სექტორი. თუმცა, სავარაუდოა, რომ ტრანსკავკასიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის თანდათან ამოქმედების გაძლიერებასთან, ნავთობის, გაზსადენების და კავშირგაბმულობის სისტემების განვითარებასთან ერთად, საქართველო აქტიურად ჩაერთვება საერთაშორისო გლობალურ სივრცეში.

გლობალიზაციის პროცესი კარდინალურად ცვლის სა-
გადამხდელო ბალანსის არსე, ვინაიდან ეს უგანასკნელი
უბრალო სტატისტიკურ მაჩვენებლად კი არ გვევლინება,
არამედ საერთაშორისო ეკონომიკაში მოცემული ქვეყნის რეა-
ლური ინტეგრაციის ამსახველი ფენომენი ხდება. ამასთან, სა-
გადამხდელო ბალანსს ყველა ქვეყნისათვის ინდივიდუალური
თავისებურებები ახასიათებს გამომდინარე იქიდან, თუ როგო-
რია მოცემული ქვეყნის ეროვნული თვითმყოფადობა, მისი
ეკონომიკური განვითარების დონე და სახელმწიფოს მიერ გან-
ხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკა.

ბოლო წლებში საქართველოს საგადამხდელო ბალანსს
დიდი უარყოფითი სალდო ახასიათებს. გარდა ამისა, ქვეყანა
განიცდის ფინანსური სახსრების უკმარისობას, რაც გამოწ-
ვეულია ინვესტიციების შემცირებით, მასშტაბური საგარეო
ვალის დაგროვებით. ამასთან, საფრთხე ექმნება ეროვნული
ვალუტის – ლარის კურსის სიმყარის შენარჩუნებას. ყოველივე
ამის გამო ფერხდება ეკონომიკური ზრდა და ქვეყნის განვი-
თარება.

თანამედროვე ეპოქაში ეკონომიკის გლობალიზაციას მეც-
ნიერები სხვადასხვაგვარ შეფასებას აძლევენ. მათი ნაწილი
გლობალური რეალური ეკონომიკის დანაზოგების დაბალი
დონის მიხეზად მიიჩნევს გლობალურ ეკონომიკას, რაც, ამავე
დროს, იწვევს შრომის მწარმოებლურობისა და მოსახლეობის
ცხოვრების დონის გაუარესებას. მათგან განსხვავებით, განვი-
თარებული ქვეყნების ეკონომისტები საზოგადოების წინსვლისა
და ეკონომიკური ზრდის აუცილებელ პირობად თვლიან გლო-
ბალურ ეკონომიკას.

ეკონომიკის გლობალიზაცია მოითხოვს, რომ ქვეყანას
გააჩნდეს მწყობრი სტრატეგია, პერსპექტივების ხედვის უნარი.
მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლებას გააჩნია მომავლის
განჭვრების, მიზნების იერარქიისა და მათი განხორციელების
თანმიმდევრობის ჩამოყალიბების უნარი, რაც მოითხოვს მისი
როლის ამაღლებას ეკონომიკური პროცესების რეგულირებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. „ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები და გლობალიზაცია“. შრომები, ტ. VIII, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, „სიახლე“, 2010.
2. bargu.by/2176-makroekonomiceskaya-politika-i-platezhnyy-balans-html. Makroekonomiceskaia politika i platiojnii balans
3. „ეგონომიკის საგარეო სექტორი და საგადასახდელო ბალანსი“. საქართველოს ეროვნული ბანკი. წლიური ანგარიში 2011.
4. მესხია ი. საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების ორიენტირები და მოსალოდნელი საფრთხეები.
5. ჭანია მ. ეკონომიკური ზრდისა და საგადამხდელო ბალანსის პრობლემები პოსტკომუნისტურ საზოგადოებაში. თბილისი, უნივერსალი, 200

Kistauri Nunu

Melashvili Medea

BALANCE OF PAYMENTS AND GLOBALIZATION SUMMARY

The process of globalization has dramatically changed the balance of payments of the essence, since the latter did not act as mere statistical indicators, but the country's full integration into the international economy, reflecting the phenomenon occurs. The balance of payments for the individual characteristics of each country is characterized, due to the fact, whether the country's national identity, its level of economic development and economic policy implemented by the government.

Economic globalization demands that the country's prospects in view of the ability to have a consistent strategy. Only governments anticipate the future and their implementation in order to establish goals of economic development, which requires awareness of its role in the regulation of economic processes.

გიორგი უუფარაძე

სამრთაშორისო საბადასახადო შეტანებების, ორგორც
ქვეყნებს შორის საბადასახადო პოლიტიკის
კოორდინირების მექანიზმი

მსოფლიო მასშტაბით ქვეყნებს შორის საგადასახადო პოლიტიკის კოორდინირების მიზნით იდება საერთაშორისო საგადასახადო შეტანებებები. ამ სახის ხელშეკრულებებიდან უმდაზე გავრცელებულ ხელშეკრულებებს საინვესტიციო გარანტიებისა და ორმაგი დაბეგვრის შესახებ ხელშეკრულებები წარმოადგენს. ამგვარი შეტანებების რიცხვი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იზრდება, რაც მასტიმულირებელ ზეგავლენას ახდენს საზღვარგარეთ მიმართულ საინვესტიციო ნაკადებზე; ეს ხელშეკრულებები სამართლებრივ საფუძვლებს ქმნიას ინვესტორთა უფლებების დასაცავად;

გასულ პერიოდში საინვესტიციო გადაწყვეტილებებს მირითადად განაპირობებდა რესურსების მდებარეობა, ადგილობრივი და მეზობელი ბაზრების მოცულობა და სტრუქტურა, ხოლო თანამედროვე ეტაპზე საინვესტიციო გადაწყვეტილებების განმსაზღვრელი ფაქტორები გაცილებით კომპლექსური გახდა. ტრადიციულ ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, სამთავრობო პოლიტიკასა და ინსტიტუტებს წონადი როლი ენიჭება; განსაკუთრებით ეხება ეს ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებიდან მომავალ და მათში შემავალ ინვესტიციებს. ამ მიზანთა გამო რეციპიენტი ქვეყნები ცდილობენ, იქონიონ მასტიმულირებელი ინსტიტუციური გარემო და გაატარონ ლიბერალური პოლიტიკა.

ორმხრივი საინვესტიციო შეტანებების მირითადი მიზანია ინვესტორთათვის გარკვეული გარანტიების შეტავაზება, ხოლო ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების – საგადასახადო შემოსავლების განაწილება ქვეყნებს შორის ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვის მიზნით; ამავე დროს, ორმაგი

დაბეგვრის ხელშეკრულებები ინვესტორთათვის ამცირებს ადმინისტრაციულ წნებსა და სირთულეს.

2008 წლისათვის მსოფლიოში, გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მონაცემებით, 2.805 ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაა ხელმოწერილი; ეს ხელშეკრულებები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქონლისა და მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის გადაადგილების განვითარებას. ორ ან მეტ ქვეყანას შორის დადებული „ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები DTA-Double Tax Agreement“ განიხილება, როგორც ერთ-ერთი საიმედო გზა ინვესტიციების ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად.

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების მეორე მიზანია გადასახადების ფისკალური უუნქციის გაძლიერება, გადასახადების გადაუხდელობაზე სახელმწიფო კონტროლი, რათა არ მოხდეს ქვეყნის საგადასახადო ბაზის გაუმართლებელი შემცირება, როდესაც დაბეგვრის სუბიექტს კავშირი აქვს ერთზე მეტ ქვეყანასთან.

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება სშირად მოიხსენიება, როგორც „ორმაგი დაბეგვრის კონვენცია“, „ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება“, „საგადასახადო ინფორმაციის გაცვლის ხელშეკრულება“, „ორმაგი დაბეგვრის შეთანხმება“ ან მარტივად „საგადასახადო კონვენცია“. საგადასახადო კონვენცია საერთაშორისო საგადასახადო ტერმინთა ლექსიკონში⁵¹ განმარტებულია ასე: „ტერმინი ზოგადად გამოიყენება ორ ან მეტ სახელმწიფოს შორის ორმაგი დაბეგვრის აცილების შესახებ დადებული შეთანხმების აღსანიშნავად“.

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ტიპური ვარიანტების შემუშავებისთანავე მათი მიზანი იყო ორმაგი დაბეგვრის

⁵¹ Larking B (ed.) „International Tax Glossary: Internatioanl Bureau of Fiscal Documentation,” 2001 4-th ed., p. 354.

გამორიცხვა. ამ პრობლემის გადაჭრა მდგომარეობს შემოსავლის მხოლოდ ერთხელ დაბეგვრაში, რასაც ქვეყნებს შორის დაბეგვრის უფლებების განაწილებამდე მივყავართ;

ჩვეულებრივ, ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება არის ორ ქვეყნას შორის შეთანხმება (ბილატერალური შეთანხმება) ან ორზე მეტ ქვეყნას შორის (მრავალმხრივი შეთანხმება), რომლის მიზნებია:

➤ ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა, რაც შეიძლება წარმოიქმნას ქვეყნების მიერ ერთი და იმავე შემოსავალზე გადასახადის დაკისრებით;

➤ დაკისრებული გადასახადების განაწილება ხელშეკრულბაში მონაწილე მთავრობებს შორის;

➤ გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთა საერთაშორისო ტრანსაციურების ან ხელშეკრულებით გათვლისწინებული შემთხვევების დროს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ფისკალურ საკითხთა კომიტეტმა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მიზნები შემდეგნაირად შეაჯამა⁵²: „ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების მირითადი მიზანია საქონლისა და მომსახურების გაცვლის, კაპიტალის და ადამიანების გადაადგილების ხელშეწყობა ორმაგი დაბეგვრის ანულირების გზით. აგრეთვე, მისი მიზანია გადასახადებისაგან თავის არიდებისა და გადასახადების გადაუხდელობის აღკვეთა”.

ორმაგი დაბეგვრის გამორიცხვა, უპირველეს ყოვლისა, გამიზნულია გადასახადების გადამხდელებისათვის სარგებლის მოსაგანად. მექანიზმი ამ მიზნის მისაღწევად არის დაბეგვრის უფლებების განაწილება ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის. მეორე მიზანი გადასახადების გადაუხდელობის

⁵² OECD Commentary Art 1, parag.7

ადგვეთის გამიზნულია ფისკალური ფუნქციის გაძლირებისათვის (ე.ი საგადასახადო ორგანოებისათვის). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სტანდარტული ხელშეკრულება (2003) გადასახადების გადაუხდელობის ადგვეთას ძირითადად სამ მუხლში ეხება⁵³ (მუხლი 9. ურთიერთდამოკიდებული საწარმოები; მუხლი 26. ინფორმაციის გაცვლა; მუხლი 27. ურთიერთთანამშრომლობა გადასახადების ამოღებაში).

მუხლი 9 ასევე ეხება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა საგადასახადო შემოსავლების კორექტირებას, როდესაც დაბეგვრის სუბიექტი ჩაბმულია ქვეყანათშორის ტრანსფერულ გადარიცხვებში. მე-9 მუხლის ძირითადი მიზანია ქვეყნების შემოსავლების დაცვა, რომელიც შეიძლება შემცირდეს გადასახადის გადამხდელის მიერ ტრანსფერების არამართებული შეფასების შედეგად;

ინფორმაციის გაცვლის შესახებ მუხლი საშუალებას აძლევს ხელშემკვრელ სახელმწიფოთა საგადასახადო ორგანოებს – მიიღონ ყველა საჭირო ინფორმაცია მეორე ქვეყნიდან, რათა დააზუსტონ თავიანთი საგადასახადო მოთხოვნების შესაბამისობა.

მუხლი 27 გამიზნულია იმ გადასახადების ადმინისტრირების გასაადგილებლად, რომელებიც დაკისრებულია ორივე ქვეყნის მთავრობების მიერ. 27-ე მუხლი მხოლოდ 2003 წელს იქნა წარმოდგენილი, მისი მსგავსი მუხლები არ არის გაეროს ან აშშ-ს ტიპურ კონვენციებში.

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების გარდა, დაბეგვრის სფეროში ხდება სხვადასხვა სახის შეთანხმებების გაფორმება, რომელთა მიზანია დაბეგვრის სფეროში ორმხრივი

⁵³ MODEL TAX CONVENTION ON INCOME AND ON CAPITAL, OECD COMMITTEE ON FISCAL AFFAIRS PARIS.2005 pp17-34. გაეროსა და აშშ-ს მოდელებიც იმავე მუხლობრივ სრტუქტურას იმჟორებენ; მათ შორის ძირითადი განსხვავება ქვეყნებს შორის დაბეგვრის უფლებების სხვადასხვაგარი განაწილებაა.

თანამშრომლობის გადრმავება ინფორმაციის ეფექტური გაცვლის მეშვებით.

ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებს ხანგრძლივი ისტორია აქვს. პირველად ამ სახის ხელშეკრულებები დაიდო ახლანდელი გერმანიის ტერიტორიაზე, პრუსიაში. პირველი ორმხრივი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება შეთანხმდა პრუსიასა და ავსტრიას შორის 1899 წელს, 1909 წელს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება დაიდო უნგრეთსა და ავსტრიას შორის. 1920 წლამდე დაიდო აგრეთვე, რამდენიმე ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება; I მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიამ წამოიწყო მოლაპარაკებები რამდენიმე მის მეზობელ სახელმწიფოსთან ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების დადებაზე. ამავე პერიოდში, ერთა ლიგამ დაიწყო იურიდიული ორმაგი დაბეგვრის პრობლემატიკის შესწავლა 1920 წლის ბრიუსელის საფინანსო კონფერენციის მოწოდების პასუხად.

1923 წლის „მოხსენება ორმაგ დაბეგვრაზე”, შედგენილი ცნობილი ეკონომისტების⁵⁴ მიერ, დამტკიცდა ერთა ლიგის ეკონომიკური და ფინანსური კომიტეტის მიერ. ამ ანგარიშმა შექმნა საფუძველი პირველი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მოდელისათვის 1927 წელს. ეს მოდელი დაბეგვრის უფლებას საერთაშორისო ტრანსაქციებში უპირატესად დაბეგვრის სუბიექტების რეზიდენტ ქვეყანას ანიჭებდა.

პირველი ტიპიური კონვენციების მიღების შემდეგ (1928) მიღებულ იქნა არაერთი სტანდარტული კონვენციები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ-რათა დაემკვიდრებინათ მოდელი, რომელიც იქნებოდა უნივერსალური ბაზისი ქვეყნებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებებისათვის.

⁵⁴ პროფესორები: მ. ბრიუნისი (ნიდერლანდები), მ. ეინაუდი (იტალია), კ. რელევმანი (აშშ) და სირ ჟორის სტენი (გაერთანებული სამეფო).


1928 წლის მოდელი არ მოიცავდა ორმაგი დაბეგვრის ბევრ მხარეს, ამიტომ ერთა ლიგაში გრძელდებოდა მუშაობა მოდელის განვითარებაზე. ფისკალურმა კომიტეტმა მოამზადა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მრავალმხრივი სამუშაო ვარიანტი წარმოებიდან და კომერციული საწარმოებიდან მიღებული შემოსავლების განაწილებაზე 1933 წ., (განახლდა 1935 წ.), მაგრამ ეს მოდელი აღარ დამტკიცებულა.

ფისკალური კომიტეტი შემდგომ წლებშიც აგრძელებდა მუშაობას, გაიმართა რეგიონული კონფერენცია 1940, 1943 წლებში მეხიკოში, რომელსაც ესწრებოდა ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ქვეყნების წარმომადგენლები. ამ კონფერენციების შედეგი იყო ახალი საბაზისო ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება, რომელიც ცნობილია მეხიკოს ვარიანტად. მნიშვნელოვანი ამ მოდელში იყო მისი საწყისი პრინციპი: დაბეგვრის უპირატესი უფლება ენიჭებოდა შემოსავლის წყარო ქვეყანას, ეს პუნქტი იყო ხელსაყრელი განვითრებადი ქვეყნებისათვის; მეხიკოს ვარიანტი განახლდა ლონდონში 1946 წელს; ლონდონის ვარიანტი, რომელშიც დაბეგვრის უპირატესი უფლება ისევ დაბეგვრის სუბიექტის რეზიდენტ ქვეყანას ენიჭებოდა.

სამოდელო ვარიანტების შემდგომი სრულყოფა გრძელდებოდა 1946-1955 წლებში. ამ დროის განმავლობაში დაახლობით 70 ორმხრივი „ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულება“ იქნა რატიფიცირებული რიგი ქვეყნების მიერ, მაგრამ ამ ხელშეკრულებებს ჰქონდა მნიშვნელოვანი ხარვეზები, რის გამოც მათი რატიფიცირება დანარჩენ ქვეყნებში არ გაგრძელდა. ამასთან, გაზრდილმა თანამშრომლობამ ევროპის ქვეყნებს შორის გაზარდა ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მნიშვნელობა ამ ქვეყნებისათვის – საერთო პრიციპების, განსაზღვრებების და საერთო თამაშის წესების დანერგვა გახდა მნიშვნელოვანი ევროინტეგრაციის გზაზე.

1945 წელს ერთა ლიგა ჩანაცვლებულ იქნა გაეროს მიერ; ახალმა ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ გააგრძელა მუშაობა ერთა ლიგის ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების

სრულყოფაზე. ამ მიზნისათვის დაარსდა ფისკალური კომიტეტი, მაგრამ მან ვერ მოახერხა 1954 წლისათვის აედო ინიციატივა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მოდელის მნიშვნელოვან განახლებაზე. ეს როლი დაეკისრა ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას. ორგანიზაციამ დაარსა ფისკალური კომიტეტი 1956 წელს, რომელმაც შეიმუშავა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების სამუშაო ვარიანტი. ეს ვარიანტი გამოიჩინა სფეროში არსებული პრობლემების გადასაჭრელად.




- ღსთ-სა და სამხრეთ ეგროპის ჩვეყნებს შორის
 - ღსთ-ს, სამხრეთ ეგროპის ჩვეყნებსა და ბანგითარებაზე ძველ ძველებს შორის
 - ბანგითარებაზე ძველ ძველებსა, სამხრეთ ეგროპის ჩვეყნებსა და ღსთ-ს შორის
 - ბანგითარებაზე ძველ ძველებს შორის
 - ბანგითარებაზე და ბანგითარებაზე ძველ ძველებს შორის
 - ბანგითარებაზე ძველ ძველებს შორის

დიაგრამა № 1. რატიოფიცირებული ორმაგი დაბეგვრის
ხელშეკრულებების განაწილება ქვეყანათა
ჯგუფების მიხედვით (%-ში 2008 წლისათვის)

რატიოფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების ოდენობის ზრდა დაიწყო 1960-იანი წლებიდან, ხოლო მათი 362

ოდენობის მკვეთრ ზრდას ადგილი პქონდა 1990-იანი წლებიდან. (დიაგრამა № 2). 2008 წლისათვის გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის მონაცემებით, მთლიანად მსოფლიოში ხელმოწერილია 2.805 ორმაგი დაბეგვრის კონვენცია. თავდაპირველ ეტაპზე ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების რატიფიცირება ძირითადად ხდებოდა განვითარებულ ქვეყნებს შორის⁵⁵(დიაგრამა №1), რადგან ეს ქვეყნები ტრადიციულად გვევლინებოდნენ, როგორც კაპიტალის ექსპორტიორ, ასევე იმპორტიორ ქვეყნებად და შესაბამისად მათთვის მწვავედ იდგა ინვესტიციათა ორმაგი დაბეგვრის საკითხები. 1960-იანი წლებიდან მოყოლებული, ე.წ. ახალი ბაზრების ეკონომიკების მქონე ქვეყნები თანდათან უცხოური ინვესტიციების რეციპიენტი ქვეყნების რიგებიდან ინვესტიციათა დონორი ქვეყნების რიგში გადავიდნენ, შესაბამისად მათაც აქტიურად დაიწყეს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების რატიფიცირება. ეს ქვეყნები აფორმებდენენ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებს როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებთან.




დიაგრამა № 2. მსოფლიოში რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების დინამიკა 1960-2008 წლებში

⁵⁵ The effect of treaties on Foreign Direct Investment , Sauvant , Karl P. sachis Lisa E

Published to the Oxford Scholarship Online May 2009 p XXiV

2008 წელს ხელმოწერილი 75 ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებიდან 63-ში მონაწილე მხარეს განვითარებული ქვეყნები წარმოადგენდნენ⁵⁶, ხოლო 18 მათგანი მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს შორის დაიდო. განვითარებად ქვეყანათა ჯგუფი ჩართულ იქნა 39 ახალ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაში, ხოლო უშუალოდ განვითარებად ქვეყნებს შორის 5 კონვენცია იქნა დადგებული.



დიაგრამა №3. მსოფლიოს ქვეყნების პირველი ათეული რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების რაოდენობის მიხედვით

იმ დაშვებით, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მოდელი შედგენილია წევრი ქვეყნების ინტერესების დაცვისათვის, არ არის გასაკვირი, რომ იგი არ არის მოწონებული ბევრი განვითარებადი ქვეყნების

⁵⁶ World Investment Report, Transnational corporations, Agricultural Productions and Development, UNCTAD 2009 p 33
www.unctad.org/iaa

მიერ (განსაკუთრებით კაპიტალის იმპორტიორი ქვეყნების მიერ). მიუხედავად იმისა, რომ ეთგოს საწყისი მოდელის წარდგენის შემდეგ მნიშვნელოვანად დაიხვეწა სამოდელო კონვენცია, განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის დაიდო ორმაგი დაბეგვრის ხელშექრულებების უმნიშვნელო ოდენობა.

ეთგოს მოდელის გამოყენების შემთხვევაში ცალსახა უპირატესობას განვითარებული ქვეყნები იღებენ, ვინაიდან წყარო ქვეყნებს უწევთ საგადასახადო შემოსავლებზე უარის თქმა. ეს შედარება გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ როდესაც განვითარებადი ქვეყნები ვაჭრობენ განვითარებულ ქვეყნებთან, წმინდა შემოსავალი ჩვეულებრივ გაედინება განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულისკენ. ასე რომ, განვითარებადი ქვეყანა გასცემს ზედმეტ დირებულებას.

ზემოთ ნათქვემი მოვლენების პასუხად, განვითარებულმა ქვეყნებმა შეიმუშავეს ე.წ. გაეროს მოდელი, რომელიც ასახავდა მათ ინტერესებს. შეიქმნა ექსპერტთა მიზნობრივი ჯგუფი დაბეგვრის ხელშექრულებების შესასწავლად განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის (1968 წ.). ეს მიზნობრივი ჯგუფი 1980 წელს ცნობილი გახდა როგორც „საგადასახადო საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობის ექსპერტთა მიზნობრივი ჯგუფი“, რომელშიც შედიოდა წარმომადგენლები 20 განვითარებადი და განვითარებული ქვეყნიდან, როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები, ასევე ოფიციალური პირები. ეს ჯგუფი განიხილავდა თანამშრომლობას საგადასახადო სფეროში განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის.

ხანგრძლივი და რთული პროცესების შემდგომ, გაეროს საერთაშორისო ეკონომიკურ და სოციალურ საკითხთა კომიტეტის ფისკალურ და ფინასურ საკითხთა განყოფილებამ გამოაქვეყნა – „განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის ორმხრივი საგადასახადო შეთანხმებების სახელმძღვანელო“, რომელიც ეყრდნობა ზემოთ აღნიშნულ ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ პრინციპებს. ამ პუბლიკაციას

მალე მოჰყვა 1980 წლის გაეროს პირველი ორმხრივი დაბეგვრის ხელშეკრულება⁵⁷ – გაეროს სტანდარტული კონვენცია ორმაგ დაბეგვრაზე განვითარებულ და განვითრებად ქვეყნებს შორის. ეს მოდელი მნიშვნელოვანი ნაწილებით ახლოსაა ეთგოს 1977 წლის მოდელთან. უპირატეს დაბეგვირის უფლებას იგი ანიჭებდა წყარო ქვეყნებს ე.ი. კაპიტალის იმპორტით და განვითარებად ქვეყნებს, განსაკუთრებით ბიზნესშემოსავლებისა და პასიურ შემოსავლებთან მიმართებაში.

გაეროს მოდელი ფართოდ გამოიყენება უმეტეს განვითარებულ ქვეყნებში. მისი ცალკეული მუხლები გამოყენებულია განვითარებული ქვეყნების ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებში, განსაკუთრებით, თუ ისინი კაპიტალის იმპორტიორნი არიან.

სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების სრულყოფის საჭიროებას განაპირობებს ორი ძირითადი ფაქტორი; პირველი, ქვეყნებს შორის არსებული უთანხმოება ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებში შესაბამისი მუხლების ჩასმის თაობაზე; მეორე, უთანხმოება ორმხრვი ხელშეკრულების ენის არჩევაში სასურველი მიზნების მისაღწევად.

სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მიზანია ქვეყნებისათვის სახელმძღვანელო პრინციპების შეთავაზება, რომელთაც სურთ ორმხრივ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებაში მონაწილეობა; იდეალურ შემთხვევაში – გადასახადების სირთულისა და ე.წ. დეკლარირების ხარჯების შემცირება. სტანდარტული მოდელი იხვეწება წევრი ქვეყნების მიერ გამართულ მრავალმხრივ მოლაპარაკებებზე. მაგრამ ეს რეკომენდაციები ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს და ისინი არ განიხილება სავალდებულოდ ყველა ქვეყნისათვის.

⁵⁷ განახლდა 2001 წელს, United Nations model double taxation convention between developed and developing countries. - New York : UN, 2001. - 381p.

ასე რომ, სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების მოდელი არის: მოდელი, რომელსაც ქვეყნებს შორის რეალურად ხელმოწერილი ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულები შეიძლება დაუყრდნოს; ის არის საწყისი ვარიანტი ქვეყნებს შორის მოლაპარაკებების წარმოებისას; მოდელი არ არის სავალდებულო OECD-ს და გაეროს წევრი ქვეყნებისთვის (მაგრამ მისი ავტორები ცდილობენ მის გავრცელებას, რაც შეიძლება მეტ ქვეყანაზე), მოდელის კომენტარების მიხედვით, ბევრი მუხლი შესაძლოა სხვაგვარად იყოს განმარტებული ქვეყნის შიდა კანონმდებლობაზე დაყრდობით. მაგალითისათვის განვიხილოთ: მუხლი 13 (4).

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელი განმარტავს, რომ „შემოსავლები, რომლებსაც იღებს ხელშემკვრელი სახელმწიფოს რეზიდენტი მეორე ხელშემკვრელ სახელმწიფოში მდებარე უძრავი ქონების გასხვისებიდან, როგორც ეს განსაზღვრულია ამ შეთანხმების მე-6 ნაწილში, შეიძლება დაიბეგროს ამ მეორე სახელმწიფოში“. მაგრამ OECD-ის კომენტარი განმარტავს, რომ რადგან ზოგიერთი ქვეყანა მითხნევს, რომ მუხლი 13(4) არ ეხება კომპანიის აქციების გაყიდვის შედეგად მიღებულ შემოსავლებს, კომპანიის რეორგანიზაციის შედეგად გაყიდული აქციებიდან შემოსავლებს, ან იმ აქციების რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს, რომლებისათვისაც ეს აქციები არის წილი უძრავი ქონებისათვის (მაგ., მაღარო, სასტუმრო), ქვეყნები სურვილისამებრ აირჩევენ ერთ-ერთ ამათგანს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციისა და გაეროს მოდელების გარდა არსებობს ასევე სხვა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების სამოდელო ვარიანტები. უმრავლეს შემთხვევებში, ეს სხვა მოდელები საბაზისო მოდელებია, რომლებსაც ქვეყნები, ქვეყანათა ჯგუფები ეყრდნობიან ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების დადებისას.

საერთაშორისო ორგანიზაციების გარდა ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების სტანდარტული მოდელები გააჩნია ცალკეულ ქვეყნებსაც, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სტანდარტული მოდელი. აშშ-ს საშემოსავლო გადასახადის კონვენციის მოდელი – 1996 არის საფუძველი აშშ-ს ორმაგი დაბეგვრის ყველა ხელშეკრულებისათვის. ეს ხელშეკრულებები ასახავს აშშ-ს ინტერესებს, როგორც კაპიტალის ექსპორტიორი ქვეყნის და შესაბამისად აშშ ბეგრავს მისი რეზიდენტების მთლიან შემოსავლს, ინარჩუნებს მისი დაბეგვრის უფლებებს, როგორც რეზიდენტობის ქვეყანა, ხშირად წყარო ქვეყნის დაბეგვრის უფლებების შეზღუდვით.

ასევე, მსოფლიოში არსებობს სხვა ქვეყნების სტანდარტული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები, რომლებსაც ეფუძნება ამ ქვეყნების მიერ რატიფიცირებული ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებები. მაგ., ხორვატია 1994, მალაიზია 2000, მექსიკა 2000, პერუ 2001, შვედეთი 1998. აშშ-ს მოდელის მსგავსად, ეს კონვენციები პოტენციურ პარტნიორებს აფრთხილებენ იმ პოზიციებზე, რაც ქვეყნისთვის არსებითაა.

რიგ ქვეყნათა ჯგუფები, რომლებთაც აქვთ საერო რეგიონული ეკონომიკური და სოციალური მიზნები, შეუერთდნენ მრავალმხრივ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებებს. რომის ხელშეკრულების (1957) მუხლი 220, რომელმაც შექმნა ეკონომიკური გაერთიანება (ამჟამად ეკონომიკური), იძლევა რეკომენდაციას ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების რატიფიკაციის დასრულებაზე წევრ ქვეყნებს შორის⁵⁸.

მრავალმხრივი დაბეგვრის ხელშეკრულების მაგალითია „კონვენცია სკანდინავიის ქვეყნებს” შორის 1996, რომელიც წარმოადგენს ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებას დანიას,

⁵⁸ დღემდე ერთადერთი მრავალმხრივი კონვენცია (რომის ხელშეკრულების მუხლი 220-ის შესაბამისად) არის ეკონომიკური გაერთიანების საარბიტრაჟო შეთანხმება (1990).

ფარერის კუნძულებს, ფინეთს, ისლანდიას, ნორვეგიასა და შვედეთს შორის. ეს კონვენცია ძირითადად ეფუძნება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მოდელს. ბუნებრივი რესურსების მოპოვების დიდი მნიშვნელობის გამო ამ ქვეყნებში სკანდინავიური კონვენცია შეიცავს სპეციალურ მუხლებს, რომლებიც ეხება მუდმივი დაწესებულებების არსებობას ხელშემკვრელ სახელმწიფოებში და უნიკალურ მუხლს, რომელიც არეგულირებს: პიდროკარბონატული ბუდობების დაზვერვას, გამოკვლევასა და ექსპლუატაციას (მუხლი 21).

მრავალმხრივ საგადასახადო ხელშეკრულებათა რიცხვს ასევე განეკუთვნება კარიკომის საშემოსავლო საგადასახადო შეთანხმება (1994). იგი რატიფიცირებულ იქნა 11 წევრის მიერ კარიბის საზოგადოების 14 წევრიდან: ანტიგუა და ბარბუდა, ბელიზი, დომენიკი, გრენადა, გუანა, იამაიკა, ტრინიდადი და ტობაგო, წმინდა ლუსია და სხვა. ამ ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულების თავისებურებაა ის, რომ იგი ეფუძნება წყარო ქვეყნისათვის დაბეგვრის უფლების მინიჭებას, ხოლო რეზიდენტი ქვეყნისათვის ზღუდავს დაბეგვრის უფლების მინიჭებას (მინიმუმ იმ ქვეყნიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში, რომელიც ხელშეკრულების მონაწილეა). ამ საფუძველზე ორმაგი დაბეგვრა არ წარმოიქმნება (შემოსავლი იძეგრება მხოლოდ წყარო ქვეყნაში და არა რეზიდენტობის ქვეყანაში).


სხვა მრავალმხრივი დაბეგვრის ხელშეკრულებების მაგალითებია:

- ადმინისტრაციული დახმარების კონვენცია 1957 ბენილუქსის სამ ქვეყნას შორის;
- საშემოსავლო გადასახადის კონვენცია 1957 – ჩადს, გაბონს, კონგოსა და ფრანგულ ეკვადორულ აფრიკას შორის

- ერთა ლიგის კონვენცია შიდაწვის ძრავებზე და საბოლოო პროტოკოლი უცხო შიდაწვის ძრავების დაბეგვრაზე 1931 წ. ერთა ლიგის 44 წევრს შორის;
- მემკვიდრეობის გადასახადებზე შეთანხმება 1994 ასტულანდს, სამხრეთ აფრიკასა და სვაზილენდს შორის;
- ანდის პაქტის კონვენცია შემოსავლების დაბეგვრზე ბოლივიას, ჩილეს (ინიციატორი), კოლუმბიას, ეკვადორსა და ვენესუელას შორის.

აღნიშნული ხელშეკრულებების რანგირება შეიძლება მოვახდინოთ იმის მიხედვით თუ უმტკილეს როგორი ქვეყნის ინტერესებს იცავენ – კაპიტალის იმპორტიორებისას თუ კაპიტალის ექპორტიორებისას.

ნახ. 3.2 ორმაგი დაბეგვრის ხელშეკრულებების შეფარდებითი პოზიცია რეზიდენტობისა და წყაროს მიხედვით დაბეგვრასთან⁵⁹:



⁵⁹ International Tax Policy and Double tax Treaties, Kevin Holmes, IBFD 2007 Amsterdam p65.

ამრიგად, ქვეყნებს შორის საგადასახადო პოლიტიკის კოორდინირების მიზნით საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებების რატიფიცირება უკვე მსოფლიო ეკონომიკაში დამკვიდრებული და ფართოდ მიღებული პრაქტიკაა. ფართოდაა აპრობირებული საგადასახადო შეთანხმებების სტანდარტული ვარიანტები, რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ. ამგვარი ხელშეკრულებების სტანდარტული ფორმატის არჩევისას მნიშვნელოვანია, ხელშემქვრელმა მხარეებმა იცოდნენ სტანდარტული ფორმატის ზოგადი პოლიტიკის მიმართულებები: უპირატესობას იღებს დაბეგვრის წყარო თუ რეზიდენტი ქვეყანა.

Kuparadze Giorgi

**INTERNATIONAL TAX AGREEMENTS AS
THE COORDINATING MECHANISM OF TAX POLICIES
AMONG COUNTRIES
SUMMARY**

In the article is reviewed the role and functions of the international tax agreements. Along some historical development overview of international tax agreements is discussed the current trends in international tax policies. In the article is also analyzed the standard tax agreements from the standpoint of favoring source or residence country of taxation.

ანზორ კურატაშვილი

**მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან
სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე
ბადასვლის პროგლემა და სამართლებრივი ფაქტორი**

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე და, კერძოდ, სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ურთულეს პრობლემას წარმოადგენს, რადგან, ჯერ ერთი, ამ შემთხვევაში რადიკალურად იცვლება სახელმწიფო ეკონომიკისა და მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირებისა და მართვის სისტემა, და, მეორეც, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის არსებული უცხოური გამოცდილების გამოყენება ამა თუ იმ ქვეყანაში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს ეფექტური, თუ გათვალისწინებული იქნება ამ კონკრეტულ ქვეყანაში არსებული სპეციფიკური თავისებურებანი, რადგან უცხოური გამოცდილების მექანიკური გადმოტანა ამა თუ იმ ქვეყანაში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური შედეგების მომცემი ვერ გახდება.

ამასთან, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მთავარ და ურთულეს პრობლემას წარმოადგენს აღნიშნული გარდამავალი პერიოდისა და სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, რის გარეშეც ქვეყნის ეფექტური სოციალურ-ეკონომიკური განვითარება წარმოუდგენელია.

მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემისათვის, როგორც ცნობილია, დამახასიათებელი იყო მრავალი ნეგატიური მოვლენა, რაც აუცილებელს ხდიდა ამ ეკონომიკური სისტემიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მოდელების „საერთო ნიშანია სოციალური პრობლემების გადასაჭრელად ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილებული სახსრების მაღალი ხვედრითი წონა (30-დან 60%-მდე, ზოგჯერ უფრო მაღალიც) მთლიან შიდა პროდუქტში“ [1, გვ. 3], რაც ნამდვილად მნიშვნელოვან მაჩვენებელს წარმოადგენს, და რომელიც ადასტურებს საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის არსებობას იმ ქვეყნებში, სადაც ბიუჯეტი სასიათდება ზემოაღნიშნული მონაცემებით.

“ამასთან, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მთავარ მაჩვენებლად, – როგორც ადრეულ აღვნიშნავდი, – მიმართ ამ საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალური მიმართულება და მისი პრაქტიკული რეალიზაცია, რომელიც, ჩემი აზრით, ყოველთვის პროცენტებით (სოციალური პრობლემების გადასაჭრელად ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილებული სახსრების მაღალი ხვედრითი წონით) ვერ გამოიხატება, რადგან, ჯერ ერთი, დაბალი პროცენტი გარემოულ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება რეალურად უფრო მეტს ნიშნავდეს, ვიდრე მაღალი პროცენტი, და, მეორეც, შეიძლება სახელმწიფომ ბიუჯეტიდან მეტი ფინანსური სახსრები გაითვალისწინოს წარმოების განვითარებაზე (მაგრამ არა ისე, რომ მიმდინარე პერიოდში ყოველი ადამიანი საარსებო მინიმუმით მაინც არ იყოს უზრუნველყოფილი), რათა მომავალში მეტი საშუალებები შეიქმნას სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

თუმცა საერთოდ, როგორც უპავ აღვნიშნე, “ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის მნიშვნელოვან მაჩვენებელს უდავოდ წარმოადგენს სოციალური პრობლემების გადასაჭრელად ბიუჯეტის მეშვეობით გადანაწილებული სახსრების მაღალი ხვედრითი წონა” [2, გვ. 57-58].

ამასთან ერთად, საჭიროდ მიგაჩნია განსაკუთრებით აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა გზით, რა

ფორმებითა და მეთოდებით ხდება ამა თუ იმ ქვეყნის გადასვლა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე და, კერძოდ, სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე, უპირველესი მნიშვნელობა აქვს სამართლებრივ ფაქტორს, სათანადო სამართლებრივი მუქანიზმების – სათანადო სამართლებრივი საფუძვლების შექმნას, რომლის გარეშე სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და მისი ეფექტიანი ფუნქციონირება შეუძლებელია.

ამასთან, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის სამართლებრივი საფუძვლების შექმნისას ყოველთვის უნდა იქნეს გათვალისწინებული ამა თუ იმ ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებანი, რაც, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანს სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეროვნული მოდელის ჩამოყალიბებამდე.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის შემქმნელები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კანონშემოქმედებას, და ამ ტიპის საბაზრო ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება კანონშემოქმედებით ამოცანად მიაჩნდათ [3, გვ. 65].

კერძოდ, როგორც ეკონომიკის პროფესორი ხაინც ლამპერტი წერს: „გერმანიაში სოციალური საბაზრო მეურნეობის ჩანასახები გაჩნდა ჯერ კიდევ ნაციონალ-სოციალიზმის ბაზონობის დროს. 1937 წელს პროფესორებმა ფრანც ბიომმა, ვალტერ ოკენმა და განს გროსმან-დიორტმა, რომლებიც ასწავლიდნენ ფრეიბურგში, დაიწყეს ნაბეჭდი შრომების სერიის პუბლიკაცია პროგრამული სახელწოდებით „ეკონომიკის წესრიგი“. იმავე წელს ლეონარდ მიკშმა, ასევე პროფესორმა ფრეიბურგში, გამოაქვეყნა თავისი წიგნი „კონკურენცია როგორც ამოცანა. კონკურენციაზე დამყარებული წესრიგის პრინციპები“ [3, გვ. 64-65].

როგორც შემდეგ ხაინც ლამპერტი აღნიშნავს: „ყველა ნეოლიბერალის ძირითადი ამოცანაა – თავისუფლებაზე დამყარებული შეცნობილის ფორმირება, მაგრამ ერთდროულად სოციალურად ორიენტირებული საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სოციალური წესრიგისა, რომლის უზრუნველყოფაც ხდება ძლიერი სახელმწიფოს მიერ.

იმ დროს, როდესაც XVIII და XIX საუკუნეების ლიბერალიზმი თვლიდა, რომ საბაზრო ეკონომიკა კი არ უნდა იქმნებოდეს, არამედ თითქოსდა უნდა „გამოვლინდებოდეს“, და რომ სახელმწიფომ, რომლის მიმართაც თუმცა კი არის აღიარებული მონოპოლიებზე კონტროლის ამოცანა, მაინც უნდა უზრუნველყოს თავისუფლება უფრო მეტად პოლიტიკური აბსტინენციის (ანუ პოლიტიკური თავშეკავების – ანზ. კ) ხარჯზე ეკონომიკური წესრიგის სფეროში, ნეოლიბერალიზმს ესმის ის, რომ წესრიგის ფორმირება ეკონომიკაში და საზოგადოებაში წარმოადგენს კანონშემოქმედების ამოცანას“ [3, გვ. 65].

ამრიგად, კიდევ ერთხელ დასტურდება კანონშემოქმედების და, შესაბამისად, სამართლებრივი ფაქტორის განსაკუთრებული მნიშვნელობა სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებაში და ეფექტიან ფუნქციონირებაში.

საბაზრო ეკონომიკის, მბრძანებლური ეკონომიკისა და შერეული ეკონომიკის განხილვისას, პოლ. ა. სამუელსონი და ვილიამ დ. ნორდხაუსი სამართლიანად აღნიშნავენ, რომ არც ერთი თანამედროვე საზოგადოება არ მიეკუთვნება არც მთლიანად საბაზრო ეკონომიკას და არც მთლიანად მბრძანებლურ ეკონომიკას: „უფრო მეტად ყველა ქვეყანას შერეული ეკონომიკა აქვს – ეკონომიკა ბაზრისა და მართვის მბრძანებლური ფორმის ელემენტებით. ჯერ კიდევ არასოდეს არ არსებულა 100%-იანი საბაზრო ეკონომიკა (თუმცა XIX საუკუნის ინგლისი ახლოს იყო ამასთან). ამჟამად აშშ-ში გადაწყვეტილების დიდი ნაწილი ბაზრის მიერ მიიღება.“

მაგრამ ქვეყნის მთავრობაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბაზრის მუშაობის შეცვლაში: ხელისუფლები გამოსცემენ კანონებსა და დებულებებს, რომლებიც არეგულირებენ ეკონომიკურ ცხოვრებას...“ [4, გვ. 50].

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკაში, ჩემი ღრმა რწმენით, იგულისხმება ბაზრით რეგულირებადი ეკონომიკა, რასაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ „აშშ-ში და დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში ეკონომიკური საკითხების უდიდეს ნაწილს წყვეტს ბაზარი“ [4, გვ. 50], რის გამოც „... მათ ეკონომიკურ სისტემას ეწოდება საბაზრო ეკონომიკა“ [4, გვ. 50], ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე სამართლებრივი ფაქტორი, რადგან ბაზრის სრული თავისუფლება გამორიცხავს საბაზრო ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას.

გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ ერთ-ერთ თავის საუბარში, რომელიც ჯ. პ. გელბრეიტს პქონდა პროფესორ ფ. მ. ბურლაცკისთან, ის, ანუ ჯ. პ. გელბრეიტი აღნიშნავდა: „... უპირველესად მინდა მოგცეთ თქვენ რჩევა აწონილ-დაწონილად მიუდგეთ რეკომენდაციებს, რომლებიც მოდის დასავლეთის ქვეყნებიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან. რამდენადაც მე შევნიშნე გაზეთებიდან, ასეთ რეკომენდაციებს იძლევიან ადამიანები, რომელთა უსაზღვრო ერთგულებას თავისუფალი მეწარმეობის იდეოლოგიისადმი და რომელთა დარწმუნებულობას იმაში, რომ სახელმწიფო ეკონომიკურ ცხოვრებაში არ უნდა თამაშობდეს არავითარ როლს, შეეძლო გამხდარიყო დამღუპველი ჩვენთვისაც კი, თუ ჩვენ ამას ყურს დავუგდებდით“ [5].

ყოველივე ზემოაღნიშნული მრავალგზის ადასტურებს სამართლებრივი ფაქტორის განსაკუთრებულ როლს და მნიშვნელობას ეკონომიკის მბრძანებლურ-აღმინისტრაციული სისტემიდან სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში.

განსაკუთრებით საჭიროდ მიმართია ყურადღება გამახვილდეს იმაზე, რომ “შბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, ჩემი აზრით, გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი სამართლებრივი საფუძვლების შექმნის აუცილებლობა, რომლებიც უზრუნველყოფს ერთდროულად ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას – ეკონომიკური მიზნის რეალიზაციას, რაც გამოიხატება ეკონომიკის მომგებიან ფუნქციონირებაში, და რომელიც, ამავე დროს, უზრუნველყოფს ეკონომიკის სოციალურ ორიენტაციას, ანუ ორიენტაციას ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე, რითაც დაძლებული იქნება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ძირითადი წინააღმდეგობა, და რაც სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველი იქნება” [2, გვ. 68-69].

ამრიგად, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მთავარი პრობლემა, ჩემი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ ეკონომიკა ჩადგეს ადამიანის სამსახურში – ჩადგეს ხალხის სამსახურში, რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იქნეს საბაზრო ეკონომიკური სისტემის სოციალური ორიენტაციის აუცილებლობა სამართლებრივი ფაქტორის სათანადო გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჩიქავა ლ., სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის მოდელები და საქართველო. ეკონომისტთა მესამე რესპუბლიკური კონფერენციის მასალები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი. თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000.

2. კურატაშვილი ანზორ, სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკა და სამართლებრივი ფაქტორის გავლენა მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე (მონოგრაფია ქართულ

ენაზე). თბილისი, საერთაშორისო გამომცემლობა “პროგრესი”, 2008.

3. Ламперт Хайнц. Социальная рыночная экономика. Германский путь. – М.: "Дело ЛТД", 1994.

4. Самуэльсон Пол А., Нордхаус Вильям Д. Экономика: Пер. с англ. – М.: "БИНОМ", "Лаборатория Базовых Знаний", 1997.

5. Гэлбрейт Дж. К. Беседа с народным депутатом СССР, профессором Ф. М. Бурлацким. "Литературная газета", 14 февраля 1990 г.

Kuratashvili Anzor

**TRANSITION PROBLEM FROM COMMAND-ADMINISTRATIVE
ECONOMY TO THE SOCIALLY ORIENTED
MARKET ECONOMY AND LEGAL FACTOR
SUMMARY**

Scientific work discussiz the essence and peculiar features of socially oriented market economy.

The special attention is given to a transition problem from command-administrative economy to socially oriented market economy and a legal factor.

*თინათინი ქურდაძე
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების
პროგლემები თანამედროვე ეტაპე*

საქართველოში გატარებულ ეკონომიკურ რეფორმებს შორის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საგადასახადო სისტემაში გატარებულ რეფორმებს, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა იმისათვის, რომ შექმნილიყო ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატი და ხელსაყრელი სამართლებრივი გარემო. დღეისათვის მოქმედი საგადასახადო

კოდექსი უფრო გამარტივებული და ლიბერალურია წინა სა-
გადასახადო კანონმდებლობასთან შედარებით.

მთლიანად ფინანსური სიტუაცია ქვეყანაში შეიძლება
დაგახასიათოთ, როგორც ზომიერად სტაბილური ფინანსური
პოლიტიკის ძირითადი ღონისძიებანი. ამ ეტაპზე ის უკვე იძ-
ლება გარეგნულ შედეგებს, ხოლო საგარეო ვალდებულებათა
შესაძლებლობანი შეიძლება ჩაითვალოს როგორც ერთადერ-
თი გამოსავალი. მიღებული უნდა იქნეს განსაკუთრებული ღი-
ნისძიებანი, რომლებიც თავიდან აგვაცილებს საბიუჯეტო-
საგადასახადო კრიზისს და ხელს შეუწყობს ეკონომიკური და
საინვესტიციო აქტიურობის ამაღლებას მთლიანად.

ბიუჯეტში შემოსავლების მიღების პრობლემა მეტ-
ნაკლები სიმწვავით თითქმის ყველა ქვეყანაში დგას. ამ მხრივ
განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა იყო საქართველოში, სა-
დაც სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დაბალი მაჩვე-
ნებლების გამო ვერ გვარდებოდა ეს პრობლემა, თუმცა მეტ-
ნაკლებად მოწესრიგებულია ბოლო ათწლეულის განმავლობა-
ში. მიუხედავად ქვეყანაში მიღწეული გარკვეული წარმატებე-
ბისა, ფეხი მოიკიდა ელიტარულმა კორუფციამ, რითაც მოიმა-
ტა უმუშევართა ოდენობამ და გაიზარდა სიღარეკის ზღვარს
მიღმა არსებული ადამიანების რიცხვიც. ამიტომ ქვეენის მა-
კროეკონომიკური სტაბილურობა არც ისე მყარია და ეს
პრობლემები თავისთავად ვერ გადაიჭრება როგორც სოცია-
ლურ, ეკონომიკურ, დემოგრაფიულ, ისე პოლიტიკურ სფე-
როებში.

სახელმწიფო ბიუჯეტი, როგორც ვიციო, არის სახელმ-
წიფო შემოსავლებისა და ხარჯების ფინანსური გეგმა, რო-
მელიც დგება განსაზღვრული პერიოდისათვის. მასში იგეგმება
ის, თუ როგორ და რისთვის ხარჯავს სახელმწიფო ფულს, რა
წყაროებიდან უნდა მიიღოს მან ფულადი სახსრები და რა მო-
ცულობის შემოსავლის მიღებას მოეღის. ამრიგად, ბიუჯეტში
გაერთიანებულია ურთიერთდაპაგშირებული ძირითადი საფი-
ნანსო ინსტიტუტები – შემოსავლები, ხარჯები და სახელმწი-

ფო კრედიტი, რომლებიც, საბოლოო ჯამში, სახელმწიფო ბი-უჯეტის ელემენტებს შეადგენენ.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფუნქციების გამოვლენა აისახება საბიუჯეტო მექანიზმში, რომელსაც ქმნის სახელმწიფო. საბი-უჯეტო მექანიზმი, რომელიც საბიუჯეტო პოლიტიკის სუბიექტად გვევლინება, ასახავს საბიუჯეტო ურთიერთობების კონკრეტულ მიზანს ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადასაჭრელად, მის ხელო არსებული ფულადი რესურსების მანევრირების, ანუ სწრაფი გადაადგილების მეშვეობით. საბი-უჯეტო პოლიტიკის აღსრულების პერიოდში სახელმწიფოს აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს ისეთი მრავალფეროვანი ხერხები ეკონომიკაზე ზემოქმედების მოსახდენად, როგორებიცაა: საწარმოების დაფინანსება და სუბსიდირება, სახელმწიფო ინვესტიციების განხორციელება. ამ უკანასკნელით ფართოვდება საწარმოა ფინანსები, რომელსაც წამყვანი როლი უკავია სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაში.

ბიუჯეტი რომ გეგმაა იქიდანაც ჩანს, რომ ის შეიძლება შესრულდეს ან ვერ შესრულდეს. ამის მიხედვით ბიუჯეტი შეიძლება იყოს დაბალანსებული, პროფიციტული ან დეფიციტური. დაბალანსებული ბიუჯეტი ნიშნავს შემოსავლებისა და ხარჯების ტოლობას. ეს საუკეთესო ვარიანტია, რის გამოც ნებისმიერი სახელმწიფო ილტვის მისკენ. შეუსრულებელი ბიუჯეტი შეიძლება იყოს დეფიციტური ან პროფიციტული. დეფიციტურია ბიუჯეტი, როდესაც ხარჯები ჭარბობს შემოსავლებს, ხოლო პროფიციტული, ანუ გარდამეტებულია, როცა, პირიქით, შემოსავლები ჭარბობს ხარჯებს. ჩვენ ვიცით, რომ უმეტეს შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტი დეფიციტურია. ეს პრობლემა ყველა სახელმწიფოს აწუხებს, მათ შორის საქართველოსაც. საგულისხმოა, რომ ბიუჯეტის დეფიციტი ყოველთვის არ მიუთითებს ქვეყნის სავალალო მდგომარეობაზე. როცა დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში უმნიშვნელო ხვედრით წილს შეადგენს, იგი საშიშროებას არ წარმოადგენს. თუ დიდია დეფიციტის ხვედრითი წილი მშპ-თან

მიმართებაში, მაშინ საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია. ოუ დეფიციტი არ დაიფარა მოზიდული შემოსავლებით, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო მიმართავს ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების სხვადასხვა მეთოდს. ეს მეთოდებია: სახელმწიფო კრედიტის აღება, ფულის ემისია, ხარჯების შემცირება და გადასახადების გაზრდა. ამის მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ფორმირდება საგადასახადო შემოსავლებით, არასაგადასახადო შემოსავლებით, სახელმწიფოს სპეციალური ფონდების შემოსავლებით და უცხოური გრანტებით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მთავარ წყაროს ნებისმიერ ქვეყანაში საგადასახადო შემოსავლები შეადგენს. არც საქართველოა გამონაკლისი. აქაც გადასახადებს უკავია ყველაზე მეტი ხვედრითი წილი. მაგრამ უკანასკნელი სამითხო წლის განმავლობაში საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი დაეცა. სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლებს დებულობს აგრეთვე არასაგადასახადო შემოსავლებიდან. აქ შედის საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამრთლებრივი არასაგადასახადო შემოსავლები. თავის მხრივ, საჯარო-სამართლებრივ არასაგადასახადო შემოსავლებს შეადგენს ჯარიმები, კონფისკაციები, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ფასიანი მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები, ფინანსური დახმარება, საბიუჯეტო სესხები, ხოლო კერძო-სამართლებრივ არასაგადასახადო შემოსავლებს – სახელმწიფო, მუნიციპალური ქონების გამოყენებიდან და გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება ხდება აგრეთვე უცხოეთიდან მისაღები გრანტების მეშვეობით. უცხოეთიდან მისაღებ გრანტებს შეადგენს: ეგროგაერთიანების სახურსათო უზრუნველყოფის და სპეციალური ფინანსური დახმარების პროგრამით გამოსაყოფი გრანტი, ასევე მსოფლიო ბანკის გრანტები საინვესტიციო პროგრამებზე და სხვ გრანტები. 2002 წელს გრანტებმა შეადგინა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავ-

ლების 2,4%. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის 2003 წლის კანონის საფუძველზე, გრანტების სახით საქართველომ უნდა მიიღოს 95,4 მლნ ლარი, რაც დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსაჭლების 7,6%-ს შეადგენს. 2001 წლამდე საბიუჯეტო პრობლემებს შორის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად რჩებოდა გაცემული სახელმწიფო კრედიტების დაბრუნების საკითხი. ეს იმიტომ, რომ ამ კრედიტების დაბრუნება ხდებოდა არა იმ ოდენობით, რაც დაგეგმილი იყო ბიუჯეტის მიხედვით, არამედ დაგეგმილზე ნაკლები ოდენობით. უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარდა და ბიუჯეტი გაცემული კრედიტებიდან ღებულობდა გათვალისწინებულზე მეტს.

ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკა მობილური და ეფექტურია იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყნის მიკროეკონომიკური გარემო მართვის ერთიან წესს ექვებდებარება, რაც გულისხმობს აღნიშნულ გარემოში ცალკეულ ობიექტებს შორის არსებულ ეკონომიკურ ურთიერთობებს. ამიტომ ძალზე აქტუალურია გადასახადების ორლის განსაზღვრა მისი ორი ძირითადი – ფისკალური და მარეგულირებელი ფუნქციის მიხედვით, რომელთაგანაც ჩვენ შევხებით ზოგადად ორივეს, რადგანაც ცნობილია, რომ გადასახადები ზემოქმედებას ახდენს კვლავწარმოების ყველა სტადიაზე, როგორც ფისკალური, ასევე მარეგულირებელი ფუნქციების შესრულებისას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გზით, იგი, როგორც ეროვნული შემოსავლის განაწილება-გადანაწილების მექანიზმი, ჩამორჩება ეკონომიკური ზრდის ტემპებს. გადასახადების არაპირდაპირი ზემოქმედების პრინციპს ასევე შეიძლება პქონდეს თავისი ეფექტურიანობაც მაკროეკონომიკური პარამეტრებისათვის შესაბამისი ღონისძიებების დროულად მიღების და გატარების პროცესში. მაგრამ მიუხედავად ამისა გადასახადები არის ის უმთავრესი ბერკეტი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას.

ბევრი სახელმწიფო იუქნებს საგადასახადო მექანიზმს ინ-
ვესტიციებზე მოთხოვნის რეგულირებისათვის. ამ შემთხვევაში
არც საქართველო წარმოადგენს გამონაკლისს, რომლის
ფისკალური კრიზისის დაძლევა სწორედ უცხოური ინვესტი-
ციების გამოყენების გზით ხდება უმთავრესად. მაგრამ, რამდე-
ნადაც საგადასახადო შემოსავლების მიღება ჩამორჩება წარ-
მოების მოცულობის ზრდის ტემპების დაჩქარების პროცესს,
ამიტომ გადასახადების ზრდის მოთხოვნამ, "საერთაშორისო
სავალუტო ფონდისა" და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციე-
ბის მიერ, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში იმყოფებიან, სწორედაც
რომ მიგიყვანა წარმოების უარეს დეპრესიამდეც კი. ამ სიტუ-
აციაში აუცილებელიც კი იყო გადასახადების შემცირება ინ-
ვესტირების სტიმულირებისათვის, ქვეყანაში უკეთესი საინვეს-
ტიციო კლიმატის შესაქმნელად მაკროეკონომიკური ფაქტორე-
ბის გათვალისწინებით, რადგანაც გადასახადების ზრდით ეცვ-
მა საწარმოო ძალთა აქტივობა, რაც ასევე იწვევს მაკროეკო-
ნომიკურ არასტაბილურობას. ყოველივე ამის დასტურია ახალი
საგადასახადო კოდექსი, რომლის უმთავრესი პრიორიტეტი
უნდა იყოს სწორედ საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება მე-
წარმეობისათვის. ამის ნათელი მაგალითი იყო გასულ წელს
მთავრობის ინიციატივით მიღებული ცვლილებები
საგადასახადო ორგანოსთვის ახალი ფუნქციის მინიჭების
შესახებ, რომელიც საგადასახადო კოდექსში შევიდა და
გულისხმობდა, რომ საგადასახადო ორგანოს საშუალება აქვს,
გადასახადის გადამხდელს, ეკონომიკური საქმიანობის
ადგილმდებარების მიხედვით, უფლებამოსილი პირი ან
პირები მიამაგროს და ასე განახორციელოს საგადასახადო.

ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო კრიზისი მეტ-ნაკლებად
მიბმულია მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებზე
ყველა კონტექსტში. იმის დადგენა, თუ რა მოცულობით უნდა
მოხდეს ბიუჯეტის შედგენა კონკრეტულ შემთხვევაში როგორც
აბსოლუტურ თანხებში, ასევე მთლიან შიდა პროდუქტოან
მიმართებაში, რომ იგი ოპტიმალურად პასუხობდეს

სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ფუნქციების განხორციელებას, აქ შეიძლება განვიხილოთ „საქსტატის“ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოში 2011 წლის სექტემბერში წინა წელთან შედარებით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 10,4%-ით გაიზარდა და ამ მაჩვენებელმა 155,6 ლარი შეადგინა, როცა წინა წელს 140,9 ლარი იყო. აგვისტოში ეს მაჩვენებელი 155 ლარი იყო. აქ აღსანიშნავია ის, რომ ეს მაჩვენებელი წინა ოვენტში კლებულობდა, ხოლო წლის დასაწყისიდან მაისამდე განუწყვეტლივ იზრდებოდა. ასე რომ, 2011 წლის სექტემბერში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 137,8 ლარი იყო (ერთი წლით ადრე 124,8 ლარი იყო, ერთი თვით ადრე – 137,3 ლარი), ოთხსულიანი ოჯახის მინიმუმმა კი შეადგინა 275,6 ლარი (2010 წელს – 249,5). ეს არის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელი, რომლის გარეშეც შეუძლებელია სწორი გათვლების გაკეთება ბიუჯეტის მოცულობის დადგენისას. როგორც ოფიციალური სტატისტიკა ცხადყოფს, 2003 წლიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მშპ-თან შედარებით განუწყვეტლივ იზრდებოდა, თუმცა 2008 წლიდან შემცირების ტენდენციით ხასიათდება. რაც შეეხება საბიუჯეტო ხარჯებს, მისთვის დამახასიათებელია ზრდადი დინამიკა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვხარჯავთ მეტს ვიდრე ვაწარმოებთ სხვა, ჩვენ უახლოეს მეზობლებთან შედარებით (სომხეთი, ზერბაიჯანი, რუსეთი და სხვები). ერთადერთი, რაც საქართველოში განუწყვეტლივ იზრდება, სახელმწიფო ვალია და ერთ სულ მოსახლეზე 1139,5 დოლარს შეადგენს, 2003 წელს კი ეს მაჩვენებელი 494,5 დოლარი იყო. ამიტომ საჭიროა მეტი პრაგმატულობა ბიუჯეტის შედგენისას და მეცნიერულად ჩამოყალიბებული დებულებების მიღება. იგი არ უნდა იყოს სხვადასხვა განვითარებული ქვეყნების გამოცდილების პირდაპირი იმიტაცია და მოწყვეტილია არსებული რეალობისაგან ქვეყნის ეკონომიკის თავისებურებებისა და

ეროვნულ-სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინების გარეშე.

სწორედ ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენს იმ უმთავრეს მექანიზმს, რომლითაც ხელისუფლება პრაქტიკულად შედის თითოეული მოქალაქის საქმიანობის არეალში და როგორც საგადასახადო, ასევე საბიუჯეტო ხარჯების მეშვეობით მონაწილეობს მოქალაქეთა კანონიერი შემოსავლების ფორმირების პროცესში. ამდენად, შეუძლებელია ქართული საზოგადოება გულგრილი იყოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ფისკალური პოლიტიკის მიმართ. საქართველოში საბიუჯეტო პრობლემები გაცილებით აქტუალურია, ვიდრე განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე სახელმწიფოებში, რადგან ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული საზოგადოების ფინანსური და სოციალური სტაბილურობის განმსაზღვრელი საშუალო ფენა და ჯერ კიდევ დიდია დაბალშემოსავლიანი კატეგორიის ადამიანთა რაოდენობა. მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან ქვეყანაში სახელმწიფო მიზნად დაისახა ახალი სოციალური რეფორმის რეალიზაცია, რაც გულისხმობს ახალი სადაზღვევო პაკეტის შემოღებას სრული სადაზღვევო პაკეტით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებიან საპენსიო ასაკის მქონე პირები და ხუთ წლამდე ასაკის ბავშვები. ეს უდავოდ დადებითად წაადგება შეკირვებული ოჯახების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ ეს მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიის საგნად არ დარჩება.

საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ეკონომიკაზე მისი მასტიმულირებელი ზემოქმედების მკვეთრი გაძლიერება. გარდა ამისა, მან უნდა უზრუნველყოს ბაზრის სრულფასოვანი სუბიექტებისა და მთელი ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარება და ჯანსაღი ლიბერალური ბიზნესგარემოს შექმნა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა უნდა შემობრუნდეს

ეკონომიკისაკენ, სტიმული მისცეს მის ზრდას და ამით გააფართოოს გადასახადებით დასაბეგრი ბაზა.

გლობალიზაციის პირობებში, ფისკალური პოლიტიკის სრულყოფის მიზნით, აუცილებელია კონკურენტული ღონისძიებების კომპლექსური დამუშავება. მათ შორის ცელიდებების შეტანა საგადასახადო კანონმდებლობაში საგადასახადო განაკვეთების ოვალსაზრისით და ოპტიმალური საგადასახადო განაკვეთების დაწესება, რომელიც არ შეზღუდავს სამეწარმეო აქტივობას და შესაბამისად გააუმჯობესებს სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს და ასევე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც უკელაზე აქტუალურია დღეისათვის.

მაშასადამე, შეუძლებელია საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრა ფისკალური მიდგომით, ანუ სხვა ქვეყნის გამოცდილების გადმოტანა ეროვნულ თავისებურებათა გაუთავლისწინებლად. გადასახადების გადახდა მეწარმეს არ უნდა უჯდებოდეს იმდენი, რომ დარჩენილი წმინდა მოგება ვერ მოახმაროს წარმოების შემდგომ გაფართოებასა და დივერსიფიკაციას. უმჯობესია, საგადასახადო განაკვეთები იყოს მცირე და გადასახადების გადამხდელთა რაოდენობა მეტი, ვიდრე მაღალი საგადასახადო განაკვეთების პირობებში ნაკლები გადამხდელი. ამასთანავე ადსანიშნავია ისიც, რომ საგადასახადო, ანუ ფისკალური პოლიტიკის სრულყოფაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის საინვესტიციო პოლიტიკასაც, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას გლობალიზაციის პირობებში, რათა უფრო ადვილი იყოს საქართველოს ინტეგრაცია ევროპისა და მსოფლიოს სხვადასხვა დონის საერთაშორისო სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ-დიპლომატიურ გაერთიანებებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. პაპავა. პოსტკომუნიციური გარდამავალი პერიოდის მაქროეკონომიკა (თეორია და პოლიტიკა). თბილისი, 2005.
2. ვლადიმერ (ლადო) პაპავა. არატრადიციული ეკონომიქსი. თბილისი, 2011.
3. ზ. როგავა, გადასახადები. საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი. თბილისი, 2002.
4. Эви Боди, Роберт К. Мертон. «Финансы». Москва. «Санкт-Петербург» Киев 2005.

Kurdadze Tinatin

PROBLEMS OF INCOME FORMING OF STATE BUDGET OF GEORGIA SUMMARY

The article analysis problematic issues concerning the formation of income of state budget of Georgia: taxes as a necessary condition to overcome budgetary deficit. We suppose that it has a great political as well as economic significance. As to political aspect it is clear that a new government is able to help out of critical situation, realizing actual reforms. The way of stabilization of economy taken by our government as a whole exceed political changes taking place in the country. Budgetary reform is considered as the beginning of a real fight against the corruption, the causes of its appearance. The efficiency of fight against the corruption might be achieved only after the basic reformation of budgetary system.

**მედეა მულაშვილი
ნუნუ ქიხტაური**

**გლობალიზაციის მნიშვნელობა და განვითარებაზე
ეკონომიკათა განვითარებაზე**

ცალკეული ქვეყნის განვითარება სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაზე. გლობალური ეკონომიკური სისტემა საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთ ცენტრალურ ობიექტად გადაიქცა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნები განსხვავებულია განვითარების დონით, კულტურით, რელიგიითა და ისტორიული ტრადიციებით, მსოფლიოს ქვეყნებს შორის არსებულმა ურთიერთკავშირებმა ისეთ სტადიას მიაღწია, რომელსაც დღეს უწოდებენ „გლობალიზაციას“. ეს უკანასკნელი თანამედროვე პერიოდში მეტად მოდურ პოლიტიკურ სლოგანად იქცა, თუმცა იგი მრავალ ქვეყანას უქმნის ეროვნული ინტერესებისა და თვითმყოფადობის საფრთხეს.

ტერმინი „გლობალიზაცია“ გამოიყენება როგორც ეკონომიკაში, ასევე პოლიტიკასა და კულტურაში. მაგრამ ის განსაკუთრებით ეკონომიკაშია გამოყენებული, ვინაიდან ეკონომიკის გლობალიზაცია ყველა გლობალური პროცესის საფუძველს წარმოადგენს. კომპიუტერული ტექნიკისა და ელექტრონული კომუნიკაციების სწრაფი განვითარების გამო ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული ყველა ქვეყანა. განხორციელდა როგორც წარმოების, ასევე ვაჭრობისა და საბანკო საქმის უპრეცედენტო ტრანსნაციონალიზაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ეროვნული კომპანიები დაიფარა შვილობილი ფირმებითა და ფილიალებით. ეკონომიკური გლობალიზაციის მთავარ მამოძრავებელ ძალად გადაიქცა ტრანსეროვნული კორპორაციები, რამაც ეროვნულ კომპანიათა მნიშვნელოვანი შევიწროება გამოიწვია. ამასთან, განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია მნიშვნელოვანწილად განხორციელდა ტრანსეროვნული კორპორაციების დახმარებით, რომლებმაც ახალ ინდუსტრიულ

ქვეყნებში ხელი შეუწყვეს თანამედროვე წარმოებათა განვითარებას. ეკონომიკური გლობალიზაცია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, რაც დაკავშირებულია მათი ეკონომიკური განვითარების დონესთან.

გლობალიზაციის თანამედროვე პროცესი განსხვავებულ ეკონომიკებს ერთ საბაზო სისტემად აერთიანებს, ე.ი. ქმნის ახალ ეკონომიკურ სისტემას, რომლის მთავარ მამოძრავებელ ძალას ტრანსეროვნული კორპორაციები წარმოადგენენ. ეს უკანასკნელი, როგორც გლობალიზაციის საფუძველი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წყალობით აძლიერებენ თავიანთ ზეგავლენას ეროვნულ ეკონომიკათა მდგომარეობაზე.

ამასთან, გლობალიზაცია (როგორც კაცობრიობის განვითარების ობიექტური ტენდენცია) დამატებით შესაძლებლობებს უქმნის მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკებს. ამ პროცესის წყალობით მიღწევა ეკონომია წარმოების საშუალებებზე, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის მიღწევები ხელმისაწვდომი ხდება ყველა ქვეყნისათვის, ფართოვდება საქონლის ასორტიმენტი და იზრდება მათი ხარისხი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციის უპირატესობებს ყველა ქვეყანა ერთნაირად ვერ იყენებს. ეს პროცესი ვერ უზრუნველყოფს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას მსოფლიოში. მსოფლიოს მდიდარ ქვეყნებში მცხოვრები მოსახლეობის 20%-ზე მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის 86%, ხოლო უდარიბეს 20%-ზე – მხოლოდ 1%. გლობალიზაციის პროცესის სარგებლიანობის სამართლიანი განაწილების პრობლემა დღეს მეტად აქტუალურია საერთაშორისო თანამეგობრობისათვის.

მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე წამყვანი ქვეყანა აკონტროლებს წარმოებისა და მოხმარების მნიშვნელოვან ნაწილს. გლობალიზაციის უპირატესობების არათანაბარი განაწილება ხელს უშლის მსოფლიო ეკონომიკის პარმონიულ განვითარებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაცია ასუსტებს პატარა ქვეყნების სუვერენიტეტს. განვითარებული ქვეყნების ფულადი

კაპიტალის, საქონლის, მომსახურებისა და ინვესტიციების შემოდინება პატარა, განვითარებად ქვეყნებში იწვევს მათი ეკონომიკური სუვერენიტეტის თანდათანობით დაკარგვას.

გლობალიზაციის ეპოქაში იცვლება ეროვნულ სახელმწიფოთა სტრუქტურა. სახელმწიფო კარგავს კონტროლის ფუნქციას (როგორც სავალუტო კურსების, ასევე საქონლის ნაკადების, ინფორმაციის, ფულის და სხვ.). ეროვნული ბაზრის გაუქმება ცვლის სახელმწიფოს როლს. ფინანსური ბაზრების მოქმედებას ვერ უმკლავდება ცალკეული სახელმწიფო თავისი მცირე სავალუტო მარაგებით. სახელმწიფო იძულებულია, დაქმორჩილოს თუნდაც ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიმართულ საერთაშორისო ორგანიზაციების (სსფ, ბანკი, ვჭრ და სხვ.) დირექტივებს.

მაშასადამე, გლობალიზაციის პროცესის გადრმავება ზღუდავს მცირე ზომის სახელმწიფოთა ეკონომიკურ ფასეულობებს და ხელს უშლის მათი საშინაო ინტერესების დაცვას. აქ აუცილებელია მსოფლიო ეკონომიკური პოლიტიკის იმგვარი გარდაქმნა, რომ მოხდეს მდიდარი და დარიბი ქვეყნების ინტერესების დაბალანსება. ე.ი. საერთაშორისო დონეზე იქნეს მიღწეულ გლობალიზაციის ფორმებისა და მეთოდების ისეთი ცვლილებები, რომ დაცული იყოს მცირე ზომის ქვეყნების ეკონომიკური დამოუკიდებლობა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსხვილი ტრანსეროვნული კორპორაციების საქმიანობის იმგვარი გარდაქმნა, რომ მათი ინტერესები შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი დარიბი ქვეყნების საშინაო ეკონომიკურ პოლიტიკასთან. ამასთან, მცირე ზომის ქვეყნებმა უნდა განახორციელონ მკაცრი საბაჟო პოლიტიკა, ინვესტიციების გამოყენება საქონლისა და მომსახურების წარმოების ზრდისათვის და ა.შ.

მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე გლობალიზაციას ექსპერტები განიხილავენ, როგორც მსოფლიო ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას. ეს პროცესი ხორციელდება განვითარების 390

ბული ქვეყნების სხვადასხვა სახის ღონისძიებათა (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული) ნებაყოფლობით გავრცელებით. ამ პროცესში დიდია იმ ქვეყნების წელი, რომლებმაც წარმოების კრიტიკულ ოდენობას მიაღწიეს და ინარჩუნებენ გლობალურ კონკურენტუნარიანობას.

გლობალიზაციის პროცესის ზეგავლენით, XX საუკუნის 70-იან წლებში მსოფლიო ეკონომიკა იქცა ეროვნული ეკონომიკების ერთობლიობად, ერთიან ორგანიზმად, მეგაეკონომიკად, რომლის წარმოშობის მნიშვნელოვანი ფაქტორია ტრანსეროგნული კაპიტალი. დღეისათვის ეს ტრანსეროგნული კორპორაციები მსოფლიო სამრეწველო წარმოების დაახლოებით ნახევარს აკონტროლებენ.

განვითარებული ქვეყნები თავიანთი ტრანსეროგნული კომპანიების დახმარებით ახორციელებენ პირდაპირ ინვესტიციებს განვითარებად ქვეყნებში. ამავე დროს ისინი ძირადდირებული, მეცნიერებატევადი საქონლის, მომსახურებისა და ტექნოლოგიების ექსპორტირებასაც აწარმოებენ.

განვითარებად ქვეყნებში ტრანსეროგნული კომპანიების შვილობილ საწარმოებში მასობრივი მოთხოვნის ისეთი საქონელი იწარმოება, რაც დაბალკვალიფიციურ შრომასა და იაფშუმახელს მოითხოვს.

თანამედროვე ეპოქაში მსოფლიო ეკონომიკის სათავეშია ტრანსეროგნული კაპიტალი, ხოლო კორპორაციულ სამყაროში გაბატონებულია აშშ-ს ტრანსეროგნული კაპიტალი.

ტრანსეროგნული კაპიტალი მიისწრაფის პოლიტიკური და იდეოლოგიური ძალაუფლების დაუფლებისაკენ. იქმნება ტრანსეროგნული კაპიტალის და ეროვნულ სახელმწიფოთა შორის ორხელისუფლებიანობის შინაგანი დინამიკური წონასწორობა.

გლობალიზაციის პროცესში მიზანშეწონილად მიგვაჩნია სახელმწიფოს როლის გაზრდა, ვინაიდან საკამათო არაა აზრი იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ელიტა მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას უქვემდებარებს საქათარი კაპიტალის ინტერესებს. ამისათვის ისინი იყენებენ საერთაშო-

რისო ეკონომიკურ და ფინანსურ სტრუქტურებს და ეკონომიკის ლიბერალიზაციის „ფენომენის“ დახმარებით ახორციელებენ სახელმწიფიფინანსური რეგულირების ეროვნული ინსტიტუტების მოშლას. ამიტომ ჩვენმა ქვეყანამ ეკონომიკური ლიბერალიზაციის აღნიშნულ პროცესს ეროვნული ინტერესები უნდა დაუპირისპიროს. ე.ი. ეროვნულმა სახელმწიფომ წარმმართველის ფუნქცია უნდა შეასრულოს⁶⁰.

გლობალიზაციის პოზიტიურ მხარეებს (ახალი ტექნოლოგიების დანერგვა მეცნიერების, ინფორმაციებისა და კომუნიკაციების სფეროში, დემოკრატიის, ადამიანთა უფლებების დაცვა, ეკონომიკური თავისუფლება და სხვ.) ასევე ახასიათებს ნეგატიური მხარეც (ისტორიულ-ეროვნული ტრადიციების სფეროში მსოფლიო ელიტის ხელწერის დამკვიდრება).

ჩვენმა ქვეყანამ უნდა შეძლოს გლობალიზაციის პოზიტიური მხარეების გამოყენება და ნეგატიურის თავიდან აცილება. მან საკუთარ ეროვნულ ტრადიციებთან მიმართებაში გლობალიზაციის პროცესთან მორგების (შეგუბის, ადაპტირების) საკუთარი სტრატეგია უნდა გამოიყენოს. ჩვენმა ქვეყანამ გლობალური სამყაროს მთლიანობით წარმონაქმნში საკუთარი ადგილი უნდა დაიმკვიდროს, როგორც ამ სისტემის ერთ-ერთმა შემადგენელმა ელემენტმა.

ამჟამად მსოფლიოს განვითარების სტრატეგიას განსაზღვრავს ტრიადა⁶¹ – სუვერენულ სახელმწიფოთა ვიწრო ჯგუფი აშშ-ს ლიდერობით (რომელიც იდეების გენერატორია და კა-

⁶⁰ ჭითანავა ნ. „ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის ფორმირების საკითხისათვის“. შრომები, ტ. VII, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, „სიახლე“, 2009.

⁶¹ ჭითანავა ნ. „გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები“. შრომები, ტ. VIII, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, „სიახლე“, 2010.

ცობრიობის ბედის განმსაზღვრელი ფენომენი), ტრანსეროვნული კორპორაციები, რომლებიც ფლობენ საერთაშორისო კაპიტალს და განსაზღვრავენ მისი გამოყენების სტრატეგიას და საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური სტრუქტურები, რომლებიც იყენებენ რა ნეოლიბერალურ მოდელს, განსაზღვრავენ მთელი მსოფლიოს ეკონომიკის განვითარების წესს. ისინი დანარჩენი სამყაროს ბედს განაგებენ საკუთარი ინტერესების განხორციელების ფონზე. აღნიშნული საერთაშორისო ინსტიტუტების „რეკომენდაციებით“ რეგულირდება მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, ქვეყნებზე სესხების გაცემა, სახელმწიფო საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია, ვაჭრობის ლიბერალიზაცია და სხვ. ბუნებრივია, მმართველობის ასეთი გზა ისეთ სიტუაციას ქმნის, როცა მოცემული ქვეყნის მდგომარეობა დამოკიდებული ხდება არა ეროვნულ სახელმწიფოზე, რამდენადაც სხვა მდიდარ სახელმწიფოებზე.

დღეს მსოფლიოში გლობალური პროცესების მარგულირებელ ძალად გვევლინება საერთაშორისო ეკონომიკური, ფინანსური და სხვა სახის ორგანიზაციები და ალიანსები (სსფ, მბ, გაეროს ეკონომიკური სტრუქტურები, ვმო და ა.შ.).

გლობალიზაცია მოიცავს როგორც პოზიტიურ, ასევე ნებაზიურ მომენტებს. მაგრამ მისგან იზოლირება დღევანდელ მსოფლიოში შეუძლებელია. გლობალიზაციის პირობებში ქვეყნები უფრო მეტად ხდებიან ურთიერთდამოკიდებული. აქ წინა პლანზეა წამოწეული პარტნიორული ურთიერთობები, ხდება მეცნიერული მიღწევების უმცირეს ვადაში დანერგვა, რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ინტელექტუალური კაპიტალის წარმოჩენა, კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა, ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება და სხვ.

XXI საუკუნეში, მსოფლიოს განვითარების პოსტინდუსტრიულ სტადიაზე (განსხვავებით ინდუსტრიული სტადიისა, სადაც განვითარების უმაღლეს კრიტერიუმს მატერიალური და ფინანსური კაპიტალის დაგროვება წარმოადგენდა) წინა

პლანზე გადმოიწია ცოდნის დაგროვებამ. აქ საქმე გვაქვს ეკონომიკური განვითარების ახალ მოდელთან, რომელიც ეფუძნება ინოვაციურ ეკონომიკას, სადაც ინტელექტუალური კაპიტალი, ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები უმნიშვნელოვანების როლს ასრულებენ.

მართალია, გლობალიზაცია გარკვეული თვალსაზრისით საფრთხეს უქმნის მცირე ქვეყნებსა და ერებს, მაგრამ შესაძლებელია მსოფლიო გლობალური და ჩვენი ქვეყნის ლოკალური პროცესების ურთიერთშესამება და ინტეგრაცია.

დღევანდველ მსოფლიოში წამყან განვითარებულ ქვეშნებს მსოფლიო წესრიგის განსაზღვრაში დომინანტური პოზიცია უკავიათ. მცირე ზომის სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ თავიანთი უპირატესობები. საქართველო სატრანზიტო ქვეყანაა და მას გონიერი პოლიტიკის პირობებში შეუძლია სათანადო ადგილის დაკავება მსოფლიო ცივილიზაციის პროცესში. ამის ნათელი მაგალითია ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის პროგრამა, ტრანსკავკასიური ნავთობსადენი, „ბაქო-თბილისი-ჯეიპანისა“ და ბაქო-თბილისი-არზრუმის გაზსადენი, „ბისეკის“ პროექტი (შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა), თანამედროვე აბრეშუმის გზა – ყარსია-ხალქალაქი-თბილისი-ბაქო სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობა და სხვ,

ეკონომიკურ განვითარებაზე მოქმედ მრავალ ფაქტორთან გან უმნიშვნელოვანებად გვევლინება ეკონომიკის გლობალიზაცია. საერთაშორისო-ეკონომიკური ურთიერთობები არსებობდა ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, მაგრამ მსოფლიო ეკონომიკის ჩამოყალიბება დაიწყო კაპიტალის გატანის პროცესის განხორციელებით, რამაც გამოიწვია ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია და ტრანსნაციონალიზაცია, მსოფლიო ეკონომიკის მისწრაფება იქითკენ, რომ ჩამოყალიბებინა საქონლის, მომსახურების, სამუშაო ძალის, ცოდნის და ა.შ. ერ-

თიანი ბაზარი და განეხოციელებინა ეკონომიკის გლობალიზაცია⁶².

მიუხედავად პოზიტიური შედეგებისა, გლობალიზაცია იწვევს უარყოფით მოვლენებსაც. იზრდება სუსტად განვითარებული ქვეყნებიდან მაღალკალიფიციური სამუშაო ძალის ემიგრაციის მასშტაბები, მას ახასიათებს დეფორმაციები სხვადასხვა ქვეყნის განვითარებაში, ასევე არასტაბილურობა ფინანსურ ბაზრებზე, შესაძლოა რყევები მოხდეს არა მხოლოდ ქაპიტალის ბაზარზე, არამედ საბანკო, სავალუტო და მოხდეს ფინანსური კრიზისი.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ გლობალიზაცია რეალურად გარდაუვალი პროცესია, რომლის შეჩერება ცალკე აღებულ ერთ ან რამდენიმე ქვეყანას არ შეუძლია. აქ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს როლი და ამ კონკურენტულ ბრძოლაში ცოდნის გადრმავებით, მეცნიერების განვითარებით, ინტელექტუალური გამოქმნების განვითარებით და ა.შ. გლობალიზაციის ნეგატიური ზემოქმედების განხილვით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები და გლობალიზაცია. შრომები, ტ. VIII, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, „სიახლე“, 2010.

2. აბუსელიძე გ. ფინანსური ბაზრებისა და ეკონომიკური სუვერენიტეტის თავსებადობის ზოგიერთი საკითხი გლობალიზაციის პირობებში. თსუ-ს IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები – „გლობალიზაცია და ეკონომიკის

⁶² აბესაძე რ. „ეკონომიკური განვითარების თეორიული ასპექტები და გლობალიზაცია“. შრომები, ტ. VIII, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, „სიახლე“, 2010. გვ. 238.

მდგრადი განვითარების პერსპექტივები“ (23-24 მარტი, 2012), თბილისი, „უნივერსალი“, 2012.

3. ასათიანი რ. გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო. შრომები, ტ. VIII, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, „სიახლე“, 2010.

4. ეთერიძ ე. გლობალიზაცია და ეროვნული სახელმწიფო: თეორიული ასპექტები. „საქართველოს ეკონომიკა“, 2008(9).

5. თოდევა გ. გლობალიზაცია, როგორც თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის საყოველთაო არსი. ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, იანვარი-თებერვალი, 2011.

6. ოქროცვარიძე ა., ლაჭევებიანი თ., ოქროცვარიძე ლ. მსოფლიო ეკონომიკა. თბილისი, 2010.

7. ჭითანავა ბ. გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემები. შრომები, ტ. VIII, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, „სიახლე“, 2010.

8. ჭითანავა ბ. ეროვნული ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების სტრატეგიის ფორმირების საკითხის. შრომები, ტ. VII, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, „სიახლე“, 2009.

9. ღურცაია თ. ეკონომიკური გლობალიზაცია და თანამედროვეობა. სამეცნიერო შრომების კრებული (კავკასიის უნივერსიტეტის პროექტების მასშტაბებელთა). თბილისი, „პავპასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2012.

*Melashvili Medea
Kistauri Nunu*

THE IMPORTANCE AND IMPACT OF GLOBALIZATION ON THE DEVELOPMENT OF NATIONAL ECONOMIES SUMMARY

Deepening of the globalization process limits the development chances for small countries values and hinder their domestic interests.

There should be an economic policy such conversion, in order to balance the interests of rich and poor countries. Thus it is essential to reforms and methods to achieve the equality of interests of different countries.

Globalization changes the groundsof economic independence of small states.

XXI century, the world postindustrial stages of development (as opposed to industrial stages, the development of criteria for the accumulation of material and financial capital) moved back to front accumulate knowledge. This is a new model of economic development, which is based on an innovative economy, where intellectual capital, information and telecommunication technologies play the most importantrole.

ზურაბ ნოზაძე **მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე გლობალიზაციის ბაზღურის თვროში ული პროგნოზები**

ბოლო ორი-სამი აოწლეულის განმავლობაში კაცობრიობა უნიკალური და თავისი მასშტაბებით გიგანტური მოვლენების და პროცესების მოწმე გახდა. ყოველი მათგანი მსოფლიო საზოგადოებრიობაზე ზეგავლენის თვალსაზრისით შეიძლება ცალ-ცალკე ეპოქალურ მოვლენად მივიჩნიოთ. მსოფლიო გეოპოლიტიკურ სტრუქტურებში მიმდინარე ღრმა ცვლილებები და სოციალურ-პოლიტიკური სისტემების ტრანსფორმაცია საფუძველს გვაძლევს ვილაპარაკოთ ერთი ისტორიული პერიოდის დასრულებასა და თანამედროვე მსოფლიოს ხარისხობრივად სრულიად ახალი განვითარების ფაზაში შესვლის შესახებ.

ჯერ ერთი, საინფორმაციო ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგად, მსოფლიოს სამრეწველო განვითარებულ ზონაში, პოსტინდუსტრიული საზოგადოება ინფორმაციულ საზოგადოებად ტრანსფორმირდება. მეორე, ამ რევოლუციას ახლავს მისივე შეცვლის მასტიმულირებელი სოციალურ-პოლიტიკური

პარადიგმების ცვლილებებიც და, მესამე, ევროცენტრისტული მსოფლიოს ნაცვლად, სადაც დომინირებულ პოზიციას დასავალური რაციონალისტური ცივილიზაციის ფუნდამენტური პარამეტრები იყავებდა, წარმოქმნება სამყაროს სრულიად ახალი ცივილიზაცია მსოფლიო საზოგადოების ორგანული ერთიანობისა და განუყოფლობის საწყისებზე, რასაც ცენტრულის, ხალხების, კულტურების, რელიგიების და ა.შ. დივერსიფიკაცია და პლურალიზმიც ახლავს თან.

ცხადია, როცა ლაპარაკობენ თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ხარისხობრივად ახალ სტადიაზე, მხედველობაში აქვთ არა მარტო ინდუსტრიალიზმის ეპოქის შეცვლა პოსტინდუსტრიული ეპოქით, რომლის შემცვლელად, თავის მხრივ, ინფორმაციული საზოგადოების ეპოქა მოვიდა, არამედ ისიც, რომ, ამ ეტაპის თავისებურება იმ ძვრებისა და ცვლილებების პროცესებში მდგომარეობს, რომლებმაც ეკონომიკურ სფეროსთან ერთად, პოლიტიკურ, სოციალურ და სულიერ სფეროებზეც დიდი გავლენა მოახდინა.

არსებითად სახეზეა ისეთი ახალი მდგომარეობა, რომელიც ტრადიციულ იდეურ-პოლიტიკურ ნორმებსა და თანამედროვეობის ორიენტაციის რეალური პრობლემების მნიშვნელოვან შეუსაბამობას ახასიათებს. მსოფლიო უკვე აღარაა მკაცრად გაყოფილი ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ბანაკად, რაც დროში დაემთხვა არა მარტო გეოსტრატეგიული სტრუქტურის ხარისხობრივ ცვლილებებს, რაც უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მოხდა, არამედ, ახალი და უახლესი დროის თავად ევროცენტრისტულ, ანუ, უფრო ზუსტად, ევროამერიკულ ცენტრისტულ მსოფლიო მოწყობასაც. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ეს მოვლენა იმავდროულად იქცა საბოლოო მძლავრ სტიმულად და შედეგად იმ პროცესებისა და მოვლენებისათვის, რომლებმაც ასეთი ცვლილებები გამოიწვია.

ზემოხსენებული პროცესებისა და ფენომენების ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება და მაჩვენებელი არის გლობალიზაცია. გლობალიზაცია ნიშნავს სოციალური კავშირებისა და

ინსტიტუტების გაფართოვებასა და გადრმავებას დროსა და სივრცეში იმგვარად, რომ ერთი მხრივ ადამიანთა ყოველ-დღიურ მოღვაწეობაზე სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენს მოვლენები, რაც დედამიწის სხვა ნაწილში ხდება, და მეორე მხრივ, ადგილობრივ, ლოკალურ ქმედებებს შეიძლება მოჰყეს მნიშვნელოვანი გლობალური შედეგები.

გლობალიზაცია უშებს, რომ სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური და სხვა ურთიერთობების და კავშირების სიმრავლე იძენს მსოფლიო ხასიათს. ამავე დროს ის გულისხმობს ურთიერთზემოქმედებების დონის ამაღლებას როგორც ცალკეული სახელმწიფოს საზღვრებში, ასევე სახელმწიფოებს შორისაც. გლობალიზაციის თანამედროვე პროცესისათვის სიახლეს წარმოადგენს სოციალური კავშირების განვითარება მოღვაწეობის ისეთ სფეროებში, როგორიცაა ტექნოლოგიური, ორგანიზაციული, ადმინისტრაციული, სამართლებრივი და სხვა. აგრეთვე, ტენდენციების მუდმივი ინტენსიფიკაცია თანამედროვე საკომუნიკაციო და ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების მრავალრიცხვოვანი ქსელის მეშვეობით ურთიერთკავშირების დასამყარებლად.

თავდაპირეელად ქვეყნებსა და ხალხებს შორის ურთიერთკავშირები განვითარდა ევროპის ექსპანსიის ფორმით, შემდგომში კ დასავლეთში მოლიანად. ამიტომ გლობალიზაცია არსებითად ნიშნავდა ევროპულ, დასავლურ გლობალიზაციას. ამჟამად კი რეგიონალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესმა მოელი დედამიწა მოიცვა.

ამ პროცესების ინტენსიფიკაციამ განაპირობა ეროვნილი სახელმწიფოს უცნქციებისა და პასუხისმგებლობის სფეროს გაფართოვება ერთი მხრივ და, მისი შესაძლებლობების მოშლა, რომ ეფექტურად გაერთვათ თავი მათდამი წაყენებული მოთხოვნებისათვის მეორე მხრივ. საქონელი, კაპიტალი, ხალხი, იარაღი, ნარკოტიკი და ა.შ. ადგილად ჰკვეთენ სახელმწიფოს ტერიტორიულ საზღვრებს. ტრანსნაციონალური ქსელები, სოციალური მოძრაობები და დამოკიდებულებანი ადამიანთა

მოღვაწეობის თითქმის ყველა სფეროში შეიჭრა. ვაჭრობის, ფინანსების და წარმოების გლობალური სისტემების არსებობა დაკავშირებულია შიდამეურნეობების, კოლექტივების და მთელი მსოფლიოს ხალხთა ერთად, მონოლითურად გაფურჩქნასა და ბედთან, ყოფიერებასთან. ასე რომ, სახელმწიფო-ტერიტორიული საზღვრები სულ უფრო მეტად გამჭვირვალე ხდება.

ამგვარად, გლობალიზაციის ქვეშ იგულისხმება მსოფლიო ვაჭრობის და სხვა საერთაშორისო გაცვლების მასშტაბების ძლიერ გაზრდა, სულ უფრო დია, ინტეგრირებულ, მსოფლიო ეკონომიკის საზღვრების არქონის პირობებში. ამგვარად, ლაპარაკია საქონლისა და მომსახურების არა მხოლოდ ტრადიციულ საგარეო ვაჭრობაზე, არამედ ვალუტის ნაკადებზე, კაპიტალის მოძრაობაზე, ტექნოლოგიების, ინფორმაციისა და იდეების გაცვლაზე, ადამიანთა გადაადგილებაზე.

გლობალური კოლოგიური კრიზისის ასპექტები

კაცობრიობას ემუქრება საცხოვრებელი გარემოს შეუქცევადი მოშლის საშიშროება, რომელსაც შეიძლება ძალზე ტრაგიული შედეგები მოჰყეს. გლობალიზაცია, ერთი მხრივ, აძლიერებს ამ საშიშროებას, რადგანაც ახდენს მრეწველობისა და ტრანსპორტის ჭირობების მთავარი დამბინძურებლების, განვითარების ინტენსიფიცირებას და, მეორე მხრივ, თავის თავში მოიცავს ამოძრავებული კოლოგიური საშიშროებების აცილების ბერკეტებსაც, მაგრამ ეს პოტენციალი ჯერჯერობით ძალიან სუსტად გამოიყენება.

არსებული კოლოგიური წონასწორობა ირდვევა ადამიანთა მოქმედების შედეგად და რაც უფრო მძლავრ საწარმოო ძალებს ფლობენ ისინი, მით უფრო მეტ საფრთხეშია გარემომცველი სამყარო. პლანეტაზე კლიმატის დათბობა დაიწყო, რომლის მიზეზები ჯერ კიდევ დადგენილი არ არის. მაგრამ ბევრი უკვე მას აკავშირებს გარემოში გამოფრქვეულ ნახშირორჟანგსა და სხვა გაზებთან, თუკი ერთ-ერთი მიზეზი

მართლაც ეს არის და მის მიმართ ზომები დროზე არ იქნება მიღებული, დედამიწის მოსახლეობას მოუწევს შებმა ბუნების კატაკლიზმებთან ვ წყალდიდობები, გვალვა, ქარიშხალი, ტყის ხანძარი, ოკეანებში წყლის მატება და სხვა. სახნავი მიწების არაწესიერი ექსპლუატაცია იწვევს მათ მზარდ ეროზიას, ტყების მტაცებლურად ჩეხები აცლის კაცობრიობას საოცრად ძვირფას ბუნებრივ რესურსს ვ “უანგბადის ფაბრიკას”, ყველაზე ძვირფასი რესურსების წყაროს, მრავალფეროვანი ფლორისა და ფაუნის საუნჯეს. ამათი განადგურების გამო მილიონობით ადამიანს უხდება მშობლიური ადგილების მიტოვება. გაეროს ეკოლოგიური პროგრამის სპეციალისტებმა გამოთვალეს, რომ გაუდაბნოების გამო კაცობრიობა სახნავი ფართობის მესამედს დაკარგავს.

მრეწველობა და ტრანსპორტი ატმოსფეროში გადმოაფრქვევს აზოტისა და გოგირდის შენაეროებს, რომლებიც რეაქციაში შედიან წყალთან და გარდაიქმნებიან მჟავეების ნარევად, დედამიწაზე მოდის წვიმების სახით, ანადგურებს ტექსა და ნათესებს, ეშვება მდინარეებისა და წყალსაცავების წყლებში. ამის შედეგად ქვეყნის ეკონომიკა დიდალ ზარალს განიცდის, რომელიც მილიარდობით დოლარით განისაზღვრება.

ასევე უზრუნველობა და არარაციონალურობა ვლინდება ისეთი საერთო საზოგადოებრივი ქონების მიმართ, როგორიცაა ზღვები და ოკეანეები და მათი სიმდიდრეები. აქაც, ადამიანთა უდიერად მოპყრობამ თევზების სახეობების განადგურებამდე მიგვიყვანა. უფრო მეტიც, ზოგ ადგილებში სასმელი წყლის რესურსის მოსპობა, მათი ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერებებით დაბინძურება გამოიწვია. მაგალითად, XX საუკუნის მანძილზე ჩრდილოეთ ატლანტიკაში თევზის ჭერა რვაჯერ გაიზარდა, რის გამოც საკვები თევზების ბიომასა შემცირდა 85%-ით.

ატმოსფეროს დაბინძურება ქლორის შემცველი აეროზოლებით ზრდის ოზონის ხვრელების სიდიდეს პოლარულ

არეებში, რაც ცოცხალ მსოფლიოს ულტრაიისფერი გამოსხივებით ემუქრება.

ამრიგად, ეკოლოგიურმა კრიზისმა გლობალური მასშტაბები მიიღო, რაც შეუძლებელია არ აისახოს საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში. ესება რა ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს, ის იწვევს მძაფრ კონფლიქტებს. ბუნებრივი გარემოს მოშლას მძიმე შედეგები მოაქვს ქვეყნის ეკონომიკისა და მთელი მსოფლიო მეურნეობისათვის. ებრძვის ადამიანთა ჯანმრთელობას, იწვევს შიმშილსა და კოლოსალურ მატერიალურ დანაკარგებს, ზრდის წარმოების ხარჯებს, დამატებითი დანახარჯების აუცილებლობა, რაც დაკავშირებულია წყლისა და ატმოსფეროს დაბინძურების თავიდან აცილებაზე და ჯანმრთელობის დაცვაზე, ამდაფრებს კონკურენციას მსოფლიო ბაზრებზე გაცილებით მეტად, ვიდრე ადრე იყო. ბევრი მკვლევარი მიდის იმ დასკნამდე, რომ საბაზო კანონები და ყოველმხრივი ლიბერალიზაციის მოთხოვნები, პრინციპები, კერ ეთავსება გარემომცველი გარემოს დაცვის ამოცანებს. მათი რეალიზაცია ითხოვს სახელმწიფო რეგულირებას, კონტროლისა და ინტერესთა შეხამების საერთაშორისო ინსტიტუტების შექმნას და სხვა ერთობლივი, არასაბაზრო ზომების მიღებას; ერთი სიტყვით, ეკოლოგიური კრიზისის დაძლევა შეუძლებელია ეკონომიკური გლობალიზაციის ახალი მიდგომების, ფორმების და მეთოდების გარეშე.

ეკონომიკის გლობალიზაციის პრობლემების ანალიზი

ეკონომიკური და ტექნიკური განვითარების მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც ახლო წარსულში მსოფლობრივი კალაკეული ქვეყნების ზრუნვის საგანი იყო, დღეისათვის ფართო მასშტაბებს იღებს, ანუ სულ უფრო მტკიცედ დგება დღის წესრიგში მსოფლიო ონამეგობრობის ქვეყნების კოორდინირებული მოქმედება ენერგიით და სასურსაოო და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით უზრუნველყოფის და გარემომცველი გარემოს დაცვის საქმეში. ცხადია, მწვავე გლობალურ პრობ-

ლემად რჩება ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულება სამეურნეო მოღვაწეობაში. ინფორმაციული ტექნოლოგიების და ელექტრონული კომუნიკაციების ბუმი, ჩქაროსნული და უფრო ეკონომიური ტრანსპორტის გაჩენა მჭიდროდ აკავშირებს ქვეყნებსა და კონტინენტებს ერთმანეთთან. ქვეყნიდან ქვეყანაში გარდამავალი საქონლისა და მომსახურების ნაკადები, კაპიტალი და ადამიანები, საერთაშორისო ეკონომიკური და ფინანსური ორგანიზაციებისა და კორპორაციების მოღვაწეობა ქმნის გლობალური ეკონომიკის ქსელს, რომელშიც მეტ-ნაკლები ხარისხით განურჩევლად ყველა ეროვნული ეკონომიკა ეხვევა და ამ ქსელის ნებისმიერი დაზიანება პირველ რიგში დარიბებს ემუქრება.

ერთ-ერთი მთავარი ნიშანი იმისა, რომ ეკონომიკის გლობალიზმის ეპოქა დადგა, წარმოების, ვაჭრობის და საბანკო ოპერაციების უპრეცედენტო ტრანსნაციონალიზაციაში გამოიხატება. მხედველობაში გვაქვს ეროვნული "დედა" კომპანიების გაფართოება "შვილობილი" კომპანიებითა და ფირმებით მსოფლიოს ყველა კუთხეში. ასეთი კორპორაციები იქცნენ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალად. მათი ზრდა მრავალი მიზეზით აიხსნება, რომელთა შორის უპირველესი კონკურენციაა, რომელიც განპირობებს დანახასარჯების შემცირებას, წარმოების მასშტაბების გაზრდას და ახალი ტექნოლოგიების შემოტანას, ახალი ბაზრების მიებას, იაფ სამუშაო ძალას, წარმოების განთავსებას იქ, სადაც მცირეა გადასახადები და ა.შ.

ტრანსნაციონალური კორპორაციების ექსპანსიის მთავარინსტრუმენტად გვევლინება პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, რომლებიც საშუალებას იძლევა, შეიქმნას სხვა ქვეყნებში ფილიალები როგორც ახალი საწარმოების მშენებლობის გზით, ასევე კონტროლის ქვეშ მოაქციოს არსებულთა რეგონსტრუქციაც. კაპიტალის ექსპორტი 2-3-ჯერ უფრო სწრაფია მსოფლიო ვაჭრობაზე.

ეკონომიკური გლობალიზაციის უპირატესობა ავტომატურად არ რეალიზდება და არც ერთნაირად იზიარებს მას ყველა ქვეყანა. არაა სახეზე დამაჯერებელი რწმუნებები იმის შესახებ, რომ ეს პროცესი მდგრად ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს ჩვენს პლანეტაზე. მაგალითად, ა. მედისონის მიერ ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით, მსოფლიო ერთობლივი შიდა პროდუქტის საშუალო წლიური ზრდის ტემპი XX საუკუნის პირველ მეოთხედში თუ შეადგენდა 2.2%-ს, და უკანასკნელი 2 ათწლეულის განმავლობაშიც პრაქტიკულად ამ დონეს ინარჩუნებდა, უნდა ვიუქროთ, რომ ეს განზოგადებული მაჩვენებლები არ ასახავს ეკონომიკური განვითარების დაწერებას მსოფლიოს ცალკეულ ქვეყნებში. მსოფლიო ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრობლემა ჯერ ისევ ელოდება გადაწყვეტას და, როგორც ჩანს, ეკონომიკური გლობალიზაციის პოტენციალი ჯერ კიდევ საკმარისად არ გამოიყენება ამისათვის. გლობალიზაციიდან “სარგებელი” ნაწილდება არათანაბრად და ბევრი ქვეყნის თვალში კ უსამართლოდაც. ეკონომიკური გლობალიზმის მიღწევებმა ჯერ ვერ მოხსნა დღის წესრიგიდან ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეთა შორის საშიში უფსკურულები, რომლებიც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოდის.

გლობალიზაციის პირობებში მდგრადი განვითარების ძირითად ამოცანად აღიარებულია კაცობრიობის მოთხოვნილებებისა და მისწრაფებების დაკმაყოფილება.

მდგრადი ეკონომიკური განვითარების კონცეფცია ემყარება 5 ძირითად პრინციპს:

1. კაცობრიობა მართლაც უნარმოსილია, მისცეს განვითარებას მდგრადი და ხანგრძლივი ხასიათი იმით, რომ უპასუხოს ამჟამინდელი მოსახლეობის მოთხოვნილებებს, რომ არ შეეშალოს ხელი მომავალ თაობას – შეძლონ, დაიკმაყოფილონ თავისი მოთხოვნილებები.

2. ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის სფეროში არსებული შეზღუდვები ფარდობითა, ისინი დაკავშირებულია

ტექნიკისა და სოციალური ორგანიზაციის თანამედროვე დონესთან და აგრეთვე ბიოსფეროს უნართან, გაუმკლავდეს ადამიანური მიღწევებისა და მოღვაწეობის შედეგებს.

3. აუცილებელია დაკმაყოფილდეს ყველა ადამიანის ელემენტარული მოთხოვნილებანი და ყველას მიეცეს შესაძლებლობა, მოახდინოს თავისი ოცნების რეალიზაცია და იცხოვროს კეთილდღეობაში. ამათ გარეშე მდგრადი და ხანგრძლივი განვითარება უზრალოდ შეუძლებელია. ეკოლოგიური და სხვა კატასტროფების მთავარი მიზეზთაგანია სიღჟეჭირე, მიუსაფრობა, რომელიც მთელს მსოფლიოში ყველაზე ბუნებრივ მოვლენად იქცა.

4. აუცილებელია ცხოვრების წესი შევათანხმოთ მათთან, ვინც ფლობს დიდ საშუალებებს (ფულადსა და მატერიალურს) პლანეტის ეკოლოგიურ შესაძლებლობებს, კერძოდ ენერგიაზე მოთხოვნილებასთან მიმართებაში.

5. მოსახლეობის მატების ტემპები და რაოდენობა შეთანხმებული უნდა იყოს დედამიწის გლობალური ეკოსისტემის ცვალებად საწარმოო პოტენციალთან.

არსებითად მდგრადი განვითარების კონცეფცია გახდა ხარისხობრივად ახალი მიდგომა პრობლემებისადმი. მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში მდგრადი განვითარების კონცეფცია სოციალურად ორიენტირებულია. ის მიმართულია სოციალური და კულტურული სტაბილურობის შენარჩუნებისკენ.

ეკოლოგიური თვალსაზრისით მდგრადმა განვითარებამ უნდა უზრუნველყოს ბიოლოგიური და ფიზიკური სისტემების სტაბილურობა. მდგრადი ეკონომიკური განვითარების ანალიზის მრავალწლოვანი პროგნოზირებისთვის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ასპექტები:

1. პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტი

- განვითარებული თანამედროვე დემოკრატია;
- გონივრული კანონმდებლობა და საგადასახადო სისტემა;

➤ სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების კონფინაცია, საზოგადოების განვითარების უზრუნველსაყოფად.

2. კუონომიკური ასპექტი

➤ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საკუთრების გონივრული შეთანაწყობა, ცივილური სასაქონლო-საბაზრო ეკონომიკა;

➤ მწარმოებლებისა და გამყიდველების დემონპოლიზაცია და თავისუფალი კონკურენცია და პლანეტის მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

3. კულტოგიური ასპექტი

➤ საზოგადოებისა და ბუნების, ადამიანისა და ბიოსფეროს შეთანაწყობა მათი ჰარმონიული განვითარებისათვის;

➤ ბუნებრივი რესურსების ეფექტიანი გამოყენების თეორიული დამუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია;

➤ კკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, მცირენარჩენებიანი და უნარჩენო წარმოების გაფართოება და ბიოტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა და განვითარება.

4. სოციალური ასპექტი

➤ დედამიწაზე შიმშილისა და სიდარიბის, აგრეთვე უმუშევრობის აღმოფხვრა;

➤ ყველასთვის მისაწვდომი საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემის ფართოდ განვითარება.

5. საერთაშორისო ასპექტი

➤ ბრძოლა მშვიდობისათვის, რეგიონული კონფლიქტების აღმოფხვრა მშვიდობიანი პოლიტიკური საშუალებებით.

6. საინფორმაციო ასპექტი

➤ მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალი დონით განვითარება და მისი დანერგვა პრაქტიკაში;

➤ მთელი სახალხო მეურნეობისა და კულტურის კიბერნეტიზაცია და ინფორმატიზაცია.

თანამედროვე ეკოლოგიური პრობლემები, რომლებიც გვაიძებენ ყურადღება მივაქციოთ საკუთარ თავს და რომ-ლებიც ცხოვრებისადმი მდგრადი განვითარების კონცეფციას ეხმაურება, გარკვეული ხარისხით ეკონომიკურ ზრდას უჭერს მხარს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Бауман З. Глобализация. Последствия для человека и общества: Глобализация мировой экономики: содержание и перспективы» Пер. с англ. – К.: Весь Мир, 2004 – 188 с.
2. Богомолов О.Т. Анатомия глобальной экономики: Учебное пособие. К.: Академкнига – 2004 – 216 с.
3. Делягин М.Г. Мировой кризис: Общая теория глобализации: Курс лекций. – 3 изд. – К.; Союз – 2003 – 768 с.
4. Бельчук А.И. Будущее глобализации и межцивилизационные отношения./ Внешнеэкономический бюллетень. – 2004 - №7. – с. 13-17.

Nozadze Zurab

THEORETICAL PROBLEMS OF GLOBALIZATION INFLUENCES ON STABLE ECONOMIC DEVELOPMENT SUMMARY

One of the most alerting issues that concerns most of the countries today is to form globalization as a rather positive subject for the mankind. But as globalization gives us opportunities to develop in different ways, it also may arise variety of problems in developing countries, especially for those who are so called countries with transitional economics.

For general positive characteristics of globalization we suggest: development of technologies; high-speed improvement of consumer's production, equally for its quality and amount; increasing amount of employs; accessibility on any kinds of information and etc.

For general negative characteristics of globalization we suggest: unstable conditions of different social classes during the process of changes; noticeable gaps between social layers; possible growth of emigration; cultural intersection together with lose of national identities.

**თამარ როსტიაშვილი
მაია სოსელია
გეატერინჯ მეუანწიშვილი
სასაქონლო კოლიტიკა, როგორც მარკეტინგული
კომალების შემუშავების ინსტრუმენტი
მცირე გიზენსისათვის**

მარკეტინგის კომპლექსი – ეს არის სასაქონლო, გასაღებითი, ფასისმიერი და კომუნიკაციური პოლიტიკის ურთიერთდაკავშირებულ და ურთიერთდამოკიდებულ ელემენტთა ერთობლიობა.

დღეისათვის, „გადარჩენის“ მძიმე პირობებში, მეწარმეები იძულებული არიან, ექცინ დაფარული რეზერვები კონკურენტული უპირატესობების მოსაპოვებლად. ეს რეზერვები უმეტესწილად კონცენტრირებულია მარკეტინგის კომპლექსის ძირითად ინსტრუმენტებში – საქონელში, ფასსა და განაწილებაში.

მარკეტინგის სისტემაში საქონელი განიხილება, როგორც იმ სასარგებლო თვისებათა ერთობლიობა, რომელიც ყველაზე სრულად აკმაყოფილებს მომხმარებელთა მიზნობრივი ჯგუფის მოთხოვნილებებს.

სასაქონლო პოლიტიკა, ეს არის მარკეტინგული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია საქონლის კონკურენტული უპირატესობების ჩამოყალიბების ღონისძიებათა და სტრატეგიათა ერთობლიობის დაგეგმვასა და განხორციელებასთან და მისი ისეთი მახასიათებლების შექმნასთან, რომელიც ამ საქონელს მომხმარებლისთვის მუდმივად ფასეულს გახდის, რითაც


უზრუნველყოფს ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და საწარმოს შესაბამის მოგებას.

სასაქონლო პოლიტიკა ერთიან კომპლექსში აერთიანებს საქონლის სასიცოცხლო ციკლის, სამომხმარებლო ფასეულობის, სამარკო სტრატეგიის, „სიახლის“ შემუშავების მარკეტინგულ მართვას.

საქონლის ხარისხი, როგორც მისი სარგებლიანობის საზომი, ასახავს ერთობლივ მახასიათებლებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

საქონლის სამომხმარებლო ფასეულობა განისაზღვრება იმით, თუ რამდენად აკმაყოფილებს იგი, თვისებების წყალობით, ადამიანის კონკრეტულ საჭიროებებს.

საბაზრო მოთხოვნილების მთავარი მარეგულირებელია საქონლის სამომხმარებლო თვისებები, რომლებიც ნაჩვენებია ნახ. 1.1.



ნახ. 1.1. საქონლის სამომხმარებლო თვისებები

საქონლის ფიზიკურ თვისებებში იგულისხმება მატერიალური მახასიათებლები, რომლებიც ასახავენ ფორმას, ზომას, წონას, მოცულობას, მომსახურების ვადას, მასალას, რომლისგანაც დამზადებულია პროდუქტი.

ფუნქციონალური თვისებები უნდა უზრუნველყოფდეს მომხმარებლის დაკმაყოფილებას საქონლის მთავარი დანიშნულებიდან, მისი მიზნობრივი ფუნქციიდან გამომდინარე.

მწარმოებლის მიერ საქონელში ჩადებული ფუნქციონალური თვისებებისგან განსხვავებით, სიმბოლური თვისებები გამოხატავს იმ თვისებებს, რომელთაც მათ მიაწერს მომხმარებელი. ეს თვისებები ასახავს მყიდველთა ერთგულებას სწორედ ამ სავაჭრო მარკისადმი, ასეთი საქონელი მათ მფლობელს განსაკუთრებულ სტატუსს ანიჭებს.

ეკონომიკური თვისებები ასახავს საქონლის ფასს, მისი ექსპლუატაციის დანახარჯებს, ენერგოტევადობას, დროის ეკონომიკას ანალოგიურ საქონელთან შედარებით.

ესთეტიკური თვისებები ორგანულადაა დაკავშირებული სამომხმარებლო კულტურის დონესთან, ცხოვრების წესთან, აღზრდის სპეციფიკასთან, ტრადიციებთან, სოციალურ სტატუსთან. მოცემული ნიშნის ძირითადი კომპონენტებია დიზაინი, სტაილიზაცია. დიზაინში იგულისხმება პროდუქტის გარეგანი სახის ესთეტიკური სრულყოფა, რითაც იგი უფრო მიმზიდველი ხდება. სტაილიზაცია ნაკეთობის მხატვრული კონსტრუირებაა განსაზღვეული სტილის ფარგლებში დახვეწილობის ელემენტების, ლამაზად მორთვის, მოდის შესაბამისობის, რეტროს გათვალისწინებით.

ერგონომიკული თვისებები არის მოსახერხებლობისა და ნაკეთობით სარგებლობის უსაფრთხოების, მისი მოვლის, წყალგამძლეობისა და ჰაერშეღწევადობის საერთო მახასიათებლების გამოხატულება. ერგონომიკული თვისებები დაკავშირებულია მომსახურების სერვისთან, მ.შ. საქონლის ბინაზე მიწოდებასთან, საგარანტიო და პროფილაქტიკურ რემონტთან. ამასთან, დიდი როლი ეკისრება შეფუთვას.

შეფუთვას დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ნაკეთობის, პროდუქციის რაოდენობის, ხარისხის შესანარჩუნებლად, აგრეთვე ტრანსპორტირების, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის მოსახერხებლობისათვის. შეფუთვა, როგორც წესი, მომხმა-


რებლის თვალში პროდუქტის „სახეა“. შეფუთული საქონელი არ უნდა აბინძურებდეს გარემოს. ბაზრისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესწავლის საფუძველზე საწარმო იღებს საწყის ინფორმაციას ასორტიმენტის შექმნასთან, დაგეგმვასა და მის სრულყოფასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად.

დამამზადებელი საწარმოს მიერ ბაზარზე შემოთავაზებული საქონლის ნაკრები, ანუ საქონლის ასორტიმენტი ხასიათდება მასშტაბურობით (ასორტიმენტული ჯგუფების ოდენობით), სიღრმით (პოზიციების ოდენობით ყოველ ასორტიმენტულ ჯგუფში) და შედარებადობით (შემოთავაზებულ ასორტიმენტულ ჯგუფებს შორის თანაფარდობით მომხმარებლის, საბოლოო გამოყენების, განაწილების არხების და ფასების ერთიანობის თვალსაზრისით).

სასაქონლო ასორტიმენტის რეგულარული განახლების პროცესი განუყოფლადაა დაკავშირებული კომპანიის ინოვაციურ პოლიტიკასთან.

ინოვაციურ პოლიტიკში ვგულისხმობთ სასაქონლო ასორტიმენტის განახლებასთან, ახალი საქონლის კონცეფციის შემუშავებასან ძველი კონცეფციის მოდერნიზაციასთან დაკავშირებულ სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა კომპლექსს. სასაქონლო ასორტიმენტის განახლება გულისხმობს კომპლექსური სისტემის შემუშავებას, რომელიც მოიცავს ინოვაციურ სტრატეგიას, მოდიფიკაციის, ვარიაციისა და დიფერენციაციის მიმართულებებს.

ინოვაციური სტრატეგიის შემუშავება წარმოადგენს მომხმარებელთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ჰქონდად ახალი საქონლის დამზადებასთან დაკავშირებულ გეგმურ-მმართველობით გადაწყვეტილებებს. მდგრადი კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად საქონლის დამუშავების, მისი გაყიდვის პროცესი უნდა შედგებოდეს ორი ბლოკისაგან – თვისებათა საბაზო ნაკრებისა და პროდუქტის უნიკალური დირსექტებისაგან (ნახ. 1.2.)



ნახ. 1.2. საქონლის სტრუქტურა

ყველაზე რისკიანი მიმართულება ასორტიმენტის განახლებაში არის ახალი საქონლის შემუშავება და დამზადება. ახალი საქონლის შემუშავება, ეს არის მრავალმხრივი და რთული ხანგრძლივი პროცესი პოტენციური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ახალი საქონლის კონცეფციის შესამუშავებლად სიახლის იდეის ძიებით დაწყებული და ბაზრის მიზნობრივ სეგმენტებში მისი შედწევით დამთავრებული. ახალი საქონლის კონცეფციის შემუშავებისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი სასიცოცხლო ციკლის გათვალისწინებას (სსც). სსც ხასიათება დროითი ფაქტორის შესაბამისად გაყიდვების მოცულობების, მომგებიანობის რყევით. ამიტომაც „სიახლის“ შემოტანისას ძალზე მნიშვნელოვანია ყოველი სასიცოცხლო ციკლის სტრატეგიის პროგნოზირება და შემუშავება საბაზრო სეგმენტის, ფირმის რეალური მარკეტინგული შესაძლებლობების სპეციფიკის გათვალისწინებით. ამასთან, მთავარია ოპერაციული სტრატეგიები სასაქონლო, ფასისმიერი და კომუნიკაციური პოლიტიკის კონკრეტულ ღონისძიებათა კომპლექსით.

კონკურენტული საბაზრო ურთიერთობების და მსოფლიო ბაზარზე შიდა ბაზრის თანდათანობითი ინტეგრაციის კვალ-

დაკვალ, წარმატებით იზრდება მოთხოვნილება სამამულო წარმოების სამარკო საქონელზე, რაც მოითხოვს სასაქონლო ნიშნების (სხ) გაფართოებულ გამოყენებას და ბრენდინგის სამუშაოების მნიშვნელოვან გააქტიურებას.

კორპორაციული მარკის დანერგვა, მისი გაფართოება სასაქონლო სტრატეგიის ძირითადი მიმართულებაა. საგაჭრო მარკის გამოყენების უპირატესობები შეიძლება გამოვსახოთ ფორმულით:

$$\text{მარკა} = \text{იმიჯი} + \text{პაბლისიტი} + \text{ეკონომიკური} \text{ უპირატესობანი}$$

სასაქონლო მარკის სტრატეგიის მთავარი მიზანია მისი ფასეულობის ამაღლება და მომხმარებლის თვალში კონკურენტული უპირატესობების ჩამოყალიბება. მარკის კაპიტალი ფასისმიერი აქტივია, რომელიც უზრუნველყოფს მარკეტინგული ხარჯების ეკონომიას, მოგების გადიდებას და მიზნობრივი მყიდვების მაღალ ერთგულებას.

სტრატეგიულ გეგმაში საწარმოები უნდა ხელმძღვანელობდენ სსც კონცეფციით, ანუ იმ ფაქტით, რომ ყოველ საქონელს გააჩნია საბაზრო მდგრადობის განსაზღვრული პერიოდი, რომელიც ხასიათდება გაყიდვების მოცულობით დროში.

Rostiashvili Tamar

Soselia Maia

Mekantsishvili Ekaterine

COMMODITY POLICY AS AN INSTRUMENT OF ELABORATING MARKETING MIX FOR SMALL BUSINESS SUMMARY

Nowadays, entrepreneurs have to find the hidden reserves in order to gain competitive advantages. These reserves are largely concentrated in the main complex instruments in the marketing of goods, price and distribution.

The complex consists of a single product life cycle of goods, customer value, brand strategy, marketing management, developing a 'novelty'.

The company's innovative product range, regular updating process is inextricably linked with politics.

Growth in demand for domestically produced goods brand marks extended the use of activation and branding work.

The plants should be followed by a strategic plan in the concept stock.

**დაღი სოლორაშვილი
თვა უდესიანი
ეცხქტიანობის აუდიტი და მისი განხორციელების
პირითადი ეფაკები**

ეფექტიანობის აუდიტი თავისი ფართო მნიშვნელობით ეკონომიკურობის, ეფექტიანობისა და ქმედითობის შემოწმებას ნიშნავს. ამავდროულად გულისხმობს მმართველობითი საქმიანობის ეკონომიკურობის შემოწმებას მენეჯმენტური სტრატეგიის, მართვის რაციონალური პრინციპებისა და მეთოდების გათვალისწინებით. ითვალისწინებს ადამიანური, მატერიალური და სხვა სახის რესურსების ეკონომიკურად განკარგვის კონტროლს საინფორმაციო სისტემების, შესრულებული სამუშაოების კრიტერიუმებისა და საზედამხედველო მექანიზმების შემოწმების ჩათვლით.

ეფექტიანობის აუდიტის ცნება გამომდინარეობს საფინანსო კონტროლის სფეროში მისი ადგილიდან და, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია მისი ასეთი ინტერპრეტაციით გასაზღვრა: ეფექტიანობის აუდიტი არის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება სახელმწიფო რესურსების გამოყენების სფეროში მათ მიერ

სახელმწიფო ფუნქციების შესრულებისას, აგრეთვე რეკომენდაციების შემუშავება მათი საქმიანობის სრულყოფისათვის.

გარდამავალ ეტაპზე მყოფი ქვეყნისათვის სავალდებულოა სახელმწიფო საქმიანობის მუდმივი კონტროლი. ეფექტიანობის აუდიტი ორიენტირებული უნდა იყოს სახელმწიფოს განვითარების ტენდენციების შემოწმებაზე, პრიორიტეტების კონტროლსა და ახალი მეთოდების დანერგვაზე.

ეფექტიანობის აუდიტი ტრადიციულ ფინანსურ აუდიტთან შედარებით მოიცავს ახალ ამოცანებსა და სიღრმისეულად განიხილავს სახელმწიფო საფინანსო კონტროლის საგანსა და მიზნებს.

ეფექტიანობის აუდიტი, რომელიც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში უკვე აპრობირებულია და წარმოადგენს ფინანსური კონტროლის ახალ და პროგრესულ ფორმას, რადიკალურად განსხვავდება ჩვენს ქვეყანაში ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმებისა და მეთოდებისაგან. იგი მოითხოვს არა მარტო აღრიცხვებისა და ფინანსების სიღრმისეულ ცოდნას, არამედ ითვალისწინებს ეკონომიკურ-იურიდიული ცოდნის ფართო მასშტაბებს, საინჟინრო-ტექნოლოგიური და შესაბამისი დარგის მაღალ პროფესიულ დონეზე დაუფლებას.

1997 წელს ქ. ლიმაში (პერუ) გამართულ საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის INTOSAI-ის IX კონგრესზე მიიღეს საფინანსო კონტროლის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ დეკლარაცია, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოების საქმიანობის პრაქტიკაში ეფექტიანობის აუდიტის შემოღება და დამკვიდრება.

სახელმწიფო საფინანსო კონტროლის პრაქტიკაში ეფექტიანობის აუდიტის შემოღება განაპირობებულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა:

- სახელმწიფო საფინანსო კონტროლის ქმედუნარიანობის, შედეგიანობისა და ეფექტიანობის ამაღლების აუცილებლობა;

- აღმასრულებელი ხელისუფლებისა და სხვა
ორგანიზაციების საქმიანობის არსებითი გაუმჯობესების
აუცილებლობა;

- სახელმწიფო სახსრების მიმღები ორგანიზაციების
საქმიანობის გამჭვირვალობის გაუმჯობესება;

- საქმიანობის შედეგების მიხედვით ბიუჯეტიდან
დაფინანსებაზე გადასვლის პერსპექტივა.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემაში
ეფექტიანობის აუდიტის ადგილი განისაზღვრება შემდეგი
მიზნებიდან გამომდინარე:

- სახელმწიფო ბიუჯეტისა და სხვა სახელმწიფო
რესურსების გამოყენების ეფექტიანობის შეფასება და ანალიზი;

- აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის
ოპტიმიზაციის შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების
შემუშავება;

- სახელმწიფო რესურსების გამოყენების ეფექტიანობის
ამაღლება.

ეფექტიანობის აუდიტს რადგან თავისი კონკრეტული
მიზნები გააჩნია, თავისთავად აღნიშნული მიზნებიდან
გამომდინარე ყალიბდება შესაბამისი ამოცანებიც. ესენია:

- მხარჯავი დაწესებულებებისთვის საბიუჯეტო რესურ-
სების გამოყოფის მიზანშეწონილობის ანალიზი;

- საბიუჯეტო სახსრების გამოყენების თავისდროულობისა
და სისრულის შეფასება;

- საბიუჯეტო სახსრებისა და სხვა რესურსების ეპონო-
მიურად გამოყენების შეფასება და ანალიზი;

- საბიუჯეტო სახსრების არაეფექტურად გამოყენების
მიზნობრივ-შედეგობრივი ანალიზი;

- საბიუჯეტო სახსრების გამოყენების ეფექტიანობის
ამაღლების რეკომენდაციების შემუშავება;

- აღნიშნული რეკომენდაციებისა და წინადადებების რეა-
ლიზაციის შედეგების შეფასება.

ეფექტიანობის აუდიტი მოიცავს სხვადასხვა ფაზებს და შედგება :

- დაგეგმვის პროცესის, ანუ მოსამზადებელი ეტაპისაგან;
- უშუალოდ შემოწმებისაგან;
- შემოწმების შემდგომი პერიოდისაგან.

დაგეგმვის პროცესი თავის მხრივ მოიცავს შემდეგ ცალკეულ ფაზებს:

შემოწმების სავარაუდო სფეროების განსაზღვრას, მათი შერჩევის კრიტერიუმებისა და სავარაუდო შემოწმებისათვის მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყაროების დადგენა.

უშუალო შემოწმების დაწყებამდე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შემოწმების მიზნების, მოცულობისა და მიზნის მიღწევისათვის საჭირო მეთოდების განსაზღვრას, ანუ წინასწარი გამოკვლევის ჩატარებას.

შემოწმების შემდგომი ეტაპი.

სტრატეგიული დაგეგმვა პრიორიტეტების დასახვის, შემოწმების სფეროებისა და თემების შერჩევის ეფექტურ საშუალებას და დეტალური დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს. თავის მხრივ, სტრატეგიული დაგეგმვა შემდეგ ეტაპებს მოიცავს:

- შესარჩევი კრიტერიუმების შემუშვება და სავარაუდო შემოწმებისათვის

მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყაროების დადგენა;

სტრატეგიული დაგეგმვის შედეგად საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოს წლიური შემოწმების სავალდებულო პროგრამის შედგენა, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს სახსრების გამოყოფა და ოპერატიული დაგეგმვის განხორციელება.

სტრატეგიული დაგეგმვის შედეგად, ორგორც წესი, იქმნება საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოს წლიური შემოწმების სავალდებულო პროგრამა, სადაც აღინიშნება შემოწმების სფეროები და მითითებულია წინასწარ დადგენილი პრობლემები, საკითხები და სხვა მტკიცებულებები. აღნიშნული

პროგრამა უნდა წარმოადგენდეს ოპერატიული დაგეგმვისა და სახსრების გამოყოფის საფუძველს. განისაზღვრება შემოწმების სავარაუდო სფეროები, რომელთაგან სტრატეგიული არჩევანი უნდა გაკეთდეს. სფეროთა შერჩევა ნიშნავს სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებას. როგორც წესი, სავარაუდო სფეროების რიცხვი მრავალია, ხოლო საფინანსო კონტროლის უმაღლესი ორგანოს შესაძლებლობები შეზღუდული. ამდენად, გადაწყვეტილებების მიღებისას წინდახედულობაა საჭირო.

მერე რიგში განისაზღვრება შერჩევის კრიტერიუმები. შერჩევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ის წვლილია, რომლის შეტანაც შეუძლია შემოწმებას ეროვნული მთავრობებისა და მასთან დაკავშირებული ორგანოების მუშაობის სტილის შეფასებასა და გაუმჯობესებაში.

მაშასადამე, მოსამზადებელი ეტაპის დასკვნითი დოკუმენტი არის შემოწმების პროგრამა და სამუშაო გეგმა, სადაც ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემოწმების მიზანი, ამოცანები, საგანი, ვადები, მასშტაბები, მეთოდიკა, ეფექტიანობის კრიტერიუმები და მაჩვენებლები.

უშუალოდ შემოწმების პერიოდში ხორციელდება შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობის ეფექტურობა პროგრამით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. მომზადება აქტის პროექტი, სადაც უნდა აისახოს ობიექტის საქმიანობის ნაკლოვანებები და შეფასდეს მისი ეფექტიანობა.

შემოწმების შემდგომ პერიოდში ხორციელდება ობიექტის საქმიანობის შედეგების ფაქტორული ანალიზი, მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენა, ეფექტიანობის შეფასება და მასზე ფაქტორების გავლენის ანალიზი.

აღრნიშნული ეტაპის დასკვნითი დიკუმენტი არის შემოწმების აქტი შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობის ეფექტიანობის შესახებ, წარმოდგენილი დასაბუთებული დასკვნებით.

შემოწმების შემდგომი პერიოდი მოიცავს აგრეთვე ე.წ. სინთეზურ ეტაპს, რომლის დროსაც ხდება შესამოწმებელი

ობიექტის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების შესახებ კონკრეტული, მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება. აღნიშნული რეკომენდაციები შესაძლებელია იყოს: სოციალური, ორგანიზაციული, ეკონო-მიკური, სამართლებრივი, ინფორმაციული, ტექნოლოგიური ხასიათების.

დასკვნითი დოკუმენტი ამ ეტაპისათვის შეიძლება იყოს ანალიტიკური მოხსენება.

ეფექტიანობის აუდიტის შედეგების მიხედვით უნდა მომზადეს ანგარიშება, რომელშიც უნდა აისახოს შემოწმების პროგრამის ყველა საკითხი, აგრეთვე საქმიანობის გაუმჯობესების წინადადებები და რეკომენდაციები. სავალდებულოა ანგარიშების სისრულე, ობიექტურობა და ლაკონურობა,

ეფექტიანობის აუდიტის შედეგების რეალიზაცია შეიძლება განხორციელდეს შემდეგი ფორმებით:

- წარდგინებით;
- ანალიტიკური მოხსენებით;
- საკანონმდებლო ინიციატივით;
- წერილით.

როგორც ცნობილია, ეფექტიანობის აუდიტი სხვადასხვა ტრადიციებს ეფუძნება. არსებობს პრინციპულად განსხვავებული ორი მიდგომა: შედეგზე და პრობლემაზე ორიენტირებული. თუ შედეგზე ორიენტირებული მიდგომა გულისხმობს იმას, თუ რა სამუშაო შესრულდა და შესაბამისად რა შედეგი იქნა მიღებული, დასახული მიზნები შესრულდა თუ არაპრობლემაზე ორიენტირებული მიდგომის შემთხვევაში კი ჩნდება შემდეგი კითხვები: რეალურად არსებობს თუ არა პრობლემები და თუ კი – რა არის მათი მიზეზი? ფინანსური ანგარიშების შემოწმება, როგორც წესი, უკავშირდება ანგარიშვალდებულებას, ეფექტიანობის შემოწმებისას ანგარიშვალდებულებაზე ყოველ-თვის არ მახვილდება ყურადღება. ეფექტიანობის აუდიტი მკაცრად განსაზღვრული სქემის მიხედვით არ უნდა

განხორციელდეს. იგი წარმოადგენს კომპლექსურ პლანებას, რომელიც მოქნილობას, ფანტაზიასა და ანალიტიკურ აზროვნებას მოითხოვს. დეტალური წესები, მეთოდები და ნორმები ეფექტიანობის აუდიტისთვის შეიძლება საზიანოც კი აღმოჩნდეს.

*Sologhashvili Dali
Udesiani Tea*

**PERFORMANCE AUDITING AND BASIC STAGES OF
ITS IMPLEMENTATION
SUMMARY**

The performance audit cycle covers several steps. Broadly speaking, it comprises the planning process, the execution process and the follow-up process. The planning process is often divided into different stages. The first stage is strategic planning, where potential themes and topics are analysed. Once a topic has been selected for performance audit, a pre-study – resulting in a work plan for the main study – may be undertaken to gather information in order to be able to design a proposal for the main study.

Throughout the main study, the emphasis should be on the production of a final report to be considered by the government, the legislature, the executive bodies concerned, and the public. The report-writing process should, based on experience, be viewed as a continuous one of formulating, testing and revising ideas about the topic. Issues, such as the expected impact and value of the audit, should be considered throughout the audit. Follow-up procedures identify and document audit impact and the progress made in implementing audit recommendations. Such processes are vital to provide feedback to the SAI and the legislature.

06 ფლატია და მაკროეკონომიკური ზაჟტორები

მაკროეკონომიკა არის ქვეყანაში არსებული მეურნეობრიობის ყველა ფორმის ერთობლიობა. როგორც გ. მენქიუ ამბობდა – „მაკროეკონომიკა მოიცავს ეკონომიკურ სისტემას, სადაც ხორციელდება ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკა მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის“. ისტორიულად, თავდაპირველად მთავარ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლად გამოდიოდა ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მაჩვენებელი, ანუ განსაზღვრული პერიოდის (ჩვეულებრივ, წლის) განმავლობაში ქვეყნის მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი ყველა სასარგებლო ნივთის დირექტულებათა ჯამი. ასეთი მიდგომა ბუნებრივი იყო ინდუსტრიალდელი და ინდუსტრიული ეკონომიკისათვის, სადაც ფასდებოდა მხოლოდ სასარგებლო ნივთების დამზადებაზე დახარჯული შრომა. ამის საფუძველზე დღემდე გაიანგარიშება ქვეყანაში დაგროვილი ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებელი, ანუ მატერიალური დოკუმენტი, რომელსაც ფლობს მოცემული ქვეყანა განსაზღვრული თარიღისათვის და რომელიც შექმნილია მრავალი თაობის შრომით, მთელი განვლილი დროის მანძილზე ფართო გაგებით, მასში ადამიანის შრომით შექმნილ მატერიალურ დოკუმენტთან ერთად შედის კვლავწარმოების პროცესში ჩართული ბუნებრივი რესურსებიც. ეროვნული სიმდიდრე საზოგადოების განვითარების საფუძველი და ყველაზე ზოგადი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, მაგრამ იგი რეალურად ვერ ასახავს საზოგადოების კეთილდღეობის დონეს და, ამდენად, ვერ გამოდგება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ხარისხის საერთაშორისო შეფასებისათვის. XX საუკუნის მეორე ნახევარში, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, დაინერგა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ახალი სისტემა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ორი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი: ა) ეროვნული მეურნეობის შეფასებისას მატერიალური წარმოების

განვითარების ხარისხთან ერთად მხედველობაში მიიღება მომსახურების სფეროს ცვლილებებიც; ბ) გამოირიცხება შეაღვეული და გაითვალისწინება მხოლოდ საბოლოო პროდუქცია (საქონელი და მომსახურება). ახალ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: მთლიანი ეროვნული პროდუქტი (მეპ), მთლიანი შიდა პროდუქტი (შშპ), წმინდა ეროვნული პროდუქტი (წეპ), ეროვნული შემოსავალი (ეშ), პირადი შემოსავალი (პშ) და წმინდა ეკონომიკური კეთილდღეობა (წეპ). ზემოთ ჩამოთვლილი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები ორგანულ კავშირშია ეროვნულ სიმდიდრესთან. რაც უფრო დიდია ეროვნული სიმდიდრის მოცულობა და ეფექტურია მისი სტრუქტურა, მით მაღალია ქვეყანაში წარმოებულ სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა მოცულობა, და, პირიქით, რაც მაღალია ამ უკანასკნელთა ზრდის ტემპები და მატების აბსოლუტური სიდიდე, მით უფრო იზრდება მოცემული ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე.

მაკროეკონომიკას აქვს ეროვნული ეკონომიკური ინტეგრაციის მკვეთრად გამოხატული ხასიათი. ასეთ ინტეგრაციას ეროვნული მეურნეობის დონეზე სახელმწიფო ახდენს (როდესაც აუცილებელია, მაგალითად, ინფრასტრუქტურის დარგთა საქმიანობის მოწესრიგება). ეკონომიკური პოლიტიკა ნიშნავს მთავრობის მმართველობით ქმედებას, რომელიც მაკროეკონომიკას ანიჭებს განსაზღვრულ მიმართულებას სახელმწიფოს ინტერესებისა და მიზნების შესაბამისად. ეს პოლიტიკა ითვალისწინებს შემდეგი სახის მიზნებს: 1) მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. 2) შრომისუნარიანი მოსახლეობის მაქსიმალური დასაქმების უზრუნველყოფა. 3) წარმატებული საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის გატარება და წმინდა ექსპორტის გადიდების მიღწევა. 4) ფულადი მიმოქცევის სტაბილიზება.

მაკროეკონომიკა ქმნის ერთიან ეკონომიკურ სივრცეს, რომელიც მტკიცდება საერთო ფულადი სისტემით. დღემდე ეკონომიკური სტრატეგიის საფუძველი არის ანტიინფლაციური პოლიტიკა ერთობლივი მოთხოვნის შემცირებით და ფულის მასის რეგულირებით. მაღალი ინფლაციის დაძლევა ამით

მართლაც მიღწეულია, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ახლან-დელი და მომავალი თაობების ცხოვრების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად საჭიროა მყარი ეკონომიკური ზრდის დამკიდრება. ვინაიდან ინფლაცია უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია, რომლის დინამიკაც არსებით გავლენას ახდენს მთლიანად ეკონომიკაზე, პოსტკომუნისტურ სივრცეში მყოფი ქვეყნებისათვის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი საკმაოდ რთული და მტკიცნეული აღმოჩნდა. მემკვიდრეობად დარჩა მოშლილი ეკონომიკა, საწარმოო რესურსების დაფიციტი, დეფიციტური ბიუჯეტი და მაღალი ინფლაცია. ინფლაცია შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ეკონომიკის უმძიმეს ავადმყოფობადაა მიწნეული. ინფლაცია, აქტუალური მოვლენაა როგორც განვითარებადი და განვითარებული, ასევე საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი ქვეყნებისათვის. ინფლაცია ლათინური სიტყვაა და გაბერვას ნიშნავს. ინფლაცია მიმოქცევის სფეროში ქადალდის ფულის დიდი რაოდენობით გამოშვებაა, რომელიც რეალური საქონელბრუნვის საჭიროებებს აღემატება. კაცობრიობას არ გააჩნია მიმოქცევაში ფულის გამოშვების ობიექტური კრიტერიუმები. აქედან გამომდინარე, არანაირი ზუსტი კანონი არ არსებობს მიმოქცევაში გამოსაშვები ფულის რაოდენობის ცალსახად განსაზღვრისათვის. ფულის გამოგონების დღიდან კაცობრიობამ ვერ შეძლო დაედგინა როგორ უნდა შეეფარდებინა მათ მიერ წარმოებული სასაქონლო მასა მათ მიერვე გამოშვებულ ფულად მასასთან. ინფლაცია მაშინაც შეიმჩნეოდა, როდესაც შეოლოდ ლითონის ფული არსებობდა შეუსაუნებელი, მაგრამ მაშინდელი ინფლაციური პროცესები სანმოკლე იყო და ძირითადად ომებითა და ეკონომიკური პრობლემებით იყო გამოწვეული. ქადალდის ფულის გამოშვებამ კი მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინფლაციის გაღრმავებაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო ისევ სამანეთო ზონაში რჩებოდა, რაც ეროვნულ ბანკს დამოკიდე-

ბულს ხდიდა რუსეთის ხელისუფლებაზე, რომელიც ამ ფაქტს ეკონომიკური და პოლიტიკური ხეწოლის იარაღად იყენებდა. 1993 წლის აპრილში მიმოქვევაში შემოვიდა დროებითი ფულადი ერთეული – კუპონი, რომელმაც სწრაფი ტემპით იწყო გაუფასურება და საქართველო პიპერინფლაციის ზღვარზე აღმოჩნდა. 1995 წელს საქართველოს ხელისუფლებამ შემოიღო ეროვნული ვალუტა – ლარი, რამაც ინფლაციური პროცესები მნიშვნელოვნად შეანელა, მაგრამ ქვეყანაში წარმოების დონე დაბალი იყო და არანაირი პერსპექტივა არ იკვეთებოდა მის ასამაღლებლად ახლო მომავალში. ამის გამო ვერ ხერხდებოდა ეროვნული ვალუტის გამყარება სამამულო წარმოების პროდუქციით და საჭირო გახდა ეროვნული ვალუტის სხვა ხერხებით გამყარება. ამიტომ მოხდა ლარის მიბმა დოლარზე. ამრიგად დოლარი აღმოჩნდა ლარის საყრდენი და ხერხემალი. იმისათვის, რომ გაცვლის კურსი დოლარსა და ლარს შორის შედარებით სტაბილური ყოფილიყო, ხდებოდა მისი ხელოვნური გზით შენარჩუნება. საქართველოში გატარებული მონეგრარელი პოლიტიკა მიმართული ეროვნული ვალუტის გამყარებისა და ინფლაციის დათრგუნვისაკენ. გაითვალისწინება ისიც, რომ ფულის მასის მოცულობა დაკავშირებულია სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან. ფულის მასის ფორმირებისას აუცილებელია ერთობლივ ეროვნულ პროდუქტს, სამომხმარებლო ფასებსა და ფულის მასის დინამიკას შორის არსებული შესაბამისობის დაცვა. ინფლაციის რეგულირება ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიზანია. ფასების ზრდა ყოველთვის გამოხატავს ინფლაციურ პროცესს. როგორც ვიციოთ, ფასების ზრდა დაკავშირებულია სამომხმარებლო საქონლის მოთხოვნის მიწოდებაზე გადამეტებასთან. მაგრამ ცალკეულ საქონლურ ბაზარზე ასეთი დისპროპორციით განპირობებული მაღალი ფასები ჯერ კიდევ არაა ინფლაცია. ინფლაციურ ხასიათს ის მაშინ იღებს, როცა დისპროპორცია მოთხოვნის სასარგებლოდ ხანგრძლივი და საყოველთაო ხასიათის მატარებელია და მთელი ქვეყნის მასშტაბით მატულობს ფასების

საერთო დონე. ინფლაციის შიგა მიზეზებიდან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი: 1) სახელმწიფო სარჯების გადამეტება შემოსავლებზე, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი გამოიხატება და რომლის დროსაც მთავრობა, ჩვეულებრივ, მიმართავს შიგა სახელმწიფო ვალის გადიდებას, როგორიცაა: ფასიანი ქაღალდების გამოშვება, კრედიტის აღება, რომლებიც შემდეგ მისივე გასასტუმრებელია. 2) ცენტრალური ბანკის მიერ დაშვებული ფულის გაძლიერებული ემისია სახელმწიფოს მზარდ საჭიროებათა დასაფარავად, რაც ფულის მკვეთრად გაზრდასა და გაუფასურებას იწვევს. 3) გრძელვადიანი კაპიტალური დაბანდების მასშტაბების გადიდება, რის შედეგადაც ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში ვერ ღებულობს რამენაირ უკუგებას დახარჯული ფულიდან. 4) ბაზრის სტრუქტურის შეცვლა XX საუკუნეში, რაც გულისხმობს სრულყოფილი კონკურენციის ბაზრის შეცვლას ძირითადად ოლიგოპოლიური ბაზრით, რომელიც უზრუნველყოფს ხელოვნურად მაღალი (მონოპოლიური) ფასების დაწესებას და ხანგრძლივი დროით შენარჩუნებას. კონკურენტები ცდილობენ საქონელზე მაღალი ფასის შენარჩუნებას და დაინტერესებულნი არიან ხელოვნურად შექმნან დეფიციტი – შეამცირონ საქონლის წარმოება და მიწოდება.

ინფლაციის გარე მიზეზებს მიეკუთვნება: а) სახელმწიფოს მიერ თავისი საგარეო ვალის გადიდება სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისაგან სესხების აღების გზით. ბ) ცენტრალური და კომერციული ბანკების მიერ ეროვნული ფულის ნიშნების უცხოურ ვალუტაზე გაცვლის ოპერაციების წარმოება, რაც ქაღალდის ფულის ნიშნების დამატებითი გამოშვების აუცილებლობას წარმოშობს. გ) მსოფლიო ბაზარზე წარმოების საშუალებათა ფასების ზრდა, რაც იწვევს მათი ფასების გადიდებას ქვეყნის შიგნითაც. დ) ბუნებრივი რესურსების შემცირებასთან დაკავშირებული სტრუქტურული კრიზისები მსოფლიო ეკონომიკაში, რომლებიც იწვევენ წარმოების ფაქტორთა გაძვირებას ყველა ქვეყანაში. ე)

სახელმწიფოთა შორის წარმოებული ომები, რომლებსაც თან სდევს უდიდესი მოთხოვნა ფულზე, რამაც შეიძლება ცალკეულ ქვეყნებში ფულად და საქონლურ მასას შორის დისბალანსი გამოიწვიოს. ბოლო პერიოდის მსოფლიო-ეკონომიკურმა კრიზისმა და რუსეთ-საქართველოს ომმა 2008 წლის აგვისტოში მდგომარეობა საგრძნობლად გააუარესა, თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს ეკონომიკამ ამ ორ დიდ დარტყმას გაუძლო და შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისა და საერთაშორისო დახმარების პირობებში მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა. მთავრობის მიერ შექმნილ ანტიკრიზისულ პროგრამაში ერთ-ერთი სტრატეგიული მექანიზმი არის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა. კრიზისის პირობებში მონეტარული პოლიტიკა სახელმწიფოს ჩარევისაგან არ იქნება თავისუფალი. არ უნდა იქნეს დაშვებული ეროვნული ვალუტის კურსის არც მყისიერი ხელოვნური გამყარება და არც გაუფასურება. ეროვნულმა ბანკმა უნდა განსაზღვროს ის ოქროს შეალები, რომელიც უზრუნველყოფს ფასების სტაბილურობას და, მეორე მხრივ, სტიმული უნდა მისცეს კომერციულ ბანკებს და ხელი შეუწყოს ეკონომიკის, განსაკუთრებით რეალური სექტორის აღორძინება-განვითარებას.

საქართველოს მჭიდრო ურთიერთობა აქვს და თანამშრომლობს საერთაშორისო საგალუტო ფონდთან, მსოფლიო ბანკთან, ევროპის რეგონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან. მსოფლიო ბანკის მეშვეობით კი ხორციელდება მნიშვნელოვანი პროექტები სოციალური სფეროს ობიექტების, ჯანდაცვის, განათლების და სხვა დარგების განვითარებაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ გარედან დახმარება ვერ გამოიღებს ჩვენთვის სასურველ შედეგს თუ ჩვენვე არ განვახორციელებთ მნიშვნელოვან დონისძიებებს მსოფლიო ბიზნესის სფეროში ჩართვით, რადგან თანამედროვე ბიზნესის მთავარი თავისებურებაა მისი გლობალური, კონტინენტური და ზოგადსაკაცობრიო ხასიათი.

ინფლაციური პროცესების დრმად შესწავლის გარეშე შეუძლებელია აღეკვატური ანტიინფლაციური დონისძიებებისა და სწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება. ინფლაციის რაოდენობრივი გაზომვისათვის იყენებენ ინფლაციის დონისა და ტემპის მაჩვენებლებს. ინფლაციის დონე იზომება ფასის ინდექსის გამოყენებით. ფასის ინდექსი კი არის შეფარდებითი სიდიდე, რომელიც გვიჩვენებს ფასის ცვლილებას დროში. მისი გაანგარიშებისათვის საჭიროა საბაზისო წლის ფასები ჩაითვალოს 100-ის ტოლად, ხოლო დარჩენილი წლების ფასების ცვლილება გამოიანგარიშება მის მიმართ პროცენტობით. ფასების ინდექსების დახმარებით ანგარიშობენ ინფლაციის ტემპს. ეს უკანასკნელი უდრის მიმდინარე წლის ფასების ინდექსს მინუს საბაზისო წლის ფასების ინდექსი, გაყოფილი საბაზისო წლის ინდექსზე და გამრავლებული 100-ზე.

ინფლაციის სახეობათა განსაზღვრისას ეკონომისტები ხელმძღვანელობენ შემდეგი კრიტერიუმებით: а) ფასების (ფასების ინდექსის) ზრდის ტემპი; б) სხვადასხვა ჯგუფის საქონლის ფასების ზრდის დაბალანსებულობის ხარისხი; გ) ინფლაციის მოსალოდნელობა და წინასწარმეტყველება; დ) ბაზრების ინფლაციური უწონასწორობის ფორმა. ფასების ზრდის ტემპის მიხედვით განასხვავებენ ზომიერ (მცოცავ), ჰენებად და პიკერინფლაციას. სხვადასხვა ჯგუფის საქონლის ფასების ზრდის დაბალანსებულობის ხარისხის მიხედვით – დაბალანსებულ და დაუბალანსებულ ინფლაციას; მოსალოდნელობისა და წინასწარმეტყველების მიხედვით – მოსალოდნელ და მოულოდნელ ინფლაციას; ბაზრების ინფლაციური უწონასწორობის ფორმების მიხედვით – ლია და დათრგუნვილ (ჩახშობილ) ინფლაციას.

ინფლაცია ეკონომიკაზე მოქმედებს ორი მიმართულებით: პირველი მიმართულება აისახება წარმოების მთლიან მოცულობაში (მაკროეკონომიკური ეფექტი), მეორე მიმართულება კი – რესურსების გადაადგილებასა და ეკონომიკურ ეფექტიანობაში (მიკროეკონომიკური ეფექტი). ინფლაციისგან მიღებული

დანაკარგი შეიძლება განვიხილოთ ორი პოზიციიდან. პირველია, რამდენად დაბალანსებულია ინფლაცია და მეორე, ეკონომიკა რამდენად ადაპტირებულია ინფლაციის მიმართ. ინფლაციის ძირითად სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს მიეკუთვნება: ფულადი შემოსავლის გაუფასურება, შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილება, გრძელვადიანი გარიგებებისადმი ინტერესის შენელება, ფულადი დანაზოგების გაუფასურება, ფულადი სახსრების ფარული კონფისკაცია.

ამჟამად მსოფლიო ბაზარზე კვების პროდუქტებზე ფასების ზრდა შეინიშნება. ამიტომ საკმაოდ მაღალია იმის ალბათობა, რომ წლის მეორე ნახევარი განსაკუთრებით ინფლაციური იქნება კვების პროდუქტებზე. რადგან საქართველო იმპორტზე ორიენტირებული ქაფანაა, მსოფლიო ფასები ადგილობრივ სამომხმარებლო ფასებზე პირდაპირ გავლენას ახდენს. ამასთან, კახეთის სტიქის გამო ადგილობრივი პროდუქციაც 20-30%-ითაა გაძვირებული.

საქართველოში წლის პირველ ნახევარში დეფლაციური პროცესები მიმდინარეობდა, ამიტომ პროდუქტის გაიაფების და ფასების შემცირების ეკონომიკური რესურსი გამოყენებულია. ეკონომიკის სპეციალისტები წინასაარჩევნო პერიოდში ინფლაციასთან ერთად ინვესტიციების შეჩერებასაც პროგნოზირებენ. დიდი ალბათობით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთან ინფლაციის ზრდის ტენდენცია დაიწყება. მთავარია, ინფლაცია ერთნიშნა იყოს, ისევე, როგორც ეს მითითებულია ეროვნული ბანკის საგალუტო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებში, სადაც ორიენტირად 6%-იანი ნიშნულია დაებული. ხოლო რამდენად მოხდება მისი პარამეტრების ჩატევა ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ კურსში, ამას მომავალი გვიჩვენებს.

ინფლაციის მთლიანად ლიკვიდირების ამოცანის დასმა არარეალურია. ამ მიმართულებით ღონისძიებათა გატარების მაქსიმუმი – ეს არის მისი ზომიერ ფარგლებში მოქცევა და გამანადგურებელი გავლენის თავიდან აცილება. საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების გამოცდილებით, ცნობილია ანტინფლაცი-

ური რეგულირების ორი ვარიანტი: ინფლაციური პროცესებისადმი ადაპტირება (შეგუება) და აშგარა ანტიინფლაციურ (გრძელვადიან და მოკლევადიან) ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. თეთრაული ც. გლობალიზაციის გავლენა ინფლაციურ პროცესებზე. პროფესორ გიორგი წერეთლის დაბადებიდან მე-60 წლისადმი მიძღვნილ საქართველოს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული, ტომი II. თბილისი, 2012.
2. აბესაძე რ. პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის ეტაპები და თავისებურებები საქართველოში. თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. IV. თბილისი, 2011.
3. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიქსი. თბილისი, 2011.
4. თეთრაული ა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და ბიზნესის განვითარების კანონზომიერებანი საქართველოში. ნაწ. I, თბილისი, “მაცნე”, 1992.

Tetrauli Tsitsino
INFLATION AND MACROECONOMIC FACTORS
SUMMARY

This paper discusses the background of macroeconomic indicators, inflation and the regularities of development of post-communist countries to regulate and possible ways of overcoming inflation.

გარინჯ ცუცქირიძე

პიზნესის დიგენსიუმიკაციის თავისებურებები

გლობალიზაციის პირობებში

გლობალიზაციის პირობებში საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთ საშუალებას ბიზნესის დივერსიფიკაცია წარმოადგენს. იგი საწარმოთა დივერსიფიკაციული სტრატეგიის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენს.

ბიზნესის დივერსიფიკაციას ახასიათებს ისეთი თავისებურებები, რომლებიც განპირობებულია საბაზრო ურთიერთკავშირების გაფართოებით, წარმოებისა და მომსახურების ორგანიზაციული სისტემის განვითარებით. დივერსიფიკაციის თავისებურებებს ძირითადად განაპირობებს: 1. გლობალიზაციის პროცესის გავლენა ბიზნესისა და საბაზრო ურთიერთკავშირების განვითარებაზე; 2. წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების და საწარმოთა მიერ საბაზრო კონკურენციაში მონაწილეობის მიზნით ახალი პროდუქციის წარმოების ათვისების აუცილებლობა; 3. კონკურენტული პროდუქციისა და მომსახურების მიწოდების მიზნით მათი ნომენკლატურის გაზრდა და ასორტიმენტის გაფართოება; 4. საწარმოში, საბაზრო გამტარუნარიანობაზე კონტროლის გასაძლიერებლად, ოპერაციული მართვისა და რეგულირების სისტემის გამოყენება.

თანამედროვე პირობებში გლობალიზაციის პროცესი აქტიურ გავლენას ახდენს ბიზნესის განვითარებაზე. მისი გავლენით წარმოიქმნება და ვითარდება როგორი საწარმოო გაერთიანებები და საერთაშორისო საბაზრო მოთხოვნებსა და პროცესებთან დაკავშირებული ფირმები, რაც მოითხოვს წარმოების დივერსიფიკაციის პრობლემის გადაწყვეტას ფირმათა საწარმოო და მომსახურების სისტემის საშუალებით. დივერსიფიკაცია ძირითადად დაკავშირებულია ფირმების პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოებასთან, რომელიც

გამოწვეულია მასზე საბაზრო მოთხოვნის გადადებით ან საბაზრო კონკურენციის გაძლიერების პირობებში. მწარმოებელი ფირმების ან მათ გაერთიანებათა მიერ პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოების შედეგად ხორციელდება რთული საწარმოო კომპლექსების ჩამოყალიბება. ისინი მიწოდებულნი არიან, გაუძლონ ეკონომიკის განვითარებაში არსებულ უთანაბრობას და გააძლიერონ საბაზრო მოთხოვნისათვის დასაკმაყოფილებლად აუცილებელი პროდუქციის წარმოება.

გლობალიზაციის გავლენით დივერსიფიკაცია განსაკუთრებით გაძლიერებულად მიმდინარეობს საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგობრივ საბაზრო სისტემებში, ასევე მშენებლობასა და ფინანსური საქმიანობის პროცესებში. ბიზნესის დივერსიფიკაციის თავისებურებას განსაზღვრავს საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარებაც და მასზე მოქმედი ფაქტორები, რომელიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისთვის. ასეთია ფირმათა მოგების გადიდება, ინვესტიციების გამოყენების გაფართოება, ეკონომიკის სტაბილიზაცია, ბიზნესის კონკურენტული გარემოს გაუმჯობესება, მრავალდარგოვან წარმოებათა გაფართოებისათვის სტიმულების გამოყენება და სხვ.

ამ მიმართულებით ბიზნესის წარმატებით განვითარების აუცილებელ კრიტერიუმს წარმოადგენს საწარმოთა მოგების გადიდება მათი დამოუკიდებელი ასორტიმენტული პოლიტიკის გატარების გზით, რაც დივერსიფიკაციის საფუძველიცაა.

ამრიგად, ბიზნესის დივერსიფიკაცია წარმოადგენს, გლობალიზაციის პროცესების გავლენით წარმოქმნილ წარმოებათა ნომენკლატურულ-ასორტიმენტული პოზიციების განმტკიცების გზით, მათი საბაზრო კონკურენტუნარიანობის ამაღლების საშუალებას და ფირმების შემოსავლების ზრდის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს. ამიტომ ბიზნესის დივერსიფიკაცია ორი ძირითადი მიმართულებით შეიძლება განხორციელდეს. პირველის დროს ბიზნესის წარმატებათა გა-

დამწევებ საშუალებად გვევლინება მწარმოებელ ფირმებში პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება ისეთი თანაფარ-დობით, რომელიც აუცილებელია მისი საბაზრო შესაძლებ-ლობის გამოსავლენად. ასევე მნიშვნელოვანია გაიზარდოს პროდუქციის ნომენკლატურაც. ასეთი შემთხვევისათვის დი-კერსიფიკაცია ემსახურება საბაზრო რისკის შემცირების მიზანს და წარმოადგენს ფირმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიას.

მეორე მიმართულების დროსაც ფირმა მიმართავს ასორტიმენტული პოლიტიკის გაძლიერებას, რომელიც საბაზრო სეგმენტირების საფუძვლად გამოიყენება. პროდუქციის ასორტიმენტის შევსება ხორციელდება მიზნობრივი საბაზრო მოხმარების ინტერესებთან შესაბამისად. ამ დროს პროდუქციის ასორტიმენტი უნდა მოიცავდეს ურთიერთგანსხვავებულ საქონელთა ერთობლიობას, რომელიც განკუთვნილია სხვადასხვა მომხმარებლისათვის. იგი უკავშირდება საბაზრო სივრცეში მომხმარებელთა მოზიდვას, რომელიც სოციალური მდგომარეობის მიხედვით, თანმიმდევრულად რამდენიმე საბაზრო სეგმენტის გავლის საშუალებით ხორციელდება.

ბიზნესის დივერსიფიკაცია დარგობრივ საბაზრო სისტემებში ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით. სამრეწველო ფირმებში დივერსიფიკაციის მიზანს ემსახურება უახლესი კონსტრუქციის სამრეწველო და სამშენებლო პროდუქციის წარმოებათა ათვისება, გლობალიზაციის პროცესი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესის საწარმოო და მომსახურების სისტემის ფუნქციონირებაზე, რადგან იგი ემსახურება საბაზრო კავშირების გზით ცხოვრების დონეთა გათანასწორების მიზნის შესრულებას.

ამდენად, იგი დიდ გავლენას ახდენს ბიზნესის დივერსიფიკაციაზე როგორც საწარმოო, ასევე მომსახურების სისტემაში. ბიზნესის დივერსიფიკაცია მომსახურების

სისტემაში გაერთიანებულ ფირმებში გლობალიზაციის გავლენით განაპირობებს მომსახურების სხვადასხვა სახეობათა გაერთიანებას და ფირმის საქმიანობის წარმართვას შემოსავლების გადიდების მიზნით. ამით დივერსიფიკაცია მომსახურების სისტემაში ხორციელდება მისი სფეროების გაფართოებითა და მათ უახლეს სახეობათა მრავალფეროვნების საფუძველზე.

დივერსიფიკაციას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თანამედროვე საწარმოო და საბაზრო პროცესების რაციონალურად წარმართვაში. იგი წარმოადგენს ფირმათა სტრატეგიას, ინვესტიციური და ფინანსური გარემოს მოწესრიგების საფუძველს საბაზრო რისკის დროს. დივერსიფიკაციული სტრატეგიის საშუალებით მიღებული ეფექტი დამოკიდებულია ისეთ მაჩვენებლებზე, რომლებიც ასახავს დეფაქტორების მოქმედებას, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებაში წარმოქმნილ რეცესიული მდგრმარეობის დაძლევასთან, ნორმალური ეკონომიკური გარემოს წარმოქმნასა და ეკონომიკურ ზრდასთან. ამ დროს დივერსიფიკაციით შეიძლება გამოირიცხოს ან მინიმუმადე შემცირდეს არასისტემატიური საბაზრო რისკი. იგი წარმოადგენს ზოგად ინსტრუმენტსაც მენეჯმენტის სფეროში, რომელიც ამცირებს მმართველთა ინდივიდუალურ გადაწყვეტილებათა საფუძველზე საბაზრო პროცესებში მიღებულ უარყოფით შედეგებს. ის, ასევე, ფირმათა საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, პოზიციურთან ერთად, ოპერაციული მართვის სრულყოფის საშუალებასაც წარმოადგენს.

გლობალიზაციის პროცესი აქტიურად ზემოქმედებს ბიზნესის განვითარებაზე და საბაზრო ურთიერთკავშირების გაფართოებას განაპირობებს. ამ დროს წარმოიქმნება დივერსიფიკაციის აუცილებლობაც. გლობალიზაცია გავლენას ახდენს დივერსიფიკაციის შედეგებზე, რითაც მცირდება საბაზრო რისკი და ძლიერდება ბიზნესის სტრატეგია,

რომელიც მიმართულია ფირმათა კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნისაკენ. ამით გლობალიზაცია გვევლინება როგორც წარმოებისა და მოსახურების სისტემის რაციონალური ორგანიზაციის, ასევე ბიზნესის არეთა გაფართოების, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველად.

წარმოებისა და მომსახურების თანამედროვე სისტემას, რომელიც აქტიურად მონაწილეობს გლობალიზაციის პროცესის რაციონალურად წარმართვაში, დივერსიფიკაციის საფუძველზე ექმნება ფართო შესაძლებლობანი საბაზრო კონკურენციაში მონაწილეობისათვის. ამ მიზნით შემუშავებული დივერსიფიკაციული სტრატეგიის მირითად დანიშნულებას წარმოადგენს ფირმის პროდუქციის ნომენკლატურისა და ასორტიმენტის გაზრდის დონისძიებათა შემუშავება, რაც ხორციელდება ამ პროდუქციაზე საბაზრო მოთხოვნების გათვალისწინების შედეგად, დროის პერიოდებისა და წარმოების სტრატეგიული სფეროების მიხედვით. ამით იგი დაკავშირებულია წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური სრულყოფის დონესთან, მის ეკონომიკურ და ფინანსურ დასაბუთებულობასთან, ასევე დანახარჯების შემცირებისა და პროდუქციის ხარისხის პრობლემებთან.

აღნიშნული განაპირობებს ფირმაში ასორტიმენტული პოლიტიკის გატარების აუცილებლობას. პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოება ხდება კონკურენციის პროცესის მიზნებთან ფირმის საბაზრო პოლიტიკის დასაკავშირებლად. ამას შეიძლება შედეგად მოჰყვეს პროდუქციის ნომენკლატურის გაზრდა, რაც დივერსიფიკაციის მირითად საფუძველს წარმოადგენს. ფირმის მიერ პროდუქციის ნომენკლატურის გაზრდა უნდა განხორციელდეს რესურსების მიწოდებისა და პროდუქციაზე საბაზრო მოთხოვნის პირობებიდან გამომდინარე. ამავე დროს, იგი უნდა დაუკავშირდეს წარმოების ტექნიკურ შესაძლებლობასა და მის ეკონომიკურად აუცილებლობას. პროდუქციის ნომენკლატურის

გაზრდა ფირმაში შესაბამისობაში უნდა იყოს პაზრის სტრუქტურასთან, იგი ოპტიმალური ასორტიმენტისა და წარმოება-გადაზიდვის დანახარჯების მინიმუმის პირობების დაცვასაც მოითხოვს, რათა მიღწეულ იქნეს საბაზრო კოორდინაცია მისი წარმოებისა და მოხმარების ელემენტებს – პროდუქციისა და მომსახურების სახეობათა შორის.

დივერსიფიკაციის შედეგად ფირმაში განხორციელებული პროდუქციის ნომენკლატურის გაფართოება იწვევს საწარმოს ეკონომიკის დროებით გარდაქმნას. კერძოდ, იცვლება შრომის მწარმოებულურობა, დასაქმებულთა ორიენტაცია, ტექნიკურ და ავტომატიზაციის საშუალებათა გამოყენების სფეროები და სხვ. ამიტომ, მიზანშეწონილია, დივერსიფიკაცია განხორციელდეს იმ პროდუქციის სახეობათა წარმოების გზით, რომელთა ნომენკლატურა მოითხოვს დაზუსტებას მათზე მომხმარებელთა მოთხოვნების მიხედვით.

ამდენად, ბიზნესის დივერსიფიკაციის დროს ფირმის მმართველობითი საქმიანობა ძირითადად მიმართულია: პროდუქციის არსებული ნომენკლატურის შეზღუდვისა და საბაზრო მოთხოვნის მქონე პროდუქციის წარმოების გადიდებისაკენ; ფირმის ისეთი უნარის გამოვლენისაკენ, რომელიც განაპირობებს მის გადართვას საბაზრო მოთხოვნების მიხედვით დადგენილ წარმოების პროფილზე. იგი წარმოების მარკეტინგული მართვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებისათვის საჭირო, მთავარ საშუალებად გვევლინება.

ბიზნესის დივერსიფიკაცია წარმოადგენს მის პროდუქციაზე დროის მიმდინარე პერიოდში არსებული საბაზრო მოთხოვნის დაკმაყოფილების, ასევე პოტენციურ მოთხოვნილებათა გათვალისწინების და ამით ფირმის საბაზრო არეთა გაფართოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს გლობალიზაციის პირობებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბესაძე რ. მდგრადი ეკონომიკური განვითარება – XXI საუკუნის გლობალური გამოწვევა. სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. I, თბ., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2008.

2. ბერულავა გ. პრივატიზაციის პოლიტიკის ასპექტები. სამეცნიერო შრომების კრებული, ტომი III, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამოცემლობა, 2010.

3. პაპავა ვლ. არატრადიციული ეკონომიკის. თბ., პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.

4. პაპავა გ. ეკონომიკის საბაზრო ტექნოლოგიის თვისებრივი წყობის მორფოლოგიური შეცნობა. საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული – „ეკონომიკის აქტუალური პრობლემები განვითარების თანამედროვე ეტაპზე”, თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

5. წერეთელი გ. საქართველოს ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განვითარების ზოგადი მოთხოვნები და პერსპექტივები. სამეცნიერო შრომების კრებული – „საბაზრო ეკონომიკის განვითარების პრობლემები საქართველოში”, ტ. II, მეცნიერება, თბილისი, 2002.

6. ცუცქირიძე მ. ბიზნესის დივერსიფიკაციაზე გლობალიზაციის გავლენის თავისებურებები. საერთაშორისო კონფერენციის მასალები, ტ. II, თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2012.

Tsutskiridze Marina

THE PECULIARITIES OF BUSINESS DIVERSIFICATION UNDER GLOBALIZATION SUMMARY

The article discusses actual issues of the Business diversification under Globalization there are given the characteristics of business diversification and the peculiarities in Georgia.

The article analyzed of influence Globalization of diversification in the markets organization system of product and of service process, this is an illustration of the unsystematic markets risk in firm minimizes, when a diversification strategy in business.

თამარ ბაჩიაშვილი ორგანიზაციული კულტურა და მისი ღონიშვილი

